

111
1959/4


საქართველოს
ქრონიკონი

მნათობი

10

მ. ჯ. ბ. მ. მ. მ. მ.



1959



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივი-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 36-ე № 10 ოქტომბერი 1959 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

7473

უნიკალური

83-

მაო ძე-დენი — ლექსები თარგმანი გივი გეგეჭკორისა	3
პენ ძინ-ფენი — როცა აკენესდა სალამური, მოთხრობა. თარგმანი ეთერ როსტომ-შაშვილისა	5
გო მო-ჟო — გემი შედის იანცხის შესართავში, თარგმანი ილია ხოშტარისა	13
თ. ჯანგულაშვილი — სულხან-საბა, ლექსი	14
ილია რურუა — დაბრუნება სულხან-საბასი. მოთხრობა	16
კოსტა ხეთაგუროვი — ლექსები. თარგმანი ვასილ გვეტაძისა	27
იულიუს სლოვაკი — ანდერძი, ლექსი. თარგმანი თ. ჭილაძისა	28
კონსტანტინე ვალჩინსკი — მთვარე, ლექსი. თარგმანი არჩილ სულაქაურისა	29
იუსტიფ გენი — იონისის ქერიეი. მოთხრობა. თარგმანი შიხ. ყვარელაშვილისა	31
სტანისლავ ვიოლესკი — იანი და შარია. მოთხრობა. თარგმანი შარიაშ აგიაშვილისა	42
ნაზი კილასონია — ლექსები	55
კლავდია დედარაიანი — დავარგული საყურე. რომანი. გაგრძელება	58
ბონდო კეშელავა — ლექსები	80
მიხეილ დავითაშვილი — ჩვენი წინელი მეგობრები. ნარკვევი	81
იაკინთე ლისაშვილი — ბადრი და პირიშვი. ლეგენდა	86

სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 100 წლისთავი

აკაკი შანიძე — სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ლექსიოგრაფი	104
ალ. ბარამიძე — სულხან-საბა ორბელიანის ლექსების თაობაზე	111
გ. ზარდალიშვილი — სულხან-საბა ორბელიანი და გეოგრაფი	120

(იხ. მეორე გვ.)

**გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»**



კრიტიკა და პუბლიცისტიკა



ვალ. იმედაძე — კოსტა ხეთაგუროვი და ჭაბუკაძე და ოსი ხალხების მეგობრობა	127
ნ. აბულელიანი — კოსტა ხეთაგუროვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი	134
შ. აღმაშენებელი — თლოეშ სლოვაცი	138
კრილე ზდანევიჩი — ზიგმუნტ ვალიშევსკი (1897 — 1939)	144
გორგი დომიძე — ეროვნული ხასიათის პრობლემისათვის ლიტერატურაში დასასრული	154
ოტია პაპუჩია — „მკედრის მზე“	164
გაბრიელ მეგრელიშვილი — ე. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები	169
ნიმონ სხირტაძე — ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილისა და მისი გამოშვების მიზეზის გამო	176
დერძიშვილი ვაგოლაძე — კაპიტალიზმის გენეზისის საკითხისათვის რეფორმამდელი ხანის საქართველოში. დასასრული	182

წიგნების მიმოხილვა

ა. სანადირაძე — ნიკოლოზ ჩანავას ლექსები	186
პროფ. ივ. ნიკოზაძე — ფუნდამენტალური სამეცნიერო ნაშრომი	188
ნ. ხანთაძე, შ. მეგრელიძე — ბათუმის ისტორიიდან	190
ახალი წიგნები	ვარეჯანის შესაშვ გე.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/შგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 18/IX-59-წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა 17¼×12¾. ნაბეჭდი თაბახი 12. უე 03790. ტირაჟი 6400. შეკვეთა № 711.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკომპლექსის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილი ქ. 5.

გაო კე-ღანი



საში თქვესმეტსიჭვიანი ლექსი

მთები!

მივდივარ და მივაქროლებ, ჩემი
თეთრონი ისე შალაია,
თითქოს შევწვდები —
ზეცის თავანი ისე ახლოა და დაბალია.

მთები!

ვით შმაგი ზღვის მღელვარება
გადამლახველი სიმშვიდის ზღუდრს,
ვით ბრძოლის ველზე ყალყზე შემდგარი
დამარცხებული მხედრების გუნდი.

მთები!

იმათი თეთრი თხემები
ცის ლაქვარდებთან ბედავენ შებმას,
ცა ეცემოდა, ძირს ეცემოდა,
შაგრამ ბეჭებზე დაიდგეს მთებმა.

ლიუპანშანი

იქ, სადაც წითლად მნათობი ჩადის,
სამხრეთისაკენ, მიფრინავს ბატი —
და შემზარავი ტირილით ტირის,
ის ვინც მიაღწევს ჩინეთის კედელს,
იქნება ალბათ ნამდვილი გმირი!

დგას მწვერვალები ლიუპანშანის
და ჩვენს დროშებზე ქარი

ჩურჩულებს...

როგორ ვისროლოთ ახლა ქამანდა,
რომ დაეჭიროთ თეთრი ურჩხული.

ლოუშანის საღარაკო

დასავლეთური ქარის ჩივილი.
ვათენებისას მთვარე და თრთვილი.
დილაადრიან ბატის ყვირილი.
ვათენებისას მთვარე და თრთვილი.



დილაადრიან საყვირის და ცხენის
ფეხის ხმა.
ნუ გეგონება, სიმშვიდეა გათენებისა,
ვიყავით ზევით, სადაც გზა უხვევს
და აქ მცირე ხნით შევჩერდით წუხელ.
მთები და მთები, მთები და ნისლი.
მზემ სანახებზე დაღვარა სისხლი.

ახალი წელი

ნინხუა, ცინლიუ, გუზუა,
ვიწრო გზა, ტყეები, ბალახი,
ტყეები და ხავსის სისველე.
ჩვენი გზა სად მიემართება?

გზა უის მთით მიემართება
და კოცონებივით ანთებულ
დროშებზე ნიაფი ისვენებს.

თარგმანი გივი ზიზიუაშვილისა



როცა აკვნესდა საღამური

მე უკვე დიდი ხანია მიეფარა მთებს. უღრან ტყეში სიბნელე ჩამოწვა. რაინის ტყის მასივების გამოშველვეი ჯგუფი, რომელსაც სახალხო განმათვისსუფლებელი არმიის მებრძოლთა რაზმი და ლაგუს ხალხთა რამდენიმე ადგილობრივი წარმომადგენელი ახლდა თან, გზას ტყეში მიიკვლევდა. მათ ფეხქვეშ სქლად მოფენილი ხმელი ფოთოლი შრიალებდა. წამალუწუმ ისმოდა ტოტებისა და ხმელი ბამბუკის ტყაცუნის. მკვლევარებს ზურგზე მიემაგრებინათ ათასწლოვანი ხეებიდან აგლეჯილი ფოსფორული სინათლით მოკიაფე ფუტურთ ქერქები, რომ უკუნეთით მოცულ ბარდებში ერთმანეთი არ დაეკარგათ.

ორი დღის წინათ მოვიდნენ აქ ეს ადამიანები ამ მხარის ტყეების შესასწავლად. გუგულ ტევრში ხეები კედლებივით აღმართულიყვნენ, ფოთლებში სინათლე ვერ ატანდა. თუმცა რაზმეულს მეგზურად ჰყავდა ლაგუ ბერიაცი, მაინც ზშირად ერეოდა გზა. მეგზურს დღესაც არასწორი მიმართულება აედო. მთელ დღეს იხეტიალეს კაცის სიმაღლე ბალახში. მაინც ვერ მიაგნეს ისეთ ადგილს, სადაც შეიძლებოდა მზისთვის მიეფიცებინათ ბეჭები, ეშოვათ წყალი და დაესვენათ. დაღაღდა, ისინი მაინც განაგრძობდნენ გზას ხელების ცეცებით.

დაცვის რაზმეულის მეთაურმა ჯან შუან-სომ მაჯის საათს დახედა. მწვანედ მოკაშკაშე ისრები ღამის პირველ საათს უჩვენებდნენ. ჯან შუან-სოს მოუსვენრობა დაეტყვა: უკვე შუალამეა, ხოლო ამხანაგები, რომლებიც მთელ დღეს დაეხეტებოდნენ და ტყეს იკვლე-

ვდნენ ალბათ ძალზე დაღლილები არიან. ის მარტო ამ ხალხის დაცვაზე კი არ აგებდა პასუხს, მათს ჯანმრთელობაზედაც ზრუნავდა. მან რაზმეულს წინ გაუსწრო, მეგზურისაყენ გაეშურა და ჩუმად ჰკითხა:

— ბიძია, ა ჩი, სად შეიძლება აქ ახლო-მახლო შესვენება? ამხანაგები ძალზე დაიღალნენ.

— მაგის ფიქრი ნუ გაქვს, — უბასუხა მეგზურმა სიბნელეში თავის ოდნავი დაკერით.

— მხოლოდ მაღლა უნდა ავიდეთ.

— მე ერთი ადგილი ვიცი. აქვე ახლო, პატარა გორაკზე.

— კარგი, წავიდეთ, — თქვა ჯან შუან-სომ.

ბოლოსდაბოლოს რაზმეულმა მიაღწია გორაკს. ჯან შუან-სომ მოხუცთან ერთად ფანრით მოათვალიერა ღამის სათვევი ადგილი და გორაკის აღმოსავლეთისა და დასავლეთი მხარეების დასაცავად თოფიანი მებრძოლები დააყენა. შემდეგ მან დიდი ხის ქვეშ მიუჩინა დასასვენებელი ადგილი მკვლევართა ჯგუფსა და რაზმეულის დანარჩენ მებრძოლებს, თანაც ურჩია კარგად გახვეულიყვნენ ლაბადებში და როგორც წესია, ისე დაესვენათ.

ქარი უბერავდა. ტროპიკულ ტყეებში ადრეული გაზაფხულის ღამეები უფრო ცივი გეჩვენებოდა, ვიდრე ზამთრის ღამეები ჩრდილოეთში. სიარულის დროს სიცხეს ვერ გრძობდნენ, მაგრამ როგორც კი გაჩერდნენ, მთლად აკანკალდნენ, თითქოს უზარმაზარ გაყინულ სარდაფში მოხვდნენო. იმის შიშით, რომ მკვლევარები არ გაცივებუ-

ლიყვნენ, ჯან შუან-სომ დაიწყო ხმელი ფოთლების შეგროვება.

— ამხანაგებო, მოდით ცეცხლი დავანთოთ, გაეთბეთ! — ხმაშალა დაიძახა მან.

ყველას გასჯდომოდა სიცივე ტანში და შეტის ატანა აღარ შეეძლოთ, ამიტომ, შეიტყვეს თუ არა, რომ შესაძლებელი იყო ცეცხლის გაჩაღება, ყველა დაფაქურდა ფიჩხის მოსაყრეფად. სულ მალე დაბრუნდნენ ისინი ხმელი ტოტებისა და ფუტურო ბამბუკის კონებით ხელში. მაგრამ ფიჩხი დანესტიანებულაყო და ვერა და ვერ მოეკიდა ცეცხლი. მებრძოლებმა აღარ იცოდნენ რა გაეხერხებინათ. მაშინ მოხუცმა ა ჩიმ ერთ-ერთ მებრძოლს მიაწოდა თავისი პრელი ბამბუკის ჯოხი, წვრილად დაჭრით და ცეცხლი გააჩაღეთო. ბოლოს არეულად მიყრილ ფიჩხის გროვიდან ცეცხლის კაშკაშა წითელი ენები ამოიზარდნენ.

აგიზგიზებული ცეცხლის ირგვლივ ყველა გამოცოცხლდა. ტყის მკვლევართა ჯგუფის უფროსი ლიუ ძე ხელებს ითბობდა და ცეცხლით განათებულ ხეებს გაჰყურებდა. „რა დიდი ტყეა! — ფიქრობდა ის, — ჩვენთვის რამდენი უცნობი მშვენიერი მცენარეა აქ, კიდევ რამდენი აღმოუჩენელი სიმდიდრე იმარხება მიწის ქვეშ. ეს სასახლვრე რაიონებში მომავალი მშენებლობის რესურსებია. მალე უნდა განვახორციელოთ ტყის გამოკვლევის ამოცანა! მაგრამ მთავარი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ არავინ იცნობს ამ ტყეებს. როგორ უნდა შევისწავლოდ აქაურობა, თუ, მაგალითად, დღევანდელივით მოგვიხდა ტყეში ხეტიალი!“ ამის გახსენებაზე მან შუბლი შეიკრა. ცეცხლმა ლიუ ძეს და ჯან შუან-სოს სახეები გაუნათა. მან დაინახა რომ ლიუ ძე მოუსვენრობდა, ახლოს მიუჯდა და მზრუნველად ჰკითხა:

— ამხანაგო ლიუ, შენ რაღაც ვერა ხარ კარგ გუნებაზე, ალბათ გეშინია, რომ ვერ შევძლებთ დავალების შეს-

რულებას, თუ კიდევ აგვებნა გზა!

— მართალია! — დაეთქვა მისი ლიუ ძე. — რომ მოგვენახა ისეთი მკაცრი მელიც კარგად იცნობდა ამ ტყეს, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

— ასეთი კაცის მოძებნა ადვილი კი არ არის, — თქვა ჯან შუან-სომ, — მთელი სოფლიდან მარტო მოხუცმა ა ჩიმ იყისრა ჩვენი მეგზურობა. ის რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ტყესაც ვერ მოვაგნებდით!

— ნუთუ მაგის მეტი სხვა მეგზური არავინ არის? — იკითხა ლიუ ძემ.

— ბებრები დაიხოცნენ, ახალგაზრდებს კი ტყისა არა გაეგებათ რა.

ლიუ ძესა და ჯან შუან-სოს ლაპარაკმა მათ გვერდით მჯდარი ა ჩის ყურადღება მიიპყრო.

— ეჰ, ჯა ტო რომ ყოფილიყო ცოცხალი, — სევდიანი ამოოხვრით დაიწყო მოხუცმა. — იმაზე კარგად ჩვენი ტყეების ამბავი არავინ იცოდა. თვალდახუჭული ისე მოივილიდა ტყეს, რომ გზაც არ შეეშლებოდა.

— მერე ვინ არის ჯა ტო? მის შესახებ რაღაც გამოიგონია — შუბლი დაფიქრებით მოისრისა და ისე ჰკითხა ჯან შუან-სომ.

— ჩვენებურია. ბავშვობაში ერთად ვნადირობდით, მან ჩემზე უკეთ იცოდა სროლა. ჯერ ორმოცი წლისაც არ იყო, რომ უკვე ათი დათვი ჰყავდა მოკლული. ერთხელ ჩვენ ერთად წამოვედით ამ ტყეში სანადიროდ. ლურწმნარიდან უეცრად ლეოპარდი გამოხტა და პირდაპირ ჯა ტოს ეძვკრა! ჯა ტო არ დაბნეულა! მან იცოდა, რომ ნადირს თავს ვერ დააღწევდა, ამიტომ თოფი შემართა და პირდაპირ შუბლში დაუმიზნა ლეოპარდს. ნადირმა დააღრიალა, ისკუბა და კბილებით ჩააფრინდა თოფის ლულას. ჯა ტოს დიდხანს — არ უფიქრია, ჩახმანს გამოჰყრა თითი და სროლის ხმა გაისმა, თავგაპობილი ლეოპარდი ძირს დაეცა.

— აი, ყოჩაღ ბიჭო! — ყველას გაეცინა.

— დიახ, ყოჩალი იყო. კარგადაც მღეროდა. თქვენ რომ იცოდეთ გამხმარი გოგრისაგან როგორ სალამურებს აკეთებდა, მერე როგორ უკრავდა ქალიშვილები რომ გაიგონებდნენ დაკრის ხმას, ვერ სცილდებოდნენ.

— მერე სად არის ახლა ის ჯატო? — ჰკითხა ჯან შუან-სომ. მართალია ჯან შუან-სოს არასოდეს ენახა ჯატო. მაგრამ აშკარად წარმოედგინა ეს მამაცი ლაგუ.

— ამ ტყეში დაიღუპა. — ჩემად თქვა ბებერმა ა ჩიმ.

— დაიღუპა? — არავის უნდოდა ამის დაჯერება. — ნუთუ ასეთი მამაცი კაცი დაიღუპა?

— როგორ? — გაიკვირვა ლიუ ძემ. — იქნებ ლეოპარდმა დაგლიჯა?

— არ ვიცი. ერთხელ ტყეში წამოვიდა და მას შემდეგ მის შესახებ აღარაფერი გაგვიგონია.

— შენ ხომ ამბობდი, ის აქ ყოველ ბილიკს იცნობსო. მაშ როგორღა უნდა მომხდარიყო, რომ ვერ დაბრუნდა? — ჰკითხა ჯან შუან-სომ. მან ის იყო მუგულუბი შეაბრუნა, რომ აღის ენებმა მალა აითქრიალეს, სიმბურვალემ ფიჩხზე ფოთლები მოხრუჯა.

ბებერმა ა ჩიმ ჯავრიანად ჩაქინდრა თავი. ღრმად ჩაკვივნილი თვალებიდან ძუნწად გადმოსდინდა ცრემლები. ცოტახნის შემდეგ უპასუხა:

— ყველაფერში გომინდანელები არიან დამნაშავენი!

— ძია ა ჩი, გვიამბე რა შეემთხვა ჯატოს? — თხოვა ლიუ ძემ და გაიფიქრა: „ეჰ ახლა ცოცხალი რომ ყოფილიყო ჯატო, ტყის გამოკვლევას ვადაზე ბევრად ადრე შევასრულებდით“.

— განა ღირს ძველის გახსენება, მხოლოდ სევდას მოჰკვრის ეს ამბავი აღამიანს, — ჯავრიანად თქვა ა ჩიმ.

— არა, არა, უნდა გვიამბო! — თავისას არ იშლიდა ჯან შუან-სო.

— გვიამბე, გვიამბე, ძია აჩი — გაისმა აქეთ-იქიდან.

— მაშ კარგი, გვიამბობ, რადგან ასე ძალიან გსურთ, მომისმინეთ — დღეთანხმა ბერიკაცი. — ეს ჩამბეჭდილი ხნის წინათ მოხდა, ათი წელი იქნება მას შემდეგ. იმ წელს ჩვენს რაიონში საშინელი გვალვიანი დღეები დაიჭირა, თითქმის ექვს თვეს არ მოსულა წვიმა! მდინარე ნანძიაში ისე ამოშრა წყალი, რომ ფსკერს დაინახავდით. მთებში ბალახი მზემ გადაფშრუჯა, ნათესებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი შიმშილობა ჩამოვარდა. აღამიანთა ერთადერთი საკვები ბანანის ფესვები იყო. ისედაც მძიმე გაჭირვება ადგა ხალხს და ამას კიდევ ზედ დაემატა მზეცი-გომინდანელების შემოსევა. გომინდანელებმა მარცვლეულის ჩაბარება მოითხოვეს, ვინც არ ჩააბარებდა, იჭერდნენ...

— მერე თქვენ როგორ მოიქეციეთ? — ინტერესით ჩაეკითხა ლიუ ძე.

— იმ მძინვარე მხეცებმა, რომელთაც აღამიანის კი არა, ლეოპარდის გული ჰქონდათ, სიბრალული არ იცოდნენ! მათ ხუთი კაცი დაიჭირეს და მოკლეს. ჩვენ უნიფორმებს გვეძახდნენ. თუ არ დავმოცეთო ესენი — ამბობდნენ გომინდანელები, მარცვლეულს არ ჩავაბარებენო. მე და ჯატო ყველაზე უკეთ ვისროდით თოფს და მთელ სოფელს ამის გამო ჩვენი იმედი ჰქონდა. თვალცრემლიანი გლეხები გვთხოვდნენ რაიმე გველონა. აბა რა უნდა გაგვეწყო? ჩვენ მხოლოდ ეს ვუთხარით: „ამრიგად ცხოვრება აღარ შეიძლება, დროა ბოლო მოვეუღოთ მათ“. სოფელში ისედაც არ იყო სიმშვიდე, მაგრამ როცა ხალხმა ჩვენს სიტყვებს მოჰკრა ყური, როგორც ერთმა ყველამ აიღო ხელში იარაღი, მშვილდი, მონადირის დანა და უკან გამოგვეყვა. მეორე ღამესვე დაუესხით თავს გომინდანელთა რაზმს. ვისარგებლეთ იმით, რომ ეძინათ. ერთიანად გავანადგურეთ.

— კარგად მოქცეულხართ, — თქვა ჯან შუან-სომ.

— მაგრამ გომინდანელები აღბათ

ვალში არ დარჩებოდნენ. — ჩაილაპარაკა ლიუ ჰემ წარბეჭევით.

— კარგად მიმიხვდი, — უპასუხა ბებერმა ა ჩემ. — იმ არამზადების დახოცვამ თავზე უბედურება დაგვატეხა. რამდენიმე დღის შემდეგ სამაზრო ქალაქიდან რამდენიმე ასეული გომინდანიელი მოვიდა. სოფელში არ იყვნენ ჯერ შემოსულნი, რომ ანგარისწორება დაგვიწყეს. იმვე საღამოს მე ფეხში დამჭრეს. ვილაცამ გამომიყვანა ბრძოლიდან და მეორე სოფელში გადაამალა. ჩვენი სოფელი ჯატოს მეთაურობით იბრძოდა. მაგრამ გომინდანიელები ზომ თოფებითა და ზარბაზნებით იყვნენ შეიარაღებული. განა ჩვენებს შეეძლოთ მათი მორევა? სოფელი გადაწვეს და მოსახლეობა ამოეღიტეს.

— ალბათ ამიტომ იყო, თქვენი სოფელი ახლად აშენდა! — თქვა ჯან შუან-სომ, მან გაიხსენა შარშანდელი ამბავი, როცა მათი სამხედრო ნაწილი სოფელში შევიდა და გლეხებს სახლების აშენებაში ეხმარებოდა.

— მაშ ჯა ტო იმ ბრძოლაში დაიღუპა? — გამომცდელად იკითხა ვილაცამ.

— არა, იმჯერად ჯა ტო არ დაღუპულა. მან ცოცხლად დარჩენილი ათი კაცი თან წამოიყვანა და ამ ტყვეს შეაფარა თავი. ისინი ხან აქ გამოჩნდებოდნენ, ხან იქ, მოულოდნელად თავს ესხმოდნენ გომინდანიელებს, ბრძოლის შემდეგ კი ისევ ტყვეში ბრუნდებოდნენ. ერთხელ გომინდანიელებს ოცი საბალნე მარილიც წაართვეს.

— ბარაქალა, ბიჭებო! — გაეცინა ლიუ ძეს და ცეცხლის წითელი ალით განათებულ ხეებს გახედა.

— მაშ, ტყვეს დიდი სარგებლობა მოუტანია მათთვის!

— მაგრამ გომინდანიელებმა მოიფიქრეს როგორ უნდა გასწორებოდნენ ამ რაზმს. მათ ჩვენებური, გლეხური ტანსაცმელი გადაიცვეს, ერთი მოღალატეც მოიხსიენეს, რომელმაც გზა უჩვენა და ჩუმად შეიპარნენ ტყვეში. ჯა ტო და მისი ამხანაგები უნდონი არ იყვნენ.

ამიტომაც, მოტყუედნენ. რაზმს კლკა შემოართყვეს გომინდანიელებმა და დაანადგურეს.

შენი

— ჯა ტოც მოკლეს?

— ზოგმა თქვა მოკლესო, ზოგმა — არაო. შარშან ჩვენ სოფელში რომ დაებრუნდი, ბევრი ვიარე ტყე-ტყე. ჯა ტოს დავეძებდი, მაგრამ ვერა და ვერ ვიპოვე. უკვე ათი წელია მის შესახებ არაფერი გამიგონია. ალბათ მოკვდა.

— სამწუხაროა! — გაისმა ოხვრა.

ჯან შუან-სომ ცეცხლს ხმელი ტოტები შეუტეთა და ამხანაგებს მიმართა:

— გვეყოფა სევდიანი ამბების მოყოლა, უკვე ძილის დროა, ხვალ ზომილიაადრინან უნდა გაუფდგეთ გზას.

მოხუცის ნამბობობა გომინდანიელებს წინააღმდეგ მებრძოლი გამირები გაახსენა რაზმელებს. ეს აღამიანები მათ წინაშე მდგარ დიდ ამოცანებზე ფიქრობდნენ. მაგრამ დაღლილობამ მალე თავისი გაიტანა. დიდი ხის ქვეშ ცეცხლის პირად მოკალათებულებმა ჩაიძინეს. ტყე დაღუმებული იყო. მხოლოდ მძინარეთა ხერინვა და დამწვარი ტოტების ტკაცატყუი იმყოფა. ა ჩის თვალს არ ეკიდებოდა რული. თვალგახელილი იწვა და აღელვებული წარსულ ამბებს იხსენებდა: ულმობელ მოძალადეთა და შეეახმეთა წინააღმდეგ ბრძოლას. მტერთან თავგანწირულ ბრძოლას, დაჭრას... აქ, ამ მიწაზე ათი წლის წინათ დაღვარა მან სისხლი. ბევრი ნათესავი და ახლობელი მოუკლეს გომინდანიელებმა ამ გაუვალ ტყეში. ათი წელი გავიდა მას შემდეგ და თავმჯდომარე მამო მათ ხალხს მოუტანა თავისუფლება, რომლის მოპოვება გლეხებმა საკუთარი სისხლის ფასად ვერ შესძლეს. დაიწყო ბედნიერი ცხოვრება. მაგრამ დაღუპულებს ზომ აღარაფერი ეშველებოდათ. რაც უფრო მეტად ფიქრობდა ამზე, მით უფრო უმძიმდებოდა გული. მწარე ცრემლები წარმოსდინდა მოხუცს თვალებიდან. ქარმა დაჰბერა. ხეები ირხეოდნენ და

გამბულად ჭრიალებდნენ. ბებერი ა ჩი ახალგაზრდობაში კარგი მომღერალი იყო. უეცრად მას მოუწია ჭარისთვის მიეცა ბანი და ემღერა, რომ ამით მაინც გაეპარებინა გულს შემოწოლილი სევდა. მაგრამ იმის შიშით, რომ მიძინებულებს გააღვიძებდა, გადაიფიქრა. უეცრად ჭარის ზუზუნთან ერთად მას რაღაც უცნაური ყრუ ამონაკენესი შემოესმა, კვნესა ხან ახლოს ისმოდა, ხან შორიდან. თითქოს ვიღაცა მოხეტიალე დაუბრუნდა თავის სამშობლოს და თანამემამულეებს შესჩივის იმ უბედურებასა და დამცირებას, რომელიც განუცდია მას უცხოობაში.

მოხუცი ა ჩი წუთით გაირინდა, შემდეგ ხეს მიეყრდნო და სმენად გადაიქცა: უცნაური ხმები აღარ ისმოდა, მხოლოდ ფოთლები შრიალებდნენ. მოხუცი იფიქრა, ალბათ ძილმა წამიღო და თვალები მოიფშვინტა. მაგრამ არა, მას არ ეძინა! მას რაში იყო საქმე? ალბათ, ათი წლის წინათ აქ გამართულ ბრძოლებში დაღუპულ ადამიანთა სულები ტირიან! ა ჩი გულზე შემოწოლილ გრძობებს ვერ იოკებდა. მუხლებზე წამოიჩოქა და თქვა:

— ძმებო, ნუ ტირით! ცოტაც მოითმინეთ; სოფელში დაგბრუნდები თუ არა, ყველას ვეტყვი, რომ ფარნების დღესასწაულის დამეს თქვენი სულეების მოსახსენიებლად საქონელი დაგიკლან. გთხოვთ, ისევ გამხიარულდით!

ბერეკაცმა კიდევ დიდხანს ღვარა ცრემლები. ბუტბუტით წარმოსთქვა ლოცვები. და ბოლოს ღრმად ჩაეძინა. აცივდა. ღამე გატყდა. ტყეში სინათლე შემოიპარა. ბარდებიდან ჭიკჭიკით აიშალნენ ჩიტები. თენდებოდა. მალე ცეცხლი ჩაქრა და შეცივებულმა ადამიანებმა გამოიღვიძეს.

რაზმეული ნელ-ნელა გამოდიოდა უღრანი ტყიდან. სულ ცოტა მანძილი ჰქონდა გამოვლილი, რომ არიერგარდიდან აცნობეს: — ტყის მკვლევართა ჯგუფის წევრს ამხანაგ ვეის მალარია დაემართა და ჩამორჩა.

ჯან შუან-სომ სასწრაფოდ გამოყო უ-ს მეთაურობით რამდენიმე მებრძოლი, რომელნიც ბოლომდე უნდა მიეცათ ცოდნენ რაზმეულს და უნდა დაეცვათ ის ადამიანები, რომელთაც საკაცით მოჰყავდათ ავადმყოფი. თვითონ კი წინანდებურად წინ მიუძღოდა ყველას. ერთი საათის შემდეგ ჯან შუან-სოს სურდა გაეცა განკარგულება შესვენების შესახებ, რომ იმ მხრიდან, სადაც ისინი იყვნენ ღამით დაბანაკებული, სროლის ხმა გაისმა. შემკრთალი რაზმეული შედგა. იქნებ ტყეში დამალული მტერი დაესხა თავს იმ ადამიანებს. რომელნიც ავადმყოფს იცავენ?

ჯან შუან-სომ ხელი დაიქნია, რაზმეული უკან შეტრიალდა და სწრაფად გაემართა იმ ადგილისაკენ. საიდანაც სროლის ხმა ისმოდა.

ერთმა მებრძოლთაგანმა მეთაურ უ-ს სწრაფად შეუხვია მარცხენა ხელი, საიდანაც სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა. დანარჩენები გულდასმით სინჯავდნენ ბუჩქებს.

— რა მოხდა? — იკითხა სირბილისაგან სულშეგობებულმა ჯან შუან-სომ.

— ვიღაცამ მშვილდისრით დასჭრა მეთაური უ.

ყოველი მხრიდან გაისმა გაკვირვება. ვის შეეძლო ესროლა ასეთი მოძველებული იარაღიდან? ახლა მშვილდისარს მხოლოდ ზოგიერთი ჩამორჩენილი ტომილა ხმარობს.

ნუთუ ლაგუსა და აინის მცხოვრებთა შორის კიდევ დარჩნენ მტრები?

ა ჩის სიბრახისაგან სახე გაულურჯდა. მან სიძულვილით გაიფიქრა სინდისდაკარგულ ადამიანზე. როგორ გაუბედა სროლა დიდი არმიის მებრძოლს? ჯან შუან-სომ ჩვეული ხელის დაქნევით ბრძანა გაჩუმება და იკითხა:

— როგორ მოხდა ყოველივე ეს?

დაჭრილს ძალზე სტკიოდა ხელი. მაგრამ მაინც გასწორდა, შუბლთან გაჭირვებით მიიტანა მარჯვენა ხელი და მეთაურს მოახსენა:

— ჩვენ ნელა მოვდიოდით, ავად-

მყოფს ვეფრთხილდებოდით. მე სულ უკან მოვექეცი რაზმს. როგორც კი ამ დიდ ხეს მოუვახლოვდი, ჩემს უკან მაღალ ბალახში ფაჩუნე გაისმა. ვიფიქრე, ალბათ ნადირმა გაირბინა-მეთქი! უკან მოხედვა ვერ მოვასწარი, რომ ისარმა დაიხუტუნა. ამხანაგებმა ორჯერ ესროლეს, მაგრამ ვერ მოახვედრეს. ხშირი ტყეა და ამიტომ თვალი ვერ შევასწარი, სად მიიმალა ის ეშმაკის ფეხი. უკან გამოვეუდექით, მაგრამ ვერ დავეწიეთ...

— ეს თუ ასეა, წავალთ მის საძებნელად. მტერს არ დავანებოთ გაქცევა. — თქვა ჯან შუან-სომ.

რაზმი ისევ ბუჩქებში გაიფანტა და მტრის ძებნა დაიწყო. წინ მებრძოლებმა ადამიანის ნაკვალევი აღმოაჩინეს: ბალახი გათელილი იყო და აქა-იქ ხეებზე ტოტები მოჭრილი. მტერი კი მაინც არ ჩანდა.

რაზმი უკვე რამდენიმე საათს მიდიოდა. ტყე გამეჩხერდა, ეტყობოდა შორს აღარ იყო ტყის პირი. კარგ გუნებაზე დადგნენ. ყველამ თავისდაუნებურად აღსქარა ფეხს, ცდილობდა მალე გასულიყო ტყიდან.

მაგრამ როცა ტყის პირას გავიდნენ ძალაუნებურად შეჩერდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ტყეში დიდი ხნის ყოფნის გამო შხის კაშკაშა სხივები ახლა მათ თვალებს ჰკრავდა, მაინც ნათლად დაინახეს მთის კალთაზე ფოთლებით გადაბურული პატარა ქოხი. ჯან შუან-სო სასაზღვრე რაიონებში ბანდიტებთან ბრძოლაში გამოცდილი კაცი იყო და იცოდა, რომ სწორედ ასეთ ქოხებში იმალებოდა მტერი. ამიტომ მან საჭიროდ ჩათვალა ქოხის დათვალიერება. მან ტყის მკვლევარები უფრო უშიშარ ადგილას დატოვა, თვითონ კი მებრძოლთა რაზმი ორად გაყო, რომ ამით ალყა შემოეერთა ქოხისათვის. შემდეგ კი უბრძანა მებრძოლებს:

— ეცადეთ ცოცხლად ჩაიგდოთ ხელში. მტერი თუ არ გვესერის, არც ჩვენ ვესროლოთ.

მებრძოლები ხშირ ბალახს ეფარებოდნენ, სწრაფად მიიწვედნენ წინ და სულ მალე მიუახლოვდნენ ქოხს. ქოხი არაფერი შეუნიშნავთ. მერე ქოხში შეცვიდნენ და ჩხრეკა დაიწყეს. ქოხში ადამიანის ჰაქანება არ იყო.

— ირგვლივ ყველაფერი გასინჯეთ, — ისევ ბრძანა ჯან შუან-სომ.

მებრძოლები ისევ გაიფანტნენ, ქოხის ირგვლივ ადგილი დაათვალიერეს.

— აი, ფეხის ნაკვალევი!

რაზმი საეჭვო ნაკვალევს გაჰყვა.

ბებერი ა ჩი არ ჩამორჩენია ჯან შუან-სოს და მასთან ერთად შევიდა უცნაურ ქოხში. ბერიკაცს სურდა შეეტყო, ვინ ცხოვრობდა იქ.

ქოხი ბანანის შტოებისა და ფოთლებისაგან იყო გაკეთებული. ისეთი დაბალი ჰერო ჰქონდა, რომ წელში ვერ გაიმართებოდით და თუ გაიმართებოდით თავს სახურავში ამოჰყოფდით. ქოხში მთელი შორისაგან გაკეთებული ტახტი იდგა. ტახტზე ნადირის რამდენიმე ტყავი და გაცრეცილი ნაბადი ეგდო. კედელზე ვარეული კაბარჯის რამდენიმე გამხმარი ხორცის ნაჭერი და გოგრისაგან ლამაზად გაკეთებული სალამური ეკიდა. ტახტის წინ კერია იყო გამართული. მასში მოჩანდა ძველი გაბზარული ქვაბი, რომელიც აღარაფრად ვარგოდა. ქვაბში ველური მცენარეების ფესვები ეყარა. ეტყობოდა ფესვები ახალი ამოდებული იყო მიწიდან. ქოხში ვილაცას უნდა ეცხოვრა. გარეთ რამდენიმე სიმინდის ძირი იდგა. საინტერესო იყო ვის უნდა ეცხოვრა აქ? ბანდიტი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც გლეხი იყო...

ა ჩიმ თავისი ბებრული თვალები მოიფშვნიტა, გულდასმით დაუწყო ყოველ ნივთს თვალიერება. აქ ყველაფერი ენაცნობებოდა მას, მაგრამ სხვაგან სად ენახა ისინი, ვერ გაეხსენებინა. უეცრად მისი მზერა სალამურმა მიიპყრო, რომელიც კედელზე ეკიდა. ასეთ სალამურზე ლაგუს ხალხი უკრავს მხოლოდ. მან სალამური ჩამოიღო კედლი-



დან და ყურადღებით დაუწყო სინჯვა. უცხად ცრემლი წამოსკდა ბერიკაცს თვალებიდან. ა ჩი ხელში ატრიალებდა დიდი გემოვნებით გაკეთებულ საკრავს და ფიქრობდა, რომ მხოლოდ ერთ ოსტატს შეეძლო ასეთი სალამურის გაკეთება. სალამურმა კვლავ გაახსენა მას ის ადამიანი, რომელიც დავიწყებოდა ყველას.

ჯან შუან-სომ ა ჩის თვალზე ცრემლი რომ შენიშნა უნდოდა ეკითხა, რაში იყო საქმე, მაგრამ ბერიკაცი სწრაფად გავარდა ქობიდან გარეთ. ხელში მაგრად ჩაებლუჯა სალამური. ჯან შუან-სო გაოგნდა, ვერაფერი გაეგო და უკან გამოუდგა.

შთაში გაისმა, მტერი აღმოვაჩინეთო. ამის გაგონებაზე ა ჩი უფრო სწრაფად გაიქცა. ჩახრინწული ხმით ხმამაღლა ყვიროდა: „არ ესროლოთ, არ ესროლოთ!“ ბერიკაცი ტირილითა და ყვირილით გარბოდა შეუსვენებლივ, ხმის ბალახებში უსხლტებოდა ფეხი, ბეჭობზე ფორხილებდა. ბოლოს ერთ ცხვირწამოწყდილ კლდესთან დაეწია რაზმეულს.

ჯერ კიდევ შორიდან დაინახა მან კლდეზე გადმოშდგარი მამაკაცი, რომელიც გრძელი გაწეწილი თმებითა, და მხრებზე მოხვეული ნადირის ტყავით ველურს წააგავდა. ხელში მას მშვილდი ეჭირა. ადამიანი ჯანდაჯიბს მოგაგონებდათ, მხრებზე ჩამოწეწილი თმები რომ არ შეერხნია ქარს. თვლებში სიბოროტე უელავდა. მასთან მიახლოვებული მებრძოლები მთის ძირას გაჩერდნენ. მებრძოლებმა კარგად იცოდნენ, თუ კიდევ ნაბიჯს გადადგამდნენ, ადვილი შესაძლო იყო „ველური“ უფსკრულში გადამხტარიყო. ამიტომ მათ ალყა შემოარტყეს კლდეს და ზევით ვერ ბედადნენ ასვლას, ჯან შუან-სოს მოსვლას ელოდნენ, ის გადაწყვეტდა როგორ მოქცეულიყვნენ.

მოხუცმა დაინახა თუ არა „ველური“ უფრო ხმამაღლა ატირდა. ეს ხომ სწორედ ის ჯა ტო იყო, რომელიც მასთან

ერთად ომობდა ამ ათი წლის წინათ! ათი წელი გავიდა მას შემდეგ და ეს კიდევ ცოცხალია!

გომინდანელების მიერ ალყაშემორტყმულმა თურმე იმდენი მოხერხება გამოიჩინა, რომ თავს უშველა, გაიქცა, ერთი ხის წვეროდან მეორეზე გადარბოდა და ასე მიიმალა ტყეში. მაგრამ მას ერთი წუთითაც არ დაეიწყინა ის, რომ მტერზე შური უნდა ეძია. ერთხელ ღამით ჩუმად ჩამოვიდა ტყიდან და გადამწვარი სოფელი დაინახა, არც ნათესავი დახვედრია, არც მოყვარე და უკან დაბრუნდა ტყეში. მან კარგად იცოდა, მარტო ვერ გაუმკლავდებოდა გომინდანელებს. ამიტომ სოფელში დაბრუნებაზე აღარ უფიქრია.

მას შემდეგ ათმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ჯა ტო პირველყოფილი ადამიანით ცხოვრობდა. ნადირობდა, ტანსაცმლის მაგივრად ნადირის ტყავს ხმარობდა. ადამიანთა სიახლოვეს მონატრებულს რამდენჯერ უფიქრია თვითმკვლევლობაზე. მაგრამ შურისძიების მხურვალე წყურვილი და გადარჩენის იმედი ამხნევებდა და ეხმარებოდა ამ უბედურების გადატანაში.

აი, ჯან შუან-სოც გამოჩნდა. მოხუცი ა ჩი მას შემდეგი სიტყვებით შეეგება:

— მეთაურო, ეს ხომ ჯა ტოა! სწორედ ის ჯა ტო, რომელიც ათი წლის წინათ ტყეში გაიქცა გომინდანელებს ამის გაგონებაზე ჯან შუან-სოს გული ეტკინა.

— სასწრაფოდ სთხოვე ძირს ჩამოვიდეს, — სხაპასუხით წამოისროლა მეთაურმა. — ჩინეთის განთავისუფლების შემდეგ ჩვენ აღარ უნდა დავტოვოთ ის ამ უკაცრიელ მთებში.

— ახლავე.

ა ჩი სწრაფად გაეშურა კლდისაკენ.

— შეჩერდი! — დაიყვირა ჯან შუან-სომ. — ახლა არ შეიძლება მალა ასვლა. მან რომ დაგინახოს კლდეზე ასული, გადმოიჩეხება იქიდან.

— ო, ჩა უბედურებდა! მამ როგორ

მოვიქცე? — ბერიკაცი მოუსვენრად აწრიალდა ადგილზე.

— აბა, დაუძახე! — ურჩია ჯან შუანსომ.

გაისმა მთაბა და ხევში ძახილი.

— ჯა ტო, ნუ გეშინია, თქვენები ვართ! — ყვიროდნენ მებრძოლები.

ბებერი ა ჩი ხმის ჩახლეჩამდე გაპყვიროდა. როცა სულის მოსათქმელად შეჩერდა, ა ჩიმ შენიშნა რომ ხელში სალამური ეკავა. მაშინვე დამშვიდდა და ხმამაღლა თქვა:

— საჭირო აღარ არის ყვირილი. მე თვითონ დაუფძახებ მას.

ჯან შუან — სომ ხელით ანიშნა გაჩუმებულიყვენენ. მოხუცი ა ჩი აღარ ყვიროდა მან ტუჩთან მიიღო სალამური და წყნარად ააყენესა. სალამური ხან ხმამაღლა, ხან ისევ წყნარად კენესოდა. ჰანგები სულ მალა მალა მთისკენ მიიწვედნენ თითქოს ლაგუს ხალხის ბერიკაცები უყვებიანო კეჭა-ქუხილიან ლამეში ახალგაზრდებს იმ დამცირებასა და ტანჯვაზე, რომელიც მიაცენეს გლეხებს მემამულეებმა.

ეს იყო ძველებური სიმღერა. მას ათასი წლების განმავლობაში მღეროდა ლაგუს ხალხი. ამ სიმღერას შეეძლო საომრად დაერაზმა ადამიანები. შეეძლო სრულიად უცნობები დაემობილებინა. ამ სიმღერას შეეძლო ყველაზე შორეული რაიონების ადამიანთა გაერთიანება და საერთო ბრძოლაში ჩაბმა. ლაგუს გაერთიანებული რაზმის წევრებმა თავები დარდიანად დახარეს. სალამურის გაბმულმა კენესამ მათ მძიმე ცხოვრება გაახსენეს: გომინდანელ მოხელეთა არაადამიანური მოპყრობა, დამცირება და შეურაცხყოფა. მათ გაიხსენეს ლაგუს ხალხთა მრავალი გმირები. მათ ხმა აღიმადლეს მჩაგვრელებსა და მოძალადეებზე და სიცოცხლის ფასად მოიპოვეს თავისუფლება.

...სალამური კი სულ ისევ ისე კენესოდა, სისხლს უდღღებდა მათ და

გულს უძგერებდა. უეცრად მებრძოლებმაც წამოიწყეს სიმღერა. სიმღერაში უსამართლოებისადმი პროტესტის ხმა ისმოდა.

ეს სიმღერა ყველაზე უფრო მალე მწვერვალებს წვდებოდა. სიმღერა ამდენად მშობლიური იყო თვითიული ლაგუსათვის, რომ ცხვირწამოწყვიდა კლდეზე მდგარი ჯა ტო დარწმუნდა: მისიანები მღეროდნენ. ნაცნობმა ჰანგმა მისი უნდობლობა გაფანტა. ჯა ტომ ხელები ჩამოუშვა, მშვილდისარი დაუვარდა.

ამას რომ შეხედა ჯან შუანსომ, სიცილით უთხრა ა ჩის.

— ძია ა ჩი, შენმა სალამურმა დაარწმუნა, რომ მისი მოყვრები ვართ! შეხედე, მშვილდი ხელიდან გაუფარდა, ახლა ეცადოთ, ვთხოვოთ ძირს ჩამოსვლა.

მოხუცი ა ჩი ბედნიერი იყო. გულაჩუყებულმა თქვა:

— თავმჯდომარე მათ რომ არ ყოფილიყო, განა შეეძლებდით ჯა ტოს დაბრუნებას!

სიზარულითა და ყვირილით გაეჭანა ყველა ჯა ტოს შესახვედრად. ჯა ტოს შემოეხვიენენ ირგვლივ. ბებერმა ა ჩიმ გაარღვია მებრძოლთა რკალი, ჯა ტოსთან მივიდა და გადაეხვია. ცრემლი აღჩრბოდა მას და საშუალებას არ აღეცვდა რაიმე ეთქვა. ბოლოს დაიწყო:

— შიში ნუ გაქვს ჯა ტო. ახლა ჩვენ გყავს თავმჯდომარე მათ. ლაგუს ხალხს ამიერიდან არ ეცოდინება რა არის დარდი.

ჯა ტოსაც ცრემლით ავსებოდა თვალი. ჩამტვრებით უყურებდა ა ჩის, შემდეგ ირგვლივ ადამიანებს შეხედა. მან დაიჯერა ძველი მეგობრის სიტყვები. ჯა ტოსთან ერთად მთელი რაზმი დაეშვა ძირს. ვილაცამ კვლავ ააყენესა სალამური. მზიარული ჰანგები მოეფინა ხეობას.

თარგმანი ვითარ როსტომიანებისა

გო გო-ეო



გემი შაღის იანცხის შესართავში

გემბანის იქით გაშლილა სივრცე
ასეულ მილით ერთით კი არა..
და მე ვჩურჩულებ: ჩემო სამშობლოვ,
რა ქარიშხალმა გადაგვიარა.

ხან ჩაქრება და ხან აინთება
შუქურა ზღვაზე, — ინათებს არე,
ხან კი სულ მალლა ნათელ დისკოთი
ცაზე ამოდის პირბადრი მთვარე.

ეგზომ ლამაზი ჩემი ქვეყანა,
მხოლოდ ერთი თვის წინათ დავტოვე,
შანხაისთან კი, განშორებაში
წილად მხედა რვა წლით მე სიმარტოვე.

რა ბედნიერი ვარ ქვეყანაზე
გულში იფეთქა ზღვა სიხარულმა,
ჩემმა ოცნებამ ფრთები გაშალა,
შეება მომგვარა დღეს გაზაფხულმა.

თარგმანი ილია ხოშბარიანი



სულხან-საბა

მიწა შეარხვეს რუხ-მწვანე საბანს,
საცაა უკვე მნათობიც ჩაეა;
კლდეთა ქალაქში შემოდის საბა
და ბერის კაბა უელავს შავად.

ცაზე ლიეღივებს მაისის ფარჩა,
თითქოს ტანძიის მოპბერს ნიაეიც...
იქ, სადღაც, იერის პირებზე დარჩა
ძე-კაცი სულხან ორბელიანი.

და ღუმს უწყალოდ გარეჯის ქვაბი,
ზე ავლენილი მღუმარე ლოცვით,
ცას შესცქერიან ნარუჯი ქვები,
როგორც მამულის დამწვარი ხორცი.

გარეჯსა შინა შემოდის საბა
ქართული სიტყვის კრიალოსანი,
ემთხვევა მიწას, ცრემლებით ნაბანს,
ხალხზე მლოცველი და ღვთის მმოსავი.

ბერო საბაო, ჭაბუკი სულხან
მონასტრის გარეთ შენ გელოდებო!..
გულს ლოდად გაწევს სიცოცხლის
სუნთქვა,
მტრედის ბუმბულიც კი გელოდებო.
სად ბუმბული და სად ლოდი, საბავ...
ჩქარა გაიძრე ეგ ბერის კაბა!
ძე-კაცი სულხან შენ გელოდებო...

შენ გელოდებო!
გზა არის დიდი,
ზღვათა, ხმელეთთა გარდასავალი,
შენთვის არ თქმულა ცხოვრება მშვიდი,
დაყუდებულთა მყუდრო სავანე.

ვით ჩამოლამდეს ცა სინათლისა,
ქართულის სიკვდილი ვის უთქვამს, აბა?

შენ გელოდებო ბედი ქართულისა,
სამშობლოს ბედი...
გამოდი, საბავ!

მამულში ოზლად დარჩა სულხანი,
ანთებულ გულით, დასისხლულ ხმალით,
შენ გელოდებო,
გამოდი, საბავ!
...და ერთუროს შეხედნენ სულხან და
საბა.

2.

მამულის ბედის მძიებელი
შორ გზებზე დადის საბა-სულხანი,
სულხან-ჭაბუკი, საბა-ბებერი
და ერთი გული — ცხელი ვულკანი.

ევროპას ქვეყნის ხსნასა სთხოვს საბა,
სულხანი უწმენდს მკერდს, სისხლით
ნაბანს.

პარიზი კეკლუც თვალეგსა ნაბავს.
პა, ჩაიჩოქა ბოლშისგან საბამ,
საბას აყენებს ფეხზე სულხანი.

...უკან მობრუნდნენ მოყმე და პაპა,
ორივეს ერთი აქვს საწუხარი,
მტრის დამარცხებას ლოცულობს საბა,
მტრის რისხვად ლესავს მახვილს
სულხანი.

და სულხან-საბა ვიდოდა ასე
საუყუნეთა უშორეს გზაზე.

მოსთქვამდა ქვეყნის დარბეულ კერებს,
ნისლი ეხვია ოცნებას მისას.

დიღხანს ებრძოდა ქარიშხალს
მედგარს...

და მოაღწია ორას წლის მერე
ღრუბელგადაყრილ სამშობლო მიწას.
და უკვდავების კვარცხლბეგზე შედგა.



ღაბრუნება სუღხან-საბასი

მაისის წვიმა ეინვლავს.

დაუღეგარი ზღვაური წვიმის წვეთებს სახურავის კიდიდანვე იტაცებს და ღია თერცხანში¹ აპნევს. წვრილ მტვრად ქცეული ნაქური თრთვილივით ჯდება ირგვლივ, იმდენად არ ასველებს, რამდენადაც ძველ-რბილიში გამტანი სინესტით ჟღენთავს ყველაფერს.

თერცხანში ღაზი მეთევზეები შეყრილან: ზოგი გადაბრუნებულ ნავზე ჩამომჯდარა, ზოგიც სვეტს მიყრდნობია.

სხვა დროს, როცა ზღვა არ ღელავს, აქედან ნაპირამდე მთელი ასი ნაბიჯია. სანამ ფელენგებზე² შეყენებულ ნავეებს თერცხანში შემოათრევენ, მეთევზეებს ერთი ჯაფა ადგებოდათ. ახლა კი ზღვა ზედ მოსდგომია თერცხანს, თითქოს შიგ შეზიზნული ნავების ვატაცებას ღამობსო. გაშმაგებულს, მთელი ნაპირი დაუღრღნია, დორბლმორეული ტუჩებით ხარბად ლოკავს ჩირგვების გაშიშვლებულ ფესვებს.

პატარა მდინარე, პერინიითის მეთევზეთა ნავსადგურს ზოფისაგან რომ ჰყოფს, აღიდებულა და ვიწრო ხიდს შესდგომია. მდინარისა და ზღვის წყალი შესართავთან ერთმანეთში ირევა, დულს და ბობოქრობს.

ღრუბლებით დამძიმებულ ცას ზღვის მღვრიე ფერი გადასდებია და ერთ მთლიან სიერცედ შეკრულა. მარცხნივ, ნისლში ბუნდოვნად ინაკეთება ზღვაში

¹ თერცხანი — ნავების შესაფუძრებელი სადგომი.

² ფელენგა — ხის მორბე, რომლებზედაც ნავეებს შეაყენებენ ხმელეთზე ასაყურ-დასაცურებლად.

ღრმად შეჭრილი პერინიითის კლდე. მის პიტალო, სიპ მკლავზე დამსხვრეული ტალღები კონცხთან კამარას ჰკრავენ და პაერში შესროლილი თევზებივით თეთრად საესავებენ. მუცელგაფატრულნი, მოღუნებულნი, დარეტიანებულნი, შემდეგ ერთმანეთს ეძიძგილავეებიან და მოუსვენრად ჩოჩქოლებენ ყურეში.

ხოფის ნაპირებს იქით, ჩრდილოეთისაკენ ზღვას ოდნავ ბაცი ყვითელი ფერი დაჰკრავს.

— მაგრად აღიდებულა ჭოროხი, — ჩაილაპარაკა ალი თანდილაყამ.

— დიდხანს დააბამს მენავეებს გონიოსა და მარადიდში. — ხელი ჩამოისვა მოკლე თეთრ წვერზე აჩე ფურუნჯიშმა.

— ჭოროხის ნავები რა ყოფილა, როცა ამოდენა ზომალსაც ვერ შეუბედავს ზღვაში, — ჩაერია ღაპარაკში ჯემალ ჯეევიში, მეთევზეებში ყველაზე ახალგაზრდა.

ყურეში ერთადერთი ზომალდი ტორტმანობდა. ტალღების ნაკეცში ხან ცხვირით ჩაეშვებოდა და მაშინ მომრგვალებულ ბოლოს წყალში ჩაყვინთულ იხვივით აჩენდა, ხან გვერდზე წვებოდა, თითქოს სურს მისკენ მუქარით წამოსული ტალღები ანძებზე წამოაგოსო. დახვეულ აფრებს ქარი არ ასვენებდა, მის კალთებს ჯიუტად ჩაფრენოდა, თავისკენ ეწეოდა. წამით წამოფრიალებული აფრის კალთა შეშფოთებით ტყაცუნებდა, ტყლაშუნებდა, ვიდრე ქარს არ გაუხსლტებოდა ისევ, და აცახცახებული უფრო ეკვროდა, ეტმასნებოდა ანძას.

ამოდენა ყურეში მარტოდმარტო, ღაზების ნავების გარეშე მოტორტმანე

ხომალდი წიწილებწართმეულ, აფორიაქებულ კრუხსა ჰგავდა.

— ცუდი დარი შეხვდა ალი-ბეგს. — თქვა პელუტი ლუმანიშმა.

— სათევზაოდ რომ ვერ გავსულვარ, ის მაწუხებს, თორემ ალი-ბეგს ჯანდაბის გზა ჰქონია. — წამოწია თავი ახმატ ზუმბაიამ და პატარა დანა, რომელითაც ჯოხს თლიდა, ხელის უხილავი მოძრაობით სვეტს მიესო.

— როდის იყო, მეზღვაური მეზღვაურს ასეთი სიტყვებით ისტუმრებდა ზღვაში — წარბები შეიკრა აჩემ. — მით უმეტეს, გურჯების მოკეთეს.

— გურჯის მოკეთე მდიდრული ხომალდით. სტამბოლს რად წავა, აჩე ბატონო, — მორიდებით შეჰბედა მოხუც ქუცუ პატარაშმა.

— ძალა აღმართს ხნავს, შვილო... გულში რა უღევს იცი?! რაც ხოჯას ჩამობრძანდა, სულ ერთად არიან ეგა და კელენჯიში... კარგადა მაქვს დეკლილი.

— ვიცით, ვანა არ ვიცით? — დაძინა ალი ვანლიშმა. — გურჯების პარველი მოკეთეა ჩვენში კელენჯიში... ამბობენ მალე გურიას ეპირებო.

— ვაჭარია და წავა. — უგულოდ შეესმინა ჯემალ კიტმირიში.

— ვაანია რისთვის წავა, — გამომცდელი თვალებით გადახედა მოხუცმა შეთევვეტებს. — ზოგ-ზოგებივით თურქს ე: არ ეხმარება ხალხით ვაჭრობაში... ასეთ საქმეში ხელს არ გაურეცს... ხიმშიაშვილს ძალიან უყვარს თურქე. გურიელიცა და დადიანიც კარგი თავალით უყურებენ... ახალციხის ფაშა კი მტრობს... ფაშა ათაბაგის დიდი დოსტი ყოფილა კელენჯიში, გურჯისტანის სიკეთისათვის ერთად ბჭობდნენო....

— მერე ხონთქარმა როგორ ვერ გაუგო? — წინ ჩაუცუცქდა მოხუცს კიტმირიში.

— იმიტომაც უბოძა ახალციხე ხონთქარმა თავის ერთგულ ასლან-ფაშას.

ათაბაგის სიკედლიში ასლან-ფაშას ხელი ურევიაო...

არც კელენჯიშს დააყრუა კარგადეს. თუ ყელი უშოვა...

— ამბობენ, ხონთქარი ისევე ხმალს ლესავსო, — საიდუმლო ხმით წარმოსთქვა ახმედ მეშიშიშმა. — სულ გურჯისტანი ჩემი მორჩილი უნდა იყოსო.

— ეს ალი-ბეგ იქნებ ხონთქარის გულის მოსაგებად მივა, — თქვა პელუტი ლუმანიშმა და თავისი ვარაუდით რომ გაემაგრებინა, დაუმატა. — როგორც ამბობენ, დიდი ძღვენი მიაქვს.

— ოღონდ ფიშტოს და მაჭახელას სროლა ნუ იქნება-და... — ფეხზე წამოდგა ახმატ ზუმბაია.

— ლაზს კარგი დღე არ დაადგება მაშინ, — ამოიოხრა აჩემ და შემდეგ დაუმატა. — არც ჩვენს ძმა აჭარელს.

— ლაზის საქმე ნავია დ ბადე...

— ლაზს სახლი აშენებინე...

— ბუხარი აეეთებინე...

საკუთარ ბედსა და ხვედრზე ფიქრმა დაადუმა ყველა.

ქვეყნისა და ხონთქარის ამბებს მეთევზეებს ვინ დაულაგებდა წინ, რაც იცოდნენ, ისიც ყურმოკრულად. საკუთარი ჭირ-ვარამი ხომ კარგად იცოდნენ სამაგიეროდ.

დაიგვიანა წელს გაზაფხულმა.

მაისი ილუვა, ავდარი კი მაინც არ ეშვება ლაზების მიწას...

— გესმით? — ფეხზე წამოიჭრა ალი ვანლიში.

ახლა ყველამ გაიგონა ცხენების ფეხის თქარუნი და მაშინვე თვალი მოჰკარეს მათკენ ქენებით მომავალ მხედრებს.

— გონიოს ბეგი! — იცნო წინ მომავალი მხედარი მეშიშიშმა.

— რაღაც ამბავია!..

— იანიჩრები ახლავს! — ფეხზე წამოიშალნენ ყველანი.

ქენებით მომავალმა მხედრებმა გვიან შენიშნეს, ხილზე რომ არ გაისვლებოდა. ბეგმა ძალუმიდ მოსწია აღვირი.

ცნენმა მინც ვერ შეიკავა თავი, პირ-
დაპირ წყალში შესტოპა.

იანიჩრებიც მიჰყვნენ.

რისიფრად აქაფდა მდინარე.

— აქ სადმე უცხო ნავი ხომ არ გა-
მოსულა? — ზედ თერცხანთან მიავლო
ცხენი ბეგმა. შავი, დარაბტული ცხენი
მოუსვენრად წრიალებდა, თავ-კისერი
თეთრად გაქაფოდა, წყლით ჩამორეც-
ხილ ტანზე ოწვივარი ასდიოდა.

მეთევზეებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ჰო, რას გაჩემდით! — დასტეკა
ბეგმა. — ერთი ნავი ხოვას ზევით და-
ვიჭირეთ... მეორე სადღაც ახლოს იქ-
ნება... აბა, ნავეები ჩქარა!

არავეინ განძრულა.

— ნავეები მეთქი, ღორისშვილებო!
მამინ წინ წამოადგა მოხუცი აჩე:

— ასეთ ღელვაში არ გაისვლება,
დიდო ბეგ... კონცხთან მეტად საშიშია...

— რას უბედობ, ჩქარა მეთქი!

— ნუ ინებებთ, ბეგ... ერთი კვირაა
არ გავსულვართ... რომ შეიძლებოდეს,
ლავს ზღვის არ ეშინია.

— ეი, თქვენ! — ბეგმა იანიჩრებს მა-
თრახით ანიშნა მეთევზეებზე.

მეტი რა გზა იყო.

უხალისოდ დაჰყარეს ზღვისკენ რამ-
დენიმე ფელენგი და ნავების დაცურე-
ბას შეუდგნენ...

მთელი სოფელი გარეთ გამოეფინა.

ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა მოხ-
დაო, მაგრამ პასუხის გამცემი არავეინ
იყო.

თვალს არ აშორებდნენ ნავებს, თან
შფოთავდნენ, გმინავდნენ, იწყველე-
ბოდნენ:

— სულთანის ძაღლები!

— ურჯულეობი!

— ზღვაში გადაყარეთ ეგ ჯოჯოხე-
თის კერძები!..

ჭრელ ოსმალურ ხალათებში გამო-
წყობილი იანიჩრები მართლაც მოჩვე-
ნებებს ჰგავდნენ ამ შავად აბობოქრე-
ბულ სტიქიონში, თუმცა მის მბრძანე-
ბლობას ვერ დაიჩემებდნენ. წელში მო-

2. „მნათობი“ № 10. *

კაქულნი, შეშინებულნი ორივე ხელე-
ბით ჩაფრენოდნენ ნავებსკენ.

ზღვაში გასული იანიჩრებიც მტკიცე
მათს ერთ ამხანაგს ჩააბარეს, დანარჩე-
ნები კი ბეგის წინამძღოლობით თავქვე
დაეშვნენ.

როცა ნავეები პერინითის კლდის იქით
გაუჩინარდნენ, ხალხი მარტოდ დარჩე-
ნილ იანიჩარს შემოერტყა.

სულ უფრო-და უფრო ვიწროვდე-
ბა მრისხანედ შეკრულ-დაგრაგნილი
წრე.

— დაიშალებთ! — იყვირა იანიჩარმა
შეშინებული ხმით და ადგილზე აწრია-
ლდა.

საიდანღაც გამოსროლილი ქვა ერთ-
ერთ ცხენს მოხვდა. ცხენი დაფრთხა,
სხვა ცხენებიც დააფრთხო. კინაღამ და-
ითრიეს იანიჩარი.

დაითრევდნენ, აიწყვეტდნენ კიდეც,
გასასვლელი რომ ყოფილიყო.

იანიჩარმა ოთხივე აღვირი ცალ ხელ-
ში აკრიფა და თავის ცხენზე აფორთხ-
და.

— დაიშალებთ! — იყვირა ახლა უკვე
გულმოცემულად და ხმალი იშვიშ-
ლა. — სახლში, სახლში მეთქი, ღორის-
შვილებო!.. დაიშალებთ!.. დაიშალებთ!..

ხალხი ნელ-ნელა უკან დაექანა, დაშ-
ლით კი არ იშლებოდა.

უცებ ამ ხმაურსა და ღრიანცელში
გაისმა გოგონას წკრიალა ხმა:

— ჯოღორ ლალი, ლალი,
ხეს მიკებუ ჰკიდი დო ყვალი,
ჯას გილაზე კვირქაზე,
მუიღვა ოღლი უმახე. *

ყველამ იქითკენ მიაბრუნა თავი.

მახლობლად მდინარის პირას აღმარ-
თულ მუხაზე ბავშვები აცოცებუიყ-
ვნენ. ბებერი, დაკვრებული იყო მუხა,
მეტოატებით გახლეჩილი და გულჩა-

* ძაღლი იყვამ, იყვამ
ხელში მიჭირავს ჰკიდი და
ხეზე ზის სკინჩა ჩიტი,
რაც გინდა ოღლი უმახი.



თუთქული, მაგრამ ფართოდ, ამაყად გაშლილ ტოტებს ლორთქო ფოთლები მოსდებოდა.

გოგონას სხეებიც აყენენ და ახლათითქოს თვითონ მუხა იმეორებდა:

— ჯოდორ ლალი, ლალი...

ხალხში სიცილი გაისმა.

ქვევით დარჩენილ გოგო-ბიჭებს პრტყელ-პრტყელი ქვეები მოუძებნიათ, ერთმანეთზე ურტყამენ და შეწყობილად ყიყინებენ:

— ჯოდორ ლალი, ლალი...

და მთებიც ბუბუნებენ:

— ჯოდორ ლალი, ლალი...

იანიჩარმა ყურები ცქვიტა: „რას ამბობენ ეს ლორისშვილები?! ხონთქარს თუ აგინებენ“.

— უჰ! — დაახრქიალა კბილები და გაზანგული მუშტი აღმართა. — ეს ცხენები არ მყავდეს, მე თქვენ გიჩვენებდით!

მუხაზე გასული ბავშვები ისევ აყიყინდნენ:

— ნაეები!

— ჩვენები!

— ჩვენები მოდიან!

— აგერ იანიჩრებიც!..

ხალხი ნიაღვარივით ნაპირისაკენ დაეშვა.

ოთხივე ნავი რომ უენებლად დაინახეს დაშოშმინდნენ.

მეხუთე უცხო ფელუგა იყო. შიგ მსხდომნი უცხონი ჩანდნენ.

ბეგი და მისი მხლებლები კიდევ-კიდევ მოსდევდნენ ზღვას. იანიჩრები ნავეში მსხდომთ რაღაცას უყვიროდნენ, ხელებს მდინარის გაღმა ნაპირისაკენ იშვერდნენ.

მეთევზეები გამალეებით უსვამდნენ ნიჩბებს, წარამარა კისერს იქეთ-აქეთ აბრუნებდნენ, რათა დროზე შეენიშნათ მძიმე ტორტმანით მომავალი ტალღები, მარჯვედ ჩასხლტომოდნენ, სანამ რკალად შეიკვრებოდნენ. უსხლტებოდნენ კიდევ. მოცარული ზვირთები წამით ინაბებოდნენ, ნავების ირგვლივ ნელ

დავლურს უვლიდნენ, შემდეგ ერთბაშად იბერებოდნენ, იძვრებოდნენ და მრისხანედ ქეჩოაყრილნი, იხევ სღართანით ეცემოდნენ, მოუხელთებელ ნავების ირგვლივ მკლავებს ასავსავებდენ, ეპოტინებოდნენ, ნაფოტებივით აქეთ-იქეთ ისროდნენ. ერთნი რომ ქაფმორეული ტალღის ქეჩოზე ექცეოდნენ, მეორენი საღდაც უფსკრულში ცვიოდნენ, მაგრამ რაღაც სასწაულით უენებლად რჩებოდნენ — იმავე წამს ზევით ამოდიოდნენ.

დიდხანს ეწვალნენ მენავეები. ბოლოს, თითქოს ზღვასაც მობეზრდაო ეს უნაყოფო ჭიდილი, ნავეები მდინარის გაღმა ნაპირთან გარიყა.

დაქვეითებული იანიჩრები წყალში შეცვიდნენ, ფელუგას ყოველი მხრიდან ჩააფრინდნენ.

ხალხი მდინარის ნაპირს მოაწყდა, ხილზე შეცვიდა.

ფელუგიდან პირველი გადმოვიდა ახოვანი თეთრწვერა მოხუცი. სანამ ნაბიჯის გადადგმას მოასწრებდა, თეთრად აქაფებული ტალღა წამოეწია, შავი მოსასხამის კალთები სულ გაუწუწა. ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, დინჯი თანაბარი ნაბიჯებით გავიდა ნაპირზე და ხალხს დარბაისლურად მიესალმა თავის დაკვრით.

უკან სამი ჩია ტანის კაცი მოსდევდა. შავი მოსასხამის ფართოუნა სახელოებში შემალული მკლავები მკერდზე დაეკრიფათ, მობუზულიყენენ, შეშინებულ თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდნენ.

მოხუცი კი იდგა ისე მშვიდი და დიდებული. ტანმაღალი, წარმოსადეგი იყო, მხნე და ძლიერი აგებულკბისა. მშვენიერ თეთრ-მოწითალო სახეს დიდად უხდებოდა მტკაველზე მტტი ქათქათა წვერი. ასეთივე სპეტაკი, შეტალღებული თმა მხრებზე დაჰყროდა. მაღალი, ნაკვეთი შუბლი, ღრმა და აქრიანი თვალები რაღაც მადლმოსილი იერს ჰქვენდა მთელს სახეს, იდუმალი

ნდობითა და მოწიწებით გავსებულათ მოხუცისადმი.

ბეგის ბრძანებით იანიჩრებმა ფელუგიდან გადმოღებულ ზანდუეები მეთევზეებს მოჰკიდეს და წინ გაარუეს.

მოხუცს არ უცდია, სანამ წასაყვანად მოაკითხავდნენ.

იმავე უღრტეინველი იერით, დიწჯი ნაბიჯებით თავად მიჰყვა წინ მომავალთ.

*
*
*

ბუხრის კამარაზე, თლილი ქვის შუაგულში, უცხოდ გადახლართულიყვნენ ერთმანეთში შტონი სიცოცხლის ხისა. მარჯვნივ მზის სხივოსანი დისკო იყო გამოყვანილი, მარცხნივ—მოღეული ნახევარ-მთვარე.

თავად მზისა და მიწის თავყვანისმცემლად დარჩენილიყო. მტევნებით დახუნძლულ ვაზის ლერწებში, ჩუქურთმების ნატიფ გრებილში, ქვას რომ ირგვლივ ევლებოდა, მიწიერ ყვავილთა საზიერება იყო ჩაწნული... და ამ მშვიდ, ნებიერ ხაზებში უცებ... ეღვასავით გაწოლილ, კამარაშეკრულ კანჯარს უკან გამონთებია ისრით დაკოდილი ფაფარაყრილი ლომი.

„თვით ცივი ქვა არ შეიძლება იყოს მშვიდი, როცა მიწაზე კეთილი და ბოროტი გენია ერთმანეთს შებშია“ — ამბობდა თითქოს ოსტატი.

და ყველა ეს სახე: ზოგი თავისი უწყინარი მშვენიერებით, ზოგიც თავისი მინახებულ ყელმოღერებით, ზოგიც თავისი ქროლვის ენით, ზოგიც თავისი გაავებული ენებით თითქოს ერთი მხურვალე სუნთქვით იყო შეტოკებული და შემდეგ ასე მარადიულად გარინდებული...

— მერწმუნეთ, ეფენდი, — ფიქრებიდან გამოიყვანა საბა გონიის ბეგმა. — თქვენდამი მტრობა როდი მი-

ქვეს გულში... იმ უცხოელების დაქვრა მაქვს ნაბრძანები... ხონთქარის ვეფხვი მანი არის.

— ავისაგან წახდენაც სირცხვილია კაცისა და გაკეთებაც... მძარცველს ვერწმუნო?

— ცნობილ არის სიხარბე იანიჩარისა. — ბეგს სიტყვა გაუწყდა. მან თავის ხელებზე დაიჭირა თანამოსაუბრის წამიერი მხერა.

ბეგის ხელები კი მარცვლავდნენ იანიჩართისაგან მორთმეულ, ოქროთი გაწყობილ გიშრის კრილოსანს. სწორედ იმ კრილოსანს, საქართველოს დიდებულ დესპანს რომ აჩუქა რომის პაპმა ოქროს ხატთან ერთად.

ამდენი არ იცოდა ბეგმა, მაგრამ მოხუცის მხერის აზრს ადვილად მიხვდა. იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, კრილოსანის მარცვლით წარმოსთქვა:

— მერწმუნეთ ეფენდი...

— ავის მსახური კეთილი ვერ იქნება... თათარი უსამართლოა ოდითგან, კაცთუწყალო და მოხარი ქვეყნისა... მათგან არს თემი ჩვენი არეული... შენც მოუცდუნებიხარ ბოროტსა.

— ხონთქარი ძლიერია, მარტო კდით ვერას გახდები... ისევ წყალობის იმედს სჯობს.

— აესა ავი. გამოვბმის, ბეგო... შენი თათბირი შენი მბრძანებლის ღირსი თუა ისევ.

— როგორ?

— ერთ არაკს გეტყვი და მიხვდები. — საბა ჩაფიქრდა. შემდეგ თავი აიღო და განაგრძო. — იყო ერთი მეფე, ღმერთობას ჩემულობდა და ვერც ვერავინ ეტყოდა, რომ ღმერთი არა ხარო... ერთი უკვიანი ვაზირი ჰყვა, მან მოახსენა: — რადგან შენ ღმერთი ხარ, მე შენი ანგელოზობა მიბოძეო... უბოძა... გამოხდა ხანი, უბრძანა მან ღმერთმან მას ანგელოზსა: — მოდი სასწაული გქნათო! ვაზირმან მო-

ახსენა: — თუ მისმენ, უცხოთა და ყარგ სასწაულს გაქნევიანებო... დაუჯერა. დააცლევინა სახლები მეფისა. სრულად ნებებითა და ცხოვართა ფაშვითა ააესებინა. გამონაჲ კარი. ზაფხულის კამი იყო. ათი დღე დაიყოვნა. მეათერთმეტე დღეს მივიდნენ: ჩვენი ნაქმნი სასწაული ვნახოთო, დაადეს კარები, ნახეს: სულ მატლი, ჭია და ფუნდურა დაჰხვეოდა, დია აყროლებულიყო. მეფემან უთხრა ვაზირსა: — ეს რა გვარი სასწაულიაო?.. ვაზირმან მოახსენა: — შენ რომ დმერთი ხარ და მე შენი ანგელოზი, ჩვენგან ესეც დიდი სასწაულის ქმნა არის და არც უკეთესი გამოგვივაო...

ეს არაკი მისთვის მოგახსენე, ცნა ფასი იმისა, ვისაც ემსახურები ეგეთის ერთგულებითა... ხონთქარის ნებას რომ აჰყევ, ძალით აყროლებულ იმ სახლსა დაემსგავსოს ერის სადგომი...

ყელზე მობჯენილი ბრაზი ბეგმა ძლივს ჩაყლაპა:

— ვინც ალაპი აღიდა, უფრო ეფონვის... ჯიუტობა რას გვარგებს.

— თითო თითოდ დაგვლევოს მტერმა მაშინ, თავიც მოსთხაროთ და მოყვარეცა...

— სამკვიდრებელი ჩემი, საბადებელი ჩემი გადარჩეს ოღონდ. რჯული რა ყოფილა...

— სადაც თათარი დამკვიდრებულა, იქ ღვთის ნათელი აღარ დამდგარა. — საბას ხმა თითქოს უფრო მოღბა. — ჩემოდენი ჭირი და ლხინი, უცხო თემი, საკვირველნი საქმენი არავის უნახავან... დამეჯერების, შვილო ჩემო!... საქართველო რომ სულ შედრკეს მაჰმადის რჯულის წინაშე, აღარც შენ გინდომოს თათარმა, აღარც შენი სამსახური, აღარც შენი ერთგულება... ქრისტიანედ გამოგაცხადოს, მოგაქციოს... რაღაო, გინდა მკითხო... იმად რომ ქართველთ ტომის გარეშე მონით ველარ ივაპროს თათარმა... ჯერეთ

ეკორვები, იმად გელიზლება ხონთქარი... ბედი უკულმა დანტრჩხნა! — შენს მას მტრად გადაჰქიდოსო, რათა არ გესმის?

— მე მტერი არა ვარ.

— მტრობა შენი დაფარულა, არს მხოლოდ... ფარული და მცირე მტრობა უფრო საზიანოა. იგი ცეცხლსა ჰგავს ნაცარში დამალულსა. არ ჩანს და რა განქექე, ხელთ დაგწვავს.

— მტრობას ტყუილად მწამებთ.

— ვინც წავა მცირედისათვის, გინდ მეზობელთ შურისათვის, გინდ საბადებლისათვის, ვინც იხილა რა მდიდრისა ვისიმე სამოსელი ბრწყინვალე, სტავრა ან ოქროთქსოვილი და შურისაგან აღივსო, მტერია. დაიწყებს ანგარებით და დაასრულებს ცოდვითა და უსჯულეობითა.

— არს კი ოღენ, ხონთქარს არ ვემსახურებო?

— არცა რაი ჯერეთ... ოღონდ ნუ იქნების იგი სამსახური მონისა... ხონთქარის სამსახურში აბაშიძენიც მინახავან, მაგრამ არ დაუყარგავთ მამული-შვილობა, სიქველე და გონიერება ქებული, არ გარდაგებულან... შენში სწორედ ის წარბოცილა, რასაც ყველაზე მეტად უნდა უფრობოდეს კაცი... მრავალ მინახავან მე, ბეგო, სიტყვით მეგობარნი. მათ ოდეს იხილონ უსჯულეონი, წამსვე მათსავე ზედა მოიქცევიან... დროა იფიქრო, განშორდე ჯოჯოხეთის ცდუნებას.

აბაშიძეების ქებამ გააცეცხლა ბეგი. ამას სხვებიც აყვედრიდნენ ჩუმ-ჩუმად. არავის სწამდა ბავშვობიდანვე სტამბოლის კარზე გაზრდილის, სულით და ბოროტით გადარჯულებულის ქართველობა, მივხდა ამ გულთამხილავ მოხუცთან ფუჭი იყო რისიმე დაფარვა, მიხვდა და გამომწვევად აიღო თავი.

— შე შვილი ვარ სასუფეელისა. არც განკითხვის მეშინის.

— როგორ? — ასეთ პირდაპირობას საბა არ მოელოდა.



— ოდეს ქრისტე მეორედ მოვა, —
გაივინა ბეგმა. — უკეთუ იგია ძე ღე-
თისა და მაცხოვართ სოფლისა, ვაჩვენ-
ნებ შუბლსა მირონით აღბეჭდილსა და
თუ მაჰმადი უდიდებულეს არს, ვაჩვენ-
ნებ წინდაცვეთილობასა. ან ერთი ამი-
ყვანს ზეცად, ან მეორე.

— ვაი კაცსა, რომელიც ორ ღმერთს
ემსახურება! — შეაძრწუნა საბა ბეგის
გულახდილობამ. — ორგულობს და არ-
ცა ნანობს... გასსოვდეს ბეგო: აესა და
ცულ საქმეს ბოლო მოკლე და სანანი
აქვს, კარგსა და სამადლოსა დაუღვევე-
ლი საუკუნემდის...

ჩამოვარდნილი დუმილი საბამ დაარ-
ღვია:

— უკეთუ მონათგანი ვინმე წარგ-
ვიდეს და მოუვიდეს მტერთა თქვენ-
თაგანსა, იხილე რაისა გულითა იქნები
მას ზედა... შენ აწცა ორგულობ და არა
ინანი... ყოველი მსგავსი შენი უარესს
იქმს, რამეთუ არ ეშინია ღეთისა და
არცა სცხვენის კაცთა.

შემოვიდა მსახური:

— ალი-ბეგ გეწვიათ, დიდი ბეგ!

კარებში გამოჩნდა ახოვანი, ბეჭებ-
ვანიერი ვაჟაკი. ქართულ ქულაჯში
გამოწყობილს, ზევიდან ოსმალური აბ-
რეშუმის ხალათი გადაეცვა მოსასხამი-
ვით. წელში მოდრეკით დამხვდურთ
მდბაალი სალამი უძღვნა და წარმოსთ-
ქვა:

— ფრიად მოხარული ვარ თქვენი
ნახვისა, ბატონო... ესეცაა შემხტვევით
გავიგე თქვენი ჩამობრძანება და აღარ
დავაყოვნე.

საბას ეგონა, ეს სიტყვები გონიის ბე-
გისადმი იყო მიმართული. მაგრამ
არა, ახალმოსული თვალეში შეჰყუ-
რებდა მას.

დააკვირდა. სადღაც უნახავს თითქოს.
რატომ სადღაც, ეს ხომ...

როცა ნაზარალიხანისაგან დევნილი
საბა ახალციხეს აფარებდა თავს, თავი-
სი სიმამრის — ახალციხის ფაშა-ათაბა-
გის სასახლეში, ალი-ბეგი ჯერ კიდევ

ჭაბუკი იყო. ალექსანდრეს ეძახდნენ.
საბამ თავი დაუკრა. *ერეკლესული
ხიზლიერთევა*



აღვილი როდი აღმოჩნდა გონიოს ბე-
გის კლანჭებიდან თავის დაღწევა-
ჩხალაში ღამენათვეთ, დილით უნდა გა-
ეგრძელებინათ გზა არტანუჯისაკენ,
რომ თავზე ბეგი წამოადგათ.

გულმა რეჩხი უყო საბას: ალბათ
ალი-ბეგ უკვე სტამბოლს წასულა, რა
კი ეს რჯულგარეცხილი უკან გამოგვ-
დევნებიაო. ოთხმოცი მარჩილი, საბა-
სთან ერთად სტამბოლიდან მომავალი
ბურსელი ვაჰრის აივანა ჩალაბის რჩე-
ვით რომ აჩუქეს ბეგს ხოფადან გამო-
სვლის წინ, წყალში გადაყრილი აღმო-
ჩნდა.

ისევ ქირვეულობა დაიწყო: ფრან-
გებს ვერ გაგატან, მაგათზე ხვანთქრის
ყადაღა არისო.

არც კი უნდოდა ყურში შეეშვა სა-
ბას შეგონება: უცხო ტომის ხალხია,
სტუმრები, მათი გაცემა რა საკადრისი-
აო.

იანიჩრებს კვლავ ააქლებინა ბარგი.
კარავი და მოფენილობა. შემდეგ ყვე-
ლანი გონიოსაკენ გაირეკეს ქვეითად.
საბას ცხელებამ გაუხსენა.

ძლივს მიჰქონდა დაოსებულ-დამძი-
მებული ფეხები დაუსრულებელ აღ-
მართზე. ერთხელ შეასვენეს მხოლოდ.
ისიც იმიტომ, ტყვეებისათვის უფრო
გულმოდგინედ გაეჩხრიკათ უბებში. სა-
ბას უკანასკნელი სამოცი ფლერიც წა-
ართვეს.

მაინც მადლიერი იყო, რა კი ლექსი-
კონი შეარჩინეს. დროზე რომ არ მო-
ესახრებინა და ზანდუკიდან არ ამოე-
ლო, ვინ იცის რა ბედი ეწეოდა მის ნა-
ღვაწს.

ნამუღაღღევს აივანა ჩალაბი წამოე-
წიათ.

მოხუცის საცოდობას რომ შეხედა,
ბეგს გულფიცხად შეუტია:

— ვისა ჰკლავ, შენ ეგ ვინა გგონია... რას გიზამენ არ იცი?

— ვიცი, ვინც არის! — უკმეხად უპასუხა ბეგმა.

ჩალაბმა მაშინ ისევ ნაცად ვაჭრულ ხერხს მიმართა: ოთხასი მარჩილის ამოტანა დაჰპირდა საღამომდე.

ბეგი სიტყვას არ ერწმუნა, მიველად საბა და გურიიდან გადმოსული წინა დღით შეპყრობილი კანდელაკი დაიტოვა, კაპუცინები კი იანიჩრებს გაატანა.

მტანჯველ მოლოდინში შებინდდა კიდეც.

ჩალაბი კი არ ჩანდა.

ბეგმა უპირობა შესწამა. ტყვეებისათვის ხელები წააკრევიანა და ისევ გონისაკენ გაუდგნენ.

ისეთი წისლი ჩამოწვა, ორ-სამ ნაბიჯზედაც ძნელი იყო რისიმე გარჩევა.

წამოვიდა ხშირი წვიმა.

და ეს სველა ბნელში მოხუც საბას აგონებდა ბედკრული საქართველოს გზას.

არ უჩანდა ბოლო ტანჯვის ამ გზას. გზაც აღარ ეთქმოდა უკვე. ურიცხვი ჭრილობებიდან მოთქრიალე სისხლსა და მდუღარე ცრემლის ერთიანი მდინარე მოედინებოდა ზედა; მოედინებოდა გრუმეში ჩაძირული ნაპირისაკენ, ერთვოდა შავი ზღვის მღვრიე ტალღებს, რწყავდა სპარსეთის ხრიოკ, ხარბად პირდაღებულ უდაბნოებს... და ვიდაც მეზღაპრის მიერ ღვთისმშობლის წილხვდომილად გამოცხადებულ მიწაზე უღვთო ხელი განუკითხავად ჰკლავდა, წვავდა, აოხრებდა... ტანჯული მიწიდან ასული შემზარავი გოდება თავისი ქედუხრელობით საკვირველი ხალხისა ვედარ დატეულიყო მშობლიურ ცის ქვეშე, მწუხარე ექოდ ხმიანობდა ისპაჰანისა და სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე, შორეული მალტის, მესინის, ლოკარნოს კედლებთან...

მთელი ევროპა შემოიარა საბამ. ფეხი ვერსად დაადგა ისე, რომ არ წაწყ-

დომოდა ნაცნობი, მშობლიური თვალების მუდარით სავსე მხგრავს-სასოფებით გამოწვდილ, სამგელად გამოწვდილ ხელებს.

თავად უსასოროსა და უმწეოს უცხოებაში, რითი უნდა ეცა ნუგეში განწირული შვილებისათვის, რითი უნდა დახმარებოდა...

ისევ დუმილით უნდა ეტარებინა ტყვილებით დამძიმებული გული, მიუაღერებლად უნდა გასცლოდა საკუთარი ხორცის ნაწილს, როგორც ეკალბარდზე შერჩენილი სამისის ნაფლეთებს...

და სულში დაუსრულებლად კვნესოდა შეუსმენელი მუდარა, გულში ბორგავდა გაუმელავენებელი ალერსი, ტუჩებზე თრთოდა უთქმელი ნუგეში.

ხვედრი კი მათი იყო ნამდვილად უწყალო, ხვედრი ჰარამხანის მხეველებისა, ძალად ენებაგამოწურულ საქურისებისა, გულგამურდლებული იანიჩრებისა.

ზოგს იმასაც არ აღიარებენ: ბოკვერს, ხვადად დაბადებულს, ძალით დაადედლებენ. როცა გონს მოვა, გული საგულედან ამოცილი ექნება, კაცობა წართმეული. და მის სულს შესვამს, დაღრღნის უაზრო არსებობის, ყოველისადმი განურჩევლობისა და ზიზღის სპლინი. იმას ძალაც არ ექნება, სიკვდილი ინატროს და ნატვრა აისრულოს.

შავია და უიმედო ხვედრი მათი.

ვერც კი წარმოიდგენენ, ვიდრე არ გამოცდიან.

და საბას აგონდება სულ ახლახან გარდახდომილი ამბავი. მეზომალდემ, რომელსაც საბა თავისი თანამგზავრებით სტამბოლიდან სამშობლოში რომ უნდა მოეყვანა, შუა-გზაზე დაჰყარა ისინი — გურჯისტანში შფოთია, ჩომალდს ვერ წავეყვანო.

რა უნდა ელონათ! ნავებით განაგრძეს გზა. ერთ ნავეში აივაზა ჩალაბი და მისი ამხანაგები ჩასხდნენ, მეორეში სა-

ბა და პატრები. წამოვიდნენ ნაპირ-ნაპირ, შემდეგ ზღვა აუღელდათ და ნაგები ერთმანეთს მოსხლტნენ... სწორედ ამ განსაცდელის უამს გახდა საბა მოწმე საქართველოს ბედკრული შვილების შემადრწუნებელი თავდადებისა... თურმე იმერეთიდან გამოიჩეკილმა ტყვეებმა დაინახეს დასალუბავად განწირული ნავი...

ჩვენს მოსაშველებლად გადმოეშენენ ზღვაში, თავად მისაშველებელნი, დალუპისათვის განწირულნი... ზღვას გამოგეტაცეს, სიკვდილს გადაგვარჩინეს... როგორ აბლაღდნენ, როცა ქართულად მადლობა გადაუხადე... საღა, თა ძილიდან გამოერყვენ თითქოს... საკუთარი მონობა მაშინ გაახსენდათ, როცა თათრები წამოესივნენ მათრახებით... არ ნებდებოდნენ, მიღეწ-მოღეწეს მცველები, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდათ...

იქნებ უკვე სტამბოლის ბაზარზე დგანან გატიტვებულნი, დამცირებულნი.

დაპყდიან...

დააყალკევენ...

ვერასოდეს აუბამენ მხარს ერთმანეთს...

ვერასოდეს მიაწვდნენ ხმას ერთმანეთს...

უცხო, ველურ ღრიანცელში ჩაიკარგება მათი განწირული კივილი, სადღაც ჩაიფერფლება, ჩადნება მშობლებთან განყოლილი მადლი და მარილი, დაიშრიტება ყოველივე სიკეთე ადამიანური...

და გულქვა იანიჩრებად დაწვრთნილთ ხელში ჩაუტვდნენ ისლამის ხმალს, ძაღლებივით დაგეშავენ და მიუსევენ მათსავე დამბადებელ მიწას. თან ეტყვიან ეს არის შენი პირველი მტერი. ეს არის ისლამის გაუტყველი მეურჩე. ამიტომ არ დაინდო-დაპკარი, აკუწე, დაარბიე, ცეცხლს მიეცი, გადაბუგე...

და საბას გულში აბორგდა მშობლის

დაგებული ძახილი. მოესურვა გაბნეულ ბოდა სადღაც მახლობლად, სიბნელეში მომავალ იანიჩრებს.

მაგრამ, როგორ!

რა ენით!

ვისი ენით?!

ლანდები იყვნენ უსახონი, მღუმარენი, პირქუშნი.

და საბას ტუჩებზე გადაუარა რაღაც მღულარემ, მარილიანმა.

გულს აღმოხდა ოხვრა.

ეინლა მშველელი?!

ფრანცისის მეფე?!

რა ამოდ დაეშვრი!..

განა ძალუქს გაიგოს საღმობანი ჩემი ხალხისა სეგებდნიერ მეფეს საფრანგეთისას თავის უზრუნველ ყოფაში, ფუქი დიდებასა, ოქროსა და თვალმოშპრელ ბრჭყვიალუბაში ჩაფლულს?!. სიბერე ადარდებს მხოლოდ... როგორ გაუხარდა, როცა თავაზისათვის ვუთხარი: თქვენი უდიდებულესობა ამ ასაკს ისე მოხდენილად ატარებს, ყველა ისურვებდა ამ ხნისა ყოფილიყო მეთქი... სამაგიეროდ სახეზე ერთი ძარღვიც არ შეტოვებია, როცა საქართველოს ჭირ-ვარამზე ვუამბობდი....

იქნებ პაპი!

ნადიმზე თავად შემსახურებოდა... დამბანა ფერხიცა..

და მაინც სცივა შენი ხელით განბანილ ფეხებს, პაპო!.. არარად მაგდებს ხონთქრის ყურმოჭრილი მონა... უფლებააყრილი, დამცირებული მივაბიჯებ ჩემსავე მიწაზე... წინ კიდევ რამდენი რამ მელის!.. ქართველნი სამღვდელონი და ეპისკოპოსნი გამიმტერდნენ... კათოლიკედ რად მოიქეციო... მეგონა ამით რასმე ვარგებდი ერსა ჩემსა...

ჩანს სულ ამო ყოველივე ესენი, ფარისევლური სამსახური შენი, პაპო!

ცბიერი იეზუიტები, მშობარა და დამთხვეული კაპუცინები იხსნიან საქართველოს?!

ამოდ დაშერი, საბა!..
რა მიგაქვს შენს გაზრდილ გონება-
ნათელ ვახტანგთან?..

მხოლოდ იმედის გაცრუება და სასო-
წარკვეთა, მხოლოდ ვარაძი და ქვიშა-
სავით გამრავლებული ტანჯვა!

რა დარჩა მრავალ იმედთაგან, ურიცხვ
ალექსანდრე!

ალარაფერი!
მარტოოდენ ეს წიგნი, უბით ნატა-
რები.

ისიც ჩემმა ერმა გამატანა თან.
მე მხოლოდ გავაწყვე, შევკონე, აე-
კინძე.

შენს დამღუპველ სტამბოლში, სამ-
შობლო ჩემო. ხალხო ჩემო, მინარე-
თების ტყეში, მუქინების მგელურ ყმუ-
ილში ღამეებს ვუთევდი მას.

ვინ მოიხმაროს იგი, თუ მოისრას
ნათესავი და თესლი ჩემი, თუ შტრებმა
სულ ვაალაგონ საქართველო?!

ვინ დაიფაროს ქვეყანა ჩემი, ხალხი
ჩემი?..

ვინ არს მწყემსი კეთილი...
იქნებ შეცდი საბავ, შენს სიბრძნეს
ზედმეტად დაენდე!..

იქნებ სხვა მხარეს უნდა გეძებნა
ხსნა და იმედი?!

სიბნელეს ერთბაშად რაღაც მკრთა-
ლი ნათელი გადაედო თითქოს...

და საბას მოეჩვენა, რომ წინ გაშლი-
ლიყო ვრცელი, უსასრულო, თოვლით
დაფარული ველი.

ტერფებმა ქაველით აგრძნობინეს მო-
მავალ ახალ გზათა სიგრძე-სიშორე.

ქვემოთ მართლაც სინათლე აკიაფდა.
შემდეგ ცივი ბზინვით აიშართენ წვი-
მით გალუმპული შავი ქონგურები.

— გონიო!
მამლები ყივილით ამცნობდნენ გან-
თიადის მოახლოებას.

• • •

ვილაცამ ხელეები შეუხსნა, თან აღ-
ვიძებს:

— ცხენები გამოგიგზავნეს, ეფენ-
დი... აბრძანდით!..

საბა ნელ-ნელა გამოეკრებოდა
ჩალაბის წყალობა იქნება უთუოდ...
აეთანდისა ჰგავს ეს კაცი... უცხო
ჯურისა კია, მაჰმადიანი... რამდენი
გაისარჯა, რამდენი დაიხარჯა... კეთი-
ლი კაცი ყველგან კეთილია...
ისეთი შავი ღრუბლები დასწოლო-
და მიწას, სხივი ვერ ატანდა. გათენ-
ბულს არ ჰგავდა.

წვიმდა გადაუღებლად.
საღვაც ახლოს ზღვა ღმუოდ.

— ეფენდი, ერთ კაცს თქვენი ნახვა
უნდა... აქეთ მობრძანდით!..
ვილაც ოთახიდან გავიდა, ვილაც შე-
მოვიდა.

— თქვენზე ამბობენ, ბატონო, —
დაიწყო უკვე სხვა ხმამ. — დიდი ნას-
ტავლი კაცია... ქართველთა მეფის ვაზი-
რიო...

საბა ყურადღებით ათვალეირებს
შუახნის შექალაქებულ კაცს შავ
ჩაქურაში, თავზე ყაბალახწაქრულს.
გვერდით ბიჭი უდგას.

— მე, ბატონო, სურამიძე ვარ ილია-
სა, სხალთიდან.
— ეს ბიჭი ვისია.
— ჩემი, ბატონო.

— კარგი ბიჭი გყოლია. — საბამ
ბიჭს თავზე გადაუსვა ხელი, მკლავი
მოჰხვია. — ქართული ზომ იცი?
— ჰელბეთ ვიცი. — თავი ჩაღუნა
ბიჭმა.

— რას ბრძანებთ, ბატონო!.. აკენის
ენის დავგდება იქნება?.. აბა, ჭო, ერთი
ლექსი უბრძანე... გინდა ბალაძეების
ლექსი რომა ის...

— ბალაძეების რად იქნება? — იწ-
ყინა ბიჭმა. — დედა ამბობს ჩვენზეა
ნათქვამი, დევამეძებუო.

— ჰელბეთ, ჰელბეთი! — ერთბაშად
დაეთანხმა ილიასა.

ბიჭმა კარგა ხანს ვერ დაიწყო, ბო-
ლოს მაინც სძლია სიმორცხვეს, ბავ-
შეურად, მაგრამ მკაფიოდ ჩაარაკრავა:

— სამმა ძმამა დევაქემა
ზარზმას დადვა ბალავარი, —
ენც თორმეტი ჩამოიღებს,
იგი არის ფალავანი.

— დამბადებელიცა შენი კურთხეულ
იყოს, შვილო, — დალოცა საბამ. სვე-
მცა შენი ბედნიერი, გვარიმცა შენი
დაულეველი. — შემდეგ ღიმილით და-
უშაბა. — ეგ ლექსი მე სურმანიძეებზე
გამიგონია.

ბიჭს თვალეზი გაუბრწყინდა.

— ხომ ვაიგე, მამამ რა თქვა? —
საბამ ბეჭებზე მიუთათუნა ხელი. —
დედის ენა არ გაიგდებდისო... მუდამ
გახსოვდეს ეს სიტყვები. — შემდეგ
ილიასს მოუბრუნდა. — გონიოში რა-
ზედ ჩამობრძანებულხართ?

— ბუხრის ოსტატი მინდა კარგი...
აქ ძალუანი უსტებია... ასეთ შვე-
დროში სახლის ამენება რაფრა იქნე-
ბა... მარა ბალეებს გომურში ვერ გა-
მოვაშწყვედე, თათრის ჯინაზე... ტყე
ჩვენთვის მოუცია ღმერთს და ხელი.
ჰელბეთ ახლა რაზე შეგაწუხეთ, ეფენ-
დი ბატონო... ქალაქში რომ ჩაბრძან-
დებით, ერთი ისეთი ვინმე გვაახლეთ
სხალთაში, წიგნი იცოდეს... ერთგან გა-
დამალული გვაქვს.

სიხარულისაგან კინალამ სული შეუ-
გუბდა საბას.

— ბერიძის ქალმა კი მისწერა ეუ-
რიელის ქალებს მათებური, დედაბ-
რული ხელით, — განაგრძობდა ილიასა
დინჯად. — მარა აქამდე არავინ ამო-
სულა ცოდვავა, ჩალბება იქ.

საბამ უნებურად ტახტზე მიძინებულ
კანდელას გადახედა: „იქნებ მაგ საქ-
მეზე მოეშურებოდა აქეთ... ვერაფრით
ვერ გამოტეხა ბეგმა... აწი რაღას გააწ-
ყობს, მტრის ხელში ჩავარდნილი...
დავიხსნიდე მინც!..“

— ბევრია?

— ჰელბეთ!... ერთი ურემი იქნება...
ბაბუასაგან გამოიგია, ერთი ამდენი თათ-
რებმა დასწვეს და სხალთის წყალში
ჩაყარესო... ყდები სულ დაადლიტეს

თურმე, ქალამნებად და ცხენის მოსარ-
თავებად დაუქრიათ.

— როგორ უნდა მოგვეხლონო...
კაცმა?

— ჯიქურაი ილიასა კითხოს ბალ-
ეებს... ზედ სხალთის ეკლესიასთან ვც-
ხოვრობ, მარნის ძირში... მე თვითონ
გავუტან ხურჯინებით...

საბას თვალეზზე ცრემლი მოაწვა:

— გამდლობთ კაცო, საუბარკეთი-
ლო. — შემდეგ თითქოს თავისთვის
ჩაილაპარაკა. — ასეა... კეთილი ხე კე-
თილს მოიბაძის!

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბა-
ტონო! — კარებთან ილიასა ისევ მობ-
რუნდა. — ჩვენს მეფეს უთხარით, ბა-
ჭონო, აჭარელის ქართველობას ზადი
არა აქეს-თქვა... ხონთქარმა ვერ გადა-
გვარჯულოს... ჰელბეთ გაისარჯოს და
მალე მოგვეშველოს!..

.....

იჯდა თეთრ ცხენზე და ელოდა,
იანიჩრის ბრძანებას ელოდა დიდი
ქართველი კაცი.

წვიმასაც ვერ გრძნობდა.

მთელი მისი ფიქრი იმ წიგნებს უტ-
რიალებდა, სადღაც აჭარულ სოფელში
რომ გადაენახათ მამულაშვილებს. იმ
სანუკვარ წიგნსაცავად დაიგულვა იგი,
აქამდე რომ ეძებენ საქართველოში და
ვერ უპოვნიათ; იმ საგანძურად, ბნე-
ლით მოცული, შეუვალი ღუმლით მო-
ცული საუკუნეების მრავალ ამბავს
რომ ინახავს, შუბლნათელ მწიგნობარ-
თა და პოეტთა მალალ აზრებსა და
გრძნობებს...

კვლავ თვალწინ ედგა ილიასა თავისი
დარბაისლური მიხვრა-მოხვრით, ესმო-
და მისი დინჯი, აულღევებელი ხმა,
მისი უბრალო სიტყვები.

სიტყვები!

ის როგორა სქვა ბავშვზე?.. პირვე-
ლად გავიგონე... სიტყვის კონაში არა
მაქვს შეტანილი... რა სიტყვა იყო?...
ნუთუ დამავიწყდა?!

უცებ უნაგირზე შექანდა, კინალამ ცხენიდან გადავარდა. იმავე წამს რალაც გაიფხრიწა და საწვიმური ხმაურით შემოეძარცვა; ჰაერში შეფრიალდა.

ცხენი რომ დაშოშმინდა, მერე მიხვდა რაც მოხდა: საწვიმური იანიჩარს ეჭირა, თავის უბელო ცხენს აფარებდა სველ ზურგზე.

საბამ ვერ შეამჩნია, უბიდან როგორ გადმოუცურდა წიგნი.

სამაგიეროდ აივანზე მყოფთ კარგად შეამჩნიეს.

ილიასას ბიჭი შეტოკდა.

წიგნი კი ეგლო ტლაპოში, იანიჩარის ცხენის ფეხებთან. ერთი განძრევა და...

გადაშლილი წიგნის ფურცლებს ქარი აფრიალებდა, ზედ წვიმის წვეთები ტყლაშუნობდნენ...

საბას დაცარიელებულ უბეს თით-

ქოს უხილავი ცეცხლი წაეკიდა, შეკრთა უზანგზე წამოიწია, რომ ვილაცამ წიგნი გამოუშლდა ის ბიჭი იყო, ილიასას ბიჭი!

— სალმობანი ჩემი წაგდგომოდეს სიკეთედ, შვილო ჩემო! — ჩურჩულით ილოცებთან ბაგეები...

კიდევ კარგა ხანს ჩანდნენ გზაზე.

ილიასას ბიჭი მარტო თეთრ ცხენზე მსხდომ მოხუცს ხედავს.

ბოლოს ისიც ნისლში ჩაიძირა, ხულ ბოლოს.

რატომღაც გული დაწყდა, თვალები ცრემლით აევსო: ვერაფრით ვერ გაეგო, ამ თავსხმაში სად მიიჩქაროდა ეს მაღალი, თეთრწვერა კეთილი მოხუცი.

რა იცოდა მან: გზაზე. მუდამ ვლიან... ქარიშხალსა და ავდარშიც.

მხოლოდ რჩეულნი, მამაცინი, თავდადებულნი!

ქოსვა ხეთაგუროვი



არ მეშინია

არ მეშინია მე სიკვდილის, — ცივ წვიმის თქეშის,
დიდი ხანია მიხმობს მიწა იღუმალ ნისლით, —
მანამ სიცოცხლე ძვირად მიღირს, სანამდე ჩემში,
სამშობლოსათვის შენახულა თუნდ წვეთიც სისხლის;

მაგრამ მე მზად ვარ, თვით სიცოცხლე აღრე თუ გვიან,
ახლა თუ მერე (მევე ვრჩები ამის თავდებად), —
მივცე თუნდ ერთი ნაბიჯისთვის, რომელსაც ჰქვია
სამშობლოსათვის თავგანწირვა და თავდადება.

ეტიუდი

ლამე — აღსავესე ნეტარებით, სათუთ ზმანებით,
დედამიწაზე დაეფინა უჩუმრად ასე,
ამოგვირგვინდა მალლა მთვარე და ვარსკვლავები
ერთი-მეორის მიყოლებით აენთნენ ცაზე.

რა სიჩუმეა... ამ სიმშვიდეს ვერავეს არღვევს,
ჩასძინებია ტყეს — ტყბილ ფიჭრში განდგომილს ცალკე, —
და ზღვა ოდნავა აღივლივეს მოცისფრო ტალღებს
და მოუწოდებს მათ — მშფოთვარეთ, სიმშვიდისაკენ.

თარგმანი ვასილ ზვებაძისა



ანდერძი

აბა, დასრულდა... გადვუხადე ცხოვრებას ხარკი,
 მე თქვენთან ერთად მოეყვებოდი ამ გზებს და შუებს,
 მე თქვენთან ერთად მირეკლავდა ამ ტბების სარკე —
 დღეს კი გშორდებით... სამწუხაროდ, გშორდებით უკვე.
 დღეს კი დასრულდა ყველაფერი: ლტოლვაც და დღევაც
 და ლანდთა შორის, სულთა შორის ვიწყებ მგზავრობას,
 ჩემი სახელი ჰგავდა ბნელში გაკვეთილ ელვას,
 ის ყრუ ძაბილად ჩაესმება შთამომავლობას!
 მაგრამ ვინც იცის, მან უამბობს ყველას და ყველას,
 რას შეეწირა ჩემი წლები სიცოცხლით სავსე.
 მე გემთან ერთად ჩაეძირე, ვერ შევძელ შევლა
 და გემთან ერთად მეც წყვილი მაწვება თავზე.
 მაგრამ, ვინც მართლა დაღონდება სამშობლოს ბედით,
 მეც მომიგონებს და მახსენებს როდისმე, ალბათ,
 და აღიარებს — ვინ მიყვარდა ჩემს თავზე მეტად,
 რატომ ესუნთქავდი მთელი გულით, ხმამაღლა, ხარბად...
 მე მინდა დაწვან ჩემი გული და მისი ფერფლი
 ქარს გაატანონ, დაუბრუნონ სამშობლოს მინდვრებს.
 ჩემო ძვირფასო მეგობრებო, გაიღეთ მსხვერპლი
 და ჩემი გული დაუბრუნეთ სამშობლოს მინდვრებს.
 ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მოგროვდით, მოდიეთ,
 რომ მიწად ქცეულ ჩემს სიცოცხლეს უთხრათ შენდობა,
 ის თქვენთან ერთად შეეჩვია თმენას და ლოდინს
 და, როგორც ადრე გენდობოდათ, ახლაც გენდობათ.
 მე ვიქვცე მიწად — ჩემი თავი ჯანდაბას იქით,
 თქვენ კი არასდროს არ გიმტყუნოთ თქვენმა ფიქრებმა
 და მოკვდით მაშინ, როცა მოვა სიკვდილის რიგი,
 როდესაც თქვენთვის ერთადერთი გზა ეს იქნება —
 ნუ ფიქრობთ ჩემზე: მე არც მინდა, არც ველი იმედს,
 დე, ის მან პოვოს, ვინც ამქვეყნად იცხოვრებს შემდეგ.
 მე ვეწეოდი მძიმე უღელს, მტანჯველს და მძიმეს
 და ჩემი კუბო დატირებას მოელის დღემდე.
 ჩემთვის არავის არ დაუდგამს გვირგვინი თავზე,
 მე არც დრო მქონდა, არც შემეძლო, რომ გამეხარა.
 მე მივყვებოდი დაღლილ ხომალდს, სულელებით სავსეს,
 ახლა სულივით უხმაუროდ ეტოვებ ქვეყანას.
 ოღონდ აქ რჩება ჩემი რწმენა, ჯიუტი რწმენა,
 რომელიც ჩემი სიკვდილის თუ გაქრობის მერეც
 არ მოგასვენებთ, თვალს აგიხელთ, გაგიხსნით სმენას
 და გახიარებთ ქალწულ ზეცის შორეულ ფერებს.

თარგმანი პოლონურიდან **მ. შილაძისა**



მთვარე

ხედავ, თვალები ჰქონია მთვარეს, — ასე ამბობენ ჩემზე ბალები,
მე პოეტთაგან ვარ შემკობილი, ვარ მრავალ წიგნში მრავალნაქები.

ვისთვის ვიყავი უბრალო თასი, ვისთვის კი — სურა ზარნიშინი,
ვისთვის ვიყავი კრავი და ვისთვის — იღბლად მოსული ტუზი ჯვრიანის.

ვისთვის — მოყვასი, ვისთვის კი ცაზე დავწანწალებდი მშიერ ძაღლივით,
ასე მამკობდნენ, მაგრამ მელანი მაინც ამაოდ იყო დაღვრილი.

და მოვცურავდი... ასე მოვცურავ, მოვარდევ ცისფერ სივრცეს ბარბაცით
აეღვებულო, გაბრწყინებული, განათებული, როგორც დარბაზი.

მე ბრწყინვალეა არ მომაკლდება, ჩემს ელვარებას არ აქვს საზღვარი
და ჩემი შუქით განათებულა კაცის ქუდი თუ წამოსასხამი.

ასე ვანათებ შარაზე ბატებს და მივაცილე ძალი კარამდის,
სიბნელეში რომ გაბრწყინებულა, ჩუქურთმებია ძველი კარადის.

ჩემ სხივებს ხელით ვერ შეეხები, მოდის და მოდის, — თითქო წყალია,
როგორ დაიქერ, როგორ დახატავ, როგორ გამოთქვამ ოქროსცვარიანს,

როგორ მოძებნი შესატერ სიტყვას, მართოლვარე სიტყვას, სიტყვას
მდეღვარეს?!
მხოლოდ მე ძალმის, ვიპოვო იგი და ამიტომაც ვარ მოელვარე.

ძალმის, გამოვხსნა, რაც ჩახლართულა, რაც ჩაკვართულა და ჩაბურდულა
მიჯნური მიჯნურს და გულის კარს ავხსნა სევდის ურდული.

დამაშვრალს ძალას დაგიბრუნებ და დაშრეტილ ძარღვებს სისხლად დაივლი,
მხოლოდ მე ძალმის, მხოლოდ მე ძალმის, შენს წინ დავეცე, როგორც
ყვავილი.

ნატყვიარები გქონდეს და ველზე ეგდო სიკვდილთან ბრძოლით დაღლილი,
მე მოვალ შენთან, როგორც იმედი, და აგილოკავ წყულულებს ძაღლივით.

მე არ ჩაქვრები, დამიძახე და გზას გაგინათებ ნისლით შებურვილს,
მე ვარ კეთილი სოფლური მთვარე ტყის თავზე მყუდროდ განათებული.

როცა მოვედებდი, ნუ ატირდები, შენ, ჩემო ცოლო, ნუ ატირდები, მე მთვარედ მოვალ შენს ფანჯარასთან, მოგებალები და გაგებრწინდები.

შენსკენ მომავალს შემეფეთება წინ სასაფლაოს მკაცრი დარაჯი, მას დაუუსხლტები მთვარის სხივებად, რომ შევიხედო შენს ფანჯარაში.

ბნელში მოვძებნი უცნობ ბილიკებს და გალავანზე გადავცოცდები და ნეკერჩხალი შემეგებება მაგ ალაყაფთან მწვანე ფოთლებით.

სარკმელში მუნვე შემოვიხედავ და თმაზე ვერცხლის წვიმას ვაწვიმებ, მოვშხაპუნდები, მოგეშხეფები, გაგალამაზებ და გაგაბრწყინებ.

მხოლოდ მე ძალმიძს, ნათელი შუქი რომ დაგაფრქვიო ასე აღერსით, მხოლოდ მე ძალმიძს, დაუსრულებლად ვერცხლად ვიწვიმო შენს ღრმა თვალებში.

მხოლოდ მე ძალმიძს, რაც მაღალია, კვლავ ავამაღლო, ცამდე ავზიდო, მხოლოდ მე ძალმიძს, რაც მღელვარეა, რაც მშფოთვარეა, რომ დავამშვიდო,

გაგაბრწყინო და გავაელვარო, რაიც წყვდიადში მკრთალად დაირწა... შემხედე, როგორ ვიწვი და ვფუთქავ, შემხედე, მე ვარ გული ლამისა.

აღვდგები მკედრებით, აღვდგები, მოვალ და მოვეკრობი სახით მაგ სარკმელს, მე ჩაეიხედავ შენს სარკეებში, ავალვარებ სარკიდან სარკეს. უხმოდ მოგბარავ მძიმე სავარცხელს, ქურდივით მოვალ შენთან, გეთაყვა, მერმე კი გაგხსნი ვერცხლის ბაგეებს და უეცარად ჩემს ბაგეთაგან, როგორც სხივები, შენს ოთახებში გადმოიღვრება და დაირხევა ხმავერცხლიანი მთვარის ჰანგები და ეს იქნება ჩემი სიმღერა.

გააღე ჩქარა! გააღე ჩქარა! — მე გაგაგონებ ღამით დაძახილს. ჩქარა! ნახევრად მაინც გააღე შენი სარკმელი, — გეტყვი ცახცახით, შავი ღრუბელი ნუ გეგონება, შავი ღრუბელი კი არ გეწვია, ეს ჩემი თმაა, ეს ჩემი თმაა, სექტემბრის ქარს რომ გაუწეწია. აჰა, მთრთოლვარე ჩემი ხელები, აჰა, მთრთოლვარე ჩემი სხეული, კაცი ვარ, კაცი, მთვარე კი არა, კაცი ვარ, კაცი, მთვარედ ქცეული.

მაგრამ ვერაფრით ვერ გაგაღვიძებ... და ვიელვარებ შენს ფანჯარაში. მთვარედ ქცეული ადამიანი ვიქნები, როგორც ღამის დარაჯი. მხოლოდ სხივებით მივავნებ ლექსებს, მაგიდაზე რომ უქმად მდებია და ჩემს ლექსებში ძველი ჩრდილები ნათელი აზრით გაბრწყინდებიან.

შენ ახლა გძინავს. დღისით კი სტირი, უნდა დასწუროს ცრემლი თვალებში. აჰა, თენდება. თანდათან ქრება ჩემი სინათლე და ელვარება.



იოჩისის ქვრივი

კაპიტანი იოჩისი ნისუსთან ბრძოლებს გმირი იყო. მისი დაღუპვის შემდეგ დივიზიის პოეტმა გამოუთქვა ლექსი. ამ ლექსს ლუბოჟში ხანდახან კიდევ მღერიან შეზარხოშებული დემობილიზებული ჯარისკაცები. ქალაქ ლუბოჟის ერთ-ერთ წყნარსა და ამწვანებულ ქუჩას, რომელსაც ბაზრიდან კოსტიოლამდე¹ მივყევართ, გმირის სახელი უწოდეს. დემობილიზებულთა ყველაზე ხანში შესულმა თმაქაღარა პორუჩიკმა ოლდაკმა, იასლბში წერილი მისწერა ქვრივს — მალგოკატე იოჩისისას: ჩამობრძანდით, პანი, თქვენ აქ მეგობრები გელიან. და სხვა მრავალი გულის ამაჩუყებელი სიტყვა ქვრის გმირობის შესახებ... პასუხიც მალე მოვიდა. ქალური მომრგვალებული ხელნაწერით ქვრივი ატყობინებდა, რომ ისარგებლებს ამ მიპატივებით, რომ ადვილს ვეღარ პოულობს და აღარ იცის, სად წავიდეს, რომ მისთვის ცხოვრება უკვე მოსაბეზრებელი გახდა. ქვრის ხსოვნისათვის ქვრივი გულითად მადლობას უხდოდა: „იყავით ღვთით კურთხეულნი იმისათვის, რაც თქვენ გააკეთეთ ჩემი ქვრის ხსოვნის უკვდავსაყოფად და აგრეთვე, ჩემდამი ყურადღებისათვის“.

„იყავით ღვთით კურთხეულნი“ — ეს კარგად ვლერს, შესაძლებელია რამდენადმე მიაშიტად, გულუბრყვილოდ, ცოტა სოფლურადაც, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამ სიტყვებით შეიცნობა სერიოზული, დარბაისელი ადამიანი. როგორ გამოიყურება ეს ქვრივი? რამდენი წლისაა ეს ქალი? კაპიტანი სიკვდი-

ლის წინ რამდენიმე ხნით ადრე ოლდაკს უამბობდა თავისი ცოლის შესახებ. სურათსაც უჩვენებდა ხოლმე, მაგრამ როგორს, გასაგებიც არის — დაქმუნული გაცრეცილი სურათი. კაპიტანი სხვანაირად არ იხსენიებდა ცოლს, თუ არა „ჩემი ბებრუცუნა“. მას გატაცებით უყვარდა ცოლი. ოლდაკი ამას გრძნობდა, როდესაც ისმენდა მის დაბალ ოდნავ უხვშ ხმას. თვითონ იოჩისი იმ დროს ორმოცი წლისა იყო, მოხდენილი და კოპწია ის არასდროს არ ყოფილა. იყო ერთი თმაწითური, ლოყებლაყლაყა, ოქროსფერი ჯაგარა წვერით შემოსილი. ყველაფერი ეს ცოტას მაინც მეტყველებდა მის მეუღლეზედაც.

კაპიტანის მეუღლის ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდნენ. იოჩისის ქვრივს — ასეთ წარჩინებულ გვამს ლუბოჟისათვის უნდა მიეცა მეტი პეწი და ბრწყინვალეობა. დაახვედრეს საცხოვრებელი ბინა, ორი ძროხა, რამდენიმე ღორი, მუდმივ სარგებლობაში გადაცემის აქტი. ოლდაკმა პირადად შეამოწმა ელექტროგაყვანილობა, თვალყურს ადევნებდა ამომქაჩავ ტუმბოების შეკეთებას. იასლოდან მოვიდა დიდი ხნის ნანინანატრი ტელეგრაფი: ჩამოვა ორშაბათს. ლუბოჟი მოიკვა აღელვებამ. აირჩიეს დელეგაცია, რომ ზეიმით შეხვედროდნენ კაპიტანის ქვრივს, საპატიო მატრონას, რომელიც გმირის სარეცელს იზიარებდა, იყოფდა მის ჭირ-ვარაშს, მის სადაც დღევს.

დილა იყო ბურუსიანი, მაგრამ თბილი. ცვარი წვეთავდა გაყვითლებული ფოთლებიდან. საკმაოდ ბევრმა ლუბოჟანელმა მოიყარა თავი სადგურზე. სა-

¹ კოსტიოლი — პოლონეთის კათოლიკური ეკლესია.

დაც უნდა ჩამომდგარიყო მატრებელი, რომელსაც მოჰყავდა პანი კაპიტნის მეუღლე. მისრე — ქალაჩა, ჩამომხმარი გერმანელი მოკრძალებით გამდგარიყო განზე. გაისმა შორეული სასტვენის ხმა და პორიზონტზე გამოჩნდა ასვეტილი ბოლის ბოლქვი. დამხედურები აჩოჩოლდნენ. გერმანელი სმენაზე გაჩერდა. მატრებელი ქოთქოთით შემოგარუხუნდა სადგურში. პორუჩიკმა ოლდაკმა ნერვულად დაიკვიტა ტუჩები.

გაიღო მხოლოდ ერთი კარი. გადმოვიდა სახედალმეჭილი, აცასცახებულო დედაბერი — არა, ეს ის არ არის! — შემდეგ გადმოხტა საშუალო ტანის, გამხდარი გოგონა, რომელსაც ქერა თმები უკან მაგრად ჰქონდა ჩაწულ-ჩანასკული. მას გაბარდინის პალტო ეცვა და თავზე ბერეტი ეხურა. კუპედან მას დიდი თავახიანობით მოაწოდეს ჩემოდნები. მან ძლივს მოასწრო მათი ჩამოღება საფეხურიდან, რომ მატრებელიც დაიძრა. გოგონა იდგა ჩემოდნებს შუა და ცნობისმოყვარეობით ათვალერებდა ირგვლივ მყოფთ.

ოლდაკს ხელი წაჰკრეს: რას უდგახარ, ვაინძერიო!

პორუჩიკმა ბრბო გაარღვია, წინ წამოდგა და მიესალმა ახალგაზრდას.

— ეს თქვენ ბრძანდებით?.. — და თან ჩაახველა, ლელვისაგან ყელი გაუშრა და ხმა ჩაეხლიჩა. — პანი კაპიტნის მეუღლე?

— დიახ. — უპასუხა მან ახალგაზრდა წკრიალა ხმით. — ეს კი დედაა ჩემი. გაიცანით.

პორუჩიკმა დედაბერს ხელზე კოცნა აღუბეჭდა. შემდეგ მან თავის დაკვრით მიმართა ახალგაზრდას.

— მოგესალმებით, მოგესალმებით, პანი კაპიტნის მეუღლეს.

ახალგაზრდა ქალმაც ხელი გაუწოდა. პორუჩიკიც დიდი ხარ-ზეიმით დაეწაფა მის ხელს და დიდხანს ტუჩებს არ აცილებდა.

— მთელი გულით! — უთხრა მან და

მიიღო სწორება, თან ერთხელ კიდევ გაიმორა: „მთელი გულით! ყნვენი მუდამ შევინახავთ და ყოველთვის კმაყოფილებით კაპიტნის უკვდავ ხსოვნას! ყველა ჩვენთაგანი თავს თვლის მის ჯარისკაცად, — არწმუნებდა პორუჩიკი.

ქალს გული აუჩუყდა. ოდნავ წინ წამოწეული ნიკაპი ნერვულად აუკანკალდა, თვალელები დაეცვარა.

— გმადლობთ. — წაილულლულა მან.

— ახლა შენ, ალა, გაისმა ხმა ხალხში.

პანი იოჩისის ქვრივთან თაიგულით ხელში მივიდა გამხდარი, პატარა გოგონა. მან რამდენიმე სიტყვა წაიწროპინა და ყვავილები გადასცა კაპიტნის მეუღლეს. აქ კი კაპიტნის ქვრივმა უკვე ვეღარ შეიმაგრა ცრემლები. ქალები უმალ მისცივიდნენ მას, რიგრიგობით აწყნარებდნენ და ანუგეშებდნენ. მათდამი პასუხად გაისმოდა მხოლოდ ქვრივის ქვითინი.

დედა იქვე გვერდით იდგა, მოლუსული, გაღიზიანებული.

— გეყოფა, გეყოფა, მალგოსია, — ამწვიდებდა ქალიშვილს.

ქალები ცრემლს იწმენდნენ.

ოლდაკმა ბიჭებს ჩემოდნებზე უჩვენა. ისინიც მორჩილებით მისცივიდნენ ბარგს. თვითონ ქვრივს გაუყარა ხელი და წინ წაიყვანა. უკან ბოჭანელების ჯგუფი მიჰყვებოდა. ბოლოს მოდიოდნენ ბიჭები, რომლებსაც ჩემოდნები მოჰქონდათ და მალგოყატას დედა.

— მე ვიყავ კაპიტნის მეგობარი. — ამბობდა ოლდაკი — ჩვენს დივიზიაში უკეთესი ოფიცერი არ იყო. ჯარისკაცები მას აღმერთებდნენ. ის მე ხშირად მესაუბრებოდა თქვენზე.

ქვრივმა ხელისშურგით ცრემლი მოიწმინდა.

— მაგრამ, მე რატომღაც მეგონა, — მორიდებით შენიშნა პორუჩიკმა, — რომ თქვენ ბევრად ხნიერი იქნებოდით.

ქალს გაეღიმა.

— არც ევრე ახალგაზრდა ვარ. სულ

ოცდაერთი წლისა გახლავართ და ამდენი ამბის გადატანა მომიხდა...

უცებ ქვრივი შედგა, პროცესიაც შეჩერდა.

— მაგნოლიები, — წაიჩურჩულა მან და დააშტერდა მიგრებილ-მოგრებილ ტოტებზე შეყვითლებულ ფოთლებს, თან გაეღიმა: როგორ ჰყვავიან, არასდროს არ მინახავს.

ხალხში მითქმა-მოთქმა შეიქმნა: „იციინს?“ — „იციინს“ — „რას ამბობს?“ — „ამბობს, მაგნოლიებიო“ — „მაგნოლიებიო?“ ყველა გაოცდა — რა ემაგნოლიებაო.

ქვრივი მოტრიალდა, ღიმილიც გაქრა მის სახეზე. — მამატიეთ, — წაიდუღუნა დარცხენით. და გზა განაგრძო, მხოლოდ დაუმატა:

— ზიგმუნტი მწერდა, რომ ამ აღვილებში მაგნოლია ხარობსო.

შემდეგ ამაზე აღარ ყოფილა საუბარი.

კოსტიოლის იქით ოლდაკმა ქუჩის კუთხეზე მიკრული ფიცრის აბრა დაანახვა.

— ხედავთ?

ქვრივმა კინალამ წამოიყვირა. კაპიტან იოჩისის ქუჩა. განცვიფრებული, თითქმის შეშინებული უცქერდა წარწერას. წამის შემდეგ სახე შეეცვალა, გამომეტყველება შეურბილდა, ნიკაპი როგორღაც შიგნით შეეწია, თითქოს ნაკლებ წამწვეტებულიც ჩანდა, პირი გავლო ღიმილისგან. ხალხი კვლავ აჩოჩქოლდა: „აჰა, ხედავთ?“ — „უზარია, ქმრისთვის რომ პატივი უციათ“ — „აი ესღაა ქვრივის ბედნიერება“ — შენიშნა ვიღაცამ ფილოსოფიურად.

ბოლოს, როგორც იქნა, აჩვენეს სახლიც, რომელშიც მან უნდა იცხოვროს — ორსართულიანი ქვიტიკრის შენობა მავთულის ბადით შემოღობილი ბაღით. ოთხი ოთახი ავეჯით იყო გაწყობილი, სამზარეულო ქვაბებით, საკუჭნაო ტაბურეტებით. სახლის უკან მთელი მეურნეობა დახვდა: საჯი-

ნიბო, თავლა, გომური, ცოტადენი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, შტონის სანაგვე, წესიერად დაჩერხილუ შუშა და ფაბრიკის დაღდასმული აგურაკებით გამოტენილი ფარდული. ხალხი ოთახებში ისე დადიოდა, როგორც საკუთარ სახლში. ყველაფერს ათვალეირებდნენ. იქაურობა აიკლეს, გააქუჭყიანეს, იხედებოდნენ კარადების უკან, კედლებზე აკაყუნებდნენ. დედაბერი განერგულებული გავიდა სამზარეულოში ცეცხლის გასაჩაღებლად. მალგოაკატი კი დარეტიანებულივით ჩემად იჯდა სავარძელში. გასაფათებული ისმენდა სანუგეშო სიტყვებს. ბოლოს და ბოლოს პორუჩიკმა ოლდაკმა მოახერხა საზოგადოების გაყვანა. თვითონ თავი თავაზიანად ეჭირა — პორუჩიკს ცხოვრებაში ბევრი რამ ჰქონდა ნანახი. გამოთხოვებისას ქვრივის უთხრა:

— თქვენ შეგიძლიათ მეურნეობის შემოსავლით იცხოვროთ, გნებავთ სამსახურიც დაიწყეთ. ჩვენ ფოსტას ვხსნით.

— გინდათ?

— მინდა.

— ასეთი ახალგაზრდა ბრძანდებით და უკვე ასეთი მწუხარება გადაიტანეთ... მაგრამ თქვენ აქ გყავთ ერთგული მეგობრები.

— ვიცი.

— ყველა ის ქალი, ვინც თქვენ შეგხვდათ, ჩვენი პოლიციის სამხედროების ქვრივებია. იოჩისის ხალხი თქვენ პატივს გცემთ ისევე, როგორც თქვენ მას. თქვენ რომ დაგეთანხმდებოდეთ, აგირჩევდით მეზობლოთა კავშირის გამგეობაში. ჩვენ გვჭირდება ხალხი, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს, იოჩისის ქვრივი — ეს იქნებოდა ჩვენთვის გარანტია, იმისა, რომ...

— დიახ, — შეაწყვეტინა მან. — მე თანახმა ვარ.

— მაშ, ასე, ნახვამდის, გეამბორებით ხელზე, ნახვამდის.

პორუჩიკი წავიდა.

ამის შემდეგ პორუჩიკი აქ იშვიათად გამოჩნდებოდა, აუცილებელი შემთხვევის გამო თუ შემოვივლიდა. ასევე სხვებიც. პატივისცემის ნიშნად იოჩისის ქვრივისაგან თავი შორს ეკირათ. ის იყო ლუბოკანელების სიამაყე, რომ იტყოდნენ, „პანი კაპიტნის მეუღლე“, თვითვე უღმა უკვე იცოდა, ვისზე იყო ლაპარაკი. მათ ხელს, არ უშლიდა რომ იგი ახალგაზრდა და ლამაზი იყო. პირიქით, ეს მისი მოულოდნელი ელვარება მათ თვალში ქვრივს ხდოდა მოვარაყებულ ხატებად. ასეც ამბობდნენ: „ეს ქალი წმინდანია! წმინდანია!“ ყველას კი ამაში არწმუნებდა პორუჩიკი ოლდაკი და ისინიც ეთანხმებოდნენ, თვით ქსენზიც! კი. ქვრივი განაგებდა ფოსტას. დამხმარედ ჰყავდა ცალუხა ვინდაკი — ქმრის ყოფილი შიკრიკი. როდესაც ეს ინვალიდი ლუკვიდან წერილებს მოიტანდა, სმენაზე გამოეკვიმებოდა ხოლმე კაპიტნის მეუღლეს.

— კაპიტნის მეუღლე, ხო-ხო! — უყვებოდა ქალებს, — რა კეთილშობილია! არასდროს არ გაწყენინებს. „იღე, მეუბნება, მსროლელი ვინდაკ, დალიე! „მეკი: „ნება მიბოძეთ, მადლობა გადაგიხადოთ, პანი კაპიტნის მეუღლე, ვემსახურები სამშობლოს! სამშობლო მისთვის ყველაფერია. ზედგამოჭრილი კაპიტანია.

არც ერთი საზეიმო სხდომა არ შედგებოდა ქვრივის დასწრების გარეშე, მართალია, თვითონ სიტყვით არასდროს არ გამოდიოდა. ჩვეულებრივად გაუნძრევლად იჯდა პრეზიდენტში და უსმენდა, შესაძლებელია მაშინ ფიქრები იპყრობდა, ქვრივი ქალის სევდიანი ფიქრები. ხანდახან დარბაზში რაიმე მიიქცევა მის ყურადღებას, სახეზე ღიმი გადაურბენდა და უმაღლე გაუქრებოდა. მიმართავდნენ ორატო-

რები, იგი მოჰყავდათ მავალითად; „როგორც ის გმირი კაპიტანი ნეტარის მეუღლე ჩვენთან ეხმარება: მან წინააღმდეგ ჩვენს სუსხიან პიონერულ ცხოვრებას... ჩვენთან ერთად ქმნის... ის მუდამ ჩვენს გვერდით არის პოლონეთის მიწის საზღვარზე.“

როდესაც ვინმე თავის დროზე არ გადაიხდიდა გადასახადს, დადებული ხელშეკრულებით ვალდებულებას არ შეასრულებდა, არ ჩააბარებდა გადასახადს ან, საერთოდ, ვინმე რაიმე საქმეში ჩამორჩებოდა, კრებებზე ატყდებოდა ყვირილი:

— მაშ მამისთვის ვიბრძოდით? რისთვის დაიღუპა კაპიტანი იოჩისი, თუ შენ პატივს არ სცემ დედასამშობლოს? აი, შეხედე, აქ ზის კაპიტანი იოჩისის ქვრივი! შეხედე მას თვალეში, აბა, თუ გაბედავ!...

ვერავინ ჩამორჩენილთაგანი ვერ ბედავდა კაპიტნის ქვრივის თვალეში შეხედვას. ქვრივი იჯდა მღუმარედ, ზოგჯერ — სახეზე აღმური გადაჰკრავდა, უფრო ხშირად — ცარცივით ფითრდებოდა.

ქვრივს საღამოებზე იწვევდნენ. ლუბოკანელები ისე ცეკვავდნენ, რომ სამიკიტნოს იატაკი ილუნებოდა. ქვრივი კედელთან მერხზე იჯდა დღეებსა და დედამთილებს შორის. აზრად არავის არ მოსდიოდა, რომ ისიც გაეწვიათ საცეკვაოდ. მხოლოდ ერთმა, დალაქმა პეტრამ, ყოფილმა კაპრალმა, ამჟამად ჩვეულებრივმა ლოთმა, როგორცაა გაბედა მასთან მისვლა.

— ხომ არ ინებებს კაპიტნის მეუღლე ხტუნვას ჰა? ეს, ცოტა რომ უკეთესი ფრაკი მეცვას! — მოწყდი თავიდან! — უჯიკავებს დედაკაცებმა. — ვერ უყურებთ ამ ლაზღანდარას: სწორედ მაგ გატყავებულთან იკადრებს ცეკვას კაპიტნის მეუღლე!...

მაღგოკატა დაბნეული თვალეებით მიშტერებოდა მოცეკვავე ბრბოს. გრივლებდა მახურკა — ხალისიანი, თავბრუ-

¹ ქსენზი — პოლონეთის კათოლიკური ეკლესიის მღვდელი.



დამხვევი ქუსლების ტყაცუნი, — არეული ფეხის ბაკუნი, მოხშირებული სუნთქვა, სიცილ-ხარხარი გაისმოდა. არყისა და ოფლის სუნით მიძიმდებოდა ჰაერი, თვალი ჭრელდებოდა.

— ქალებო! — ლოთი დალაქი პეტრა უყვიროდა მათ, ვინც კედელთან მიმსხდარიყო, — გიამბოთ ანეგდოტი? ისეთი მლაშე ანეგდოტები ვიცი, რომ მუცელი მოგვეშლებათ!

— დაიკარგე აქედან! — აგდებდნენ ქალები და აღშფოთებულნი ამბობდნენ: — შენ მართლა ნუ ამლაშებ, რეებს რომავ კაპიტნის მეუღლის თანდასწრებით, ე, მაგ ენას მოუკელი, უნდა იცოდე, სად, როგორ იყბედო.

— ანეგდოტი... მლაშე ანეგდოტი... გაჰყვიროდა პეტრა, თან შეერია მოცეკვავეთა ზროვას. — მლა-ა...

დარბაზში არ წყდებოდა ფეხის ბაკუნი. მალგოყატამ თავი ჩაქინძრა, ვილაცამ წაიხურჩულა:

— მიცვალებული გაახსენდა.

მას არ ჰყავდა ახლობელი მეგობრები. ვერავინ ვერ ბედავდა მასთან უბრალოდ შეხვედრას. მას ათვალეირებდნენ, მაგრამ ათვალეირებდნენ შორიდან. ვილაც ჰყვებოდა: თითქო იგი ენახოთ ფანჯარასთან გადმომდგარი, როცა ივარცხნიდა თავის გრძელ ქერა თმას და თან ღიღინებდა. არავის არ სჯეროდა ეს ნათქვამი. ღიღინებდა? მერე რა? საქმე ისაა, რას ღიღინებდა, სამხიარულოს თუ რაიმე სამწუხაროს?

— ო, არა — უპასუხებდა ამბის მთხრობელი. — წყეული ვიყო თუ!.. აი, ასეთნაირად ღიღინებდა: ტა-რა-ტა-რა...

კვირას მარტო სეირნობდა ტყეში. ერთხელ ის მანანის ბუჩქნარიან გორაკზე ასული ნახეს, მაღალ ბორცვზე შემდგარი აკეთებდა ზემკლავს, მერე გამკლავს, შემდეგ წინმკლავს, ბოლოს ხელები ისევ ძირს დაუშვა. ერთი სიტყვით, ასრულებდა ტანვარჯიშს. რამდენჯერმე გადახტა კიდეც, ყირამალაც გადა-

ტრიალდა და კაბა თავზე წამოეხურა, ამაზე ხმამალალი კისკისი რთხიდანვე ატეხა, მანანების თაიგულს მხურსაგმაძა რაკიდან დაბლა რომ ეშვებოდა, უცრად შეჩერდა. ერთ წამს ყური მიაპყრო, თითქოს რაღაცას უსმენდა და ღიმილიც გაქრა მის სახეზე. მან ისევ გული ჩაითხრო, ყური გაიმახვილა. გაჯავრებულმა მანანების კონა მიწაზე დაანარცხა. თავჩაქინძრულმა სახლისკენ გასწია.

მიქროდნენ წლები, გაზაფხულზე აყვავდა მაგნოლიები. პირველი მაისის საზეიმო სხდომაზე იოჩისის ქვრივი პრეზიდენტში იჯდა.

ივლისის თვეში დადიოდა ახლობელ მიწათმოქმედების კოოპერატივში, იქ ეხმარებოდა მოსავლის აღებას. ოცდორ ივლისს უქმე დღეა — ისევ საზეიმო სხდომა. პირველ სექტემბერს იგი მონაწილეობას იღებდა ახალი სასწავლო წლის გახსნაში. საბავშვო გუნდი ასრულებდა სიმღერას კაპიტან იოჩისზე.

ყვითლდებოდა ხეები. გორაკები იმოსებოდა ვეჟანისფერის მანანებით. ქროდა ცივი ქარი. ირხეოდა შიშველი ხეები. ნოემბერში — კვლავ საზეიმო სხდომა: „ჩვენს გულში მუდამ დარჩება კაპიტან იოჩისის ხსოვნა!“ სამთარში გლეხები მარხილების უღარუნით შეკოსრილდებოდნენ ლუბოკის ქუჩებში. ბავშვები თხილამურებზე ანცობდნენ. ფოსტაში, გავარვარებულ ღუმელში ტკრციალებდა ცეცხლის ალი. გაიღებოდა ოთახის კარი და ბოლქვებად გამოვარდებოდა ოხშივარი. ცალფეხა ვანდაკი სვამდა. „პანი კაპიტნის მეუღლე, ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, ესეც, ვაუმარჯოს სამშობლოს — ო-ოჟ!“ საახალწლო მეჯლისზე ქვრივი კედელთან იჯდა, ისევ მატრონებთან ერთად იჯდა მერხზე. უკრავდნენ მაზურკას. დალაქი პეტრა ლაზღანდარობდა. შემდეგ კვლავ გაზაფხული, მოკაშკაშე მზეგზების ამრობა. მაგნოლიები. მაგნოლიები...

ლუბოეში ჩამოვიდა ახალი კაცი, ზოოტექნიკოსი თადეუშ ვენეკი, ის მოდგმით კარჩვეელი იყო, ოცდახუთი წლისა, შავგვრემანი, ტანდაბალი ხმელ-ხმელი და საზრიანი. მან უკვე მოასწრო, გასცნობოდა რამდენიმე პროფესიას. ომის შემდეგ ერთბაშად გახდა ქალაქისთავი მწვანე გურთან მდებარე პატარა ქალაქისა. მერე ნახევარი წელი ციხეში იჯდა. შემდეგ მუშაობდა რეპატრიაციის საქმეთა სამმართველოში. მღეროდა გუნდში, იყო მოლარედ კინოში, ავტობუსის კონდუქტორადაც გახლდათ, ბოლოს ყველაფერი ეს რომ მობეზრდა, გადაწყვიტა, შეესწავლა რაიმე ხელობა. შევიდა სოფლისმეურნეობის ორწლიან სკოლაში მეცხოველეობის განყოფილებაზე, დაამთავრა სკოლა და ლუბოეში ჩამოვიდა პრაქტიკაზე. ქალაქი მას მოეწონა: ლამაზი ბაზარი, აღორძინების ეპოქის პატარა კოსტიოლი შემორჩეული მაღალი ალვის ხეებით. მე-14 საუკუნის ციხის გალენიანი კოშკი.

ერთხელ განიზრახა ფოსტაში წასვლა შობილებისათვის დაზღვეული წერილის გასაგზავნად. გადაწყვიტა, აქ ვრჩებიო.

ფოსტაში, ქალმა მიიქცია მისი ყურადღება. კერძოდ, მისმა ნიკაპმა უჩვეულოდ არა სწორი, ოდნავ წინ წამოწეული მაგრამ ისე მსუბუქად მოხაზულ-მონაკვთული, რომ უცქერი, გინდა სულ ეფერო. ვეხცეკს მოჩვენა, რომ ქალი მას თვალს არ აშორებს. ეშმაკმა წაიღოს, აქ საიდან განჩნდნენ ასეთი ქალები?

მან მოსინჯა მასთან გამასლაათება.

— წერილი ჩქარა მივა?

— როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივად.

— ესე იგი?

— როგორც უფალი შეიწვეა. — უთხრა ქალმა და გაეღიმა.

მისი ხმა ვაჟს მოეწონა.

— თქვენ არ შეგეძლოთ მიგელოთ

ზომები, რომ უფალი აჩქარებულყო? — შეეკითხა ვაჟი კოკობნიკურად. ქალი უცებ ვერ მფუხვდებოდა ხუმრობს, ხო? არასდროს მას არავინ არ გახუმრებია, ქალმა უთხრა:

— ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული.

„მკვებელ მიპასუხებს — გაიფიქრა ვაჟმა — არ ვარგა“. და გასწია გასასვლელისკენ, უეცრად მოესმა ქალის ხმა:

— თქვენ აქაური არ ბრძანდებით?

ვაჟი შეჩერდა.

— არა, ვარშაველი ვახლავართ.

— ო! — წამოიძახა ქალმა გაკვირვებით, მერე ჰკითხა:

— დიდი ხანია, რაც აქ ჩამობრძანდით?

მან უპასუხა. კიდევ ესაუბრა აქეთურზე, იქითურზე. დაპირდა, რომ მივა მასთან და ინახულებს მის ძროხებს, რომლებიც შეუძლოდ არიან:

— მე მარტო ძროხები არ მაინტერესებს, — შენიშნა მან გამომწვევად.

ქალმა გაიციინა. „ზორბაა“ — გაიფიქრა ზოოტექნიკოსმა. მაგრამ იმავე წამს გაკრიულდა კარები და ქალმა უცებ შეწყვიტა სიცილი. „ნერვიულია, — აღნიშნა ზოოტექნიკოსმა, — არ ივარგებს ამის აყოლა“.

მაგრამ კვირას, წირვის შემდეგ ზოოტექნიკოსი მოეშადა მასთან წასასვლელად. ის რამდენადმე სხვანაირად იყო, ვიდრე ყველა აქაური: ეცვა ინგლისური სპორტული ლურჯი ქურთუკი, კარგი ნაჭრისგან შეკერილი, თუმცა საკმაოდ ნაცვამი შარვალი. იგრძნობოდა, რომ ვარშაველი იყო. როგორც კი თვალი მოჰკრა ვაჟს, მალგოყატამ ველარ დაფარა სიხარულის მღელვარება. ჯერ მურაბიანი ჩაი მიართვა, უკრაინული ბორში, შემწვარი საქონლის ხორცი კართოფილის „ფიზით“, ვაშლის წველის ღვინო, ქაბაბი კოწახურით. პანი თადეუში მაღიანად შეეპყროდა, უჭებდა სადილს. პანი მალგოყატა ღვინოს უსხამდა, დასალეველ სთავაზობდა. ვარშაველ დიდკაცებზე უამბობდა ანეკდო-

ტებს. მოხუცი პანი, ქვრივის დედა კი აძვირებული ხმით ჩაურთავდა ხოლმე შიგადაშიგ ქალიშვილის კულინარული ნიჭის შესახებ.

— ეს მან... მან თვითონ...

ძროხებზე სიტყვაც არ თქმულა.

ზოოტექნიკოსი. თადეუშ ვენცეკი ბრუნდებოდა სახლში, ალკოპოლით და საკუთარი ბედნიერებით აღგზნებული. „აი, ქალიც ეს არის!“ — ბჰობდა თავისთვის. — „თუ გინდა საწოლში, გინდაც და მეოჯახებომაში, ცოტა კუშტია. მაგრამ, ღმერთო შეგცოდე, ჩემს სიცოცხლეში, ასე კარგად თავი არსად მიგრძენია, როგორც მასთან. ღვინოს არა უშავს, კარგია, მხოლოდ, შემწვარი, ცოტა მაგარი იყო. მაგრამ არაფერია“.

უცებ შედგა მენჯარავეით.

— ვინაა, რა გვარია? იოჩის? იოჩის! ეს ქუჩაც ხომ ასე იწოდება — იოჩისის ქუჩა. ეს რაღა ჯანდაბაა?

ამის შესახებ სახლში ჰკითხა თავის დიასახლისს. იმანაც ყველაფერი აუხსნა, დაწვრილებით უამბო იოჩისის და მისი მეუღლის შესახებ.

— საქმროს ხომ არ ეძებთ მისთვის? — შეეკითხა მდგმური.

— როგორ თუ საქმროს? მას პირველი ქმარი გმირი ჰყავდა! ეხლა უკეთესს ვის უნდა გაჰყვეს?

— ვის უნდა გაჰყვეს, ვის უნდა გაჰყვეს... — გაიმეორა მან გაგულისებით, — ვის და კაცს, აი თუნდაც მე.

დიასახლისმა კუშტად შეხედა, შეუბღვირა.

— ის არავისაც არ გაჰყვება. იმისიანა გმირის შემდეგ ყველა გამვლელს ვერ წაეპოტინება. მაშინ სირცხვილ-დაკარგული უნდა იყოს, ეს ქალი კი წმინდა ანგელოსია.

„თუ წმინდა ანგელოსია დასვით და ილოცეთ“ — გაიფიქრა გულში გაბრაზებულმა ზოოტექნიკოსმა და დაასკვნა: „ღვინო მკავე იყო“.

მთელ ღამეს ქვრივზე ფიქრობდა. უკოცნიდა წინ წამოწეულ ნიკაპს, ის

კი თვალებს ნაბავდა, ყელადაგდებულ ნეტარებისაგან დნებოდა. მავრად მოხვეულ მკლავებზე აკვდებოდა. ფიანით გამოელეძა, რადგან იფიქრ, რომ ეს სიზმარი არასოდეს არ აღებოდა.

„რატომ არ ახდება“ — აღმოთებული იმეორებდა სამუშაოზე მიმავალი — ახდება!“

ცხელი ღლე იღვა, ზოოტექნიკოსმა ამ ღლეს ბარაქა ვერ დასდო სამუშაოს. დაბრუნდა ქის ცივი წყლით პირი დაიბანა და ქვრივისკენ მოეურცხლა. სიხარულით შეეგება სახემლიმარი ქვრივი. ვაქმა წინადადება მისცა, წასულიყვენ გასასეირნებლად. ქალი ერთ წუთს ჩაფიქრდა, მერე ცოტახანს ალოდინა. დიდხანს ათვლიერებდა კაბებს. ბოლოს, ოხერით ამოირჩია რაღაც — წინწყლებიანი.

როდესაც მათ ბაზარზე ჩაიბრეს, უკან მოუხედეს რამდენიმე ადამიანმა. ვილაც დედაბერი გამომცდელად მიაშტერდა ქალს თვალეში. მათ მოესმათ ვილაცის შიშნარევი ჩურჩული: „ხალხო, ეს რას ჰვავს, იოჩისის ქვრივი უცხო მამაკაცთან...“

ისინი წავიდნენ იმ გორაკისაკენ სადაც მუდამ მარტო დადიოდა იოჩისის ქვრივი. მიდიოდნენ ნელი ნაბიჯით. ღლე იყო წყნარი, დახუთული, სიო არ იძროდა, სუნთქვა სჭირდა. მტვრით დაფარული ბალახი და ბუჩქები უძომროდ იდგნენ, არ ირხეოდნენ.

— აჰ რა შესანიშნავია, არა? — თქვა მალგოკატამ და შეხედა თავის თანამგზავრს ისეთი ჭარბი მიამიტური აღტაცების გამომეტყველი თვალებით, რომ ვაქაცმა დაირცხვინა.

— ხომ, მშვენიერია, — დაეთანხმა ის. — მხოლოდ ძლიან ცხელა.

მან წელზე შემოჰხვია ხელი, მაგრამ მალგოკატამ ნაზად და თავიხიანად მოცილა, თავის გასამართლებლად თქვა:

— ცხელა: მას ეჩვენებოდა, რომ ვილაც უთვალ-

თვალეზდა. მოუსვენრად უჭერდა ვაქს ხელს და თან ემუდარებოდა:

— წავიდეთ აქედან, წავიდეთ.

ისინი გავიდნენ შარავზახე. სეირნობდნენ სურნელოვან ცაცხვების მწკრივში, გზის მოსახვევითან ჩარიგებული თეთრი ზოქინტების ახლოს. აქვე ხედებოდნენ სხვა წყვილებსაც, რომლებიც მათ ათვალეზდნენ გაკვირვებულნი და, თან, გულგატეხილი. გაისმა ოთხთვალას ჭრიალი. მან გვერდით ჩაუარა და გაჩერდა მათგან თხუთმეტ ნაბიჯზე. ოთხთვალადან გადმოხტა დევივით ვაჟკაცი მიწათმოქმედების კოოპერატივის თავმჯდომარე, იოჩისის ყოფილი ჯარისკაცი. მათ წინ ვადაუღვა შარავზახე, გაალაჯა ფეხები, შემოიყარა დონჯი და შიშტერდა. არაფერი არ უთხრა, მხოლოდ რალაც წაიბურღლუნა და ისევ ოთხთვალას შეახტა. ბრახმოჩრეულმა შოლტი გაატყალაშუნა.

ოთხთვალა აკრიალდა და გაგორდა.

პანი იოჩისისამ გადაჭრით თქვა:

— ჩვენი აქ სეირნობა აღარ შეიძლება. მე თქვენ გთხოვთ, წადით, გეთაყვა, — დაუმატა მან მუდარით.

„მამსადაამე, ეს მართალია“. — გაიფიქრა ვაჟმა.

— მხოლოდ ერთი სიტყვა. — სთხოვა მან.

— გისმენთ.

— თქვენ... თქვენ გიყვარდათ თქვენი ქმარი? — მაღოკატამ რამდენჯერმე დააქნია თავი.

— დიახ, დიახ, ძალიან.

— თქვენ არ ფიქრობთ მეორედ გათხოვებას?

ქალი დაიბნა, აზრები აერია, ლოყებზე სიწითლემ ხორხოშად წამოაყარა.

— გათხოვებას? არა. — ქალმა უკან მიხედა, თითქოს მშველელს ეძებდა — არ ვფიქრობ, არ შემიძლია. — შეჩერდა, თავი ჩალუნა და გაიმეორა: არა. — შემდეგ ისევ:

— არა, არა, — და რომ დაინახა, ვე-

ნეცი მიდიოდა, დაუმატა, — მაგრამ...

ვაჟი შეჩერდა:

არქანდელნი
ნიკოლოსოვნი

— რა?

— არაფერი, არაფერი, წადით.

ვენეცი წავიდა. „დაწყველილი ჯურღმული! — ფიქრობდა გულმწყრალი. — ქალთან გავლაც არ შეიძლება“ ბაზარში ზოოტექნიკოსთან მივიდა ვილაც ჭაღარა კაცი ოფიცის ძველ მუნდირში გამოკვალთული, განსხვავებული ნიშნების გარეშე, მას უკან ზურგში ამოსდგომოდა ორი კუნთმაგარი ბიჭი, სპორტულ მაისურებში გამოწყობილი. ჭაღარას შუბლზე ოფლი დვართქაფად ჩამოსდიოდა, მაგრამ მუნდირის ყველა ღილი მაინც კქონდა შექრული. მან ქუსლი ქუსლს შემოაკრა.

— თქვენ ბრძანდებით ამხანაგო ინენერი ვენეცი?

— მე გახლავართ.

— თადარიგის პორუჩიკი ოლდაკი.

ორივემ ერთმანეთს თავი დაუკრა. პორუჩიკმა შუბლზე ოფლი მოიწმინდა და მუნდირის ფოლაქებზე ხელი აისვდაისვა.

— მე მინდოდა, ამხანაგო, მიმეთითებინა იმაზე, რომ თქვენი საქციელი სასურველია ტოვებდეს უკეთეს შთაბეჭდილებას.

— ჩემი საქც...

— დიახ, დიახ, ამხანაგო! თქვენ, ამხანაგო, ნუ თითლიბაზობთ და ნურც დიდად გაოცდებით. თქვენ სეირნობდით ხელიხელ გაყრილი ამხანაგ იოჩისისთან? იცით თქვენ თუ არა, ამხანაგო, ვინ არის ამხანაგი იოჩისისა? გმირი — კაპიტნის ქვრივია, ამხანაგო. აი ეს აბრა, გთხოვთ კარგად შეხედოთ და წაიკითხოთ. თქვენ კი, ამხანაგო ცდილობთ, ლაქა მოსცხოთ მის ღირსებას ლუბოქანელების თვალში! სახელი გაუტეხოთ, თავი მოსჭრათ საქვეყნოდ. პანი კაპიტნის მეუღლე — ეს სიტყვა „პანი“ მოულოდნელად წამოისროლა. — პანი კაპიტნის მეუღლე ჯერ არავის არ შეხვედრია. ჩვენ არ დავუშვებთ მისდამი

მგავს მოურიდებელ ქცევას. ჩვენს ქალაქში ვგ ვარშავული ლაზღანდარობა არ გავა!

— დამანებეთ თავი! — შეუყვირა ზოოტექნიკოსმა, — მე მინდოდა მისი ცოლად შერთვა!

პორუჩიკი შეერთა.

— ცოლად შერთვა?

— დიახ.

— თქვენ ელაპარაკეთ მას ამის შესახებ?

— ელაპარაკე.

— და მერე.

— უარი მითხრა. — უნებლიეთ გამოტყდა ზოოტექნიკოსი. პორუჩიკმა ჩაიციხა.

— აი ხედავთ, ამხანაგო. იმიტომ რომ თქვენ, ამხანაგო ანგარიშს არ აძლევთ საკუთარ თავს, თუ ვინ არის პანი კაპიტნის მეუღლე. ეს ფიგურაა. პერსონა. თქვენ კი... ამხანაგო ინტინერო, აქ საკითხი პოლიტიკურია. დიახ, ეს ესეა! თქვენთვის უკეთესი არ იქნება, ამხანაგო დაინტერესდეთ ჩვენებური რომელიმე ქალიშვილით? მე მზად ვარ გაგიწიოთ დახმარება. გინდათ დღესვე წავიდეთ მირსკში? მე შემძლია გაგირიგოთ შესანიშნავი ქალიშვილი თქვენი ღირსი. მას წელიწადში გამოიმუშავებული აქვს ოთხასი შრომადღეს სიმდიდრეა, განძი, ამხანაგო.

ზოოტექნიკოსი შოტრიალდა და წავიდა, სიტყვაც არ დაუძრავს. ერთი კვირის შემდეგ ის გაემგზავრა მირსკში. დაბრუნებისას ორჭოფობდა. ქალიშვილს არა უშავდა რა, ახალგაზრდა, ზორბა, ჯანიანი, გათხოვებისთვის გიყვება, ოთხასი შრომადღე ნამდვილად აქვს გამოიმუშავებული ყოველწლიურად. მაგრამ, ეს მაინც ის არ არის. მართალია, ღვინო მყავე აქვს, სამაგიეროდ, ლეოვური ღვეზელები იყო შესანიშნავი, გემრიელი.

გავიდა სამი კვირა და ზოოტექნიკოსი ლუბოჟანიდან სადღაც გაქრა, იგი მირსკში დაბინადრდა.

ვენეციის წასვლის შემდეგ პანი იოანისის ქვრივი უფრო ნაკლებად გამოდიოდა ხალხში, ვიდრე წინსთ მოსტიდან პირდაპირ შინ მიდიოდა. ყოველგვარი საყიდლებისათვის მოხუცი დედა დადიოდა. იყო შემთხვევა, როდესაც კაპიტნის მეუღლეს თვალს მოჰკრავდნენ ფანჯარაში და ისიც მაშინ, როდესაც თავის გრძელ ქერა თმებს ივარცხნიდა. მაგრამ უკვე აღარავინ არ ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ვარცხნის დროს იგი ღიღინებდა. მხოლოდ მკერავ ქალს კოპჩინსკაიას, რომელმაც სამი ქმარი დამარხა, შეეძლო დაეტრამახებინა პანი იოანისისთან ხშირი სტუმრობა: იყო მასთან და დაუტოვა ორი საკაბე: ჩაღიფერისა, მოკლე სახელოებით, ისეთი გულშეკრდომოვდილი, რომ ქვრივს არ შექაფერის.

სასწავლო წლის გახსნასთან დაკავშირებით, რამდენიმე ხნით ადრე, პანი იოანისისთან მივიდა პორუჩიკი ოლდაკი.

— პანი კაპიტნის მეუღლევ, თქვენ იცით, თუ რა გრძნობით ვარ თქვენდამი გამსჭვალული, — დაიწყო მან.

პორუჩიკიც და კუთხეში სავარძელში ჩამჯდარი მუხუცი დედაც, გაოცდნენ ქვრივის უხეში, მკვახე პასუხით:

— ვიცი! ვიცი!

მაგრამ იმავ წამს, თითქოს სული მოითქვა და გამაგრდაო, შშვიდად. ოღონავ აკახკალებული ხმით შეეკითხა:

— თქვენ რატომ არასდროს არ შეძახით შალგოკატას? მე ხომ მაქვს ჩემი სახელი, თქვენ კი მხოლოდ „კაპიტნის მეუღლევ“ და „კაპიტნის მეუღლევ“...

— იმიტომ, რომ მე... იცით რა, თქვენ ჩვენთვის ყოველთვის დარჩებით კაპიტნის მეუღლედ. ჩვენ არასდროს არ დაგივიწყებთ...

— კარგით, გეყოფათ, — შეაწყვეტინა ქალმა, — თქვენ ალბათ ჩემთან საქმეზე მოხვედით?

— დიახ. შესანიშნავი ღვინოა, — შენიშნა უეცრად, — თაფლის პურიც — საუცხოოა. თქვენ თითონ?

— დიახ მე თვითონ! მე ყველაფერი მეხერხება! მეურნეობაც, სამზარეულოც, ვუკრავ ბანჯოზე. თქვენ არასდროს არ მოგისმენიათ?

პორუჩიკი დაიბნა.

— არა, არ მომისმენია.

— ზიგმუნტი ხშირად მთხოვდა ხოლმე: დაუკარი, მას მოსმენა უყვარდა.

— დიახ, — უთხრა ოლდაკმა. — კაპიტანი საყვარელი ადამიანი იყო. სწორედ ამის შესახებ მინდოდა თქვენთან მომელაპარაკა.

ქვრივს ნიკაბი გაუქვავდა.

— გთხოვთ.

— ჩვენ დიდი ხანია განვიზრახეთ, კიდევ რაიმე გავაკეთოთ კაპიტანის ხსოვნის უკვდავსაყოფად. აი კიდევ მოგვეცა შემთხვევა...

— კულტურის სახლი? — მიუხედავ ქვრივი.

— დიახ. გვინდა კულტურის სახლს მივაკუთვნოთ მისი სახელი. ეს უკვე გადაწყვეტილია. აბრაც გამზადებულია, ისე რომ, გთხოვთ პატივი დაგვდოთ თქვენი დასწრებით. წარმოითქმება სიტყვები, უთქვენოდ შნო არ ექნება არაფერს. გეთყვია, არ დაგავიწყდეთ: სრულ ხუთზე იქნებიან ბავშვები, დღეგაციები, შეიძლება სამოურავოდანაც ვინმე ჩამოვიდეს. თქვენც მობრძანდებით? ხომ თქვენც მობრძანდებით?

— მოვალ.

მალგოჯატა პორუჩიკთან ერთად ეზოში გამოვიდა. აქ, აკაციის ფოთლებს დაუწყო სრესა, თან შეეკითხა:

— ეს მართალია, რომ... პანი ენცეკმა?

— რომ ცოლი შეირთო? მართალია. შეირთო მაცევესკაია. მაშ, არ დაგავიწყდებათ?

— არ დამავიწყდება.

ქვრივმა ეს სიტყვა თითქმის წამოიყვირა. არბინა კბეები და სახლში შევარდა. პორუჩიკს მოეჩვენა და თითქოს მოესმა კიდევ გამბული ქვითინი.

იგი ერთხანს იღვა გაშეშებული, არ

იცოდა, რა ექნა. ბოლოს ხელი ჩაიქნია და წავიდა.

მეორე დღეს ქვრივს ამზოდ უცდიდნენ. მეექვსე საათი დაიწყო, მაგრამ კაპიტანის შეუღლე არსად ჩანდა. ყველა უკვე შეგროვდა. სამოურავოდან ვილაც ამხანაგიც კი ჩამოვიდა. მოვიდნენ დღეგაციები, ბავშვები, ლუბოქანელი საზოგადოება, ყვავილნარში დარკობილ ანძასთან იღო თეთრ-წითელი დროშა—ეს დროშა ანძაზე პანი იოჩისისას უნდა აეწია. ხალხი აყაყანდა. „დაიწყეთ“, ელნი გურიდან მოწვეული რკინიგზელთა ორკესტრი თავის ადგილზე მოუთმენლად ცქმუტავდა, მზეზე აბრწყვიალებულ ინსტრუმენტებს უთავბოლოდ აჭყვირებდნენ.

პორუჩიკმა გადაწყვიტა, წასულიყო და დაეჩქარებინა პანი იოჩისისა. ცნობილია, ქალი გადაჰყვება მორთვა-მოკაზმულობას. პორუჩიკს ცოტაოდენ აწუხებდა გუშინდელი მათი საუბარი. ქვრივის სახლთან შემოხვდა ქსენზი.

კარი გაუღო დედაბერმა. პორუჩიკმა გაბედა დაუშვებელი უბოდიშობა.

— რა დაემართა ჩვენს კაპიტანის მეუღლეს? საათი დაკარგა თუ რაშია საქმე? მთელი პოვიატი მას უცდის.

დედაბერს ხელები აუქანკალდა.

— მალგოსის უცდიან? მალგოსი არ არის. ის არ არის.

— არ არის. წავიდა. გუშინ საღამოს.

პორუჩიკმა დამძიმებული ხელები დაბლა დაუშვა, მან ერთბაშად თავი მობერებულად და უძლურად, გამოჩერჩეტებულ ღრმა მოხუცად იგრძნო.

— სად წავიდა?

— ეროცლაეში.

— დიდი ხნით.

— სამუდამოდ. ასე თქვა. სამუდამოდ დედიკო, მე შენ მოგწერო, მითხრა, დედიკო და ჩამოდიო. ყველაფერი მიატოვე, მეუბნებოდა და ჩამოდიო...

ოლდაკი ჩამოჯდა მერხზე და ხელები თავზე შემოივლო...

— რისთვის? რისთვის? — იმეორებდა პორუჩიკი, — ჩვენ ის ისე გვიყვარდა. ისე ვცდილობდით მისთვის. მისი ქმრის ხსოვნისათვისაც... და ყველაფერი...

— არ ვიცი, — ამბობდა დედაბერი. — არ ვიცი. მითხრა: მიატოვე ყველაფერი, დედიკო, ყველაფერი მიატოვე, მე არაფერი არ მინდაო.

დედაბერი თავის კანკალით იმეორებდა ერთსა და იმავეს:

— არაფერი, არაფერიო.

— ღმერთია მისი შემწე. — ძლივს გამოწურა სიტყვა ქსენზმა, — ქვრივობის მშველელი.

დედაბერი მოუბრუნდა პორუჩიკს.

— თქვენთან უკაცრავად.

თადარიგის პორუჩიკი ოლდაკი და ქსენზი ჩუმად მიდიოდნენ მხარდამხარ. ჩამუქებული, სიმწვანედაკარგული ხეები დაპყურებდნენ ზემოდან. მხოლოდ ვერხვის ხშირი ფოთლები ლიპლიპებდნენ მსუბუქი სიოს ნელი შეხებით და ისე ციმციმებდნენ, როგორც ბენგალიური შუშუნები. ქსენზმა მთელი გულმკერდით ჩაისუნთქა: მას უყვარდა ეს პეიზაჟი, მოასვალტებულ შარავზაზე ჩამწკრივებული ცაცვის ხე-

ები, გზის მოსახვევთან ჩარიგებული თეთრი ბოქვინტები, მანანით დაფარული გორაკი, გადაღმა ფერდობზე ახლად ამოყრილი ფიჭვის ტყე, რომლის ძინთის სურნელებაც აღწევდა გამოღმა მხარეს.

უცებ ქსენზი შეჩერდა. მან აშკარად დაინახა ხელიხელ გაყრილი ორი ფიგურა, მალულად რომ ადიოდნენ გორაკზე. პო! ქალს ეცვა თეთრი კაბა, ვაჟს, — კუმბოკრული ფერადი ხალათი.

— სირცხვილო, — წაიჩურჩულა ქსენზმა, — ეს პეტრას გაპყოლია ცოლად, ვაი სირცხვილო. — გაიმეორა მან. — პორუჩიკო; ეს ყოვლად დაუშვებელია. ჩვენი ვალია... წამოდი!

პორუჩიკმა ქსენზს ხელი წაავლო.

— მოვეშვათ, — წამოიძახა მან ჩახშული ხმით. — არ არის საჭირო.

ქსენზმა მხრები აიჩეჩა.

— მოვეშვათ, — ენერგიულად გაიმეორა პორუჩიკმა.

— დიახ, თქვენ მართალი ხართ, — დაეთანხმა ქსენზი. გზადაგზა რამდენჯერმე მოტრიალდა მათ დასაზვერად, მაგრამ ვეღარ დაინახა. მათ მოასწრეს, მოპტარებოდნენ გორაკს.

თარგმანი პოლონურიდან

მის. ყვარძელაშვილისა



იანი ღა მარია

იანის წასაყვანად ოცდაათ მარტს მოვიდნენ. სუსხიანი, თითქმის ჯერ კიდევ ზამთრის დილა თენდებოდა. მეზობელი სახლის სახურავზე ვერცხლისფრად ბრწყინავდა რთვილი.

პოლიციის სამი მაძებარი უსიტყვოდ, მეთოდურად აფორიაქებდა ბინას. ზონზროხი პოლიციელი კარს აეთარა. მისი მსუქანი სახე სრულ გულგრილობას გამოხატავდა.

ჩვეულებრივზე უფრო გაფითრებული იანი უხმოდ მიყრდნობოდა კედელს, შეწუხებული ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ ისროდნენ მოსულნი კარადიდან ტანსაცმელს, იჭექებოდნენ მაგიდის უჯრებში, ატრიალებდნენ ლოგინს. მას ეკვიც არ ეპარებოდა, რომ დააპატიმრებდნენ. კარგა ხანია გავიდა ის დრო, როდესაც მხოლოდ იმისათვის მოდიოდნენ, რომ დარწმუნებულიყვნენ, შინ არის თუ არაო, დაპატიმრება კი იმაზე იყო დამოკიდებული, აღმოაჩენდნენ თუ არა არაღვგალურ ლიტერატურას, პროკლამაციებს, აკრძალულ გამოცემებს. მაშინ ისინი კიდევ ეძებდნენ დანაშაულის დამამტკიცებელ საბუთს. მას შემდეგ, რაც მან ექვსი წელი საპატიმროში გაატარა, მას აპატიმრებდნენ ყოველგვარ ხელსაყრელ შემთხვევაში, თითქმის გაუჩხრეკავადაც კი, ყოველგვარი კანონმდებლობის გაუთვალისწინებლად, — ამისათვის არაერთარი საჭიროება არ არსებობდა.

იანი შეშფოთებული იმის გამო კი არ იყო, რომ დადგა ოცდაათი მარტი და მოვიდა დრო ყოველწლიური „ნორმალურ“ ჩხრეკისა და დაპატიმრებისა, რაც წინ უძღოდა პროლეტარულ დღესასწაულს. ორი აპრილისათვის დანიშნული იყო საყოველთაო გაფიცვა კრა-

კოეში მუშათა დარბევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად — „ჩქარობენ“, — გაფიცვა იანმა — რა გვეთქმის, მარჯვედ უვარაუდნიათ“. გაფიცვა დიდის ამბით მზადდებოდა, მუშათა რაიონებში ჯერ კიდევ დიდძალი ლიტერატურა იყო გადასატანი. ქალაქში ყველგან უნდა შემდგარიყო მასობრივი მიტინგები.

რამდენიმე დღის წინ, ოცდახუთ მარტს კრაკოეში გაფიცვამ იფეთქა. ახლა მან მთელი ქვეყანა მოიცვა.

კრაკოვის ამბებმა შეძრა პოლონეთი. მრავალ ქალაქში ასეთივე დაძაბული მდგომარეობა იყო. ყველგან სისხლისღვრა იყო მოსალოდნელი. ორი აპრილისათვის დანიშნულ გაფიცვას უნდა გამოემყლაენებია მასების ერთსულოვნება, იგი უნდა გამხდარიყო მრისხანე გაფრთხილება ხელისუფალთათვის.

და აი მოვიდნენ მაძებრები. იანი მალულად ადევნებდა თვალყურს მარიას, რომელიც ახლოს იდგა და გაურბოდა მის შემოხედვას. იგი შეყურებდა დაცარიელებულ კარადას, ანგრეულ ლოგინს, შუა ოთახში დაყრილ თეთრეულს, ტანსაცმელს, წიგნებს, ქოთნებს, მთელ ამ საზარელ ქაოსს, თითქოს ეს აწუხებდა მას ყველაზე მეტად. იანმა იცოდა, თუ რატომ ჰქონდა მარიას ისეთი გამომეტყველება, თითქოს იანი ამ ოთახში არ იყო, მაგრამ იშორებდა მიძიმე წინათგრძნობას.

იანმა წარმოიდგინა თავი საამქროში: ჯერ კიდევ ხმაურობენ მანქანები, მაგრამ ჰაერში უკვე იგრძნობა — გაფიცვის მკაცრი წუთების მოახლოება, რომელიც საყვირის მიცემისას დაიწყება. იანი გასასვლელთან დგას, და სანამ ამხანაგებს დაუძახებდეს, თვალს ავლებს საამქროს, რომელიც სავესეა ჩხარა-ჩხურისა



და დგანდგარის ხმებით. კუთხეებში, შუა გულში, გასასვლელებში მანქანებს შორის დგანან მეგობრები პარტიულ უჯრედის წევრები, რომლებიც ფხიზლად უთვალთვალებენ მას, დათქმული ნიშნის მოლოდინში.

იანი დარწმუნდა ისინი ხედავენ, თუ როგორ სწევს იგი ხელს. აი ახლა დაიყვირებს: „ამხანაგებო, გამოდიო!“

არა, აღარ დაიყვირებს. უკვე ველარ დაიყვირებს.

კარებზე მოულოდნელი ბრახუნისაგან გაღვიძებული ბავშვები, შეშინებული უცხო ხალხის გამოჩენით, გაუბედავად შესცქეროდნენ ხან დედას, ხან მამას. იანმა თვალი მოჰკრა უმცროსი ვაჟის შემოხედვას და შინაგანად შეკრთა: „რატომ მიყურებ ასე, შვილიყო? — გაიფიქრა მან. — საიდან გაქვს ასე პაწაწინას, ასეთი გამომეტყველება? არ გინდა, შეილო, არ გინდა...“ იანმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი, თითქოს რაღაც საიდუმლოს უმქლავებდნო. უფროსი ვაჟიშვილი მისჩერებოდა ხახადადებულ შავ კარადას: იქ უცხო კაცი იდგა, რომელიც ყუთს ჩიჩქნიდა და ზურგს უკან პირდაპირ იატაკზე ისროდა საცელებს, ტანსაცემოს, ფალასფულასებს. მან დამთავრებისას მკვახედ თქვა:

— წავიდეთ!

გაუგებარი იყო, ვის მიმართავდა აქ ბრძანებით. მაძებარს ბოროტ, გაძვალტყავებულ სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა. მან ფეხით მიყარ-მოყარა იატაკზე დაზვევებული ნივთები.

— შერე და რისთვის იყო საქირო ყოველივე ეს? — წყნარად, დაუყვედრებლად წარმოსთქვა მარიამ, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. იგი დაიხარა და საცელების აკრეფას შეუდგა.

— როგორ თუ რისთვის? ეს ჩხრეკაა?

— ვიცი, ვიცი, მესმის! — მარიას ხმაში ახლა გაბრაზება და მრისხანება ისმოდა. — ახლოვდება პირველი მისი!

— პირველი? — თითქოს გაოცდა მაძებარი, მაგრამ იმწამსვე წყნარად დაუ-

მატა. — დიახ, დიახ, ახლოვდება, წავიდეთ.

მარიამ ქმარს შეხედდა ^{მარიამ ქმარს} და უმჯობესად ჩვეულებისამებრ ორი-სამი დღის შემდეგ მოსულიყვენენ, მაშინ იანს შინ ვერ ნახავდნენ.

— წავიდეთ! — გაიმეორა მაძებარმა.

— კი, მაგრამ თქვენ ხომ ვერაფერი ნახეთ!

— მე ვთქვი, წავიდეთ-მეთქი.

— ჩემი წაყვანა ამ ალიაქოთის მოუწყობლადაც შეგეძლოთ. ახლა ცოლმა უნდა ალაგოს თქვენი წასვლის შემდეგ.

— კარგი, კარგი! — მაძებარმა აგდებულად ჩაიქნია ხელი. — გეყოფათ!

ეტყობოდა, ახლა ისინი ძალზე ჩქარობდნენ. იანი მივიდა ბავშვებთან, რაღაც ყოველგვარი სინახის გარეშე, აჩქარებით აკოცა მათ, გაკვრივით შეახო ფართო ხელისგული მათ თავებს, თავშეკავეებით გაუღიმა მარიას და ხმაძალდა თქვა:

— არ იღარდო! დავბრუნდები პირველ მისის, სადამოს.

ქალმა სუსტი ღიმილითვე უპასუხა. მას ძალიან უნდოდა დაეჯერებინა, რომ ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც იანი ამბობდა. ერთხელაც თქვა მან ასე, მაგრამ სხვაგვარად მოხდა...

— მაინც წელს ძალზე აჩქარდით, — თქვა იანმა და შეათვალა იერა მის მოლოდინში მდგარი პოლიციელები.

— კმარა! — ჩაიბურტყუნა გამხდარმა მაძებარმა და ისინი კარებისაკენ გაემართნენ.



წინასამაისო დაპატიმრებები ყოველწლიურად მეორდებოდა. იანის წასაყვანად ზოგჯერ სამ აპრილს მოდიოდნენ, ზოგჯერ კი — ორი დღით გვიან. ხანდახან იგი ახერხებდა პოლიციელების ხელიდან გასხლტომას: წინასამაისო სამზადისის დროს იგი ქალაქში ნაცნობებთან ათევდა ღამეს. გამოცდილების

მიხედვით იანი სახლიდან აპრილის დამდეგს მიდიოდა. მაგრამ ამჯერად პოლიციელები მოულოდნელად ადრე მოვიდნენ. „შეუცვლიათ განრიგი, მაგრამ ეს არაა დიდი უბედურება, — გაიფიქრა შეწუხებულმა იანმა. — ეს არაა მთავარი. შესაძლოა, მათ უკვე იციან, რომ გაფიცვა ორი აპრილისთვისაა დანიშნული“.

მარია მხოლოდ იმაში იყო დარწმუნებული, რომ დადგა ჩვეულებრივი წინასამისო დაპატიმრების დრო. მეორე დღეს მან გაიგო, რომ ბევრი ნაცნობი დაპატიმრებინათ, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებზე ეჭვიც კი არ ჰქონდა, თუ რევოლუციურ მოძრაობას თანაუგრძობდნენ. დაპატიმრებულნი იყვნენ იანის ყველაზე ახლობელი ამხანაგებიც, რომლებიც ოდესღაც იანთან ერთად იყვნენ გასამართლებული. მარია იყო მათთან სახლში და შეიტყო, რომ მძებრები ყველასთან ერთსა და იმავე დროს, განთიადისას მისულიყვნენ. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჩხრეკა მხოლოდ თვალისასახვევად ჩატარდა. მძებრები არაფერს არ ეძებდნენ. მათ მხოლოდ მიყავდათ საეჭვო პირები ანდა ისეთები, რომლებიც უკვე ცნობილნი იყვნენ რევოლუციური მოღვაწეობით, „ბოლოს და ბოლოს-გაიფიქრა მარიამ, — ეს ხომ პირველი არაა. შესაძლოა, კიდევ შემოევლოს ყველაფერს თავი, მათ ხომ არაფერი არ უნახავთ“.

იანი გაცოფებული იყო, რადგან შეეძლო აცდენოდა ამ სულელურ პატიმრობას. რატომ დროზე ვერ მოიფიქრა, რომ პოლიცია გაფიცვის ჩაშლას მოინდომებდა? ისინი რამდენიმე დღით ადრე მოვიდნენ და მოახერხეს ორმავე საქმის გაკეთება. დაპატიმრებულებს ხომ მაისამდე არ გამოუშვებენ. იანი გუნებაში თავს იწყევლიდა და თავჩაქინდრული მიდიოდა დაცარიელებულ ქუჩაზე მძებრებით გარშემორტყმული.

მოხერხდება თუ არა გაფიცვა ასეთ ვითარებაში?

მათი საამქროს ორასი მუშიდან შეიძლება პარტიის წევრი იყო. დროის გან-

მავლობაში ყოველ იმ შეიდეულთაგანს თანამგრძობები გამოუჩნდნენ. მაგრამ განა შესძლებენ ახლა დამოუკიდებლად ამ ამოცანის გადაწყვეტას? თუ ისინიც დააპატიმრეს? წინასამისო დღეები ყოველთვის იყო სავსე გამალებული მოსამზადებელი მუშაობით, სირბილით, არალეგალური ლიტერატურის გავრცელებით, მასობრივ გამოსვლათა ორგანიზაციით, რომელიც იყო პროლოგი დიდი მანიფესტაციისა დღესასწაულის დღეს. მაგრამ წლეულს წინასამისო დრო განსაკუთრებით დამაბული და ტრაგიკული იყო. სულ რამდენიმე დღის წინ მიწყნარდა კრაკოვში სროლა. გაცხარებული მზადება იყო, მან კი საშუალება მისცა ხელში ჩაეგარდნოდათ... „სულელი ვარ, სულელი“. იანმა გაიხსენა ის ნაცნობები, რომლებიც მიიღებდნენ მას და ღამეს გაათევინებდნენ. გუნებაში არჩევანიც კი გააკეთა. ერთ-ერთი სახლი იყო ოგრადოვის ქუჩის ხუთი ნომერი, რომელიც მას განსაკუთრებით საიმედოდ ეჩვენა. მას შეეძლო, როცა უნდოდა დღისით თუ ღამით მისულიყო იქ და შეუშინეველად გამქარაიყო.

წლევანდელი სამისო გამოსვლები ძირითადად უნდა განსხვავებულიყო წინა გამოსვლებიდან. სწორედ ახლა, მას შემდეგ, როდესაც კრაკოვში დაიღვარა მუშების სისხლი, წამოიჭრა აზრი კომუნისტების, სოციალისტებისა და პროფკავშირის წევრების ერთობლივი მოქმედებისა. ეს იღეა ძვირად დაუჯდათ. „ღიახ, — გაიფიქრა იანმა, — ყველა რომ ისეთი სულელი იყოს, როგორც მე, მაშინ დეფენზივა შესანიშნავად წაიმუშავებდა ამაღამ“...



კომისარიატში სიჩუმე და სინათლე იყო. ამ სიჩუმეში კი იმალებოდა შემფოთება, რომელიც ზღურბლის გადაბიჯებისთანავე იგრძნო იანმა. მისთვის ნაცნობი იყო ეს ატმოსფერო, რომლის აღწერას არ შეუძლებელი იგი წყვილი-

დივით მოიყავდა ჯაშუშებით საეცე სადგურებს, მიკვლეულ გამოსაცხადებელ ადგილებს, ტრამვაის გაჩერებებს, სადაც თვითეულს არ შორდებოდა უცხო, აბეზარი გამოხედვა, რომელიც თითქოს სულში იჭრებოდა. იგი არა ერთხელ სუნთქავდა ამ ატმოსფეროთი პოლიციის განყოფილებაში დაკითხვის და ძიების დროს.

ოთახში უცხო არავინ იყო. ხანშიშესული მოხელე, რომელმაც გამოჰკითხა იანს გვარი, სახელი და მისამართი, ნერვიულობდა და არც მალავდა გულფიცხობას. იანმა უცებ მოისაზრა „მუშაობითაა გადატვირთული“.

— მოიხსენიეთ ქაშარი, ჰალსტუხი, თასები, — შეუვალი კილოთი ამბობდა მოხელე. — ცხვირსახოცი... დაუმატა მან ისე, რომ არც კი შეუხედავს იანი-სათვის.

იანი უხმოდ აწყობდა ამ ნივთებს და გულგრილად ისმენდა ამ ბრძანებლურ კილოს.

— ჩქარა! — აჩქარებდა მოხელე.

— კი მაგრამ, როგორ ვიარო უქამროდ? კბილებით ხომ ვერ დავიჭერ შარავალს?

— არაფერია.

— ნუ გეშინიათ, თავს არ ჩამოვიღროზ, მაქვს სასიცოცხლო მიზანი.

— ეს მე არ შეხება. ასეთია ინსტრუქცია. — უცბად მოხელემ ხმას აუმაღლა. — ეს რა ლაპარაკია? პირველად ხომ არა ხართ კომისარიატში? წესები არ იცით?

იანი გაჩუმდა. მოხელემ მიუთითა მორყეული მოაჯირისაკენ, რომელიც ოთახს ორ ნაწილად ყოფდა.

— აქეთ!

იანი წინ წავიდა და კართან გაჩერდა. ოთახი, რომელიც მოხელემ გასაღებით გააღო, გაქვდილი იყო. სადაც ჰერადან გამოსჭვივოდა მცირე სინათლე და ადამიანების სახეები ლანდებივით მოჩანდნენ სიბნელეში. იანმა ვერაეინ ვერ იცნო. ღრმა ჩრდილები ნელ-ნელა გადადიოდნენ უფრო ნათელ ფერებში, რომლებიც მაინც არ აძლევდა სახეებს მათ

რეალურ გამოსახლებას. იანს ესმოდა ადამიანების სუნთქვა, მიწურულებული ჩურჩული, ვიღაცამ სახეზე — ხელი ათფარა, თვალები დაუბნელდა სინათლისაგან, რომელიც შემოიჭრა გაღებულ კარიდან. მხოლოდ დილით, როდესაც პატიმრები მცირე ჯგუფებად გამოუშვეს საპირფარეშოში, მან იცნო ორი ამხანაგი რაიონული კომიტეტიდან, აგრეთვე რამდენიმე ნაცნობიც ნახა, მაგრამ არ გამოლაპარაკებია. ისინიც გარეგნულად გულგრილად იყურებოდნენ. დღის განმავლობაში იანს რამდენიმე შემთხვევითი, არაფრის მთქმელი სიტყვებით გამოელაპარაკნენ. ასე შეეძლოთ ლაპარაკი იმ ადამიანებს, რომლებიც არასოდეს არ იცნობდნენ ერთმანეთს და შემთხვევით აღმოჩნდნენ ერთად. ბოლოს პატიმრები მოჰქანცა დღილობამ სხვისთვის თვალისასახვევად და უკვე აღარაფრის დამალვა აღარ შეეძლოთ. გამოინახა ნამდვილი, ყველა სათვის ახლობელი სიტყვები. ოხუნჯიც კი გამოჩნდა, ერთი იმ ყველგან შემხვედრი მზიარულთაგანი, რომელიც ყოველთვის მზად არის გაიცინოს. გაიხუმროს. იანი იცნობდა პოლიციის კომისარიატებისა და ციხეების ასეთ მუღმიე სტუმრებს — ისინი მოსწრებული ნაკვესებითა და ოხუნჯობით, ხალისიანი ანეკდოტებით ამზიარულებდნენ გარშემომყოფთ. ახალგაზრდა მარჯვე ყმაწვილი პროფესიით ხარატი იყო, მოწოდებით კი შფოთის თავი; იგი, ჩანდა, ხშირად უფრო უსაქმურობდა. ვინემ დაზგასთან იდგა. ახლა იგი რიგრიგობით ხან წივანა გამყიდველ ქალს აჯავრებდა, ხან ძველმანების გამყიდველს, ქარხნის ოსტატს, მეძალღეს და ლოთს.

მის მანქვა-გრეხაში ცოცხლებოდა რაღაც სოფლური ტრადიცია, რომელიც უცვლელად შენარჩუნებულიყო პროლეტარული ოჯახების ყოფა-ცხოვრებაში. იანი იცნოდა ანეკდოტებზე, თუმცა დიდხნის გაგონილი კი ჰქონდა. ეს ანეკდოტები ცოცხლობდნენ ადამიანთა შორის, მეორედობდნენ წლითიწლობით უმნიშვნელო ცვლილებებით,

მას ყვებოდნენ ვარშავის, ლენჩიცის, ვრონეჟის საპატიმროებში, მათ მონაყოლში გმირების გარეგნობაც კი უცვლელი იყო. ერთი გმირი ყოველთვის მალაი იყო, მეორე — ჩხირივით გამხდარი, მესამე — ჯმუხი, დაბალი და კასრივით მსხვილი. პირველადი სახისაგან თვით გმირის გარეგნობისაგანაც კი ოდნავი გადახვევა დაუშვებლად ითვლებოდა.

სიბნელეში ხუმარამ მხიარულად წამოიწყო:

— მოგესალმები, კარაქწასმულო პურის ყუაჲ...

დღისით პატიმრებს ნათესაებმა გადასცეს ტობრაკები, ბოჩნები, თუნუქის ჭურჭლები გამთბარი საჭმელით. ამაში გამოინახებოდა არა მარტოდენ ზრუნვა და მოუსვენრობა იმაზე, რათა ისინი მშვიდები არ დარჩენილიყვნენ, უპირველესად ყოვლისა ეს იყო შემოწმება: პატიმარნი ისევ კომისარიატში არიან თუ უკვე ციხეში გადაიყვანესო. სანამ ისინი აქ ისხდნენ, ოჯახი იმედს არ კარგავდა. იანმა გახსნა ბოჩნა — შიგ იდო პური და ძეხვი. ჭაბუკმა ისევ წამიდერა:

— მოგესალმები პურის ყუაჲ...

— მხიარულად ხართ? — შეეკითხა იანი, რომელიც ხანტად ღეჭდა პურს. მან ჭამა დაიწყო მხოლოდ იმიტომ, რომ ასევე მოიქცნენ დანარჩენებიც.

— აბა რა, ნაღვლიანი ხომ არ ვიქნები? — გაოცდა ჭაბუკი, — რასაკვირველია, მხიარულად ვარ!

— მართლა?

იანს მძიმე გამოხედვა ჰქონდა.

— ღმერთმანი, მართლა. ნახეთ რა მოხდება ორი დღის შემდეგ.

— მაინც რა? — იანმა ირონიულად გაიღიმა, მაგრამ იმწამსვე შეჩერდა.

— თქვენ რა მემიტად მოგაქვთ თავი? ვფიქრობთ, რომ ნებას მივცემთ ცხვრებივით გამოგვკრან ყელი? თქვენ იცით, რატომ ვყავართ ჩვენ დაკავებულინი? — სიჩუმე გამეფდა, მაგრამ ჭაბუკმა თავადვე უბასუხა: — ჩვენი გაფიცვა სურთ ჩაშაღონ!

ოთახი თანდათან სიბნელეში მოიცვა. მოულოდნელად ჭერში ~~არჩხილმა~~ ~~მძვრტა~~ ვი ნათურა, გამეფდა ~~ღამის~~ ~~სიჩუმე~~. ჭალაქში მყუდროება ისადგურებდა. კედლის მიღმა მოისმოდა მანძილით დაყრუბული ტრამეის ხმები. პატიმრებმა თვლემდნენ, მაგრამ ისინი მალე გამოაღვიძეს. დაიწყეს ორ-ორი, სამ-სამი კაცის გამოყვანა.

— გვანთავისუფლებთ? — შეეკითხა ჭუმარა.

კომისარიატი აივსო შეიარაღებული პოლიციელებით, პატიმრებს ერეკებოდნენ. კომისარმა აშკარა დაცინვით უბასუხა ჭაბუკს.

— განთავისუფლებთ, — პაუზის შემდეგ დაუმატა: — დანილოვიჩოვის ციხეში.

* *

გავიდა ორი აპრილი. გაფიცვის ნაცვლად, რომელსაც მთელი ქვეყანა უნდა მოეცვა და მთელი დღე გაგრძელებულიყო, იფეთქა ერთსაათიანმა შეტაკებამ, ისიც მხოლოდ დიდ ფაბრიკებში. ამ დროს დაპატიმრებულები უკვე ციხეში იმყოფებოდნენ. საქმის ვითარება მათ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაიგეს ახალმოსულებისაგან. კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა ერთდღიანი გაფიცვა, მიტინგების გამართვა, ქუჩებში მასობრივი დემონსტრაციები. მაგრამ მუშათა ნაციონალური პარტიისა და პროფკავშირების ხელმძღვანელები მთელის ძალღონით ეწინააღმდეგებოდნენ ამას.

— კომუნით ვერ მოგვატყუებთ ჩვენ არ გავხდებით მათი იარაღი!

— საქმე კომუნაში როდია, — უბასუხებდნენ პარტიის წევრები. — საქმე ეხება მოკლულ მუშებს. ჩვენ გამოვალთ ქუჩებში, რათა განვაცხადოთ პროტესტი დანაშაულისა და ძალადობის წინააღმდეგ.

ოპორტუნისზმის მაცნეები მოუწოდებდნენ სიწყნარისაკენ, დაეცვათ დისციპლინა „სიკვდილის სიღიადის წინაშე“ —



საჭიროა შევლევების დაგმობა, — აწყვეტინებდნენ მათ, — დამნაშავეები უნდა დაიხერხიოს.

მარია დაწყნარებით ელოდა პირველ მაისს. გამოცდილებით იცოდა დეფენზივის მეთოდი. ციხის შემდეგაც ხომ არა ერთხელ წაუყვანიათ იანი პირველი მაისისა და შვიდი ნოემბრის წინ, მერე ისევ გამოუშვებდნენ. რიტუალურ მკაცრი იყო! მარიას დაჰქონდა საკმელი, ხანდახან აძლევდნენ ნახვის ნებასაც, რაც ზედამხედველობისათვის განკუთვნილი ხუმრობით მთავრდებოდა. დღესასწაულის საღამოს, როდესაც ხალხის ტალღა ტოვებდა მოედნებსა და ქუჩებს, მარია ციხის კარებისაკენ მიემართებოდა და უცდიდა ქმარს. მას საღამოს ამოკითხვის შემდეგ უშვებდნენ, იმ დროს ქუჩები მსუბუქ ბინდში ეხვეოდნენ...

იანი აჩქარებით მიესალმებოდა ცოლს, ისინი ჩქარობდნენ მალე მოშორებოდნენ კედელს. და, მიუხედავად ყველაფრისა, მხიარულად ატარებდნენ დღესასწაულის საღამოს ერთად. მრავალ წელს მათი შეხვედრა ციხის კარებთან იწყებოდა უწყსრიგო მოყოლით იმის შესახებ, თუ როგორ გავიდა დღე, ვინ დაჭრეს, ვინ დაიჭირეს. მაგრამ ექვს წელს — 1928 წლიდან 1934 წლამდე ასეთი შეხვედრაც კი აღარ ჰქონდათ. მაშინ იანმა ერთი ციხიდან მეორეში ხეტიალით ნახევარი პოლონეთი შემოიარა — ვარშავის მოკოტოვიდან სერაზდის გავლით ჯერ ლენინოცაში მერე ვრონეკამდე და რაივიამდე მივიდა.

პირველ მაისამდე კიდევ სამი კვირა დარჩა, როდესაც მარია ერთ დღეს იმ კარიბჭესთან მივიდა. იგი დიდხანს ალოდინეს, შემდეგ გამოუცხადეს, საკმელს არ მიიღებენ...

— რატომ? — გაკვირვებით იკითხა მან. — მე ხომ ახლახან ვიყავი აქ და მიიღეთ.

— იმიტომ, რომ მაშინ აქ იყო.

— ახლაც აქაა, — თქვა მან, მაგრამ გულმა რეჩხი უყო.

— აქ არაა.

თუნუქით აქედილი კარის ვიწრო

ოთხკუთხედ კუპრუტანაში მარია ხედავდა გულშაგის ყურადღებებს თვალქვს. მას მოეჩვენა, რომ თვალში დასცივრდნენ.

— კი მაგრამ, ის ხომ აქ იყო, — წაიღუღუნა მან.

— ახლა კი აღარ არის! — კუპრუტანა დაიხურა.

მარია საზარელი ფიქრებით დატვირთული დაბრუნდა შინ. იანი ვარშავაში აღარაა... მან ბოლჩა მაგიდაზე დასდო, სცადა მუშაობა — არაფერი გამოუვიდა. ფანჯრის მიღმა ქვის სახლის ირბი ჩრდილი შავი ზოლივით ჭრიდა ეზოს, რომელიც ღრმა ქის ფსკერსა გავდა. სინათლისა და ჩრდილის საზღვარზე მოჩანდა ოქროსფერი მტვერი.

— რატომ მოიტანე ბოხჩა უკან? — გაოცდნენ ბავშვები.

მარია არ პასუხობდა, ფანჯარაში იყურებოდა.

— რატომ მოიტანე ბოხჩა უკან? — გაიმეორა უფროსმა და დაუმატა: — რა უნდა ქამოს მაშამ?

მარიას არ შეუხედავს მათთვის, ისე გაუწოდა ხელი. შეშინებული, გაჩუმებული გაეიშვილები მიეკერნენ დედას.



იანის ძველმა დამცველმა ვეჟილმა — კომუნისტმა შეაგროვა ცნობები. აღმოჩნდა, რომ იანი სხვა პატიმრებთან ერთად პიოტრკოვში გადაეგზავნათ.

— რაშია საქმე? — შეეკითხა გოცებულ მარია.

— როგორ ავიხსნათ? — ვეჟილმა ხელელები გაშალა. — ეს მომხდარი ფაქტია.

— მაგრამ რისთვის? პირველ მაისს იგი ციხიდან უნდა გამოსულიყო. ეს ხომ მხოლოდ პირველი მაისისათვის იყო.

— მხოლოდ?

— იანი აღრე იმიტომ წაიყვანეს, რომ გაფიცვის ჩაშლა უნდოდათ.

ვეჟილი დუმდა.

— პირველ მაისამდე თითქმის სამი

კვირაც არ დარჩა, — ჩაიბუტბუტა მარია.

ვეკილმა უდარდელად შეხედა კალენდარს და მაშინაღორად წარმოთქვა:

— დიახ, ეს ცოტაა.

— კი, მაგრამ რატომ წაიყვანეს?

ვეკილმა უხმოდ დაიწყო კალენდარის გადაფურცვლა, თითქოს მარიას დაეინებული კითხვის პასუხს ამაში ეძებდა.

— ისინი არასოდეს არ მოქცეულან ასე, — არ ცხრებოდა მარია.

— შესაძლებელია, ითვალისწინებენ ახალი პატიმრების დიდ მოზღვევებას.

იგი შეეყოყმანდა, შემდეგ, თითქოს მარიას დამშვიდება სურსო, დაუმატა:

— ვეცდები, შეიძლება ნახვის ნება დაგვრთონ. ვიცი, რომ არავითარი ძიება არ მიმდინარეობს...

— ესე იგი, საქმე მაინც პირველ მაისს ეხება?

— დარწმუნებული ვარ.

— მინდა წავიდე პიოტრკოვში.

მარიამ ქმრის ნახვის ნებართვა მიიღო, თუმცა იმედი არ ჰქონდა. ახლა შეიძლებოდა ეფიქრა, იანის წინააღმდეგ ახალი ძიება არაა დაწყებული — ყველასათვის ცხადი იყო, რომ ძიების დამთავრებამდე ნახვის ნებართვას არ იძლეოდნენ. მაშასადამე, იგი წაიყვანეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვარშავის ციხე ვერ დაიტევდა წინასამართლად დაპატიმრებულებს. რასაკვირველია, მხოლოდ ამიტომ... მარიამ შეიტყო აგრეთვე, რომ იანთან ერთად პიოტრკოვოს ციხეში გადაყვანილი იყვნენ სხვა ამხანაგებიც, რომლებიც ოდესღაც გაასამართლეს მასთან ერთად და მასთან ერთადვე დააპატიმრეს ორი კვირის წინ. მათმა ცოლებმა დატვირთეს მარია ფუთებით, რომელშიაც ღარიბული სანოვაგე ეწყო ქმრებისათვის.

აი პიოტრკოვის ციხის კარებიც. მარიამ რამდენჯერმე გადაიკითხა კედელზე მაღლა მიქედელი აბრის წარწერა: მარშალ იუზეფ პილსუდსკის ქუჩა. სქელი წითელი გაპრიანებული აგურისაგან იყო ნაშენი ციხის კედლები. მაღლა

ოთხრიგად გაეჭიმათ ეკლიანი მეთეული. პატარა ჭიშკარი გაიღო, მარია კარგად გრილი თაღებიანი მისაღწიონ და სანკულარიასი აღმოჩნდა. აქ კიდევ ერთხელ გულდასმით წაიკითხეს ვარშავის სასამართლოს მიერ გაცემული ნახვის ნებართვა.

— გეხალისებოდით ვარშავიდან ჩამოსვლა? — შეეკითხა ქერათმიანი, სპორტული შესაბუნდობის ახალგაზრდა ინსპექტორი, რომელსაც ტანზე მჭიდროდ მორგებული ელევანტური მუნღირა ეცვა.

მარიას არ უბასუხია. გამოჩნდა დაბალი ტანის, ხშირი შავი უღვაშებიანი დარაჯი, გასაღებებს მოაჩხარუნებდა. ფართო წარბების ქვეშედან არაკეთილგანწყობილად უმზერდნენ მარიას მისი თვალები.

დარაჯი უხმაუროდ წავიდა წინ. მათ გაიარეს რაღაც დერეფანი და გისოსისფანჯრიანი ოთახი. მარიამ დაინახა მომცრო ეზოს ნაწილი, სადაც კედელთან რამდენიმე მამაკაცი იჯდა. მამაკაცები გროვად დაყრილ ტირიფის წნელისაგან კალათებს წნავდნენ.

შენობა, რომელშიაც იგი მალე შევიდა, ცარიელი და ცივი იყო. იქ, მოაჯირს იქით იდგა იანი. იგი გაფითრებული იყო. ძლივს შესამჩნევად გაიღმა და თქვა, რომ მარიას გამოჩენამ გააოცა. რამდენი დღე გავიდა დაპატიმრების შემდეგ? მარია თვალს არ აშორებდა ქმარს, არ აწყვეტინებდა ლაპარაკს.

— როდესაც მითხრეს, შეხვედრა გაქვს დანიშნული, ვერ დავიჯერე, რატომ წუხდებოდი? რამდენიმე დღის შემდეგ გამოვალ. არავითარი ძიება არაა.

— ვიცი.

— და მაინც ღელავ.

იანი გაიჟმდა, შემდეგ დაუმატა.

— შენ ალბათ, დაიხარჯე.

— მინდოდა გამეგო, მართალი იყო ყოველივე ეს თუ არა.

— სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ალბათ შეხვედრას არ დაგვინიშნავდნენ.

ისევ სიჩუმემ დაისადგურა.

— როგორ ჩატარდა ჩვენთან?

მარიამ მალულად შეხედა დარაჯს, რომელიც არ შორდებოდა მათ.

— ერთ საათს შეჩერდნენ.

— მხოლოდ ერთ საათს?

— დიახ.

— მე რომ იმ ღამეს სახლში არ გამეთია ღამე, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა.

— არა, არა მგონია, ყველგან ერთ საათს იდგნენ.

— ძალიან იაფად ვადარჩნენ ისინი.

იანმა თავი გადააქნია, გაიწოდა ხელი და ლოყაზე მოუთათუნა მარიას. შემდეგ წყნარად გაიმეორა.

— ძალზე იაფად.

— შენ ხომ იცი, როგორ ახერხებენ ისინი ამას.

— სამწუხაროდ ვიცი, — უბასუხა მან ჩურჩულით, შემდეგ გამოცოცხლებულად კითხვა: — როგორ არიან ბავშვები? მარიამ გაიღიმა.

— შენს სურათს ეთამაშებიან.

— სურათს?

— ძალიან მალა იდგა. ახლა მათ კარადაზე წიგნებთან მოათავსეს.

იანს თვალები მოენამა... „ხედავს თუ არა?“ — გაიფიქრა მან და ქვეშეკვეთ გახედა ზედამხედველს.

— ვინმე დაიარება ჩვენთან?

მარია მოუყვა ქალებზე, რომლებმაც სთხოვეს ამანათი წამოეღო მათი ქმრებისათვის გადასაცემად.

— არ დაგავიწყდეს ყველას გადაეცი მოკითხვა.

— აბა, როგორ დამაეიწყებდა!

— გადაეცი, რომ ჩვენ ვიყავით ვეჭილთან, რომელიც ადრე თქვენ გიცავდათ.

იანს სახე მოელღუმა.

— რატომ დარბიხართ იმ ვეჭილთან?

— აბა, რა უნდა გეეჭნა, როცა საქმელს არ ღებულობდნენ? ხომ უნდა გაგვეგო, რა ამბავი იყო თქვენს თავს.

იანმა გაიცინა.

— კი, მაგრამ რა უნდა ექნათ ჩვენთვის?

— მე რა ვიცი?

დარაჯმა გააჩხაკუნა გასაღებებზე, ფიხი ფეხზე გადაიდვა და მკვებდნენ.

— შეხვედრა დამთავრებულია.

— მოხვალ? — კითხა ღიმილით იანმა.

— მოვალ.

— პირველ მაისს?

— პირველში.

— გაიგე, როდის ჩამოდს საღამოს მატარებელი პოტრკოვიდან, რასაკვირველია დღისით არ გამოგიშვებენ.

— გელოდები.

წასვლისას იანმა კიდევ ერთხელ მოიხედა. მარიამ ასწია ხელი და რამდენიმე ხანს ასე ეჭირა. კარები დაიხურა და მარია ისევ შიშველი კედლის წინ აღმოჩნდა.

იგი მზიარული ბრუნდებოდა, თან დარწმუნებულიყო, რომ რამდენიმე დღის შემდეგ იანი შინ იქნებოდა. იანმა ალბათ, მასზე უკეთ იცოდა, რომ არავითარი ძიება არ სწარმოებდა. მან ხომ თვითონ თქვა, რომ არ გამოუძახებიათ გამოძიებელთან. მარიამ თავისუფლად ამოსუნთქა: ეს ჩვეულებრივი წინასამართლო დაპატიმრებაა. ბავშვებს ასე უთხრა:

— ახლა მოხედვასაც ვერ მოასწრებთ, ისე მობრუნდება მამა! პირველ მაისს შინ იქნება.

— დილით?

— არა, — გაეცინა მარიას, — სულაც ხომ მაგის გულისათვის ჩასვეს მთელა თვით, რომ პირველ მაისს დილით ჩაკეტილში ყოფილიყო.

— რამდენი დღე დარჩა კიდევ?

— შენ თვითონ დაითვალე, შენ ხომ დიდი ხარ.

— დედა, რამდენია ეს კვირა?

— ორი

— ესე იგი ცოტაა.

14 აპრილს დღისით ლვოვის ქუჩებზე უმუშევართა დემონსტრაციამ გაიარა. ისევ დაიღვარა სისხლი. ლვოვის ამბების შესახებ მალე ყველამ გაიგო. სულ ახლახან ესროდნენ ხალხს კრაკოვში.

რამდენი სასოწარკვეთა იყო ასეთ მოქმედებაში, რამდენი ნებისყოფის დაკარგვა! კრაკოვსა და ლვოვში სიკვდილის-მომგვრელი ბათქის შემდეგ პოლიცია შეუდგა მოსახლეობის დამშვიდებას; დამშვიდების ობიექტად გადაიქცა, მთელი პოლონეთი. აპრილის ერთ ადრიან დილას პოლიციელები შეცვივდნენ მარიას სახლში. ახლადგამოღვიძებულმა და გაბრუებულმა აქანკალებული ხელეობით გაუღო მათ კარი.

— კიდევ რაღა გინდათ?

— კიდევ? — გესლიანად გაუმეორა მაძებარმა და ჩიტისებური სახე მოედრიცა. — სად არის შენი ქმარი?

— არ არის.

— აჰ! — მაძებარმა მსახიობური ეესტით ხელების მტყერევა დაიწყო. — აჰ, არ არის?

იგი იმანკებოდა და ტაკიმასხარობდა, ალბათ ფიქრობდა, კარგი მსახიობი ვარო.

— ნება გვიბოძეთ, გკითხოთ: სადაა?

— ციხეში.

— რაო? — მაძებარის გაოცება გულწრფელი იყო. — რატომ?

— ეს თქვენ უკეთ გეცოდინებათ.

— დაჩუმდი!

— ნუ იძლევით სულელურ შეკითხვებს.

მაძებარი კარების ჯახუნით გავიდა.

ოც აპრილს მთელ მხარეს მოედო საყოველთაო გაფიცვა. კრაკოვის შემდეგ გაფიცვა გრძელდებოდა. მხოლოდ ერთ საათს; ლვოვის შემდეგ შემთანხმებელმა ბელადებმა დაკარგეს მჭადაგებელის ტონი. ისინი ისევ ისროდნენ თავიანთ ლოხუნგებს, მაგრამ უცებ დაუმწყეს პირი. შეძრწუნებული ადამიანები სასოწარკვეთამ შეიპყრო, სისხლის ღვრა ხელისუფალთა ყოველდღიურ პრაქტიკად გადაიქცა...

გავიდა კიდევ ორი დღე. დილით მაძებრები პოლიციელების თანხლებით მეორედ გამოცხადდნენ მარიასთან. ისინი იანის წასაყვანად მოვიდნენ, არ იცოდნენ, რომ იგი თითქმის უკვე ერთი თვეა ციხეში იჯდა. ახლა მარიამ დაკარ-

გა სიმშვიდე. მოუთმენლად ეღოდა ნაშუადღევის მოსვლას, კრწმუნსაფიცი ვეკილთან და ეამზნა ხელმძღვანელთან საექვო გამობდომებზე. მათ ორჯერ სცადეს დაპატიმრებული ადამიანის ხელახლა დაპატიმრება. ვეკილმა მოუსმინა მარიას, მაგრამ არაფერი უკითხავს. ნუთუ მისთვის ყველაფერი ნათელი იყო? ნუთუ არავეითარი ახსნა-განმარტება არ იყო საჭირო? დეფინიციამ და პოლიციამ ხომ იცოდა, რომ იანა უკვე სამი კვირა ციხეში იჯდა. მარიამ ორჯერ გაუმეორა შეკითხვა. ვეკილი დადლილი ჩანდა, უსულგულო გამოხედვა ჰქონდა, თითქოს რაღაც შორეულზე ფიქრობდა შემდეგ გამოფხიზლდა და თქვა:

— დომხალია! ნამდვილი დომხალი!

— ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, ამხანაგო!

— ჩვენ ხომ არ უნდა შევწუხდეთ, მათი უწესრიგობის გამო?

— არასოდეს არ მომხდარა ასე, — გაიმეორა მარიამ.

— კრაკოვი ხომ იყო? ლვოვი?

ვეკილი მაგიდიდან წამოდგა.

— ესე იგი ეს პირველ მაისთან არაა დაკავშირებული? — იკითხა მარიამ.

— რას არ გამოიგონებთ? თქვენი ქმარი ხომ ლვოვის ამბებამდე წაიყვანეს. რატომ ართულებთ ყველაფერს?

— მაგრამ, ლვოვის ამბების შემდეგ ისინი ისევ მოვიდნენ მის წასაყვანად.

— მართალია, მაგრამ მათ არ შეუძლიათ დანაშაულად წაუყენონ არც ლვოვის ამბები, არც მათ მიერ გამოწვეული გაფიცვა.

— მაშინ რატომ მოვიდნენ?

— ისინი მოვიდნენ იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც ერთ დროს თქვენ ქმართან ერთად იყვნენ გასამართლებულნი?

— არ ვიცი. შესაძლოა... — მარიამ უსასოოდ გაასაყვავა ხელები და გაიმეორა: — არ ვიცი.

— მოითმინეთ, დაერეკავ, შესაძლოა რაიმეს მივაღწიო.

ვეკილი ჯერ თავაზიანად ლაპარაკობ-

და, შემდეგ სულ უფრო დაძაბულად, მარია მიხვდა, რომ იგი ქალს ელაპარაკებოდა. ვეკილმა იანის პატიმარი ამხანაგის გვარი დაასახელა: ეტყობოდა, მისთვის მოულოდნელი იყო პასუხი. მან ხმას აუმაღლა:

— თქვენ რა იცით? არაფერიც არ იცით! პირველ მაისს უნდოდათ იმათი გამოშვება! მე ნახვის ნებართვასაც შივალწივ, ჯერ ხომ არავითარი ძიება არ ყოფილა!

მარიამ წინ წაიწია, შეწუხებული იჭერდა ტელეფონის მილიდან მომდინარე გაუგებარ ხმებს, მაგრამ სიტყვებს ვერ არჩევდა. ვეკილმა მოულოდნელად ხმას აუწია:

— ნუ მიჰქარავთ! ამწუთს შემაერთეთ კოლეგიის წევართან!

კაბინეტში უეცრივ ჩამოცხა, მარია გაფითრდა.

ვეკილი მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. იგი მოუთმენლად ურტყამდა ხელს მაგიდაზე, სახე მეტად დაძაბული გაუხდა. პირის გარშემო ბრაზისაგან ნაოჭები გაუჩნდა.

— მომისმინეთ, კოლეგა, ეს რა მომითხრო თქვენმა მდივანმა?

მარიას პასუხი არ გაუგონია. ვეკილის სახეს დაძაბულობა არ სცილდებოდა, უეცრად იგი წამოდგა, ისევ დაჯდა, ტელეფონის მავთული გაიჭიმა.

— მერე თქვენ საიდან იცით? — შეეკითხა ვეკილი.

ისევ იგივე ტყავუნი, გაუგებარი ჩახლჩილი ხმა, რომელიც დახურულ კოლოფში ჩამწყვედულ მაისის ხოქოს ბზუილს მოგაგონებდათ.

— მათ ოჯახებს შეატყობინეთ?

ვეკილმა ნელა დადო მიალი, თითქოს რაღაცაზე ფიქრობდა. მარიას შემოხედვას გაურბოდა, ბოლოს წარმოთქვა:

— ისინი ვერ გამოვლენ პირველ მაისს.

მარია გაუნძრევლად იჯდა.

— რატომ? — წყნარად ჰკითხა მან.

— მათ ასახლებენ.

— სად?

— ბერეზაში!

— ბერეზაში? — გაიმეორა მან. — კი მაგრამ გამოძიება ხომ არ ყოფილა? იანმა მითხრა...

— სწორედ ამიტომ.

— ეს სინამდვილეა?

— სამწუხაროდ, მგონი, სინამდვილეა.

— რისი გაცეთება შეიძლება?

ვეკილი დუმდა.

— შემიძლია ნახვის ნებართვა მივიღო?

— ვეკვობ. მაისის წინ არ დაგვრთავენ ნებას. თქვენ ხომ ახლახან იყავით მასთან.

— წერილი რომ მივწერო?

— არ გადასცემენ.

ვეკილი მძიმედ დაეყრდნო მაგიდას ზელებით.

— შემოიარეთ პირველი მაისის მერე, მომიყვით ყველაფერი.

— ქმარს შევეუთანხმდი სადგურზე დაგზავნები შეთქი...

ვეკილს აღერსიანი მშვიდი სახე გაუხდა.

— მაინც წახვალთ?

— უნდა გავიგო როდის მოდის სადამოს მატარებელი პოტრკოვიდან.

— გამაგებინებთ?

— ორ მაისს თქვენთან ვიქნები.

* * *

მარიამ ვერ გააღწია სენატორის ქუჩაზე. მოძრაობა შეწყდა კრავოვის უბანში¹. მოულოდნელად გამოჩნდა ორატორი. იგი თავისი ამხანაგების თავებს ასცილდა. შორიდან ხედავდა მარია მის მოტორტმანე გამოსახულებას. იგი ამაოდ ეძებდა ხელით დასაყრდენს ადამიანთა ცოცხალ მასას შორის, რომლებიც დაბრილიყვნენ, რადგან ტრიბუნა გაეკეთებინათ თავიანთი მხრებიდან. ბო-

¹ კარტუსის ბერეზა — საკონცენტრაციო ბანაკი იყო პოლიტიური პატიმრებისათვის ბერეზაში პოლონეთში.

² ქუჩა ვარშავაში.

ლოს ყველამ დაინახა ორატორი. იგი იდგა ცოცხალ მადლობზე, რომელიც გარშემორტყმული იყო უცერად დადუმებული ხალხით. ფართო, ხალხით გაქედნილ ქუჩაზე ჩამოწოლილ სიჩუმეში სუნთქვა ძნელდებოდა. მაგრამ მარიას არ ესმოდა სიტყვები. იგი გაითქვიფა ამ სიჩუმეში და მასში იგრძნო ფარული საშიშროება.

— პოლონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით...

მარია ფეხის წვერებზე დადგა. იქ, ქუჩის სიღრმეში, მკვიდრო რიგებს შორის, ადამიანთა ქედმოხდილ თავებს ზემოთ ლაპარაკობდა უცნობი ადამიანი — ისე როგორც ყოველ წელს, ამ რამდენიმე წლის განმავლობაში და როგორც ყოველთვის, ხალხი ყურს უვლებდა მის სიტყვებს, რომელშიც ისმოდა, წინასწარმეტყველება, იმედი, მოწოდება. აი უკვე ათი წელია, რაც მარია პირველ მაისს დადიოდა ქალაქის ქუჩებში, ხან გაჩერდებოდა სხვებთან ერთად, რათა მოესმინა ორატორისთვის, ხან განზე გადგებოდა არეულობაში, როდესაც ცხენოსანი პოლიციელები ერეკებოდნენ ხალხს. ბევრჯერ უვლია მთელ ქალაქში იანთან ერთად, ბევრჯერ კი მარტო ყოფილა აქ, მაგრამ ყოველთვის ფიქრობდა მასზე, გული წყდებოდა, რომ ქმარი გვერდით არ ჰყავდა.

ორატორის სიტყვა მოკლე იყო; მისი მოწოდება ხმამაღალ ექოდ ისმოდა ხალხთა რიგებში და კიდევ დიდხანს გადადიოდა სახლებს შორის. უცერად იმ ადგილს სადაც უცნობი კაცი გამოვიდა აეშვა გრძელი ხისტარიანი წითელი დროშა, რომელსაც ქარი აფრიალებდა. ხალხის ტალღა მკვიდროდ შემოერთყა მას.

„აღზდექ ბედშავო შრომის შეილო“... ადამიანთა ჯგუფი მწყობრი მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა დროშის გარშემო. დროშა ჰგავდა მოძრავ კუნძულს მრავალათასიან ხალხს შორის. მარია გამოვიდა კრაკოვის უბანში და მხოლოდ ახლა მოჰქრა თვალი პოლიციელთა რაზ-

მის აქამდე შეუმჩნეველ არეულ მოძრაობას. დემონსტრანტთა ყველაწიში ერთდროულად რამდენიმე მძიმედან, ტროტუარიდან შუა ქუჩაზე შეიჭრნენ პოლიციელთა სამკუთხედად დაწყობილი პატრულები. მოჩანდა, მათი ფორმის ქუდები, ბრწყინავი ქაშკაშები, მოღვაწე ხიშტები. მზე აკაშკაშებდა ხიშტებს. ცეცხლოვანი ათინათები გადაზბოდნენ მათ აწვდილ ღეროებზე; ათინათინი ხან იკარგებოდა, ხან გამოჩნდებოდა წინ მოძალბებულ პოლიციელთა ნაბიჯის თანაბრად. უკვე ჩანდა მათი შემოტევის მიმართულება. ისინი ისწრაფოდნენ მიედწიათ წითელ დროშამდე.

უცერად დროშა გაქრა. სადაც წინ, ოდნავ გვერდით, სადაც პოლიციელების სამკუთხედს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო შეღწევა, მარიამ შენიშნა აჩქარებული მოძრაობა, ისევე აღიმართა რამდენიმე წუთის წინ გამჭრალი დროშის ტარი. ყველას სახე მისკენ წარიმართა. ისევ გაისმა სიმღერა.

„შესაძლოა იანიც მღერის? — გაიფიქრა მარიამ. — შესაძლოა ციხეში დემონსტრაცია უკვე დამთავრდა და სიმღერაც შეწყდა?“ მარიას გული მოულოდნელი სიმწარით აღევსო. მან შეხედა მათ, ვინც გვერდით მოდიოდნენ. გარშემო იყვნენ უცნობი სახეები, მამაკაცები, ქალები, რომლებიც მას არასოდეს არ ენახა წინათ, რომლებსთვისაც ჯერ კიდევ ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მიუხედავად ამისა, ისინი გვერდით მიდიოდნენ, მზად იყვნენ ისევ წამოეწყოთ საერთო სიმღერა, რომელსაც ახლახან მღეროდნენ ასე ერთსულოვნად. მოულოდნელად ვიღაცამ სულ ახლოს დაიყვირა:

— თავისუფლება პოლიტიკურ პატიმრებს! ძირს კარტუსის ბერეზი!

ამ ხმამ თავზე გადაუარა ხალხს, ავარდა მალღა ნათელ ზეცაში, იგი გაიმეორა მრავალმა ადამიანმა და გაექანა შორს. მარიამ შეხედა იმ კაცს, რომელმაც პირველმა წამოიძახა და მისკენ გაეშურა. ხელებგაწვდილი მიდიოდა ამ უცნობი ადამიანისაკენ, მაგრამ იგი უცერად გაქ-

რა, ხალხში გაუჩინარდა. მარიამ კიდევ ერთხელ შორიდან მოჰკრა თვალი იმ კაცს. დაედევნა, მაგრამ ვერ დაეწია, როგორ უნდოდა ეკითხა, ხომ არ იცნობდა რომელიმეს ციხეში, ბერეზაში. მას გაბრაზებული შესცქეროდნენ: მან გადაჰკრა საერთო მოძრაობის მიმართულება.

კოლონა, რომელიც მიემართებოდა სენატოკის ქუჩისაკენ, გაფანტული იქნა ცხენოსან პოლიციელთა მიერ. ცხენოსნები განურჩევლად იქნეოდნენ ხელკეტებს, გაშიშვლებულ ხმლებს. გაისმკენესა, წყევლა, ჰაერი გაჰკვეთა თითო-ოროლა გასროლამ. სხვაგანაც განმეორდა ცივი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი შევივლება. შესაძლო იყო მათი დათვლა. ვილაცის შემზარავმა კვილიმა დაფარა ადამიანთა ღრიანცელი და ცხენების ჭიხვიონი. ეს კვილი სასწრაფოდ მიიწინარდა—ვილაც მიჰყავდათ სასწრაფო დახმარების ეტლით, რომელიც გზას იკვლევდა სირენის განუწყვეტელი კვილით.

სალამოს მატარებელის მოსვლამდე ცოტა დრო დარჩა, მარიას ეჩვენებოდა, რომ ახლა დადგა მის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე წუთები. არც ერთი დღე არ ყოფილა ასეთი გრძელი, როგორც ეს საათები დემონსტრაციის შემდეგ. ჩამოვა თუ არა იანი? თუ ისევ დააკავებს? უეცრად გაიფიქრა უმჯობესი იქნებოდა იანი ციხეში დარჩენილიყო. თორემ ბერეზა... მას ვაგონილი ჰქონდა ამ საწამებლის შესახებ: ჩურჩულით ახსენებდნენ ამ ადგილს. მარიამ იცოდა, რომ უნდა ეთქვა იანისათვის, თუ სად მიჰყავდათ იგი, მაგრამ ეს აზრი აშინებდა მას. ეყოფოდა განა სამისოდ ძალა? როგორ უთხრას მას? რამდენი წუთი გავა მათ შეხვედრასა და გამომშვიდობების შორის? მან წარმოიდგინა გამზდარი, გაფითრებული ქმრის სახე: აი, იგი გამოდის მატარებლიდან და ხედავს მარიას: იანი ეტყვის მას: „აი ხომ ხედავ, მოვედი, როგორც შევთანხმდით“.

სალამოვდებოდა. ბაქანზე ჩამოსული ხალხის ტალღა გამოჩნდა. ჩამოსულები გასასვლელისაკენ მიიჩქაროდნენ, მარია

ძლივს მიიკვლევდა გზას ბარგით დატვირთულ ადამიანებში. შორს თვალებით ეძებდა იგი ნაცნობ გამოსახულებას. უეცრად გაახსენდა, რომ იანი მარტო არ იქნებოდა, იმ პატიმრებს, რომელთაც შორს აგზავნიან ყოველთვის მიჰყვებიან პოლიციელები. ბაქნის სიბნელეში იგი დაეძებდა მრგვალ, ბრტყელ ქუდს, კარაბინის ხიშტს. მგზავრების პირველმა ტალღამ ჩაიარა, ახლა მოდიოდნენ ისინი, რომელთაც ბევრი ბარგი ჰქონდათ. მარიას გული უფანცქალბდა. მან შიშით მიმოიხედა ირგვლივ და გადაწყვიტა უკან დაბრუნებულიყო, შეძრწუნებულმა გაიფიქრა იანი ვერ დაივინებო, იგი გასასვლელისაკენ გაეშურა მას ვილაცეები უსწრებდნენ წინ. შემდეგ ისევ უკან გამობრუნდა „არა, არ არის, — იმეორებდა იგი, — ნეტავი მარტოდენ შემეხება მისთვის, მხოლოდ გამეფრთხილებინა, შემემზადებინა, შევშველებოდი შეგუებოდა იმ აზრს, რომ შინ არ გამოუშვებენ“.

უეცრად მან ბაქანზე შენიშნა ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომელიც დინჯად აუჩქარებლად გამოდიოდა უკანასკნელი ვაგონიდან. მარიამ გარშემო მიმოიხედა. იგი სულ მარტო იყო აქ. შორს, მის უკან კიაფობდნენ კაშკაშა ფანრები, რომლებიც ანათებდნენ ქალაქში გასასვლელს. სიბნელიდან გამოჰკრა პოლიციელი, რომელიც სამ პატიმარს ახლდა. მარიამ დინახა იანი და გული გამალეობით აღუგერდა.

— ეს შენა ხარ?

მის ხმაში ისმოდა სიხარული და დაუფარავი მღელვარება. იანმა გაიმეორა.

— ეს შენა ხარ?

— მე ხომ დავპირდი.

იანმა ნაბიჯს უკლო. რაღაც გამაფრთხილებელი იგრძნო მან მარიას ხმაში. იანმა შემფოთებით შეხედა მას. მარია საჩქაროდ მიესალმა ამხანაგებს. პოლიციელი უკან მოდიოდა.

— მოხდა რამე? — შეეკითხა იანი.

მათ ჩაუარეს დაცარიელებულ ვაგონებს, რომელშიც აქა-იქ ერთი მწვანე, მქრქალი სინათლე.

— თქვენ არ გაგათავისუფლებენ, — წაიხურჩულა მარიამი.

— რაო? — იანმა მისკენ მოიხედა. სიბნელეში მარია ხედავდა იანის დიდ-რონ, გაკვირვებისაგან გაფართოებულ მუქ თვალებს.

— შენ არ გაგათავისუფლებენ, — გაიმეორა მან.

— პოლიციელს ჩვენი გაათავისუფლების ბრძანება აქვს, — იანს უნდოდა მობრუნებულიყო პოლიციელისაკენ, რათა დაემტკიცებინა მარიასათვის მართალს ვამბობო.

— შენ საიდან იცი?

— ბრძანება მას კანცელარიაში გადასცეს ჩვენი თანდასწრებით.

— მერე?

— გვითხრეს, რომ გაგვიშვებენ.

— მაშინ რატომ მოგყვებათ პოლიციელი?

— ეს როგორ? — იანმა ხელი მოუჭირა მარიას. — განა რისთვის?

— თქვენ ბერეზაში წაგიყვანენ.

— კი, მაგრამ რისთვის? გამოძიება ხომ არ ყოფილა, არაფერი არ ყოფილა. მათ არაერთი საფუძველი არ გააჩნიათ.

— იცი, რა მოხდა ლეოვში?

— ცოტათი. გაზეთებს არ გვაძლევდნენ. — იგი გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა — ისე, რომ ლეოვის გამოა ეს ამბავი?

— დიახ.

იანს უნდოდა მობრუნებულიყო მარიამ ხელი სტაცა.

— გაშავრდი, არ დაგვტყუო.

— მტკიცედ იყავი, მარია!

— შე მტკიცედ ვარ, — ჩაიხურჩულა მან.

— ბავშვები დამიკოცნე.

— ჩვენი ჯავრი ნუ გექნება, — მიუგო მარიამი.

მოსაცდელი დარბაზის განათებული კარებიდან ბაქანზე პოლიციელთა მცირე რაზმი გამოვიდა. პოლიციელები უხშოდ და ბეჯითად ორ მწკრივად დაეწყენენ განათებულ ადგილას. სადგურის შენობის ბნელ კედელზე ცივად ელვარებდნენ წვერწამახული ხიშტები. იანთან ერთად მიუახლოვდა მარია გასასვლელს, სადაც პოლიციელთა მეტე არავინ იყო.

— უკვე გელოდებიან, — ჩაიხურჩულა მარიამი.

იანი თვალს არ აცილებდა პოლიციელებს. იგი მარიას გვერდით მიდიოდა, მიემართებოდა პოლიციელთა პირქუში რაზმისაკენ, პოლიციელის თანხლებით როგორც თავის აუცილებელ ბედ-იღბლისაკენ. მათ უკან მომავალი ორი ამხანაგი მხიარულად მუსაიფობდა. მათ ხმაში ისმოდა სიხარული: ისინი უკვე ვარშავაში დაბრუნდნენ.

მათ ზომ ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ?

თარგმანი პოლონურიდან
მარიამ აზიანოვიჩისა

ნაზი კიკასონია



საგალობელი სიყვარულისა

ეშმაკმა დალახვრა,
მაინც რა ყოფილხარ
თოლიგე.
არა, შენ ისეთი არა ხარ,
როგორიც შეგონე,
ისეთი არა ხარ,
თოლიგე.
შენ სურნელი აგდის
მიწის და კაცისა
თოლიგე,
და თუ დაგჭირდა —
ყვაველსაც გასრისავ
თოლიგე.
მე ზეციით მევსება
თვალეზი ორივე
თოლიგე,
მაგრამ შენ-მიწას
ვერაფრით ვეხსნები
თოლიგე.
რადგან მე წიბო ვარ
შენი ნეკნისა,
თოლიგე.
ვიწვევბი,
შენი ცეცხლი მეღირსა
თოლიგე.

ციცაბოდან დავცურდი
კლდეების ყვაველით
თოლიგე.
მესმა: ნეკერის ტკაცუნი,
ხარიჩრმის ხაველი,
თოლიგე.
გაზაფხულით მევსება
თვალეზი ორივე,
თოლიგე.
არა, ვერ დაგეხსნები
თოლიგე, თოლიგე.
და ასე ტყედატყე
მოვდეგ შენს ნაკვალევს,
თოლიგე,
აუ, ხელეზს გიწვდი
და თვალეზს საყვარელს,
თოლიგე.
რომ ღმერთად ვიწამო
თვით ჩემი არსებაც
თოლიგე,
რადგან მე მიწა ვარ
და შენით
სავსე ვარ
თოლიგე!..

საჩინო

ზოგჯერ იელვებს,
მხოლოდ იელვებს,
თორემ მთავარი ცეცხლი ჩამქრალა. —
რა კაბა მეცვა ის ბედნიერი,
თმები შეპრილი მქონდა რაგვარად?
გულს, ამოვარდნილს, ხელით ვიურვებ,
ეს გახსენებაც გადავარჩინო:

ტიქაში ენთო ღვინო ჩინური
და შენ იყავი ჩემი საჩინო!
ქარში მღეროდა ციხე ბებერი
ქანგებს წარმართულს,
სიტყვებს უძველესს...
მერე, წავლენ და ასეთ თებერვალს
დაივიწყებენ,
ლექს არ უწერენ..

ნავსაყუდარი



ქართული
ლიტერატურის
ანბნები

ტუჩებს ექნებათ მარილის გემო,
თვალებს ედგმებათ შუქი მუდარის.
მე მოვალ შენთან დაღლილი გემი
და შენ დამხედები ნავსაყუდარი.

უკან დავტოვებ მღელვარე აპრილს,
ლურჯი თქორებით,
ურჩი ტბორებით,
დავეცეკვ ქარში დაძენილ აფრებს
და შენს სიმშვიდეს ვეამბორები.

ცეცხლს მივცემ ზღვაში დამსხვერპლ
ანძებს,

მე ამამალღებს შენი სიმაღლე.
მე გავიმარჯვებ ყოველგვარ ქარზე
და ზღვის მოქცევას აღარ ვინაღვლებ-

ოლონდ — გადაგდებ მარილის გემოს,
ოლონდ — ჩაგხედავ თვალში მუდარით...
ვირწვევი შენი დაღლილი გემი
და შენ ხარ ჩემი ნავსაყუდარი.

მუგალოზ კარალს — დოვლათის
ღმერთს

ხარებს რქებზე უნთიათ კელაპტრები,
პარალე!

ჰაი,

ხელი ვინრდილე და
ხნულში შელანდები,
პარალე!

გუთანს ხელი ვუშვი და მიწას ვცემ
თაყვანსა,

პარალე!

მიწასა —

ჩემი სიციცხლის და სიკვდილის აყვანსა,
პარალე!

ჩემს ბედზედაც დააბრუნე წისქვილის
დოლაბი,

პარალე!

ჩემი თონიდანაც ამოყარე დოვლათი,
პარალე!

მკათათვის ფეხი ხარ და ყანებში იწვები,
პარალე!

არ გამომილიო კალოზე

კვერი და

ფიწლები,

პარალე!

არა, არ ჩამიჭრო ხარის რქებზე
კელაპტრები,

პარალე!

მინდვრებში შემოდგომის ფერადები,
პარალე!

გეგემე, სანამ დავიღლები და
დავდუღლები,

პარალე!

მერე ქვის საფლავეში ჩამატანონ
თავთუხები, —

შენი გვირგვინის თავთუხები

პარალე!

რათა მწეთა მყავდე და იყო ჩემთანა,
პარალე!

მთვარეს ვეახლები თუ მივალ მზესთანა,
პარალე!

ხიი მო, გამიწით ხარებო, გენაცვლებით,
პარალე!

ნურც ჩამქრობია თქვენი რქის
კელაპტრები,

პარალე!

პარალე!

„გენაცვალოს დედა“

ქალაქში გახშირდა ნაილონის ქურჭი,
ვუცქერი.

გბრწყინდები.

დედილო!

მეც მინდა მოვიროთ უცვე

ვცვითო აბლაბუდა წინდები.

დედილო!

ტუჩებზე წავეისვამ ჭიაფერს,

არ დაგცდეს უარი.

მომბეზრდა ჩითები იაფი,

ამხატავს,

ჩამხატავს



ქართველი
წიგნისმოყვარეობის
სიმღერას —

მუარო-
შეხე —
ჯეირნებივით სეირნობენ
ფეხით თუ
ავტოთი-
დედილომ დარეცხა
საინები
და თლის,
თლის,
კარტოფილს.
საყვარელ ხელებზე
იწყება სიბერე,

მაკარონი ტყდება
როგორც მშვილდები. დედილო
ნავთქურასთან შიგნით
სიმღერას —
უძველეს სიმღერას
და
ემშვიდდები:
-გენაცვალოს დედა
ლამაზ თვალბზედა,
რაც გინდა ძველი ჩაგაცვა
მაინც მოგიხდება!"

შანი ფატმანი

შეპირებული ,
როგორც ცხოვება
ჭრელი პეპლები,
მწვანე სათიბი...
ასე გათავდა შენი ცხოვრება,
შენი ცხოვრება
სათინათინო.
თვალებს შემორჩათ
სევდისნაირი,
ათინათინი
ჩაპქრა სრულებით.

გესმის? —
ფატმანი უკრავს დაირას,
და ჟრიალებენ ფიფინურები .
თითქოს
სიწმინდეს შენსას ანგრევენ,
თითქოს
ყვავილებს შენსას ფანტავენ...
მზე მოსდებია
მკლავებს —
შავგვრემებს,
ვაი, შენ,
ჩემო შავო ფატმანო..



დაკარგული საყურე*

ფანჯრებში ბელურებივით ასუნძ-
ლულები თვალს არ აცილებდნენ ქუ-
ჩაში გადაგდებულ კონვერტს.

- ეს უსათუოდ აიღებს!
- არ აიღო, არა!
- ნუთუ ვერ ხედავს?!
- აი, ეს აიღებს, ეს!
- ფეხი დაადგა, ფეხი!
- მალე გაკვეთილიც დაიწყება.
- ქარი წაიღებს, დაგვეკარგება.
- ამოვიტანოთ.
- დავიცადოთ კიდეც.
- ამოვიტანოთ, არაფერი გამოდის!
- ხედავ, ფეხით გათელეს.
- გადაეწეროთ.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ
სკოლის ეზოში მოხუცი ფოსტალიონი
შემოვიდა. ბიჭებმა მის დანახვაზე
უჩვეულო ყვირნი ასტეხეს:

- ძია მათეს გაუმარჯოს, ძია მათეს!
- დაიღალე, ძია მათე, ამოდენა
ჩანთის თრევით?
- ოჰ, ოჰ, თქვე ეშმაკებო, როგორ
შემომიჩნდებით ხოლმე.
- დაისვენე, ძია მათე, დაისვენე.
- მივეჩვიე, შვილო, ამის თრევას,
უამისოდ თავს კარგად ვეღარა ვგრძნობ.
- უჰ, რა მძიმეა! — ლევანმა ჩანთა
წამოიკიდა.
- რამდენიმე წერილი მაქვს მისა-
ტანი, ამერია, ვეღარ გავიგე ვისია,
წამიკითხეთ ერთი, თქვენს გზრდას.
- მე წაგიკითხავ, ძია მათე, მე. —
ბარათებს ხელი დასტაცა ტატომ და
წერილების მისამართების კითხვა დაი-
წყო.
- შენ სიბერეს შეესწროს შენი
მშობელი, შვილო!

— ახალ წერილებს წიგნში ჩაგიწერ,
ძია მათე! — არ ეშვებოდა პეტრე.

— ყველანი კარგები ხართ, შვილო,
ყველანი. დაიხარდებით, ჩემოდენა
მოიყარებით!

ბიჭები პეტრეს მიეხვივნენ, პეტრემ
რამდენიმე კონვერტი ჩასწერა, უკა-
ნასკნელი ხმაშალა წაიკითხა:

— მიერთვას თავად ნიკო ფალავან-
დიშვილს. — მათე, ამ წერილს გაუფრ-
თხილდი, გუბერნატორისა ყოფილა.

— აქ ჩაღე, შვილო, ამ ჯიბეში დიდი
კაცების წერილებს ეაწყობ.

— აგრე, ჩემო მათე, არაფერი დაგე-
კარგოს!

— გუბერნატორს ძალზე გაახარებს
ეს წერილი! — მისძახოდნენ მიმავალ
მათეს ბიჭები და ხარხარებდნენ.

პანსიონის დასაძინებელ ოთახში უჩ-
ვეულო ხმაური იყო.

— როგორ გაახარებს ბატონ გუბერ-
ნატორს ტატოს ლექსი!

— ნეტავ მაჩვენა, როგორ აუწითლ-
დება სახე!

— ერთი თვალი მომაკვრევინა, გა-
წითლებული და გაფხორილი ბოლოს
ცემას რომ დაიწყებს ოთახში.

— ვინ გაბედა მისი კეთილშობილე-
ბის შეურაცხყოფა?

ლოგინში მწოლარე პანსიონერები
დიდხანს ჩურჩულებდნენ. ბოლოს ძილ-
მა დარიათ ხელი. მალე მოზარდთა
მშვიდი სუნთქვა გაისმა ოთახში.

— ვინა ხარ მანდი?!

— ჩუმადი! — გაისისინა ვილაცამ და
ოთახიდან გავიდა.

— რა იყო, პეტრე, რა დაგემართა?

— ვინ იყო? — ხმაურზე ლოგინები-
დან თავები წამოაპყვეს.

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 7, 8, 9.

— მორიგე იქნებოდა.

— არა, ვიღაც სხვა იყო.

— ყველანი აქა ხართ?

— მონასტირსკი გვაკლია.

— მისულა, მისულა! — წამოიძახა პეტრემ და უეცრად წამოხტა.

— რა მისულა, ბიჭო, აღარ იტყვი?

— წერილი მისულა, წერილი. რა მოგივიდათ? ლექსს ხომ მონასტირსკის ბეჭედი დაეკარით.

— ხოი! — ერთხმად წამოიძახა ყველამ.

— მისულა და ბატონი გუბერნატორი, ეტყობა, ძალზე უსიამოვნებია.

— ახლა რა ვქნათ?

— დაწვეით ყველანი, ვითომ გმინავთ. მე წავალ, გავიგებ, საქმე როგორ არის. — ბიჭები ლოგინში ჩაწვენენ, სიბნელეში ეღვარებდნენ მხოლოდ მათი შეშინებული თვალები. პეტრემ სიტყვა დაუგდო — ჩემს მოსვლამდე არ გაინძრეთო! — და კედელს აეკრა, გარეთ გაეცოცდა.

ბიჭებს საუკუნედ მოეჩვენათ ლოდინის წუთები და აი, პეტრეს ლანდიც გამოჩნდა. ყველანი მას შემოეხვივნენ.

— ბიჭებო, ბიჭებო, საქმე სახუმროდ არ არის, გამწყრალა გუბერნატორი, გამოუგზავნია თვისი ამალა: პროკურორი, პოლიციის უფროსი, ქანდარმერის ოფიცრები, შეუყვანიათ მონასტირსკი და სატირის ავტორს ეძებენ. გავიგონე, მონასტირსკიმ როგორ უთხრა: — ბეჭედი ჩემია, მაგრამ არა ვიცნობ, იქნებ ბეჭედი ვინმემ მომპარა.

— შენი ჭირიმე, ბიჭო, ყოჩაღ, კარგად მოუფიქრებია.

— ტატოს ახსენებდნენ, მაგრამ კარგად ვერ გავიგონე, ამ დროს ქანდარმის ოფიცერი ფანჯრისაკენ წამოვიდა და მეც მოვცოცხე.

— ტატოს? ტატოს უნდა გავაგებინოთ!

— მას ხომ სხვა ლექსებიც აქვს?

— ტატოსთან მე წავალ, გავაგებინებ! — წამოიძახა ჩაცმულმა ლევანმა.

— მე ისევ წავალ, იქნებ რაიმე გავიგო, თქვენ კი დაწვეით.

ლევანი შურდულივით შეიჭრა ბარათაშვილებისას. ათრთოლებულნი ვიყავით მია ტატოს ლოგინზე დანახარა.

— ტატო შეილო, აღდექი, ჩქარა აღდექი!

— რა იყო, დედი?

— ლევანი მოვიდა გიმნაზიიდან, შენთან საქმე აქვს.

— რა უნდა? — ტატოს თითქოს წყალი გადაასხესო, ზეზე წამოიჭრა, სწრაფად გამოფხიზლდა. — სად არის?

— აქა ვარ! — მოისმა ტატოს საწერ მაგიდასთან მისული ლევანის ხმა, წუთით ისინი ერთმანეთს მიაჩერდნენ. ტატო დედას მიუბრუნდა.

ეფემია თავდახრილი გავიდა შვილის ოთახიდან. ტატო მავიდას მივიარდა, სწრაფად გადმოყარა ქაღალდები და ბუნბარში შეყარა.

— ცეცხლი წაუკიდე, ლევან! ლევანმა ქაღალდებს ცეცხლი წაუკიდა.

— ვერ გავიგეთ, როგორ მოვიდნენ და მონასტირსკი გაიყვანეს.

კიბზე ამოსულთა ფეხის ხმამ შეაერთათ.

— ლევან, გადი, არა გნახონ, იცოდეთ არაფერი არაფერი იცით, ლექსი არც გინახავთ, არც არაფერი გავიგონიათ მის შესახებ, ილიასაც გააგებინე.

ოთახში პირველად მელიტონი შემოვიდა. ტატო მამის დანახვამ უფრო შეაშინა, ვიდრე ქანდარმის ოფიცრისა.

ჩხრეკა დაიწყო. კუთხეში ერთმანეთზე ისროდნენ ტატოს საყვარელ წიგნებს, ტატო კი ჩუმად იდგა და თვალს არ აცილებდა გაჯავრებულ მელიტონს, რომელიც უხმოდ ბოლთასა სცემდა, და გაფითრებულ ეფემიას. კარებში გამდელი იდგა, მის ზურგის იქედან ბარბარეს, ტატოს და მოსამსახურეთა შეშინებული სახეები მოჩანდა.

— ნიკოლოზ მელიტონის-მე ბარათაშვილო, ეს ლექსი თქვენი დაწერილია? — გაუწოდა ტატოს ქანდარმის ოფიცერი ლექსი. ტატოს არ დაუხვდია, ისე გასცა პასუხი:

— არა!

— არც ეს ლექსია თქვენი დაწერილი? — ახლა მეორე ლექსი გაუწოდეს.

— არა!

— ნიკოლოზ მელიტონის-ქე ბარათაშვილო, თქვენ მეგობარი ხართ სოლომონ დოდაშვილისა?

— არა, მე მხოლოდ მოწაფე ვიყავ სოლომონ დოდაშვილისა, იგი მიკითხავდა რუსულ წიგნებსა და სახელმძღვანელოებს.

— ნიკოლოზ მელიტონის-ქე ბარათაშვილო, თქვენ დაპატიმრებული ხართ, როგორც სოლომონ დოდაშვილის მეგობარი, რომელიც ჩვენი მეფის მოლაპატეა.

— შეილო! — გულშეღონებული ეფემია გამდელმა ოთახიდან გაიყვანა. ტატომ დედის შეკვივლება გაიგონა, მოეჩვენა გულზე ვიღაც დაწვდა, ხელი წაავლო და ამოსაგლეჯად ზევით ეწეოდა. სული შეეხუთა. ვერაფრის თქმა მოახერხა. კიბეზე ჩამოსულს მამის ყვირილი მოესმა:

— განა არ ვეუბნებოდი, სოლომონსა და ფილადელფოს ბერს თავი დაანებე, თორემ ციხეში წაგაბრძანებენ-მეთქი და, აი, ხომ წააბრძანეს, ხომ წააბრძანეს! — იმეორებდა მელიტონი, თითქოს ნიშნს უგებდნენ.

ალაყაფის კარებთან ილია შეეფეთათ.

— ილიავ, დედას უთხარ, ნუ წუხს, ამით ვერ მოჰკლავენ.

ეფემია დიდხანს იყო კარის ეკლესიაში ხატის წინ დამხობილი:

— ღვთისმშობელო დედავ, შენ უწინამძღვრე ჩემს ტატოს ყოველ საქმეში, ხალხისა და თავისი ქვეყნისათვის მანე საქმეს ნურასოდეს ჩაადენინებ. ძმავ გრიგოლ, შემ მეყოფოდი დარდად, ტატოს დარდი ნაღველივით მეწვევებდა გულში, ჯერ ბავშვია უგზოუკვალო, ღვთისმშობელო დედავ, შენ გაუნათე ცხოვრების გზა...

ყვირილი მოესმა ეფემიას. აზრი აერია. ტაძარში სახეშეშლილი გამდელი შემოვიარდა:

— ქალბატონო, გამობრძანდით, ბატონი დააწყნარეთ, არსად წაიქცით!

— სად მიდის? — კითხვა არ დაეშთავრებია ეფემიას, რომ გარედან მელიტონის ყვირილი მოესმა:

— გუბერნატორთან მივალ, ვთხოვ, ცემით სული ამოხადოს მამულის, მეფისა და ხალხის მოლაპატეს.

წამოდგა ეფემია. კაბა აიკეცა. ეკლესიიდან გამოვიდა. პირველად თავის ცხოვრებაში შეუტია მელიტონს:

— რას ამბობ, ჩემი ტატო მამული-სა და ხალხის მოლაპატეა? სტყუი, სტყუი!

ტატო კი ამ დროს საკანში იჯდა, ჭურჭუტანიდან ზედავდა ცის პატარა ნაჭერს, ლურჯად მოკაჟკაჟე თბილისის ცის პატარა ნაჭერს. კარი დაუკეტეს, თავისუფლება დაუხშეს, თბილისი მოსტაცეს.

ციხის დარაჯმა უთხრა: — სოლომონს, გრიგოლს, ალექსანდრეს — ყველას გადასახლება. იმათა ჯაგერობს ტატო. ჩუმად, ჩუმად ესაუბრება ძია გრიგოლს, ისე როგორც მთავარიან ლამეში თბილისის გარეუბნებში სეირნობის დროს იცოდნენ.

— ძია გრიგოლ, სხვათა ქვეყანაში, უცხო მხარეში როგორ გასძლოს შენმა გულმა, სად ნახავ სხვა საქართველოს?

დარაჯმა კარი გააღო, დაფიქრებულ ტატოს ხელი შეახო:

— ნუ დაღონდები, ბარათაშვილო, მალე გაგიშვებენ! ჰა, გამომართვი, ქავ-ტავადის ქალეზმა გამოგიგზავნეს. — დარაჯმა აბრეშუმის ნაჭერში გახვეული წიგნი გაუწოდა.

ტატომ ჩამოართვა, გახსნა ხვევრდის ყდაში ჩასმული «ვეფხისტყაოსანი». ვერცხლის შესაკრავი გადასწია, გაშალა, წაიკითხა:

— «ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა? სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა». — დე, დაუხშონ კარი, საცქერად თბილისის ცის პატარა ნაჭერიც ეყოფა. ამითაც გაიგებს თავისი

ქვეყნის ჭირ-ვარამს. ახედავს ლურჯად მოსარკულ თბილისის ცას და ეცოდი-ნება, რომ უდარდელია მისი ქვეყანა. ახედავს ღრუბლითა და ნისლით დაფარულს, მიუხვდება, რომ სატკივარი გასჩენია მის ქალაქს.

მაშინ, როცა ზამბახები ყვარდა

საიდან დაირბა საშინელი ხმა? ნუთუ წაისის ნიავმა ახალი დარდი და მწუხარება მოუტანა თბილისს? აბა, ვინ აცნობა ასე სწრაფად ყველას:

— ბატონიშვილებს ასახლებენო! — ამას იმეორებდა ყველა და ყველაფერი, დედაბუდიანად მიეშურებოდნენ სოლოლაკისკენ, იქ, სადაც ბატონიშვილები საზლობდნენ.

საზარელმა ამბავმა ეფემიას ტატოს ციხიდან დაბრუნების სიხარული დაუხშო. გაახსენდა, ყაზარმებიდან დაბრუნებულმა გახარებულმა ტატომ როგორ შემოიბრინა ქალაქი. ახლა კი ახალმა ჭირმა იჩინა თავი. ბატონიშვილებისაკენ გაეშურა სასწრაფოდ.

შუა დარბაზში ხალხით გარსშემოხვეული თეკლა იდგა. ფერი დაჰკარგოდა მთელი ღამის უძილოს. ირგვლივ ქვითინი ისმოდა და აქა-იქ შეძახილები:

— ერთ დღეს დავიხოცებით და არსად გავიშვებთ, ბატონიშვილო!

— ვერავის დავუთმობთ მეფე ერეკლეს ქალს, ჩვენთან უნდა იყო სიკვდილამდე!

— ვერ დავუთმობთ ბატონიშვილს! მარჯვენა ხელი ზე აღმართა თეკლამ.

— გამიგონეთ, შვილებო! — ცრემლს გაეზარა მისი ხმა. — რამ ალგაშფოთათ? განა ცოტა ჭირნახულია საქართველო, განა ეს პირველია, ან უკანასკნელი? ჩემს უკანასკნელ სურვილს გიტოვებთ, არ დაივიწყოთ თქვენი სამშობლო და თქვენი ენა.

გარეთ ტარანტასებს ამზადებდნენ, გარეცხეს, თელეზზე ქონი წაუსვეს, თითოეულში ოთხ-ოთხი ცხენი შეაბეს.

თეკლა გამოვიდა. ბარგით დატვირთული ცხენებსა და ტარანტასებს წაუღია მთე-მოეხვია. მღვდელმა პატარა ბავშვს და დაიწყო, აქა-იქ გაისმა ჩუმი ქვითინი. დაამთავრა მღვდელმა პარაკლისი. ხალხი თეკლას ხელეზზე, კაბის კალთაზე კოცნიდა. თეკლა აღერსიან სიტყვას ეუბნებოდა ყველას. ბავშვები მიუყვანეს, უნდოდათ ეჩვენებინათ მეფე ერეკლეს უკანასკნელი შთამომავალი.

დაიძრნენ ტარანტასები და ბარგით დატვირთული ურმები. უამრავი ხალხი აცილებდა ბატონიშვილებს. ცხენი მოითხოვა თეკლამ, ახალგაზრდობა გაახსენდა უნებურად, როცა ამ ადგილებში ვაქაკატურად ჩაცმული ცხენს დააჯირითებდა. გაახსენდა, რამდენჯერ უნადირნია მამასთან ერთად, როგორ ასწავლა მამამ თოფის სროლა, ხმლის ხმარება, როგორ უბოძა სიგელი თეკლა-ბიჭის სახელის შერქმევისას. რამდენი სიხარული და მწუხარება უნახავს აქ, სადაც ყოველი კუნძული, ყოველი ზე და ყოველი ბუჩქი მისთვის ახლობელია! მიდიოდა თეკლა ბატონიშვილი, უკან რჩებოდა მამის მზით განათებული თბილისი. უყურებდა თეკლა, როგორ აფეთქებულიყო იასამნის ბუჩქები და თბილისის გარშემო ყვავოდა ზამბახები.

მოქანცა ტატო ქალაქის მწუხარებამ. შზეს შუქი დაჰკარგოდა და მამის დღეს ბრწყინვალემა. აღარ ისმოდა სახისა და დაირის ხმა. ფანჯრებიც კი დაეხშოთ მცხოვრებლებს. ქუჩებსაც სუნთქვა შეეკროდა და აღარ გაისმოდა შზის ქვეყნის ჩვეულებრივი ხმაური.

აღარავის ესმოდა მამის მიწვევა. აღარავინ ჩანდა ქუჩებში. მხოლოდ აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა კენტად მიმავალი მგზავრი, რომლის ნაღელიანი სახეც და ცრემლით სავსე თვალები გამცნობდნენ, რა დიდი დარდი გასჩენოდა ქალაქს.

მწუხარებით სავსე ქალაქში გული აღარ უდგებოდა ტატოს. მთაწმიდისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს შეჰყვა. ჯერ ისევ დღის ნათელი იდგა ქალაქ-

ში. მზის უკანასკნელი სხივები ეღვარებდნენ. მთაწმიდას კი ბინდი დაუფლებოდა და ტატოს მწუხარე გულიც ამ ბინდისავე მიისწრაფვოდა. იქ მოელოდა ტატო სევდის გაქარვებას. მაისის მწუხრი შემორტყმოდა მთაწმიდას, გულდახურული იდგა სევდით მოცული. მყუდროებას დაესადგურებინა ყველგან.

მიჰყვებოდა ტატო ვიწრო ბილიკს ზევით, სულ ზევით. სერზე ავიდა. შეჩერდა. თვალწინ ტურფა სანახაობა გადაეშალა. გაშლილ ველზე ზამბახები მიმოფანტულიყვნენ, ყვაოდნენ ლურჯი ზამბახები.

სევდა მიუყუჩდა ტატოს. ახედა ლაქვარდ ცას და შორს, შორს გაიფანტნენ მისი ფიქრები. უეცრად ქვითინი ჩაესმა. შეკრთა. ეს ვინ არის, აქ რომ ამოსულა თავისი მწუხარების გასაქარვებლად? ეს ვისი ხმა არის, თავის სევდას ამ მყუდრო სადამოს რომ უზიარებს? კვლავ ბილიკს აჰყვა ტატო.

მთის უბეში მეუღლის საფლავზე დამხობილი ნინო ქვითინებდა. იქვე გამდელი მოკუნტულიყო და ნელის ხმით მოთქვამდა. ტატო შედგა. ნინომ თავი აიღო, ცრემლიანი თვალები მიაპყრო:

— შენც აქა ხარ, ტატო? ალექსანდრესაც უყვარდა აქაურობა, ამიტომაც აქ გაიჩინა ბინა. მოდი აქ, მოდი, ტატო, ჩვენი ქვეყნის მოპირნახულე იყო ჩემი ალექსანდრე, ერთად გავუზიაროთ, რა გასაჭირი ადგია ჩვენს ქვეყანას. იქნება გვიოხრას რამ გვირჩიოს. იქ, უცხოთა მხარეში ხშირად მესასუბრებოდა ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალზე, მაცნობდა თავის გეგმებს ახლა კი ხმას აღარა მცემს. არაფერს მირჩევს. როცა მამაც შორს წაიყვანეს და სრულიად უპატრონოდ დაგვაგდეს, განა მარტო მე, ყველას მოსტაცეს მამები, ძმები, შვილები.

ტატო დაიხარა ნინოს წამოსაყენებლად. წამოდგა შავით მოსილი ნინო და უხმოდ დაეშვა ქალაქისაკენ.

ზევიდან დაჰყურებდა ტატო მიმავალ ნინოს, უკან გამდელი მოკუნტუ-

ლებდა მოხუცის პატარა ნამოჯრებით. იასამნის ბუჩქებმა დატყარეს მთაწველები. დადუმდა არემარტო ქალაქი დადევრა ცის კამარას და შორიდან ნიავემა ბულბულის სტვენა მოიტანა.

აყვავებულ ზამბახებში გაწვა ტატო. ზევით დაეყარდა ცა დაჰყურებდა. აქ ცის პატარა ნაჭერს კი აღარ ხედავდა, არამედ მთლიანად თბილისის ლაქვარდ ცას, რომელიც თითქოს უღიმოდა მას. ვარსკვლავები აციმციმდნენ აქა-იქ და მთვარის შუქზე ზამბახებზე ცვარი აკიაფდა. თურმე ლაქვარდ ცასაც სევდა გაჩენოდა და მის ცრემლს, დედამიწისკენ წამოსულს, აყვავებული ზამბახები იყარვდნენ გულში.

— „გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!“ — ჩაესმა სიჩუმეში. წამოიჭრა, ხელებზე დაყრდნობილმა მიმოიხედა. ეს ვინ იყო? ვისი ხმა იყო? აქ, ამ მყუდრო სადამოს, სევდა გულისა განიჭარვა ტატომ და პირველად გაიგონა ზეშთავონების ხმა.



მის შემდეგ, რაც კაკალა გადასახლებაში გაჰყვა გრიგოლს, მიტო მთელ თავისუფალ დროს ზარათაშვილებისას ატარებდა. ტატოს მუდამ ახსოვდა კაკალას თხოვნა — თქვენს მეტი აღარავინა ჰყავს მიტოს, მარტო არ დამიგდო ბიჭიო.

ტატო, ილია და მიტო ხშირად ისხდნენ ერთად, თავიანთ აზრებსა და მომავლის იმედებს ერთმანეთს უზიარებდნენ. ხან კი იგონებდნენ გრიგოლს, კაკალას, მის გაკეთებულ ცივას, შურდულეებსა და ჩირაღდნებს.

— მაშ, ხვალ შენს კურთხევაზე მოვდივართ, მიტო!

— თქვენ თუ არ მოხვედით, მაშ ვინდა მოვა?

— ქიტესას დედასთვის უთქვამს: — მიტოსთანა ხელოსანი არ მეგულება, ისეთი საზრიანი და მოფიქრებულიაო.

მიტოს სახე წამოუწითლდა და იატაკს უხმოდ დააჩერდა.

ტატომ მოუსვენრად გაატარა ის დამე. მეგობრის ბედზე ფიქრობდა, ნატრობდა: რა იქნება, კაკალა რომ უეცრად გაჩნდებოდეს მიტოს ხელოსნად კურთხევის დროს!

დილით შინდისფერ ქულაჯებში გამოწყობილი ტატო და ილია ხელოსნების უბნისაკენ გაეშურნენ. ქუჩებში გოგო-ბიჭების ყოყინა ისმოდა, ისინიც ხელოსანთა უბნისაკენ მიეშურებოდნენ.

— ქიტესას შეგირდის კურთხევა აქვს!

— მიტო ხელოსნად უნდა აკურთხონ!

— ჩქარა წავიდეთ, ჩქარა! — გასძახოდნენ ერთმანეთს, ამქარებდნენ და ვიწრო ქუჩებში გარბოდნენ ფერადხალათიანი ფეხშიშველა ბიჭები.

ხელოსანთა უბანი ხელოსნის კურთხევის ზეიმობდა. ყველა სახელოსნოს წინ დროშები ფრიალებდა. ქიტესას სახელოსნოს წინ კი განსაკუთრებული ხმაური იდგა. დარბაისელ მოხუც ხელოსნებს ერთად მოეყარათ თავი და საუბრობდნენ. მაყურებელი ერთმანეთში ირეოდა და გოგო-ბიჭები ყველას ფეხებში ებლანდებოდნენ.

ტატო და ილია ქიტესასთან მივიდნენ.

— მოგვილოცავს, ძია ქიტეს, ყოველი ახალი შეგირდი ოსტატის მარჯვება!

— თქვენც გაიხარეთ, ღმერთმა დაგლოცოთ ტოლის სიხარულით გახარებულნი.

ტატო და ილია სათითაოდ მიესალმნენ: უსტაბაშს, აღსაკალს, იგიტაშსა და ამქრის საპატოო წვერებს. ახლა მიტოსთან მივიდა ტატო და დედის ნაკერი აბრეშუმის სარტყელი წელზე შემოარტყა.

ამქრის საპატოო წვერებმა მიტოს ნამუშევრის შემოწმება დაიწყეს. იგიტაშმა საწერკალამი მოიმარჯვა. უსტაბაშმა ხელში საყურე აიღო და ყველას აჩვენა.

— კურთხეული მარჯვენა ქეწია!

— ღმერთს მაგის მარჯვენი უფრო ხეზია!

— ამიერიდან კარგი ამხანაგი გვემატება!

— ქიტესას გაზრდილია, კაკალას შთამომავალი არ შეგვარცხვენს.

დამთავრდა შემოწმება. ზურნამ მარჯვებისა დაუტრა. ქიტესამ ხელში დროშა აიღო. მიტოს აბრეშუმის სარტყელში სიმკაში გაუკეთეს და ყველანი ორთაქალის ბაღებისაკენ დაიძრნენ. წინ მოხუცი ქიტესა მიდიოდა და ოქრომკედლები დროშას მიადრიალებდა, გვერდით მიტო მისდევდა, თვალებგაბარწყინებული და სახეაწითლებული.

ყვადნენ ორთაქალის ბაღები. სუშები, ატმები და ტყემლები მორთული პატარძალივით ეგებებოდნენ საზეიმოდ შემოსულთ. ზურნის ხმაზე შეირხენ აყვავებული ხეები, თითქოს ტაში შემოჰკრესო და ფერადი ბილილები თავზე გადმოაყარეს მოსულეებს.

მოსულეებს ლოპიანა შემოეგებათ. ხელში ჩამჩა ეჭირა, ვეებერთელა ქვაბით შემოდგმულ შილაფლავს ურევდა. ლოპიანა ტატოსა და ილიას გადაეხვია.

— თქვენი ჰირიმეთ, ყმაწვილებო, თქვენდა გიყურებთ ჩემი გრიგოლის სამაგიეროდ.

დამხდურები მოსულეებს ესალმებოდნენ და გაშლილი სუფრისაკენ იწვევდნენ. ლურჯ სუფრაზე თევშების ნაცვლად კომბოსტოს ფოთლები ჩამოერიგებინათ, ჰიჭების ნაცვლად კი თიხის ფიალები ჩაემწკრივებინათ.

შემოსილი მღვდელი სუფრის თავში იდგა. სუფრის გარშემო გოგო-ბიჭებმა ანთებული წმინდა სანთლები ჩაამწკრივეს და მღვდელმა სუფრა აკურთხა.

მღვდლის გვერდში მდგომ ქიტესასთან მიტო მივიდა, წინ მორჩილად გაუჩერდა და ერთმანეთზე მიდებული ორივე ცერი გაუშვია. ქიტესამ გაუღიმა მიტოს, ცერებზე მარცხენა ხელი წაავლო და მარჯვენა ხელით მარჯვენა ლოყაზე სილა შემოჰკრა. ახლა მარც-

ხენა მიუშვირა მიტომ და ქიტესამაც მარცხენა ლოყაზე შემოჰკრა. მესამე სილამ მარჯვენა ლოყაში შემოკრულმა პაერში ძლიერად გაიტყაცუნა. მიტოს მარჯვენა ლოყა და ყური აუწითლდა, მაგრამ თვალები კი კვლავ მზიარულად უცინოდნენ.

უფროს-უმცროსობის მიხედვით შემოუსხდნენ სუფრას. ლოპიანა კვლავ ქვაბთან ტრიალებდა.

წამოდგა უსტაბაში. ხის ჯამი აიღო. მიტოს ხელოსნად დალოცვა დაიწყო.

— ღმერთმა როცა სულდგმული გააჩინა, ბრძანა: ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენით, შრომითა და რუდუნებით ისაზრდოვეთო. თვით შიშველი მიწაც შრომით შეიმოსა, გაშენდა და განაყოფიერდა.

სულგანებული უსმენდნენ უსტაბაშს. მიტო თავდაბრილი იდგა, მხოლოდ ერთს ფიქრობდა: — როგორი დიდი და მოუქნელი ხელი აქვს უსტაბაშს და როგორ ახერხებს ფაქიზი ნივთების გაკეთებასო. უსტაბაში კვლავ განაგრძობდა.

— შენ, მორჩილო და ნამუსიანო შეგირდო! დღეის შემდეგ პატიოსნად ატარე ხელოსნის სახელი, უფლება გექცევა შენი ხელობით იარსებო და შენ, შეგირდო ჩვენი ხელობისა, ახლა, როცა ამხანაგად გაგვიხდი, შეჰფიცე ამ დროშას. — უსტაბაშმა დროშა შეარხია. — არამც და არამც არ იარო მრუდე გზითა, იყავ გულმართალი და პატიოსანი. შრომა შეასწავლე შენს შეგირდებსაც და ისე მოექეცი, როგორც ჩვენ შენ გექცეოდით. ღმერთმა გაშოროს შური და სიბოროტე შენი ხელქვეითებისა. — დაამთავრა უსტაბაშმა და ჯამი ქიტესას გადაუღოცა.

ზურნამ საცეკვაო დაუჭრა. ლოპიანამ შავი შალის ჩოხის კალთები აიკეცა. ვერცხლის გობაკებიანი ქამარი გაისწორა. გალიბანდის ქუდი გვერდზე მოიქცია. მკლავები გაშალა და დაიწყო:

— ვის რად უნდა, ლოპიანა ვინ არის?

ორთაქალის ბალში მნახვე ვინაა ვარ?
დარდიმანდის ლხინში მნახვე ვინაა ვარ?

ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!..

ლოპიანა ფართო მხრების რხევით დინჯად უვლიდა წრეს.

ზურნა და დუდუკი ერთმანეთს სცვლიდა. ლხინი გრძელდებოდა. სიტყვა ქიტესამ აიღო.

— ჩვენ ყველას ერთი გზა გაგვივლია, ისე როგორც დღეს მიტო ხელოსნად ვაკურთხეთ, ასევე ერთ დროს მეც მაკურთხა ჩემმა ოსტატმა. გუშინდელივით მახსოვს ის დღე. ოქროპირი იყო ჩემი ოსტატი. მისი ანდერძი არ დამევიწყებია. ისევე გამეზარდა ჩემი შეგირდი, როგორც მან მე გამეზარდა. ასევე მას თავის ოსტატის ანდერძი არ დამევიწყებია და მე გადმოშეცა. ასე გვექნება მუდამ ერთი ანდერძი თაობიდან თაობამდე, სანამ არ მოკვდება თვით ხელოსნობა. ჩემს ოსტატს გაუმარჯოს, საუკუნო განსვენება მიენიჭოს სასუფეველსა შინა და საუკუნო ხსენება მისცეს ღმერთმა. — ქიტესამ პურზე ღვინოს თავი წაუქცია. ხის ჯამები ზე აღიმართნენ და გაისმა შეძახილები:

— იკურთხოს ხელოსნის მარჯვენა!

— თავის ოსტატი და მისი ანდერძი მუდამ ახსოვდეს ყოველ ხელოსანს!

— ხელოსნის ადათი და წესი ნუ მოშლილიყოს!

ტატო და ილია სადამოზე შინ წავიდნენ. ხვალისდელი ქეიფი უფროსებისა იყო და აქ მათ არაფერი ესაქმებოდათ.

იმ დამეს ტატო დიდხანს უამბობდა დედას მიტოს ხელოსნად კურთხევის ამბავს.

— ღმერთმა ყოველ საქმეში უწინამძღვროს. ობლის მამა ღმერთია. — ჩურჩულებდა ეფემია.

— იცი, დედა, ვინატრე: ნეტავ მეც ხელოსანი ვიყო მეტქი.

— შენც მალე გაკურთხებენ, შვილო, დიდი დრო აღარ დაგრჩა გიმნაზიის დამთავრებამდე.



ქვეყნაძიანთ ბაღის ბოლოში საქანელაზე ისხდნენ მაიკო და ეკატერინე. ტატოს ელოდნენ. ტატოს დაპირებისამებრ მოსწავლეთა აღმანახის პირველი ნომერი უნდა მოეტანა. ხელთნაწერი ჟურნალის გამოსვლამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ძლივს მოახერხა ტატომ ჟურნალის ხელში ჩაგდება და ქვეყნაძეებისაკენ გაეშურა.

აივანზე სალომე იჯდა, ხელში ელამქარის ნაჭერი ეკრა, ჭარგავდა.

— შვილო ტატო, საქანელასთან გელოდებიან მაიკო და ეკატერინე. — გაუღიმა სალომემ ტატოს.

ბაღის ბილიკს გაჰყვა ტატო. ათასფრად ყვარდა ყვავილნარი. სიო არხევიდა ახლადაყრილ ყლორტებს. მზიარული იყო ტატო, თავის საგანძური მიჰქონდა მეგობრებთან. გულს მათი მოწონება სწყუროდა. შორიდან მოესმა მაიკოსა და ეკატერინეს კისკისი.

აყვავებულ წაბლის ტოტზე ჩამომული საქანელას ფიცარზე იდგნენ მაიკო და ეკატერინე. ჰაერში გაფრენილი ფარშავანგივით ფრიალებდა ხან ერთი, ხან მეორე.

ეკატერინეს პირისფერი კაბა ეცვა, სახე აწითლებოდა, თვალები უბრწყინავდა, გაწეწილი ხუჭუჭი თმები მხრებზე ჩამოშლოდა და წაბლის ყვავილები თმებზე ლოლუბივით ახუნძვლოდა.

ყოველ გაქანებაზე მათარახებივით ირბოდნენ მაიკოს ნაწნაგები. პატარა თავზე მწყობრად დაწყობილი თმებითა და მოშვილდული წარბებით გაფრენილ მერცხალს ჰგავდა მაიკო. ტატოს დანახვაზე საქანელა შეაჩერეს, ერთხმად შესძახეს:

— ჟურნალი მოიტანე, ტატო?

— მოვიტანე. — დასტური დასცა

ტატომ და ქალებიც საქანელადან გაღმობრინდნენ.

ქალების შუა ჩაჯდა ტატო მუხს ლებზე აღმანახი დაიდო. ირწეოდა საქანელას თოკი. ირხეოდა აყვავებული წაბლის ტოტი. წაბლის ყვავილობა იყო და ყვავილებთან ერთად მისი სურნელიც მოჰქონდა სიოს.

— გადავათვალე ერთი, მერე წავიკითხოთ!

— რამდენი განყოფილებაა?

— ოთხი.

— შოთა რუსთაველი, პუშკინი, ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანები.

— ყოჩაღ, აღარა ხუმრობთ.

— მაშ, როგორ? განა მარტო მოსწავლეთა აღმანახია?!

— მოსწავლეთაგან ვისი მასალებია?

— მიხეილ თუმანიშვილისა, დავით შაჩაბლისა და თქვენი მონა მორჩილის ნიკოლოზ მელიტონის-ქე ბარათაშვილისა.

— მაჩვენე, „ვეფხისტყაოსნიდან“ რომელი ადგილია?

— მოიცათ, წავიკითხავთ. — „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტრიალი წყლისა პირსა“.

— მიხეილს დამიხედეთ, პუშკინის — „კავკასიის ტყვე“ უთარგმნია!

— გრიგოლის „იარალიც“!

— „შემოლაშობა მთაწმიდაზედ“... თქმული ნიკოლოზ ბარათაშვილისა. წავიკითხებ, ტატო! — სთხოვა ეკატერინემ.

— „ჰოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად! როს მქუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარებლად“.

გარინდულიყვენ მაიკო და ეკატერინე, უხმოდ მისჩერებოდნენ ტატოს, თითქოს მათ წინ უცხო იდგა და ვერა სცნობდნენ. საიდან მოიტანა ამოდენა ძალა ტატომ, ვინ ჩაუდგა ამოდენა სული.

ტატო ერთხანს შესჩერებოდა ორივეს.

— რა დაგემართათ, ეგრე რად მიყურებთ?

— ჩემო ტატო, ეს შენა ხარ, ნამდვილად შენა ხარ? — ეკატერინე ტატოს მხრებში სწვდა, შეარზია.

— შენი ჭირიმე, ტატო, ერთხელ კიდევ წამიკითხე! — მაიკოს წამწამებზე ცრემლი გადმოეკიდა, ტატომ კვლავ დაიწყო.

— „შიო მთაწმიდავ, მთაო წმიდავ!..“

— ტატო, მაშინებ, ტატო!

— რათა, მაიკო?

— შეშინია, ტატო, შენ ჩვენი აღარა ხარ, ტატო, ველარა გხედავ, სადღაც შორს, შორს მიდიხარ ჩვენგან, ველარა გწვდებით, ტატო! — მაიკომ სახეზე ხელები აიფარა.

— ნუ შიშობ, მაიკო, ტატო ისევ ჩვენი იქნება, როგორც ყოველთვის, საქანელაზე დაეჯდეთ, ტატო გაგვექანებს.

— არა, არა, ეკატერინე! — ხელები გაასავსა მაიკომ. — მომეცი ლექსი, მომეცი! — ტატომ რვეული გაუწოდა.

— ტატო, ჩვენ დავსხდეთ საქანელაზე.

მაიკო მწვანე მოლზე დაჯდა, ლექსის კითხვა დაიწყო. ტატო და ეკატერინე საქანელაზე შეხტნენ. ქანაობდა საქანელა, უჩვეულო და დიდი სიხარული ეუფლებოდა ორივეს. ირავოღნენ აყვავებული წაბლის ტოტები. ბზის ბუჩქზე შაშვი ჭახჭახებდა. მთაწმიდაზე მწუხრის ზარი რეკდა შეუჩერებლად. მიდამოს ეკატერინეს კისკისი აყრუებდა.

— ჩქარა, ჩქარა გავქანდეთ, ტატო, ქროლვით ავიდეთ მთაწმიდამდე.

ხელიდან საქანელას თოკი გაუსწლტა ეკატერინეს. წამი და გაქანებულ საქანელადან გადმოვარდებოდა, ტატომ ორივე ხელი გაუშვია შესაჩერებლად. რად იყო ეკატერინეს თვალეში ტატოს თვალებთან ასე ახლოს? მისი ბაგე ასე მხურვალე? ტატოს თვალეში შიშვა და გაოცებამ ჩაისადგურა. ეკატერინეს შეკვივლებამ გამოარკვია, სწრაფად ჩამოხტა საქანელიდან. შორიდან მოესმა მაიკოს შეძახილი:

— რა მოგივიდა, ეკატერინე, მეგონა გველმა გიკბინა ახ მთაწმიდაზე! — პასუხად ეკატერინეს გულსაქაძე უხერხულად მია.

ტატოს ტანზე ბუსუსები დააყარა. ბალიდან გამოსული წყაროსთან შეჩერდა, წყაროსთან მეჯინებე ჭავჭავაძიანთ ცხენებს იურვებდა. ტატო კი გაურბოდა ეკატერინეს ცეცხლოვან თვალებსა და მხურვალე ბაგეს.

ბურანში გაატარა ის ღამე ტატომ. აღარაფერზე ფიქრობდა საქანელაზე ქანაობით გაბრუებული. თვალწინ მხოლოდ საქანელა და ჰაერში აფრენილი ეკატერინე უტრიალებდა.

დილით მთელი სხეული სტკიოდა ტატოს, თავი უბრუოდა. სკოლისაკენ მიმავალს ილიასთვის არც ერთ კითხვაზე პასუხი არ გაუცია, არც გაკვეთილის მსვლელობისათვის მიუქცევია ყურადღება. უეცრად დარხეულმა ხმამ გამოაფხიზლა ტატო.

— არსენა მოუკლავთ!

— არსენა მოუკლავთ!

— კუჭატნელს მოუკლავს!

— მცხეთის გზაზე გდიაო, მკვდარი!

— წავიდეთ, ენახოთ!

— ყველანი წავიდეთ!

— ჩქარა! — გაისმოდა შეძახილები.

ხალხით გაიქვდა მცხეთისაკენ მიმავალი თბილისის გზა. მიდიოდნენ დროშეებით, ტარანტასებით, ცხენებით, ფეხით. მიდიოდნენ გლეხები, ვაჭრები, ხელოსნები. ყველა იჩქაროდა, ენახა ხალხის არსენა, რომელიც წლების მანძილზე შიშის ზარს სცემდა ყველას, ვინც სამართლიანობასა და ადამიანს აბუხად ივდებდა.

ტატოს გაახსენდა ბავშვობა. გაახსენდა, გაცხარებული ზაალი აივანზე რომ ბოლთას სცემდა, ყველას შესჩიოდა:

— თვითონ ყაჩაღად გავარდა, გოგოც მომტაცა, მერე რა გოგო!

მაშ, არსენა მოჰკლეს, ის არსენა — მიდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევსო, რომ ამბობდნენ. გზაზე ვაჭრილ ხალხს ტატოც აედევნა და ისიც მცხეთისაკენ გაეშურა.

გაზაფხულის წვიმებს მტკვარი აედიდებინა, კალაპოტი გადმოელაზა, ფაფარაყრილი მოშხუოდა, თითქოს გაუგიაო არსენას სიკვდილი. მზე შუბის ტარზე იდგა, მაგრამ თბილისის სიციხეები ჯერ არ დაწყებულყო, ამწვანებულ, აყვავებულ გზაზე სიარული სასიამოვნო იყო.

მიუახლოვდნენ მცხეთას. შორიდან გამოჩნდა მტკვრის გაღმა სვეტიცხოვლის უბეში მიყუჩული სახლები. გზაკი ტყის ნაპირს მიჰყვებოდა. შრიანებდა ტყე, თითქოს ხეები გლოვობენო თავიანთ ბინადარს.

მიუახლოვდნენ შეგროვილ ხალხს, გზაზე მებდარტყმული მუხნასავით ეგდო მზრებგანიერი არსენა მარაბდელი. მკლავები დაჭრილი ტოტებივით ჩამოსცვენოდა, პირიდან გადმონადენი სისხლის ზოლი მტკვარში შექრილიყო და შედედებულყო, გვერდით ბატონილი ხმალი ეგდო. თავთან შეკაზმული ცხენი იდგა, დაყნოსავდა უძრავად დაგდებულ პატრონს, თავს აიღებდა, იჭაურობას მოათვალიერებდა და მისი ჭიხინი მიასკდებოდა მცხეთის გორებს.

ტატო აბლო მივიდა, დახედა არსენას.

— ზურგში მოუხვედრებია იმ წუნკალს!

— მაშ, არსენას პირდაპირ ვინ შებედავდა!

— დაწყველილი იყოს ის მარჯვენა, რომელმაც სასიკვდილოდ გაგიმეტა, ბიჭო არსენა!

ქედმოხდილი გლეხკაცობა გარს ეხვეოდა, ცრემლით სავსე თვალებს არ ამოვრებდა.

აღარავინი ესმოდა არსენას, ეგდო უძრავად.

საკაცე გამოიტანეს ტყიდან. ზედ დასვენეს სიციხლეში ტყეს შეფარებული, ტყისავე ფოთლებმა დაჰფარეს სიკვდილის ეამს.

მზე დასაღვლეთით გადახრილიყო.

დაგრძელებულიყო ჩრდილები და ზღპრული დევგმირებივით მუხრავებდნენ მტკვრიან გზაზე არსენას. მტკვარი უმეტესად საკაცეს წაწვდა ტატო, უნდოდა მიშველებოდა უღონო ვაჟკაცს, რომლისთვისაც სიკვდილის აჩრდილს ძალა წაერთმია.

სვეტიცხოველში დაასვენეს არსენა, თითქოს ვერ ეტეოდა ვეება ტაძარში ვეება ვაჟკაცი. გაშლილი მკლავები გულზე დაუკრიფეს. ტაძრის გუმბათიდან ჩამოსული მზის სხივი აკიაფდა ვაჟკაცის სახეზე და ფერმკრთალ შუბლზე ნათელი დააყენა: აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესო. — ჩურჩულებდნენ ტაძრის კედლები.

* * *

ტატო და ილია მომავლის გზის ძიებაში კიდევ უფრო მეტად დაამეგობრა. ისინი მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ. მათი მომავლის იდეალს გრიგოლი წარმოადგენდა, ამიტომ ორივენი სამხედრო სასწავლებელში წასვლაზე ოცნებობდნენ. სანამ სოლომონ დოდაშვილს გადასახლებდნენ, ტატოს თითქოს უნივერსიტეტი იტაცებდა, მაგრამ სოლომონის გადასახლების შემდეგ კვლავ ოფიცრობაზე ოცნებობდა.

ტატო და ილია აივანზე ისხდნენ და თავიანთ მომავალზე საუბრობდნენ.

შეშინებული მსახური შემოვარდა აივანზე.

— ტატო, ილია, ბატონი მოიყვანეს ავადმყოფი! — ილია და ტატო სწრაფად წამოხტნენ. მელიტონი საკაცით ამოჰყავდათ კიბეზე. ეფემიას ორივე ხელები ერთმანეთზე გადაეჭდო, შეშინებული სახით მოსდევდა. მთელი სახლობა შეიყარა. უგონოდ იყო მელიტონი. უახროდ გამოიყურებოდა. სახეწამოწითლებული. ექიმთან აფრინეს კაცი. მოიყვანეს პოლონელი ექიმი პოპიევი. ექიმი კარგახანია თბილისში ცხოვრობდა. ყველა თბილისელი მის-

თვის ახლობელი იყო, ქართულსაც ამტკრევდა:

— წურბლები, წურბლებია საკირო! — გასცა განკარგულება და რამდენიმე შათირი გაიქცა წურბლების მოსატანად.

— ნუ გეშინიათ, მალე კარგად გახდება. წვეთმა დაარტყა, მსუბუქი დარტყმაა. — აიშედეგდა ექიმი ეფემიას.

— წვეთმა დაარტყა, წვეთმა! — ჩურჩულებდნენ შინამოსამსახურეები.

წურბლები მოიტანეს. ექიმმა მელიტონს წურბლები დაასხა.

ტატომ ის ღამე მამის ოთახში გაატარა ღედასთან ერთად.

ეფემიას ცეცხლი ეკიდებოდა, ცალკე მელიტონის ავადმყოფობამ და ცალკე ვალში ჩავარდნილი ოჯახის დარღმა მთელი ღამე არ დაასვენა, რამდენჯერმე დააპირა დარდი ტატოსათვის გაეზიარებინა, მაგრამ დაენანა შვილი.

მელიტონი შეინძრა. თვალები ეფემიას მიაშტერა. ეფემიამ დაინახა, აზრი როგორ ჩაუდგა მელიტონს თვალებში, ხელზე დაწვდა და ჩასძახა:

— მელიტონ, მელიტონ!

მელიტონი დააშტერდა ეფემიას სახეს და ძლივს წაიწურა:

— ეფემია!

— მე ვარ, მელიტონ, მე, ხმა ამოიღე, მითხარი რამ! — კვლავ ჩასძახოდა ეფემია მელიტონს. ტატო კი ჩუმად იდგა, მისჩერებოდა ღედ-მამას. ახლა ტატოსაცენ მიმართა მზერა მელიტონმა. დააკვირდა შვილს, აყრილ ნისლში, რომელიც თვალებზე ეფარებოდა, შორს, საღდაც შორს, დაინახა შვილის სახე. ძალღონე მოიკრიბა, უნდოდა ხმამაღლა დაეძახა ტატოსათვის, ძალიან წმამაღლა, თორემ ვერ გააგონებდა შორს მყოფს. ბაგეები შეანძრია. ენა არ ემორჩილებოდა, ყელში საღდაც ხმა იკარგებოდა. თავს ძალა დაატანა, თავის მკეჭარე ხმით დაიძახა:

— ტატო! ტატო! — ეფემია და ტატო ლოგინთან დახრილები ყურადღებით უსმენდნენ მელიტონს.

— ჩემს სახელს ამბობს, ღედო, მე მეძახის, მე, მიცნო, მიცნო! — ღედას მოეხვია ტატო. ეფემიამ შერტყა მკერდს თავი მიაყრდნო.

— ნეტავ, გრიგოლი იყო აქ!

— აქა ვარ, ჩემო ფეფო, რად გეშინია! — ეფემიამ შვილის სახეს ახედა. იგრძნო, ახალი დასაყრდენი გასჩენოდა, რომ ეს დასაყრდენი მყარი და ძლიერი იყო.

ღდეები გადიოდა. მელიტონს მომჯობინება დაეტყო. ექიმი იმედს იძლეოდა:

— მალე სრულიად განიკურნებაო.

ეფემიას იმედი მიეცა—მელიტონი კვლავ შესძლებს ოჯახს სათავეში ჩაუდგეს და აწეწილი საქმეები მოაკვროსო.

* * *

მოსწავლეები ჯგუფებად მიდიოდნენ გიმნაზიისაკენ. ეს უკანასკნელი მისვლა იყო, ამის შემდეგ მათთვის იხურებოდა გიმნაზიის კარი. მაგრამ ამაზე ახლა არავინ ფიქრობდა, მხოლოდ სიხარული მიჰქონდა თან ყოველ მათგანს.

თბილისის ცა თითქოს ზევით აწეულიყო. ლაქვარდი ფერი გადაეკრა და გულღია მასპინძელივით ეგებებოდა ყველას. სუნთქვა გაადვილებულიყო. თითქოს ფრთები შესხმიათო, ისე მიქროდნენ მოსწავლეები გიმნაზიისაკენ. ჯერ ისევ ადრე იყო, როცა ყველამ მოიყარა თავი. ყველანი ერთმანეთს სიყვარულით უყურებდნენ, გრძობდნენ, რომ მათი ცხოვრების გზები ღღედიან იყრებოდა და ყოველ მათგანს ცხოვრებაში ახალი ბილიკი უჩნდებოდა, რომელზედაც დამოუკიდებლად უნდა ევლო. ვინ იცის, ვის რა ელოდა, ვისი ბილიკი მრუდე იყო და ეკლიანი, რომელი მათგანი შესძლებდა ეკალნარის მოცილებას და ბილიკის გაფართოებას, რომლის ბილიკს შამშნარი გადაივლის და სამუდამოდ დაიკარგება მისი ნაკვალევი.

მასწავლებლებიდან ყველაზე ადრე ღემენტევი და ივანე არღუთაშვილი

მოვიდნენ. საზეიმოდ იყენენ მორთულ-ნი, შავ კოსტუმებში, თეთრ პერანგებში და თეთრ ხელთათმანებში.

მოგზაილდა მთავარმართებლის ბატონი როზენის დროშა. მოვიდა შავი ფარჩის ანაფორით ეგზარხოსი. შავ ფრაკში გამოწყობილი სკოლის დირექტორი, რომელიც ხან მთავარმართებელთან მიიჭრებოდა, ხან გუბერნატორთან, ხან ეგზარხოსთან.

მაგიდის შუაში მთავარმართებელი ბარონი როზენი დაჯდა, მარჯვნივ ეგზარხოსი და მარცხნივ შავფრაკიანი სკოლის დირექტორი, შემდეგ ჩამწყვრივდნენ საპატიო სტუმრები, ჩინისა და თანამდებობის მიხედვით.

ლევან მელიქიშვილი შუა ოთახში გამოვიდა და მთავარმართებელს მიმართა.

სულგანაბული უსმენდნენ. ტაშის გრიალმა დაჭარა ლევანის უკანასკნელი სიტყვები.

სკოლის დირექტორმა შეკრებულობას წლიური ანგარიში წაუკითხა. წაიკითხა კურსდამთავრებულთა სია და მათი დახასიათება: — ნიკოლოზ მელიტონის-ძე ბარათაშვილი — ბრწყინვალე წარმატებები აქვს სწავლაში. საუკეთესოდ ფლობს ქართულ, რუსულ, ლათინურ, ფრანგულ, გერმანულ და თათრულ ენებს, საქართველოს და რუსეთის ისტორიას, საერთოდ ყველა საგანში ითვლება წარჩინებულ მოწაფედ. დახლოვნებულია თარგმანში ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ენებზე. არის ფიცბი ხასიათის და დაუდევარი. საგამოცდოდ წარმოდგენილი აქვს ტაციტის თარგმანი: „შესხმა აგრიკოლასი სპასპეტისა რომაელთასა მხედართმთავრისათა ბრიტანთა თანა“.

— ლევან მელიქიშვილი — ბრწყინვალე წარმატებისა. ყველა საგანში აქვს ნიშანი ზუთი, დინჯი და მოფიჭრებული ქვევა, საქმისადმი განსაკუთრებული ინტერესი და სიყვარული. — ასე კითხულობდა სკოლის დირექტორი ყველა მოსწავლის დახასიათებას,

ყველა მათგანს ურიგებდა ატესტატსა და საჩუქარს.

სახე აწითლებული, ~~ფეხლები~~ ^{არც ერთი} ყინებული მოსწავლეები თვითვე სიტყვას ულაპავდნენ.

დამთავრდა ზეიმი. ხმაურით დაიშალნენ, გიმნაზიის კიბე ჩაირბინეს, გარეთ გამოვიდნენ. ტატომ ახედა გიმნაზიის შენობის ნაცრისფერ კედლებს. მოაგონდა ის დღე, როცა პირველად მოვიდა აქ, სოლომონ დოდაშვილის გაკვეთილები, რომელსაც სულგანაბული უსმენდნენ. — ნეტავ სად არის სოლომონი? — აღტაცება ჩაუჭრა, უხმოდ გაჰყვა ხმაურით მიმავლებს.

კარებში ეფემია შეეგება. გაუღიმა დედას, ატესტატი ააფრიალა და უთხრა: — ხედავ, ფეფო, შენმა ტატომ გიმნაზია დაამთავრა.

ეფემია გადაეხვია შვილს. ტატომ ხელში აიტაცა დედა და მამის ოთახისაკენ გაეშურა.

მომჯობინებული მელიტონი საეპიტელში იჯდა, მხიარული შვილი რომ დაინახა, ორივე ხელი გაუწოდა:

— მოდი, მოდი, ჩემო მოსწრებულო შვილო, ამიერიდან აღარა მიშავსრა, თუ მოკვდები, ოჯახის ბურჯს გიტოვებ, ეფემიავე. — ტატო მამის წინ დაიხარა. ეფემიაც იქვე ჩამოჯდა, უყურებდა გადახვეულ მამა-შვილს და მოძალეებული სიხარული სათქმელს უხშობდა.

— შევეცდები იმედები არ გაგიცრო, მამავ ბატონო, ერთადერთი სურვილია გამაჩნია, მალე დავამთავრო სამხედრო სასწავლებელი და მოგხედო.

მელიტონს სახეზე გაოცება აღებეჭდა.

— განა ჯარისკაცობას ფიქრობ?

— ჩემი სურვილი ყოველთვის ჯარისკაცობა იყო. იგი მზრდიდა მე აქამომდე.

— ეგ რამ გაფიქრებინა, შვილო! შენი ფეხით თუ არა ინვალიდთა კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენ.

— რას ამბობ, მამა! ფეხი სულაც

აღა რმტყვია, ჩემებურად კიდევ ვბტი და კიდევ ვტანცაობ.

— არა, შვილო, ჯარისკაცობა შენთვის უბედურმა შემთხვევამ დაახშო.

ტატომ მამის სავარძელის წინ დაიჩოქა, ორივე ხელები დაუჭირა:

— მაშინ უნივერსიტეტში გამგზავნეთ, მამავ ბატონო, თუ შტაცკი ვიყო, დე, ვიყო!

— ჩემი ოცნებაც მუდამ ეგ იყო, შვილო, მაგრამ ხომ ხედავ შენი სახლის გარემოებას. იქნებ ველარც კი დაეაღწიო თავი ამ სნეულებას. შენ სახლს არ უპატრონებ?

კარგახანს იყო ტატო თავდახრილი მამის წინ. წამოდგა. თვალებში სიხარული ჩაქრობოდა. დედას შეხედა. მდუმარედ იჯდა ეფემია. მამ, დედაც ეთანხმება მამის სურვილს. — გაუელვა და ხმა ძლივსლა ამოიღო.

— თქვენი სურვილის საწინააღმდეგოს არაფერს გავაკეთებ.

თავის ოთახში გავიდა ტატო. ჩაეშალა ბავშვობიდანვე ნაფერები ოცნება. ჩაებერგა ცხოვრების გზა. მაგიდასთან მივიდა, თვალი შეავლო ჩამწკრივებულ წიგნებს.

მაგიდაზე გაშლილი იდო შავყდიანა რვეული, ტატომ კითხვა დაიწყო:

— „გიყვარდეს მშობელნი შენი, მორჩილ ექმენ მათ და პატივი ეც შეძლებსაამებრ შენისა.“ — წუთით შეჩერდა ტატო და კვლავ განაგრძო:

„შეუდეგ კეთილმოქმედებასა და ილტვოდე ბოროტისაგან.“

„ნუ მიუმატებ დაბარებულსა საქმესა ზედან, სიტყუასა ნურცა გარდაცვლი და ნურცა ვაკონილსა ზედან სხუასა რასმე მეტსა შესძინებ.“

„ნუ შეებმი ესგვარ საქმესა, რომლისა აღსრულება არ ძალგდევს.“

„ნუ იქნები მეშურნე.“

„ცილსა ნურავის შესწამებ და ნურცა ვისმეს შენს უფროსთან დააბეზლებ, გარდა სჯულისა, მასულისა და მეფისა მუხანათსა კიდევ.“

„ოდეს იწყოს ვინმე უბნობად, გონიერად უსმენდე.“

„ნუ იქნები ზევი და ბმხსარტაქმინოქა“
„უკეთუ არა ძალა გედვას, ნუ აღუთქვამ.“

„რაიცა აღსთქვა, აღასრულე.“

„იქმნე მხნე და შრომის მოყვარე, გიყვარდეს სწავლა. — ჩაათავა რვეულის გვერდი ტატომ და დახურა.

ფანჯარასთან მივიდა ტატო. გრიგალი ამოვარდნილიყო. პაერში მტერის ბული ტრიალებდა. მხეც კი დაებნელეზნა. ძლივსლა ჩანდა გზა. გრიგალი აქეთ-იქით ახეთქებდა გზად მიმავალ მგზავერს, წინ ეღობებოდა, გზას უზშობდა. ბარბაცით მიდიოდა შავით მოსილი მგზავერი ქარიშხლიან გზაზე.

დღეები და ღამეები წინანდალში

მზემ სხივები აკრიფა. ბინდი ჩამოწვა მთაწმიდის კალთებზე. მთებმა მტრედისფერი ჩრდილი გადმოაფარა ქალაქს. თბილისის ქუჩები, მოედნები და ბაღები ხალხით აივსო. შორიდან ისმოდა ჩონგურის ქლერა, ზურნის ქიქყინი და გაბურებული დაირის წყრიალი.

სახლების წინ ხის სკამებზე მოხუცები ისხდნენ, ხელში ნაირფერ კრილოსნებს ათამაშებდნენ. მამაკაცებს გიშრები აერჩიათ, ქალებს — ქარვა და მარჯანი. ბანებზე გამოფენილი ტანწერწიტა ქალები ყუყუნა თვალებს აელვებდნენ. ქუჩაში ტატოს გამოჩენაზე შეიფრთხილეს, კისკისი და ბანიდან ბანზე ვადაძახილი გაახშირეს.

— უფუნებოდ არის ტატო. — წასჩურჩულა ერთმა ღამაზმანმა მეორეს, რომელსაც იასამნისფერი კაბა ეცვა და ბეჭვებზე წამოსხმულ იასამნისფერისავე შარფს ქარი უფრიალებდა.

ტატო ყაბახისაყენ ნელი ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას. შორს სადღაც გამოჩნდა აქანებული საქანელა და ეკატერინეს

მოდინარი სახე. მთვარე ამოცურდა-
ლია ცისფერი ვადაეკრა მუქლურჯად
მოელვარე ცას. ყაბახზე აცელქებული
კოჯრის ნიავე დაჰქროდა და თან მოჰ-
ქონდა მტკერის ჩივილი. ტატოც ნიავეს
აჰყუა, მოაგონდა, რამდენი უხეტიალია
აქ ძია გრიგოლთან ერთად.

ტატომ გუნდგუნდად მოსეირნე კეკ-
ლუცად მორთულ ქალებს შეავლო თვა-
ლი: აქ იყო მანანა, ტანწერწერა ელენე,
ნარნარი მაიკო. ქალებს გარს ყმაწვილ-
კაცობა ეხვეოდა: ილია, ლევანი, კონ-
სტანტინე. პლატონი მშვენიერ ნინოს-
თან დასეირნობდა და რალაცაა უამბობ-
და. ის კი, ვისაც ეძებდა, მათ შორის
არ იყო. ეძებდა? თუ ეძებდა, მაშ რა
უშლიდა, რომ ერთხელაც აღარ შეიპ-
რა მათთან? ფიქრებს აჰყუა ტატო.
ქალების შეფრთხილებამ გამოარკვია,
მიიხედა, შორს მომავალი ყაფლანი
დაინახა, ახმაურებული ქალები ყაფ-
ლანისაკენ გაეშურნენ. სახე გაებადრა
ყაფლანს ქალების დანახავზე.

— შენა გვაკლდი, ყაფლანი!

— მოუთმენლად გელოდით!

— სთქვი რამ, ყაფლანი, შენი სიმ-
ღერა გვინდა!

— პრანჭვას არ მოჰყუე!

— თქვენს მზესა ჰფიცავს მუდამ
ყაფლანი. როდის იყო მანდილოსნების
სურვილს არ ვასრულებდი?! — ყაფლა-
ნმა ყელი მოიღერა და ემხში მოსულ-
მა წამოიწყო: — „თვალს ავახელ ზედ
წამწამზე მიზიხარ“. — შეკრთა ტატო,
როგორც ყოველთვის, ახლაც, შორი-
დან მიუხვდა ძია გრიგოლი ფიქრებს.
მთვარეს ახედა. თეთრი ღრუბლის
ნაფლეთისათვის შეეფარებინა თავი
მთვარეს და შუქი ჩაჰქრობოდა. სევდა
აეშალა ტატოს. შეკრებილებს მიუახ-
ლოვდა, თვალი შეასწრო თეთრ კაბი-
ანს, ასე ეგონა, საქანელადან ახლა გად-
მოსულაო ეკატერინე. ჭურციკივით გა-
ნაბულს ყური ყაფლანის სიმღერისათ-
ვის მიეგდო. შეჩერდა ნაბიჯის წინ
წადგმის ძალა წაერთვა, ეკატერინემ

გაუღიმა, ამ ღიმილმა გაამხნევა ტატო.
ნაბიჯი წადგა. დარცხენილი შეჩერდა
ეკატერინეს წინ.

მეზღვირთქა

— კვლავ მელირსა თქვენი ხილვა.

— სად დაიკარგე, ტატო! მოდას ხომ
არ აჰყუევი და დაივიწყე ძველი ნაცნო-
ბები? კიდევ უფრო მეტი ძალა მისცა
ეკატერინეს სიტყვებმა ტატოს.

— განა დროს შეუძლია მომიშალოს
თქვენი ხსოვნანი?

ეკატერინეს სიწითლემ გადაჰკრა,
თითქოს ვარდის ფურცლები აეკრნე-
ნო ლაწვებზე. მთვარეც დაუსხლტა
ღრუბლის თეთრ ქულას და ნათელი
მოეფინა ეკატერინეს აწითლებულ სა-
ხეს. სალომეს ხმა მოიკრა შორიდან,
თავის ასულს უხმობდა. ეკატერინე
სწრაფად წავიდა დედისაკენ.

ეკატერინეს წასვლის შემდეგ დიდ-
ხანს აღარ დარჩენილა ტატო ყაბახზე.
ზღვა სიხარული შემოქროდა და მარ-
ტო უნდოდა დარჩენა ამ სიხარულთან.

ვერც ოთახში მოისვენა ტატომ. ახ-
ლობელი უნდოდა ვინმე, სიტყვის
მთქმელი, მესაიდუმლე.

— ძია გრიგოლი, ძია გრიგოლი. —
ჩურჩულებდა და ოთახში მიმოდიო-
და. — ძია გრიგოლს უნდა გავუზიარო
ეს ღამე. მან ხომ ყოველთვის იცოდა
ჩემი ფიქრების გაგება?

წერილი დაასრულა, ღია ფანჯარას-
თან მივიდა. გადიდებულიყო თეთრი
ღრუბლის ქულა. ჩამავებულს აზვირ-
თებულს სრულიად დაეფარა მთვარე,
დარდი გასჩენოდა, ცრემლად იღვრე-
ბოდა.

— შენი არს ყაბახი, შენ ვიყარს
იგი. — თითქმის აცრემლებულ ღრუ-
ბელს შეჰლაღადა ტატომ და მაისის
ქუჩუნა წვიმას — ხელი გაუშვირა. წვი-
მის წვეთები ხელს უსველებდა. ყოველ
წვეთს სიხარული მოჰქონდა. — ნეტავ
აღამიანის ცრემლსაც ასევე სიხარული
მოჰქონდეს ქვეყნისათვის! — ფიქრობ-
და ტატო. ფანჯრის რაფაზე ჩამომაჯ-

დარი წვიმის წვეთებს თვალს არ აცილებდა.

— ნუთუ ამდენხანს სძინავს! — გამოარკვია ტატო ლევანის შემახილმა. ლევანი და ილია ოთახში შემოიჭრნენ.

— ამდგარხარ. გამდელი კი მაჯერებდა, ჯერ ისევ სძინავსო. ანებიერებ, გადიე, შენს გაზრდილს, ანებიერებ. — გასძახა კარებიდან ილიამ. — დაპირება დაგავიწყდა, ტატო?

— რა დაპირება?

— ქალები უნდა გავაცილოთ?

— უ! — ხელი შუბლზე გადაისვა. — ამ წუთში მზად ვიქნები.

— ახალი დაწერე რამე? — მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს დააცქერდა ლევანი.

— წერილი დაწერე ძია გრიგოლისათვის.

— აქ ლექსიც არის — „ვით მიჯნური, ვამთ მოჩივარი“.

— წუხანდელი ღამე ავუწერე, ძია გრიგოლს.

— წამოიღე, ქალებს წაუფიქთხოთ.

— არა, ძია გრიგოლისაა ბირველად იმან უნდა წაიქითხოოს.

— ჩქარა წამოდი, გვიგვიანდება. — აჩქარებდათ ილია.

გარეთ გამოვიდნენ. აღარ წვიმდა. მაისის მზეზე ბრწყინავდნენ კვირტებზე შერჩენილი წვიმის წვეთები. გარშემო მიწის სუნი იდგა. ილიამ ცას ახედა.

— სამგზავრო ამინდია, სიცხე არ შეაწუხებთ.

ქალებს ქვეყაეამებთან მოეყარათ თავი. წყაროსთან მანანას „დროშკა“ იდგა. „დროშკიდან“ მოსჩანდა მაიკოს მერცხლისებური თავი, თვალები და მოხატული წარბები. წერილი ძენწის მსგავსი ნაწინაეები მკერდზე ეყარა. მუხლებზე ქოლგა ედო. მოსამსახურეებს სახლიდან კალათები, ფუთები გამოკონდათ და „დროშკებში“ ალაგებდნენ. ლევანი და ილია „დროშკასთან“ მიიჭრნენ.

ტატო ჩინარის ქვეშ იდგა. წუხანდელი ღამის დარდები გამოჰქურლდა. გაღვიძება დაეწყოთ ჩინარის: ფრთხილად დაკურებდა ტატო, როგორ იღვიძებდნენ ფოთლები. ეგონა მათი უკანასკნელი ამოსუნთქვა მესმისო გაღვიძების წინ.

წვიმის შემდეგ მზე მორცხვად ანათებდა და აფეთქილი ხეები ახლად პირდაბანილ ჩვილებივით გამოიქტირებოდა. თავი წამოეყოთ გაზაფხულის წვიმისაგან გადათელილ ბალახებს.

კიბეზე ეკატერინე გამოჩნდა. ქულზე სირაქლემის ცისფერი ფრთა ეკეთა, ყელზე დიდი ფირუზი. ტატომ თვალი შეავლო კიბეზე ჩამომაველ ეკატერინეს. მზერა მის სახეზე შეაჩერა. მასში ეძებდა შუქს თანაგრძნობისას. ოდნავ თვალები მოქუტა ეკატერინემ და გაიღვეს ბროლის კბილებმა. ტატოს მოეჩვენა, რომ ის ხელახლა იზადებოდა წვიმისაგან განბანილ ბუნებაში.

„დროშკებში“ მოთავსდნენ ყველანი. ვაეკაცებს ცხენები მოართვეს. ეკატერინეც ცხენზე შეჯდა. დაიძრნენ „დროშკები“ და უკან გაჰყენენ ცხენოსნები. ტატო ეკატერინესთან მოსვლას ვერ ბედავდა. მისი ცხენი ყველაზე უკან მიდიოდა ნელი ჩოროთით.

ტატო შეაერთო მათრახის ტკაცუნმა და უეცრად ეკატერინეს ცხენი მისი ცხენის გვერდით გაჩნდა. სიჩუმეს არც ერთი არ არღვევდა, საერთო საუბარი, რომელიც გარშემო ესმოდათ, ისევე შორს იყო მათგან, როგორც ცაში აფრენილი მერცხალი თავისი ბუდიდან. ისინი მარტო გრძნობდნენ თავს. ერთი გამოხედვა, გაღვიძება და წარბის ოდნავი მოძრაობა მათ უფრო მეტს ეუბნებოდა, ვიდრე სიტყვები — დავითმა ცხენი მიაგდო ტატოს ცხენს და მიმართა:

— ილიამ და ლევანმა აღგვიტქვეს. — მალე გეწვევითო წინანდალში. შენც ხომ ჩამოხვალ?

ტატომ ცხენი შეაჩერა, ეკატერინეს შეხედა, ახალგაზრდა ქალის გაბრწყინებული თვალები უხმოდ შესთხოვდნენ: — მალე ჩამოდით.

— უთუოდ წამოვეყვები ყმაწვილებს.

ეკატერინემ ტატოს პასუხი რომ გაიგონა, ცხენი ადგილიდან მოსწყვიტა.

— მალე ჩამოდით, ნინოს მდგომარეობა მიწუხებებს. ჯერ ქმრის დაკარგვის დარდი არ განელეზბია და ახლა მამის ამბავიც ზედ დაერთო. — ნაღვლიანად ეუბნებოდა ლევანი.

— მწუხარება, მწუხარებას მოსდევს ყოველთვის.

— მანანა და მაიკო დავსაჯეთ, მაგრამ უმადგათობა მძიმედ დაგვეტყობოდა ყველას.

— მწუხარების დროს ღმერთმა მანანა მოგცეს, თითქოს თან დაპყლია თვისება ნუგეშისა. — ტატომ მანანას გახედა.

— ამიტომ იმედი მაქვს, არც თქვენ დაყოვნებთ და მალე გვეწვევით.

— თბილისში ძნელი ვასაძლები იქნება უთქვევოდ. რალა დარჩა ისედაც დამწუხარებულ ქალაქში? — უპასუხა ტატომ.

— უმჯობესი იყო თქვენც ჩვენთან ერთად წამოსულიყავით.

— უმადლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციისაში თხოვნა მაქვს შეტანილი სამსახურის შესახებ, პასუხს ველოდები.

— სამსახურის დაწყება გიხდება?

— სულ არ მომსვლია ფიქრად საშოქალაქო სამსახური, მაგრამ გარემოებისა გამო, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვის...

— მართალი რომ ითქვას, ეგ ადგილი ყმაწვილი კაცისათვის, ვიაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი სკოლაა.

— განა მოხელეთა წრე ხელსაყრელია ზნეობრივი განვითარებისათვის?

— ეს თავისზედაც არის დამოკიდებული.

ლაპარაკი ილიას მოახლოვებამ შეწყვეტინათ.

— დავით, დედამ ბრძანა, გეცხვის ძირად გაშალეთო სუფრა.

„დროშები“ დააყენეს, ახლად აკვირებულ ცაცხვის ქვეშ მოიყარეს თავი. გამდელმა ლურჯი სუფრა გაშალა.

მოვიდნენ ახლომახლო სოფლებიდან გოგო-ბიჭები, მოსაკითხი მოართვეს: ბუჩინტი ყველი, მაწონი, ნადუღი.

დამთავრდა პურობა. გამოთხოვება დაიწყო. ამხედრებული ეკატერინე ტატოსაკენ გადმოიხარა. ნიავეით ჩუმად წაიჩურჩულა.

— მალე ჩამოდი, ტატომ!

* * *

აღრიანად ადგა ეკატერინე. სახლში ჯერ ისევ ყველას ეძინა. მხოლოდ გაღია დაფარფატებდა ოთახებში და მოახლეებს აღვიძებდა.

— ადექით, ადექით! რამდენი ხანია გათენდა! ესენი კი ისე ფშვინავენ, თითქოს მამალს ჯერაც არ ეყივლოს. — ესმოდა ეკატერინეს გამდელის ბუზღუნნი.

ეკატერინემ ფანჯარა გამოაღო. აივანზე გავიდა, კიბეზე ჩაირბინა, ზამბახები დაკრიფა და სახლში შემოიტანა. სახეზე ეალერსებოდნენ ახალდაკრეფილი ჯერ ისევ ცვრიანი ზამბახები.

— ცისიერო! — წასჩურჩულა ვილაცამ, თვალები გაახილა, იქით-აქით მიმოიხედა. არავინ იყო, მხოლოდ ნინოს ეძინა მშვიდად და ძილში ვილაცას უღიმოდა.

ეკატერინე სალათისფერ აბრეშუმ-გადაკრულ სავარძელში ჩაჯდა, გულზე ზამბახების კონა მიიკრა და ასე იჯდა განაბული.

ნინომ გამოიღვიძა, მის წინ მდგარ კედლისოდენა სარკეში დაინახა სავარძელში მჯდარი ეკატერინე. ნაღვლიანი სახე ჰქონდა ეკატერინეს. გააოცა ნინო მისმა სედიანმა გამოხედვამ. — ნეტავ რა დარდი გაუჩნდა ამ ანცს?

— რად დაფიქრებულხარ?

— ეკატერინე შეკრთა. ზამზახის თაი-გული ხელიდან გაუვარდა. ნინომ გაცი-ცინა, ლოგინიდან წამოხტა, გვერდით მიუჯდა.

— შეგაშინე? რა დაემართა ჩვენს ონავარს. ნუთუ შენც დარდი დაიწყე? ეკატერინემ წუთით თვალები და-ხუჭა, დის მკერდს მიეყრდნო, მაგრამ მალე ისევ აახილა თვალები, ნინოს გაუცინა, ჩვეული სიჯიუტით თავი შეარზია.

— არაფერი, ნინო, წუხელ ცუდა სიზმარი ვნახე.

— რა სიზმარი?

— დევმა მომიტაცა და გამოქვაბუ-ლისაკენ მიმაქანებდა.

— მე კი შემეშინდა.

— ვიფიქრე მდევნი არ შეუწყვარდეს ეკატერინესო.

ვეებერთელა ოთახში მრგვალი მაგი-დის გარშემო გადია და ფარეშები და-ფუსფუსებდნენ. ოთახს ფრანგული შპა-ლერი, სპარსული ხალიჩები, ჭერამზე აზიდული სარკეები და რბილი სკამები ამშვენებდნენ. ბუხრის თავზე კოშკისე-ბური საათი წყრიალებდა.

ქალები მაგიდას შემოუსხდნენ. მა-გიდაზე ერთმანეთს ცვლიდა ჩინური ფაიფურის ჭურჭელი, ვერცხლის სუ-რები, ოქროს თასები, ვერცხლის ფია-ლები და ოქროთი ნაქედი სასუფრე დანები.

— აღრიანად გავაგზავნე ბიჭი თბი-ლისში დავითის ამბის გასაგებად, ახალ ყურნალებსაც ამოგვიტანს.

ქალები გაახარა სალომეს ნათქვამმა.

— ნეტავ მალე მოვიდეს, შორიდან მაინც გავიგოთ ახალი ამბები. მამას წერილმაც დაიგვიანა.

სალომემ ნინოს შეხედა.

— როდის იქნება მამაშენის დაბრუ-ნებით ჩვენმა ჭერმაც გაიხაროს!

— მალე დაბრუნდება, დედიკო, არ იდარდო. — ეკატერინე წამოხტა, დე-დას ყელზე მოეხვია, ლოყაზე აკოცა.

ყველანი წამოიშალნენ. მოახლემ მო-ხსენა.

— ცხენები მზად გახდნენ!

ნინოს ოქროსმკედლით ნაყერი იის-ფერი საცხენოსნო კაბა ეცვა. მსახურმა უზანგი დაუჭირა და ცხენზე შეჯდომა უშველა. ეკატერინემ კი ცხენის რახტს ხელი დაჰკრა და ზურგზე მოეველო.

ქალები ალაყაფისაყენ გაეშურნენ. წინ ნინო მიდიოდა, იისფერ ჩალის ქუდზე და სახეზე ბლონდის მანდილი აეფარებინა. მანდილის ბოლოებს ქარი აფრიალებდა და ნინოს დანახვაზე თავს მორჩილად ხრიდნენ ჭავჭავაძის მამუ-ლის შესასვლელში ჩამწკრივებული კი-პარისები. ეკატერინე კი თავშიშველი იყო, ყვითელი ოქროსფერი ქსოვილის კაბა ეცვა, ჩალისფერი არშოიპოვლებუ-ლი. თავშიშველს თმა მხრებზე ეყარა და თავზე ოქროსფერივე ბაბათი ჯი-ლასავით შემოერკალა. ოქროსფერისავე ცხენი ამაყად მიაბიჯებდა, თითქოს გრძნობდა თავისი მხედრის სიმშვენიე-რეს. მზეზე ბრწყინავდა ცხენის ვერცხ-ლის სამკერდე.

ქალები კისისხევეს მიადგნენ. წუხან-დელ წვიმას წყალი აედიდებინა.

— სჯობს, მეორე მხარეს წავიდეთ, საშიშია, წყალი კიდეც არ ადიდდეს. — მიაძახა უკან მომავალმა სალომემ ქა-ლებს.

— რას ბრძანებ, დედა, განა ამაში გასვლა ძნელია? — ხელი გაიშვირა ეკა-ტერინემ წყლისაკენ. — ფეხითაც შეგ-ვიძლია გავიდეთ.

სალომე ხევის ნაპირს მიადგა.

— არ არის დიდი, მაგრამ ჩვენს დაბრუნებამდე კიდეც რომ წამოვიდეს წვიმა?

— არა, დედა, ხედავთ, ღრუბელიც კი არსაიდან ჩანს. — ამ სიტყვებით ეკა-ტერინემ ცხენი წყალში შეაგდო.

სალომემ თავი გადააქნია შვილის თავნებობაზე.

— საადრო პირი არ უჩანს, დედი. —

ანუგემა სალომე ნინოშა. — გასეირ-
ნება კი თელავისაკენ სჯობს.

წყალი აღქაფუნდა. ქალები გაღმა
გავიდნენ და ციხეწისქვილის წინ შე-
ჩერდნენ. მხოლოდ წყალი ხრიალებდა
წისქვილი. წისქვილის წინ მოხუცები
ისხდნენ და ყალონს აბოლებდნენ. ქა-
ლების დანახვაზე ფეხზე წამოდგნენ,
ქუდები მოიხადეს.

— სიცოცხლე ბატონის ქალებს!

— გამარჯვება ნუ მოგეშალოთ!

ქალები ზვრებს შორის მიდიოდნენ.
მწკრივად ჩარახმულ ვახებიდან პატარ-
ბლებივით გამოიყურებოდნენ შეხვა-
ლიანი ყაყჩოები. ზვრების ნაპირებზე
ქალწულებივით იდგნენ თეთრად აფეთ-
ქილი აკაციები.

სადილობა ჯერ არ იყო, როცა ქა-
ლები სეირნობიდან დაბრუნდნენ და
თავთავიანთ ოთახებში შევიდნენ. მხო-
ლოდ ნინო დარჩა აივანზე. ჩალის
სავარძელში ჩაჯდა. შინდისფერ ხა-
ვერდგადაკრული სახარების ოქროს
ხრიკები გახსნა და კითხვა დაიწყო.

ნაშუადღევს ჩამოხდებოდა. წვიმა წა-
მოვიდა. ბაღში გასვლა აღარ შეიძლე-
ბოდა და ქალებმა ბილიარდის თამაში
დაიწყეს. ეკატერინემ მოიწყინა, ბი-
ლიარდს თავი ანება, კიბეზე ჩამოჯდა,
მუხლებზე ხელები შემოიკალა, ოდ-
ნავ ირწყოდა და ხედავდა, წვიმის წვე-
თები როგორ ეცემოდნენ შადრევნის
გარშემო გუბურაში და პატარპატარა
წრეებს აკეთებდნენ. წვიმამ მოუხშირა
და ახლა მსხვილმსხვილი წვეთები ეცე-
მოდნენ ძირს და აივანთან მდგარ ცხე-
ნის წაბლას ფოთლებზე წკაპუნი გაჰქონ-
დათ.

მსახური გამოვიდა, ფანჯრების თა-
ვებზე გამაგრებულ შანდლებში სანთ-
ლები აანთო, გვერდით, კედლებში
დატანებულ თაღოვან საშანდლეებში
ბროლის მადალი შანდლები შედგა და
აივანი დღესავით გაანათა.

— კიპარისებში ცხენოსნები მოჩა-
ნან! — წამოიძახა ეკატერინემ და ზეზე
წამოხტა.

ახმაურდნენ ქალები.

— ალბათ, ჩემი დავითე მოდის. —
დინჯად თქვა სალომემ და ზეზე წაიჭ-
და.

ეზოში ცხენები შემოაქვენეს. აივანზე
მყოფებმა სიბნელეში სტუმრები ვერ
გაარჩიეს. დავითის შეძახილზე ქალები
აივანის ჩუქურთმიან მოაჯირს მიეხვიე-
ნენ და ერთმანეთს ლაპარაკს არ აც-
ლიდნენ.

— ძლივს!

— მადლობა ღმერთს, მოგავინდით!

ტატომ ცხენი მოაჯირთან მიაგლო.
თვალი ველარ მოაცილა ეკატერინეს,
რომელსაც სოსანის ფერი ბეწვმოვლე-
ბული გოლი ეცვა და ჩაშლილი თმა
უფრო მეტად აშვეენებდა. ხელში
ბროლის შანდალი ეჭირა. სანთლის
შუქი ციმციმებდა მის სახეზე. ეკატე-
რინემ ტატო შენიშნა, მოაჯირზე გად-
მოიხარა.

— ტატო??

— ცისიერ!! სიხარულმა შეიპყრო
სწრაფად გადმოხტა ცხენიდან.

აივანზე ხმაურით შემოვიდნენ დავი-
თი, ილია, ლევანი და ტატო.

— გაიხარენით, როგორც თქვენი
მოსვლით გავახარეთ. — ესალმებოდა
ყველას მანანა და თან შუბლზე კოც-
ნიდა.

— რად დაიგვიანეთ?

— თვალები გამოგვიბნელა თქვენმა
ლოდინმა.

— განა ჩვენ კი არ მოგვეჩქარებო-
და, მაგრამ საქმეები. — ლევანმა მი-
კოს გადახედა.

— საქმეები, ბატონო, საქმეები. —
დააბოლოვა ილიამაც.

— საქმიან კაცსაც დამიხედეთ!

— სიყვარულმა დააბა ჩვენი ილია.
ძლივს გამოვიტაკეთ თბილისიდან.

— ყოჩაღ ილიავ! ჩქარა გვიამბე,
ვის ბაღეში გაეხვიე.

— აღარც ტატო გახლავთ მოცილილი,
სასამართლო ექსპედიციაში კანცელა-

რისტად მიიღეს. — სამაგიერო გადაუხადა ილიამ ტატოს.

დავითის გულში ჩაკერის შემდეგ დატრიალდა გამდელი. შეიქნა მოსამსახურეების სირბილი, ჭურჭლის წკრილი და ერთმანეთის დასაქმება.

• •

ეკატერინე ცაზე გაკრულ ცისარტყვლას უყურებდა, ხელი წვიმის წვეთებისათვის გაეშვირა, რომლებიც აქაიკ ეცემოდნენ ატირებული ბავშვის ცრემლებივით. მზეც ტირილის შემდეგ გამოდარებულ ბავშვსა ჰგავდა, რომელსაც დაწვებზე უკანასკნელი ცრემლი შერჩენია.

ტატომ შორიდანვე შეამჩნია ეკატერინე, ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა მისკენ, მაგრამ წუთით გადაიფიქრა: — არ დაეურღვეო მყუდროებას. თვალს კი ვერ აცილებდა მზეს, ცისარტყვლას და ეკატერინეს.

— მზე პირს იბანს, ტატო!

ტატომ ქვევიდან შესცინა ეკატერინეს და აივანზე დააპირა ასვლა.

— არ ამოხვიდე, ტატო! მეც ჩაპოვალ, კარგია ახლად ნაწვიმარზე ბალახი. ტატომ ხელი გაუწოდა კიბეზე ჩამოშვალს.

— ცისიერო! ზეციდან ქვეყნად ბედნიერების დასამყარებლად ჩამოფრინდი?

ისინი ხელიხელ ჩაკიდებულნი მიდიოდნენ ამწვანებული ბეივანში. ნაწვიმარი ბალახები თავს იხრიდნენ ეკატერინეს ფეხქვეშ, თითქოს ესალმებიანო სასიეროდ გამოსულ დედოფალს. წვიმის წვეთები ფეხებსა და პირისტერკაბის კალთებს უსველებდა. გარშემო ყველაფერი ყვავდა: ვარდები, ზამბახები, შროშნები, გვირილები, ყაყჩაყები ფეხებში ეხლართებოდნენ და ყველა მათგანი შესთხოვდა — დაგვკრიფე, დედოფალო!

შადრევანს მიუახლოვდა ეკატერინე. მისი ტანის ანარეკლი გემოვნად წყალში. ტატო მის გვერდში მიდგა და მის მოდა აჩქარებული სუნთქვა. ეკატერინეს ხელში იასამნის ტოტი ეჭირა, სათითაოდ აცილიდა ფურცლებს, ნერვიულად სრესდა და დამპყნარ ფურცლებს წყალში ისროდა.

ისინი კვლავ მიდიოდნენ მწვანე ბეივანში.

წვიმის შემდეგ უცნაური სიმწვანე დაკრავდა იქაურობას; კიბარისებს, ბუბებს, ცაცხვებს, მაგნოლიებს, აკაციებს, ჭადრებს, კედარს, წყავს. ბუჩქებში ჰუკუკუებდნენ ციცრები. ცაში დასრიალებდნენ მტრედები. ფარშავანგებს ბოლო გაეშალათ და მეფური სიღინჯით დაბიჯებდნენ.

ისინი ჩუმად მიდიოდნენ. გარშემო ყველაფერი ჩუმად იყო და ეს სიჩუმე რაღაც მეტად მზიარულს და ბედნიერების სიმღერას გავდა.

— აჰ დაეჯდეთ, ტატო! — ვაზის ფანჩატურში დასხდნენ. ვარდის სურნელება იდგა და ფუტურები ზუზუნებდნენ გარშემო. ვარდებს დაეფარა ბალი. ხანგამოშვებით შადრევანის ხმაური მოქჳონდა სიოს.

თვალეები მოხუჭა ეკატერინემ. უნდოდა დიდხანს, დიდხანს გაგრძელებულიყო ბედნიერების შეგრძნება. ჩამავალი მზე ვაზის ჩრდილში ძლივს აღწევდა. ფართო და მოკაშკაშე სადღაც უსასრულობაში იკარგებოდა და შორიდან ისმოდა ვილაის ხმა:

— ეკატერინე, უუ!

— გვეძახიან, გვეძებენ. — ეკატერინემ ტატოს ორივე ხელი გაუწოდა. ზეზე წამომდგარს თვალეებში ეშმაკური ღიმილი ჩაუდგა.

— გავიქცეთ, ტატო დავიძალოთ! კარის ეკლესიისაკენ გაიქცენ.

— სამხარზე გვიხმობენ, ეკატერინე.

— სამხარზე გვიხმობენ. — ჩუმად გაიმეორა ეკატერინემ, ხელი გაუწოდა ტატოს და სახლისაკენ გაიქცა. ტატო წუთით შედგა, მერე კი ხელი ნაბიჯით

გაჰყვა ბილიც. შორიდან ეკატერინეს სიცილი ესმოდა. მისი ხმა ზარივით რეკდა. ახალგაზრდა, ბედნიერი, მზიარული სიცილი უეცრად აიტაცა ბაღმა და შორს სადღაც კისისხევეში ჩაიკარგა.

მრგვალ მაგიდაზე თოვლივით თეთრი სუფრა გადაფარებინათ. წკრიალეზბდა ძვირფასი ფაიფურის, ვერცხლის და ბროლის ჭიქები ნინოს ინიციალებით. ვერცხლის სურებით შემოჰქონდათ წინანდლის ღვინო.

ნინო, მანანა და ეკატერინე პატარა შინდისფერ ხელსაქმის მაგიდასთან იდგნენ, მაგიდის თავი აეხადათ და შიგნითური ძაფებს, ოქრომკედსა და მძივებს ირჩევდნენ. ნინომ ნაქარგი ფარჩა ამოიღო, ხელში დაიჭირა და მანანას ლაბარაკს გულდასმით უსმენდა.

— ამაზე უკეთესად ვერავინ მოჰქარგავდა.

— თქვენი კეთილი აზრი ჩვენთვის დიდი ჯილდოა. — წყნარად უთხრა ნინომ და მანანას თვალეში შეხედა.

— ამაზედ მშვენიერად შესრულებული ღვთისმშობლის ხატი ჯერ არ მინახავს, ნამდვილად მხატვარის ხელია.

— რაშია საქმე? — დავითი ქალებს მიუახლოვდა. — დაამთავრეთ? ყოჩაღ, მე უკვე იმედი დავკარგე.

— აქ ძალზე ძნელი სამუშაოა შესრულებული, თქვენ მამაკაცებს ამისი არაფერი გესმით, ეს ხომ ხელოვნებაა. — მანანამ გაუღიმა დავითს.

— შეიძლება ვნახო? — ტატო ნინოს წინ გაჩერდა.

— აი, ტატომ ნახოს, ეს მიხვდება. — ნინომ თავისი ნახელავი მაგიდაზე გაშალა. ტატო დააჩერდა, მხოლოდ ერთხელ ძლიერად ამოისუნთქა.

— ბოდბის ეკლესიას აღუთქვით მე და ეკატერინემ ჩვენი ნამუშევარი, მამის კეთილად დაბრუნება შევთხოვეთ.

— მშვენიერია. — დაადასტურა თავის აღტაცება ტატომ და წაიკითხა:

— „აღუქსანდრე ჰავეჰაძის ასულის

ნინა გრიბოედოვისა და დინა მისაგენ ეკატერინესაგან“.

— მობრძანდით, ბატონებო, მაგიდასთან მობრძანდით! — მიიწვია სტუმრები დავითმა.

მაგიდის თავში სალომე იჯდა და ყველას თავთავიანთ ადგილისაკენ მიუთითებდა.

სადილის შემდეგ ბიბლიოთეკაში გაიკრიბნენ. დავითმა „ბიბლიოთეკა დღია ჩტენია“-ს უკანასკნელი ნომერი ჩამოუტანათ.

— იულიუს ტარენტელი წაგიკითხოთ.

— ტატომ წაიკითხოს.

ქალები განიერ სპარსულ ტახტზე მოთავსდნენ ხალიჩებსა და ფარჩა ხავერდის ბალიშებს შორის. ნინო მანანას მიუჯდა და ტატოს კითხვას მიუგლო ყური, თან ჩუმად უთარგმნიდა მანანას წაიკითხულის შინაარსს.

მანანამ თვალეზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და ტატოს მიუბრუნდა.

— შენმა გაზრდამ, კარგი იქნება თუ თარგმნი, მხოლოდ ისევე კარგად უნდა თარგმნო, როგორც დაუწერიათ.

გარედან შემოჭრილმა ცხენების ფეხის ხმამ საუბარი შეაწყვეტინა.

— ვილაც მოვიდა. — მსახურმა ნინოს ვერცხლის სინი მიართვა. ნინომ ღია ბარათი აიღო, ხმამაღლა წაიკითხა:

— ლევ სერგეის ძე პუშკინი.

ახმაურდა ჰავეჰაძეების სახლკარი. მასპინძლები ლევ სერგეის ძე პუშკინის სტუმრობას ზეიმობდნენ. სუფრა ასწლოვან ცაცხვის ქვეშ გაშალეს.

ბაღში დასეირნობდნენ: სამხედრო მუნდირებიანი და ქულაჯიანი ახალგაზრდები, ფრანგულ ყაიდაზე მორთული ქალები, ყურთმაჯიან კაბებში გამოწყობილი დარბაისლები. წვეულეზბას ნინო ხელმძღვანელობდა. მას გულამოჭრილი შავი კაბა ეცვა. მხრებს პარიზიდან ჩამოტანილი თეთრი არშია უმშვენიებდა, ყელს—მარგალიტის წვრილი სხმული.

ჰაერი გახურებული დაირის წკრიალ-
მა შეარხია.

— განი, განი! — და ვეებერთელა წრე
გაკეთდა. ტანწერწეტა ილიამ ხელები
გაშალა, ჩამოუარა.

— ძაღლი, ძაღლი!

— ცოფიანი ძაღლი!

— მოერიდენით, მოერიდენით! —
აირია ერთმანეთში ხმები. შეწყდა
დაირა. დადუმდა ტაში. გაფითრებული
სალომე თავისათვის უჩვეულო ხმით
გაკვივდა:

— შეილებო, გაიქეცით, გაიქეცით,
შეილებო!

ლევ პუშკინი გაოცებული იდგა და
ვერ გაერკვია, რას ყვიროდნენ.

უცრად, წყავის ბუჩქიდან შავი ბა-
ლანაბურძნეული, პირდაღებული და
ენა გადმოგდებული ძაღლი გამოვარდა
და ლევ პუშკინისაკენ გაეშურა. ნინომ
შეჰკივლა, ლევს აეფარა, წუთი და
ძაღლი ნინოს ეცემოდა. ტატომ ძაღლს
ორივე ხელი ზურგსა და ქინჩში დაავ-
ლო და ჰაერში აიტაცა, ძაღლმა უც-
ნაურად შეეშველა, ფეხები ააფართხა-
ლა. პირს უშედეგოდ აღებდა, მაგრამ
ტატოს ძლიერი ხელი თავის მობრუნე-
ბის საშუალებას არ აძლევდა. ასე იდგ-
ნენ ისინი, არაფერ იცოდნა, რით დამ-
თავრდებოდა ეს ამბავი.

ეკატერინეს თვალები ცეცხლივით
აენთო, ბაგები მაგრად მოკუმბა, სახე-
გაფითრებულმა დავითს დამბაჩა წააგ-
ლიოჯა და ძაღლს თავში დაუმიზნა.
მაიკომ თვალი შეასწრო ეკატერინეს,
თვალებზე ხელი აიფარა. დამბაჩამ
დაიგრიალა და ტატომ იგრძნო, როგორ
თანდათან შეჩერდა ძაღლის მოძრაობა,
თავი ძირს დაეკიდა, წამოვარდნილ
მარჯვენა თვალიდან კი სისხლი დიო-
და. ყველანი ტატოს მიეხვივნენ, მხო-
ლოდ მაიკო იდგა თვალებზე ხელებ-
აფარებული.

— შინ წამოდი, ტატო, ხელები დაი-
ბანე, ტანსაცმელი გამოიცვალე! — გა-
მოერკვა ეკატერინე.

ისინი სახლისაკენ ჩუმად მიდიოდნენ.
მათი გულები ხეაშიაღსა უჩაქრდა წადას-
ცემდნენ ერთმანეთს. ასკრლოს ტრტი
გადაეღობა მიმავალ ეკატერინეს. ეკალი
ჩაეკრა მის კაბის კალთას. ტატო დაწე-
და, ფრთხილად მოაცილა. ეკატერინემ
გაუღიმა და ეს ღიმილი, ეს ფრთხილი
მოძრაობა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე
მხურვალე აღერსი.

უსიამოვნო შემთხვევამ სადილი გა-
უუგემურათ. სახლში შეიკრიბნენ. მას-
პინძლები ცდილობდნენ სტუმრებისა-
თვის მხიარულება დაებრუნებინათ.
ფორტეპიანოს მიუჯდა ეკატერინე. ტა-
ტო ფანჯრის რაფას მიეყრდნო და
თვალს არ აცილებდა ეკატერინეს. რა-
ღაც სევდიანს მღეროდა ეკატერინე.
სევდიანი ხმა გულს უწყლულებდა ტა-
ტოს და გულის ტკივილს გრძნობდა იგი.
მაგრამ მისი გაღიმებული სახე და თვა-
ლები ისეთი აღერსითა და სიყვარუ-
რულით გამოიყურებოდა რომ გულის
წყლულს სწრაფად უშუშებდა. ტა-
ტო ფიქრობდა — უშენოდ განა სად-
მეა მხიარულება? სადაც შენ გაჩნდები,
იქ ყველაფერი გულს ახარებს და
აამებს, შენის ენით, შენის ლხენით,
ვინ არ იგრძნობს ბედნიერებას, პირ-
მცინარი, ნარნარი. რა მიშავს შენი
სხივებით გამთბარს.

ეკატერინემ დაეკრა დაამთავრა. უკა-
ნასკნელი აკორდი მსმენელების ტაშმა
დაჰფარა. ტატო კი კვლავ იდგა, ხედა-
ვდა ეკატერინეს მოცინარ თვალებს
და კვლავ ესმოდა მისი ტკბილი ხმა.

გვიან იყო, როცა დასაძინებლად გამ-
ზადებულმა მანანამ ოთახის ფანჯრე-
ბი გამოაღო. სიო ფანჯარასთან ჩაწყ-
რივებულ კიპარისებს არხევია. ნაგ-
ვიანები მთვარე, მოღლილი მგზავრი-
ვით ცაზე დაბორიალობდა. მანანამ
ფანჯრის გასწვრივ ლედვის ხეს თვალი
შეავლო და გრიგოლი გაახსენდა. —
ამ ლედვის ხეზე უყვარდა გრიგოლს
ასვლა, როგორ ედავებოდა ხოლმე:
შენთვის კარგ ლედვებს იტოვებ, მე კი



ცულებს მაწვდიო. ინატრა — ნეტავი გრიგოლი აქ იყოსო. თვალები ცრემლით აევსო. — სადა ხარ, კურკავ, გძინავს თუ სამშობლოს დარდით გულშეღონებული უძილო ღამეებს ატარებ? — უცნაურად მოუნდა გრიგოლთან საუბარი. საწერკალამი გადმოიღო, წერა დაიწყო.

— გვიან არის, უკვე მეხუთე საათია. სახლში ყველას სძინავს. ჩემი საწოლი ოთახის ღია ფანჯრიდან გავუწრებ ჰაერს და ვხედავ ბაღს. ბუღბუღის კვნესა ისმის. ბუღბუღი სწორედ იმ ლელვის ხეზე ზის, შენ რომ გიყვარდა ასე. ნეტავ როდის მელირსება კვლავ გიხილო ამ ხეზე ასული? ყოველდღე მივდივარ ამ ხესთან და გიგონებ, კარგო! ყვაილები ახლა ღამაზად არის გაშლილი. კვლებიც — საგანგებოდ გაკეთებული, მხოლოდ ის მოხუცი მებაღე აღარ არის, შენ რომ იცნობდი.

ახლა ჩვენთან არის ლევ სერგის ძე პუშკინი. იგი ნინოს ეწვია წინანდალში. ის თვითონაც ლექსებსა წერს და შესანიშნავად კითხულობს ძმის ლექსებს. გუშინ წაგვიკითხა „რუსლან და ლუდმილა“ — ნინომ მითარგმნა. თარგმნილი რომ ასეთი კარგია, რა იქნება თავის ენაზე. აღსუს რომ არ მესმის. ნეტა ვინმე თარგმნიდეს, თუ შენ შეიწუხებ თავს, კურკავ. შენ შეგიძლია შეუნარჩუნო მშვენიერება. მაშინ ისეთ ქიხას მოგიქსოვ, შენს სიცოცხლეში არ გენახოს. მივიღე შენი „სულით ერთნო მოლხინენო“, ვერაფერი გახლდა „დიპლიპიტო“. შენ დღეში ამისთანა უკეთესი ლექსი არ გითქვამს. სამაგიეროდ დიდად მომეწონა შენი მეორე ლექსი, ეფემიასთან მიწერილი, მთლად ერთიანად პოეზიით არის სავსე.

თელავისაკენ მოისურვეს განქორწინება. სტუმრისათვის უნდოდათ ეჩვენებინათ მეფე ერეკლეს ციხე-დარბაზი. ჰაკვათაძეებს წესად ჰქონდათ შემოღებული — სტუმარს არ გაუშვებდნენ, თუ თელავს არ აჩვენებდნენ.

გადაწყვიტეს, დიდი და პატარა ცხენებით წასულიყვნენ. ახმაურდა წინანდალიდან თელავისაკენ მიმავალი გზა. მიდიოდნენ სიმღერით, სიცილით, ხუმრობით. გზის იქით-აქეთ მხარეები დაბურული იყო თბილის, შინდისა და მყვლის ბუჩქებით. აქა-იქ გზის იქიდან მოსჩანდა ახლადაფეთქილი ვაზები.

შევიდნენ თელავში. გამოჩნდა ერეკლე მეფის ციხე-დარბაზი. ბატონის წყაროსთან ცხენებიდან ჩამოხტნენ, წყლით გაგრილდნენ და აქედან ფეხით აპყვნენ სასახლისაკენ მიმავალ შეღმართს. დასავლეთის კარით შევიდნენ გალავანში. აქ ამ სასახლის მცირე დარბაზში პატარა ბუხართან ისვენებდა დიდი მეფე, პატარა კახად წოდებული. თუ ისვენებდა იგი ოდესმე? აქვე დაიტირა სოლომონ ლეონიძემ თავისი მეფის ძვირფასი ცხედარი. იდგა ტატო გარინდებული და ესმოდა სოლომონის ქვითინი და გოდება — „ცამან მისტაცა ქვეყანასა სიმდიდრე. ძლიერთა ძალი, ბრძენთა გონიერება, ერთა გვირგვინი მხედართმთავართ სარდლობა და თვითმპყრობელთა სახელმწიფო ზრდილობა“. აი, ღმერთს შესთხოვს მუხლმოყრილი სოლომონი — „ერეკლე მეფის სანატრელი კუბო ჩემს გულზე იდგეს, მეფის ერეკლეს ძლიერი ტანი ჩემს გულზე ირღვევოდეს“ — ო და სამუდამოდ დარჩა ტატოს ხსოვნაში ეს დღე. ციხე-დარბაზის დიდი ეზო თავისი წვრილი და მაღალი კოშკებით და ვეება ჰადრის ხეებში მიმალული პაწია კარის ეკლესია.

ბონერო კაშაიაძე



არ გასცე, არა, შენ ის სახელი,
რაც ჩემგან შენი მშვენიებით გქვია.
მგონი არ არის ეს დამძრახველი,
ეს სურვილია, სურვილი ღია.

ატარე ფრთხილად ის საიდუმლოდ
და მოუარე, როგორც სახსოვარს.
არსად, არასდროს არ გაუმხილო,
არც ცოლსათხოვს და არც გასათხოვარს.

მეგონა, მაგრამ არ დარჩა, არა,
ტრფიალი ჩვენი გაუმხელებელი,
ყველაფერს თურმე გახდის აშკარას
ეს დალოცვილი წუთისოფელი.

სახელი მაინც ჩემგან რქმეული
დამალე შენში, გულით ატარე.
ის ისე მიყვარს, ვარ შეჩვეული,
არ მინდა იმით უხმონ პატარებს.

არ მინდა, ერქვას, არა სხვა ვინმეს
შენს გარდა ქვეყნად მე ის სახელი.
როგორც არ მინდა, თუნდაც ოდესმე,
სხვამ მოგაკაროს ან ხმა, ან ხელი.



იქნებ მოგწყურდა ჩემი ალერსი,
ო, ეს არც ისე გასაკვირია-
იქნებ მოგწყინდა გართობა ლექსით
შეგიყვარდა და კოცნა გწყურია.

მე გეკრძალები და ველარ ებედავ,
ბაგეებს შენსას, რომ ვეამბორო.
იქნებ შემრისხო, მიმუხთლოს ბედმა,
სულწასულობამ სულ დამაშოროს.



ჩვენი ჩინელი მეგობრები

საქართველო და ჩინეთი ერთმანეთისაგან ძლიერ შორს მდებარეობენ, მაგრამ მანძილი მეგობრობას ხელს არ უშლის. შორეული ქვეყნის ცნებამ ჩინეთისათვის მნიშვნელობა დაკარგა მას შემდეგ, რაც მის უძველეს მიწაზე აღიმართა სახალხო ხელისუფლების ხუთვარსკვლავიანი წითელი დროშა.

ჩვენი ჩინელი მეგობრების დიდი დღესასწაულის დღეებში კარგი იქნება თვალი გადავავლოთ დიდი ჩინელი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობის წარმტაც ფურცლებს, განსაკუთრებით ამ მეგობრობით წარმოშობილ ზოგიერთ შესანიშნავ შედეგს.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ქართული ჩაის დიდი მეურნეობის შექმნის საქმის მონაწილეებად თვლიან ჩინელ მეჩაიეებსაც. გასული საუკუნის შუალედში შემოიტანეს ჩვენთან ჩაის ბუჩქები ჩინეთიდან. გასული საუკუნის დასასრულს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისს გაშენდა პირველი ათეულობით ჰექტარი პლანტაციებისა ჩინელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით, რომელთაც მეთაურობდა ლაუ ჯონ-ჯაუ. მისივე ხელმძღვანელობით ჩაქეში, ჩინური ნიმუშის მიხედვით, აშენდა პირველი ჩაის ფაბრიკა. ჩაქვის, აქარის ამ ლაპაზი დაბის, მკვიდრთ ახლაც კარგად ახსოვთ ლაუ ჯონ-ჯაუ, რომელმაც თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ჩვენში სოფლის მეურნეობის ძვირფასი დარგის შექმნას მოახმარა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ჩაის ფოთლის მოყვანის აგროტექნიკა და მისი გადამუშავების ტექ-

ნოლოგია საბჭოთა კავშირში იმდენად გაუმჯობესდა და წინ წავიდა, რომ ახლა ჩვენი ჩინელი მეგობრები თითონ სწავლობენ საბჭოთა მეჩაიეების გამოცდილებას. ჩვენი სპეციალისტები მიემგზავრებიან ჩაის სამშობლოში და ადგილზე მოუთხრობენ ამ კულტურის მოყვანა-დამუშავების საბჭოთა მეთოდების შესახებ.

მახარაძის რაიონის მცხოვრები, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი თეოფილე ბურჭულაძე ორი წელიწადი იმყოფებოდა ჩინეთში, ეხმარებოდა ჩინელ მეჩაიეებს ბუჩქების გასხვლის, ჩაის ფოთლის კრფის და პლანტაციებში სასუქების შეტანის საბჭოთა მეთოდების დანერგვის საქმეში.

ბურჭულაძე მარტო არ არის. ჩინეთში კარგად იცნობენ და აფასებენ საბჭოთა მეჩაიეებს ა. ბერიშვილს, პ. ქურიძეს, ი. ჩიგოგიძეს, ზ. ჯაველიძეს ვ. გალდავაძეს, ა. ქუთათელაძეს, ა. გოგელიას, ს. ფირცხალაიშვილს და ბევრ სხვას, რომლებიც დიდ მუშაობას აწარმოებდნენ სასოფლო-სამეურნეო კომუნებში საბჭოთა აგრონომიული მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის-მეჩაიეების მიღწევების დასაწერგავად.

ჩინეთისა და საბჭოთა ხალხების შრომითი საქმიანობა აღსავსეა მეგობრობის მკაფიო მაგალითებით. საქართველოს ქარხნებსა და შახტებში საწარმოო პრაქტიკას გადიან ჩინეთის წარმომადგენლები — მეტალურგები, ჩარხმშენებლები, მეშახტეები. ჩინეთში გამოცდილების გასაზიარებლად მიემგზავრებიან სუბტროპიკული მეურნეობის მუშაკები.

მსოფლიოს ორი უძველესი ხალხის ჩინელ და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობის ფესვები შორეულ წარსულში მიდის.

ახლა კი ქართველ მკითხველებს საშუალება აქვთ მშობლიურ ენაზე წაიკითხონ მათ ძე-დუნის, ლუ სინის, ბო ძიუ ის და სხვათა თხზულებანი.

ჩვენი ჩინელი მეგობრები ვალში არ გვრჩებიან. ჩინურ ენაზე გადათარგმნილია და გამოცემულია ჩვენი მწერლებისა და პოეტების ლეო ქიაჩელის, გრიგოლ აბაშიძისა და სხვათა თხზულებანი. შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ორჯერ გამოიცა ჩინეთში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დიდ ინტერესს იჩენენ ქართული მეცნიერებისადმი. ჩინურ ენაზე თარგმნილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ნიკოლოზ მუსხელიშვილის, აკადემიკოსების არნოლდ ჩიქობავას, ქსენია ბახტაძის, ალექსანდრე წულუკიძის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნიკოლოზ ანთელავას, პროფესორების ვლადიმერ გურგენიძის, ივანე ზოქოლაეას და სხვათა შრომები.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ ქელიძე მიიწვიეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც იგი ოთხ თვეს იყო და ლექციებს კითხულობდა უხანის უნივერსიტეტში.

ქართველი და ჩინელი ხალხების მეგობრობაზე დაწერილია მრავალი ლექსი, სტატია და წიგნებიც კი. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე უბრალო და ამავე დროს ყველაზე დამაჯერებელ დოკუმენტებს — ნაწყვეტებს წერილებისადმი, რომლებიც საბჭოთა წერილების საერთო ნაკადში მოვიდა ჩინეთიდან საქართველოში და გაიგზავნა საქართველოდან ჩინეთში.

„თქვენა და თქვენი ამხანაგების ჩამოსვლამ ჩინეთში და საერთო მშვიდობისა და სუბტროპიკულ რაიონებში, — წერს პეკინის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის თანამშრომელი სიუ ციუნ-ცი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტის აგროტექნიკის განყოფილების გამგეს სიმონ ფირცხალაიშვილს, — ჩემში დატოვა წარუშლელი შთაბეჭდილება. მე ბევრი რამ ვასწავლე თქვენგან და ყოველთვის მადლობის გრძნობით მოვიგონებ ჩემი ძვირფასი მასწავლებლების — საბჭოთა სპეციალისტების ძვირფას რჩევა-დარიგებას“.

სწავლული მეჩაიე — ჯან ვან-ფანი, რომელიც დიდი ხანია ეწევა მეჩაიეობას, წერს მსოფლიოში პირველ სწავლულ სელექციონერ ქსენია ბახტაძეს:

„ჩემს საქმიანობაში მე ვეყრდნობი საბჭოთა ბიოლოგიის მოწინავე გამოცდილებას. მე დიდ დახმარებას მიწევს აგრეთვე თქვენი შრომები.“

თქვენი ცნობილი შრომა „ჩაის ბიოლოგიის ზოგიერთი საკითხი“ მე ვთარგმნე და გამოვიდა ჩინურ ენაზე. გიგზავნით ამ წიგნს და ერთხელ კიდევ გამოვთქვამ თქვენდამი უღრმეს პატივისცემას“.

აი ნაწყვეტი წერილისა, რომელიც მიიღო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივმა:

„მზურვალეთ გილოცავთ ქართულ სცენაზე „ტაიფუნის“ წარმატებით დადგმას. ქართველი მეგობრების შესანიშნავმა შესრულებამ და თქვენი ხელოვნების მოღვაწეთა მუშაობამ მეტი სახელი მოუხვეჭა ჩინურ პიესას. თქვენი შთამაგონებელი შრომა არა მარტო ხელოვნების განძია, არამედ ხელს უწყობს ჩინეთ-საბჭოთა მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას. პეკინის სახალხო მხატვრული თეატრის მთელი კოლექტივი მზურვალედ მოგესალმებით თქვენ.“

მაგრათ გართმევთ ხელს ცაო იუი“.

განა მარტო ამ და მრავალი სხვა მსგავსი წერილით ვგებულობთ ერთ დროს ერთმანეთს და შორებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორი დიდი ქვეყნის მეგობრობის შესახებ, რაც სულ უფრო მტკიცდება. ახლა ჩინეთსა და საქართველოში არიან ოჯახები, სადაც მათი წევრები ლაპარაკობენ ქართულადაც და ჩინურადაც.

ზოგიერთი ასეთი ოჯახის შესახებ მსურს მოვეთხრო ჩვენი ქურნალის მკითხველებს.

სამუშაოს ძებნაში ახალგაზრდა ჩინელმა მექანიკოსმა კო უ-ერმა ათასობით კილომეტრი შემოიარა რევოლუციამდელ რუსეთში. ბედმა იგი მიიყვანა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ერთ დაბაში — ჩაქეში. გამჭრიახი უცხოელი მიიღეს საუფლისწულო მამულის მექანიკურ სახელოსნოში, სადაც მაშინ მუშაობდნენ შორეული ჩინეთის სხვა წარმომადგენლებიც — მეჩაიე სპეციალისტები ლაუ ჯონ-ჯაუს — საქართველოში მეჩაიეობის ერთ-ერთი პიონერის მეთაურობით. ეს ორმოცი წლის წინათ მოხდა.

შალე საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და კო უ-ერმა მტკიცედ გადაწყვიტა სამუდამოდ დაეკავშირებინა თავისი ბედი საბჭოთა საქართველოს ბედისათვის. ამის შემდეგ კო უ-ერის ცხოვრებაში კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ახალგაზრდა ჩინელი დაოჯახდა და ამ ოჯახის დიასახლისი გახდა ჩაის ფაბრიკის მუშა, ლანჩხუთელი ქალიშვილი ლენა კიკვიშვილი.

უძველესი ჩაის მეურნეობა, ამჟამად ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი მეურნეობა იზრდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად. და ყველა საწარმოო წარმატებაში, რომლებითაც აღინიშნა რესპუბლიკის ამ მოწინავე მეურნეობის განვითარების გზა, საკმაოდ დიდი წილი ჰქონდა კო

უ-ერს — საბჭოთა მეურნეობის მთავარ მექანიკოსს იგი მუდამ უზრუნველყოფდა მისი მძლავრი სამანქანო მარჯის შეწყობილ მუშაობას.

კო უ-ერი კომუნისტია. მან მთელი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა თავისი განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, მომთხოვნელობით თავისი თავისა და ხელქვეითებისადმი, უბრალოებითა და მოკრძალებით.

— კო უ-ერს ოქროს ხელები აქვს, — ამბობენ საბჭოთა მეურნეობაში.

— ოქროსი კი არა, თუჯისა, — ხუმრობით ამბობს იგი და გიჩვენებთ თავის დიდრონ, ძარღვიან, დაკორძებულ მუშურ ხელებს.

ასაკის მიხედვით კო უ-ერს შეუძლია უკვე დაისვენოს. პენსია მიიღოს. მაგრამ ამის ვაგონებაც არა სურს.

შვილებს მაშისაგან გამოჰყვათ ტექნიკის, ზუსტ მეცნიერებათა სიყვარული. კო უ-ერის უმცროსი ვაჟი მაშასთან ერთად მუშაობს მექანიკოსად საბჭოთა მეურნეობაში; უფროსი ვაჟი გივი, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მათემატიკას ასწავლის მეზობელი სოფლის ოჩხამურის საშუალო სკოლაში, სადაც რუსულ ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობს მისი ცოლი ანა ხოპტიანა, წარმოშობით უკრაინელი. კო უ-ერის ქალიშვილმა თამარმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და ეკონომისტად მუშაობს ქობულეთის რაიონულ ცენტრში თავის ქმართან რაიონული სარეწაო კომბინატის ინჟინერ ჯემალ ჰუსეინის ძე გორგილაძესთან ერთად.

1922 წელს ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირველი დირექტორის შაქარია თუშმალიშვილის ქალიშვილმა ნონამ და ჩაქეში მომუშავე ჩინელი სპეციალისტის ლა ჯონ-ჯაუს უმცროსმა ვაჟმა ვეი-ჩეოუმ, რომელიც ჩაქეშივე დაიბადა, ერთმანეთი შეიყვარეს და დაოჯახდნენ. აქ, ჩაქეში, მათ შეე-

ძინათ პირველი ვაეი გუან-ძე. როდესაც ხანდაზმულობისას ლაუ ჯონ-ჯაუ სამშობლოს დაუბრუნდა (ეს იყო ოც-დაცამეტი წლის წინათ), მის მრავალრიცხოვან ოჯახთან იყო ჩინელების ქართველი რძალი ნონა თუშმალიშვილიც. ამ ხნის განმავლობაში ნონამ რთული იეროვლიფები ზედმიწევნით შეისწავლა და ახლა იგი პეკინის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორია. განსუს პროვინცია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის გენერალური მდივნის მოადგილეა.

ნონა თუშმალიშვილს თბილისში ჰყავს დედა, და ბიძაშვილები და ბევრი სხვა ნათესავი. მას შემდეგ, რაც ჩინეთში სახალხო ხელისუფლება დამყარდა, ესოდენ შორეული ჩინეთი თუშმალიშვილებისათვის ახლობელი გახდა. წელი არ გავა, თბილისს არ ეწვიოს ჩინელი ნათესავები ლაუ ჯონ-ჯაუს ოჯახიდან. შარშან, მაგალითად, აქ იყო ნონას უფროსი ვაეი მწერალი და მთარგმნელი გუან-ძე თავისი ცოლით ლუ ია-ლანით.

როდესაც ისინი შინ დაბრუნდნენ, მათ მოსვენებას არ აძლევდნენ არა მარტო ლაუ ჯონ-ჯაუს დიდი ოჯახის წევრები, არამედ მეზობლებიც ყველა დასაზრებელი ყურადღებით უსმენდა საუბარს საქართველოს შესახებ, ათვალთვრებდა ფოტოსურათებს, უკრავდნენ ფირებს ქართული სიმღერების ჩანაწერებით. საღამოებს ნონა თუშმალიშვილის ოჯახში ჩინელმა მეზობლებმა „საქართველოს საღამოები“ უწოდეს. განსაკუთრებით დაინტერესებული იყო საქართველოს ამბებით ახალგაზრდობა ლაუ ჯონ-ჯაუს მესამე და მეოთხე თაობა სახელოვანი მეჩაიეს შვილიშვილებს და შვილი შვილების შვილებს სურდათ გაეგოთ საქართველოს შესახებ ყველაფერი მის ბუნებაზე და ადამიანებზე, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე. ფერწერასა და მუსიკაზე. ისინი დიდი გატაცებით სწავლობდნენ სულხან ცინცაძის, ალექ-

სანდრე მაჭავარიანის, რევაზ ვაზინგაძის სიმღერებს, რომლებიც ჩაწერილი იყო გუან-ძის მიერ თბილისშიდან ჩატანილ ფირებზე. ჩინელ ახალგაზრდებს განსაკუთრებით მოეწონათ რევაზ ლალიძის სიმღერა თბილისზე, რომელსაც ახლა მოისმენთ პეკინის მრავალ ოჯახში.

და ვინ იცის, იქნებ ერთ-ერთ ასეთ საღამოს ჩაესახა პეკინის ცენტრალური გამოყენებითი ხელოვნების აკადემიის მესამე კურსის სტუდენტს ლუ გუან-ვენს ძლიერი სურვილი ჩამოსულიყო საქართველოში, ენახა თბილისი, გადახვევოდა მისთვის უცნობ თბილისელ ბებიას? ვალენტინა ალექსანდრეს ასული თუშმალიშვილი თავის სიძესთან, თბილისის აკადემიის ფერწერისა და სკულპტურის ფაკულტეტის დოცენტთან დავით ციციშვილთან ცხოვრობს.

მარგომ თბილისში ყოფნის პირველ წუთებიდანვე თავისი გარეგნობით, სიფაქიზით და განსაკუთრებით შრომისმოყვარეობით მოხიბლა ქართველი ნათესავები.

როგორც საკუთარ ოჯახში, ისე თავისუფლად და მხიარულად შევიდა ქართველ სტუდენტების კოლექტივში ჩინელი ქალიშვილი, ამხანაგებში პირველი დღიდანვე ყურადღებით ექცევიან. სასწავლო წლის პირველი ნახევარი მთავრდებოდა და ყველას სურდა დახმარებოდა მარგოს გავლილი მასალის ათვისებაში. ზოგი ლექციების ჩანაწერებს აძლევდა ზოგი სახელმძღვანელოებს, ზოგი სახლში ეპატიებოდა თავისი ნამუშევრების სანახავად, ზოგმა კი გადაწყვიტა მისი გიდები გამხდარიყვნენ მოგზაურობაში ექსკურსიების დროს.

ახალმა მასწავლებლებმაც მალე შეეყვარეს მარგო.

ნინო ზალიშვილმა, რომელიც მარგომ პირველივე დღილით მოხიბლა, გადაწყვიტა მისი სურათის დახატვა. ხოლო მოქანდაკე გიორგი სესიაშვილი,

რომელთანაც მარგო ძერწვას სწავლობს, ამბობს:

— უნდა გითხრათ, რომ მე მსმენია ჩინური გულმოდგინების შესახებ, მაგრამ მხოლოდ ახლა ვნახე როგორი ყოფილა!

ხუთი წლის წინათ საქართველოში იყო ჩინეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პოეტი და მეცნიერი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გო მო-ეო. იგი გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას, თბილისის ლირსშესანიშნავ ადგი-

ლებს, ინახულა საქართველოს კურორტები. კურორტ გაგრის პერსონალს რომ გაიცნო ოთხი წლის განმავლობაში. ამ გოგონას საპატიო სტუპარმა მიუძღვნა ბალადა. ამ ბალადაში გო მო-ეო უმღერის გაგრის მომხიბვლელ ბუნებას, გამოთქმულია ავტორის ღრმა სიყვარული პატარა მანანასადმი, ყველა საბჭოთა ბავშვისადმი. ბალადის ყოველ ნაწილს გო მო-ეო ამთავრებს ქართული სიტყვებით:

მე ვამბობ: „დიდი მადლობა“

მე ვამბობ: „ნახვამდის“.



ბარბი და პირინგა

ლაიანდა

მეფე მერაბი ომებითა და სიმკაცრით იყო ცნობილი. მას მრავალი შვილი ჰყავდა.

შვილები მეფის ზნე-ჩვეულებას მისდევდნენ; მკაცრი მამის ნება-სურვილს ემონებოდნენ.

სიმკაცრით მეფეს ყველაზე მეტად უფროსი ვაჟიშვილი გულბანი ჰყავდა. მისი ლურსმანივით გამჭოლი თვალები და ჭორის ნისკარტივით მოხრილი ცხვირი მოყმეთ ერთი დანახვითაც გულს უბასარავდა.

ერთ გაზაფხულზე მეფემ დიდი ნადიმი გადაიხადა.

დარბაზის თავში მეფე-დედოფალი, მათი შვილები და დიდებულები გაშლილ სუფრას შემოსხდომოდნენ. სტუმრები სუამდნენ ღვინოს, ქება-დიდებას ასხამდნენ მეფესა და მის ჯალაბობას. სახელგანთქმულნი მომღერალნი და მემუსიკენი მონადიმეთა სმენას ატკობდნენ.

შეზარხოშებული გულბანი სასახლის დარბაზიდან ეზოში გაიჭრა. მას ხელში ტარმოოქერილი მათრახი ეჭირა. ცხენით გასეირნების ჟინი მოსვლოდა და მეჯინიბეს ეძახდა:

— მომართვი ცხენი! სად დაიკარგე, ეშმაკის ფეხო!

მეჯინიბეს ესმოდა ძახილი, მაგრამ არაფრის გაგონება ახლა არ უნდოდა. ის საჯინიბოს გვერდით, პატარა ფარდულში, ახლადშობილ ვაჟიშვილს თვალგაბრწყინებული დასჩერებოდა.

— რა შევარქვათ, ასმათ? — შეეკითხა ბედნიერი მეჯინიბე მისუსტებულ, თვალზე კრემლმონადენ მუუღლეს.

— ჯუმბერ, შეხე, ჩვენი შვილი აბ-

ლად ამოსულ მთვარეს არა ჰგავს? ბადრი შევარქვათ, — უბასუხა ასმათმა.

ჯუმბერს ისევე შემოესმა უფლისწულის ძახილი. გამობრუნდა, გარეთ გამოიჭრა.

— სად დაიკარგე მაწანწალავ, როგორ გაბედე! — შესძახა უფლისწულმა და მეჯინიბეს რაც ძალი ჰქონდა მათრახი გადაჰკრა.

— მაპატიე ჩემო მეუფე, ვაჟიშვილი შეგვეძინა და სიხარულით გონება დაეკარგე! — აღმოხდა ჯუმბერს.

— მაშ ერთიც შენი ვაჟიშვილის მაგიერად მიიღე! — უყვირა უფლისწულმა და მათრახი შემართა.

მეჯინიბე მიეჭრა, უფლისწული ხელში აიყვანა, — აივანზე ბავშვივით შესვა.

— ამას ნუ იკადრებ! ახლადშობილს დღესვე ნუ გამოილახავთ! გემუღარებით, მე თუნდაც მომკალით! — შეევედრა მეჯინიბე, მუხლებზე დავარდა და ხელები აღაპყრო.

საბტად დარჩენილი უფლისწული უხმოდ გაიქცა, სასახლეში შეიჭრა და რაც შეემთხვა, წამსვე მთელს სასახლეს მოსდო.

სახლთუხუცესმა მეფეს მოახსენა:

— უბედურება შეგვემთხვა მეფე; მეჯინიბემ უფლისწულს ურჩობა აკადრა!

მეფე შეშფოთდა, ზეწამოიჭრა.

სასახლის დიდ დარბაზში დაუსრულებელი ღრეობა უეცრად შეწყდა.

როცა მეფეს მომხდარ შემთხვევაზე დაწვრილებით მოახსენეს, დაიქუხა:

— ზვალ დილით გამოაბით იმ ცხენის ძუაზე, რომელიც უფლისწულისათვის უნდა მიერთმია.

უეცრად მეფის გვერდით, სავარძელში მჯდარმა, ფეხშიძემ დედოფალმა დაიკენესა, ფერი დაჰკარგა და მეფეს მოახსენა:

— ცუდად ვარ! წამიყვანეთ! დღეს მაინც ცოდვას ნუ ჩაიდენთ! იმ უბედურს აჩუქეთ სიცოცხლე!

აირია, აწრიალდა მთელი სასახლე.

მეფემ ხელი მიაშველა დედოფალს, სურვილის შესრულება აღუთქვა, მხარში შეუდგა და გაიყვანა.

როცა მეფე დარბაზში დაბრუნდა, სახლთუხუცესს უთხრა:

— სიცოცხლე შეუნარჩუნეთ. დილით თავის ჯალაბითურთ გააძევეთ აქედან.

სახლთუხუცესმა მორჩილად დახარა თავი.

ლოცვად დადგა მთელი სასახლე. მეფემ მუხლმოდრეკილი ლოცულობდა. დედოფლის კეთილად მომშობიარებას შესთხოვდა ღმერთს:

— ღმერთო, მაპატიე ცოდვანი, შემინდე, რაც ცუტნება ჩამიდენია. ნუ გამიმწარებ სიცოცხლეს, ნუ შემარისხავ, ნუ წამართმევ ბედნიერებას.

მალე დედოფალს ქალი შეეძინა. დედამ ახლადშობილს პირველად, რომ დახედა, თვალი გაუბრწყინდა, ხელი აღაპყრო:

— გმადლობ, ღმერთო! ასეთი ქალი-შვილი ჯერ არ მყოლია! მნათობია... მეფევ, ამ მზეთუნახავს პირიმეზე შევარქვათ.

— იყოს ნება შენი დედოფალო. პირიმეზე ალბათ უკანასკნელი შვილია ჩვენი და აღამიანის ნაცვლად ღმერთმა მზე გვაჩუქა.

და სასახლეში ისმოდა ეკლესიის ზართა და ვალობათა გუგუნე.

ზეიმი გაძლიერდა; პირიმეზის დაბადებას ულოცავდნენ მეფესა და დედოფალს. მეფე ხარობდა, მნახველებსა და ნადიმს დასასრული აღარა უჩანდა.



საქართველო

მეორე დღე თენდებოდა ზღაპრითა და გულმოკლული მეჯინიბე თავდაბრძოლი იჯდა ფარდულში. ლოგინში ჩაწოლილ ასმათს მისჩერებოდა და მეფის მკაცრ განაჩენს ელოდა.

— ასმათ, მე სიკვდილის არ მეშინია თუ თქვენ იცოცხლებთ, თუ ბადრის მიცოცხლებ, ყველაფერი უნდა აიტანო ჩვენი ბადრისათვის. სიტყვა მომეცი, კლდედ გადაიჭყევი და ჩვენი ბადრის სიცოცხლეს დაიცავ.

ასმათმა ოდნავ მოხუტული თვალი გაახილა, ცრემლი გადმოედვარა გაფითრებულ სახეზე, მერე სუსტი ხმით, მაგრამ მტკიცედ უთხრა:

— ამინ!

ამ დროს ხმაურით გაიღო ფარდულის კარი.

— სახლთუხუცესი გეძახის, შემოესმა ჯუშბერს. მძიმედ ასწია თავი; ასმათს თვალი მიაპყრო.

— გახსოვდეს ასმათ! — ამის თქმა მოასწრო მეჯინიბემ, ფარდულიდან გამოიყვანეს და ეზოში გამოსულ სახლთუხუცესს წარუდგინეს.

— ბედი გქონია, მეჯინიბევ; დედოფალმა სიცოცხლე გაჩუქა. მეფემ შენი ჯალაბობითურთ მხოლოდ სასახლიდან გაძევა დაგიდგინა. შეევედრე ღმერთს, — უთხრა სახლთუხუცესმა და გაბრუნდა.

— ვაი, ჩემს თავს! — დაიძახა მეჯინიბემ, — ჯალაბობის გაწამებას სიკვდილი მიჯობს!

მეჯინიბე ისევ თავის ფარდულში შეათრია.

— აიყარენით ახლავე, თორემ... — შემოესმა მუხლებზე დაცემულ მეჯინიბეს მუქარის ხმა.

ლოგინში გაქვეავებულ ასმათს ვერ გავგო თუ რა ხდებოდა; მისი გაყინული თვალები აღარ იძროდნენ.

— ასმათ, აქედან გაძევა დაგვიდგინეს, ისიც ახლა, აი, ამ წუთში! თითქოს ლოდი გაცოცხლდეთ, ასმათი შე-

ირხა, თვალები დაახამხამა, რაღაც შეე-
ბით ამოისუნთქა და ხმა ამოიღო:

— შენ გმადლობ, ღმერთო!

ამ ხმამ ჯუმბერი გაამხნევა, ძალა
მისცა და უტბად წამოდგა. მერე აღარ
დააყოვნა, ასმათის საწოლთან მიიჭრა,
ასმათი თავის პატარა ბადრითურთ სა-
ბანში გახვია და აიყვანა.

— გზა, გზა! — დაიძახა ჯუმბერმა
და ფარდულიდან გავიდა.

სასახლის მცველები აედევნენ. სასახ-
ლის ეზოდან გააცილეს, იქვე გზაზე გა-
იყვანეს და გამობრუნდნენ.

ჯუმბერი შედგა. ცას თვალი შეავლო,
მერე დანისლულ ველებს გაჰხედა: ჭვე-
ყანა უფრო ვრცელი მოეჩვენა. ახლა
ისევე ასმათსა და დედის ძუძუზე დაწა-
ფებულ ბადრის დაჩერდა. ბადრი მზის
სხივებზე პირველად ახელდა თვალს.

— ვიართო ჯუმბერ, — შემოესმა ას-
მათის ხმა.

ჯუმბერმა უკან მოიხედა... სასახლის
გალავნის ცივ კედლებს, მის მიმღე კა-
რიბქეს უკანასკნელად ზიზღით შეავლო
თვალი:

— მოისპოს, გადაიბუგოს თქვენი ბუ-
ნაგი! — დაიძახა და გაზაფხულის ნისლ-
ში გახვეულ მთებისაგან გასწია.

— გამხნევედი ჯუმბერ, თუ სიცოცხ-
ლე არ გვიწერია, ერთად მაინც დავი-
ლუპებით, შემოესმა ასმათის ხმა.

* * *

გავიდა დრო. მეფეს დაეზარდა შვილე-
ბი; ვაჟები დაქორწინდნენ, ქალები გა-
თხოვდნენ, მხოლოდ ყველაზე უმცროსი,
თამამად გაზრდილი, თავნება პირი-
ზე გათხოვებაზე სულ არ ფიქრობდა. ის
ცხრამეტი წლისა გამხდარიყო და უკვე
ცხრამეტი დიდებული გაეწილებინა.
საქმროთა შორის უძლიერესი მეფენიც
იყვნენ. ამიტომ მეფე მერაბი საგონე-
ბელში ჩავარდნილიყო, — უმცროსი
ქალიშვილის უცნაურობა ბტერს უმ-
რავლებდა, მაგრამ მისთვის ყველაზე
საყვარელ შვილს ძალას მაინც ვერ
ატანდა. სასტიკი მეფის გული ჩიტის

გულად გადაიქცეოდა, როცა პირიშეს
ცისფერ თვალებში ცრემლები დაეწყინა;
ეს ცრემლები თითქმის დაეწყინა
მკაცრი მეფის გაყინულ გულს.

— ვის უტედი, შვილო, — სინანულით
ეტყოდა ბოლოს და გულმოკლული გა-
ეცლებოდა.

თავნება პირიშე კი, რაც დღე გადი-
ოდა, უფრო მშვენივრობდა, სხივოსნდ-
ებოდა. მისი სილამაზე ვაჟაკის გულს
ერთი ზილვითაც აჯადოვებდა, თვითონ
კი ერთხელაც არ შეხედავდა სახეში, სა-
სახლის ნადიმებს და ღრეობას გაურბო-
და; გავიდოდა სასახლის ბაღში და ჩი-
ტებს უსმენდა. გულს მხოლოდ ის უღო-
ნებდა, რომ უწყინარ ჩიტებს ზოგჯერ
ქორი, ძეგრა ან მიშინო თავს დაესხმოდა
და იქვე პირიშის თვალწინ უსპობდა სი-
ცოცხლეს. ამიტომ პირიშემ შვილდის-
რის მოხმარება ისწავლა და უწყინარი
ჩიტების დაცვა გადასწყვიტა; მტაცებელ
ფრინველებს ესროდა ისარს და სპობდა.
მერე შვილდისრის სროლაში ცხენის-
ნობასა და ნადირობაში ისე გაიწაფა,
რომ მამაკაცებს ეჯიბრებოდა.

სასახლის კედლებში პირიშეს გული
არ უდგებოდა, ველ-მინდვრებში, მთებ-
ში და ტყე-ღრეში შევარდენივით დანა-
ვარდობდა.

მეფე-დედოფალი უკრძალავდნენ ხე-
ტიალს, სასახლიდან შორს წასვლის
ნებას არ რთავდნენ; გაწილებული სა-
სიძონი პირიშეს აღრენილნი უთვალ-
თვალდნენ, მის მოტაცებას ლამობდ-
ნენ. თავნება ქალიშვილის ნებასურ-
ვილს წინ ვერავინ აღუდგებოდა, და თუ
ფრთას გაშლიდა, მერე გაფრენასაც მო-
ახერხებდა. მისი მოთაფლული, გულ-
მხურვალე სიტყვები გაზაფხულის თოვ-
ლივით აღნობდა. აქარწყლებდა თავი-
სიანების სიმკაცრეს, — ქვის გულსაც
სათნობის წყაროდ აქცევდა.

და მეფე იძულებული იყო, როცა პი-
რიშე სანადიროდ წასვლას მოისურ-
ვებდა, თან გაჰყოლოდა, ან ვაჟიშვილე-
ბი ან საიშედო მცველები გაეყოლებინა.
პირიშის ახირებულ ხასიათს კიდევ
ისიც ემატებოდა, რომ ის მხოლოდ

ონაეარ მხეცებზე და ფრინველებზე ნადირობდა. პირიმუკე მამისა და მისი ამაღლის მიერ დახოცილ ირემსა და შველს, სოხოზს, ვნოლს, კაკებსა თუ დურუჯს გულმოკლული დააჩერებოდა. მერე თავის მონადირეთა მიერ დახოცილ მტაცებლებს გადახედავდა, მეფესა და მის ხალხს ეტყობდა:

— რა განსხვავებაა თქვენს შორის? ტყის უწყინარ ბინადართ თქვენც ისე ანადგურებთ, როგორც ეს მტაცებლები.

მეფე და მისი ამაღა ხარხარებდნენ, ზოლო მეფის უფროსი ვაჟი, გულბანი გესლიანად იღიმებოდა, დას მტრულად ევალს შეაპარებდა.

პირიმუკეს კი ბრახი იპყრობდა და ცისფერ თვალეში ცრემლის ბროლი აუციმციმდებოდა.



ერთხელ პირიმუკემ საოცარი სიზმარი ნახა, ვითომ მთის ფერდობზე მოლით შემოსილ პატარა მინდორშია. ჩიტების განუწყვეტელი ჟღერტული ართიბს. მთის კალთებზე გადმომსკდარი ჩანჩქერი თქრიალებს. ჭვევით დანისლული მდინარის ტალღები ვეება ლოდებს ეხეთქება, იმსხვრევა, ჭაფღება, მერე თითქოს თვითონაც ნისლად იქცევა და მიედინება ხევიდან ხევში. უეცრად შეიცვლება ამინდი, მთა შეირხევა, აგუგუნდება, ჭექა-ქუხილი და ელვის ისრები გაჰყვითს ცას. მერე მანლობლად მთა გაირღვევა, იქიდან ცისფერ ტანსაცმელში მშვენიერი ქალი გამოვა, მიუახლოვდება და ეტყვის:

„უწყინარ არსებათა მცველო პირიმუკე: მეც ვიბრძვი ამქვეყნიურ ბნელეთს რომ თავი დავაღწიო, მაგრამ მე გვიან მოვალ თავისუფალი. მაშინ ამქვეყნიად შენ არ იქნები და ვერასოდეს ვნახავთ ერთმანეთს. მხოლოდ ერთს გპირდები: მომიგონე და აღსრულდება სურვილი შენი“. ეს სთქვა და გაჰქრა. ჭექა-ქუხილიც უეცრად შეწყდა, ცაც მოიწმინდა. გამოჩნდა ნაირფერებით მოხატული

მთაბარი, ჩანჩქერი, მდინარე და შორს, მოკიაფე ზღვა.

პირიმუკემ თვალი გაახედა და აღმოაჩინა განთიადის მოვარდისფერო შუქი შემოსდგომოდა. თვალი ისე მიმოაეცვა, თითქოს აქაურობას ვეღარც კი სცნობსო. საწოლიდან თმაგაშლილი წამოდგა. საოცარი სიზმართ გაბრუებულმა სიარული დაიწყო. საჩემელთან შეჩერდა. მის სხივისან სახეს განთიადის შუქი შემოეგება. შორს გახედა დათოვლილ მწვერვალებს, ტყით შემოსილ, სხივდაკრულ მთის ფერდობებს: „ჩემი გზაც ხომ დღეს იქით მიდის, ღმერთო, მომეც მშვიდობა!“—იფიქრა, კართან მიიბრინა, გაალო, გამზრდელს დაუძახა.

ხანშიშესული, შავ ტანსაცმელში გამოწყობილი გამზრდელი შემოვიდა: პერანგისამარა, ფეხშიშველი და გაფერმკრთალებული პირიმუკე, რომ დაინახა, ელდანაკრავმა ხელი გაშალა:

— რა მოხდა, შეილო, რამ შეგაშინა?

— კი არ შევშინდი, სიზმარმა წამომაგდო. საოცარი სიზმარი ვნახე, გამზრდელო.

— მიახმე, შეილო, — თხოვა გამზრდელმა.

პირიმუკემ გამზრდელს ხელი მოხვია:

— შენ ხომ ჩემი ყველაზე ერთგული, საყვარელი ხარ ამ ქვის კედლებიან სასახლეში — უთხრა, გვერდით მიუჯდა და რაც ესიზმრა ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— შეილო, შენი სიზმარი უჩვეულოა. ძალიან მაშინებს, — უფრთხილდი. წმინდა გულით ამქვეყნიურ ბოროტებას ვერ მოერევი.

პირიმუკე ფიქრმა გაიტაცა, მერე ისევ გამზრდელს მიუბრუნდა:

— საყვარელო გამზრდელო, ახლა შენც მიახმე რამე. ერთხელ კიდევ მომიყვიე მეჯინიბე ჯუშმბერი, როგორ გააძევეს.

— გიამბობ შეილო, — უთხრა გამზრდელმა და მეჯინიბეს ამბავი გულჩათხრობით მოუყვა. როცა თხრობა დაასრულა, პირიმუკემ თავი კალთაში ჩაუდო და ტირილი დაიწყო.

— დამწეიდი შეილო, ყველგან აგრა. აღამიანს გაჩენის დღიდან უბედურება დაჰყვება თან.

— გამზრდელო, — ისევ ამოიღო პირიმზემ ხმა, — ამას წინად მკედელს რად მოსტრეს თავი?

— ურჩობისათვის შეილო:

— კარგი, გამზრდელო. ჩემს ძმას — ბერუჩას აცნობე, მოემზადოს, ჩემი ერთგული მკველები — ვახტანგი და გიორგიც გააფრთხილე მოემზადონ სანადიროდ გასამგზავრებლად.

— შეილო, შენი სიზმარი მოიგონე და ფრთხილად იყავი, ძმას ნუ მოიშორებ. შენს ერთგულ მკველებს მიენდე, — გააფრთხილა გამზრდელმა.

— დღეს ძალიან შორს მივდივართ, მაგრამ ჩემზე ნუ ფიქრობ, — უთხრა პირიმზემ და სანადირო ტანსაცმელის ჩაცმა დაიწყო.

სასახლის ეზოში ცხენების ჭიხვინი, ძაღლების ყეფა და მათრახების ტყლაშუნი გაისმა. ახმაურდნენ, აჩოჩოლდნენ მონადირენი. მალე მეფე მერაბიც გამოვიდა სასახლის ეზოში.

— ჩემო დაო, მზადა ხარ? — შემოესმა პირიმზეს ძმეში ყველაზე უმცროსის, ბერუჩას ხმა.

— მოქდივარ ძმაო, — გასძახა პირიმზემ, კედლიდან მოოქროვილი შეილდისარი ჩამოიღო და კარებში შურდულივით გაიჭრა.

* * *

სასახლიდან მეფე მონადირეთა ამალით გავიდა.

პირიმზეს ერთგული მკველები და საშიშ მხეცებზე ნადირობაში გაწრთვნილი ვაჟკაცები მიაცილებდნენ. ეს ორი ჯგუფი ცალცალკე, თუმცა შორიახლო მიჰქროდნენ მარად თოვლით შემოსილ კავკასიის მწვერვალებსაკენ.

რადგან იმ დღეს შორს წასვლა გადაეწყვიტათ, მახლობელ ტყეებში ნადირობას აღარ იწყებდნენ. მრავალი მთაბარი გადაიარეს: გაჰყვებოდა ქარი, გადალახეს მდინარეები. ტყეში რომ შევიდნენ აქ

შეისვენეს: მერე ჯგუფ-ჯგუფად დაიყვნენ და უღრან ტყეში გაუჩინებდნენ.

მეფისა და პირიმზის ხალხი მკველებსა და უფრო შორდებოდნენ ერთმანეთს.

პირიმზეს თავისი ერთგული მკველები, გიორგი და ვახტანგი ერთი წუთითაც არ შორდებოდნენ. მეფის უმცროსი ვაჟი, ბერუჩა კი დას შორიახლო უთვალთვალეზდა, თუმცა მტაცებელ მხეცებზე ნადირობა მას ვერ აართობდა.

პირიმზის მონადირეებმა მრავალი კლდედრე გადაიარეს, მრავალი მხეცი და მტაცებელი ფრინველი გაანადგურეს, მერე დალილ დაქანცული პირიმზე და მისი მკველები მთის პატარა ბეჭობზე შეჩერდნენ; ლოდებზე ჩამოსხდნენ.

ხევიდან სიცილ-ხარხარი, ტაში და სიმღერა შემოესმათ.

პირიმზე ვეებერთელა ლოდზე ავიდა, ხევისკენ გადაიხედა. ქვევით მოლით შემოსილ პატარა მინდორზე ოცამდე კაცი ირეოდა, ცეკვავდა, მღეროდა, მერე უეცრად შეწყდა თამაში, წრე გააკეთეს, ფალავნები გამოიყვანეს და ჭიდაობა დაიწყეს. მხოლოდ ორი ტანმოსული ჭაბუკი არ ჭიდაობდა, გვერდზე იდგნენ, ჭიდაობაში გამარჯვებულს აჭებდნენ, ბეჭზე ხელს ურტყამდნენ და იციროდნენ.

ბოლოს გამარჯვებულმა ფალავანმა უკანაქელი მეტოქე დასცა და გულმკერდზე დააჯდა.

— ამიშვი, კმარა, დაძლეული ვარ! — იძახდა ქვეშ მოქცეული მოჭიდავე და სულს ძლივს ითქვამდა, მაგრამ გამარჯვებული აწვალვებდა, აღარ უშვებდა.

— თავებდო, ძალა ბოროტად გინდა გამოიყენო?! — ველარ მოითმინა, და შესძახა ერთმა იმ ტანმოსულ ბუმბერაზ-თაგანმა, ყველაზე მაღალმა და ბეჭგა, ნიერმა, გათავხედებულ ფალავანს მიეჭურა, ხელში აიტაცა და მეორე ბუმბერაზს ბურთივით ესროლა.

— ვაშა! — წამოიძახა აღტაცებულმა პირიმზემ, მაგრამ ახლა ისიც შენიშნა, რომ მეორე ბუმბერაზმა პირველს „ბურთი“ უკანვე გადაუგდო და ასე კარგა ხანს გრძელდებოდა ეს „ბურთაობა“.

პირიმზე კლდეზე ისე გადაიხარა, კი-

ნალამ გადავარდა, უცებ ქორის ყვილილი შემოესმა ჰაერში, თავის მსხვერპლს, რაღაც ფრინველს, რომ აღევნებოდა. აღარ დააყოვნა, შეილდისაირი მოიმარჯვა და ისარი სტყორცნა.

გულგაბასრული ქორი სწორედ იმ ორი ბუმბერაზის წინაშე დაეცა. ამ შემთხვევით გოცებულმა ერთ იმ ქაბუტყთაგანმა, მან ვინც „ბურთაობა“ პირველმა დაიწყო, მაღლა აიხედა და უმალ კლდიდან ქალის ხმაანკარა კისკისი მოესმა. კლდეზე გადმოკიდული ქალი დაინახა და ფერი ეკვალა. ისე შეირხა, თითქო ერთი ნახტომით უნდოდა მიწვდომოდა ციდან დედამიწაზე ჩამოფრენილ მზექალას, მაგრამ მოინუსხა, ადგილიდან ველარ დაიძრა. მისი შავი, ღიდრონი თვალები თითქოს ცაზე ახლად გაჩენილ, უცხო ვარსკვლავს მიჩერებიაო, აღარც იძახოდნენ, ხოლო მისი ფერმიხდილი სახე, დანისლულ მთვარეს ემსგავსებოდა, რომელსაც ნახშირით შავი, ზუჭუჭა თმები ზემოდან ღრუბელივით ჩამოსწოლოდა.

ახლა პირიმზემაც შესწყვიტა კისკისი. გაიტრუნა, გაინახა, იმ უჩვეულო ქაბუტყის ხილვით მოჯადოებულმა ნაძვის რტოს ჩაეტმასნა, ჩასკიდა ხელი; თავი შეიმავრა. მისი მზიური სახე ახლა უფრო მკრთალად ასხივონებდა, ცისფერ თვალებში ლაქვარდი ჩასვლოდა, ხოლო მისი გიშრისფერი ნაწნავები ქვევით, თითქოს ქაში ჩაეარდნილი ქაბუტყის ამოსაყვანად, კლდიდან წყველ ჯაქვად ჩაკიდულიყვნენ. გულმა ცემა დაუწყო. ასეთი რამ პირიმზეს არასოდეს მოსვლია. მუხლები ეკეცებოდა, მაგრამ უცბად გამოერკვა, ერთგულ მცველებს გასძახა:

— მოწყვეით! — თავის ოქროსფერ მერანზე აფრინდა და გააქროლა; ხევში რომ ჩაეიდა, მერანი მდინარეზე გადაახტუნა; იქ მიაგელვა, სადაც მისი ხილვით გოცებული მწყემსები იდგნენ.

მერანი იმ ქაბუტყის წინ დაესო ისარივით, რომელსაც პირიმზე ზემოდან ხედავდა.

პირიმზე და ის ქაბუტყი მონუსხული-

ვით შედგნენ. მერე პირიმზე ჩამოხტა მერანიდან. გულგაბასრული ქორის ხმა ამოაცალა. მოოქროვილი, მკრთალის თვალებით შემეხული შეილდისაირი ქაბუტყს მიიწოდა:

— თქვენთვის მიჩუქნია, აიღე! მტაცებლების და მოძალადეების მოსასპობად გამოგადგება!

გაშეშებულმა ქაბუტყმა ხელი უნებურად შეაგება, ძვირფასი საჩუქარი გამოართვა და მკერდზე მიიღო.

— გმადლობთ, — ხმაათრთოლებით უთხრა ქაბუტყმა.

— რა გქვია? — შეეკითხა პირიმზე.

— ბადრი! — უპასუხა ქაბუტყმა.

— მე პირიმზე ვარ, — მიაგება პირიმზემ, უცბად გაბრუნდა, მერანი გააქროლა.

ბადრიმ პირიმზეს თვალი გაადევნა. მერე უეცრად მოწყდა ადგილს და აედევნა. მალე ქარივით წინ გაქროლიერულ მერანს დაეწია და დაიძახა:

— პირიმზე, პირიმზე!

პირიმზემ ზედ მოსული ბადრი რომ დაინახა, გოცდა, მერანი შეაჩერა, და ბადრს სხივოსანი ღიმილით დაუხედა.

— ქაბუტყო, ვრიგალი ხარ? — შესძახა ქაბუტყს.

ბადრი შედგა. ხმა ველარ გასცა. პირიმზის ღიმილმა მთლად დააბნია. გაფითრებულმა მუხას მიეყარდო.

პირიმზე მერანიდან ჩამოხტა, ჩანთიდან ოქროს სასმისი ამოიღო, წყაროს წყლით აავსო და მიაწოდა:

— ამ სასმისიდან ჩემს გარდა არავის უსვამს.

ბადრიმ შესვა. მერე შეეკითხა:

— მიმატოვებ?

— მე მოვალ, გნახავ, ნახვამდის, ბადრი! — და პირიმზე მხარზე ხელი დაადო. ბადრის შეაქრკოლა.

ამ დროს პირიმზეს ერთგული მცველების ძახილი შემოესმა:

— იჩქარეთ, მეფე აქეთკენ მოიწევს, იჩქარეთ!

პირიმზემ ზედმოსული მმა ბერტჩაც დაინახა, მერანს სწრაფად მოახტა და გააქროლა.

გაოგნებული, რეტდასხმული და გულ-
ლამწვარი ბადრი გაჰყურებდა ველზე
ელვასავით გაქროლებულ პირიმზეს,
მაგრამ ახლა გამოდევნების ძალა არ
შესწევდა.

— სად ხარ, სად დაიქარგე, — მიაძახა
პირიმზეს უფროსმა ძმამ და თვალმოწ-
კრებით მიეჭრა დას.

— გულწასულ მწყემსს წყალი შევას-
ვი, — უპასუხა პირიმზემ.

— რაო? — მრისხანედ შესძახა გულ-
ბანმა, — მწყემსს წყალი შეასვი?

* * *

სასახლეში დაბრუნებული პირიმზე
გონს ვერ მოსულიყო. ასე ეგონა სად-
ღაც სხვა ქვეყანაში მიიყვანესო. აქ ყვე-
ლაფერი გადასხვაფერებული ეჩვენებო-
და. ყველაფერს ფასი დაქარგოდა მის
თვალში. სასახლის ეზოში უცხოსავით
შეათვალისწინებდა ოდესღაც ნახული, მაგრამ
თითქოს უცნობი ადამიანები, სასახლის
კედლები, კარიბჭეები. ყველაფერი ნირ-
დაქარგული, დაჩაივებული ეჩვენებოდა.
ადამიანები ტყინებოვით ირეოდნენ, და-
დიოდნენ, ხმაურობდნენ, დაფუსფუსებ-
დნენ. პირიმზემ მერანი მიატოვა ეზოში
და სასახლეში გაყინული სულით შევი-
და. თავის ოთახში რომ შედგნო, ფერი
არ ედო, სული ეხუთებოდა, მოუსვენ-
რობდა, ევიწროებოდა სასახლის კედ-
ლები. ტანსაცმელი გამოიკვალა, კარგა
ხანს წინ და უკან იარა, იწრიალა, ბო-
ლოს საწოლზე პირადმა გაიმოტა, თვა-
ლი მოხუჭა. ახლა ოდნავ მოისვენა, რად-
გან თითქოს აქ კი არა, შორს იყო
მთებში, იქ, სადაც ნამდვილი სიცოცხ-
ლე დატოვა.

კარი ფრთხილად გაიღო და პირიმზემ
თვალი გაახილა.

ოთახში შემოსული გამზრდელი ფე-
ხაკრებით მიუახლოვდა. პირიმზეს წინა-
შე უხმოდ შეჩერდა.

— ჩემო გამზრდელო, მიბარია მარ-
ტო არ ვყოფილვარ, — უთხრა პირიმ-
ზემ.

გამზრდელი პირიმზის სასაუბროსთან
შემცბარი დაჯდა.

— შეილო, ცუდი ხარ, — მარტოველი შე-
გემთხვა?

— ცუდი? თვით შეეკითხა პირიმზე.
მერე გონს მოეგო, თვალში შუქი ჩაუდ-
გა, — ცუდი კი არა, დღეს გავიღვიძე.

— რა მოხდა, შეილო, რა ნახე ასეთი?
— რასაც აქ ვერასოდეს ვნახავდი, —
უპასუხა პირიმზემ და, რაც მოხდა, ყვე-
ლაფერი უამბო.

გამზრდელს ფერი წაერთო. ლოყებზე
ხელები შემოირტყა, დახშული ხმით
ძლივსლა წარმოსთქვა:

— შეილო, შეუძლებელს ნუ მოინ-
დომებ. ცეცხლთან თამაშს თავი არიდე.
ამ გრძნობის აყოლა უფრო საშიშია,
ვიდრე გააფთრებულ მხეცებთან შეხმა.

პირიმზემ უეცრად სახე შეიკრა და
გამზრდელს აკადრა:

— ეს რა სთქვი, გამზრდელო! უარ-
ვეო სიცოცხლე და ამ ცივ საყინეში დაე-
მარხო სული? არა, მე ახლა გავიღვი-
ძე და მომილოცე: შენმა პირიმზემ და-
ქარგული სული იპოვა!

გამზრდელი მუზღებზე დაეცა თავისი
საყვარელი პირიმზის წინაშე და ხელე-
ბი დაუკოცა.

— სად ეა, სად მიწა! არ გაპატიებენ,
თვითონ შენები არ დაგინდობენ, მზეს
დაგიბნელებენ! გულის ნებას აყოლილი
ვის დაუნდვია. ამ ქვეყანაზედ სიშარ-
თლიანობა ვის დაუდგენია, რომ შენ და-
ადგინო!

პირიმზეს თვალები გაუბრწყინდა, გამ-
ზრდელს ხელი მოხვია და მიაძახა:

— ერთი წუთი ამ სიცოცხლისა მირ-
ჩენია აქ საუკუნო განცხრომას. ნუ
სტირი, შენი პირიმზე ბედნიერია, —
უთხრა გამზრდელს, ცრემლები მოსწ-
მინდა, დაამწვიდა და ოთახიდან თვით
გააცილა.

გული სთხოვდა პირიმზეს გასკლოდა
სასახლის კედლებს, მაგრამ წასვლა
ალარსად შეეძლო. შებინდებისას ისევ
სასახლის ბაღში გავიდა. დადიოდა, ფე-
ხის ყოველ მოცვლაზე თითქოს ბადრის
ძახილი ესმოდა: „პირიმზე, პირიმზე“.

პირიმზე!“ — პასუხად შეყვითლებული ფოთლები წყდებოდნენ ხეებს, იღუმალის ჩურჩულით თავზე ეცემოდნენ და უცნაური სევდით უვსებდნენ გულს. „სად იყო დღემდე, ეს ტყბილი სევდა? ამითაც ვგრძნობ, რომ მე ვავცოცხლდი“ — იფიქრა პირიმზემ, რაღაც შეუცნობელი, უმაღლესი გრძნობით მონადენ თვალთა ნაშს, ციური ნამიც რომ დაეპყრა, გული მოუღბა, ბადის იღუმალის შრიალიც მინელდა, მიწყდა და იგრძნო, თითქოს სიზმარეული ჩვენება იმ დღეს განციდისა, როგორ დაეუფლა მთელ მის არსებას.

დასტოვა ბადი, თავის ოთახში უხალისოდ დაბრუნდა. უკვე გაჩირადნებული კანდლის შუქზე უფრო ფერმკრთალი და სახე გაცრეცილი მოჩანდა, თუმცა მის სულში ჩაუქრობელი კანდელი ანთებულებიყო, ჩაწყვა. თვალი დაეხუჭა. უმალ მთის ადამიანები მთებზე იდმართნენ მის თვალწინ. ისევ სიზმარეულმა ჩვენებებმა წარიღეს იგი.



გადიოდნენ, დღეები, კვირეები, პირიმზეს სასახლეში გული არ უდგებოდა. იმ დღიდან, რაც მთაში ფასდაუდებელი საგანძური აღმოაჩინა, სასახლეში ყველაფერი უცხო, უშინაარსო, მოსაწყენი და გამოფიტული ეჩვენებოდა. დარტყანებული დაფარფატებდა ოთახიდან ოთახში, სასახლიდან უკვე ფოთლებგაცარცულ ბაღში და, როცა ისევ უკან ბრუნდებოდა, სასახლე საპრობილედ ეჩვენებოდა: გონს მხოლოდ მაშინ მოდიოდა, როცა გამზრდელის ხმა შემოესმებოდა.

— შეილო, მე შენთან ვარ — მოაგონებდა თავის მოსვლას გამზრდელი ფიქრმიცემულ პირიმზეს.

— ჩემო გამზრდელო, რა მეშველებოდა, შენ რომ არ მყავდე. ამ საპრობილეში განა უშენოდ გამეძლებოდა? — ეტყოდა ხოლმე პირიმზე და გამზრდელს მხურვალედ უაღერსებდა.

გამზრდელიც ამშვიდებდა, ანუგეშებდა, თვითონაც მხურვალე აღერსით

უთბობდა გულს, მაგრამ პირიმზის დამშვიდება აქ აღარავის შეეძლო. პირიმზე სულ მუდამ იმჯერდებოდა, როდის დასტოვებდა საპრობილედ გადაქცეულ სასახლის კედლებს, ველად თავის მერანით გაიჭრებოდა და იმ მთისკენ გააქროლებოდა, სადაც ბადრი დატოვა. ის თავისიანებს აიძულებდა ნადირთ საქლექად ხშირად გაეშვათ, მაგრამ ერთხელაც ისე ვერ გაემგზავრა, თვითონ მეფე ან ყველაზე ვერაგი უფროსი ძმა, გულბანი არ გაჰყოლოდა. ამათი თანხლებით კი ვერასოდეს აღწევდა იმ მთებს, სადაც ბადრი შეეძლო ენახა, ეს სწავდა, ცეცხლს უკიდებდა პირიმზეს და სასახლეში რომ ბრუნდებოდა თეთრად ათენებდა ღამეებს.

პირიმზე გრძნობდა, გულბანს, გულში რაღაც ეკვები ჰქონდა, ამ ეკვს მეფესაც უმხელდა და შორს წასვლას ამიტომ არიდებდა. მახლობელ ტყეში განზრახ გზას დაუბნევდნენ ისინი, შეუშინველად უკუიქცეოდნენ და შინ ბრუნდებოდნენ.

მხოლოდ ერთხელ, რაღაც გაუგებარი მიზეზით, პირიმზე თავის ერთგულ მცველებისა და მის მიერვე შერჩეულ მონადირეთა თანხლებით ტყეში მარტო გაუშვეს.

პირიმზეს სიხარულს ბოლო არ ჰქონდა. ახლა მას შეეძლო საითყენაც გული მიუწევდა, იქითყენ გაექროლებინა თავისი ოქროსფერი მერანი.

სასახლეში პირიმზეს სიმღერა ჯერ არავის სმენოდა, ახლა კი მღეროდა. გაცოცხლებული მხლებლები აღტაცებით უსმენდნენ სიმღერად ქცეულ პირიმზეს და დიდი მოკრძალებით ხმას აყოლებდნენ.

გვიანი შემოდგომის გაცარცული ბუნებაც თითქოს ცოცხლდებოდა; დაცენილი ფოთლები ისე შრიალდებდნენ, თითქოს სული ისევ ჩაიდგეს და სუნთქვა დაიწყეს.

დადუმებული მთები ეხოს ხევიდან ხევი ისროდნენ და სიმღერებით მონიბლული ჩიტებიც პირიმზეს ყვილხვილით მიაცილებდნენ.

მაღალი მთები დიდი სისწრაფით ახ-

ლოვდებოდნენ და იშლებოდა, იფურ-ჩქნებოდა პირიშვის გული.

მაგრამ პირიშვემ ის რა იცოდა, გულ-ბანი თავისი ხალხით უკან მოსდევდა, რომ ეს გამგზავრება ევრაგული ზრახვით თვითონ მოეწყო, რადგან პირიშვის დაუცხრომელი სწრაფვა მთისაგენ, საეპკოდ მიაჩნდა. ამ სწრაფვის მიზეზთა გაგება კი გულბანს ისე სწყუროდა, როგორც მგელს სისხლი.

როცა პირიშვემ იმ ადგილს მიაღწია, სადაც წინად ბადრის დაშორდა, შორიდან გაბმული ძახილი მოესმა. მალე აქეთვე გამოქცეული ვილაც კაცი შენიშნა და პირიშვემაც მისკენ გააქროლა მერანო. ახლო რომ მიაღწია, შესძახა:

— ვინ ხარ, ძმობილო?

— მე ბადრის ძმადნაფიცი ვარ, ბაგრატი მქვია! — უპასუხა ბაგრატმა.

— მიაშვებ, ბაგრატ, მომახსენებ ბადრის ამბავი! — სთხოვა პირიშვემ.

— ბადრი თქვენს ნება-სურვილს დამონებია. დღედაღამ ტყეშია და ნადირს ზოცავს. შიმშილი მოჰკლავდა, თვალყურს, რომ არ ვადევნებდეთ მწყემსები. აღარაფერი ახსოვს ამ ქვეყნად, მხოლოდ თქვენი სურვილის აღსასრულებლად სიცოცხლე თვისი

— პატიოსანო ჰაბუკო ბაგრატო მე აქ ბადრის სანახავად მოვსულვარ. ბადრი ჰაერით მჭირდება. უიმისოდ სიცოცხლე ტანჯვია ჩემი. ქვეყნად სხვას არავის დავეძებ. გთხოვ, მამოვნიო შენი ძმადნაფიცი! — გულმხურვალედ თხოვა პირიშვემ.

— მე ბადრის ნება-სურვილს ვასრულებ. ძმადნაფიცისათვის თავდადება ჩვენი წესია. მისთვის სიკვდილიც ჩემი შვებაა; მომყევით! — უთხრა ბაგრატმა, ნიშნად სრული მორჩილებისა, გულზე ხელი დაიდო, მერე გაბრუნდა და წინ გაემართა. მაგრამ პირიშვემ ის შეაჩერა; თავისი ერთგული მცველები, გიორგი და ვახტანგი გააცნო. ბაგრატს, დაამოზილა, ბედაურცი მიართვეს და გზას ერთად გაუდგინეს:

პირიშვემ ახლა არაფერს ამბობდა. მთას გაჰყურებდა, გული გამალეებით

უცემდა; ჩანჩქერების გუგუნო ბადრის ხმად ესმოდა, ტყისა და მდინარეთა შრიალი ბადრის სუნთქვას ეგონებოდა.

• •

იმ დღეს, როცა პირიშვემ დაშორდა ბადრი ადგილიდან ველარ იძროდა. ვერაფერი გაეგონა, ვინ იყო, მიწაზე რომელმა ცამ ჩამოაგდო პირიშვემ, ან თვითონ მან, ბადრმა ისეთი რა დაიმსახურა, რომ პირიშვის ყურადღება მიეპყრო. მერე ისინი ვინღა იყვნენ პირიშვემ, რომ გააფრთხილეს „მეფე აქეთვე მოიწვესო“. მერე რაა საერთო მეფისა და პირიშვის შორის? და მეფის ხსენებამ მოაგონა, ბადრის მამა ჯუშუმბრის ნაამბობში, თუ როგორ გააძევეს ისინი და გზაზე მიატოვეს ცისა და მიწის ამარად, უსახლკაროდ, ულუკამაპუროდ... მერე როგორ შეუბრალებიათ ისინი მწყემსებს, მთაში წაუყვანიათ და ძმად მიუღიათ. ქორის სისხლით შეღებულ ისარს და აჩერდა. „მტაცებლის სისხლითაა შეღებული მეც მტაცებლები უნდა დაეზოცო“. — იფიქრა და გასისხლიანებული ისარი ესროლა ცას. ისარი ცაში ისე შორს ჩაიკარგა, თვალთ არ ჩანდა. როცა დაეშვა, ხელით დაიჭირა და მის ტარს ემთხვია.

ამ დროს ბაგრატის გაბმული ძახილი მოესმა:

— ბადრი, ბადრი!

ბადრი მიწაზე გაწვა და პირიშვის ნაჩუქარი შეილდისარი გულში ჩაიკრა.

— ბადრი სად ხარ, რა მოგდის; გულში შეილდისარის კი არა, იმ მზეთუნახავის ჩაყვრა არ გერჩია? სად გაჩნდა, ან საით გაფრინდა პირიშვემ! მოჩვენება თუ იყო?

გაბრუებული ბადრი მთელი მკერდით სუნთქავდა.

— ბადრი, აგრე როგორ დგამანა! ქალი კი არა; ალი თუ იყო და ალხათ გული წაგართვა. წამო, ღმერთი ახსენე და ცხვარში დაგბრუნდეთ! — ჩასძახოდა უკვე ფიქრსმიცემული ბაგრატი.

— ცხვარში? — თვალი რომ გაახი-

ლა, გაკვირვებით იკითხა ბადრიმ. მას თავი ცაში ეგონა, ახლა კი ცხვარში ეძახდნენ. უეცრად ზეწამოიჭრა, ამხანაგს ხელი მოხვია.

— ბაგრატ, ხომ განუყრელნი ვართ და არ მილაღატებ?

— განა ამას კითხვა სჭირდება? — გაცოცხლა ბაგრატმა.

— მაშ რასაც გთხოვ, გულში შეინახე და შემისრულე!

— მორჩილვარ! — უთხრა ბაგრატმა.

— შე უკვე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. გული და გონება პირიმუშემ მომტაცა. ახლა ბავშვი ვარ ახლადფეხადგმული და შენი ხელი მჭირდება; მიხედვე ცხვარს, თუ დაგვეღუპა, ბატონები არ გვაპატიებენ. მე პირიმუშის ნება-სურვილს ვასრულებ; მტაცებელთა დასახოცად მივდივარ. ამით ცხვრის დაცვასაც გაგიადვილებთ. აცნობეთ მშობლებს, რაც მომივიდა და იქნებ პირიმუშის გაიგოთ რამე. თუ სადმე გამოჩნდეს მთის მწვერვალზე კოცონი გააჩაღე და მე იქ გავჩნდები.

— ვფიცავ შენს ძმობას, ყველაფერი ისე შეგისრულო, როგორც შენ მთხოვ! — შეპფიცა ბაგრატმა.



დრო მიდიოდა. ტიტულდებოდა ხეები. დაცვენილი ფოთლებით იგსებოდნენ ხეები, ტყეში აქა-იქ ჩნდებოდნენ ტიტეული კონცხები და ზამთრის მოახლოებას ხეებზე აქა-იქ შემორჩენილ ფოთლებზე ცრემლებივით დაკიდული წვიმის წვეთებიც კი გვაუწყებდნენ. თითქოს ტიროდა მთელი ბუნება და შემოდგომის მოღუშული ცა მიწას რაღაც მუქარით ჩამოკუყრებდა.

ბადრი კი სად არ იყო, სად არ დაპქროდა. არც დღისით, არც ღამით მისი მოსვენება არ იყო.

მრავალ ქვეწარმავალთა, მტაცებელ მხეტთა, თუ ფრინველთა ხერხელი ბუნაგი და საბუღარი დაანგრია, გაანადგურა. ზოგჯერ დათვის, ჯიქსა თუ აფთარს პირისპირ ისე შეეყრებოდა, ისრის ტყორ-

ცნასაც კი ველარ ასწრებდა და მყისვე ხელდახელ შეებმებოდა; სიცოცხლეს უსპობდა. მერე ხელპირივით ხელში მტეული გულამოსკენით დაიგმინებდა: „სად ხარ პირიმუშე, ჩემო პირიმუშე!“

იმ დღესაც ჯიქს პირისპირ შეხვდა. ისინი გაშმაგებით მივიარდნენ ერთმანეთს. ბადრიმ განრისხებული მხეცი იქვე მიახჩხო. მერე სახე დასისხლიანებულმა ცაში ატყორცნილ მყინვარს გახვდა.

უცხად ცა გაიხსნა, შავი ღრუბლები მიმოიფანტნენ და მზის სხივები აკიაფდნენ ბადრის სისხლმონადენ სახეზე. თვალი მოხუჭა, თავი ბურტუს მისცა. მოეჩვენა რომ პირიმუშე მოდის, ოქროსფერ მერანს მოაქროლებს, ახლოვდება, იძახის: „ბადრი, ბადრი!“ მიმოიხედა: შორს, ტყით შემოსილ მთის მწვერვალზე ცაში ავარდნილი კვამლი შენიშნა. უცხად გონს ვერ მოეგო: მერე დაიძახა:

— კოცონი! — და წამოიჭრა, გაიქცა. მთის მქუხარე მდინარეებზე თუ ვეება ლოდებზე ხტებოდა. მისი გულისყური, თვალი და გონება უკვე იმ მთაზე ასულიყო, სადაც დანთებული კოცონი ბოლავდა ცას. თითქოს ტყეს ქარმა დაუბერაო, ბადრის ფეხებში ამრიალდნენ და ჰაერში აფრიალდნენ ახლად დაცვენილი ფოთლები.

აღმართი სულმოუთქმელად აირბინა და მთაზე რომ ავიდა, რაღაც ჯადოსნურმა სხივმა შეპქრა, შებოკა.

კოცონის ახლო პირიმუშე ლოდზე დაშვებულყო. ახლოს მდგარი მისი ოქროსფერი მერანი პირიმუშეს ადამიანის თვლებით მისჩერებოდა და თითქოს ისიც სევდას შეეპყრო.

— პირიმუშე! — დაიძახა ბადრიმ.

დასევდიანებული პირიმუშე წამოიჭრა, ბადრისკენ გადაიხარა, მაგრამ მუხლები მოეკვეთა და ჩაოკცა.

ბადრიმ ხელი შიამველა, წამოაყენა. ახლა პირიმუშის თვალთა შუქმა და სიახლოვემ შეაკრთო ბადრი; შეაყენა, სუნთქვა შეეკრა. ისევ პირიმუშე მიუახლოვდა და ლოდზე უჩვენა:

— აი, აქ დაესხდეთ.

პირიმზე დაჯდა.

ბადრი კვლავ იდგა, წელან ჯიქი შეიპყრო და იქვე მოაღრჩო, ახლა კი ამ სათუთოა, ჰაეროვანმა არსებამ გააშეშა და სიტყვას ვერ სძრავდა.

— აქ, ჩემს გვერდით, ბადრი, — განუგებოდა პირიმზემ და ხელი გაუწოდა, ხელზე ოდნავ შეახო.

ამ შეხებამ ბადრი თითქოს გამოაღვიძა და ლოდზე პირიმზის ახლო ჩამოჯდა.

პირიმზე უტყუროდა და სახე უფრო უბრწყინდებოდა. ბადრის დაკაწრულ, გასისხლიანებულ სახეზე კითხულობდა, როგორი თავგანწირვით ასრულებდა ბადრი მის თხოვნას, თავი ეღარ შეიმავრა და ქაბუჯის წინაშე მუხლი მოიყარა.

— აპატიე, ნუ გაიციხავ ქვეყნად შენთვის მოსულ პირიმზეს. განა მე სისხლი მწყურია? მტაცებლები ჩვენი წმინდა სისხლის გაღებით მოისპობა ამ ქვეყნად. მე მეფის შვილი ვარ, შენ კი მწყემსისა, მაგრამ შენში ვპოვე მე ჩემი გული. უშენოდ ვერასოდეს ვიგრძნობდი, რაა სიცოცხლე.

— შენ, მეფის ასული?! — დაიქუბა ბადრიმ. მერე ხმადაშვებით განაგრძო: — რა სთქვი, პირიმზე! ვინა ვარ მე, რომ მეფის ასული ჩემთვის თავს დებდეს! მეფის ასული? ალბათ იმ მეფისა, ჩვენ რომ გადააძევა და გზაჯვარედინზე მიგვატოვა მიუსაფარი! — ბადრი ზეწამოიჭრა. ახლა ისე გამოიყურებოდა, როგორც მაშინ, როცა ჯიქს შეეგბა.

პირიმზე გაოცებული მიჩერებოდა, მერე წამოდგა, რაღაც შემკრთალი ხმით შეეძიოხა:

— რა ჰქვია შენს მამას ბადრი?

— ჯუმბერ, მეჯინიბე, ჯუმბერ!

— ჯუმბერ! — იკივლა პირიმზემ და ლოდზე დაეშვა.

ბადრის ვერაფერი გაეგო თუ რა ხდებოდა. პირიმზისათვის ხელის მიკარებასაც კი ვერ ბედავდა.

ისევ პირიმზემ დასძლია სისუსტე;

თითქოს ევედრებო, ბადრის იგი მიჩერდა სახეში:

— ეს შენ ხარ? ჩემი გმირი? მითხრობდა თქვენს ამბავს. მე კი ვტიროდი, ვტიროდი და მაინც ვთხოვდი განგებოთ თქვენი ამბავის მოყოლა. მკაცრი მამის განაჩენის სიძიმე ჩემს გულში ლოდვით იღო. იცი ბადრი, მე და შენ, რომ ერთ დღეს ვართ დაბადებულნი? ჩვენ ჩვილნი, თვალაუბეღელნი დავშორდით ერთმანეთს და სანამ შეგბედებოდი თითქოს ბრმა ვიყავ!

ბადრის მკაცრი სახე მშვიდდებოდა, სანდომიანი, თვინიერი ხდებოდა. ბოლოს ნეტარების ალი შეენთო, პირიმზის წინაშე დაიხარა.

— ბადრი, ვინ გიშველათ? — ჰკითხა პირიმზემ.

— მწყემსებმა! — ამის თქმა კი მოასწრო ბადრიმ და იქვე ტყეში ჩასაფრებული ბაგრატის ძახილი მოისმა:

— ბადრი, თავს უშველე, ალყას გვატყეამენ!

ახლა აქეთვე წამოსულ ბაგრატთან ვახტანგი და გიორგიც გამოჩნდნენ:

— მეფის ასული, საფრთხეში ვართ: უბედურება მოგველის ყველას, უფლისწული, გულბანი თავის ხალხით და გვესხა თავს! — მიძახა გიორგიმ.

პირიმზე ბადრის მივიარდა:

— წადი, ჩემო ბადრი, უშველე თავს! მე ისევ მოვალ, უშენოდ ჩემი მზე ჩამქრალია, არასოდეს ამოვა! ისევ მოვალ და მთის ჩანჩქერებს შორს გავატანოთ ჩვენი გულის სიმღერა.

ბადრი ენაჩავარდნილი მიჩერებოდა.

— ბადრი, წადი, გემუდარები, ჩემი გულისთვის უშველე თავს. თუ შევიგვიანო, მანამ მელოდე სანამ ფოთლები გაიშლუბიან და ქვეყანაზე სითბო დადგება. ცივ ზამთარში კი აი, ამან გაგათბოს! — თხოვა პირიმზემ და ბადრს შუბლზე აკოცა:

პირიმზის ამ მხურვალე კოცნამ ბადრის ცეცხლი გაუჩინა ძარღვეებში, დაარეტიანა. უეცრად უფლისწულის აქეთვე წამოსული ხალხი შენიშნა.

— ნახვამდის! — შესძახა პირიმუხს და იმ მთიდან შურდულივით დაეშვა.

მეფის ხალხმა შეილდისრები სეტყვა-სავით დაუშინა ყოველი მხრიდან, მაგრამ ბადრი ქარივით მიჰქროდა ტყეში. პირიმუხის მხურვალე ამბორს მოეშუშე-ხია, განეკურნა, განა მარტო კრილო-ბა — გულიც და ფრთა შეესხა.



წავიდა შემოდგომა, ზამთარიც მი-იწურა. თოვლის უკანასკნელი ფანტელი ჰერშივე დნებოდა. ასევე დნებოდა და ილეოდა სასახლის კედლებში ჩაკეტილი პირიმუხის გული.

გულბანს მეფისათვის ყველაფერი მოეხსენებინა, რაც მას პირიმუხსა და ვილაც უცნობ ჭაბუქზე გაეგო. ამიტომ განრისხებულმა მეფემ თავნება პირიმუხს სასახლეში ჩაკეტა, გარეთ იშვიათად უშვებდა, მხოლოდ ზოგჯერ ისიც გაძლიერებული მცველების თანხლებით თუ გაუშვებდა ხოლმე მახლობელ ველ-მინდვრებში სახეტილოდ. თვალზე ცრემლმუშურობი და გულჩამკედარი პირიმუხი ობობას ქსელში მოხვედრილ პეპელასავით ფართხალებდა; თვალვით პატარა სარკმელში უიმედოდ გაჰყურებდა შორეულ მთებს. იმ მთების სახით ბადრის ხედავდა, მისი სიშორე და მიუწვდომლობა გულს უვიწროებდა. ზოგჯერ სარკმელზე თავმიყრდნობილი ჩასთვლემდა, მაგრამ ისევ ის მთები ედგა თვალწინ. ჩურჩულებდა: „ბადრი, შორსა ხარ, მე ვერ მოგწვდები, გული მელევა, უშენოდ ვდნები“.

გამზრდელი მივიდოდა, მიუალერსებ-დაიანუგეშებდა, თუმცა გრძნობდა, ცეც-ხლმოდებული პირიმუხის დამშვიდება აღარც მას შეეძლო.

პირიმუხის თვალწინ მიილია, დადნა ზამთარი. სუსხიანმა ქარბუქმა უკანას-კნელად გადაიმღერა მახლობელი მთა-ველი და შორს, ყინულოვანი მთების უფსკრულებში გადაიჩხება. მოფრინდა ნიავეი გაზაფხულისა, დაუბერა და სა-

ამურ ჩურჩულით სიცოცხლის განახლე-ბა აუწყა.

მაშინ მოვიდა ისევ გამზრდელი. ფრთხილად დაეშვა სარკმელზე თავ-მიდებული პირიმუხის ახლო. ცრემლის ნაკადულს დედვარა დედაბერის მიმჭ-რალი სახე. ჩათვლემილ პირიმუხს თავ-ზე ოდნავ შეახო ხელი და ყრუდ წარ-მოსთქვა:

— შეილო პირიმუხე, გაიღვიძე, ჩემი სიცოცხლის ერთადერთი ლამპარი შენა ხარ: წახვალ, ჩემი მზეც ჩაესვენება. მაგრამ შენი ტანჯვა ვერ ამიტანია. შენი, ერთგული მცველები გავაგზავნე, იმათ შენი ბადრის მამადნაფიცი იპოვეს. მათ პირი შეჰკრეს და მახლობელ ტყეში გვლოდებიან. უნდა იჩქარო. ერთგული მცველებიც შენთვის თავს დებენ.

პირიმუხმ რაც მოისმინა, სიზმარი ეგონა. გამზრდელს გაოგნებული მიჩე-რებოდა. მერე ერთბაშად გაშალა ხელი და თითქოს სევდით დაპატარავებული გამზრდელი გულში ჩაიკრა. დაუკონა ხელპირი, სიბერის თოვლით შეფიჭქუ-ლი თმები და შუბლი.

— ჩემო გამზრდელო, შენი ნათელი შუბლი ჩემი შუქურაა. ის გზას მინა-თებს, ჯოჯოხეთიდან საოცნებო ჭეყვა-ნაში მივყავარ და შენ აქ როგორ დაგ-ტოვო.

— შეილო, სანამ ვიცოცხლებ მაინც შენთან ვიქნები; სიზმარშიაც შენი სახე არ მომშორდება. ამით ვიცოცხლებ, გლოცავ, მინდა, შენმა ბედნიერებამ მკედარსაც ამიხილოს თვალები და და-მანახოს ჩემი პირიმუხე; მაშინ უფრო ტკბილად მიმიღებს მიწა, — უთხრა აქ-ვითინებულმა გამზრდელმა და თავისი გაქვალტყავებული, ბებრული ხელები უკანასკნელად მოხვია თავის გაზრდილ პირიმუხს.



მეორე დღეს, დილით, პირიმუხმ სა-სახლიდან ველმინდვრად გასვლა ითხო-ვა. უარი ვერ უთხრეს, მით უფრო სა-სახლიდან გასვლა დიდი ხანია არ უთ-ხოვია.

სასახლიდან გასულმა პირიმზემ მოიხედა და გაუკვირდა, რომ დღეს უფრო მკირერიცხოვან მცველებს ატანდნენ, ვიდრე ოდესმე.

გულბანმა რჩეული ჯარის რაზმი სწრაფად შეადგინა და თვითონ წინ წარუძღვა. რაზმი განგებ გაფანტულად მიჰყავდა, რომ პირიმზისათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მიდიოდა დიდი სიფრთხილით. ხან აქეთ, ხან იქით უქცევდა გზას, ეფარებოდა გორაკებს, თუ პატარა ხევებს. მას მხოლოდ ის აოცებდა, რომ პირიმზე და მისი მცველები დიდი სისწრაფით მიჰქროდნენ წინ, რაც ველზე სეირნობას სულაც არ ჰგავდა.

როცა პირიმზემ მთავარი გზიდან ტყისკენ პირი იბრუნა, გულბანი მიხვდა აქ რაღაც საეჭვო ამბავი ხდებოდა, აღარ დააყოვნა, თავის ჯარს ნიშანი მისცა, სწრაფად შეჰკრიბა და წინ გააქროლა.



მრავალი მთა და ველი, ტყე და კლდე-ღრენი მოინადირა ბადრიმ მას შემდეგ, რაც მთაზე, კოკონთან პირიმზეს დაშორდა. ჭირსა და განსაცდელს არაფრად თვლიდა, შიმშილი, ძილი და მოსვენება დაეწივებოდა. შუბლზე პირიმზის ამბორი უღვივოდა და მის სითბოს ვერაფერი აქრობდა. ეს სითბო ყველგან მიაცილებდა, უორკეცებდა ჭაბუკს ძალღონეს. მტაცებელ მხეცებთან შებმას ისე შეჩვეოდა, თამაშად თვლიდა და ეს ხელობა მას უკვე ართობდა.

მოვიდა ცივი ქარი, ცივი ზამთარი, მოიტანა თოვლი უზარმაზარი და თითქო იმით დაამშვიდა ბუნება, რომ ჩაახუმა სიცოცხლე.

მაგრამ, რაც დრო ვადიოდა, ბადრის სევდა იპყრობდა, და თუმცა სიცივე მატულობდა, პირიმზის ამბორი უფრო ენთებოდა, — ცეცხლივით ეღებოდა ჭაბუკის სხეულს. და თითქოს ამ ცეცხლს გაურბისო, მთიდან მთაზე სულმოუთქმელად გადადიოდა, გული აღარსად უჩერდებოდა, ცივ ქარბუქს კი არ ერიდებოდა, პირიქით, პირისპირ ხვდებოდა,

რომ იქნებ შეენელებია სულში დანთებული კოკონი. თავშესაფარზე სტუღაც არ ფიქრობდა; თოვლის ფიფქით გათოშილი, გათვრებული, დადიოდა დღე-ღამე. სანამ თოვლი მოვიდოდა, მთაზე პირიმზის ნატერფალს მოინახულებდა, ამით გულს იმშვიდებდა. ახლა კი თოვლს მიწაზე ყველაფერი წაეშალა და ეს უფრო უკავედა გულს.

მიდიოდა, ილეოდა ზამთარი. ბადრის გულშიაც ილეოდა, ქრებოდა პირიმზის ხელახალი გამოჩენის იმედი.

როცა მიწამ თოვლის თეთრი საბანი მთლად მოიხადა, ბადრი მთაში ავიდა, რომ იქნებ პირიმზის ნატერფალი ენახა, მაგრამ ვერ ჰპოვა; თოვლს წაეშალა, დამარხა მიწაში.

ავერ, გაზაფხულის პირველი სუნთქვა იგრძნო მან მთაში და დანისლულ ხეებს გასძახა:

„პირიმზე, პირიმზე!“ — ხევმა ხეებს სწრაფად ბადრის ძახილი მაგრამ პირიმზის პასუხი არსაიდან ისმოდა.

უკვე შემოპარულიყო მთაში გაზაფხული, — ახალი სიცოცხლის მომტანი დღეები; გადამწვანებულიყო ტყეებით შებურთული მთები და ხევები; ახმანებულიყო ზამთარში ხმამიწყადარი ჩანჩქერები, მდინარეები, ათასგვარ ხმაზე გულამოსკენით აქლურტულულიყვნენ, ფოთლებში თავშეფარებული თუ ჰაერში გუნდად მონავარდე ჩიტები და თითქოს თვითონ მთა მღეროდა ჩიტების ხმაზე; მხოლოდ მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალები არ შეცვლილიყვნენ; გაბრუებული ბადრი მთის კონცხზე შედგა, ლოდზე დაეშვა: ცაში თითქოს პირიმზეს ხედავდა, ირგვლივ ახლად გაშლილ ყოველ ფოთოლში პირიმზეს ჰქრებდა, ჩიტების განუწყვეტელ აქლურტულშიც პირიმზის სააღერსო სიტყვები ესმოდა. და თითქოს პირიმზის ბედზე ჩაფიქრებული, ბადრის პირდაპირ მდგარი, მარად მწვანე ნაძვის ხეც სინანულით არხევდა თავს. ბადრის თვალი მიეღულა და მოეჩვენა, რომ თეთრი მწვერვალი პირიმზის ყელია, შორეული, ამაღლებული, ხელმიუკარება,

მიუწვდომელი. გაღმით, მთიდან გაღმომსკდარი ჩანჩქერის ხმაში თითქოს პირიმზის ძახილი შემოვსმა და თვალი გაახილა. ზეწამოიწია. ჩანჩქერი თითქოს ციდან იღვრებოდა დანისლულ ხევში და წარმოუდგა, რომ ის პირიმზის ტანია რქესავით თეთრი, ცასავით წმინდა, სპეტაკი. იქვე, ახლათ შეფოთლილ ცაცხვზე ბუღბუღი შემოჯდა და გულში ჩამწვდომი გალობა დაიწყო. ამ გალობით თითქოს სიყვარულის დაუსრულებელ ამბებს უყვებოდა ბუღბუღი გულდამწვარ ბადრს: „ნეტავი ბუღბუღო შენი ენა მესმოდეს. იქნებ პირიმზემ გამოგაგზავნა და ცდილობ გული დამიმშვიდო. ამოდ. მე ახლა ყრუ ვარ, ვერაფერს გავიგებ მანამდე, ვიდრე პირიმზეს არ ვნახავ“...

ამ დროს ხევიდან ძახილი შემოვსმა:

„ბადრი, ბადრი!“

ბადრიმ ბაგრატის ხმა იცნო, გამოეხმაურა:

— აქა ვარ, ბაგრატ!

მალე ბაგრატი იქვე გაჩნდა.

— სად დამეყარგე, სად არ დაგეძებ! ბადრიმ იგრძნო ძმადნაფიცმა რაღაც სასიხარულო ამბავი მომიტანაო და მიეგება:

— რას მეტყვი, ძმობილო?

— ახლავე უნდა წავიდეთ აქედან. ქვევით ათი შერჩეული მწყემსი ამხედრებულნი გველოდებიან.

— სად უნდა წავიდეთ?! — იყვირა ბადრიმ.

— შორს, იქ, სადაც პირიმზე მოვა! — ამის თქმა მოასწრო ბაგრატმა და ბადრი მოეხვია, ძმადნაფიცი გულში ჩაიკრა.

— ბაგრატ, რა თქვი ეს, ბაგრატ!

— დაწყნარდი, ძმობილო, სული მომათქმევი და ყველაფერს გეტყვი! — უთხრა ბაგრატმა და მერე უამბო, თუ როგორ მოვიდნენ პირიმზის მცველები, რა ამბავი მოიტანეს და რაზე შეთანხმდნენ.



რჩეული მწყემსებისა და ძმადნაფიცის თანხლებით პირიმზესთან შესახვედ-

რად გამგზავრებული ბადრი ბედაურს ქარივით მიაქროლებდა, ემგვრამ ეგონა ფეხით უფრო ადრე მიაღწევდა დანისლულ ადგილს. გული ელეოდა, ზოგჯერ ძმადნაფიცს გადასძახებდა:

— გავფრინდეთ, ბაგრატ!

მაგრამ რაც უფრო მოკლდებოდა მანძილი, მით უფრო ღელავდა ბადრი და ახლა ცაზე სხივდაკრულ ღრუბლებშიაც პირიმზეს ხედავდა: პირიმზე მისცურავდა უსასრულო ლაქვარდში. ზოგჯერ თავზე ხელზეშემოწყობილი სეკდას მისცემოდა, ან ხელგაშლილი ბადრის შესახვედრად მოიწევდა, ახლოვდებოდა იძახდა: „ბადრი, ბადრი!“

— მოვდივარ, მომეგებე, უშენოდ კვდები!

— აი ის ტყე! — დიძახა ბაგრატმა და ძმადნაფიცს წამოეწია.

ამ შეძახილმა ბადრი შეაერთო, ცხენი შეაყენა და ძმადნაფიცს შესძახა:

— ბაგრატ რა სთქვი?

— აი, ის ტყე! — განუთმეორა ბაგრატმა და ხელით უჩვენა.

გზა სწრაფად ილეოდა, თითქოს თვითონ ტყე გამოზობოდა აქეთკენ.

ტყეს მალე მიაღწიეს, შევიდნენ შიგ და გაუჩინარდნენ.

დაღამდა, ვარსკვლავებით აივსო ცა. ყველას ჩაეძინა. მარტო ბადრი და ბაგრატი ფიზლოზდნენ.

ბავშვობას იგონებდნენ; როგორ იზრდებოდნენ, ცხვარს როგორ დასდევდნენ; ქარში, წვიმაში, სუსხიან ზამთარში. მერე ცოტათი წამოზრდილებს ტყეში რამდენი ღამე უთენებიათ და შიშის დასაფრთხობად რანაირი სიმღერა არ წამოუწყიათ, — გაჭირვების სიმღერა. თვალგახელილებს ეძინათ დ მაშინ იღვიძებდნენ, როცა დანამულ სახეზე მზის პირველი სხივი შეეხებოდათ.

— ბაგრატ, როდის გათენდება? შეეკითხა ბადრი, მაგრამ ძმადნაფიცსაც ჩასძინებოდა. ისევ ვარსკვლავებს გაესაუბრა და გაუხშილა რაც გულში ედო: „ვარსკვლავებო, იქნებ ახლა პირიმზეც შემოგეჭქვით და მიგონებს“.

ვარსკვლავები მთვლემარე ბავშვები-

ვით ხუჭავდენენ თვალებს, თითქოს შორდებოდნენ, ქრებოდნენ, დნებოდნენ.

ბადრი წამოდგა, ჩაძინებულ მეგობრებს დააჩერდა: „განა ძმებო, ამქვეყნად იმიტომ მოხვედით რომ თავი შემწიროთ? რითი შემიძლია გადავიხადოთ?“ თითქოს მეგობრების გაერთიანებული სუნთქვა უპასუხებდა: „სიყვარულით, სიყვარულით“.

— ბადრი, გატყობ, არ გიძინია, — შემოესმა ბაგრატის ხმა.

— სიცოცხლე წამიერია, ძილი სამუდამოა და მოვესწრებით. — უპასუხა ბადრი და ძმადნაფიცის გვერდით ახლად მოსულ ბალახზე დაეშვა. გაზაფხულის პირველი ნამით დასველებული ხელი სახეზე მოისვა და გაიღიმა, — ბაგრატ, განა მართალი გგონია, რომ პირიშე მოვა?

— აგერ, მზე ამოდის, პირიშეც მოვა, — უპასუხა ბაგრატმა და წამოდგა, — დროა ტყის ნაპირას გავიდეთ. გავხედოთ ველს. საცაა გამოჩნდება პირიშე. ძმადნაფიცები ტყის პირას გავიდნენ. შორს, ოქროს მტვერივით ამღვარ დილის ბურუსში აღმართული ციხე შენიშნეს.

— აი, ბადრი, საიდან გააძევეს შენი მშობლები. ეს ამბავი პირიშვის ერთგულმა მცველებმა მამცნეს.

— რას ამბობ, ნუთუ ისაა? — შესძახა ბადრი.

— იქ რომ გაზრდილიყავი სულითა და ხორციით დამონებულს პირიშე სახესაც არ გიჩვენებდა. ახლა კი შენში მთის სიმტკიცე იზიდავს. — უთხრა ბაგრატმა.

ამ დროს შორს თვალწასული ბადრი გაფითრდა: მან აქეთკენ წამოსული ცხენოსანთა რაზმი შენიშნა.

ბადრი თვალმოუშორებელივ გაკუყურებდა აქეთკენ დიდი სისწრაფით დამარულ ცხენოსნებს.

ცოტა კიდევ და ისევ ბაგრატმა წამოიძახა:

— აი, მდეგრებიც! ეშმაკობენ, შორიდან უგლიან!

— მდეგრები?! — დაიძახა ბადრი. შეილდისარს ხელი ჩაავლო და წინ ისე

გადაიხარა, თითქოს ვეფხვი გასატომად მოემზადაო.

— დამშვიდდი ბადრი! იმეგვრისგვებმა ალბათ არაფერი იციან, რომ ჩვენ აქა ვართ! — შესძახა ბაგრატმა.

როცა წინ წამოსული ცხენოსნები მოახლოვდნენ, თეთრად გამოწყობილი ქალი შენიშნეს.

— პირიშე! — წამოიძახა ბადრი და თრთოლვა დაიწყო, — გავიქცეთ, შევხვედეთ!

— არ შეიძლება! — დაიყვირა ბაგრატმა.

ბადრის გულში თითქოს დამწყვედეული ვეფხვი იბრძოდა; აქეთ-იქით ეხეთქებოდა, რომ თავი აეშვა, გამოქრილიყო, თავისუფლად გაქცეულიყო.

როცა ცხენოსნები ტყეს გაუსწორდნენ, აქეთკენ არც კი იხედებოდნენ და ბადრი შეშფოთდა.

— საითკენ მიდიან; დაეუძახოთ!

— დამშვიდდი, ძმობილო, ვინც სასახლის საპყრობილეს თავი დააღწია, აქაც მოაღწევს! — უთხრა ბაგრატმა.

მართლაც წინ წამოსულმა პირიშემ უცხად პირი ტყისკენ იბრუნა და თავდავიწყებით დასძრა მერანი.

ახლა კი თითქოს ვეფხვმა აიშვავ, ბადრი წინ გაიჭრა და ყვირილი მორთო:

— პირიშე, პირიშე!

— ბადრი! — მიიძახა, პირიშემაც და შევარდენივით ფრთაგაშლილი ქალწული ისე აფრინდა, რომ გამოქროლებული მერანი არც შეაყენა; უკვე მის წინაშე მუხლმოყრილ ბადრის მიეჭრა, მეტი ვერ შეძლო, მოიხარა და აქვითინდა; ეს უსახლერო ბედნიერების ქვითინი იყო.

— ველარ მოგშორდები, ველარსად გაგიშვებ! — იძახდა ბადრი, ეგონა თითქოს მთელი სამყარო პირიშეში გადასულიყო და მის იქით არაფერი დარჩენილიყო.

— მეც სამუდამოდ მოვედი! ვერ მოგშორდები!.. მაგრამ გახედე, ბადრი, როგორ მოგვედევნენ, — ბოლოს წამოიძახა პირიშემ და შორს, აქეთკენ გამოქროლებულ ცხენოსანთა რაზმზე უჩვენა, —

იქნებ მხოლოდ წუთები დაგვრჩა მაგრამ მას საუკუნეებიც ვერ შეედრებიან!

— აეჩქარდეთ, მოახლოდნენ მდეგრები! — მოაგონა ბაგრატი თავდავიწყებას მიცემულ მიჯნურთ და პირიმეს ოქროსფერი მერანი მიჰგვარა.

— წავიდეთ! — გამოერკვა პირიმზეც და მერე ერთგულ მხლებლებს გასძახა: — გაანათვისუფლეთ მცველები, თქვენ კი მოგვყევით!

უკვე ამხედრებული პირიმზე და ბადრი ერთგული მხლებლებით მთისკენ დაიძრნენ.

თავდავიწყებას მიცემულნი მიჯნურნი მხარდამხარ მიჰქროდნენ. ასეთი ბედნიერი წუთები მათ არასოდეს არ განეცადათ.

ბადრის ეგონა ეს ყოველივე მოჩვენებაა, სიზმარეული ხილვაა, რაც ადამიანიშვილს ოცნებითაც კი არ შეუძლია წარმოიდგინოს.

და რაც უფრო წინ მიიწევდა, თითქოს მთის ძალა ემატებოდა. მაინც მათ თავდავიწყებას რაღაც სხვა მტკიცეული გრძნობაც ისრავდა: უკან მდეგრების მთელი რაზმი მოსდევდა მათ.

განვლეს ველი. მწვანით შემოსილ მთის ხეობებში შეიჭრნენ.

— ეიჩქაროთ, ვიწროებში შევასწროთ! — დაიძახა ბაგრატი.

ამ ძახილმა ჯერ განუცდელი ბედნიერებით გაბრუნებული პირიმზე და ბადრი გამოაფხიზლა, ურთიერთს უზენაესი სათნოების გრძნობით შეავლეს თვალი.

მთის მქუხარე მდინარეში შეჭრილი, აგვლებული, სირბილით გახურებული მერნები ბროლის ნამსხვრევებად ფანტადნენ წყალს.

ასეთი დედოფალი ამ მთებს არასოდეს უნახავს და თითქოს უფრო მედიდურად გამოიყურებოდნენ. შეუსვენებლივ ქუხდნენ, გრიალებდნენ მთის სიმღერად გადაქცეული ჩანჩქერები.

ვიწროებში შევიდნენ, ავიდნენ მთაზე და დაბანაკდნენ.

ბაგრატი პირიმზის ერთგული მცვე-

ლები და მწყემსები ვიწროებში ჩაყენა და თვითონაც ჩადგა.

მარტო დარჩენილი ბადრი და პირიმზე მწვანეზე დასხდნენ. ერთმანეთის სუნთქვას უსმენდნენ, მაგრამ ჯერაც სიტყვა ვერ დაეძრათ. გრძელდებოდა ბურანი, მიჯნურთა თავბრუდამხვევი, უსიტყვო ბურანი. ბადრის მიხლოვებაც ვერ გაებდნა;

პირიმზე მიუხედა, თვით მიუახლოვდა:

— ბადრი, შენი პირიმზე ცეცხლი როდია, მომეცი ხელი. და ბადრი დაეწაფა მზეთუნახავის ვარდის კოკრივით მოკუმულ ტუჩებს. ამ დროს ბაგრატის ძახილი ქვეა-ქუხილივით ჩაესმა მათ:

— ბადრი, მოვიდნენ! ბრძოლა დაიწყო; წადით, თქვენ უშველეთ თავს! პირიმზე და ბადრი უცებ მოწყდნენ ერთმანეთს. სული ძლივს მოიბრუნეს. ბადრიმ შესძახა:

— რა სთქვი, ეს ბაგრატი! ჩემი ძმები მტრის ხელში ჩაეტოვო და მე მივიმალე?

— სიკვდილშიაც ერთად ვიქნებით, — დაიძახა გონსმოსულმა პირიმზემაც და სათუთი მისი სხეული თითქოს კლდედ შეიკრა, ხოლო დაუსრულებელი სინახისა და ვნების წყაროდ ქცეული მისი თვალების შუქი სულში ეღვრებოდა ომის ღმერთათ გარდაქმნილ ბადრის.

— ჩემო პირიმზე, ვიცი შემისრულებ ჩემს პირველ თხოვნას; აქ დამელოდე! მე კი ახლა სხვანაირ მტაცებლებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა შევება.

— ო, ჩემო ბადრი! — წამოიძახა პირიმზემ, მუხლები მოეკვეთა და ჩაიკეცა.

ბადრი უკვე ბრძოლაში ჩაება. ისმოდა ვიწროებში ჩამდგარი ძმადნაფიცთა შეძახილები:

— დაქარით ვერაგებს!

— უფსკრული იყოს შენი საფლავი!

— ძმებო, დავიცვათ ჩვენი ბადრის მზექალი!

ბადრისა და ბაგრატის მოსვენება არ

იყო. როცა მდევრები ზედიზედ ისე მოეძალნენ, რომ ისრის ტყორცის დროც აღარ რჩებოდათ, მტერს ხელში ბურთივით აიტაცებდნენ და ხრამში ისროდნენ.

დახოცეს მდევართა დიდი ნაწილი. ბრძოლაში პირიმზის ერთგული მცველები, გიორგი და ვახტანგიც დაეცნენ. ხუთი მმადნაფიცი მწყემსიც რომ დაეცა, უკვე მძიმედ დაჭრილმა ბაგრატიმ გაღმით, მთის ფერდობზე თავშეყრილ მწყემსებს გასძახა:

— ძმებო, მოგვხედეთ!

სანამ მწყემსები მოაღწევდნენ, სისხლისაგან დაცლილი ბაგრატი ის იყო ძირს ეცემოდა, რომ მეფის უფროსი ვაჟიშვილი, გულბანი შენიშნა. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ისარი სტყორცნა. მან ისიც შენიშნა განგმირული გულბანი ძირს როგორ დაეცა და ბაგრატს გაეღიმა. მერე თვითონაც დაეცა მიწას; პირზე წარუშლელი ღიმილი შერჩა.

ბადრი გააფთრდა.

მოსაშველებლად მოსული მწყემსებიც ჩაებნენ ბრძოლაში და მტერი შედრკა, — უკან გაბრუნდა.

ბადრიმ მხოლოდ ახლა შენიშნა, რაოდენ ისარს შემოეკალმა მისი სხეული.

მწყემსები მიესივნენ, მივეშველებითო, მაგრამ ბადრიმ შეაჩერა ისინი:

— ძმებო, ისრებს ხელი არ ახლოთ! სისხლიდან დავიცლები და პირიმზესთან ველარ მივალწევ! — მძიმედ აიარა ვიწრო ბილიკი. მალლა რომ ავიდა, პირიმზე შუქივით შემოეგება.

— პირიმზე! — რალაც შვებით დაიძახა ბადრიმ და სახე გაუნათდა.

პირიმზე ტანშემოსისრული ბადრის მიეჭრა, უნდოდა მოხვეოდა, მაგრამ ბადრის დაისრულ სხეულს ის ველარ მიწვდა; ახლა ისიც შენიშნა ჭრილობებიდან სისხლი როგორ წვეთავდა და სასოწარკვეთილმა წამოიძახა:

— ბადრი!

— პირიმზე, ამქვეყნად ჩემზე ბედნიერი განა ვინმე ყოფილა? შენი გუ-

ლი მიმყვება და სიცოცხლე გრძელდება!

ერკინეშვილი

— ბადრი, მეც შენთან მოვდივარ, აქ აღარაფერი დამრჩენია! ყველაფერი შენ მიგაქვს რაც გამაჩნია; სიკვდილშიაც შენი სიახლოვე გამათობოს!

— არა, ჩემო მზეო! შენ უნდა გაეგრძელო სიცოცხლე ჩემი. შენს დახუჭულ თვალებს ნუ დამანახებ. მისი შუქით მიწაშიაც ვიცოცხლებ! — სთქვა და ძირს ნელა დაეშვა. გაცრეცილ ღრუბლებში თითქოს მთვარე მიმალაო, დაჰკარგა ფერი და დაეხუჭა თვალები.

პირიმზემ იძალა, ბადრის სხეულში ჩარჭობილი ისრები ამოაცალა, მერე იქვე დაეცა.

მწყემსები ხელის მიკარებხასაც ვერ უბედადნენ. მათ პირიმზე, ქალღმერთი ეგონათ და უზენაესი სასოებით დაჩერებოდნენ.

ბოლოს პირიმზემ გაახილა თვალები. წამოდგა, ბადრის მმადნაფიცი მწყემსებს მიმართა:

— ძმებო, უპატრონეთ დახოცილ ძმებს, მე კი ოთხი მწყემსი მთაში გამაცილებს; თქვენი ბადრის სხეულიც უნდა დავიცვათ. მტრებმა მისი კვალაც ვერ უნდა ჰპოვონ. ისეთი მიუღალი ტყე უნდა გამოვანახოთ, სადაც უცოდველ მიწაზე, ცოდვილი ადამიანის ფეხი არ დადგმულა.

— მორჩილვართ! — შესძახეს მწყემსებმა და ვით ერთი კაცი პირიმზისა და მისი განგმირული მიჯნურის წინაშე დახარეს თავი

* * *

...მთასვენებდნენ, ტყე არ ილეოდა. არც კლდეკარებმა და მთაყორდებს უჩანდა დასასრული.

ბოლოს ყოველის მზრივ კლდით შემოზღუდულ მთაზე ავიდნენ. შუა ტყეში პატარა ლილო იპოვეს და იქ შეჩერდნენ. ლოდებსა და ათასწლოვან

ხეებს შორის გაუთხარეს ბადრის საფლავი.

ბადრის საფლავთან აღმართულმა პირიმზემ, თითქოს ციდან, თავისი აღსარება გამოაცხადა:

— ძმებო, ღღემდე ტყის მტაცებელ მხეცებს ვებრძოდით, მაგრამ ყველაზე საშიში მხეცი ტყეში კი არა, ადამიანთა შორის ყოფილა; ებრძოლეთ მას! ვფიცავთ! — დაიძახეს მწყემსებმა

მზის სხივები აჭა-იჭ სტრიდა უსიერ ტყეში. იყო სიჩუმე, იდგა უმაღლესი შთაგონების წყნარი წუთები. თითქოს ცისა და მიწის გამაერთიანებელ სვეტივით აღმართულმა პირიმზემ უმწვერვალესი სასოებით აღაპყრო ხელები. სიზმარში ცისფერი ასულის გამოცხადება მოიგონა და მას თავის გულში შესთხოვა:

„ცისფერო ასულო, ანთებულ სანთლად გადამაქციე, რომ წვეთ-წვეთობით ჩამოვდნე, დავიღვენო, დავიწვა ჩემი ბადრის წმინდა საფლავზე“.

ამის თქმა და პირიმზე შეირხა, ანთებულ სანთლად გადაიქცა და მისი პირველი მხარვალე წვეთი დაეცა ბადრის წმინდა საფლავზე.

მწყემსები გაოცდნენ. მუხლი მოიყარეს ამ სასწაულის წინაშე და მოკრძალებით დახარეს თავი.

* * *

დრო მიდიოდა. უსიერ ტყეში ბადრის საფლავზე წვეთ-წვეთობით იღვრებოდა სანთლად გარდაქმნილი პირიმზის სხეული. მის უუქზე მწყემსები ტყეში გზას იკვლევდნენ. აქ ლამლამობით ტყის უწყინარი ცხოველებიც იკრიბებოდნენ.

სუღხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავი

აკაკი შანიძე



სუღხან-საბა ორბელიანი, რომორც ღმკიცოგრაფი

(ცოკლიდან: ქართული ღმკიცოგრაფიის ხაიოთებში)

სამსიე წელი გავიდა მას აქეთ, რაც საქართველოს ბრვეთ მთავრისა და მოსამართლეთ ეხეუცისის ვახტანგ ორბელიანის ოჯახში, სოფ. ტანძიაში (მამავერის ხეობაში) დაიბადა ვაჟი, რომელსაც სუღხანი უწოდეს. რომ წამოიზარდა ეს სუღხანი, მას აღმოაჩნდა დიდი ნიჭი, რომელიც თანდათანობით ბრწყინეაღედ გაიფურჩქნა კარგი ვანთლემბისა და დაუღღავე მრომის წყაღობი.

სუღხანა ბევრა სასარგებლო საქმე გააკეთა და დიდი ამაგი დაღო ქართულ ერს, ქართულ კულტურას. მის მრავალმხრედ საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ქართული ღმკიცოგრაფიის, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში დარჩება, როგორც ნიჭისა და დაუხრომელი მრომის ნაყოფა, როგორც ერთი საუკეთესო მონაპოვართაჟანი ქართული კულტურისა.

სუღხანი აერისავანი იყო და წარჩინებულ და სოფლრა საქმიანგან უცალო, როგორც ნათქვამია მის მოკლე ავტობიოგრაფიულ ხასიათის ცნობაში, მგერამ, რამდენადაც ნებას აძლევდა სამშაბური და სახელმწიფოებრივი მოვალეობანი, ის თავს დასტრიალებდა თავის საყვარელ სამუშაოს და შიანც შექლო კარგი ღმკიცოგრაფის შედგენა.

პირველ ქართულ ღმკიცოგრაფიულ ობზელესად მაოლიანის ქართული-იტალიური ღმკიცოგრაფიის ოთელეა, რომელიც დაიბეჭდა რომში 1629 წ., მგერამ იგი მიერია და საესეა შეცდომებით. ამიტომ არსებითად ქართული ღმკიცოგრაფიის სათავე სუღხანის ღმკიცოგრაფია, რომლის შედგენა მას დაუწყია „ესამა სიჭაბუქანსა თვისისა“ და რომელსაც ავტორის თანდათან ავტრებდა და აუმჯობესებდა. ეს ღმკიცოგრაფიის 1884 წლამდე ვრცელდებოდა ხელნაწერების სახით, მერმე კი სამჯერ გამოიცა სტამბურად (1884, 1928 და 1949 წწ.). ამჟამად შიადღება მეოთხე, საიუბილეო გამოცემა, რომელიც ითვალისწინებს ყველა ხელნაწერს, რომლებიც ან თვით სუღხანს დაუწერია, ან მისი ხელმძღვანელობით მის მშას

ზოსიმეს გადაუწერია, ზოლო სუღხანს გადაუხედავს და ზოგ შემთხვევაში თავისი ხელით გაუსწორებია ან ჩაუერთავს რაღე.

თუ ს. ორბელიანის ღმკიცოგრაფიის შემორგ გამოცემის წამომწყებს პროფ. იოსებ ყიფშიძის სახი სხვადასხვა რედაქცია, მქონდა გამოვალსწინებელი იმ ხელნაწერების მიხედვით; რომლებზედაც ხელი შეუწელებოდა, ამჟამად უკვე ცნობილა ხეთი რედაქცია, რომლებიც ყველა იქნება წარმოდგენილი ახალ გამოცემაში, რომელსაც ამზადებს ხელნაწერთა ინსტიტუტი პროფ. ილია აბულაძის ხელმძღვანელობით. ეს რედაქციები ეურდნობა ცხრა ხელნაწერს, რომელთაგანაც ზოგი ავტოგრაფის, ზოგი სუღხანის მშის ზოსიმეს გადაწერილია და თვით სუღხანის მიერ გადაკითხული და ნარედაქციევი¹.

ამ ახალ გამოცემაში წარმოდგენილი იქნება ყველა ის ვტაბი, რომლებიც გუეღია სუღხანის ქართულ ღმკიცოგრაფიის ნაწილობრივ ეს 1928 წლის გამოცემიდანაც ჩანს, რომელიც ი. ყიფშიძემ შეამზადა და მე საძიებელი დავერთე და დაბეჭდე. მგერამ უფრო თვალსაჩინოდ და ნათლად ეს წარმოდგენილი იქნება ახალ გამოცემაში, სადაც სხვადასხვა რედაქცია A B C D E ასოებით იქნება აღნიშნული. იქედან მკითხველი ადვილად დარწმუნდება, თუ როგორ ცდილობდა სუღხანი, თანდათან გვეუმჯობესებინა თავისი საყვარელი ღმკიცოგრაფია, მავალით:

ვტაბი პირვანდელ რედაქციაში (E) ზოგადად არის ასხნლია: ოთხფერტიო; შემდეგ გადაშეშავებულში (D) ასხნა უკვე კონკრეტულია: ავიგრი რაღადა მქეცია, ლომსა და ვეფხსა თანა აქსენებს წერილი; აწე რომელ ვიგრის-ტყავს უწოდენ, იგი კორკიდილოს ტყავი არს, რომელსა ქართულერბ ხეითქი ეწოდების; შემდ-

¹ ლ. მ. თეთელაძე, სუღხან-საბა ორბელიანის ღმკიცოგრაფიის რედაქციები (ავტოგრაფების მიხედვით). 1957.

ვამ საფეხურზე (C) სულხანი ამევე ახსნას იმეორებს და უმატებს: „ეკლად არს ოთხფერკი ცხოველი, რომელსა სპარსნი დუზუბანს უწოდენ და თევზიც არს, მსგავსი ტყავ-მოსილობათა მათითა“; მეოთხედ გავდაუშვებულნი (B) იყოთხება: „ეიბრი არს, რომლის ტყავსა ფარად შეამზადებენ, რომელსა სპარსნი ქარგადანს უქმობენ, აწე რომელ ვიგარის ტყავს უქმობენ, რომელიმე ზღვის თევზთა ტყავი არს, რომელამე — ქველთა ცხოველთანი“; სულ უკანასკნელ რედაქციაში ზეი (A) იყოთხება: „ქართლის ცხოვრებაში სწერია: გახტანგს აქუნდა ფარი ვიგარისაო“. მოყვანილი ციტატებიდან არ ჩანს, თუ რა იგულისხმება ვიგარად, მაგრამ სულხანი ამევე სიტყვას ბასილი დიდის თხზულებიდანაც იმოწმებს: „წმ. ბასილი წერს: ლომი, ეფერი და ვეჯრიო“, თანაც დასძენს: „აწ ვიგარის ტყავს ზღვის თევზის ტყავს უქმობენ და ქველთა ცხოველც არს. მისი ტყავი აგრეთვე ძვლით მოღერსმილია“.

სულხანის ქართ. ლექსიკონი, მისი ავტორის აზრით, სასწავლო დანიშნულებისაა; მაგ., „ეკლად-ერთან“ ის შეხეზავს: „ხოლო ჯაჭუბო, რომელ არს საქურველი, რომელსა აბჯრად, ჯაჭუშნად და თორნად სახელ-ედების, ამა აბჯრათვანნი არიან სხვადასხვა. ამასთვის აღსწერე წიგნსა ამას შინა, რათა ყოველთა მოსწავლეთა შეცნოებდა აქუნდესო“ (C).

რაკი ლექსიკონი სასწავლო წიგნია, აუცილებელია, რომ ის ისწავლონ, რაც სახმარებელია და ვარჯისი. ერთგან სულხანი შენიშნავს: „ფიქარი“ უქმარ არს ქართველთა ენითაო“, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს არაბული სიტყვა, სულხანის გაფრთხილების მიუხედავად, საბოლოოდ დამკვიდრდა ქართულ სალიტერატურო ენაში.

შასალა, რომელსაც ამეშავეებს სულხან ორბელიანი სალექსიკონოდ, ეს, პირველ ყოვლისა, ძველი ქართული ენის ძეგლებია: ძველისა და ახალი აღთქმის წიგნები, მამათა ცხოვრებანი და სხვ., მაგრამ მას აინტერესებს საზოგადოდ ქართული ენა და საიტყუები ამოაქვს სიგარს ზასიათის ძეგლებიდანაც (ვეფხისტყაოსნიდან, ამირან-დარეჯანიდან, როსტომიანიდან, კარაშაღინიდან და სხვ.), და თავის დროის სასაბურო ენიდან და ცოცხალი კილოებიდანაც.

სულხანი ასხავეებს საღეთა წერილსა და ვარგუე წერილს, ანუ სამღვდლოთა ენას და მსოფლიოთა ენას (ე. ა. სასულიერო წიგნების ენასა და საეროსს, ძველ მწიგნობარულსა და სასაბუროს). მაგ., ის ამბობს, რომ

ხორშაკი საღმრთოს წერილში ძქს და **ხორშა** — ვარგუე წერილსა შინაო.

იარაღი — ესე მსოფლიოთა ენითა არს, ხოლო სამღვდლოთა ენითა — **კური, ჰურკელი** და **რომელთამე ორდანი** ეწოდებასო.

სალიტერატურო ენის ძეგლებიდან დამოწმებულ სიტყვებს უმატებსაღ მიწერილი აქვს, თუ საიდან არის ამოღებული, თანაც მრავალ შემთხვევაში ციტატები ახლავს, რაც შეუძლავს მნიშვნელოვნად.

სულხანს ბლომად აქვს შეკრებილი სიტყვები ცოცხალი კილოებიდანაც, დაეისახელოთ თუნდაც ვერები და ვერე, რაც შესუბრად ამას ნიშნავს „ვიარები“ და „იარე“ (შესაბამისად). კანონ-ის შესახებ სულხანი ამბობს: „გზახტუვლ პირველ ქარისა შებმას უწოდენ მესხნიო“.

თუ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, სულხანი ჩამოთვლის ყველა მათ; მაგალითები:

რქა არს პირტყუთა თავსა ნაბამი (21, 22 ფსალ.); რქა ეწოდების ვენაქის ლერწმა (79, 12 ფსალ.); რქა ეწოდების, რომელსა ჰამდა უძღები შეილი (15, 16 ლუკა); რქა ეწოდების ხილსა ვრთსა, ლობიოსა ჰავეს. რქა ეწოდების ასოსა ზედა წარზიდულსა, იოტასთან ნახე (5, 18 მათე).

რქა ესე არს რადეა რასაც მოახვედრო: ისარი, თოფი, თუ ქვა და რადეა; რქა არს საერავთა ძალთა ექმა; რქად ითქმის ზარგთა და მისთანათა შეკოკვა, გინა წიგნთა შეკინძეა, ანუ ღილთა და ხრიკთა და ზოსტრეთა და მისთანანი.

ზაგა. ზაგად ითქმის პირტყუთ საზრდელსა დასადებულ იდგოლო; ზაგა ეწოდების სახლთა შინა მოღაბლო სარკმელთა რავინდრათა შესადებელთა; ზაგად ითქმის ახალი ვენაკი (1,3 ფსალ.). აქ სამი მნიშვნელობაა ნაჩვენები „ზაგა“ სიტყვისა, ესაიაზე. მოითებება პირველ მნიშვნელობას გულახსმობს.

სულხანს ორბელიანის ლექსიკონი ისეა შედგენილი, რომ ქართული სიტყვები ქართულადვეა ახსნილი, მაგრამ, ქართული ახსნის გარდა, ზშირად მოიპოვება აგრეთვე სომხური, თურქული და იტალიური თარგმანიც. უცხო ენათა შესატყვისობა ყოველთვის ბოლოში არის ხოლმე ნაჩვენები, ქართული ახსნის შემდეგ, მაგრამ ქართული ტრანსკრიფციით. ზშირად სიტყვა ნათარგმნია საშსავე დასახელებულ ენაზე, ხანაც ორზე, ხან კიდევ — ერთერთ მათგანზე. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ქ ასოზე: ქარტა ქალაღი (36,2 იერ.). ს. თუხტ. თ. ქლაზ, იტ. ქარტა.

ქლიბი რკინის საფხევი. — ს. ხარტოც, თ. თვაგი, იტ. ლიმა.

ქუფუაში... თ. დუნია, იტ. მონდო.

ქხონი სასნეულო სახლი, — იტ. ოსპიდლე და სხვ.¹

სულხანს ზოგი სიტყვა სხვადასხვა ფორმით ან სხვადასხვა ორთოგრაფიით მოჰყავს: **ბრე**

¹ ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ლ ე კ ს ი კ ო ნ ს 1928 წლის გამოცემის წინასიტყვაობიდან.

და ბრკე, ვაძარბი და ძვარბი, კსუ და ქსუფი, ღაჩაყა და ჩაღაყა, ღღილი და რვილი, პილი და სპილი, საყისარი და საყისარი და სხვ.

სულხანის ლექსიკონის მომზადებელმა უნდა იცოდეს, არის თუ არა სადმე შეტანილი ლექსიკონში სიტყვის პარალელური ფორმა. ეს კი მოითხოვს საძიებლის შედგენას და ერთ ფორმასთან მეორის მითითებას.

ამას გარდა, „გამომხილი ლექსიკოგრაფის ერთ თავისებურებას ის შეადგენს, რომ იგი ერთისა და იმავე ნათესავის (ე. ი. გვიარის) სხვადასხვა სახის საგანთა სახელებს ერთად უყრის თავს, ზოგად სახელთან, და ყველას ერთად ხსნის. ასეთ წესს ახსნისას ავტორი „განყოფილებათა შემოკრებულად დაწერას“ ეწოდება. მაგ., კმინაობის შესახებ იგი ამბობს: **კმინაობა** — კმა-ყოფა. კმინაობის განყოფილებათა შემოკრებულად დაწერა აქა შენება. ღია მრავალია. სიგრძისათვის არ დავსწერე. მისის ადგილს ნახეთ-ო“. „შემოკრებულად დაწერა“ გულისხმობს ერთად თავმოყრას ისეთი სახელებთან, რომლებიც ზოგადაა და აერთიანებენ სხვადასხვა სახის საგნებს. მაგ., სულხანი „მართვის“ შესახებ ამბობს:

ზოგად უოველთა ფრინველთა შეილთა მართვ ეწოდება მწერით ვიდრე ირაოდ და ორბამდე; არამედ ბაზთა მართვეთა ეწოდების **ქული**; ყვავთა, ყორანთა და მისთანათასა — **ბაკალი**; **ტოქობთა**, აკაბთა და მისთანათასა — **ღაბი**; **ბატთა**, იბუთა და მისთანათასა — **კუჭული**; საგათთა, წეროთა და მისთანათასა — **ბუტყი**; ქათამთა, ფარშამანგთა და მისთანათასა — **წიწილი**; ტრედთა, გურბიტთა და მისთანათასა — **ქუნდი**; მწეურთასა — **ჩორჩორი**; სირთა და მერცხალთა და ჩიტთასა — **ბარტყი**; მწერთა და ბუჩხასა — **ფუმფულა**“.

სულხანის სიტყვების „შემოკრებულად“ ახსნის წესი მოითხოვს, რომ ყველა ეს „განყოფილებანი“ თავ-თავის ადგილასაც იყოს ნაბეჭდები, ანბანურის წესით (თუ ეს თვით სულხანს არა აქვს), და მითითებულ იქნეს, თუ სად არის ახსნილი.

სულხანი შეცნინერი ლექსიკოგრაფია, ის იყვლება სიტყვის მნიშვნელობას და ცდილობს მეთხველს სარწმუნო მასალა მიაწოდოს. მგავლითად, „პრივის“ შესახებ ამბობს:

უბუკიას თარგმანში ეწერა: ოცდა ორი ქსესტი ერთი გ რ ი ვ ი ა ო. ხონოლარაფში ეწერა: ოცდაათი მოდი ერთი გ რ ი ვ ი ა ო. საწყყო თემითა-თემად უდაღესიც არის და უმციროსელიცა, მაგრამ ოცდაორი ქსესტი უფრო სწორესა ჰგავს“. ამ შემთხვევაში სულხანმა ორივე განმარტება მოიყენა, რომლებიც მას სხვადასხვა წყაროში შეხვედრია, მაგრამ მზარით ერთ მათგანს დაუბრუნა: „ოცდა ორი ქსესტი უფრო სწორესა ჰგავსო“, სულხანი **ღმობრ-**

თანაც აღნიშნავს, რომ „საწყვათი თემითა-თემად ზოგან მეტია და ზოგან ნაკლები“.

სულხანი უაღრესად ნიჭიერია. მკვლევარია, რომელიც კრიტიკულად უწყობს თავის წყაროებს. იგი მოგვითხრობს: „რომელიცა ვიცოდი, დაეწერე და რომელიცა ძნელი სიტყვანი არა ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვიძიე და რომელიმე სხუთა ენათა შევამოწმე და გამოწერილთუნი რომელიცა ვაპოე, ადვილად თანა მოვაწერე; და რომელიცა ვერა ვაპოე, საცილობელი არა დავწერეო“. ამ სწორედ ეს არის დამახასიათებელი სულხანისთვის: ის განსხვავებს საცილობელს უცილობლისაგან და მხოლოდ უცილობელი განმარტება შეაქვს თავის ლექსიკონში.

პეტრიკონის სკოლამ XII საუკუნეში ელინოვლენური მიმართულება შემოიტანა ქართულ სალიტერატურო ენაში, რამაც თავი იჩინა ტერმინოლოგიაში, ზმნათა ზოგიერთი მიმართებითი ფორმების უყუდებებაში და მათ ნაცვლად თანდებულთან მოქცევათა შემოღებაში (არა „ბრჭეა მას“, არამედ „უქუა მისა მიმართ“) და სხვ. ბერძნული ენა „შამალ-დედლური“ ენაა, ე. ი. სქესს განარჩევს, ქართული კი—არა. აღნიშნული სკოლის მიმდევრებმა ცადეს, მღვდრთი ფორმები შემოეტანათ ქართულშიც, რასაც ეხედებით სხვადასხვა ძეგლებში, კერძოდ, მაგ, ძველი ალთქალის წიგნებში, რომლებიც რედაქციულად გადაუმუშავებით ან ხელახლად უთარგმნით XII ს-ში. სულხან ორბელიანი ასეთი ძეგლებიდან იწერდა ასახსნელ სიტყვებს და ის, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუბეჭედა „გვიარის“ სიტყვებს, რომლებიც ა სუფიქსით იყო ნაწარმოები მღვდრის ფორმათათვის. „დედოფალ“ სიტყვასთან სულხანი აღნიშნავს:

„დედოფალი ეწოდების ყოველთა მდიდართა სახლისა უფალსა მის ცოლსა, ზოლო მეფის ცოლსა — **მეფა**, და უფლის ცოლსა — **უფალა**... სხეთა მებატონეთა ცოლსა — **ბატონა**“.

თუ სულხანი ამბობს, რომ „უფალი — ბატონი ვაჟია“ და „უფალა — ბატონი ქალიო“, ეს იმტომ, რომ ესაიას წიგნი, რომლის ტექსტს ის სალექსიკონო მასალად იყენებს, ელინოვლენთა ნარედაქციევი ჩანს: იქ იკითხება: „და იყოს ვერი ვითარცა მღვდელი და ყრმა— ვითარცა უ ფ ა ლ ი და მჭველი — ვითარცა უ ფ ა ლ ა“ (ესაია 24,2). სათანადო ბერძნულ ტექსტში გარჩეულია: უ ფ ა ლ ი — კვირიოს, უ ფ ა ლ ა კვირა; რუსულ თარგმანშიც აქ ერთმანეთს უპირისპირდება господина და госпожа. და რა ენა სულხანს? არ ამოვეწერა? არა, მან ამოიწერა და სათანადოდ ახსნა. იგი იღარ შევიდა იმის განკითხვაში, შეეფერება ეს ქართულ ენას, თუ არა, მსგავსი „შამალ-დედლური“ სიტყვებია მის ლექსიკონში: ქალწული და ქალწულა, მონაზონი და მონაზონა,

მოყვას და მოყვასა, მოციქული და მოციქულა, მოხუცებული და მოხუცებულა, ქაბუკი და ქაბუკა და სხვ. სამაგიეროდ, ამ, იმ და მგ (ამ კაცმა, იმ კაცმა, მგ კაცმა) = უკვა-როს სიტყვებია, ე. ი. არ ჩანს, მამრუბა საუბარი, თუ მდედრზეო.

სულხანს, როგორც მისი „სიბრძნე-სიტყვის წიგნიდან“ ჩანს, არ უყვარს მრავალ-სიტყვაობა, და რთული წინადადებანი, იგი ლაკონიკურად მოკრის სიტყვას, წინადადებას მარტივად აგებს. ეს თვისება მის ლექსიკონსაც ახასიათებს: მაგალითები.

პირობა — პეშანი.

პირობიანი — პეშნის გამთავე.

პირლია — გოდოლი.

პლიადი — ქომი.

პობა — გაჭერა

პოვნა — დაკარგულის ხილვა.

პოპლიკა — უბალნო

პრწყენა — ჩქმეტა.

პურადი — პურად უხვი.

პურობა — ნადიმი და მისო.

სულხანს თავის ლექსიკონში ისეთი სიტყვები აქვს დადასტურებული, რომლებიც ამჟამად საერთოდ აღარ იხმარება, მაგრამ რომელთაც შეიძლება სადმე რომელსაშე კილოში შევხვდეთ. მაგ., ის ამბობს, რომ „**ბუწი** თობლი“ არისო. ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით მე მხოლოდ მოხუცებულში მაქვს გაგონილი: **ბუწი** — თობლი, ერთხელ განაბარსო ბატკანი. ერთი მოხვევის სიტყვით, **ბუწა** კედილა ყოფილა. ამას გარდა, **ბუწვა** რომელიდაც ვარსკვლავია, რომელსაც წინამძღვარა მიუძღვისო. მოხვევებში იციან აგრეთვე გამოთქმა **ცხვარ-ბუწვანი** რომელიდაც ორი ვარსკვლავის აღსანიშნავად ეს, აღმათ, იგივე „**ბუწვა**“ და „წინამძღვარა“ უნდა იყოს, თითქო ის, რაც რომაელებისთვის იყო haedi (ანუ capella და რომელიდაც სხვა ვარსკვლავი, მვეტლის თანავარსკვლავედში).

რა თქმა უნდა, ზოგი სიტყვის ფორმა დამატებით ძიებას და დახუსტებას მოითხოვს. მაგ., სულხანს შეტანილი აქვს **მახვიმალი**, რომელიც ყოფილა „სასესხსკერე ფჭილი“. არ ვიცი, რამდენად სწორია ეს ფორმა, ის კი ვიცი, რომ პეტრიწონის მონასტრის ტიპოგრაფში ამ მნიშვნელობით ორჯერ იკითხება მ ს ვ ი მ ე ლ ი: „**მხვილა** და **ზედაშე**“; „**ზედაშესა** და **მხვილესა**“. მაგრამ აქედან ის დასკვნა არ გამოდინარეობს, თითქო „**მახვიმალი**“ არ არსებობდა. უნდა ვფიქრობოთ, რომ ასეთი დიალექტური ფორმაც იყო სადაც და ის შეიტანა სულხანმა.

სულხან ორბელიანი, ზოგ შემთხვევაში ძირეულ სიტყვას ხსნის და არა წარმოქმნილს, რომელიც წყაროში ჰხედება მას.

მაგალითები:

წყაროშია **ბუვრიათა** (7,5 ოსე), ახსნილია **ბუვრი**.

წყაროშია **ვარჯოენათა** (24,23 ეხეცია), ახსნილია **ვარჯი**.

წყაროშია **ლირწება** (5,21 ვალატელთა), ახსნილია **ლირა**.

წყაროშია **მესტვრე** (18,22 ვამოცხ.), ახსნილია **ხტვრი**.

წყაროშია **მიხნობითა** (2,6 ესაია), ახსნილია **მისანი**.

წყაროშია **მკლდელობითა** (43,7 ეხეცია), ახსნილია **მკლდელი**.

წყაროშია **მურტოვანი** (1,35 მსაჯულთა), ახსნილია **მურტი**.

წყაროშია **უგლიმობისა** (49,4 იერემია), ახსნილია **უგლიმი**.

წყაროშია **უპატოებისა** (6,25 ბარუქ), ახსნილია **უპატო**.

წყაროშია **ხორშაკეულნი** (41,6 დაბად.), ახსნილია **ხორშაკი**.

ამას გარდა, წარმოქმნილ ფორმასთან ზოგჯერ მითითებულია ძირეული:

სიბუშქვე — ბუშქვთან ნახეო.

სიგიფე — გიფთან ნახეო და მისო.

საინტერესოა, რომ ხო-თი ნაწარმოები ახსტრატული სახელების ასახსნელად სულხანი ხმარობს **ეზოს**, **ბჭეს**, **წინა ბჭეს**, **კარს ან შეხავალს**, უკანასკნელ რედაქციაში კი — **ქონებას**; მაგალითები:

სიმართლე — წინაბჭე მართლობისა (მართლობის ქონება).

სიმიდრე — სიმდიდრის შესავალი (მდიდრობის ქონება).

სიშტაკე — შტაკობის წინაბჭე (ქონება).

სიშმლაგრე — შმლაგრეობის ეზო (ქონება).

სიეშაკე — ეშაკობის კარი.

სითეთრე — თეთრობის წინაბჭე.

სიკეთე — წინაბჭე და ეზო კეთილობისა.

სიძწელე — ძწელობის ბჭე და მისო.

საინტერესოა, თუ როგორ ეპყრობა სულხანი ზმნებს. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სულხანს ორბელიანმა ტერმინი — „**ზმნა**“ არ იცის, მის ნაცვლად ის ხმარობს „**სიტყვისა**“, რომელიც ბერძნულ-ლათინური ტერმინის კვალობაზეა გაკეთებული. ბერძნულად ზმნას **ქვედა პრემა**, ლათინურად **ვერბუმ** (verbum), რაც „**სიტყვისა**“ ნიშნავს. ამის მიხედვით გაკეთდა სლავური ტერმინიც **слова**, რომელიც რუსულშიც იხმარება. „**ზმნა**“ კი სათანადო არაბულ-სპარსული გრამატიკული ტერმინის მსგავსად არის გაკეთებული.

რატორც ვიცით, ზმნები სხვადასხვაგვარი ფორმით შეაქვთ სხვადასხვა ენის ლექსიკონებში. ინფინიტივიან ენებში (მაგ., რუსულში,

გერმანულში, ფრანგულში) ჩვეულებრივ მიღებულია, რომ ერთი ზმნის ფორმების სამეთაურო სიტყვად იყოს ინფინიტინი (петь, singen, chanter), მოხუცდავად იმისა, რომ შეიძლება უღლებს დროს ზმნის სხვანაირი წარმოებაც აღმოჩნდეს: по-ти, по-а, მაგრამ по-ю; singen, მაგრამ: sang, ge-sung-en. ბერძნულ ენაშიც აქვს ინფინიტინი, მაგრამ ბერძნულ ლექსიკონში ზმნის დასაწყისი ფორმად I პირის ფორმებზე უკვენებენ აწმყოს მწკრივისას; ლათინურშიც იგივე წესი დამკვიდრდა, თუმცა ინფინიტინი მასაც აქვს. იმ ენებში, კი, რომელთაც ინფინიტინი არ მოეპოვება, ზმნები შეაქვთ იმ ფორმით, რომელიც ახლოს დგას ინფინიტინთან, მაგრამ ზმნურ ნიშნებთან ერთად სახელის ნიშნებიც აქვს, რის გამო მათ ქართულად „სახელზმნები“ უწოდეს. ასეთი ენებია: სომხური, სპარსული, აზერბაიჯანული, ოსური და შრავალი სხვა. ასეთ ენათა ჯგუფს შეეკუთვნება ქართულიც.

ინფინიტინი არც არაბულ ენას აქვს, მაგრამ იქ ზმნის სამეთაურო ფორმად ლექსიკონში (და ვარაზატიშვილს) მიანებულია შესაბამისი ფორმა, ე. წ. სრული სახისა, რომელიც ვერცა ფორმებს შორის უმარტივესია მაგრამათა შედგენილობის მხრივ.

ძველ სომხურ ლექსიკონებში (მაგ., -რტომიან ლექსიკონში, რომელიც ვენეციაში მითარისრტომია გამოსცა 1836-7 წლებში) ზმნების სამეთაურო ფორმა აწმყოს I პირის ფორმა: სირემ (მისუარს), ქაჯადურემ (ცახნევებ) და მისხანა. დინამედროვე სომხურ ლექსიკონებში კი უფრო მიღებულია ე. წ. საწყისის ჩვენება: ხირედ (ყუარება), ქაჯადურედ (ცახნევება) და მისლ.

ძველ ქართულში იყო შემთხვევები, ინფინიტინის წინაშეწინაობით გამოყენებინათ ვითარების ფორმა საწყისისა: ქნინად делати, წარსლვად пойти, დადგმად поставити, აღდებად взят და მისით, ასეთი ფორმები ხშირად გვხვდება ძველი ქართული ენის ძველებში, მაგრამ ქართული ენა ისე განვითარდა, რომ ასეთ ფორმებზე მან შემდეგში სრულიად აიღო ხელი.

თუ წმინდა ინფინიტინი არა, ქართულში მოიპოვება ფორმა, რომელიც ძალიან ახლოს დგას მისთან. ეს არის საწყისი, ძველების ტერმინოლოგიით „სახელზმნა“, რომელიც ზმნის ფორმებს მეთაურობს ლექსიკონებში. ის ისე ახლოს დგას ინფინიტინთან, რომ ზოგი მის ვერც კი არჩევს მისგან. ასე, მაგ., პეტრე შირიანიშვილს თავის სახელმძღვანელოში მოჰყავს ანაზნე ვაწყობილი სია ქართული ზმნებისა სამი მთავარი ფორმით: неопределенное наклонение (ინფინიტინი), настоящее время, прош. соверш. вр... აქ „განუსხილერელ კილოს“ ფორმებად მიანებულია: ბალთვა, ბანი,

ბარდნი, ბარვა, ბაქია, ბდღვნი, ბეგვა, ბედვა, ბეზღება, ბერვა, ბირება და სხვა.¹

რა ფორმით შეაქვს სულხანს ზმნა თავის ლექსიკონში? სულხანს პირიანი ფორმებზე შეაქვს, მაგ., ბრღღენიდა, ბღაგის, ბღრია-ღებს და მისთ., მაგრამ უმეტესად სამეთაურო სიტყვად საწყისია მოყვანილი: ბაღება, ბაღთვა, ბანი, ბარვა, ბეგვა, ბირება და სხვ. თუთ პირიანი ფორმა სულხანს ხშირად საწყისით აქვს ასხილია:

ვზრდი ზრდას ევზამ.

ვთესავ თესვას ეიჭ. ვაღი თლას ვყოფ. ვაზი თხრას ვიჭ. ვაყავ ყოფა მაქუნდა. ვიცი ცოდნა მაქვს. ვადრებ ვადრებას უყოფ. იძრა ძრვა იქმნა. იქნა ქნა უყო.

წამოიჭვიდა წამოიჭვიდა მყო.

წავ წოლით იყო და მისთ.

როცა წყაროში პირიანი ფორმა, სულხანი სათანადო ადგილს უმეტესად საწყისით იმარტმებს.² მაგალითები:

წყაროშია აღუთქუფოს („არა აღთქუფოს იგი ფერქმან კაცისამან: 32,13 უხვც.), სულხანი კი სათანადო ადგილს საწყისით იმარტმებს: აღთქვევა — ერთმანეთში ვათქვევა ვინა გაქნა.

წყაროში სულხანს ადლოშობს და ადლოშის ამოკითხავს („აწ აღლოშობს კრებულმან ყოველი წინაშე, ვითარცა აღლოშინს მწინევილი ეელისაგან: 22,4 რიცხ.), ლექსიკონში კი აღლოშეა შეუტანია: ადლოშვა ალოცა (22,4 რიცხ.).

წყაროში იკითხება: „გარდა იარათხენ ცანი ვითარცა კარავნი“; სულხანი ამ ადგილს იმარტმებს და ამბობს: გარდათხმა გარდაფენასავით (103,2 ფსალ.).

წყაროშია უფრად-იღეთ (44,8 ესაია), ლექსიკონში კი ასხილია უფრად-ღება.

წყაროში მოითოქნოს იკითხება („და დაუტევო ვენაკი ჩემი და არა მოისხლას და არცა მოითოქნოს“). სულხანს კი საწყისის ფორმა შეაქვს ლექსიკონში: მოითოქნა თოქით მოთხრა (5,6 ესაია).

წყაროშია დაიფუნებს (1,6 ნაომ), სულხანი

¹ П. Мирзиашвили, Практический курс грузинского языка. Т. 1914. § 57.

² ამის შესახებ ვერცაღ სხვაგან ნახეთ: ზმნის ფორმათა მეთაური სულხანს ორბელიანის ქართულ ლექსიკონში და ვახტანგ VI-ის თარგმანში: სულხან-საბა ორბელიანი (1658—1958). საიუბილეო კრებულები. თბილისი; -1959. გვ. 247—258). აქ კი საკითხს მოკლედ შევეხება.



კი დაფუძვას ხსნის. ასეთი მაგალითი ბევრია. მიმღობათა ნაცვლადაც სულხანი ხშირად ზმნის საწყისს მიმართავს; მაგ., წყაროშია **აღმატებულო, აღტყინებულო, განლივებულო** დაღრეყოლო; სულხანი იმარწმებს სათანადო აღ- გლეხებს, მაგრამ ხსნის მათ-მათ საწყისებს: **აღმატება, აღტყინება, განლივება, დაღრეყო** და მისთ.

უკანასკნელ შემთხვევაში სულხანი ზმნებს ისევე ექვეყა, როგორც სახელებს: ლექსიკონ- ში შეაქვს ძირეული ფორმა. ზმნათა ძირეული ფორმა კი მისთვის საყრდენია. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, როცა ამბობს:

შემოვადგევ — შემოვადგება გასწავლის;

შესხვია — შედებსასთან ნახე;

ჩავღვებოდი გლესასთან ნახეო და მისთ.

როცა ზმნა ნასახელარია, სულხანი ზოგჯერ სახელის ახსნით კმაყოფილდება:

მოღაფრება დაფლთან ნახე.

გამობუტყვის — ბუტყოსთან ნახე (ბუტ- კოს კი ასე ხსნის: „რა დაიფრავილოს და ხილი აღმოჩნდეს“).

წყაროში სულხანს **ცუნდრუკობდეს** შეხვედ- რია (40,8 ფსალმ.), ლექსიკონში კი **ცუნდრუ-** კი აუხსნია.

წყაროშია **ურჩულოვით** (2 შუკ. 4,16), ლექ- სიკონში კი ახსნილია **ურჩულო**.

თუ დღევანდელი თვალსაზრისით მივიღებ- ბით საკითხს, „ცუნდრუკობდეს“ ზმნა ლექსი- კონში **ცუნდრუკობა** ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი, ხოლო „ურჩულოვით“ — **ურჩულოვითა**, მაგრამ ესენი ნასახელარი ზმნებია და, თუ სახელის მნიშვნელობა ვიცით, მისგან ნაწარმოებები ზმნის მნიშვნელობაც გვე- ცოდინება. ამიტომ, რაკი ლექსიკონში მთავა- რია სიტყვის მნიშვნელობის დადგენა, ნასა- ზღვარ ზმნასთან რომ სათანადო ძირეულ სა- ხელზე მივუთითოთ და იქ სახელის მნიშვნე- ლობა სწორად ვუჩვენოთ, არსებითად ეს დააკ- მყოფილებს ლექსიკოგრაფიის მოთხოვნილებას და სულხანისთვის საყვედური მაინცა და მაინც არ გვეთქმის.

სიტყვათა ახსნის სულხანისეული ხერხის შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგ: სიტყვის მნიშვნელობის გამოსახატავად სულხანი ხშირად **იოთ-**ს დაურთავდა სათანადო სინონიმს; ამასთანა- ვეც ის აბრუნებდა არა მარტო სახელს, არამედ უდებურსა და ზმნის ფორმებსაც:

აქრძეა შეყრასავით.

ახილია ასწავლასავით.

ახწარდება აჩქარებასავით.

გაგა გამეცალსავით.

გააბა შეიპყრასავით.

გამოდებუდი გამოტანლიდვით.

გზის ჯერსავით.

ჯადრებ მოგახსენებსავით.

გმთ ღმერთი შეურაცხოსავით.

დაადუმა დაამუწეასავით. **დახვეა** დაფრწასავით.

წაგება დაკარგეასავით და მისთ. **წაგება** სახელებისა და ზმნების ახსნა სულხანს ხშირად პირიანი ფორმით აქვს მოყვანილი. პირიანი ფორმითავე მეთორეა, ან შესაშვ. მეო- რე პირის ფორმა ქართულში, როგორც ცნო- ბილია, გამოყენებულია უპირო ფორმათა გა- მოსახატავად, მაგ.: „რასაც დასთეს, იმას მოკ- შვი“, „როგორც გვიჩრდეს, ისე ვიღირდესო“ და მისთ. ამიტომ ეს მეორე პირის ფორმა (იმპერსონალური ფორმის გაგებით) გამოყენე- ბულია ზმნათა ფორმების ასახსნელად, ზოგ- ჯერ სახელებისთვისაც; მაგალითები:

გავღება არს, რა უსულო განაშორო, ხოლო **გაძება** — რა სულიერი განიშორო.

გავლება წყალში გააბრინო რამე.

კრვა, **ესე** არს, რადეკა რასაც მოახუდრო: **ისარი**, **თოფი**, **ქვა** და **რადეკა**.

ჩაჩრა ნაქურტეში რამ ჩასჯარო.

ცოდა, **ცი** და **არს**, **ცერი** და **სალოკი** თითო რა გასქიპო.

თუ მეორე პირის ფორმის ნაცვლად მესამეა გამოყენებული, ამ შემთხვევაში მისთან იგუ- ლისსებება განუსაზღვრელობის „ვიწმე“ ან „აკიო“:

აქირება საჩივარში მოდავეს ისეთი რამ უთხ- რას, თავისი საჩივარი გაუცუდოს (დაავწყოს).

პირება უცნობი კაცი დაითვისოს.

შედება არს, რადეკა სავემ თავს გამოიდგას, ანუ უაღრესს სიტყუა სიმაღაე ცხადად უთბრას.

შემოვადგება, **ესე** არს ქვემოდამ ზეით აღმოუ- გდოს რამე, გინა ძვირფასი იაფად იშოვნოს, გინა ცენენს გავასა ანაზად კაცი შეისვას, ანუ ღლიათა ყრმა ვინმე იტვირთოს და მის- თანაწა.

ჩატანა თან ჩაიდევნოს.

წაურა ცენენს ლაგმის პირიდამ შესხნა, გინა ცხოელი წინ წაირეკოს და მისდევდეს, გინა ტელი კამთელი და მისთანა განაზნოს, გინა მოქლონთა და ურდულთა წარზიდოს.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთ- მანეთს ენაცვლება მეორე პირის ფორმა და მესამისა. ეს უფრო სხვადასხვა რედაქციის ზელანწერებში გვხვდება.

ბოდოში, **ესე** არს, სტყვეით და საქციელით კაცი მორმადლო (მოიმიდლოს).

აღრის სიტყვით შეაქციოს (ვარიანტები: შეაქციო, შექცივა).

ასეთი ახსნის წესი შეიძლება დღესაც იქნეს გამოყენებული განმარტებითს თუ თარგმნილ ლექსიკონებში.

სულხანის ლექსიკონში შეცდომებიცაა, რე- მელთაც შეცნიერულ გამოცემაში გასწარება უნდა ან შენიშვნის დაბრუნე მაინც, მაგალითები: **ცვატანი** თავრიზიაო, **ამბობს** სულხანი. **არა**,

ეკატანის არის ბიზანტიური ბერძნულით გადა-
მოცემა სპარს. ეკატანისა, ანუ ეგატანისა,
რაც დღევანდელ სპარსულში ქამადანად გა-
მოითქმის.

შუპარაკი კელით წერილიყო, თათრულად
თამასუქი, ამბობს სულხანი (უნდა: შუპარაკი
და არა მეპარაკი).

ენიოტი შესახებ სულხანი ამბობს: ენიოტი
რომელმან ცხენი კეთილად განწურათას (კლუ-
მაქსი). მოსდევს ციბატი: „მაშინ გამოჩნდეს
ენიოტთა ქელოვნება, ოდეს გამოუცდილითა
ცხენითა სძლონ და ცხენნი იგი განაჩინენ“
სულხანი დასძენს: „მკედარი მგონია“—ო; ახს-
ნიდან ჩანს, რომ ენიოტი კი არ უნდა,
არამედ ენიოხი (ბერძნ. პენიოხოს), რაც მართ-
ლაც მხედარს ნიშნავს. შეედომო მომხდარა ხ
და ტ ასობედს მსგავსების გამო სულხანის მიერ
გამოყენებულ წყაროში, რომელიც ძველი ქარ-
თული ასოებით ყოფილა დაწერილი (სხუცუ-
რიოთ“).

განბორება კეთრის სნეულეზო, სწორად
აღნიშნავს ჩვენი ლექსიკოგრაფი, მაგრამ იქვე
დასძენს: „განბორება (განბორაკლება) იგივე
სნეულეზოა“. ცხადია, რომ უნდა **განბოკლება**
(და არა „განბორება“). ესეც უთუოდ წყაროს
ბრალია.

დალა ართრონია „ეიდუ“ სავით: დალაიძინა—
კიდუ დაიძინაო, დალაითრო — კიდუ დაით-
როო და მისთანანი. ცხადია, აქ ახსნილია და
და არა დალა. აქ და ზმნისწინია და ზმნას
კუთვნის. მოყვანილი ფორმები ასე დაიშლუ-
ბა: და-ლა-იძინა, და-ლა-ითრო. ამიტომ სავი-
როა, გუჯუთდეს შენიშვნა, რომ ასეთი მნიშე-
ნელობა აქვს და-ს (და არა და-ს).

ასეთი შენიშვნების წყალობით სულხან-საბას
ლექსიკონი სამაგიდო წიგნად დარჩება მომა-
ვალშიც.

როგორც ცნობილია, სულხან ორბელიანმა
თავის ლექსიკონში შეიტანა ისეთი სიტყვებიც,
რომლებიც ზრდილობიან საუბარში არ იხმარ-
ება. ასეთია ზოგი ანატომიური ტერმინი,
ფიზიოლოგიური მოთხოვნების გამოხატვე-
ლი სიტყვები და სხვ. ამას სულხანი ასაბუ-
თებდა იმ მოსაზრებით, რომ მისი ქართული
ლექსიკონი სრული უნდა ყოფილიყო და სწო-
რად შენიშნავდა: „ამა წიგნთა შინა არიან
სახელი კეთილი და ბოროტნი, საქმელნი
და საქვეებელნი. უხადონი და ცუდნი არა თუ
კიბევისათვის აღმიწერია, რათა საქირდლად
იპურათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღუ-
წერე: თუცა უხადო სახელი აღმოიკოსო,
მერმე-ლა უდარესი მოკლდეს უარესსა და
ღმერთი-ლა დარჩეს უკეთესი და სხვა არაა,
და შემტარდების ენა ქართულიო“. ეს ადგილი

დამიწმა ვუკოლ ბერიძემ თავის „სიტყვის-
კონაში“, რომელიც პეტერბურგში დაამუშავდა
1912 წელს, როდესაც დამატებულს დაემატა
ბნის გამოხული იყო ვ. დალის განთქმული
რუსული ენის ლექსიკონის მესამე, შეუწყრე-
ბულ-შეესებული გამოცემა ცნობილ ენათმეც-
ნიერის ი. ბოდუენ-დე-კურტენის რედაქციით.
ბოდუენის დანამატებ მასალაში ურგავა ისე-
თი სიტყვებიც, რომელთა ხმარება ლიტერატუ-
რასა და ზრდილობიან საუბარში სათაკილოა.
ამის გამო რედაქტორს ბერიძე აუხარდა: ამ
უცხოელმა¹ წმინდა რუსული ენა შეგვირყენაო.
საქვარი იყო ასეთი პირების წინააღმდეგ კარგი
პასუხის გაცემა ბოდუენმა ვიან ვიან, რომ
ორასი წლით ადრე აგრევე მოქცეულა ქარ-
თული ლექსიკონის შედგენისას სულხან ორბე-
ლიანი და ვუკოლ ბერიძისათვის უთქვამს:
თურმე ჩემ მიერ მიღებულ წესს ქართული
ლექსიკოგრაფიკი კი იცავდა 200 წლის წინეთო.
აფსუს, რომ დროზე არ ვიცოდე ეს, თორემ
ჩემი კრიტიკოსების წინააღმდეგ უთუოდ და-
ვიმოწმებდიო.

სულხან ორბელიანს, ბერომაში საბას, კარ-
გად ესმოდა თავისი ლექსიკონის ღირსება და
თავისი დამატებება სამშობლოს წინაშე. იგი
დაცინვის კილოთი წერს ზოგიერთ მისი დროის
კრიტიკოსზე: „ვიცი, მრავალნი საბასობულად
დასდებენ ნაშრომთა ამათ ჩემთა. მათ, თუცა
წერილი უყუარან, მრავალნი სხუანი წე-
რილი არიან, საღმრთონი და საერონი, და
რომელიც ენებოსთ, იგი იკითხონ, ზოლო ესე
ჩემებარ უცუბი სათვის აღიწერა და
დაუტერონო“.

უნდა განავცხადოთ, რომ სულხან ორბელი-
ანის ლექსიკონი უარესად დიდი მოკლეაა ქარ-
თული ელტერის ისტორიაში. ლექსიკონი საე-
მთო მოცულობისა; შავ მოკლედ, მაგრამ სავ-
სებით. ვასაგებად არის განმარტებული მრავა-
ლი სიტყვა, ამოკრებილი სალიტერატურო ძეგ-
ლებიდან და სასაუბრო ენიდან.

დღი სულხანის ლექსიკონს ჯერაც არ დაუ-
კარგავს თავისი მნიშვნელობა. იგი დღესაც
მისაძახა მრავალმხრივ.

ჩვენი მოთვალეობაა, სათანადოდ გამოვსცეთ
იგი.

¹ Толковый словарь живого велико-
русского языка В. Д а л я. Третье, исправ-
ленное и значительно дополненное, изда-
ние под редакцией И. А. Бодуэна-де-Кур-
тена, 1903—1909.

² ბოდუენ-დე-კურტენე პოლონელი იყო,
მაგრამ მისი წინაპრები ფრანგები უნდა ფო-
ფილიყენენ.



სულხან-საბა ორბელიანის ღმრთობის თაობაზე

სულხან-საბა ორბელიანი სრულიად სამართლიანად ითვლება ქართული მხატვრული პროზის ხელოვნ ოსტატად, რომელმაც დაეთო გურამიშვილთან ერთად დამკვიდრა ახალი ქართული სალიტერატურო ენა. ამავე დროს მისი სახელით ცნობილი იყო რამდენიმე ლექსიც. როგორც უკანასკნელი დროის კვლევებით გამოიკრევა, სულხან-საბა ორბელიანს დიდი ამაგი ჰქონია გაწეული ქართული პროზოდის წინაშეც. ეს გარემოება ცხადი შეიქნა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა ქილილა და დამანას ორბელიანისეული ავტოგრაფული ტექსტი.

ქილილა და დამანა იგავ-არაეული ენარის შედევრია მსოფლიო შერლობაში. განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული ქილილა და დამანას ის რედაქცია, რომელსაც ანეარის სოპილი ეწოდება და ეყუთვნის ვიზჰაშიფის კალამს (გარდაიეცაო 1505 წელს). ჰაშიფის ქილილა და დამანა ძირითადად პროზაული ნაწარმოებია, ოღონდ პროზაულ ტექსტში ბლომადაა ჩართული სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა შინაარსის ლექსები. ლექსებში ჩვეულებრივად განზოგადებულია და პოეტური ფორმით მოკლედ გადმოეცემა ის აზრები, რაც უფრო ვრცლად არის გაშლილი თხზულების პროზოის ნაწილში. ლექსები ქილილა და დამანას სამკულებია, რაც ენარობრივად სვეციფიკერ ხასიათს აქლეს ამ ჰეგლს და მხატვრულად ამშვეენებს. ანეარის სოპილის პირველ ქართულ თარგმანში ლექსები მხოლოდ ნაწილობრივ იყო გადმოღებული და ისაც უნეაროდ. ამიტომაც ეს თარგმანი დაიწუნა და უარყო კარგი მხატვრული გემოვნების პატრონმა ვახტანგმა, რომელმაც ქირმანში ტყეეობის დროს, 1714—1716 წლების განმავლობაში, თვითონ საეუთრად ხელახლად გადმოთარგმნა ქართულ ენაზე აღმოსავლური სიბრძნის შემეცელი ეს შესანიშნავი კრებული. ვახტანგის ტექსტი წარმოადგენს დიდი გულმოდგინებითა და ცოდნით შესრულებულ დედნის ზედმიწეენის ზუსტ თარგმანს. მთარგმნელი ერთიანარის პასუხისმგებლობით მოპყრობია პროზასაც და ლექსებსაც. სიზუსტის დასაცავად მას სიტყვა-სიტყვით და სტრიქონ-სტრიქონ პროზაულად გადმოუღია სპარსული ტექსტი. ვახტანგს მოუეია ქილილა და დამანას

ნას სპარსული ლექსების, ასე ეოქვით, პწკარე დი თარგმანი. თარგმანის დამთავრების შემდეგ იგი შესდგომია პწკარედის ლექსად გაწეობის, მაგრამ ამ საქმის გასრულება ეერ მოუსწრია. 1716 წლადან ვახტანგი კლავ პოლიტიკურ მოღვაწეობას დაუბრუნდა, ქილილა და დამანა მას გაუჩაღბავი და გაუწეობელი დარჩა. ტექსტის გაწეობა მთარგმნელს დაუეალებია ონანა მდიენისათვის, ონანას, როგორც მოხელე პოეტს, ეუთლისინტი-სიერად გაუწევია ვახტანგის პწკარედი ტექსტები (პროზისათვის ხელი არ უხლია). აღსანიშნავია, რომ ვახტანგს თავიდანვე განზრახული ჰქონია თვისი პწკარედის დამუშავება „სპარსული ლექსის ევალად“. ონანა მდიენი შეენიშნავს: „სპარსულის ლექსის რივი არ ეიცოდითო“, მას ტექსტი ერთფეროენად დაუღექსავს. როგორც კი სულხან-საბა ევროპიდან დაბრუნებულია, ვახტანგს ახლა იმისთვის მიუშართავს თხოენი: „ეს ჩემი ჰირნახული ვახტანგე გემოენად, და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრევე ქართულად ლექსები ჩართეო“, სულხან-საბა ორბელიანს მართლაც „გემოენად“, ძირიან-ფესვიანად გადაუმუშავებია მთელი თხზულება, საფუძვლიანად გაუჩაღბავს პროზა და თავისეულად გაუწევია ლექსი. ქილილა და დამანას ლექსითს ნაწილი სულხან-საბა ორბელიანს ჩაუქსოეებია დიდი პოეტური ნიჭი და სამავალითო შემოქმედებით ენერგია. მას პწკარედი თავიდან ბოლომდის გაუწევია არა „სპარსული რივის“, არამედ შობლიური, „ქართული რივის“ მიხედვით.

სულხან-საბა ორბელიანს ზოგჯერ ეეცეულად დაუტოებია დედნის ლექსების ტეპობრივი მოცულობა, ზოგჯერ დაურღვევია ეს მოცულობა; დედანთან შედარებით ტეპების რიცხვი ხან გაუზრდია, ხან შეუმეირებია. მთავარი ისაა, რომ მას საფუძვლიანად გადაუმუშავებია პწკარედების შინაარსობლივ-არობლივი მხარე (რომ არაფერი ეთქვით ფორმის გამშვენებაზე). სანიმეოდ შეიძლება მოეეყენით ერიო ორტეპოენი ლექსის პარალელური ტექსტები:

შეს ამ სიმადლით
ერთი პატარა ღრუბელი დაფარავს.
(ვახტანგის პწკარედი).

დიდსა, მაღალსა, ნათელსა მზესა
მცირე ღრუბელი შეუცვლის ზნესა.

(საბა).

საილესტრაციო ნაწევრით სულხან-საბა თუმცა სავსებით იცავს დედნის ტაეპობრივ მოცულობას და ძირითადად ტექსტის შინაარსის ფარგლებში რჩება, აღწევს განმარტებულ მხატვრულ ეფექტს. თუ დედნის მიხედვით, „ერთი პატარა ღრუბელი“ და ფარავს მაღლად მყოფ მზეს, საბაში „მცირე ღრუბელი“ სრულად „შეუცვლის ზნეს“ დიდსა, მაღალსა, ნათელსა მზესა. ჯერ ერთი, სიტყვების ოსტატური შერჩევითა და დალაგებით, დედნისათვის უცნობი, ახალი და ზუსტი ეპითეტების მოხმობით ქართულში პოეტურად ხაზგასმულია მზის სიდიადე (აღიღსა, მაღალსა, ნათელსა მზესა*). ამასთან, მხატვრული ენით დასაბუთებულია, რომ ამ დიდ, მაღალსა და ნათელ მზეს ერთი პატარა ღრუბელიც კი „შეუცვლის ზნესა“, გარდაქმნის მის ძალას. კონტრასტის მომენტი მშვენიერად არის ქართულში დაჭერილი და გაშლილი. საველისძმობა, რომ ქერქობითი ხასიათის ფაქტი სულხან-საბა ორბელიანს, განუზოგადებია და შესანიშნავი აფორიზმის სახით ჩამოუყალიბებია (განზოგადებისა და აფორისტულიაქენ შიღრეილება სულხან-საბა ორბელიანის ტექსტებს საერთოდ ახასიათებს). ერთი სიტყვით, დედნის ტაეპობრივი შესატყვისობის დაცვითა და შინაარსობლივი მხარის დაუზიანებლად სულხან-საბა ორბელიანს შეუქმნია არსებითად ორგინალური, საუცხოო პოეტური ნაწევრები. ქილილა და დამანას საბასეული რედაქციის ამ ბრწყინვალე აფორიზმს თავისი მხატვრული მიზნებისათვის იყენებდა ილია ჭავჭავაძე.

ქილილა და დამანას ვახტანგისეულ პქარედ-ში ერთგან ოთხტაეპოვანი ლექსით გამოთქმულია წუთისოფლის სამღერაევი:

ხაზინა საბელმწიფო მისცა უგუნერს,
და მეცნაერთ ნახევარს პურს ანატრებს;
უგვანთ მცოდნეს კაცს ზეით დასეამს,
მეინობლობით მეცნაერთ კარში ვზას არ მისცემს.

ეს ტექსტი სულხან-საბას გაუწყვია ერთი სრული (ოთხტაეპოვანი) შირისი ლექსით:

უშეყართ მისცა დიადი, ბრძენთა ინატრა პურია,
უგვანნი ზეით თავს დასხნა, ქველთ არ მიუპყრა ვურია;
ლომს ჰაბუქს ავი შეუღლე, ცუღს მისცა მოსასურია.
სოფლისგან ნურა გიკვირს რა, ეს ასრე საცნურია!

სულხან-საბა ორბელიანი ემყარება სოფლის სამღერაეის დედნისეულ იდეას და მას თავი-

სებურად ამუშავებს, შემოაქვს ახალი სიტყვიერი მასალა და ახალი სახეებრივ გზავნილებს სობლივი მოტივები. მაგალითად, სულხან-საბა წუთისოფელს იმასაც უსაყვედურებს, რომ „ლომს ჰაბუქს ავი შეუღლე, ცუღს მისცა მოსასურია“. ეს მოტივი დედნისთვის უცნობია. სოფლის სამღერაეის განმარტებელი ლექსი სულხან-საბას შეუტარავს განმარტებელი შვეკონებით (რასაც აგრეთვე ადგილი არ აქვს დედანში):

სოფლიდან ნურა გიკვირს რა, ეს ასრე საცნურია!

ახალი სიტყვიერი მასალა და ახალი შინაარსობლივი მოტივები სულხან-საბა ორბელიანს შემოაქვს, ცხადია, ძველი მისაღის შემქმნელებისა და ეკონომიურად გამოყენების ხარჯზე.

ეტყობა, სოფლის სამღერაეის თემა ესაღბუნებოდა მწერლის გუნება-განწყობილებას ქილილა და დამანაზე მუშაობის დროს. ამტომაც ეს წვეულებრივად ამბავებს და აძლიერებს სოფლის საყვედურის მოტივებს. ერთგან დედანში სოფელი შედარებულია უსირცხვილო დედაკაცთან. საბას მოსწონებია ეს შედარება მას უსარგებლნია შემთხვევით და თავის მხრითაც ძლიერი პოეტური სიტყვით დაუზოგავად უმხელია როსკიანი დედაკაცივით უზნეო და მიუნდობელი წუთისოფელი:

ურცხვია ესე სოფელი, ვითა როსკიანი დედანი:
ყოველსა ქმარსა მის გამო ეწოდებოდა მცვედანი;
ბაგე მიუპურის შექრისა, სასხვისოდ შესკვნის მედანი,
მისი ტრფიალი არ დარჩა, არ გაემრუღდა ბედანი!

აქ აღებულია დედნის მხოლოდ მოტივი. სხვა მხრივ ტექსტი თავისთვლად არის გააზრებული. მოყვანილ შირთან შედარებით უსაბურთო მისი პქარედი დედანი:

უსირცხვილო დედაკაცია ეს სოფელი,
რომ მიღღემი არამ ქმარმა მისგან მოსავალი ვერა სქამა;

ვინც მისს ტახტის საფეხურზე ფეხი დასდგა,
როდის იქნა, რომ მისი ხელისაგან ხმალი თავზე არ დავსო?

სულხან-საბა ორბელიანი ზოგჯერ თუმცა იცავს დედნის მიმართ ფორმალურ ტაეპობრივ შესატყვისობას, სამაგიეროდ, შინაარსობლივად და აზრობლივად ტექსტს აძლევს სხვაგვარ ხასიათს, ახალი სიტყვების ძალას უნერგავს მას, მსკველავს ახალი პოეტური სულოთ. სანამუშოდ მოვიყვანთ ორ მაგალითს:

მორეგია ერთი ზღვასავითა,

ერთი ზღვა არის, რომ უთავბოლო.
 (პყკარედო).
 მორვეი იგი ზღვათა ჰკავს მართოდენ სივრცე-
 სივრძისა,
 თევზთა სიმრავლე მსუქანნი, ნაწყოვნი
 გვანან თხის რძისა.
 (საბა).
 სიტყვის მცოდნე გაფიქრვით იტყვის
 სიტყვას,
 რა უფიქროდ ითქმის სიტყვა, უთაო არი.
 (პყკარედო).
 სიტყვისა მოქმელი სიტყვის სწხრეკს, სიტყვისა
 ძალი აქვს თუ რისა,
 გაუსინჯავესა სიტყვისა ჩხველილი სჯობან
 ტურისა
 (საბა).

უკომენტაროდაც ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს სულხან-საბა ორბელიანის დამოუკიდებელი შთანფიქრის ნაყოფთან. ორივე შემთხვევაში გააღქმავს აუმოქმედებია თავისი ლალი შემოქმედებითი ფანტაზია. საბას მეორე ლექსის მეორე ტაეპი აფორისტულია. მრავალზე მრავალ შემთხვევაში სულხან-საბა ორბელიანი არღვევს (ავრცელებს ან ამცირებს) დედნის ლექსების ტაეპობრივ შესატყვისობას და შესაფერისადაც ათავისებურებს ტექსტის შინაარსსა და მხატვრულ აქსესუარს. ვახტანგის თარგმანით გვაქვს ორტაეპოვანი პყკარედო:

ვინც ღრუბელსავით რომ სტირის,
 ყოველთვის უსწოროს მხანავისაგან არის.
 ორტაეპოვანი პყკარედის ტექსტი საბას გა-
 ნურტყია ოთხტაეპოვანი შაირის ლექსად, ში-
 ნაარსობლივად გადაუსხვაფერებია, შემოურტა-
 ნია ახალი მოტივი (ენით დაკოდება), მასალა
 თავისებურად გაუაზრებია და ბოლოს ერთი
 მოხდენილი აფორიზმიც გამოუყვითა. დედნი-
 საგან განსხვავებით, საბას ლექსის. პათოსია
 ენით დაკოდისობის სიმწარისა და უყურნე-
 ლობის ზაზგასმა (ეს მოტივი ქილილა და და-
 მანაში სხვაგანაც გვხვდება). ენით დაკოდისო-
 ბის სიმწარის აღნიშვნა შემთხვევითი არ არის.
 პირად ცხოვრებაში საბამ ბევრჯერ იწენია
 მისი შხამი. ამიტომაც უსვაშს მწერალი ამ გა-
 რკობებს ზაზს ასე დაბეჯითებით:
 კაცსა ღრუბელურად შტიარლსა, ზედი-ზედ
 ცრემლ-მდინარესა,
 მუხთლან მოყვსითა სტყვიან, უცია გულის
 არესა;
 თუ ენით დაკოდს, ვით ჰურნებს, ქვისას
 აღებდეს ვარესა!
 ენაა ლუგო მახვილი, სჯობს
 ბასრსა გამკვეთარესა.
 ერთ-ერთი იგავ-არაკის სიუყეტის განვითა-
 რებასთან დაკავშირებით ქილილა და დამანაში
 შეგონების წესით აღნიშნულია:

ნაღველი, კენესა და ჰირი ნუშა გაქვს,
 რომ გულის მომსვენებელი და სულის...
 მოსაწყინარის ნაღვლის მომწირებელი წარ
 (პყკარედო).

ეს ტექსტი საბას გაუწვევია მშვენიერი შაი-
 რის სახით:
 მოწყენა, სულთქმა ნაღველი ოდენ ნუშა
 გაქვს ურვანი,
 რად დაღრეჯილ ხარ, რა გიმძიმს, სენი
 შეიდი გვირს, თუ რვანი?
 შენით ხარობენ იგიცა, ვის აქვან ცრემლი
 ცურვანი,
 შენ შეგნატრიან ყოველნი, არსად მასნი
 მღურვანი!
 ქილილა და დამანა ამხელს მოყვარე-მტრის
 მუხანათობის საშიშროებას:

ჩემის მტრისაგან ისე არ მეშინიან, რომ
 მტრის მოყვარისაგან და მოყვრის მტრისაგან.
 (პყკარედო).
 ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად
 მაწყინარობს,
 მოყვარესა მტრესა ეუფრობი, შემოყვრება,
 მოციინარობს...
 მოყვრის მტერი არ მაძინებს, არცა თვითან
 მოძინარობს,
 გული ზემო რასა ლამის, რად არ ჩქარობს,
 რადმცა წყნარობს?!
 (საბა).

სულხან-საბა ორბელიანმა საყეთარი გამოც-
 დილებით იცოდა როგორც ენით დაკოდისო-
 ბის სიმწარე, ისე შენობული მოყვარე-მტრე-
 ბის გაიქვერული საკმინაობის მთელი სისი-
 ძაგლე- გვიანფოდალური საქართველოს ში-
 ნავანი აშლილობისა და შინაგანი განხეთქილე-
 ბის პირობები დიდ ვასაქანს აძლიედა ყოვე-
 ლი ჯურის ნაძირალებსა და ზნეწამლარ მედ-
 როყვეებს. საბამ საუცხოოდ გამოიყენა შემთ-
 ხვევა, რომ პოეტური სიტყვით გამოვტა-
 თავისი ღრმა გულისწყრომა საზიზღარი მოყ-
 ვარე-მტრების მიმართ.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ქილილა და
 დამანას შემდეგი ნაწვეტი:
 რაც ძირიანი შტა შენგან ამაღლებულა,
 ნუ და(ა)მსხვრევე შენის ხელით, რომ შენი
 გატება არის. (პყკარედო)
 ამ ორტაეპოვანი პყკარედოდან საბას შეუ-
 ქმნია ტექნიკურად საუცხოოდ გამართული,
 უნაყოლო მაჯამური შაირის ლექსი:
 რა ნერგი დარგო მოქმედმა, შენით
 ამაღლდეს, იბაროს,
 ნაყოფი მოგცეს ყეთილი, მდილით არიდეს
 იბაროს,
 რტოთ მოსატებად შენგანვე მოზიდვით
 ნუშა იბაროს,

მშენებელი მაოხრე ხნარცხა შთაჲარდეს,
იხაროს!

ტაემობრივი შესატყვისობის დარღვევასა და ტექსტის გაურკობის კიდევ ერთი საგულისხმო მაგალითი. ქილილა და დამანას ერთ-ერთი პერსონაჲი თავის ქალაქს ტოვებს და სამგზავროდ მიდის, გამგზავრების წინ ის მელანქოლიკურად ამბობს:

ჩემის ქალაქისაგან მოწყყენია და მგზავრობის
ნდომა მიქვს,
შენი ნაღვლის მუტი, არ ეიცო, რა სარკებელი
წავიღო.

(მწყარედი)

მოვშორდი, სამკვიდრებელი, ვირჩიე
მგზავრობა რიგია,
ველარ დაღვებო, წაცაეალ, საღ მივაღ,
ვერ გამიგია:
კმუნენანი ნუზლად შემიკრავს, ურვა
საგებლად მიგია,
სულთქმის მახელსა ლესულსა, ვლახ, ველი
ზედ ამიგია.

(საბა).

მგზავრობის მიზეზად დედანი ასახელებს უბრალო მოწყენილობას. საბას განზე დაუტოვებია ეს შაბლონური მოტივი, საკითხი კონკრეტულ ნივთიერებად გადაუტანია. ამასთან ზოგადად ქალაქი შეუცვლია სამკვიდრებელით (სამკვიდრებელი ნიშნავს სამშობლოს). უკვე სიტყვათა ამგვარი შენაცვლებით შექმნილია ეფემერული სიტუაცია. სამკვიდროს დატოვება და უცხოეთში გამგზავრება გამოუწყვევია არა უბრალო მოწყენილობას, არამედ რაღაც მძიმე ექსტრემიზმს ვარაუდობს, რაც თავის მხრით მჭიდრო კავშირს წყარო გამძღარა. უცხოეთისაკენ მიმავალ მგზავრს სამშობლოდან ნუზლად წაღვლია კმუნენანი, საგებლად ურვანი. მას აფორიაქებული სქონია სულად გრძნობა, ისიც კი არ სცოდნია, თუ სად მიიღვდა, რა გზას უნდა დადგომოდა, სად უნდა მოექმენა ნეთსაყუდარია. უბედურ მგზავრს ისლა დარჩენოდა, რომ სულთქმის წამახულ მახელზე წამოიგვო საკუთარი გული...

ამჲარაა, რომ სულხან-საბა ორბელიანს ძირიან-ფესვიანად გარდაუქმნია დედნის შინაარსიცა და გაზრებაც, თავის ლექსში ქართულ მწყარალს ორიგინალურად ჩაუქსოვია სამშობლოს ღრმა სიუყარულის სპეტაკი გრძნობა. ყურადღებას იქცევს ამ იშვიათი პოეტური ნაწყვეტის უშუალო ლირიზმი. ყველაფრიდან ჩანს, რომ სულხან-საბამ საკუთარი კმუნენარება, საკუთარი გულისტყვივილი გავგანდო. სამ-

შობლოდან გარდახეწილი მგზავრი თავიონ სულხან-საბა ორბელიანი. სამშობლოს უკნაროდ სამსახურისათვის მან მართლდევ ეფემერატარა კმუნენის საგზალი დე ურვანდეს ქაჯივულსაბას ბევრი ნაღველიც უსვამს და ოხერის მახელითაც ხშირად უგმირავს თავისი კეთილშობილური გული.

სულხან-საბა ორბელიანს კარგად ეხერბებოდა სხვაგვარი გრძნობებისა და სხვაგვარი, თითქოს მისი ასავისა და მდგომარეობისათვის შეუფერებელი, განწყობილების გამოხატვა, ამ მხრით საყურადღებოა შემდეგი მაგალითი:

შენ, ეგზომ ტურთა და კეღეცო, საიღამ
მოსულხარ?

დაჯექ, რომ ჩენეთის მოსულხარ!

(მწყარედი)

ენ ხარ, სით მოხვალ, რა გინდა, ეგზომ
ტურთა და მწყახარ?

შენ გაანათლე ქალაქი, ჩვენი შუკა და
ბახარი;

ენიცა შენ გიკვრეტს, ელხინოს, რაც სქირან
სულთ შესახარი.

დაჯექ და გვეურნე მურნალად, ეთ
სამსალასა ფახარი.

(საბა).

საიღუსტრაციო ტექსტების შედარება ცხადყოფს, რომ საბას გრძნობიერად ვაღმოუცია სატრფილია განწყობილებანი. შინაარსობლივად და აზრობლივად საბას ლექსი შორს იტოვებს თავის დედანს. ქართულ პოეტს გაუფართოებია, გაუფრცო და გაულრმავებია პწყარდის მოტივი. ნაწილშოთა საბას ლექსი თავისი ფორმით. ეფემერული პირველი ტაემის მხატვრული პარალელუზმი („ენი ხარ? სით მახვალ? რა გინდა?“), პირველი და მეორე ტაემების მხატვრული ჩამოთვლა-განმეორებანი (ტურთა, მწყახარი: ქალაქი, შუკა, ბახარი), მეოთხე ტაემის სიტყვათა იშვიათი შეწყობა („გვეურნე მურნალად“). კარგია იქვე გამოყენებული შედარების ბერძნი. უნდა აღინიშნოს, რომ შინაარსის მთელი მხატვრული კონსტრუქცია შთაგონებულია რუსთაველის მიერ, განსაკუთრებით გამოსაყოფია მეორე და მეოთხე ტაემები. მეორე ტაემის („შენ გაანათლე ქალაქი, ჩვენი შუკა და ბახარი“) შთაგონებული წყაროა რუსთაველის სტრიქონები (478,1; 480,2):

ჩემთა მკვრეტელთა მოცევა ქალაქი,
შუკა და ბანი,
სრულად ნათლითა აეცეს სახელი,
შუკა და უბანი.

საკეიფიერად რუსთაველური ყაიღისაა „გვეურნე მურნალად“. რუსთაველის კეთილსმყოფელი ზემოქმედება საერთოდ მძლეობად აქვს აღბეჭდილი ქილილა და დამანას საბასეული ლექსების დიდ ნაწილს.

† პირველი იხაროს ნიშნავს გიხაროს, მეორე — არ დაიბრავს, არ დაიკამოს, მესამე — არ დაიხაროს (ქარს), მეოთხე — ხაროში (ორმოში, ხნარცხვი) ჩავარდეს.

შინაარსითა და განწყობილებებით განხილუ-
ლი ნაწყვეტის ანალიტიკურად:

წავიდა საყვარელი და მისის შოგონების
ნდომა გულში დამრჩა,
აღვის ხესავით იმის ტანადობის საყვარელით
ფეხი ტალახში დამრჩა
(პწყარველი)

მომშორდა საყვარელია, ვაჱ!, შოგონება
ძნელია!
მისთვის მაქვს თვალი სველია, ჩემთვის
ნათელი ბნელია;
საროს სურვილსა ველია, ვინ სცავს, არ
ვიცი, მცველია;
ვით იგ არა ვარ მსვლელია, უყუთა ქვე
გამწრელია.
(საბა)

მოყვანილი ლექსი შრავალმხრივ არის საყუ-
რადღებო. საბეს საუცხოოდ გადმოცემა სატრ-
ფოს გავრით გამოწვეული მწვავე სულერი
ვანდები (პწყარველის ტექსტი უნიათია). ლექ-
სის ფორმაა რეჟული, ე. ი. ლექსი რვა-
ტაქტოვანია. დედანში (საბას ავტოგრაფში)
ტექსტი გაწყობილია ოთხ-ოთხ ტაქტოვან
წყვილ ლექსებად. შეიძლება ლექსს
ასეთი სახეც მივიცეს ბეჭდურად:

მომშორდა საყვარელია,
ვაი, შოგონება ძნელია!
მისთვის მაქვს თვალი სველია,
ჩემთვის ნათელი ბნელია;
საროს სურვილსა ველია,
ვინ სცავს, არ ვიცი, მცველია;
ვით იგ არა ვარ მსვლელია,
უყუთა ქვე გამწრელია.

ამ სახით კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება
ლექსის ფორმის სპეციფიკურობა. მაინცდა-
მაინც რეჟული რვატაქტოვანი (ან ოთხ-
წყვილტაქტოვანი) ლექსია. რეჟულის ლექსი ეწ-
ვობა ერთიან რითმზე (aaaaaaa). თუ ტექსტს
ოთხ სტრიქონად დავაღვებთ, მაშინ მივიღებთ
ოთხ გარეგნულ (კატრენულ) რითმას და რვა
შინაგან რითმას. ქილილა და დამანაში გეგე-
ლება ათ და თექვსმეტმარცვლოვანი რეჟულია.
ბი. თექვსმეტმარცვლოვანი რეჟული, ოთხ-
ველია, უფროდ რვა სტრიქონად უნდა გაიწ-
ყოს, 10-მარცვლოვანი რეჟული კი შესაძლებე-
ლია დალაგდეს ოთხწყვილად, 20-მარცვლოვანი
ტაქტებად.

რეჟული თავისებური ლექსია კომპოზი-
ციურად, მას თავისებური აქ-ს რიტმი და
რიტმა. მეტრის ფორმალური ნიშნის, ე. ი. მარ-
ცვლითა რაოდენობის მიხედვით, რეჟული შეი-
ძლება იყოს სხვადასხვა ხასიათისა, ქილილა და
დამანაში გამოყენებულია რვა-მარცვლოვანი,
ათმარცვლოვანი და თექვსმეტმარცვლოვანი
საზომები. მათსადაამე, არსებობდა საბას რეჟ-

ლის მეტრული საფუძველია შაირი და ჩაბრე-
ხელი. კლასიკური ლექსოწყობის ნივთიერ-
საბას შედექმნია ორიგინალური კონსტრუქციის
სალექსო ფორმა. რეჟული არის სულხან-
საბა ორბელიანის მიერ შემოღებული ქართუ-
ლი ლექსის საინტერესო სახეობა, რომელიც
თავის დროზე ფართოდ გავრცელდა.

ქილილა და დამანაში გვაქვს ლექსით წარ-
მოდგენილი რამდენიმე ძალიან მოხდენილი და
მხვედგონიერული მინიატურული იგავ-არაიკი.
იგავ-არაიკები ვახტანგს პწყარველად ზუსტად
უთარგმნია, ხოლო სულხან-საბა ორბელიანს
ბრწყინვალედ გაუწვია. ერთი ასეთი იგავ-
არაიკი დედანში ლექსში და კოზაკი. ამ
იგავ-არაიკის ტექსტი ვახტანგს ორი რედაქცი-
ით აქვს ნათარგმნი. პირველი რედაქციაა ლექ-
სადია, მეორე პროზაული პწყარველია (და დე-
დანთან უფრო ახლოსაა). ვაჭვეყნებთ ორივე
რედაქციის ტექსტებს:

დალაღულობით საწყალმა კოზაკმა უთხრა:
დედო,

აწ შოვისენით ცოტა რამ, შევსწუბდი
ამაზედო.

გასცა პასუხი დედამან: უგბილო საქმით, ბედ
ო,

სუვრეტ ზომ, ავშარას სხვა მისწვეს, საპალნე
მაქვს ზედო.

(პირველი რედაქცია)

აქლემის კოზაკმა დედას უთხრა:
ამთომს რომ მიხვალ, პატარა დაიკაო.

უთხრა: თუცა ჩემს ზელთ იყოს ავშარა,
ვერავინ ვერა მნახევედა მე უთარში

საპალნეს ქვეშ.

(მეორე რედაქცია)

ეს იგავ-არაიკი საბას გაუწვია ოსტატურად,
ოღონდ ისე, რომ დედნის შინაარსობლივი:
ფარგალი ამ შემთხვევაში არ გადაუღახავს.
საბას ლექსი რეჟულია:

კოზაკმა უთხრა დედასა,
სიტყვასა ვერცევი უბედსა,
დაა დამრჩომა მედსა,
მოცდა ჰუაფ მაგა ქედსა!
მან უთხრა: ვაჱ შენს ბედსა,
მიმბევერ ავშარის მედსა,
ვინ ზარუნავს ჩემს წარწყმედსა,
ტვირთი მამშინობს გვერდსა.

თავის შეხედულებისდა მიხედვით, სულხან-
საბა ორბელიანი ვახტანგისეული თარგმანის
ტექსტს ზღუჯერ ამოკლებს. ამისი საუკეთესო
მაგალითია მეორე მიხიბარტული, 12-ტაქტოვანი
იგავ-არაიკი „უკულო ვირო“. ეს იგავ-არაიკი
საბას გადმოცემული აქვს ოთხტაქტოვანი ში-
არის ლექსით, ე. ი. ფორმალური მოცულობის
მხრით ტექსტი ორი მესამედით შეუმცირებია.
მაგრამ შემცირების ოპერაცია შეწარალს ჩუ-

1 დედანში: ვაი.

ტარებია რაღაც არაჩვეულებრივი მხატვრული ტაქტიკა და ზომიერებით. ტექსტიდან ამოდებულა მხოლოდ ზედმეტი სიტყვები, განმეორებანი, ტავტოლოგიური გამოთქმები. იჯავ-არაყის მთელი შინაარსი, მხატვრული სხეულები, იდეა და მორალური შევანება უზადოდ არის შენარჩუნებული, შენარჩუნებული კი არა, უფრო მკაფიოდ გამოკეთილი და ხაზგასმული. „უკულო ვირი“ სამაგალითო ნიმუშია სიტყვიერი ეკონომიისა და ლაკონიური სტილის მაქსიმალურად გამოყენებისა მხატვრული ტექსტის თარგმნის პრაქტიკაში.

აი, ამ იჯავ-არაყის ტექსტიც:
 უოფლა ვირი ერთი, კუდი არა ჰქონია;
 მას უქედობის ჯაერი და ნაღველი ერთს
 დღეს მოემატა,
 კუდის საშოვრად ქვეყანაზედ იარებოდა და
 ფეხით ცდილობდა:
 კუდის შოვნას ცდილობდა და სიტყვას
 არას უხმობდა.
 ანაზღად უნდომლად, უწადილოდ მისი გზა
 შეხედა ერთს ოჯახში და უნდომლად
 შევიდა;
 მეველემ ანაზღად შორიდან დინახა,
 ფიცხლად მოუხდა და ორივე ყურები და
 (ა)ქრა.
 საბრალო სახედარმა თავის კუდის წდომას
 ვერც კუდი იშოვნა და ორივე ყურები ზედ
 დააღვა-
 რამანც კაცმან სახლგარს გარეთ ფეხი
 დადგა;
 შეიტყუე: ბოლოს ეს არი მისი სანაცვლო.
 (ვახტანგის პეკარედი)
 უკულო ვირი კუდისა საქებრად იარებოდა,
 ყანასა რასმე შევიდა, სადაცა მცველი
 დგებოდა;
 მეველემ ყურნი დაკვეთნა, არა თუ კუდი
 რგებოდა.
 სახლერისა გარდამავალსა მის მტეი რა
 ერგებოდა!

(საბას რედაქცია)

დასასრულ, უნდა მოვიყვანოთ კიდევ ერთი, შედარებით მორბადილი პარალელური ტექსტი, ამ ტექსტს დამოუკიდებელი ნაწევრების ხასიათი აქვს და შინაარსის მიხედვით შეიძლება პირობითად შევარქვათ მას ქალღ. ტექსტი ნათარგმნია ვახტანგის მიერ ჩვეულებისამებრ სიტყვა-სიტყვითი სიზუსტით. სულხან-საბა ორბელიანი კი ამ ნაწევრის პოეტურად დამუშავებით ცხადყო, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, დიდი ნოვატორობა და სამაგალითო შემოქმედებითი ნიჭი.

კარგი ღედაკაცი, სიტყვის გამგონი და
 კარგვენება
 ღარიბ კაცს გაამდიდრებს,
 თუცა დღედღამე ნაღველსა სჯამ,
 ნაღველს ნუ სჯამ,

რადგან ნაღველის მაქარვებელი ღამით უნეს
 გვარავს.
 თუცა კარგველია და კარგვენი
 მის სილამაზესა და აუთელანაზრავს
 ქალი ივანელი თუ ვინდა კაცურცი იყოს,
 როდის ექნება გულში ადგილი?
 ყაზის საპურობილემი გაბმა სჯობს იმას,
 რომ სახლში მისი წარბის ნასკვი ნახოს.
 ფეხშიშველობა სჯობს ვიწროს მაშისა,
 და მგზავრობაში ბრძოლა სჯობს სახლში
 შედღს.
 სიმზიარელის კარი იმ სახლისა დაკლიტე,
 რომ ქალის მღალი ხმა გარეთ გამოვიდღს.
 უცხოისაგან ქალის თვალი ბრმა ხამს,
 თუ სახლიდამ გამოვიდღს, საფლაგში
 ჩივიდღს.

(ვახტანგის პეკარედი)

კარგ ქალს ვინ ღირსა, მოარჩენს ჭირსა,
 ზრუნვეს მოილენს, ვინ უჭერტს პირსა.
 ნემცა შეხედება ანჩხლა და ძვირსა;
 ჰქვიან მას უგლიში, გლისპი,
 სარცხვიენლია!
 ავგული ქალი — სახილის აღნი,
 რაგინდ კშვენიდენ როგორცა ღალნი,
 მკმინც არ ვარგან, ვითა კლდე სალნი;
 ჰქვიან მას უგლიში, გლისპი,
 სარცხვიენლია!
 ურცხვია დიდად, ქმარს გახის ფლიდად,
 უედ სვლას დაწუხებს, გიღებს ხიდად,
 ირად შეირცხვენს შეილის გასყიდად;
 ჰქვიან მას უგლიში, გლისპი,
 სარცხვიენლია!
 თვისსა ნაქმნარსა აბრალებს ქმარსა,
 დღე-ყოველ თვალში აწურებს ძმარსა;
 მალ-მალ ავირებს: „ვა, შენს ამარსა!“
 ჰქვიან მას უგლიში, გლისპი,
 სარცხვიენლია!
 ქმარს ზედა სხენან, დუხითა სიხველენან,
 ხელტარათა ასთვენ და ჩქარად ვლენან,
 ზედ დაპყვედრიან: „რად ესრე ჰქვენან?“
 ჰქვიან მას უგლიში, გლისპი,
 სარცხვიენლია!
 (საბა)

მოყვანილ პარალელურ ტექსტებს ძალიან ცოტა აქვს საერთო. ვახტანგისა და საბას ტექსტები ერთმანეთთან დაკავშირებულია მხოლოდ შინაარსობლივ-აზრობლივი სტეშით: ზნეფაქიზი ქალი ქმრისა და ოჯახის ნუგეშია, მაგრამ ვაი ავ ქალთან კავშირსო! ლექსის შინაარსობლივი სტემა საბას ძლიერ თავისებურად დაუმუშავებია და თვისებურადვე გაუაზრებია. მის მთლიანად განუდევნია ტექსტიდან შესღომანური ტენდენციით აღბეჭდილი ადგილები. მორიდებია შიშველ დამაქტრასს, გაუშვია შესაფერისი სენტენცია-აფორიზმები, შეუტანია ახალი თემატიკური ელემენტები

(ეკლესია და ქმრის ურთიერთობიდან), საკითხი განუზოგადებია და ყურადღება გაუმახვილებია უგლიში და გლისში ქალის ქირვეულ ბუნებაზე. ერთი სიტყვით, შინაარსის მხრით სულხან-საბა ორბელიანის ქალი ორიგინალურად მოფიქრებული და ორიგინალურად გამარტებული პოეტური ნაწარმოებია. სავანებში ინტერესს იწვევს ქალის საღეჭო ფორმა.

ქალის სტროფების პირველი სამი ტაეპი ათმარცვლოვანია, მეოთხე — ცამეტმარცვლოვანი. ტაეპების განსხვავებული მეტრული წყობა ბუნებრივად იწვევს განსხვავებულ რიტმსა და რითმს. მეტრული ნაირსახეობა და რიტმული ვარიაციებით შექმნილია არაჩვეულებრივი ელერადობა. სულხან-საბა ორბელიანს შეგნებულად დაუშვია რიტმული დისკარმონია, რაც თავისი რიგით ხდება წყარო იშვიათი მუსიკალური პარამონიისა.

ფართოდ არის გამოყენებული აქ პარალელისმის ხერხი. მთელი ლექსი აგებულია სტროფული პარალელისმის პრინციპზე. პირველი სტროფის ბოლო ტაეპი, რომელიც მეტრულად განსხვავდება წინა ტაეპებისაგან, რეფრენად მოედის ყველა დანარჩენ სტროფს (ამ მხრით ქალი უახლოვდება მებაზმანხერი ტიპის ლექსს). ტაეპები პარალელისმის კვალობაზე გაწყობილი შინაარსობლივადაც და ფრაზეოლოგიურადაც, სტროფის პირველი ორი ტაეპი იძლევა ერთ შინაარსობლივ კომპლექსს, მეორე შინაარსობლივ კომპლექსს ქმნის სტროფის მეორე ნახევარი (მესამე და მეოთხე ტაეპები). ლექსის შინაარსი თანმიმდევრულად ვითარდება ერთიანი გეგმით. ლექსის ყოველი სტროფის პირველ ტაეპს იმკობს შინაგანი რითმა, მეორე და მესამე ტაეპებს კი აქვთ შოლოდ გარეგნული რითმები. მეოთხე ტაეპი, როგორც ვთქვით, რეფრენს წარმოადგენს.

ახეთი ერთული და, ამასთანავე, ზუსტად მოწესრიგებულია საანალიზო ლექსის ფორმა. ამ ლექსით სულხან-საბა ორბელიანმა ახალი ფურცელი ჩააწერა ქართული ლექსთწყობის ისტორიაში.

ქალის მეტრი და კომპოზიცია პრინციპულად განსხვავდება ძველ-ქართული საერისიფიციო ნორმებისაგან. ესაა პირველი მაგალითი ძველი ქართული პოეზიის ისტორიაში არქაული პოეტური საღეჭო ნორმების სრული დეფორმაციისა. ამავად დროს, ესევეა პირველი შემთხვევა ვერსიფიკაციული ნოეტრობისა ძველ ქართულ პოეზიაში კლასიკური პერსოდის შემდეგ.

სულხან-საბა ორბელიანს ქილილა და დამანისი გამოყენებული აქვს კიდევ ზოგიერთი სხვა ახალი საღეჭო ფორმა, — როგორცაა მტკობლეთი, წყობილი, შეწყობილი

ლი, რე ვლი. აქ ხშირია ძველქართული ტრადიციული საზომებიც (შეატრეუწ უხტრეუხაული, ფისტიკაუ რუჯტაქუქტუქტუქტუ რული, იამბიკო). ძველ საზომებში შეტანილია გარკვეული სიახლე.

ჩვენი სარკვევიდან, ევოლუციონი, ამჟერა ხდება, რომ სულხან-საბა ორბელიანი ყოფილა დიდად დახელოვებული ფაქიზი გემოვნების პატრონი პოეტი, პოეტი-მოაზროვნე. მას მაღალ პოეტურ დონეზე გაუმართავს ქილილა და დამანას როგორც პრობა, ისე წყობილი ნაწილი. სულხან-საბა ორბელიანი-პოეტი ოდნავადაც არ მიპოვოლა დედნის ტექსტს ფორმალური სიახლევის ნიშნით, დახეწილი პოეტური ალღოს წყალობით მას ბევრჯერ დაურღვევია დედნის ტექსტის ტაეპობრივი შესატყვისობაც და შინაარსობლივ-აზრობლივი მხარეც. ქილილა და დამანას მთელი ტექსტი სულხან-საბა ორბელიანს გაუწყვეია არა სპარსელის რიგით (რახედაც მას სპეციალური მითითება ჰქონდა), არამედ ქართული ლექსის ბუნების მიხედვით. სულხან-საბა ორბელიანი უაღრესად ორიგინალური და დიდი ნოვატორი პოეტია. ფრიალ საგულასმია სულხან-საბა ორბელიანის მეტრული ქილილა და დამანას გაწყობაზე გაწერილი შრომის შეფასება პირველი ქართული ნორმატიული პოეტიკის ავტორის მამუკა ბარათაშვილის მხრით. მამუკა აკბობს „კაშვიკის“ შესავალი ნაწილის დასასრულში: „სულხან-საბა ორბელიანმა ქილილა და (და)მანა გაღვეული თემქა რუსთველის ნათქვამი არ არი, შვგარამ ნაღებუად სათქმელიც არ არი. იმამი ბერის ხმა მოეყვანია, ამისთვის რომ სპარსულში შრავალ ხმათ იყო და რამთონ ხმათაც, რამდონ სტრიქონად იმამი იყო, ისე უქვამ“.¹

მამუკა ბარათაშვილი აღტაცებით აღსახებს სულხან-საბა ორბელიანის ლეაწლს, სულხან-საბას იგი თითქმის რუსთაველს უტოლებს („თემქა რუსთელის ნათქვამი არ არი, შვგარამ ნაღებუად სათქმელიც არ არიო“), შვგარამ სისწორით მაინც ვერ აღნიშნავს დიდი ქართული მეოავის მუშაობის ხასიათს ქილილა და დამანას ტექსტზე და შესაფერისადაც ვერ ითვალისწინებს მის ლეაწლს ქართული პოეზიის ისტორიაში. მამუკა ბარათაშვილს ჰგონია, თითქოს სულხან-საბა ორბელიანმა ქილილა და დამანას ლექსების ხმა შეუწყო სპარსული დედნის ხმას (ე. ი. ტექსტი გაწყო „სპარსული ზოგის“ მიხედვით) და თითქოს სტრიქონ-სტრიქონ მიჰყვას სპარსელის ლექსებს. ნამდვილად კი, როგორც ახლა უკვე ვიცით, სულხან-საბა ორბელიანს ქილილა და დამანას პყკარედი სრულიადაც არ დაუღქსავს სიტ-

¹ გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილის „ლექსის სწავლის წიგნი“, თბილისი, 1950, გვ. 137.

ყუა-სიტყვით და სტრიქონ-სტრიქონ, მით უმეტეს მისთვის ამოსავალი არ უოფილა სპარსული ლექსის ხმა, სპარსული ლექსის რიგი, მამუკა ბარათაშვილის მოწონება მანც მრავალმხრივ არის საინტერესო. მამუკა თვითონ იყო ქართული ლექსთწიყობის ისტორიაში დამსახურებული ნოვატორი, ბოლო დრომდის იგი იხვედებოდა პირველ მოამაგედ ქართული ლექსთწიყობის რეფორმის საქმეში. არსებითად კი მამუკა ბარათაშვილი ავრძელებს სულხან-საბა ორბელიანის გზას. ქართული ლექსის „ხმების“ გადახალისების მხრით მამუკა ბარათაშვილი არის სულხან-საბა ორბელიანის ბუჯითი მიმდევარი. თავის „ქაშნიკში“ მამუკა შეტანილი აქვს სარეკომენდაციოდ ქილილა და დამანას საბასეული ლექსების ყველა ნიმუში¹. მას პირადადაც ამ ნიმუშების მიხედვით შეუთხზავს საკეთარი ლექსები, კერძოდ ლექსი „უცხო“, სულხან-საბა ორბელიანის ზემოთ განხილული „ქილის“ კვლიობაზე². საბას ლექსსაც მამუკა უწოდებს უცხო ს, როგორც ახალს, ორიგინალურს, სამავალითოს.

სულხან-საბა ორბელიანის სავერსიფიკაციო ნოვატორობის ისტორიული მნიშვნელობის დასადგენად მშვედლობაში უნდა ვიქონიოთ აკაკი წერეთლის შენიშვნები ქართული პოეზიის განვითარებაზე რუსთაველის ზეგავლენის ორგვარი ხასიათის შესახებ. თავის ცნობილ ლექციებში ვეფხისტყაოსანზე აკაკი ამბობდა: „აქ უნდა მოეხსენიოთ, სხვათა შორის, რომ ვეფხისტყაოსანს ორ-გვარი გავლენა ჰქონდა მწერლობა-მწიგნობრობაზე: ერთი მხრით, მისი წყალობით წერა-კითხვა და მწიგნობრობის ხალისი თანდათან მტკიცდებოდა ხალხში და მეორე მხრით — საკეთრათ პოეზიაზე რაღაც ბატონური, მანებელი გავლენა ჰქონდა. მრავალ საუკუნეების განმავლობაში ქართული პოეტები ისე ბრძანთ ვატაცებულნი იყვნენ რუსთაველისგან, ისე ძლიერათ დამონებული, რომ ვეღარც-კი წარმოედგინათ, თუ კიდევ შეიძლება სხვა გვარი ლექსის წერა. თუ არა თექვსმეტ-მარცვლოვან და ოთხტეკიან შაირისა მილიოდნენ რუსთაველისგან ერთხელე ვითელი გზაზე, უღვან კვალში, მაგრამ იმიდენი ფუხარაგვობა არა ჰქონდათ და მათი მსვლელობა, შედარებით რუსთაველის

მსვლელობასთან, კოკლობა იყო“³. აკაკი წერეთლის მოსაზრებით, „პირველნი მწერალნი, რომელმაც გადაარჩინა თავტექსტებისა და საკეთარი გზით მონიღობა მსვლელობა, იყო დავით გურამიშვილი“⁴.

ჩვენი დიდი ნაციონალური მგოსანი ავარბებდა, როდესაც ასე უკაცრი ფორმით მსვლელობდა რუსთაველის შეაყოფითს, თათქოს ერთ-დაგვარად მანებლურ გავლენაზეც კი ქართული პოეზიის განვითარების ისტორიაში. ამასთან აკაკი აქ არას ამბობს „საკეთრათ პოეზიის“ მიმართ რუსთაველის არამეველებრივ კეთილ ზემოქმედებაზე. საუკუნეების განმავლობაში ქართული პოეტები სწავლობდნენ და იწაფებოდნენ რუსთაველის მალაღსა და მალაღიან პოეზიაზე. რუსთაველი იყო საზოში და მტერი ქართული პოეზიისა, რაც ზრდიდა ქართული პოეტების პასუხისმგებლობის გრძობას. რუსთაველი წერთნიდა ქართული პოეტების ესთეტიკურ გემოვნებას, თავისი მალაღოდური და ფორმით ნატფი ლექსებით რუსთაველი აღმზრდელითოსა და შთამავრებულ ზემოქმედებას ახლენდა და ახლენს ქართული პოეზიის განვითარებაზე⁵. ასე უნდა გვესმოდეს, კერძოდ, რუსთაველის დიდი თაყვანისმცემლის, პოეტ არჩილის განცხადება:

ვინ ვერ მიჰყვეს რუსთაველის თქმულსა,
გარდმოძმანდეს ასე აქეთ,
მელექსობა არ შეშენის, დააყენეთ მოსაბა-
ქეთ.

მეორე მხრით, აკაკი წერეთლის დავიერება უთუოდ სწორია, რუსთაველი იმდენად დიდი იყო და დამაღველი, რომ ქართული პოეტები ვეღარ ბედადნენ საკეთარი გზის არჩევას. რუსთაველური პოეტური ნორმები, რუსთაველური პოეტურა, რუსთაველური ლექსის მტერი განუხლებელიად ბატონობდა საქართველოში საუკუნეების მანძილზე. რუსთაველის ზემოქმედება ხშირად მართლაც ლებულობდა მახინჯ ფორმას. ბერი მელუქე ამჯობინებდა მხამხარელი რუსთაველური სახეებით, რუსთაველური ხმო, რუსთაველის საზომითა და რუსთაველის სიტყვებით ხელმძღვანელობას; ბერის გურბოდნენ ძიებას პოეტური სიტყვის სფეროში, ახლისაც არ ისწრაფოდნენ, იმეორებდნენ ძველსა და გაეცეთილს, თქმულის გადამღერებას ხდიდნენ თვითმინერად, უღეთოდ და ეგემურად ემიგრნობდნენ. ამის გამო ამბობდა იესე ტლაშაძე:

¹ საბი ლექცია ვეფხისტყაოსანზე, „ქრებულნი“, VI, თებერვალი, 1898, გვ. 24.

² იქვე.

³ შდრ. ქართული მწერლები შოთა რუსთაველის (რებელი), თბილისი, 1937, წინასიტყვაობა.

¹ სულხან-საბა ორბელიანის ნიმუშები ბლომად აქვს მოყვანილი იოვანე ბატონიშვილსაც კალმასობის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „პოეზიისა და მოლექსობისათვის“ (კალმასობა, I, კ. კვეციანისა და ილ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 272—282).

² ა. ლ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II 1940, გვ. 479, შენ. 1

რიტორ რუსთველი, კარგ გამომთქმელი,
ენა-ტყვილი და შაქარიანი,
აგმა მთქმელებმა, ქერდმა მელეებმა, ლექსი
პრავალი მოგპარაინო.

საგულისხმოა, რომ რუსთველის, როგორც პოეტის, უზადობას უყოყმანოდ სცნობდნენ და ერთმანდალ აღიარებდნენ მისი მტრებიც საეკლესიო-კლერიკალური წრეებიდან. შემთხვევითი როდია, რომ ანტონ კათოლიკოსის სიტყვით, „შოთა ბრძენ იყო... უცხო საეკლერველ პოეტის საშეხტიცა“, ოღონდ „ამაოდ დავფრა, სწუხ არს ესეო“.

მონური მიზანქა რუსთველისა, მისი ყოვლისმომცველი და წამლევავი ზეგავლენა მართლაც სახიფათო ზღვებოდა ქართული პოეზიის წინსვლისა და განვითარების თვალსაზრისით. საქირი იყო დიდი პოეტური შემართება, დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა და ამის შესაფერისი შემოქმედებითი ნიჭი რუსთველური პოეტური ნორმებისაგან გადასახვევად და საკუთარ ნიადაგზე დასადგომად. იდეებისა და შინაარსის სფეროში ეს გააკეთა არჩილმა. მაგჩამ არჩილს არ ეყო პოეტური ძალა, რომ ახალი იდეები და შინაარსი მისთვის შესაფერისი ახალი ფორმით გამოეხატა. ამ ისტორიული როლის შესრულება წილად ერგოთ ვახტანგ მეექვსის წრის მოღვაწეებს, პირველ რიგში სულხან-საბა ორბელიანს. სულხან საბა-ორბელიანმა აპირებდა შეანგრია ქართული ლექსის ძველი ნორმების ციხე-სიმაგრე¹. სულხან-საბა ორბელიანი ქართული ლექსის თამაში და დამსახურებული რეფორმატორი, სულხან-საბა ორბელიანის გზას მიჰყენენ თვითონ ვახტანგი, მამუკა ბარათაშვილი და დავით გვრამიშვილი. ვახტანგი საპატიო ადვილს უთმობს სულხან-საბა ორბელიანს ქართულ პოეზიაში რუსთველის, ჩახრუხადისა და არჩილის გვერდით:

რუსთველისა ლექსი შეფეა ტახტზედ გვირგვინით მჯდომელი,
ვლავ ჩახრუხამე აგრეთვე სხვისა რიგისა მდომელი,

შევის არჩილის სარგელი სწავლა
დაუტყობომელი,
საბა თავადი მჯდომელი,
მამუკა ბოლის მდგომელი.²

¹ სიბრძნე შალაობელი (ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარათაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1947, სტროფი 812.

მართლაც დიდია და ფასდაუდებელი სულხან-საბა ორბელიანის ისტორიულ-რედაქციური-ტექნიკური პოეზიის განვითარებაში. რედაქციური-ტექნიკური, სულხან-საბა ორბელიანი ისეთივე დიდოსტატია პოეზიის სფეროში, როგორც აღიარებული დიდოსტატია იგი ქართული მხატვრული პრაქსისა. აღსანიშნავია, რომ სარწმუნოებრივ-კონფესიური ნიადაგზე საბას მოძულე ანტონ კათოლიკოსი, რომელიც საგანგებოდ აცხადებს „საბას არ ეაქებო“, მინც დიდი ქებით ამკობს მის „პოტიკას“, ანტონი ამბობს: „შინაინ მისნი საქებელობენ, შინათა ეაქებ... უცხო არს იგი საქებელ პოტიკას, რაცა სოფელით გამოაქვა სულხან-საბა“.³ იოვანე ბატონიშვილის დახასიათებითაც, სულხან-საბა ორბელიანი იყო „უცხო პოტიკოსი და ქებული, ძველთა მოშორეთა შესადარი“.⁴

სულხან-საბა ორბელიანის, როგორც პოეტის, დიდი დამფასებელი იყო ილია ქვეკვიციანი. სულხან-საბას ლექსებს ივთილი შემოქმედებაც მოუხდენია ილიას შემოქმედებამ⁵. მით უფრო საკვირველია, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსების მნიშვნელობას „ივერის“ ფერცლებზე ნიალისტურად უარყოფდა ქილილა და დამანას დაკვირვებული მკვლევარი პროფ. ილია ოქროშინიშვილი. იგი აცხადებდა: „ქილილა და დამანას ლექსებისათვის კი მოვახსენებ, რომ ამაზედ უნდოდა და უგემური არა გავიონდა რა. ჩუენი საბა ორბელიანი, როგორც იმისი ნაწილი ვივითკიცებს, მეტად მხნე და თავის დროს ბრწყინვალე სწავლელი ყოფილა, ხოლო აპოლოლონიან არავითარი შეგობრობა არ სქონია“. ამ შენიშვნებს მკვლევარი დასძენს: „მე რომ რედაქტორი ვყოფილიყავ. ლექსებს ამ წიგნიდან (ე. ი. ქილილა და დამანადან, ა. ბ.) სრულებით გამოვეყრიდი და წიგნს ამითი ერთი ათად მივმეტებოდა. ამიტომ მოვახსენეთ, რომ მე რომ რედაქტორი ვყოფილიყავ, საბას ლექსებს სრულებით გავადებდი“.⁶

¹ წყობილსიტყვაობა, პ. იოსელიანის გამოცემა, თბილისი, 1853, გვ. 287—288.

² კალმასობა, II კ. კეკელიძისა და ალ. ბარათაშვილის რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 188.

³ აღ. ბარათაშვილი, ილია ქვეკვიციანის ერთი ეპიგრამის გამო („ლიტერატურული გაზეთი“, II. X. 57); მისივე, ილია ქვეკვიციანი და ძველი ქართული მწერლობის საკითხები („ილია ქვეკვიციანი“), თბილისი, 1957, გვ. 52-57).

⁴ „ივერია“ 1886, № 167.



სულხან-საბა ორბელიანი და გეოგრაფია

ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებას თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ძველ საქართველოში არსებობდა ჯგუფი ადამიანებისა, რომელთაც გასრებოდათ როგორც თავისი საყუთარი, ისე შეზღუდული ქვეყნების ადგილობრივების ცოდნა და ისინი „ადგილისმოძიებელი“, „ქვეყნისმოძიებელი“ ან „ადგილისმოძიებელი“ სახელით იუვენენ ცნობილი. ამ სახელით ადამიანებს მოეპოვებოდათ ქვეყნის დასურათება, დაგეგმარება, ჩანაწერები ე. წ. რუკები, რომლებიც თვალნათლივ ასახავდნენ აღებულ ქვეყნის შეტრნეობას მოსახლეობის განლაგებას, გზებსა და ბუნებრივ პირობებს.

ჩვენ წინაპართა ვრცელი გეოგრაფიული პოზიციონირების მაჩვენებელია შორეულ ქვეყნებში მოგზაურობანი და რიგ შრომებში გახვეული გეოგრაფიული ხასიათის მასალები.

გეოგრაფიული ხასიათის ცნობები გვხვდება თითქმის ყველა ძველ ლიტერატურულ ნაწარმოებში — აბოკრიფულ და ორიგინალურ ძეგლებში, ძველ ქართულ ავანტიურულ რომანებში და მის წინაპორბედ პავიოგრაფიულ ლიტერატურაში. დიდძალი გეოგრაფიული ცნობებია მოყვანილი რიგ ლიტერატურულ და საისტორიო ნაწარმოებებშიც, როგორცაა ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, „მეტაწე ქართლისა“, „ქართლის ცხოვრება“, „თამარბანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და ა. შ.

ძველ კოლბებს, ამ საუკეთესო ზღვაოსნებს, მკობრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული შორეულ ქვეყნებთან — საბერძნეთთან, რომთან, სკითეთთან, აღმოსავლეთით კი მტკერის ხეობითა და კასპიის ზღვით კი აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

დიდ მოგზაურობად უნდა ჩიითვალოს იბერიის მეფე ფარსმანის მგზავრობა რომში (ჩე. ერამდე), აგრეთვე თამარ მეფის შვილიშვილების ულუ დაეითისა და ნარინ დაეითის გამგზავრება მონგოლთა ურდოს დედაქალაქ ყარაყორუმში. ქართელთა ეს მოგზაურობა თავისი მნიშვნელობით და სიძნელით შეეფიქრა თამარ დედამამად დაუფუროთ გვერდზე პლანო კარბინისა და ვილჰელმ რუმბერტის მოგზაურობებს შორედ მონგოლეთში.

XVII — XVIII სს საქართველო ეკონომიურად და კულტურულად მოკეთდა, გაცხოველდა ვაჭრობა და კავშირურობითობანი შორედ ქვეყნებთან, მოწინავე ქართველი საზოგადოება ეწაფება ვერობულ ცოდნასა და კულტურას. ამ ურთიერთობის შედეგად ქართველებმა ვაიციენეს დასავლეთ ევროპა, მისი მოღვაწეები... კათოლიკე პატრუბთან სწავლობდნენ მოქალაქენი, თავდადასნაურნი, მეფის ძენი და თვით მეფენი¹, იმდროინდელ საქართველოში „მისიონერთა შორის არა ერთი იყო ექიმი, მხატვარი, მწერალი, ინჟინერი, გეოგრაფ-ასტრონომი და სხვა „საერო“ ცოდნით აღჭურვილი“². ცხადია, ამ დროს ევროპულ ცოდნასთან ერთად საქართველოში შემოდიოდა ევროპის გეოგრაფია-კარტოგრაფიის მიღწევები. სწორედ სულხან-საბა ორბელიანის დროს დაინტერესდნენ „სწავლულნი კაცი“ ქრონოლოგიის, გეოგრაფიისა და ისტორიული გეოგრაფიის, გენეალოგიისა და სხვა წყაროთა კრიტიკით, მათ კოლექტიურად შეადგინეს ქართული საისტორიო წყაროები, ამიტომ შესაძლებელია სულხან-საბა ორბელიანი „სწავლულ კაცთა“ კომისიის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სულსწამდგელი იყო და უშუალო მონაწილეობას იღებდა სათანადო მასალებს შეგროვებასა და დამუშავებაში, რაც ესოდენ ფართოდ არის გამოყენებული მის შრომებში.

„სწავლულ კაცთა“ კომისია აგრძელებდა უცხოურ მასალებს, ქორონიკონებს, მატიაწეუს რუკებსა და ნახაზებს, რამაც ხელი შეუწყო ქართული გეოგრაფიული მეცნიერების მძალდასაფუძრზე ასვლას, რომლის მწვერვლი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი, ბატონიშვილი იყო „სწავლულ კაცთა“ მასალების გარეშე წარმოდგენილი იქნებოდა სულხან-საბა ორბელიანის შემკობრობა და, კერძოდ, მისი გეოგრაფიული შემკობრობა. მან ბევრი რამ აიღო და შეითვისა XVII — XVIII საუკუნეების ევროპული ისტორიოგრაფიისაგან, რაზედაც ნათლად მეტყველებს მისი შესანიშნავი ლექსიკონი — „სიტყვის კონა“, ნაშრომი „მოგზაურობა ევროპაში“ და კავკასიის რუ-

¹ ვახუშტი. აღწერა... თბ. 1941, გვ. 15 — 16.

² ვახუშტი აღწერა... თბ. 1941, გვ. 15 — 16.

კა, რომლისთვისაც გამოყენებულია ს. ს. ორბელიანის გეოგრაფიული მასალები.

„სიტყვის კონა“. გეოგრაფიული მასალების სიუბვიტი საინტერესოა. „სიტყვის კონა“, რომელიც ცოდნის ნამდვილი ენციკლოპედია და შეიძლება ითქვას, თავისებურა გეოგრაფიული ლექსიკონივია. „სიტყვის კონაში“ მოცემულია მინიმუმელოვანი გეოგრაფიული ტერმინების ახსნა და მსოფლიოს ბევრი ქვეყნისა და დასახლებული პუნქტის გეოგრაფიული კოორდინატები. ამ ნაშრომში სულხან-საბა ორბელიანი იძლევა რელიეფის, ფორმის გამოხატველ, კლიმატური, ჰიდროგრაფიული, ნადავური და გეობოტანიკური ხასიათის ცნობებს, აგრეთვე შთელი რიგი წიაღისეული სიმდიდრების დასახელებას. „სიტყვის კონაში“ ავტორის მოცემული აქვს 234 ქვეყნისა და დასახლებული პუნქტის გეოგრაფიული კოორდინატი, ვარდა ამისა, უკოორდინატებოდ, მოცემული აქვს რამდენიმე ქვეყანა და ქალაქი. სხვადასხვა ტერმინის ახსნასას სულხან-საბა იხსენიებს კიდევ რიგ ქვეყნებს და ქალაქებს. იცნობს ქვეყნის ოთხ ნაწილს: ვერობა-ახია-აფრიკა და ამერიკას.

ლექსიკონში გეოგრაფიული კოორდინატების დასახელებით მოცემულია 234 ქვეყანა ან დასახლებული პუნქტი. ლექსიკონის შესავალში ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ „სადა ესე ჯდეს (40. 50) (5. 20) ქვეყნის ზომითა რიცხვითა. პირველი ხარისხი სულხანისა და მეორე წამის რიცხვითა. ორს ხაზს უკან — სვრცის ხარისხის რიცხვითა — და მეორე წამის რიცხვითა.

კოორდინატების შემოწმება ვეიხენებს, რომ მეორე რიგი ციფრების გეოგრაფიული განიების აღნიშვნელია, ხოლო პირველი რიგის ციფრები კი გეოგრაფიული გრადუსისა, ამასთანავე, ორივე რიგის პირველი ციფრები არის გრადუსი, მეორე წუთები.

„სიტყვის კონაში“ მოცემული გეოგრაფიული კოორდინატების შესწავლიდან ნათლად ჩანს, რომ მას ხელთ ჰქონდა სხვადასხვა წყარო და კოორდინატთა დიდი ნაწილი. საწყის შერიდიანად აღებული ჰქონდა ფერო ან კანარის კუნძულები. ისმება კითხვა: საიდან აიღო ორბელიანმა მრავალი ქვეყნისა და ქალაქის გეოგრაფიული კოორდინატები? უნდა ვთვოქროთ, რომ ეს მასალები საბამ მოიპოვა ვერობაში მოგზაურობის დროს. ამხვე ობოს, მას ხელთ გააჩნდა რუსული წარმოშობის ზოგურთი მასალაც.

უნდა ვივთლოსსმოთ, რომ სულხან-საბას თვის ლექსიკონში 234 გეოგრაფიული სახელწოდების შესატანად, ხელთ გააჩნდა სათანადო გეოგრაფიული მასალები, ცხადია, კოორდინატების ზეგნებით. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთივე გეოგრაფიული სახელწოდებები მო-

ცემულია ულუგბეგის „ეარსკვლავთმრიცხველობის“ თარგმანში, რომელიც შეარტულებულია ვახტანგ VI მიერ¹. მაშასადამე ვახტანგ VI თარგმანისა და სულხან-საბას „სიტყვის კონა“ — ხელნაწერი და უცხოური წარმოშობის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მასალები.

ვახტანგ VI „ეარსკვლავთმრიცხველობის“ თარგმანში თვით მიუთითებს მის მიერ გამოყენებულ წყაროებზე.

„თარგმნილი ბერძენთა და ფრანგთაგან. შეტუობა სავრძისა და განისა ვამორჩეულისა და ქალაქებსა და ქალაქებსა ვითარცა მოგვეცა ჩვენ და ეპოვეთ პირველთა ფილასოფოსთაგან, რომელთა ქვეყანა აღწერეს უწყოდეთ რამეთუ რომელიცა აქ დაწერილარს წელი სივრძისა და განისა ქალაქებისა არა არს მტკიცედ დაქუშმაროიტებულე, არამედ ახლო არს ქუშმაროიტებასა ზედა, ვინათგან მათ მიერ მოგვეცა ჩვენა ვინათგან მრავალთა ფილასოფოსთა სივრძე და განი ქვეყნისა აღწერეს“.

ვახტანგ VI თავის თარგმანში ჩამოთვლილი აქვს სივრძე-სივრძეების ზეგნებით 380 გეოგრაფიული პუნქტი და ქვეყანა, სულხან-საბა ორბელიანს კი — 234.

ამრიგად, „სიტყვის კონაში“ არსებული გეოგრაფიული სახელწოდების კოორდინატები საბამ მზამზარეული საბით მიიღო საფრანგეთი-იტალიაში მოგზაურობისას. ამას ადასტურებს 1. ლექსიკონის საბოლოო რედაქცია; 2. როგორც ცნობილია, ვახტანგ ბატონიშვილის შედგენილი აქვს ტაბულა „საქართველოს ქალაქებისა და ადგილების სივრძე-განისა, მენაისისა და წამის საცნობელი, კასპიის ზღვისა და შვიი ზღვის შუა“. ვახტანგი ამ ნუსხის ერთ-ერთ წყაროდ ასახელებს ლექსიკონს — „ევროპული და ბერძენული, რომელიც ჩვენ ლექსიკონში არის“. აქ ათვლებლად ნათელისსმები უნდა იყოს ქართული ლექსიკონი „შედგენილი სულხან-საბა ორბელიანის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვახტანგი არ იტყოდა „ჩვენით“.

საფურადღებოა ვახტანგის ეარსკვლავთა კარტოგისულ თარგმანს აქვს ორი პატარა შენიშვნა, რაც ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს. საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ ვახტანგ VI მიერ თარგმნილ „ეარსკვლავთმრიცხველობაში“ (S—161) არის ნუსხის მოპოველების შენიშვნა „პარისს ვიპოვეთ ესე“ (გვ. 265), ხოლო მეორე ადგილას კი ლაპარაკია „წმინდა ქალაქში“ ყოფნაზე — „ჩვენ ვეცადეთ წმიდას ქალაქს

¹ იხ. „ეარსკვლავთმრიცხველობა თათრულიდამ ნათარგმნი შეფე ვახტანგისაგან“. (ტექსტის დასაწერის: „ასე იტყვის ულუგბეგ მამ რუხას შერის, რომელიც არს შეიღწეული თვიმურისა...“) ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში. S — № 151.

რომ ვიყავით" (გვ. 267). პარიზს მხოლოდ სულხან-საბა იყო და სწორედ ის დაექებდა მისთვის საინტერესო მასალებს, მეორე თქმა „ჩვენ ვეცადეთ“ მხოლოდ სულხან-საბას უნდა მივაკუთვნოთ, რადგანაც იმ პერიოდში არც ერთი ქართველი მოღვაწე ან მეცნიერი არ ყოფილა „წმიდა ქალაქში“ და, ცხადია, „ჩვენ ვეცადეთ“-ს არ მიაწერდა არც ვახტანგი (რომელიც პარიზში არ ყოფილა), არც ნუსხის გადამწერი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მოსახრება გამოთქმული აქვს ქრ. შარაშიძეს თავის შრომაში „პირველი სტამბა საქართველოში“ (1709—1722).

ამრიგად, ევროპული (და რიგი სხვა) გეოგრაფიული სახელწოდებები სულხან-საბა ორბელიანმა ჩამოიტანა ევროპაში მოგზაურობის შედეგად, აზნის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდება შესაძლებელია აიღო „ვარსკვლავთმრიცხველობიდან“, რომელიც ალბათ ულუგ-ბევის შრომის ვაგარტელებს ან დამატებას წარმოადგენს, ხოლო რუსული წარმოშობის გეოგრაფიული სახელწოდებები აღბეული აქვს იმავე „ვარსკვლავთმრიცხველობიდან“, სადაც ვახტანგ VI შეტანილი აქვს მთელი რიგი პუნქტები კოორდინატების ჩვენებით. ასევე, მაგალითად, „ვარსკვლავთმრიცხველობის“ მე-276 გვერდზე პირდაპირ არის მითითებული „რუსეთიდან თარგმნილი ქალაქები“ და ჩამოთვლილია რიგი პუნქტები: აზოვი (68—) (49—), ალანა (60.0) (43.15) და ა. შ. ვარდა ამისა, ჩამოთვლილია აგრეთვე რამდენიმე დასახლებული პუნქტი კოორდინატების გარეშე, ეს სახელწოდებები რომ რუსულიდან თარგმნილია ამას ადასტურებს ამ სახელწოდებათა დამოლოგებებიც. მაგალითად: ანტიოქა კაიოხისკაია, არავია სჩასტლივია, ბოსნია იტალიასკაია, თობოლესკი სობჩისკაია სტალიცია, ვესლა ნიენაია ა. შ.

როგორც ცნობილია, ლექსოგრაფიულ მუშაობაში სულხან-საბას დახმარებას უწევდნენ მისი ძმა ზოსიმე და მეფე ვახტანგ VI, საბა და ვახტანგ ხშირად „უჩაზხადნენ“ ერთმანეთს შრომებს, ამიტომ უნდა იფიქროს მხოლოდ, რომ სულხან-საბა და ვახტანგი ერთი და იმავე წყაროებით სარგებლობდნენ და ერთმანეთს უზიარებდნენ მასალებს, ამის საუკეთესო მაგალითია მის მიერ ევროპაში მოპოვებული მთელი რიგი გეოგრაფიული სახელწოდებების არსებობა ვახტანგისეულ „ვარსკვლავთმრიცხველობაში“.

„მოგზაურობა ევროპაში“. 1713 წლის აპრილს სულხან-საბა ვახტანგ VI დავალებით გემგზავრა საფრანგეთსა და იტალიაში. ამ მოგზაურობის შედეგად მან დასწერა მოგზაურულ-მემორარული ეპარქის საინტერესო ნაშრომი, „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც თავისი შინაარსითა და მასალების სიუხვით ამაჟამად

შემდეგა გეოგრაფიულ ხასიათის ნაწარმოებათა რიცხვს მიეკუთვნება.

საბას „მოგზაურობა ევროპაში“ იწყება საფრანგეთიდან გამოგზავრებით და შიავრდება საშობოლობა დაბრუნებით. საფრანგეთში ყოფნის აღწერა არ გავვიანო და დღემდე დავარგულად ითვლება. დოც. ლევან მენაბდე თავის საინტერესო ნაშრომში „სულხან-საბა ორბელიანი“ (თბ. 1953) საესებით სამართლიანად აყენებს თხზულების სახელწოდების გარკვევას: საკითხს: „ერთ ხელნაწერში იკითხება... ფრანკისილამ წამოსვლა სულხან-საბა ორბელიანისა და იტალიაში შესვლა“... ლენინგრადში დაცულ ხელნაწერს ასეთი სათაური შემოუნახავს „მომოსვლა აფრიკეთსა, იტალიას, რომასა და ყოველსავე დასავლეთსა ქვეყანასა სულხან-საბა ორბელიანისა, რომელიცა თვითთვლად აღწერა მთლითა ხილულნი თავისნი, ეკლესია, ქალაქი, ციხე, სოფელი“.

სულხან-საბა ორბელიანის სამოგზაურო ტერიტორია მხოლოდ ევროპით არ შემოიფარგლება, ამიტომ ძველი დასაბუთება „მოგზაურობა ევროპაში“ არაა საესებით ზუსტი. დოც. მენაბდე საინტერესო მოსახრებას ვამოთქვამს, რომ სულხან-საბა ორბელიანის თხზულებას, პირობით „მოგზაურობა“ ეწოდოს უფრო სწორი და სამართლიანი იქნება.

„მოგზაურობა“ წარმოადგენს უცხო ქვეყნების მხატვრულ-გეოგრაფიული აღწერის საინტერესო ცდას. საბა თავის შრომაში იძლევა ვრცელ ცნობებს მოვლილი ქვეყნებისას, განსაკუთრებით იტალიისას. მრავალფეროვანია ავტორის დავირებებები და აღწერის ობიექტები — ესაა გეოგრაფიული დახასიათება მხარეებისა და ქალაქებისა, მოსახლეობის სტატისტიკისა და ქვეყნების პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურისა, ბუნების რელიეფური ობიექტებისა და ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლებისა და ა. შ. ავტორის ენა ლაყონური და მხატვრულია. ფაქტობრივ მოცემულია მოკლე, გაუზვიადებლად, მისივე თქმით, „გრძელი ამბავი თავისი საწყენიო“.

შრომის დიდ ნაწილს დათმობილი აქვს სამხრეთ იტალიის ბუნების აღწერას. აღწერს იტალიის დიდ ქალაქებს. ასე, მაგალითად, „პრომი ასეთია, ასს წელს სულ იაროს კაცმა, მისს საყვირველებსა ვერც გაუვიდეს, ვერც დაასრულოს“.

„მრგვლით ქალაქია ფლორენცას. ფლორენცა ყვავილს ჰქვიან. და მართლა ქალაქის-ყვავილი იყო. არც შეტად დიდია, მაგრამ დიად შვენიერი ქალაქი. უფროსი ერთი ვათლიდი ქვა, განიერი ფლორენცები. დიდი მდინარე ჩამოუღოს („მოგზაურობა“, გვ. 96).

საინტერესოა საბას მიერ ეწმულ მღვტას აღწერა. „მალთა, დიად თფილი იდგლია. დეკემბერში იასამანი და ყვავილები ჰყვავიდა.

ლღეს გასცივდა ფურცელი, თვარა ევნახს ისევ ესა. არც თოვლი, არც თრთვილი, არც ყინვა არ იყის იქაურ ზამთარ. რა ჩრდილოს ქარი აჭროლდება ცოტარამ სიცივე შეიქმნება. ზაფხულს მეტად ცხელს ამბობენ. სულ კლდეა, ვაჟ და ყოვრც. მრავალი გველი და ვერას ავინება კაცსა. უნაყოფო. სადაც წალკობია, ნარიათურნიხვი იდგა, თვარა უწალოტოთ ხე არსად არის. ზამთარი სულ მწვანავა ბალახი ზაფხულ არ იქნებაო სიცხისაგან" (გვ. 141).

ასევე მოკლე და ბევრის მოქმელია ე. სიცი-ლიის აღწერა: „სიცილია დიდი სამეფოს კენ-ძელია. შეიღას მიალია. მისი გამაშემო კაი ადგილია. პალერმო ქალაქს მამართეს. ქალაქი დიდი და ზღვის პირი ვაჟე. კაი ადგილები, მაგრამ მთა გორი, ხშირი და უნაყოფო, უცხო კლდიანი" (გვ. 116).

თუ კიდევ ერთი მაგალითი, თუ როგორ ემარჯვება საბას ერთ წინადადებაში მოგვეცეს ბუნების მთელი მოკლეობის აღწერა, ამ მხრივ საუკეთესოდ უნდა ჩათვალის ველჯან ეტნას აღწერა: „...ეტნის მთა გამოჩნდა. შუა დიდი კვამლი გამოდიოდა, ცეცხლი არა ჩნდა ნახევ-რამდი. ის მთა სულ დათოვლილი იყო. და მას ქვეით ხეება ხილნარი და დაბალზე შენი-ბა იყო. ასე თქვეს: თოვლი მედამ სძესო. სხვაგან თოვლი არსად იყო. და ის ცეცხლი ისე ამოღის. ორმოც წელიწადს უწინ იმ მთას ერთ ადგილს პირი ვადლო. ერთი ცეცხლი გა-მოსულიყო. დიდი ადგილი ზღვაზე ზღვაზე ნაბოსულიყო. სამს მიღზე ზღვა ვადეშრო სულ შავს წიდასაეთ ქვით ივესო და ის პირი ისევ დაბერულიყო. მრავალს საკვირველება იმ ცეცხლის გამოსვლაზე... ადგილი ხირხატია-ნი, ქვიანი, ნახიდურის და აღმართების მსგავსი იყო. დია კაი ქალაქები. ცხებები. მრავლად ლელსულალი, ზურმა, ზეთის ხე — მრავალი. ინდური ქათამი მრავალი ჰყვანდათ" (გვ. 123). ძალზე ემარჯვება საბას შედარებები და ხშირად რომელიმე ადგილებს ადარებს. ველ-კან ეტნას აღწერაში უკვე მოხსენებული ნახი-დურა და აღმართები სოფლები იყო ქვემო ქართლში. აი, რამდენიმე მაგალითი, როდესაც საბა საქართველოს რომელიმე ადგილს ადა-რებს.

„მოვედით მონაკო ქალაქსა. ზღვაში ერთი კლდე შესულყოფო თბილის მერტესავითა...“ (გვ. 4).

„რა ალიკორნის საზღვარში შევედით დავა-კება შეიქმნა. ოდიშის მსგავსი ადგილი, ტყიანი, ბრტყელი“ (გვ. 14).

„წარმოვედით ნაეთი ალიკორნისაჲენ... დავა-კება ადგილი იყო ოდიშის მსგავსი“ (გვ. 111).

„საღილად ერთს ლიქინაზე მივედით. კლდე იყო შევაფულეთი, დიდი, დიდსა და გრძლად მიგრებელი-მოგრებელი. მეთევზენი ნადირბო-

დნენ. ასეთი ღვინო იყო ატენური ღვინის მსგავსი“ (გვ. 122).

„...[მალაზე] ზღვის პირს. ^{ქვემოთ} კლდე ვაჟე. უფლის ციხის მსგავსი, ^{აღმოსავლეთ} ნაჭურ-ლი“ (გვ. 126) და ა. შ.

ზემოთხანისი ციტატები იმის მაჩვენებე-ლია, რომ სულხან-საბა არა მარტო კარგი მოგზაურ-დამკვირვებელია, არამედ ზედმიწევ-ნით კარგად იცნობს მთელ საქართველოსაც და ამიტომ ადვილად ახერხებს მსგავსი ადგილე-ბის შედარებას.

„სიტყვის კონის“ ავტორს განსაკუთრებულ დამსახურება მიუძღვის არა მარტო ქართული ლიტერატურის განვითარებაში, არამედ ქართუ-ლი გეოგრაფია-კარტოგრაფიის განვითარება-შიც. ამის საუკეთესო მაგალითია მისი ნაშრო-მი „მოგზაურობა“, რომლითაც ქართველი მეთო-ბველი აბლო ვაენცი დასავლეთ ევროპას, გან-საკუთრებით საფრანგეთსა და იტალიას. იქაურ ბუნებრივ პირობებს, ზნე-ჩვეულებებს, მოსახ-ლეობის საქმიანობას, მეურნეობასა და პოლი-ტიკურ წყობას, დიდურს ფორმით შესრუ-ლებული „მოგზაურობა“ ძვირფასი ქართული ლიტერატურულ-გეოგრაფიული ძეგლია და შეიძლება ითქვას, რომ საბას მსგავსი ძეგლები უფრო მოგვიანებით შექმნეს ტიმოთე გაბა-შვილმა, იონა გუდუცაძისშვილმა, რაფიელ დანი-ბეგაშვილმა, თეიმურაზ ბატონიშვილმა და სხვებმა.

კავკასიის რუკა. საინტერესო გეოგრაფიული ძეგლია კავკასიის 1723 წლის რუკა, რომლის შესადაგენად სულხან-საბა ორბელიანის კარტო-გრაფიული მასალებიცაა გამოყენებული. რა კარტოგრაფიული მასალა გააჩნდა საბას? რო-გორც ცნობილია, ძველ საქართველოში ვაუ-ხოველებელ მიმოსვლასთან ერთად აღსებობდა გზისა და ადგილის აღმნიშვნელი ნახაზები, რომელთა შედგენა ადგილის მკოდნედ, ქვეყ-ნისმშობელ ან ადგილის აღმწერს ევალებო-დათ. ძველ კოლხებს, საუკეთესო მებღაერებს და გზის მკოდნელ აპოლონ ბოდოსელის ცნო-ბით „შენათელი აქეთ ფიცრები (კირბები) რომელზედაც მათი მამა-პაპის მიერ წარწერე-ბია გაკეთებული და მოგზაურებისათვის ნაჩუ-ვნიბია უველა გზა და წყლისა და ხმელეთის საზღვრები“.

ლექსიკოგრაფ სვიდას ცნობით, „კირბები“ გეოგრაფიული რუკები უნდა ყოფილიყო. სა-მანძილო კირბები მაღალი ქვის სვეტები ყო-ფილა, რომელზედაც მიკრული იყო სამწახ-ნაყოფანი დაფები. კირბებზე სასულიერო და საერო კანონები იწერებოდა, მიზანული იყო წყლისა და ხმელეთის საზღვრები და მათ კარ-ტოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდათ.

გერმანელი გეოგრაფი და მკვლევარი კარლ რიტერი ძველი კოლხების კირბებისა და სამან ძილო რუკების შესახებ წერდა, რომ „კარტო-

გრაფული ხელოვნების გამოგონების პატივ-დიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზის ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმაურბაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ეპიტრათა შორას¹. ამოღონ როსდონელისა და ავათი სქოლასტიკოსის ცნობები კირბების შესახებ ძველ ქართველთა გეოგრაფიული-კარტოგრაფიული კულტურის მიუყვებულა.

რომ ძველ საქართველოში არსებობდა დიდძალი კარტოგრაფიული მასალა და რომ ქართული გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ხელოვნება სავაოდ მაღალ საფეხურზე იდგა, ამის უტყუარი საბუთია ვახუშტის შესანიშნავი თუკები. სწორედ ვახუშტს VI და მის აღმზრდელს სულხან-საბა ორბელიანს უნდა მივაკუთვნოთ ქართული კარტოგრაფიის მეცნიერული საფუძვლების დადგენა, ვახუშტი კი ამ დარგში მათი ღირსეული შემდეგად იყო შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ ვახუშტი იხსენიებს რაღაცა „შემოკლებულ რუკებს“, რომ ძველად „ხაზიდან მცირედ და არა გეროვნად“, ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ ვახუშტის ხელთ გააჩნდა ძველი კარტოგრაფიულ-ტოპოგრაფიული ნახაზები, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

XVII საუკუნის დამდეგიდან ქართველი საზოგადოების მაღალ წრეებში განსაკუთრებით ძლიერდება ინტერესი „სამოქალაქო მეცნიერების — პოეზიის, უცხო ენების, ფილოსოფიის, ისტორიის, გეოგრაფია-ასტრონომიის, მედიცინისა და სხვა სწავლისადმი“².

ვახუშტს VI და მის აღმზრდელს ვრცელ გეოგრაფიულ-ასტრონომიულ ცოდნაზე მივიკუთვნებთ 1721 წელს ვახუშტისეულ სტაჰანოში დაბეჭდილი „ქმნულებს ცოდნის წიგნი“ ან „ათათი“. ეს უკანასკნელი ასტრონომიულ-კოსმოგრაფიული შინაარსის ნაშრომი, მანვე თარგმნა ქართულად სტროლაბი (ბერძ. ასტროლაბიონ ნიშნავს ეარსკვლავთ მრისცველობას). ვახუშტის ამ შრომის თარგმანს ვარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან ასტროლაბი, ეს ელემენტარული ხელსაწყო XVIII ს. დამდეგს გამოყენებული იყო გეოდეზიური განზომილებებისათვის და, ცხადია, ვახუშტი დაინტერესებულ იყო ამ შრომით. არსებობს ცნობა, რომ 1709 წელს უფროსი პატრი ვახუშტს VI ასტრონომიის გაყვითლებს აძლევდა, ხოლო სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონზე მუშაობისას ფრანგი მისიონერები აქტიურად ეხმარებოდნენ.

როგორც ცნობილია, სულხან-საბას მიერ კარტოგრაფიული მასალების შეკრება მის გეოგრაფიაში მოგზაურობასთან არის დაკავშირებული. საბამ ლუდოვიკო XIV გალანტე ვახუშტს VI

წერილი, ლუდოვიკოს სთხოვდა ვახუშტს მიეცა ტყუებიდან გამოხსნას და რუკულერ-დაზარბას სპარსეთის წინააღმდეგ, ესევე უცხოელების სანაცვლოდ საბამ ვახუშტს VI სახელით აღუთქვა ლუდოვიკოს, რომ ქართველები და კავკასიის სხვა ტომები ათოლოკობას მიიღებდნენ, ფრანგი ვაჭრები და მისიონერები დუბარკოლებლად ივლიდნენ სატრანზიტო გზით საქართველოდან ირანისა და ინდოეთისაკენ; ამ მიზნით საბამ საფრანგეთის მეფეს წარუდგინა საქართველოს რუკა, რათა მას წარმოედგინა სქონილი იმ ქვეყნის შესახებ, რომელზედაც ლაპარაკი იყო ვახუშტს მეფის წერილისა და საბას თხოვნაში.

რუკაზე დატანილია მთელი ამიერკავკასია და კასპიისპირა სანაპიროები. ზრდილო აღმოსავლეთ კუთხეში რუკას აქვს წარწერა:

„კასპიის ზღვის მიმდებარე ქვეყნების რუკა, შედგენილი მეფის საპროკურატორისათვის. შედგენილია მეფის განკარგულებით ქართველი თავადის სოფიამ საბას (de sofiam Sabbas prince de Georgie) ხელნაწერის მასალების მიხედვით, აგრეთვე სპარსეთის საელჩოს ელჩების კრუზოუსსა, ზურაბეკსა და ფაბრიციუსის მიერ, რომელთაც განხატებდა მიიღეს ამ ქვეყნის მცოდნე მრავალი პირისაგან. შედარებულია ასტრონომიულ დაკვირვებებთან სამეფო მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფის გილომ დე ლილის მიერ, 1723 წლის 15 აგვისტო“.

რუკის წარწერა ერთ-ერთი წყაროა იმისა, რომ სულხან-საბა ნამდვილად მონაწილეობდა კავკასიის რუკის შედგენაში.

საყურადღებოა ერთი ადგილი რუკის წარწერაში, რომ შედგენილია „თავადის სოფიამ საბას ხელნაწერის მასალების მიხედვით“. ის-შემა კითხვა, რა ხელნაწერი მასალები უნდა სქონილია საბას³ გეოგრაფიულ-ლიტერატურაში სავაოდ ცნობილი ფაქტია, რომ დასავლეთ ვეროპა რუკებით საქართველოს გააცნო საბას შემდგომ პერიოდში, როდესაც ფრანგულად და ნაწილობრივ გერმანულად იქნა თარგმნილი ვახუშტის შესანიშნავი რუკები. ამას იმისათვის ეამბობთ, რომ საბას ე. წ. ხელნაწერი მასალები მარტო უბრალო მასალები კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ მხამხარეული კარტოგრაფიული მასალები მთელი საქართველოს ტერიტორიის შესახებ.

ცნობილია, რომ საბამ ლუდოვიკოს დაუტოვა საქართველოს რუკა. ეს ასევე უნდა ყოფილიყო. ამავე დროს, მისი „ხელნაწერი მასალები“ ისეთი იყო, რომ საფრანგეთის მეფისათვის ძნელი არ იქნებოდა მიხედვარა, თუ რომელი ქვეყნის შესახებ ლაპარაკობდა ქართველი მეფის წარგზავნილი, რაც მოთავსობა საბას მიერ წარმოდგენილი „ხელნაწერი მასალები“ ისე სრული და ამომწურავი უნდა ყოფილიყო, რომ გილომ დე-ლილს შეეძლებოდა

¹ საქართველოს ისტორია, 1, თბ. 1958.

კავკასიის რუკაზე საქართველოს ტერიტორიად დატანა. ცხადია, ფრანგ გეოგრაფს იმ პერიოდში ხელთ არ გააჩნდა არავითარ კარტოგრაფიული მასალები, რომ შეეცნო საბას „ხელნაწერი მასალები“.

1723 წლის კავკასიის რუკის შესწავლა გავრწმუნებს, რომ მასზე საქართველოს ტერიტორია სხვათან შედარებით უფრო დეტალურად და, რაც მთავარია, ზუსტადაა მოცემული. რაც სულხან-საბა ორბელიანის მასალების მაღალ ხარისხსა და სრულყოფაზე მივითითებს. ცხადია, საბას „ხელნაწერი მასალები“ ფაქტობრივად საქართველოს მსხვილმასშტაბიანი რუკა იყო. შედგენილი საბას მიერ (ან შესაძლებელია ვახტანგ VI ერთად ან მის დახმარებით)¹.

ცნობილია ფრანგმა კარტოგრაფმა გილომ დე-ლილმა კავკასიის რუკისათვის საფუძვლად საქართველოს რუკა აიღო, ხოლო ჩრდილო კავკასია და მთელი კასპისპირეთი სხვა წყაროებიდან მიღმაცა, თარგმნა ფრანგულ ენაზე და გამოიცა 1723 წლის 15 აგვისტოს. ცხადია, საბას არ ეწინააღმდეგებოდა მისი მხარეების ასეთ სრულ რუკები, თუ შედეგობაში არ მივიღებთ სპარსეთს, რომელსაც საბა კარგად იცნობდა და შესაძლებელია სპარსეთში ყოფნისას შოიოჯა სპარსეთის ტერიტორიის რუკები.

ამშუბა ეთხება, რა მასალებით ხელმძღვანელობდა დე-ლილი, როდესაც მან მთელი ამერიკავკასიისა და კასპისპირეთის რუკა გამოაქვეყნა ან რატომ გამოიცა მთელი კავკასიის რუკა?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბას რუკა გაციონობს შემდეგ ლუდოვიკომ ალბათ არქივს (გეოგრაფის) ვადასაც. მალე ფრანგებმა რუკებისაგან მიიღეს კასპიის ზღვისა და კასპისპირეთის რუკები, შედგინილი ცნობილი რუსი კარტოგრაფების კ. ვერდენისა და ფ. სომინოვის მიერ. კასპიის ზღვისა და მთელი კასპისპირეთის რუკა რუსულ ენაზე დაიბეჭდა 1720 წელს, ხოლო ამ რუკის ერთი ცალი ბეჭტი I ანუკა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის 1721 წელს. რაც შეეხება საქართველოს სამხრეთით მდებარე ტერიტორიებს, ეს მასალები დე-ლილმა მოაპოვა ვინმე კრუზიუსის, ზურაბეკისა და ფაბრიციუსის მასალებიდან, რომლებიც სპარსეთის საელჩოს ელჩებად არიან დასახლებულნი. ყოველ შემთხვევაში, საფუძვლით ვარაუდებია, რომ დე-ლილს მიერ 1723 წელს გამოცემული რუკა შედგენილია სულხან-საბა ორბელიანის (საქართველო),

კ. ვერდენისა, და ფ. სომინოვის (კასპიის ზღვა კასპისპირეთი და ჩრდილო კავკასია), კრუზიუსის, ზურაბეკისა და ფაბრიციუსის (სპარსეთი) კარტოგრაფიული მასალების მიხედვით.

საინტერესოა ცნობილი მეცნიერის აკადემიკოს გ. თ. მილერის ცდა გაერკვია, თუ ვინ იყო „სოფამ საბა“. მან 1761 წ. დაბეჭდა რუსეთისა და უკრაინის რუკების მიმოხილვა და როდესაც ათვალერებდა 1723 წელს გამოცემულ კავკასიის რუკას, დაინტერესდა საქართველო თვითადი (პრინციპ) ვინაობით, მგონამ უშედეგოდ. მან ვერ გაიგო, თუ ვინ იყო „სოფამ საბა“. ამის შესახებ მილერი წერდა, რომ „მე მოვიციოთ თუ ვინ იყო სოფამ საბა, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინე... ალბათ სოფამ საბამ საფრანგეთში ტყუილად დაირქვა ქართული სახელი და მე მეგონა, რომ სახელიც არ არის სწორი და დამახინჯებულია“². მილერი ამ შემთხვევაში მართალი აღმოჩნდა. სახელი მართლაც დამახინჯებული იყო (სოფამ საბა, ნაცელად სულხან-საბასი), რამაც შესაძლებელია გაერკვია მილერი. ამ სახელწოდების ქვეშ მოახსენებელი აქროს და დიდგნა.

რამდენიმე სიტყვა თვით რუკის შესახებ. ფრანგულ ენაზე გამოცემული კავკასიის რუკის ზომა 59,5 X 44,0 სმ-ზე დატანილია შავ ზღვასა და კავკასიის ზღვას შორის მდებარე ტერიტორია, კასპიის გადაღმა მხარე (თურქმენია, ბუხარა, უზბეკია), სამხრეთ ტერიტორიები — მთელი ჩრდილო სპარსეთი;³ და ჩრდილო ოსმალეთი (თურქეთი). რუკაზე შტრიხებით დატანილია მთები, მთავარი სამომოსვლო გზები და ვასაბერებელი ადგილი, მსხვილი დასახლებული პუნქტი.

რუკაზე საქართველოს ტერიტორიას ვასადებს სადმარკაციო ხაზი სპარსეთისა (აღმოსავლეთ საქართველო) და ოსმალეთის (დასავლეთ საქართველო) გაელენის სფეროების აღნიშვნით. დატანილია საქართველოს თითქმის ყველა სამთავრო-სადროშოს ტერიტორია. მთ შორის, დასავლეთ საქართველოში: სამეგრელო, სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ოკრიბა, არგვეთი, გურია, აჭარა, მაჭახელა, ტაო-კლარჯეთი, შავ-შეთი, ოლთისი, ლაზეთი, მნიშვნელოვანი ნავსადგურები და ნავმისადგომი (სოხუმი, გუდაუთი, რიზე, ვონიო, ქობულეთი), მსხვილი და სახლებული პუნქტები, მთავარი მდინარეები (ენგურტი, კოდორი, რიონი), კურა (მტკვარი) და სხვ.

¹ Миллер Г. Ф. Известие о ландкартах касаящихся до Российского государства, соч. и пер. СПб, 1761.

² დე-ლილის რუკა ხელშეორედ დაბეჭდა მისმა სიმემ ფ. ბუაჟმა 1746 წ. რასაც აღასტურებს რუკის ქვემოთ მიწერილი ცნობა.

¹ სულხან-საბა ორბელიანის მიერ საფრანგეთში ჩატანილი კარტოგრაფიული მასალები პარიზში ინახება. შესაძლებელია — გილომ დე-ლილის არქივში.

აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებში შეყვანილია მთელი შირვანი, შემახა საყუთრედ აღმოსავლეთ საქართველოდან რუკაზე აღნიშნულია შიდა, ქემო და ზედა ქართლი, კახეთი, კუხეთი, ტაშირი, ლორე, თორი, სამცხე, თრიალეთი, დვალეთი, ოსეთი და დიდი ოსეთი, თუშეთი, ფშავი, თიანეთი, ზევი, მუხრანი, დიდოეთი და ა. შ. მდ. მტკვარი, იორი, ალხანნი, ხრამი, ზოგი ტბა, მსხვილი დასახლებული პუნქტები (ნაქალაქევი, ბეღია, შორაპანი, ასპინძა, ახალქალაქი, ბაღდადი, გორი, აწუერი, მანგლისი და სხვ.).

გარდა სამთავროებისა და მსხვილი დასახლებული პუნქტებისა, საქართველოს რუკაზე დეტალურად აღნიშნულია მთები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრებით. საინტერესოა ის გარემოება, რომ რუკაზე დეტალურად აღნიშნულია „თორმეტი უდაბნო“ (კლარჯეთში), ამასთანავე, აღნიშნულია მონასტრებიც — ალი, ტბეთი, კუმბოდო, საფარა, სადგური, სვეტიცხოველი, ბეღია, დავით-გარეჯის უდაბნო და სხვ.; ისევე როგორც ვახუშტის რუკებში, ამ რუკაზეც ყველაზე სრულად ქართლი არის ნაჩვენები და, რაც მთავარია, რუკაზე დეტალურად აღნიშნულია ორბელიანის (საორბელიანის) საგვარეულოს რეზიდენცია ტანძია, აგრეთვე ორბელიანთა საგვარეულო სამარხი ფიტარეთი. ტანძიისა და ფიტარეთის აღნიშვნა მით უფრო საინტერესოა, რომ სხვა სამთავროთა ფეოდალების ადგილსამყოფელები არ არის აღნიშნული.

აღნიშნული რუკა მალე ცნობილი გახდა ევროპის ჩვეულებრივად — კარტოგრაფებისათვის. როგორც ჩანს, სულხან-საბას კარტოგრაფიულმა ნაშრომმა მაღალი შეფასება მიიღო.

სამბურგის გეოგრაფიული მუზეუმის რექტორის იოჰან პიუბნერს შეგროვებული და აღწერილი ჰქონდა გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისისა და პოლანდიის მზარეულის საუკეთესო რუკები (ლანდკარტები), რომლებიც შესრულებული (გრაფირებული) იყო საუკეთესო ოსტატების მიერ. შეგროვებული რუკებით იოჰან პიუბნერმა შექმნა გეოგრაფიული მუზეუმი,

აღწერა რუკები და ეს აღწერილობა გამოცემულა ცალკე წიგნად სამბურგში 1726 წელს. როგორ მოხვედრა პიუბნერს კოლექციამდე, ვერაფერია ცნობილი. მიერ პარიზში 1723 წელს გამოცემული რუკა? იოჰან პიუბნერი ამ რუკის შესახებ სწერს:

„აღნიშნული რუკა გადმოღებულია (გრაფირებულია) პოლანდიაში კოვენსისა და შორტეს მიერ. სრულიად ახალი და შესანიშნავი რუკა, მასზე პირველად მოცემული კასპიის ზღვა ისეთი სახით, როგორიც პარიზის შეყვანილებთან აკადემიის გაუგზავნეს და ვასწორებულია ლეონ (ჟ. ი. დე-ლილის—გ. ზ.) მიერ,

რუკაზე უმთავრესად გამოხატულია პროვინციები, რომლებიც კასპიის ზღვასა და შვედეთს შორის მდებარეობენ და რომელთა შესახებ აქამდე ნაყლებად სათანადო ცნობები მოგვეპოვებოდა.

განსაკუთრებით გულმოდგინდად დამუშავებული ცნობილი პროვინცია გეორგია (საქართველო), რისთვისაც გამოყენებულია გარკვეული წერილობითი მემკარები, რომლებიც სოსრამ საბამ, გეორგიის პრინცმა მოამზადა.

ამ რუკაზე არის ბევრი დასახლებული პუნქტი, ისინი იმდენად სრულადაა მოცემული, რომ შეიძლება სხვა მასალა აღარ დიგვირდეს“.

პიუბნერის მოსაზრება ეკვასიის რუკისა და, კერძოდ, საქართველოს ნაწილის სრულყოფის შესახებ იმის მანქანებელია, რომ სულხან-საბას კარტოგრაფიული მასალები დიდი სიზუსტითა და სისრულით იყო შესრულებული, წინააღმდეგ შემთხვევაში პიუბნერი არ იტყოდა, „განსაკუთრებით გულმოდგინდად დამუშავებული ცნობილი პროვინცია გეორგია“.

ქართული სიტყვის დიდოსტატი, დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე ჩვენ გვევლინება, როგორც დიდი გეოგრაფ-კარტოგრაფი, რომლის მოღვაწეობამ ზედიზედ შეუწყო დიდებულ გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილს განვითარების მაღალ დონეზე დაყვანებისა ქართული გეოგრაფია და კარტოგრაფია.



პრ. იმერაძე



კოსტა ხეთაგუროვი და პართველი და ოსი ხადხმების მემკობრობა

კოსტა ხეთაგუროვის კაცობოყვარე და ხალხობოყვარე სპეტაკ გულში მუდამ გიზგინებდა ნაუქრობელი ცეცხლი სიყვარულისა მომე ქართული ხალხისადმი. მას კარგად ესმოდა, როგორი მკიდრო, განუერელი ძაფებით იყო დაკავშირებული ოდიხე ორი მეზობელი ქვეყანა — ეკონომიერი, პოლიტიკური და კულტურულ დარგში. ამიტომ შექმნა ოსთა პოეტმა მშვენიერი სიმღერა ქართველ-ოსთა საბრძოლო, სამხედრო-პოლიტიკური ძმური თანამეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. უყოყმანოდ ერთმანეთის გვერდში დგომა გაციკრებისას, ისტორიულად გამოქედლი საბრძოლო მეგობრობა ქართველებსა და ოსებს, გარეშე ვერაგ მტერზე გამარჯვება და საერთო ლხინი — აი რა უძვეეს საფუძვლად ხეთაგუროვის ცნობილ ნაწარმოებს — პოემა „ხეთაგურს“.

ირანის შამში ქართველთა მეფე ვახტანგს შორჩილება მოთხოვა, დამამიკრებელი წერილი გაუგზავნა და დაემუქრა: ჩამოვალ ჯარით, ქაშანდს გამოვდებ და ჩემს უფროსს საქურისად დაგაყენებ ჩემს პარამხანაშიო. ქართველთა ხელმძღვანელმა ეს წერილი მყისვე აქცნო თავადი დადიანის ხელით თავის მოკავშირეს — ოსეთის მეთაურს. „როცა ამ წერილს წაიკითხავ, — წერდა იგი, — ხეთაგ, მამინ, ეითომდაც შენ ზიხარ ჩემს ოქროს სავარძელში, ჰკითხე შენს თავს, როგორ პასუხს ვასცემდი ამ თავხედ მგელს“.

ოსეთის მეთაურმა მყისვე შეაგროვა თავისი ევაკაცი მუომრები. შეგროვილ გმირ ჯიგიტებს ხეთაგმა წაუკითხა საქართველოს და ქართლის მეფის ვახტანგის წერილი. ირანის თავხედი შახის თავხედურმა წერილმა, მუქარამ შომეე საქართველოს მიმართ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ოსეთის მებრძოლთა შორის და მათ შესახებ თავის მეთაურს: „ჩვენ ყველამ შოვისმინეთ! ძალიან გმადლობთ! ჩვენ ყველანი, და კიდევ სხვა მოიქმნება ისეთი გმირი,

რომელიც ხალხით მოკვდება შენთან ერთად ბრძოლაში“.

ოსი ხალხის ასეთი მზადყოფნა — მეფეელოს მომე ქართველ ხალხს — დიდად მოეწონა და ესაიჟოყნა საქართველოს ელჩს. აქვე გამოვლინდა ერთი საინტერესო დეტალი — ქართველ ელჩს ცოდნია ოსური. როდესაც ხეთაგი შეეკითხა დადიანს — თავადო, გაიგე მათი სიტყვები, რა თქვეს მათ? მან უპასუხა: „და რატომ არ უნდა გაიგე? ოსური ჯერ კიდევ ბავშვობაში ვიცოდი. ჩვენს იმერლებში ბევრი ოსი ცხოვრობს, ერთიმეორეში ნათესაობაც კი გვაქვს“.

კოსტა ხეთაგუროვი ქართველ ხალხს გულწრფელი მეგობარი იყო. ღრმა, ნაუქრობელ ინტერესს იჩენდა მეზობელი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, მისი დიდი ისტორიის, მდიდარი კულტურის მიმართ. შინაარსიან და საინტერესო მასალას ამ საკითხზე იძლევა სამი ქართველი მოღვაწის შოგონება. ჩვენ მხედველობაში გვუვას გემო კლიმენტი კონსტანტინეს-ძე თოფურაძე, რომელიც კავკავში ცხოვრობდა და მეგობრობდა ხეთაგუროვთან და მის. უთიანთან, და ქართული მეცნიერებისა და მუსიკის ცნობილი წარმომადგენლები — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიოსები ა. თვალტრედიძე და დ. არაყიშვილი. მასალები იჩახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარდღოეთ ოსეთის სამეცნიერო-საკულტო ჩრდილოეთ ფონდებში¹.

1889—1890 წლებში თოფურაძე სწავლობდა ელდოეაკვის კლასიკური გიმნაზიის უკანასკნელ კლასში. „კოსტა ხეთაგუროვი, წერს იგი, ცხოვრობდა მეზობელ ოსთაში ჩემს გვერდით. რაკი მეზობლად ეცხოვრობდით, ჩვენ მალე

¹ ამ სამი ავტორის შოგონებს მოეიტანთ ე. ალბოროვის საინტერესო წერილიდან „კოსტა ხეთაგუროვი — ხალხთა მეგობრობის მომღერალი“, თბ. გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, 1953 წ. 21 აპრილი № 79.

დამეგობრდით, აგრეთვე ჩემი სკოლის ამბავები — ქართველები — იოსელიანი, კოჭინაშვილი და სხვები, და ოსები ძმები ბაყეები... მე და კოსტა იმდენად მეგობრულად ვცხოვრობდით, რომ ჩვენს შორის თითქმის არავითარი ფულადი ანგარიშები არ ყოფილა.

იმევე წლებში ვლადიკავკაეში ცხოვრობდა მიხეილ ზაღისძე ყიფიანი, სამიჯნაო ოკრუგის უფროსი. ადგილობრივ მოსახლეობას შორის იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ეს იყო პროგრესულად და დემოკრატიულად განწყობილი ადამიანი; იყო ქართველებს შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, კარგი ფლობდა მშობლიურ ენას. მისი სახლი და იყო ჩვენთვის, ქართული მოსწავლეებისათვის, და ჩვენ კოსტასთან ერთად თითქმის ყოველ შაბათს მივიდიოდით მასთან „ერთ ჰიჭა ჩაიზე“. მ. ზ. ყიფიანის გავლენით და მისი დახმარებით კოსტამ წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართული საზოგადოების ნიშნებს მიხედვით რუსულ ენაზე შეადგინა ისეთივე წესდება მთიულეთისათვის. კოსტა და ყიფიანი მაშინ იუვენე და შემდეგშიაღ დარჩნენ დიდ მეგობრებად.

ხეთაგუროვი და თოფტრიძე შშირად დადიოდნენ ოსური ეკლესიის მღვდელ ცალიკოვის სახლშიც. ცალიკოვს დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარია, ამიტომ კარგად იცოდა ქართული ენა და ინტერესით უამბობდა კოსტასა და თოფტრიძეს ქართველი კლასიკოსების — ი. კვაჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის შესახებ. თოფტრიძე გვაჩვენებს შემდეგ ძვირფას ცნობებს: „კოსტა ნაწიბდა, — აგონებს იგი, — რომ არ იცოდა ქართული ენა და დედანში ვერ კითხულობდა ქართველ კლასიკოსებს. მას განსაკუთრებით აინტერესებდა ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებები, რომლებშიააც ასე ლამაზად და სიმათლით აგვიწერა მთელით ცხოვრება: თუმცა კოსტა ისტორიკოსი არ იყო, მაგრამ ქართველი და ოსი ხალხის გულწრფელ მეგობრობას მაღალ შეფასებას აძლევდა“. უნდა გვახსოვდეს ერთი საგულისხმო ფაქტი: 1893 წ. ხეთაგუროვი ვაზეთ „სუეერნი კავკაზში“ გამოვიდა მოწოდებით საზოგადოებისადმი ალ. ყაზბეგის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ წერილის ისტორია ასეთია: 1893 წლის 27 აპრილს (№ 94) ვაზეთმა **Тифлисский Листок** — მა გამოაქვეყნა ვაზეთის პირველ გვერდზე წერილი **„Две награды“** სადაც ამცნო საზოგადოებას მართლა შემამარწუნებელი და აღმამოფითებელი ცნობები ავადმყოფი მწერალ-ქართული ლიტერატურის კლასიკოსის სანდრო ყაზბეგის შესახებ. წერილი აღნიშნული იყო, რომ ის მწერალი, რომელმაც ხალხს მისცა „მრავალი ბრწყინვალე ნაწარმოები“, ჯერ

კიდევ თუმცა არ მომკვდარა, მაგრამ მისი სიციცხლე „სიყვდილზე უარსეთა“ — ვგ. კუთახე შეირყა, „დაქარგა ღვთის მიწინააღმდეგე ძვირფასი ნიჭი“, იმყოფება ხართო პალატაში სხვა შემოღობბთან ერთად, იყვებება პროგრესუქანასკნელი ლატაკო, არა აქვს ისეთი პირველი სპირიტების საგანიც კი, როგორცაა ჩაი და ისეთი უმნიშვნელო სიამოვნება, რასაც პაპიროსი წარმოადგენს. უფრო მეტიც — მას არ გააჩნია ფული, რომ გადაუხადოს თავისი შესანახი თანხა კავადმყოფოს და ამ დღეებში მას, როგორც უსარგებლო ნივთს გამოისყრიან ქუჩაში, და აი ნამდვილი ჯილდო დიდი მწერლისა — მან ძონძებში უნდა იხეტიალოს ქუჩაში და სადღაც ღობის ძირთან შიშნლიით სული დალიოს.

თბილისის ვაზეთის ამ სამიწნელმა ცნობამ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა დიდ ოს პოეტზე. ეს ცნობა — ბურჟუაზიულ-თავიდაზნატურული საზოგადოების გულგრილობის, გულცივიობის მკაფიო გამოხატულება იყო, ამას გარდა ეს უნებოდა მისი მეგობარი — სანდროს სვე-მედს. და აი სულ რამოდენიმე დღის შემდეგ კოსტა წერს (1893 წლის 3 მაისს) წერილს სტავროპოლში და უგზავნის ვაზეთ **„северный Кавказ“**-ს.

„წერილს რედაქციისადმი“ (თხზულებათა კრებული, ტ. III, მოსკოვი, 1951 წ., გვ. 7-8). უველას, ვინც კი ცოტად თუ ბევრად დაინტერესებულა კავკასიის მოღვაწეთა ბედობლით, წერდა ხეთაგუროვი, ცოტა როდი გავგონიდა და წაუკოთხავს ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის მიძივე ხეუდრის შესახებ. დიდა ოსი პოეტი მაღლა აყენებს ქართული ლიტერატურის სიამაყეს — ყაზბეგს და მას საპატიოლანად თვლის ხალხის გულის მესიოდუმლად, „ხალხის მომღერლად“, მისი პირიყარამის და ოცნების გამოხატველად და მგოსნად. ამავე დროს იგი „ჰუმმარტად უბედურია“, დასცენის ატორი. ხეთაგუროვის ჰუვაგონება ვერ ურიგდება იმ გარემოებას, რომ მწერალი, რომლის ნაწარმოებებს „ხალხი კითხულობს გატაცებით“, დიდი სიყვარულით და პატივისცემით ინახავს ძვირფას უდაში — ის უნდა იყოს ტრეტელი, ძონძებში დაეხეტებოდეს უბატრონად და სადაც სული მილიის შიშნლით, როგორც უქანასკნელი მაწაწაწამ. სანდრეტესია, როს ყაზბეგის ავადმყოფობის მიზეზს ოსი პოეტი ეძებს მის დაძაბულ, განუწყვეტელ შრომასა და კაპანწყვებაში. ალექსანდრე ყაზბეგმა დაქარგა ღვთის ძვირფასი ნიჭი შეიძლება იმიტომ, რომ მოჭარბებულად მისცა, მიუძღვნა თავისი მადლიანი ნიჭი თავის მომობლურ ხალხს აღნიშნავს ხეთაგუროვი როგორ კარგად შეაფასა ოსმა მწერალმა ყაზბეგის დაუთვიყარი ღვაწლი და ამავე ქართველი ხალხისა და კულტურის წინაშე!

დასასრულს, ხეთაგუროვი წერდა: „უმორი-
ლესად ვთხოვ კავკასიის სხვა გამოცემათა
ბატონ რედაქტორებსაც გადაბეჭდონ ეს წერი-
ლი“.

ასე გულმზერაულად და ღრმა სოლიდარო-
ბის გრძნობით გამოხვამურა დიდი ოსი პოეტი
თავისი ძმისა და მეგობრის — ქართველი ხალ-
ხის დიდი მწერლის ს. ყაზბეგის ტრაგედიაში.

ალექსანდრე თეატრელების მამა 1890 —
1892 წლებში მსახურობდა სტავროპოლის გუ-
ბერნიის სახალხო სასწავლებლების ინსპექტო-
რად. ალექსანდრე სწავლობდა სტავროპოლის
გიმნაზიაში. მათთან ამ ქალაქში ცხოვრობდა
მისი ბიძა პარმენი, რომელიც წერდა და ბეჭ-
დვდა იმ დროის ქართულ პერიოდულ ორგა-
ნოებში ლექსებს, მოთხრობებს, პოემებს. „ბი-
ძანემი და კოსტა ხშირად მოდიოდნენ ჩვენ-
თან, — გვიამბობს ა. თეატრელიძე, — მთ
ორივეს და მამანემს უყვარდათ საუბარი
ლიტერატურულ და საზოგადოებრივ თემებზე.
გარდა ამისა, ბიძანემმა კოსტას გააცნო ქარ-
თული ლიტერატურა და საკუთარი ნაწარმოე-
ბების შინაარსი. კოსტას ახარებდა ქართული
პრესის განვითარება და დარწმუნებული იყო,
რომ ახლო მომავალში შეიქმნება ოსური ლი-
ტერატურაც“.

დომიტრი არაყიშვილი, კოსტა ხეთაგუროვ-
თან პირადად შეხვედრა — გაცნობამდეც აღ-
კურეილი იყო ღრმა პატივისცემით დიდი ოსი
პოეტის მიმართ. ქართული მუსიკის მომავალი
ცნობილი მოღვაწე ხეთაგუროვს კარგად იცნო-
ბდა თავისი უფროსი ძმის გოგრჯის ნაშრობის
მიხედვით, რომელიც კოსტასთან ძალიან ახლო
დამოკიდებულებაში იყო, მეგობრობდა მასთან
ჯერ კიდევ კოსტას მოწაფედ ყოფნის დროს.
ამრიგად, არაყიშვილის შეხსენებაში ოსეთის
პოეტის დიდებული სახე აღიბეჭდა ჯერ
კიდევ ბავშვობიდანვე.

იგი ასეთ დამახასიათებელ დეტალს გადმოგ-
ვცემს:

„მე ესწავლობდი ვლადიკავკაის გიმნაზიაში
დაახლოებით 1885 — 1886 წლებში, როცა 12-
13 წლისა ვიყავი. ხშირად გიმნაზიიდან სახლში
დაბრუნებისას ალექსანდრეს პროსპექტზე (ბელ-
ვარში) ყურადღებას ვაქცევდი აბრას, რომელ-
ზედაც წარწერილი იყო: „კოსტა ხეთაგუროვის
სურათის გამოფენა. წმინდა მოციქული ნინო —
საქართველოს განმანათლებელი“. ეს აბრა
დღესაც მახსოვს და წარმოვიდგენ მას ჩემს
შეხსენებაში“. (ცხადია ეს მოხდებოდა მხო-
ლოდ 1887 წლის ნოემბერში. ამის შესახებ
ვახუტე „ივერიაში“ — 1887 წ. 16 დეკემბერი,
№ 264 — ჩვენ ვკითხულობთ: „გაზ. „Сенаторъ и
Кавказ-სა წერენ, რომ კავკაჟში მხატვარს
ბ-ნ ხეთაგუროვს გამოეცნა დიდი სურათი წმ.
ნინოსი, საქართველოს განმანათლებლისა. სე-
რათი თერმე ასე ცხოველად არის დახატული,
9. „მნათობი“ № 10.

რომ ხალხს არა სჯერა, თუ ეს სურათი გულმ-
ზერა მიკრული, ჰგონია, რომ გამოქანდაკებუ-
ლიაო და ამიტომ ბ-ნ ხეთაგუროვს ხალხს
ხოლმე, რომ ახლო გავეცანინებო...“.

1899 — 1900 წლებში დ. არაყიშვილი მოს-
კოვიდან არმავირს ჩამოვიდა თავისი ძმის გიორ-
გის სანახავად, რომელიც იმ დროს არმავირ-
ში ცხოვრობდა. ძმისაგან მან ერთი პატარა
წიგნაკი მიიღო, უყულო, რუბი, რუბი გრავირა — ეს
იყო კოსტა ხეთაგუროვის რუსულ ლექსთა
კრებული, რომელიც კოსტამ არაყიშვილის ძმას
აჩუქა.

ხეთაგუროვის ლექსთა კრებულმა დიდი შთა-
ბეჭდილება მოახდინა მომავალ ქართველ მუსი-
კოსზე. ამიტომ ადგილი ჰქონდა ასეთ საინტე-
რესო მოვლენას: არაყიშვილმა იმავე 1900
წელს კოსტას ლექსების სიტყვებზე სამი რო-
მანსი დაწერა, რომელთაც წილად ხედათ გარ-
კეული წარმატება. პირველი ამ რომანსთაგან-
ია — „ნუ დაშვიტონებთ მას უგუნრად“ და-
წერილი იყო ლექსის „მოთელი ქალის სიყვი-
ლზე“ მიხედვით (ეს მშვენიერი ლექსი კოსტამ
დაწერა ახალგაზრდა მთიელი ქალის გამოტო-
რების გამო, რასაც პოეტი მშობლიურ აულში
დაესწრო). ეს რომანსი გამოცემული იქნა მოგ-
ვიანობით 1936 წელს. ორი რომანსი კი დაწე-
რილია პოემის „ფატიმას“ სიტყვების მიხედვით.
მთ ეწოდება: „მწვემის სიმღერა“ და „მზე
აღარ ბრწყინავს“. ეს რომანსები უკვე 1902
წელს გამოიცა თბილისში კონსტანტინე მესხი-
ევის ლიტოგრაფიაში, ხოლო ერთ-ერთი მათ-
განი — „მზე აღარ ბრწყინავს“ — ჩაწერილი
იქნა გრამაფონის ფირფიტაზე გამოჩენილი
ქართველი სიმღერლის ვანო სარაჯიშვილის
შესრულებით.

პირადი შეხვედრა დ. არაყიშვილისა კ. ხეთა-
გუროვთან მოხდა 1902 წელს, ამ წლის ზაფ-
ხულზე არაყიშვილმა დიდი მოგზაურობა ჩაა-
ტარა საქართველოში ქართული ფოლკლორული
სიმღერების სააწარმად. ამ წლის ბოლოს მან
საქართველოდან შეიარა ვლადიკავკაჟში, რომ
ოსური ხალხური სიმღერებიც ჩაეწერა. ამ
საქმეში დახმარებისათვის მან მიმართა თავის
კარგ მეგობარს სპეციალ-ხეთაგუროვს. უკა-
ნისცნულა კი სამართლიანად განიცხადა — ამ
საიათზე საჭიროა კოსტა ხეთაგუროვთან მო-
თათბირებამ.

მათლაც, მეორე დღეს მოხდა შეხვედრა
ოსთა დიდ მოღვაწესთან. როდესაც მან ვაიკო,
რა მიზნით ჩამოსულიყო ქართული მუსიკის
მოღვაწე, მას ძლიერ ენაბ და გაუბარდა „კოს-
ტამ უაღრესად კულტურული ადამიანის შთა-
ბეჭდილება მოახდინა... კოსტა ძალიან მჭაჭ-
ნობიარედ მოეკიდა ამ საქმეს“. — გვიამბობს
დ. არაყიშვილი და მართლაც, მეორე დღეს
შეგროვილი იქნენ ოსი მომღერლები და მათ
მეორე შესრულებული სიმღერები ქართველმა



მკვლევარმა — მესიკოსმა ჩაწერა ფონოგრაფზე. ყველა ზემოაღნიშნული მასალა იმდენად სრულ საშუალებას, რომ დაეასყენათ, როგორც ამას ჩადის გაზეით „საბჭოთა ოსეთი“: კოსტა ხეთაგუროვი ძალიან გატაცებული იყო ქართული კულტურით, მკვიდროდ იყო მასთან დაკავშირებული, ითვისებდა უოველივე საუკეთესოს, რაც შექმნილია ქართველმა ხალხმა და მუდამ მეგობრობის მაღალ გრძობას იჩენდა მომემ ქართველი ხალხისადმი, რომელთანაც საუკუნეების განმავლობაში დაკავშირებული იყო მისი მშობლიური ოსი ერი.

საესებით გასაგებია, რომ მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა დიდი ყურადღებით აღევნებდა თვალურს მომემ ოსი ხალხის კულტურულ განვითარებას. ამ საკითხს, მაგალითად, ვაჟთმა „ივერიამ“ 1899 წლის ივნისში მიუძღვნა საკმაოდ მობრძლივი სტატია, დაწერილი ცნობილი ქართველი მეცნიერის — პროფესორ ალ. ხაბანაშვილის მიერ. წერილის სათაურია „მოძრაობა ოსეთში განათლებისათვის“ („ივერია“, № 136, 1899 წ. 29 ივნისი). ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია წერილის დასაწყისი, მისი, ასე ვთქვათ, პრინციპული ნაწილი, პლატფორმა, პატივცემული ქართველი მკვლევარი, გამოსატყეს რა მთელი ქართველი პროგრესული საზოგადოების აზრსა და ფიქრებს, წერს:

„კაცობრიობის ცხოვრებას ერთი მაღალი აზრი აწარმოებს. ეს აზრი განყენებულია, იდეალია და მისი განხორციელება შეადგენს საგანს განათლებისას და ამ აზრის დედა-ძარღვს გამოჰბატავს ორი სიტყვა „სიყვარული და სათნოება“ კაცთაშორის. ვისაც ეს წინადაცნება შეუფერია, იმისთვის მუშაობის და თანამოაზრის შედენიერება სასახარებელია და მისი მწუხარება საეალალო. ერთი სასიამოვნო მოძრაობა აღინიშნა ჩვენს მოსახლარე ხალხში, რომელთანაც საქართველოს უცხოერია მრავალი საუკუნე, და ეს მოძრაობა გულსაზმირთა ჩვენთვისაც; მე მოგახსენებთ ოსების განათლებისათვის მისწრაფების შესახებ.“

სიამოვნებით მოგვითხრობს ავტორი, რომ ოსურ ანბანზე ჯერჯერობით გამოვიდა, გარდა საუკუნისო წიგნებისა, „საერთო ნაწარმოებიც“ — 1897 წ. ღამბო ბაევის და ალ. კუბალტის ნაწერებში.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ა. ხაბანაშვილის სტატიის შემდგომი ნაწილი, რომელიც მიძღვნილია კ. ხეთაგუროვის შემოქმედებისადმი. მკვლევარი იცნობს ქართველ საზოგადოებას, რომ 1899 წ. გამოვიდა კ. ხეთაგუროვის ლექსთა კრებული „Иран Паен-дзу“ („ოსების ფანდერი“). ქართველი მეცნიერი არჩენს და ახასიათებს ამ კრებულის შენაარსს — იგი მრავალფეროვანია, შეიცავს ლექსებს, ლევენდებს, ანდაზებს და სხვა მასა-

ლას, იგი გვამცნობს, რომ ოსების ლექსთა წყობა ტონერია, იგი აგებულია ხმის გვადლებზე.

ფრიად ღირსშესანიშნავ ცნობას შეიტყეს ჩვენი მეცნიერის წერილის დასრულებით ნაწილი. იგი დამახასიათებელია ქართველი მოწინავე წერების დამოკიდებულებისათვის ოსი ხალხის მიმართ. ამ ნაწილში წერია: „ამ ზან ხეთაგუროვს, დედით ქართველს, შურის ვადთარგმნოს აგრეთვე ოსურად ჩვენი „იოლღუზანი“ (როგორც ცნობილია, იგი დაწერილია ოსი ხალხის ღირსეული შეილის ივ. იაღლუზიანის მიერ), რომელსაც დაუცვამს ოსების ისტორია. ვუსურვოთ ოსებს წარმატება ამ პათოისანს გზაზედ და ვინაერთით იმათის საერთო მწერლობის გაფერჩნა.“

ოსი ხალხის დიდებული შეილი, ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი კოსტა ხეთაგუროვი თავისი მრავალტარეული ქვეყნის მკვნივარე პატრიოტი იყო. ის უმღეროდა თავის მშობლიურ განაწამებ ხალხს, ოცნებობდა და იბრძოდა მისი ნათელი ცხოვრებისათვის. აღზარდილი რუსეთის პროგრესული-განმათავისუფლებელი და რევოლუციური-დემოკრატიული იდეებზე, კოსტა ხეთაგუროვი ხალხთა მეგობრობისა და მშობის გულწრფელი მომღერალი იყო. ის მოუწოდებდა ყველა ჩაგრულ ხალხს შექმნათ ერთიანი ფრონტი — საერთო შტრის — მეფის მთვრობის, მემამულეებისა და ზურღუბების წინააღმდეგ.

„...ასწიეთ ქიქა, გაუმარჯოს ჩვენსა მშობას და ჩვენს ხალხსა“...

სწერდა იგი. ხალხთა მშობისა და სოლიდარობის მომღერალი ღრმა პატივისცემული იყო ქართველი ხალხისა და მისი მოწინავე აღმაშენებისა. დიდი პოეტი თბილისის ხშირი სტუმარი იყო. იგი გაფაციცებით თვალურს აღევნებდა საქართველოს შინაურ ცხოვრებას, იცოდა მისი კირ-ვარამი, მისი ისტორია.

პოეტის ატიქითა ახლახან აღმოჩნდა უცნობი მასალა, 1896 წლით დათარიღებული. ეს არის ბროშურა „Церковный вопрос в России“ ბროშურა დაუთავრებელია და ჯერ გამოკვლევული არ არის, ვის კალამს ეუთვნის. ვიციით მხოლოდ, რომ იგი კოსტას ხელით არის გადაწერილი. ამ ბროშურის 11 გვერდი საქართველოს, მეფის კოლონიზატორების შიგ ქართული ვნის დევნას ეხება, კერძოდ გულსიამოვი; მასში გამომდევნებულია აუარებელი ფაქტები იმის შესახებ თუ როგორ ძარცვადნენ მონასტრებში დაგროვილს ქართველი ხალხის ისტორიულ სიმდიდრეს მეფის გუბერნატორები და მოხელეები (გრაფი პანინი, გენლევამოვი და სხვ). ეს აღსატრებს, რომ კოსტა ხეთაგუროვი ცხოველ ინტერესს იჩენდა საქართველოს შინაური ამბებისადმი.



როგორც ცნობილია, კოსტა ხეთაგუროვი სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც დასტოვა გაბირების გამო. სამშობლოში დაბრუნებისთანავე იგი სწერს თავის პირველ სურათს, რომელიც მან კავკაზში გამოაქვინა 1857 წ. 29 ნოემბერს. ეს სურათი იყო „წმინდა ნინო — საქართველოს განმანათლებელი“. ამ ნახატში ნინო მოცემულია არა რელიგიურ — მისტიკური გავებით, არამედ როგორც მიწიერი მისწრაფებითა განსაზივრება. ეს არის ლამაზი ქართველი ქალი, საეჭვო სიკატლითა და ფერგებით — ნამდვილი სიმბოლო საქართველოს სიღამაზისა, სიუბვისა და სამდიდრისა.

კ. ხეთაგუროვი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში. ერთხელ სახალხო სახლში მოხუცებულ კი წაუთხოვს ოსური ლიტერატურის შესახებ. ოსებმა იმედგამოღებულად გამოგვეცხადეს იგორ დედუშაურის მიერ ნაამბობს. — კოსტა ხეთაგუროვი ხშირად დადიოდა ალექსანდრე ყაზბეგთან, ჩერდებოდა მასთან რამდენიმე დღით, კოხტულობდნენ, შესაფრთხილდნენ და დროს კამათში ატარებდნენო. ლედუშაური იგონებს ასეთ ეპიზოდს:

„ერთხელ კოსტამ ნაღვლიანად ჰკითხა სანდროს:

— როგორ ფიქრობ, სანდრო, ჩვენი ხალხი დაიღუბება და რუსი მეფე საბოლოოდ გაიმარჯვებს, თუ ხსნა შინა ვეაქვსო?“

სანდრომ შეხედა და ბოლოს ასე მიუგო:

— არა, კოსტა! რუსი ზელშიფე დაიღუბება, ჩვენი ქვეყანა აღსდგება. ჩვენი ბედი დაღუბული არ არის, ჩვენ დროებით დაგვახოქესო“.

მტკიცედ სწამდათ ქართველი და ოსი ხალხის დიდ შეიღებს — მთის არწივებს — თავიანთი ხალხის აუცილებელი გამარჯვება და საერთო მტრის მოსაბა.

არსებობს მრავალი დოკუმენტალურად დადასტურებული ცნობა კოსტა ხეთაგუროვისა ქართველი ხალხის ერთ-ერთი ღირსეული და გამოჩენილი მოღვაწის, მიხეილ ზაალის-ძე ყფიანის მეგობრობის შესახებ.

მიხეილ ყფიანი იყო იმ მოწინავე ქართველ ახალგაზრდათაგანი, რომელიც 60-იან წლებში ეზიარა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ და პროგრესულ აზროვნებას, შეიყვარა შშაომელი ხალხი და, მოწინავე იდებოთ შეიარაღებული, ახალგაზრდული აღტირებით და რწმუნით ემსახურებოდა თავის სამშობლოს, მის ელტურებს. იგი ღრმა პატივს სცემდა სხვა ერებს. ცნობილია, რომ 60-იან წლებში პეტერბურგში მიხეილ ყფიანი, ნ. კანანოვი, ნ. ყაზბეგი (ქართველები) ერის მტრივ, ხოლო ა. არდასილი, დ. სოსივი ე. შანაველი, ე. ვაზნაძე (ოსები) მეორე მხრივ, თავს იყრიდნენ რუსი რევოლუციონერი — ქალის ოღვა პალიცინ-კანოვის ვარშემო. ცნობილია, რომ მიხე-

ილ ყფიანმა სცადა გაეთავისუფლებინა რევოლუციონერი-ნაროდნიკი ციციანევი, რომელმაც მთელი თავისი ქონება რევოლუციონერებს გადასცა, რის გამო დაპატიმრებული იქნა თბილისში და შემდეგ ციხეშიც გაგზავნილი.

მ. ყფიანი მთიელი ხალხისა და ღარიბი გლეხაკობის ნამდვილი მეგობარი და მეფის მოხელეების მიერ ჩაგურულ-შეუფროვებელი ეროვნების დამცველი და ქომაგი იყო. განუასახლრელი სიყვარული დამსახურა მან მთიელთა შორის (ის მეშობდა თერჯოლის ოლქში სამიწადმოქმედო ორგანიზში) თავისი სისხეტაკითა და ღარიბთა მიმართ გულშემატკიცრობით.

მის ყფიანმა დასტოვა ერთი შესანიშნავი ნაშრომი „უახზვეიდან იაღბუზამდე“. ამ შრომაში ის აგვიწერს მთიელთა აუტანელ ტარჯევას.

დღი ამგა დასდო მის ყფიანმა თავის შშობლიერ ქვეყანასაც. 1862 წ. მან ე. თულა-შვილთან ერთად შეადგინა და დაბეჭდა პირველად ქართული არითმეტიკა. 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდა მის ყფიანის წერილები ჩიტორელიძის ფსევდონიმით. მან სათარგმნა ლერმონტოვის „ეპირი ჩვენი დროებისა“ და ზელისკის ზოგერითი წერილი. 1864 წ. მან შეადგინა ე. წ. ქართული „ყენის შრიფტი“, რომლითაც შემდეგ იგერია იბეჭდებოდა. 1865 წელს თარგმნა და დაბეჭდა ეურნალ „ცისკარში“ შექსპირის „იულის ცეზარი“. მან შეადგანა საქართველოს ანერისის რტკა. 1870 წელს დაიწყო მთავ-მატიკური სახელმძღვანელობის შედგენა ქართულად, დამუშავა მათემატიკური ტერმინოლოგია, რისთვისაც შეისწავლა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ძველი ფონდი და იქიანი ამორიფა გამოსაღვი ტერმინები და 1886 წ. დაბეჭდა ვრცელი ქართული არითმეტიკა. 1887 წ. დაბეჭდა მისი ქართული გეომეტრიის პირველი ნაწილი (გეოდეზია-ტრიგონომეტრია).

მის ყფიანს დაუღალავი მოღვაწეობა დადა დადასა ქართველთა საზოგადოებამ და, ერთობ, ვახ. იგერიაში, რომლის რედაქტორ-გამომცემელი ილია ქავეკაძე იყო. მთელი ერთი კვირის განმავლობაში 5 მარტიდან 12 მარტამდე „იგერია“ ბეჭდვდა ვრცელ მასალებს მიხეილ ყფიანზე. მან უძღვნა ამ მოღვაწეს ორი მოწინავე წერილი — ერთი 10 მარტის ნომერში, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმუნით ილიას კალამს უნდა ეკუთვნოდეს.

თი, რას სწერს ილია მის ყფიანზე:

„მიხეილ ყფიანი ერთი იმისთანა კაცი იყო, რომლის მოკლენა და მარმე გაცლა დღხან სტოველს ციციელად მის მიერ დაპყრობილ აღგოსა. როცა უნდა შეიტყონ ერთი არ ღონისა და ძლიერების პატრონია, ყფულად უწინარეს იმისთანა კაცებს ჩამოთვლიან ხოლმე, როგორც მიხეილ ყფიანი იყო... ამისთანა კაცის

დაყარგვა სწორედ კლებდა ერისა და ქვეყნისათვის. ილია აღნიშნავს, რომ ყოფიანი საქმობდა, ირავებოდა, მზნებოდა, რომ იგი აღამებდა დღეს და ათუნებდა ღამებდა. „უანგარო ზრდევით, ამ სიყვარულითა და გულისტკივლით, რომ ჩითიმე გეარგოს, რამე შეგვიინოს“. — ამ პატიოსანი კაცის გულში — ამბობს ილია — არა თუ დიდი, მთელი ადგილი ეკორა ჩვენს პატარა სამშობლოსო.

ეს შეფასება ასე დაწერილებით იმბტომ მოვიყვანეთ, რომ დავანახეთ მკითხველს ილიასა და კოსტა ხეთაგუროვის შეჭედულებათა სრული დამთხვევა მიხეილ ზაალის-ძე ყოფიანის შესახებ.

კოსტა ხეთაგუროვი გულითადი მეგობარი იყო მიხეილ ყოფიანისა. მიხეილ ყოფიანი გვრდში უღვა კოსტას მთელთა და კრძოლ ოსთა ინტერესების დაცვის საქმეში, ამ ბრძოლამ და მოღვაწეობამ მძერი და განუტრეელი კაცობით დააბლოვა ისინი და, როცა გარდაიცვალა განუწყვებლად კამაწყვევითი ძაღლიდელი მიხეილ ყოფიანი, კოსტამ მისი სიყვლილი განიცადა, როგორც მძიმე ლახვარი და დიდი დანაჯლისი.

დიდმა პოეტმა ეს მწუხარება აღბეჭდა ორი შესანიშნავი ლექსით ოსურ და რუსულ ენებზე. კოსტა ხედავდა, რომ საყვარელი ადამიანის გარდაცვალებამ ძლიერ დაამწუხრა ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ქართველები, რუსები, ოსები, სომხები.

აი ეს ლექსი:
 როდესაც გულის სიღრმემდე მწედება ხალხის ხმა — ოხვრით დამძიმებული, — მაშინ მეც თვალზე ცრემლი მიშრება და ვდგევარ უზმოდ გარიდებული. ...მძვ, შეგობარო, ვით ძვირფას მამას, არ დავივიწყებს ახლავარდობა, და მოგონებს უდიდეს ამაჯს, შენს მართალ გულს და მშობლიურ გრძნობას. შენ მზე იყავი მანათობელი, ჩვენი გულები — შენი ძეგლია, დღეს მოწიწებით ვართ მადლობელი და ვესალმებით შენს გზას ეკლიანს. (ჩვეული ნაწერების კრებული, 1939 წ. გვ. 213-214).

4 მარტს მიხეილ ყოფიანის ცხედარი კავკაზიდან თბილისში ჩამოსვენეს. აუარებელი ხალხი იყრის თავს ცხედართან გამოსათხოვებლად. სიტყვას ამბობს რუსთა წარმომადგენელი, შემდეგ ქართული მასწავლებელი და შემდეგ, მაგრამ მიუცეთ სიტყვა „ივერიას“.

„მას უკან დიდის გრძნობით წარმოსთქვა ლექსი ჯერ ოსურად და შემდეგ მეორე ლექსი რუსულად კოსტა ხეთაგუროვმა. შინაარსი ოსური ლექსისა მოუღებ ასეთია: „გზა მშვი. დობისა! ჩვენთვის აღარა ზრუნავ ახლა. ქვეყნად გვარება შენისახელი. შენი მომდურავ ერთიე არ არის ჩვენ შორის. სახელი შენი

საუკუნოდ ცოცხალი იქნება. თვით სიცოცხლე შენი საუკუნო იქნება. მარტო შენ შესძულ და ერს შესწირე შენი კეთილდღეობა, უკეთესი სიბერემდე ნატრითი გვერდმა შენსაგზა ერისა. ანთებელი ლამპარი გეკორა და გეინათებდი გზას. საცა საჭირო იყო იბრძოლი, მაგრამ უფრო ხშირად აღერსი გეხერხებოდა. დედასავით გიყვარდა სამშობლო. კეთილი მწევესი იყავი ღარბთათვის. რით გადავიხადით სიამგეირო? საუკუნოდ იყოს ხსენება შენი — უბედურის ვართ ჩვენ. ასევე უბედურია ის, ვინც სტირის აქა“.

„ივერია“ აგვიწერს, რა შთაბეჭდილება მოახდინა კოსტა ხეთაგუროვის ამ ოსურმა ლექსმა. „დამსწრე ოსნი ამ ლექსის წარმოთქმის დროს სმენად გადაიქცნენ, ცდილობდნენ გაიგეთ თვითული სიტყვა ლექსისა, რომელმაც ისე ძლიერ იმოქმედა, რომ მათ შორის თვით გულმაგრებმაც კი ვერ შეიკავეს ცრემლ“ („ივერია № 53 — 1891 წ. 10 მარტი).

კოსტა ხეთაგუროვის ოსური ლექსი მის ყოფიანს სცეღდისის გამო, რომელიც პოეტის მიერ დათარიღებულია 1891 წ. 3 მარტით, წარმოადგენს დიდი ოსი პოეტის ერთერთ შედევრს თავისი იდეური გაღწეულიობით, სეტყავი გრძნობათა აღსილობით და ლამაზი ფორმით. ამიტომ შეიყვარა ეს ლექსი ოსმა ხალხმა.

ოსური ლექსის მოკლე შინაარსის გადმოცემის შემდეგ „ივერია“ ბეჭდავს კოსტა ხეთაგუროვის რუსული ლექსის სრულ ტექსტს. ეს არის ცნობილი ლექსი „На смерть М. З. Киншана“, რომელიც კავკასიის მაშინდელმა რუსულმა პრესამ, ჩვენთვის ვასაგები მიზეზებით, არ დაბეჭდა.

დიდი ოსი მწერალი ღრმა პატივისცემით სარგებლობდა ქართველ ხალხში. როდესაც კ. ხეთაგუროვი გადმოასვენეს გეორგიევსკიდან, პრაცესიას სხვათა შორის შეეგება ქართველ მშრომელთა დელეგაცია მოქ. შოიშვილის მეთაურობით და დიდებული პოეტის კუბო შეამკო ძვირფასი ფარჩითა და გვირგვინით. კავკასი ქართველი მშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ოსეთის ეროვნული სიამაის — კოსტა ხეთაგუროვის ღირსეული დამარხვის ორგანიზაციის საქმეში. კერძოდ ქართულთა წარმომადგენელმა პოეტის ცხედრის წინაშე გულთბილი სიტყვა წარმოთქვა.

მოწინავე ქართველი პრაცესიელი საზოგადოების გელისტკიელი ოსი ხალხის დიდი პოეტმა, მოქალაქის, მებრძოლისა და პატრიოტის დაყარვის გამო იმ დროს მშენიერად გამოხატა ცნობილმა ქართველმა პედაგოგმა ლ. ბოცვაძემ თავის წერილში ვაზთ ეტირსიე ველომოსტრ-ში 1906 წ. 15 აპრილი, № 81.

ქართველი ავტორი განსკვრეტს, რომ ხეთაგუროვის სახელი და პოპულარობა მისი სიყვლილის შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება, როცა

ყველა გაიფხვრა, რომ კოსტას პოეზია აღსავსეა ხალხის გაქირავებისადმი გულითადი თანაგრძნობით, რომ მას შედეგობაში აქვს ხალხის ბედნიერება და კეთილდღეობა.

თანამედროვე საზოგადოებამ ვერ დააფასა ღირსეულად დიდი პოეტი — გულისწყრომით და სინანულით აღნიშნავს ბოცრად. ამავე დროს „კოსტას მსგავს ადამიანებს ბუნება განსაზღვრული რაოდენობით აძლევდა, ხოლო ზოგჯერ იგი ისე ძენწნია, რომ ასე დაჯილდოებულ ადამიანებს საუკუნეები წარმოშობენ“. ამიტომ კოსტა ხეთავუროცის უდროოდ დაკარგვა „მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს არა მარტო მოვლ ოსეთზე, არამედ კავკასიის ყველა მცხოვრებზე, სარწმუნეობისა და ერთგუების განტრიალად“. და ეს ამიტომ მოხდა, ამტკიცებდა ქართველი მოღვაწე, რომ ოსეთის დიდებული შვილი ენერგიულად იბრძოდა უმეცრებისა და თავაშვებული ბიუროკრატიული ხელისუფლების წინააღმდეგ, იცავდა ხალხის უფლებებს, მოუწოდებდა თავის ხალხს ახალი სამოქალაქო ცხოვრებისაკენ, „სხვა ხალხებთან სოლიდარობისა და ჩვენი საერთო სამშობლო — კავკასიის აყვავებისაკენ“.

„თავისუფლების მომტაცის და მამაცო მებრძოლის“, ხალხთა მეგობრობის შეუდრეკელი მეზაირატრის მიმართ უდიდესი სიყვარულით და ღრმა პატივისცემით აღსავსეა ღირსეული ქართველი მოღვაწის შესანიშნავი წერილის უკანასკნელი სიტყვები:

„მშვიდად განისვენე, ძვირფასო მეგობარო, ამახანავო კოსტა. შენი სსოვნა არასოდეს არ წაირმდება შენი ხალხის გულში და შენ ნაწონ-მასლობელ ქართველებში, რომლებიც შენში ყოველთვის ზედადნენ ნათელი შეზედულებებისა და იდეების თავადებულ მოციქულს“.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, კოსტა ხეთავუროცს გულწრფელად უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი, ქართული კულტურა და ქართული საზოგადოებრიობა დიდ ოს მწერალს ამ სვეტაკი და ნათელი განცდებისათვის ღრმა პატივს სცემდა და მძუტი გრძნობით იყო მისადმი განწყობილი. ჩვენი ხალხის ეს განწყობილება მშვენიერად გამოვლინდა ხეთავუროცის დაბადებიდან 80 წლისთავზე, 1939 წლის ნოემბერში. საიუბილეო დღესასწაული კერა ზატარდა ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ორჯონიკიძეში, ხოლო შემდეგ — სტალინარსა და თბილისში. ქართველ მწერალთა დღეგაცემამ მონაწილეობა მიიღო ზეიმში ორჯონიკიძესა და სტალინარში.

1939 წლის 28 ნოემბერს სტალინარში დი-

დი საზოგადოებრივი აღმავლობით ზატარებულ ოქნა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმების გაერთიანებული სხდომა ქალაქის საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვან წარმომადგენელთა თანდასწრებით.

სხდომა გახსნა აშხ. ა. ფადეევი. დიდი მოხსენებით „კოსტა ხეთავუროცს და სოცილისტური ეპოქა“ გამოვიდა ქართველი კრიტიკოსი ბ. ქლენტი. პოეტმა მ. გოროდენკომ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ქ. ხეთავუროცის სახეები და მისი ნაწარმოებთა თარგმნები საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე“. ღრმა შინაარსიანი მოხსენება კოსტა ხეთავუროცი — დრამატურგი“ გააკეთა ნ. პოგოდინმა.

საზეიმო სხდომაზე გვხვდებარე სიტყვა წარმოთქვა ცნობილი ქართველი პოეტმა და დრამატურგმა, ი. მოსალიელმა. კრებაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ოსი ხალხის ძველი და ნაცადი მეგობრის, გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის აშხ. ფილიპე მახარაძის მისასალმებელმა დეკლამაციამ.

ხეთავუროცის ზეიმი თბილისში გადმოტანილ ოქნა 1939 წლის 29 ნოემბერს. გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ საზეიმო საღამოს პროგრამა იქნება:

შესავალი სიტყვა — ორდენოსანი პოეტი ირ. აბაშიძე.

კოსტა ხეთავუროცის ცხოვრება და შემოქმედება — მომხსენებელი ორდენოსანი მწერალი შ. დადიანი.

პოეტები წაიკითხავენ კოსტა ხეთავუროცის ნაწარმოებთა თარგმანებსა და პოეტისადმი მიძღვნილ ლექსებს. საზეიმო სხდომის შემდეგ კონცერტი.

29 ნოემბრის საღამოს რუსთაველის თეატრის საზეიმოდ შორთული დარბაზი აივსო თბილისის საწარმოთა მუშებით, მწერლებით, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებით საქართველოს მთავრობის სახელით გამოსულმა განათლების სახალხო კომისარმა განაცხადა: დღევანდელი დღესასწაული ჩვენი დიდი და მრავალრიცხოვანი სამშობლოს ყველა ხალხის გრანდიოზული ზეიმი კოსტა ხეთავუროცის ოცნება სინამდვილედ იქცა. კოსტას სიმღერების აღაზნებდნენ ოს ხალხს თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში. კოსტას სიმღერებით მიდის წინ ბედნიერი ოსი ხალხი კომუნისტისაკენ.



კოსტა ხეთაგუროვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხვედრებანი

მეფის რუსეთის დამპყრობელ ხალხთა მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი სულიერი საუნჯენი ფართო მასებისათვის მისაწვდომი გახდა მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში, როცა ასე უშავალითოდ გაიზარდა და გაიფურჩქნა ამ ერების კულტურა და ეკონომიკა. ჩვენი ქვეყნის მოქმე ერების უკეთესი მომავლისათვის შეზარბოლ მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი უკირავს ოსეთის ხალხის საამაყო შეიღს კოსტა ხეთაგუროვის.

კოსტა ხეთაგუროვი დაიბადა 1859 წელს ჩრდილო ოსეთში, რაჭის მოსაზღვრე სოფელ ნარში. სწავლა დაიწყო სტაეროპოლის გიმნაზიაში, სადაც ის ხარბად დაეწაფა აგრძალებულ ლიტერატურას; არსებული წესწყობილების მიმართ თავიდანვე ოპონიურად განწყობილი კოსტა შემდეგ შეღის პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, საიდანაც იწყება მისი რევოლუციური და ლიტერატურული მოღვაწეობა. ეს ის დრო იყო, როცა აღექანდრე II-ის მცველობის შემდეგ, ერთი მხრივ, რაქპია გამაგებით იზრძადა, ხოლო, მეორე მხრივ, ხალხთა მასებში ვრცელდებოდა რევოლუციური-დემოკრატიული იდეები.

კ. ხეთაგუროვი იმ ხანებში უდიდესი ოსტატობით შექმნა მთელი რიგი ტილოები, მიმართული ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ამავე დროს, კოსტა ეწევა იატაკქვეშ მუშაობას, რისთვისაც აკადემიიდან რიცხვენ, შიმშილსა და აუტანელ გაქირვების გამო ის იწყებს მტვირთავად მუშაობას ნევის ნავსადგურებში. ბევრი რამ შესძინა კოსტას ოთხ წელიწადს რუსეთის სულიერი და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცენტრში—პეტერბურგში ცხოვრებამ. იქ მან განიცადა რუს რევოლუციონერ-დემოკრატების რეალისტური ესთეტიკის ზეგავლენა, დაუფლდა კრიტიკული რეალიზმის პრინციპებს, რომლებიც შემდგომში საფუძვლად დაედო ჯერ კიდევ აბალგაზრდა ოსურ ლიტერატურას.

1885 წელს ის ბრუნდება ვლადიკავკაში (ახლანდელი ქ. ორჯონიკიძე), უფრე გამობრძმედილი, განათლებული და საესებით მოწინადებული იმისათვის, რომ მთელი თავისი ხელით იმღეროს მშობლიურ ენაზე. ამ პერიოდში კ. ხეთაგუროვი საფუძვლიანად ეცნობა ცარიზმის აგენტებისა და ადგილობრივი ფეოდალების

მიერ გაქვალტყავებულ ოსი ხალხის დღეჭირ ცხოვრებას. ის მკიდროდ უახლოვდება ოსურ და რუსულ ინტელიგენციას და ფართოდ შეღის გლეხობის ინტერესების გამოხატეულ თავის შემოქმედებას. აქ იყო ჩამარბული მისი სიძლიერე თუ სისუსტე. მისი მსოფლმხედველობისა და შემოქმედების წინააღმდეგობათა წყარო. ამ დროისთვის რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა ჩრდილო ოსეთში ჩაიხშო, ხოლო სოციალ-დემოკრატიული იდეები ჯერ კიდევ არ იყო ფეხმოკიდებული. როგორც ცნობილია, გლეხობას არ ძალუძდა დამოუკიდებლად ეწარმოებინა ბრძოლა ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისათვის. კოსტას კი ჯერ კიდევ არ ჰქონდა, რევოლუციური ბრძოლის ნათელი პერსპექტივები, თუმცა იგი ხშირად მიაღლებდა ხმას სოციალური ბორბების წინააღმდეგ. პოეტე იწყებს წერას ოსური ლექსებისას, რომლებშიც ასახავს მშრომელთა მძიმე მდგომარეობას. შერამ ოსური დამწერლობა იწყებს თავის განვითარებას მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ხოლო პრესა და, საერთოდ, ბეჭდვითი სიტყვის საქმე ჯერ კიდევ ემბრიონალურ სტადიაში იყოფებოდა. ამიტომ კოსტას ლექსები არსად არ იბეჭდებოდა, — ისინი ფართოდ ვრცელდებოდა ხალხში ზეპირსიტყვაობის საშუალოებით.

კ. ხეთაგუროვი ეცნობა მოწინავე ინტელიგენციას, უკუშირდება ოსეთში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ ფრქვმდებელს, აქ იბელებით ვადმოსახლებულ მ. ზ. ყიფიანს, რომელმაც აზიარა კოსტა ქართულ კულტურას. კოსტამ თავის უახლოეს მეგობარს მიუძღვნა მთელი რიგი ლექსები და დახატა მისი პორტრეტი. პოეტე მკიდროდ დაუკავშირდა აბალგაზრდა რევოლუციონერს კ. თოფურიძეს, ვერუფე არაყიშვილს, რომლის უმცროსი შმა დიპტირი აღტაცებაში მოვაჯ მის ლექსებს.

კოსტას თანდათან გაუთქვა სახელმწიფოღთა დაცვამ, შერამ 1891 წელს მას გზა ვალუღბებს და გადაასახლეს ოსეთიდან მურუბებულ ყარაშიში, როგორც „სამში პირონენა მზარის მშვიდობისა და მუუღრობებისათვის“. შარციხი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ბრძოლაში, შამის ვარდაცვალება, პირადი ბედნიერების შესახებ ოცნების დამსხვრევა, როცა საცოლედ

არჩევნა ქალმა მას უარი უთხრა, ყველა ამ გარემოებათა ზეგავლენით გამოვლინდა კოსტას მსოფლმხედველობის სუსტი მხარეები. იგი იწყებს პესიმიზმით ვაქციენითი ლექსების წერას. უნდა აღინიშნოს, რომ კ. ხეთაგუროვის პოეტური შემოქმედების დასაწყისი დაემთხვა წლებს, რომლებიც ხასიათდებიან დეკადანსის, ნატურალიზმის, სიმბოლიზმის გავრცელებით.

შემდგომ მთებში მოხეტიალე პოეტი იწყებს სამსახურს ელბრუსის ტუვი-ვერცხლის მაღაროების კანცელარიაში, სადაც ეწევა მერად მისივე ცხოვრებას. მაგრამ მუშებთან სიახლოვე ამხნევებს, მორალურად და იგი სძლევს პესიმიზტურ განწყობილებას. აქ ეს დაუღალავი და უშო. მარი ტრიბუნე იწყებს იტაქქეშა აგიტაციის მემალაროე მუშებს შორის. შემდეგ ვალადის სტავროპოლში და იწყებს მუშაობას გაზეთ „სუვერნი კავკასიის“ რედაქციის შიღვანდ და ყოველნაირად ცდილობს მისცეს გაზეთს მემარცხენე მიმართულება, აქ გამოქვეყნდა მისი ღია „წერილი რედაქციისადმი“, რომელშიც ავტორი მოუწოდებდა საზოგადოებრიობას, აღმოგინათ დახმარება მის თანამოკალმე უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ა. ყაზბეგისათვის. სისტემატურად იბეჭდებოდა აგრეთვე მისი სტატიები, რომლებშიც მკობლებელი იყო თერგვის ოლქის ადმინისტრაციის თეთონებობისა და აღერახსნილობის ფაქტები.

ჩრდილო ოსეთში რევოლუციური მოძრაობის ზრდის ზეგავლენით კოსტა რწმუნდება, რომ არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საკმარისი არ არის „მშერი სიუჟატი“, რომ გამწვავებულ მოსაზრდენდ სისხლიან ბრძოლაში საეთხის წყვეტს იარაღი, პოეტს გულს უხარებს რევოლუციის ტალღების მოახლოება, რომელსაც ასე შეღალადებს: „ღამე დასასრულს უახლოვდება... ყველგან განგაში გაისმის... ხიშტებზე ეღვარებს ამომავალი ცისკის სხივი“...

1897 წელს კოსტა ავადდება ძვლის პლექით, ვადიტიანს მისივე ოპერაციას, მაგრამ მუშაობას მაინც განაგრძობს. მტრები კი კვლავ ილაშქრებენ მის წინააღმდეგ. ამჯერად მათ გამოიყენეს კავკაელთა ჯგუფის გამოსვლა ხელი-სუფალთა წინააღმდეგ, რაც დააწერეს კოსტას მოთხოვნის საწინააღმდეგო აგიტაციას. მალე კიდევაც დაამატირებს და, მიუხედავად მისი მეგობრების შიერ მიღებული ზომებისა, მაინც გადასახლეს. მაგრამ მას მდგომარეობა შეუმსებლდა პოეტის მეგობარია ქალის სოფლო თარხნიშვილის დახმარებით, რომლის იუჯახში ჯერ კიდევ 1892 წლიდან თავს იყრიდნენ პეტრბურგში მყოფი კავკასიელი ახალგაზრდები.

კოსტას გზავნიან ხერსონში, სადაც მისი მატრიალური მდგომარეობა იმდენად ატანადი გახდა, რომ იგი საფოსტო კონვერტებსაც კი ვერ იჭნდა ხელნაწერების ვადმოსაგზავნად. მაგრამ

ვერც სილატაემ, ვერც შერეულმა „ჯანმრთელობამ ვერ შეაჩერეს მისი შემოქმედებითი მუშაობა. პოეტის გადასახლებაში ყოფნისას ხალხი აგრეთვე სასრებს, რათა გამოიყენოს კოსტას თხზულებათა კრებული „ოსური ლირა“, რამაც საძირველი ჩაუყარა ოსურ რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურას. გადასახლებაში მყოფმა კოსტამ თავის უყვად წიგნს უწოდა „ობოლი“.

პოეტი მოზრახებულად ატარებდა გამათავისუფლებელ იდეებს ორმაგი ცენზურის პირობებშიაც კი. დიდია „ლირის“ მნიშვნელობა, რომელშიც მკვეთრად ჩანს წყველი წარსულის მონობისა და ჩავერის სამყარო. დამახასიათებელია, რომ პოეტის საყვარელ გმირთა შორის არც აზნაურია, არც არისტოკრატი, მისი პერსონაჟები არიან მხოლოდ შრომის წარმომადგენლები: მწყემსები, ღარიბი მთიელები — ძლიერი ნებისყოფის ადამიანები, თავისუფლებისათვის მებრძოლი.

„ოსური ლირა“ გახდა რევოლუციამდელი ოსეთის ცხოვრების ნამდვილი ენციკლოპედია. ერთ კონად მკერტული კოსტას ნაწარმოებებმა აღივებდნენ ხალხში გამათავისუფლებელ სულისკეთებას. დევნილი კოსტა კი კიდევ უფრო საყვარელი გახდა მისი თანამემამულეთათვის, რომელთა წარმომადგენლები აღფრთოვანებით შეხედდნენ გადასახლებიდან დაბრუნებულ კოსტას.

ოსეთის ბურჟუაზიული ნაციონალიზტებისა და „ბრწყინელი“ კლასის სისტემატრმა დევნიამ, თვითმწყობელობის რეპრესიებმა საბოლოოდ შეარყიეს კ. ხეთაგუროვის ჯანმრთელობა: 1906 წელს პოეტი გარდაიცვალა. მისი დაკრძალვა კავკასია ვადიქუა მძლავრ დემონსტრაციად თვითმწყობელობის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ. ოსი ხალხის დიდმა მეგობარმა, სასულაწიქულმა პედაგოგმა ლ. გ. ბოცაქემ პოეტის დაკრძალვის დღეს წამოიჭრა სიტყვა, რომელშიც გამოთქვა ის დიდი მწუხარება, რომელიც განიცადა ქართველმა ხალხმა კ. ხეთაგუროვის გარდაცვალების გამო; პროგრესულმა ქართულმა განუთებმა ნეკროლოგები მოათავსეს. ს. მ. კირაჯი კი, რომელიც ამზადებდა ნიადაგს ჩრდილო ოსეთში რევოლუციური ვაჰატარალებისთვის, აქვეყნებს მთელ რვე წერილებს ოსი ხალხის მედრომე კ. ხეთაგუროვის შესახებ.

კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედებაში წითელ ზოლად არის გატარებული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა. ჩაგრულობაში უსაზღვრო მოვკარული გამსკვალვის პოეტი გოდებს მხოლოდ ჩაგრულებზე. მის შემოქმედებებში წამყვანი როლი ეკუთვნის ღატაქს, რასაც ადასტურებს თეგინდ მისი ლექსების სათაურები: „ღატაქის სიმღერა“, „ღატაქის გული“, „მონის სიმღერა“. და სხვ. განსაყუთრებით უნდა აღინიშნოს კოსტას ნაწარმოები „ობოლია დედა“. ამ ზალად-

ში, რომელიც თავისი ემოციონალური ძვლარალობით წარმოადგენს ნამდვილ შედეგს, პოეტმა შემარწმუნებელი სიმართლი შექმნა თავგანწირული ღედის დაუფიქრარი სახე, შემზარავად დახატა უდიდესი სილამაის სურათი, როცა დედა, ცდილობს რა ანუგეშოს სიშინლისაგან გულწახელი, ყინვისაგან გათოშილი ბავშვები, ხარშავს ქვაბში... ქვებს, შეიღებს კი არწმუნებს რომ ხარშავს მათთვის შეკვამად!

კოსტა ქალაქებდა, რომ ქვეშაირი რევოლუციონერი მებრძოლი აწრთობა ექსპლუატატორებს წინააღმდეგ კლასობრივ ბრძოლაში, ხოლო პოეზიას ის აფასებდა, როგორც ბრძოლის იარაღს: „მე უღარდელად არ ვთავაშობ ლექსით“ ამბობდა ის. ლექსი „მწუხარება“, რომელიც წარმოადგენს ოსეთის საბრძოლო პიქსს, პოეტი ზატეხს უფლებები მდგომარეობას ხალხთა მასებისას, რომლებიც ირანმებთან შეფის კოლონიალური რეჟიმის წინააღმდეგ: ხალხი უბოძის ბელადს, რომელიც გასწევს მეთურობას, გაერთიანებს დაქსაქსულ მასებს.

როგორც კავკასიის რევოლუციური დემოკრატის ერთერთი უდიდესი წარმომადგენელი, პოეტი ურთუარად ხედავს ოსი ხალხის ერთადერთ ხსნას რეს შრომელ ხალხთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებულ ბრძოლაში.—ამაშია მისი დიდი დამსახურება. კოსტას შეეძლო მკვეთრი დიფერენცირება რუსეთის ანტაგონისტური ძალებსა: „შრომელი რუსად“ თვლიდა რევოლუციურ რუსს, ხოლო „კანბალებად“ — რუსეთში გაქვებულ რეაქციურ ხროვას.

ხალხთა ინტერესების დაცვისა და პროპაგანდის კიდევ უფრო ფართოდ გაშლის მიზნით კოსტა მტკიცედ კიდებს ხელს ჟურნალისტობას: მას უნდა გამოიყენოს პრესა ტრიაბუნად. მაგრამ თავისი ოცნება, დაფარებინა საკუთარი გაზთი, სიღარიბის გამო ვერ განახორციელა. უმეტესად კოსტა თანამშრომლობს სტაერპოლის კერძო გაზეთში — „სევერნი კავკაზში“, შემდეგ „ვაზბეგში“ და „სანკტ-პეტერბურგის უწყისებში“. კოსტას კალამს ეკუთვნის წერილები, რომლებშიც ის გვევლინება როგორც მხატვარი, ვითოვრადი, ისტორიკოსი, ფილოსოფი, პოეტი, პროზაიკოსი და სხვ. ის პარალელურად წერს რუსულ და ოსურ ენებზე.

1902 წელს, როცა კოსტა უკვე მძიმე ავად იყო, საქართველოდან მასთან შოდიან მუღარით—ისნას ვგზუეცილისაგან აჯანყებული სოფელი სატახარი, რომელმაც უარი თქვა გაღაუხადა შემამულსათვის გარაკეცებული საიჯარო გადასახადი. მიუხედავად ავადმყოფობისა, კოსტა მაშინვე გაეშურა ამ სოფლისაკენ. ეს მერტად დამახასიათებელი ეპიზოდი კოსტას ცხოვრებიდან.

კ. ხეთაგუროვმა წამოაყენა მთელი რიგი რეფორმათა პროექტები, რათა შემსუბუქებულყო მიწის კრიზისი ოსეთის სოფლებში,

რომლებიც გამოირჩეოდნენ ცხოვრებით მერტად ჩამორჩენილი ფორმებით. რეფორმები მიზნად ისახედნენ: კუსტარული წარმოებისათვის, შემსუიდელო პენტების რეგანიაციას, სასოფლო ხანკების დაარსებას, საქრული დარსეულებების მიერ მსხვილი შემამულეებისაგან მიწების შესუიდეას და მათ გადაცემას ღარიბ გლეხებისათვის განსაზღვრულ პირობებში, სახაზინო მიწების ნაწილის გადაცემას გლეხებისათვის და სხვ.

თავის შრავალიცხოვან სტატეებში კოსტა გომოდის განათლების მებაირატრედ და სასტე ბრძოლას უცხადებს ხალხის უციობას და სიბუნელს. ის აღგენს დედაუნის სახელმძღვანელოს და ასწავლის მასწავლებლებს პედაგოგიას და ყოველნაირად უწყობს ხელს სკოლების გამრავლებას. პოეტი ოცნებობს აგრეთვე აღგილობრივი ტექნიკური კდრების შექმნის შესახებ, რომლებიც ამამდებდნენ ქვეყნის საწარმოო ძალებს, ოცნებობს აგრეთვე იმაზე, რომ მთელ კავკასიაში დაარსებულყო თუ ვინდ ერთი ინსტიტუტი შინდ, მაგრამ პოეტის ეს ოცნება განხორციელდა მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში, როცა უმალეს სასწავლებელთა ქსელით დაფარულია მთელი ჩვენი ქვეყანა და მარტო ქალაქ ორჯონიკიძეში ოთხი უმამდესი სასწავლებელი არსებობს.



სიყრმიდანვე დგება რევოლუციურ დემოკრატის პოზიციებზე კ. ხეთაგუროვი, რომლის მსოფლმხედველობაში, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, გადამწყვეტი იყო მატერიალისტური შეხედულება, თმეცა მეცნიერულ. მარქსისტულ მსოფლმხედველობის დაფულება მან სოცოცლის ბოლომდეც კი ვერ შეძლო. პოეტირესპუბლიკანელი ნათლად ერკვეოდა რთულ საზოგადოებრივ ეთარებაში. ის ემყარებოდა ისტორიული მატერიალიზმის განვითარების კანონს, რომლის თანამამდ, ცხოვრების უშულო მატერიალური სასარება წარმოება ქმნის იმ საფუძველს, რომლიდანაც ვითარდება სახელმწიფო დაწესებულებანი, უფლებრივი თვალსაზრისი, ხელოვნება და რელიგიური წარმოდვენებიც კი.

გამოდის რა იდეალისტების წინააღმდეგ, ის ქალაქებს მატერიის პირველადობას, უარყოფს იმქვენიერობას, რეალობად თვლის მხოლოდ ობიექტურ სამყაროს — ბუნებას და ამტიცებს, რომ სოცედილის შემდეგ „ჩვენ ყველანი გადავიქცევით წყალად, ნახორმყავად“. მაგრამ კ. ხეთაგუროვის ფილოსოფიური მსოფლქვრედის, ისე როგორც, საერთოდ, მისი შემოქმედების შესწავლა გართულებულია იმით, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ პოეტის პირადი

არქივი თითქმის მთლიანად გაანადგურეს მისმა მკვირისუფლებმა.

ქ. ხეთაგურის მატერიალისტური მსოფლმხედველი პიდან გამომდინარეობს მისი ათვისტური შეხედულებანი. და ეს ხდება იმ ეპოქაში, როცა პოლიტიკურმა რეაქციამ გააძლიერა სამღვდულოების როლი. კოსტა ვაბედულად ამხელს ექზარქოსის ონებს, ექზარქოსისა, რომელმაც უსაფუძვლოდ დახურა კავკავის ქალთა სკოლა, შემდგომში პოეტის ანტიკლერიკალიზმი გადაიზარდა მებრძოლ ათეიზმში.

კოსტას ნაწარმოებებიდან აქ უნდა აღვნიშნოთ ნარკვევი „გვიამი“, რომელშიც ავტორი დიდი ოსტატობით ზატავს ოსეთის სოციალური სტრუქტურისა და სოციალური ურთიერთობის ხასიათს. თავის ისტორიულ სტატეებში შან სისწორით გააშუქა ოსეთის ფილოგენეზისი, მონგოლთა ურდოების მიერ ოსების დარბევა, ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობათა ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური საფუძვლები, საქართველოს კულტურული გავლენა ოსეთზე, ქრისტიანობის ფართოდ გავრცელება ჯერ კიდევ საშველო საუკუნეებში, რუსეთთან კავშირის პროგრესულობა.

კავკასიაში მიწათმფლობელობის შესახებ ატეხილ დავაში კოსტამ გაანადგურა ანტიისტორიული თეორია მეფის კოლონიზატორებისა, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ

მთიელებმა მიწათმოქმედებას ხელი მოაკიდეს მხოლოდ რუსეთთან კავკასიის შეერთების შემდეგ, ამ ყალბი თეორიის მიზანი იყო საუკუნეების მიწების მიტაცება.

პოეტი ნათლად გვიხატავს აგრეთვე ოსეთის მოწინავე ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკურ საქმიანობას.

კოსტამ კარგად იცოდა, რომ ინტერნაციონალიზმი მკიდროდ იყო დაკავშირებული კლასობრივ ბრძოლასთან: ის სამარცხენო ბოძზე აყრავს თვითმპყრობელობას, რომელიც სპობდა რევოლუციონერებს, — ამ საუკეთესო ადამიანებს. ლექსში — „მე მომწონს, ჩემი მეგობარი“ პოეტი გვარწმუნებს, რომ ბედნიერია სოციალისტური წყობილების დამყარების შემდეგ ხალხთა შორის აშენდება „საერთო ტაძარი“.

კოსტა განსაკუთრებით ამახვილებს საზოგადოებრიობის ყურადღებას ქალთა საკითხზე, როგორც სოციალურ პრობლემაზე. იგი ოცნებობს იმ დროზე, როცა „განათლების, თავისუფლებისა და სიუვარდლის ტაძარში“ გამეფდება პარპონია ადამიანებს შორის, სქესთაშორის.

ასეთია მოკლედი, ერთი თვალის გადავლებით, ოსეთის სახელოვანი შეილის კოსტა ხეთაგურის ცხოვრება და მრავალფეროვანი მოღვაწეობა. კოსტას ზსოვნა მუდამ იცოცხლებს კომუნიზმის მშენებელთა გულში.

შალვა აღმაშენებელი



იუბილუმი სლოვაკი

სტეფან ცვაიგი მახვილგონიერულ შენიშვნა-და, რომ შეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა ქვეყანაში ერთდროულად დიობადა გენიალური ჰუმანების „ეცესლიანი თაობა“, მაგრამ ახალმა საუკუნემ არ შეიფარა თავისი დაუდგარი სიჭაბუკე და რკინის ცვლით შეუბრალებლად ცელადა თავისსავე ვახაფხულის ნათესს (იხ. „სელდერლინი“). შწერალი იქვე ჩამოთვლის „ეცესლიანი თაობის“ წარმომადგენლებს, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გარდაცვლილ პოეტებს: შენიე, კიტსი, შელი, ბაირონი, ნოვალისი, კლასტი და სხვ., რუსებიდან-ვრობოდოვს და პუშკინს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ცვაიგს უთვოდ გამოჩინა კიდევ სამი გენიალური ჰუმანე: ლერმონტოვი, ბარათაშვილი და სლოვაკი.

სლოვაკი, მიცვევითან და კრასინსკისთან ერთად, პოლონური რომანტიზმის სამეულის ერთ-ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავია. პოლონური ლიტერატურის ოცდაათწლიანი პერიოდი, დაახლოებით 1822 წლიდან, როდესაც მიცვევიჩის ლექსების პირველი კრებული გამოვიდა ვილნოში, ვიდრე 1848 წლამდე, უშესანიშნავესი პერიოდი იყო. თუმცა პოლონეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, დიდი ხანი, რაც არ არსებობდა (1795 წლიდან), მაგრამ არსებობდა პოლონელი ვრი და მისი ლიტერატურა, სადაც მოხდა თავისუფლების მოყვარული პოლონელი ხალხის ეროვნული ენერჯის კონდენსაცია. პოლონელი ხალხისთვის, ისევე როგორც ქართველი ხალხისთვის, მეცხრამეტე საუკუნეში ლიტერატურა ეროვნული თვითშეგნების და გადარჩენის მძლავრ იარაღად იქცა. პაინე წერდა იტალიელების შესახებ, რომ ფსტრიის უღალკვეშ მემინავე იტალიელი ხალხი მესკავში გამოხატავდა თავის მღვდელ მისწრაფებას ეროვნული განთავისუფლებისაკენ (რისინი, ბელინი, ვერდი). იგივე შეიძლება ითქვას პოლონელი ხალხის ლიტერატურის მიმართ. ცნობილი პოლონელი მოაზროვნე კ. ლიბელტი ამბობდა: „ენა-ეს სისხლია, რომელიც ფეხქვეს ხალხის სხეულში, ვრი ცოცხლობს მინამ, სანამ ცოცხლობს მისი ენა“. ამის პარალელურად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ გრიგოლ ორბელიანის ცნობილი სიტყვები ლექსიდან „პასუხი შეილთა“ „ერის

ცხოვრება მისი დიდება მის ისტორია დაეუღარს ენით; რა ენა წახდეს, ვრიც დაეცეს... პოლონელი შწერალი და პოლიტიკური მოღვაწე მადრიცი მოხნაცო 1830 — 1831 წლების აჯანყების წინა დღეებში წერდა: „ეცესლობს მხოლოდ ეს ვრი, რომელიც თვითშეგნებამდე მივიდა, და ეს შეგნება ლიტერატურაში გამოხატა; ვრი, რომელმაც არ შექმნა თავისი ლიტერატურა, გაქრება, რანიორიც არ უნდა ეოფილიოს მისი პოლიტიკური წარსული; ვრი, რომელიც თვითშეგნებამდე მივიდა და ეს გამოხატა ლიტერატურაში, არასდროს არ გაქრება“. მიცვევიჩის წიგნები მოწინავე პოლონური საზოგადოებისათვის სახარებად იქცა კრასინსკი ამბობდა: „ჩვენ უველანი მისგან გამოწყდით“.

იმ დროს ვილნოს უნივერსიტეტი პოლონური ელტურისა, საერთოდ, და, კერძოდ, ლიტერატურის შთავარი ვერა იყო. აქ სწავლობდა მიცვევიჩი 1815 — 1819 წლებში, აქ დაარსდა „ფილომატების“ (მეცნიერების მეგობრების) და „ფილარეტების“ (სათნოების მეგობრების) რევოლუციური წრები. 1819 წლიდან, როდესაც სლოვაკის დედა, სალომე იანუშევსკია, მეორედ გათხოვდა ვილნოს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორ ავგუსტ ბეკოზე (იელიუშის მამა, ვუხუბიუში, გარდაიცვალა ჰლეჭით 1814 წელს), სლოვაკების თჯახი მშობლიურ კრემენციდან ვილნოში გადასახლდა. აქ თელიუმმა დაიწყო სწავლა ჯერ გიმნაზიაში (1819 — 1825), შემდეგ უნივერსიტეტში (1825 — 1829) თერიოდულ დასუღტრებზე. აქ ახალგაზრდა იელიუში გავცნო ბაირონის პოეზიას. ცნობილია, თუ რაოდენი დიდი გავლენა მოახდინა ბაირონმა მთელ მსოფლიოს პოეზიაზე. 1821 წელს „ღონ-ფეიანის“ მეხუთე სიმღერის გამოქვეყნების შემდეგ შეღიმი აიღო ზელი ბაირონთან „მეტრქაობაზე“ და განაცხადა: „პოემის თვითუღლ სიტყვას უჯავაღების ბეჭედი აჩის“. პუშკინი 1824 წელს ბაირონს უწოდებს «Властитель наших дум» (ლექსი «Властитель наших дум») მიცვევიჩი ავიარებს: „უველაფერი, რაც სტან-ჯავად ნენეი თაობის ახალგაზრდობის გონებასა და სულს, ბაირონმა ზუსტად ვამოსახა,

როგორც თავის ნაწერებში, ისე ცხოვრებაშიც. ბაირონის თავისუფლებისა და მარტოობის მოყვარული, სულით და ხასიათით ძლიერი გმირები ახალგაზრდა სლოვაკისათვის მისაბამილად გადაიქცნენ. მისი აღრეული პოემების გმირები-იან ბელეცკი, ჯვაროსანი ჰეკო, ბერი, ჰეტმანი ზემი — ბაირონისტული სახეები არიან. გერმანული რომანტიზმის იდეებიც თავისებურ გამოხატვრებს პოეზობდნენ იმდროინდელ პოლონურ პოეზიაში, რომლის ვერცელებს ზელ შუეწუო მაღამ დე-სტალის წიგნმა „გერმანიის შესახებ“. 1816 წ. პოეტმა და კოსტიუშკოს თანამებრძოლმა იულიან ნემცევიჩმა (1757 — 1841) გამოუშვა „ისტორიული სიმღერები“, რომლის შესახებ ლიტერატურისმცოდნე იულიან კრეციანოვსკი წერს, რომ ეს არის „პოლონეთის ისტორიის ვართანელი საბელმწივანელი“ (სხვათა შორის, ამ „სიმღერებ-ს“ შთაგონებით დაწერა რილევემა თავისი „Думи“, ექვოესკიმ „Певец во стане“ და გრაგოლ ორბელიანი — „სადღევრძელო“). 1818 წელს კახიშეე ბროძინსკი (1791 — 1835), რომელსაც პოლონური რომანტიზმის „იოანე ნათლისმცემლის“ სახელი შეარქვეს, აქვეყნებს ტრაქტატს „კლასიციზმისა და რომანტიზმის შესახებ“. ეს წიგნი ახალი მიმდინარეობის, რომანტიზმის, ნამდვილ მანიფესტად იქცა პოლონეთში. (საინტერესოა, რომ საფრანგეთში სტენდალის „რასინი და შექსპირი“ მხოლოდ 1823 წელს, ხოლო პიეტოს „კრომველის“ წინასიტყვაობა 1827 წელს გამოვიდა) კახიშეე ბროძინსკი მოითხოვდა: ლიტერატურა უნდა იყოს ნაციონალური სულის გამოხატველი; პოეზიაში უნდა გაბატონდეს ხალხურობა; უფრადღება უნდა მიექცეს ხალხურ ფოკლორს; ლეგენდებს, ზღაპრებს, სიმღერებს. მიცევიჩმა და სლოვაკიმ უხვად გამოიყენეს ლეგენდები და სიმღერები, არა მარტო პოლონური, არამედ უკრაინულიც, პოეზიაში, შოპენმა — მუსიკაში.

გერმანული რომანტიზმისაგან განსხვავებით, პოლონური რომანტიზმი, ისევე როგორც ქართული რომანტიზმი (ბარათაშვილი), ეროვნულ-გამოთავისუფლებულ ხასიათს ატარებდა. ეს ტენდენცია უფრო გაძლიერდა 1830—1831 წლებში აჯანყების წინ პეტრიოდში და თვითონ აჯანყების დროსაც. მიცევიჩი წერს „ოდას ახალგაზრდობისადმი“ (1820 წ.), სადაც დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის იდეებმა გატარებული. ეს ოდა, რომლის ეპიგრაფად შილერის სიტყვებია გამოყენებული — „und die alten Formen stürzen ein“. (ძველი ფორმები ინგრევი) ლექსიდან „ახალი საუკუნის დასაწყისი“, ცენზურული პირობების გამო, ვერ დაიბეჭდა თავის დროზე და გრცელდებოდა მხოლოდ ხელნაწერებში. ათი წლის შემდეგ,

აჯანყების ქარცეცხლში 21 წლის სლოვაკი წერს ვერ. წოდებულ „ჰიმნს“ (Bogorodzica) და „ოდას თავისუფლებისადმი“, რომელშიც ერთბაშად დიდი პოპულარობა მოიპოვეს.

„შეი, იარაღისკენი შხადა ვართ ეს არის ხალხის აღდგომა. როგორც ფერფლიდან ახალი ფენიქსი მონობის უღლიდან აღდგა ხალხი — ღმერთო, შეგვიწყალე! დაე, იქუქოს ჩვენმა მკაცრმა ჰიმნმა“ — ეს სიტყვები აღაფრთოვანებდა აჯანყებულებს და, როგორც თვითონ სლოვაკი წერდა, რამდენიმე ხნის შემდეგ ცრონობილ ვახდა „უველი პოლონელისათვის პარიზსა და დრუზდენში“.

1830 წლის 29 ნოემბერს „ბელვედერის გასაროლით“ (სლოვაკის სიტყვებია) დიწყო ვარშავაში აჯანყება. ამ აჯანყებაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა ბოვდან ზახლესკი, სვეერიან გოშინსკი, მარტიო მონაკეიმი, კარლ ლიბლტსა და სხვ. მიცევიჩი ამ დროს რომში იყო, შოპენმა კი უფრო ადრე, 1830 წლის 2 ნოემბერს, დატოვა პოლონეთი (წასული იყო საგასტროლოდ ვენაში). 1831 წლის 25 იანვარს პოლონურმა სენიმამ მიიღო აქტი ნიკოლოზ პირველის პოლონეთის ტანტოდან ჩამოგდებისა და შეიქმნა ნაციონალური მთავრობა, რომელშიც შევიდნენ ადამ ჩარტორისკი, იოახიმ ლუდველი და სხვ. ეს იყო სახალხო აჯანყების შესანიშნავი იმპროვიზაცია, წერდა მონაკეი და, მართლაც, მოუშხადებლობისა და სხვადასხვა პარტიის ერთმანეთთან ქიშპობის გამო დემოკრატიზებული შლიახა (ახანგებში), ქალაქის წყრილი ბერეუხობა და გლუხობის უმცირესობა ვერ გავმკლავდა დინიჩისა და პასევიჩის კარგად შეიარაღებულ ჯარებს და აჯანყება ვარშავის შტერშით დამთავრდა (1831 წ. 6-7 სექტემბერია).

ავადმყოფობამ არ მისცა საშუალება სლოვაკის, იარაღი აეღო ხელში და, როგორც ჰანს, ნაციონალური მთავრობის რჩევით, ჰან დატოვა ვარშავა 1831 წლის 8 მარტს. იმავე წლის 17 მარტს სლოვაკი, დრმაღ დამწერებელი, სწერდა თავის დედას გროცლავიდან: „ძალიან მწუხრს ეს გაქცევის უღრის მე აქამდე ვეგამთებო ჩემს სინდისს... მე ზომ დავტოვე ჩვენი მშენიერის სამშობლო და მგონი აღარასოდეს შევქლებ უკან დაბრუნებას“. ანალოგიური განწყობილებებისა იყვნენ აგრეთვე მიცევიჩი, რომელიც წერდა: „აი ჩვენ, გაქცეულებს, იბრტომ რომ, როცა სამშობლოში ეამიანობა მქინვარება, ჩვენ მხალაღივთ ვავარბოდიო საზღვარგარეთი“ — და შოპენი, რომელიც ვენაიდან იწერებოდა: „უწვეელი ჩემი წასვლის საათს“...

სინდისის მხილება, თავისი თავისადმი სავვედერი და სამშობლოს სევდა ახლა მთავარი მოტივი შეიქმნა სლოვაკის პოეზიისა

ემიგრაციაში. მისი ეპიკური პოეზიის მთავარი თემა გახდა ის, თუ რა ბრალი მიუძღვის შლიახტას ხალხის ტრაგედიაში და რა პასუხისმგებლობა მოეახივება შლიახტას ხალხის უშედეგოდ აღდგარი სისხლისათვის. ამ საკითხების ირგვლივ ტრიალებს სლოვაკის აზრი და იგი ქმნის ზედიზედ რამდენიმე სახეს: კარდინალი, ლამპრო, შენსი, ანგელო, ნაწილობრივ ბენიეესკო. ლამპროს წინაშე, მავალითად, ასეთი საკითხი დგას მწვეველად: „ჩვენ რომ სასიკვდილოდ მივდიოდით, შენ რატომ არ იყავი ჩვენთან“. ასეთივე საკითხი დასვა სლოვაკის წინაშე.

პარიზში ჩასვლისას სლოვაკი უკვე მრავალი ლირიული ლექსისა და რამდენიმე პოემის ავტორი იყო. აქ მან მოახერხა თავისი ნაწარმოებების ორი ტომი გამოეცა 1832 წელს. ამ ტომებში შევიდა 1829-30 წლებში დაწერილი პოემები „ბუგო“, „ბერი“, „არაბი“, „იან ბელუცი“ და 1832 წელს პარიზში დაწერილი პოემა „ზმევი“, აგრეთვე ორი დრამა „მინდოვგი“ (1829) და „მარიაჰ სტერტი“ (1830). როგორც ზემოთ ითქვა, ეს პოემები უმთავრესად ბაირონისტულ-რომანტიული პოემებია. რაინდი პეტო მოიტაცებს მონასტრიდან თავის სატარფოს ბლანკს, მერე ტრაგიკულად კვდება ჯვაროსანთა სამსჯავროს გადაწყვეტილით. ქრისტიანული სარწმუნოებისაგან განდგომილი ბერი მარტოობის საშინელ ტრაგედიას განიცდის და სხვ. უფრო კონკრეტული მასალა გამოყენებული პოემებში „იან ბელუცი“ და „ზმევი“. იან ბელუცი ისტორიული პიროვნებაა. სლოვაკივე ისარგებლა მის შესახებ არსებულ თქმულებით, იღონდა აქაც თავისებური ცვლილება შეიტანა. შლიახტის მდაბიო წრეებიდან გამოსული იანი, რომელსაც შეერაცხყოფს აუენებს ჰაღალი წოდების პანი სინიავსკი, სამაგიეროს გადაუხდის მას. განყენებულ-რომანტიკული კონფლიქტი გამაფრებელია სოციალური მომენტით. იან ბელუცი არა მარტო ბაირონისტული, არამედ მეოთხეხსმეტე საუკუნის პოლონეთის სოციალური ტიპია, ისევე როგორც მისი მოპირდაპირე პან სინიავსკი წრეგადასულ, თვითნება მავნატის ტიპობრივი სახეა. თუ „იან ბელუცი“ ძველი შლიახტური პოლონეთის რომანტიკულ შეფერადებულ სურათებს გვიხატავს, სამაგიეროდ, „ზმევი“ უკრაინის ისტორიის მასალაზეა დაწერილი. სლოვაკივე ამ პოემის პირველი სიმღერა დაწერა ვარშავაში 1831 წელს თებერვალში, მეორე სიმღერა — დრუბენში, დანარჩენები კი — პარიზში. როგორც თვითონ სლოვაკი შენიშნავს, ზაპოროვიუს პეტმანი ზმევი (ვეკლი) ლეგენდარული პირია, რომელსაც პოეტმა დაუკავშირა სხვადასხვა დროს მოშხდარი ისტორიული ამბები, მავალითად, ზაპოროვიელების

თავდასხმა ცარგარდზე (სტამბოლზე) შვიი ზღოთი (მესამე სიმღერა); რომელიღაც ფურქო ფამის ტყვედ წაყვანა და გაღატაკება (მეორე სიმღერა) და სხვ. ამ პოემებთან ჩანს, თუ რამდენად კარგად იცნობდა სლოვაკი უკრაინულ სიმღერებს („ბალადა ალის შესახებ“, „კაზაკური სალაშქრო“), თქმულებებს და ისტორიას. ვარდა ამისა პოემებში უხვადაა გაბნეული უკრაინული პეიზაჟის და ყოფა-ცხოვრების დეტალები. აღიღებელი დანებრის პოეტური აღწერა (პირველ სიმღერაში) ქრონოლოგიკულად წინ უსწრებს ნ. ვოგოლისა და ტ. შეგენკოს მიერ დანებრის შესანიშნავ აღწერებს ლიტერატურაში: „Вушует Днепр, ревет и тяжко стонет его островов в его пучине тоиет“ და სხვ. (რუსული თარგმანი მიხ. ზენკევიჩისა).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ უკრაინა და ვოლინის კრემენეცი, სადაც სლოვაკი დაიბადა 1809 წლის 4 სექტემბერს, პოეტს არასდროს არ დაჰეიწებია, არც პარიზის სალონებში ყოფნისას, არც იტალიის ლუარჯი ცის ქვეშ და არც აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს. ხშირად მას აგონდებოდა მშობლიური კრემენეცი, მის ახლოს მდებარე შთა ბონა, ძველებური ციხე-კოშკის ნანგრევები, მდინარე იკვა, რომლის ნაპირებზე იგი „დახეტიალობდა იმედებით საყეს“ („სოფლიო ბობარს აღბოშში“ 1844 წ.) და „ჩვენი უკრაინული გალ-ბარდები, რომლებიც გაქვენებულ ცხენებს ფეხებში ვერკობან“ (1843 წლის წიგნიდან დედას) და სხვ. ახალგაზრდაშივე კი სლოვაკის ხომ პირადად ჰქონდა მოვლილი ვოლინი, პოდოლშინა, იყო ოდესაში, ტულჩინში, უმაში და უკრაინის სხვა დაბა-ქალაქებში.

1831 წლის 9 სექტემბრიდან, კოტა ხნით ლონდონში ყოფნის შემდეგ, სადაც სლოვაკი აღტაცებით უყურებდა ინგლისელი ტრაგიკოსის ედმუნდ კინს თამაშს, 22 წლის პოეტი ცხოვრობს პარიზში. მართალია, აქ იგი ზედება სამშობლოდან გაღმობვეწილ სხვადასხვა ჯერის პოლონელებს, მაგრამ სლოვაკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არასდროს არ ჩაჩეულია პოლონელ ემიგრანტთა კინკლაობაში უმღლი. თუ გადავთავსებთ მის წერილებს პარიზიდან, რომლებსაც იგი ხშირად უგზავნიდა კრემენეცში დაჩენილ დედას, წაეაწუდებით ასეთ ჩანაწერებს: „მთელ დღეებს ვატარებ სახელგანთქმულ ლუერის გაღურავაში... ჩემი საუვარელი მხატვარია — პოლო ვერონევი“; „მოვისმინე შეიგბერის „რომბერტი-ეშმავა“, ახალი რომანტიკული ოპერა... შესანიშნავი მუსიკა“. სლოვაკის ინტერესებს მხატვარ ღომიეს კარკატურები საფრანგეთის მეფე ლუი-ფილიპზე. კომპოზიტორ ოპერის ოპერა „ფენელა“, პრიმა-ბალერინა ტალიონის

ცეცა, დაიარება ფეტისის ისტორიულ კონცერტებზე, სადაც უსმენს შესანიშნავ იტალიელ ტენორ რუბინის სიმღერას და, რაც მთავარია, აკეთხელობ, ეკითხულობ, ეკითხულობ. ეს არის ჩემი ერთადერთი დროსტარება* (1832 წ. 4 ივლისის წერილიდან).

ენობილი ფრანგი მწერლები, კომპოზიტორები და მხატვრები დიდი თანაგრძნობით და გულშემატკვრლობით ეპურობოდნენ პოლონელ ემიგრანტებს, შეტადრე მას შემდეგ, რაც იქ ჩაიღებინა მიცვეიჩი და შოპენი, სლოვაკი და კრასინსკი. საყურადღებოა, რომ ბალზაკს თავის რომანში — „კუზინა ბეტა“ ერთ-ერთ მომქმედ პირად პოლონელი მხატვარი ვენცესლავ სტიეინოკი ჰყავს გამოყვანილი. შეტად დამახასიათებელია ბალზაკის მიერ 1830 წლის აჯანყების ზოგიერთი დეტალის ცოდნით პორტრეტისა და ბეტას დიალოგი ვენცესლავის შესახებ: „იგი, მგონი, პოლონელია, ემიგრანტი...“

— აჯანყებულა? — იკითხა პორტენზიამ... აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა?

— დიად, იგი იბრძოდა პოლონეთისათვის. იმ გიმნაზიის მასწავლებელი იყო, რომლის მოწვევებმა დაიწყო აჯანყება და რაჟი იგი დანიშნული იყო იქ დიდი მთავრის კონსტანტინეს მიერ, მას აღარ აპატიეს...

— რას ასწავლიდა?

— ხატვას.

— მერე, პარიზში გამოიქცა დამარცხების შემდეგ?

— თას რუკას ოცდაცამეტ წელს მან ფეხით მთელი გერმანია გადაიარა...

— საბრალო ახალგაზრდა რამდენი წლიაა?

— აჯანყება რომ დაიწყო, ოცდაათისა იყო, ახლა ოცდაცხრისა იქნება* და სხვ.

ბალზაკს ცხადია, ყველაფერ ამის შესახებ ცნობას რომელიმე პოლონელი ემიგრანტი-მწერალი მიაწოდებდა, რომელსაც იგი ვაიცი-ნობდა მაღამ დაავსე ან ვორც ზანდის სალონებში...

1832 წლის 7 ავგისტოს პირველად შეხვდა სლოვაკი თავის დიდ თანამემამულეს ადამ მიცვეიჩის იმ წყაულებზე, რომელიც მოეწყო პარიზში ცნობილ პოლონელ მეამბოხე გენერალის დედანიცის საპატრევკოდ. იმავე დღეს პოლონელმა ემიგრანტებმა მოაწყვეს არტასტუ-ლი საღამო, რომელსაც დაესწრო სლოვაკი, აქ პირველად მოისმინა იულიუსმა შოპენი.

მიცვეიჩისა და სლოვაკის ურთიერთობას რთული და პერ კიდევ გაურკვეველი ისტორია იქვს. აქ ჩვენ, ცხადია, ვერ შევხვებით ამ საკითხს მთლიანად, ცალკედ მომენტებზე მაინც უნდა შევჩერდეთ. ცნობილია, რომ 12 წლის იულიუსში დედამ წარუდგინა მიცვეიჩის, რო-

შელიც იანუშევსკაიას სალონის ხშირი სტუმარი იყო. მიცვეიჩმა აქო იულიუსის დედას და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს (ეს ამბავი მოიგონა კიდევაც მიცვეიჩმა პარიზში 1841 წელს სლოვაკისთან საუბარში). მაშინ მიცვეიჩის სამუდამოდ დამახსოვრდა იულიუსის „დიდრონი, ცუცხლით ელვარე, შავი თვლები“. პარიზში შეხვედრისას, პირველ ხანებში კეთილი ურთიერთობა დამყარდა მათ შორის. მაგრამ ემიგრანტული საზოგადოების ზოგიერთი უპრინციპო ადამიანის ინტრიგების გამო ეს ურთიერთობა თანდათან უარესდებოდა. უსაქმური ემიგრანტები მუდამ აქეზებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ ორ დიდ პოეტს. აი ერთი ადგილი სლოვაკის 1832 წლის წერილიდან დედისადმი (სხვა რომ არა იყოს რა, დედასთან ხომ იქნებოდა იგი გულითა და გულწრფელი): „როდესაც საქმე ქათინაურებამდე მივდივარ, მე ეუფხარია, რომ ეს ფსოელი მას უდიდეს პოეტად. ერთი პოლონელი, რომელიც ჩემ უკან იდგა, ვტყობა, ნასვამი იყო, გამუდმებით ჩამძახოდა, ამეტისმეტად თავმდაბალი ხარო“ — და ამით საბოლოოდ ჩაფუშა ჩვენი საუბარი*. 1834 წელს, როდესაც მიცვეიჩის „პან ტაღეში“ გამოვიდა, აღტაცებული სლოვაკი სწერს პარიზიდან დედას: „მშვენიერი პოემაა — თითქოს ვალტერ სკოტა ლუქსად, თვალნათლივ ვხედავ შლიახტიის კარ-მიდამოს. ვმირი-ჭალი, თუმცა იგი ბატებს მწყემსავს, გვხობლავს თავისი უბრალოებით. პეიზაჟის, ცის, ტყეების, ტყეების აღწერა შესრულებულია ისტატის ხელით. ბუნება ამ პოემაში ცუცხლობს და სწოტავს“. კ. ბალზონტი წერს, რომ მიცვეიჩი „ნაკლებად გრძნობდა სლოვაკის შემოქმედების სიღამაზესა და სიძლიერეს მათი ძირითადი თვისებების სრული სხვაობის გამო — მიცვეიჩი რეალისტი, სლოვაკი — იმპრესიონისტი“. ცხადია, სლოვაკის დრამების მთარგმნელი კ. ბალზონტი საკითხს არა ისტორიულად იხილავს, რადგან თანამედროვე ტერმინოლოგიით სერს განასხვავებს პოლონეთის ამ ორი უდიდესი პოეტის შემოქმედებითი თავისებურებანი. ცნობილია, რომ ბაირონი და შელი შემოქმედებით შეტად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს სრულიად არ უშლდება მათს მგზნებარე შეგობრობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო სწორია სლოვაკი, როდესაც ერთ-ერთ თავის წერილში აცხადებს: „ზოგიერთი ადამიანი რომ არა, ჩვენ აქმდის ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვექმებოდაო“ (1841 წ.).

სულ სხვა ურთიერთობა დამყარდა სლოვაკისა და კრასინსკის შორის. ზემუნტ კრასინსკის (1812—1859) შობლები ნაპოლეონის გენერალი ვიკენტი კრასინსკი და თავად რაძივილის ქალიშვილი აყვენენ. პატარაობიდანვე

ზიგმუნტი არისტოკრატიულად იყო აღზრდილი. თუ სლოვაკისათვის მისი დედა ნამდვილი მფარველი ანგელოზი იყო, სამაგიეროდ, კრასინსკის მამა ფიზიკურად სუსტი აგებულების ზიგმუნტისათვის ნამდვილი დემონი, ბოროტი სული იყო. მამის ნებართვის გარეშე ზიგმუნტი პრაქტიკულ ცხოვრებაში ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა. მავალითისათვის საქმარისია მოეუფანოთ ის ფაქტი, რომ ვრათინია ელიზა ბრანიცკაია, რომელსაც, სხვათა შორის, სლოვაკებმა 1841 წ. ლეკი უძღვნა, კრასინსკი ცოლად შეირთო მამის მითითებით. 1836 წ. სლოვაკებმა გაიცინო კრასინსკი რაშში და ისინი შეგობრები გახდნენ. მიუხედავად მსოფლმშვედრობითი განსხვავებისა, კრასინსკიმ ერთბაშად აღიარა სლოვაკის დიდი ტალანტი და ზნეობრივად გაამწვეა იგი. ამას ხელდაეხა კიდევაც სლოვაკი და მადლიერების გრძობით წერდა „ბალადინას“ წინასიტყვაობაში: „შენ ატოცხებ ძველი რომაელების მარშალოს სახეებს იმით, რომ ჩვენი საუკუნის ევლანტიური სული ჩუქვს მათ (აქ იტყულისმუხა კრასინსკის „ირიდინი“ — შ. ა.), შეუპოვონეთის ძველი ცხოვრებიდან ექვნი-ფანტასტიკურ ლეგენდას, ვისმომ საუკუნეებამდე წყველიდან ვადონსერ გუნდებს, და შენა დაბრუნებ მსწრაფლ, შენ ღრუბლებს ვახვედრებ არისტოსებურ მსუბუქ და ნათფერ ღრუბლებს“. კრასინსკი თვლიდა სლოვაკის „სიტყვის ჯადოქრად“ და ამბობდა, რომ „არავინ არ წერდა პოლონურად ასე დახეწილად, მოქნილად, ფანტასტიკურად, ერთადერთი ლისტი თუ უტარეს ისე, როგორც სლოვაკი ლექსისა წერს“. მაგრამ მამის ფრთხილობისაგან განიხნა ბზარი, რაწამს ხელახლა დატრიალდა რევოლუციური ამბები გალიციაში და პოზნანში, მსოფლმშვედრობრივმა სხვაობამ ხელად იჩინა თავი, და კრასინსკის „სამ ფსალმუნე“, რომლიდან ერთი „სიყვარულის ფსალმუნე“ უჩვენებდა პოლონელებს „გადამავდეთ პაიღამაერთი დანები“ (ე. ი. ნაციონალური რევოლუცია არ გადამზარდოს სოციალურში), რადგან „შლოატის ვარეშე არ არსებობს ხალხით“, ამიტომ „არ წააქვით ხალხი თავისი ბატონების ბოცვა-ტლერაზე“, სლოვაკებმა იფხვნებულად უბასილა: „მტკიცად, გაბედულად ხალხი უნდა ჩავდეთ“ და განრისხებულმა გააფრთხილა თავისი ყოფილი მეგობარი: „თუ შენ და შენი თანამოაზრენი ქვასავით დადგებით, რომ შეაჩეროთ ვარცხლავიანი და ცეცხლიანი ქარიშხალი ხალხს რომ მოაქვს თქვენი დასამბობათ, — ჩვენი წმინდანები, ჩვენი ახალგაზრდები აიხებენ და ელვა-შეკამი ვაგაბებით სავსე შენს ხარონის ნავს ვარდებარდომ ვადაველობით“. სლოვაკის ასეთი განწყობილება სავსებით გასაგებია, ჯერ კიდევ 1841 წ. პოეტ

წერდა: „უბრალო ხალხი მიყვარს უფრო მეტად ვიდრე მეცდრების ძველები (ე. ი. უნდა იქნება ძველი შლაბატა). პოემა „წმინდანები“ სხუთ სტიქიონებითაა სავსე: „როცა შან (ხალხი) სიყვარული მოუნდებდა, მე მივეცი მას გულს ხმას, რომ აამღროს თავისი სიყვარული; როცა მას წველა-კრულვა მოუნდებდა, ჩემს საშვალუბით ვაგაზენის წვევლას; როცა დაწვა მოუნდებდა, მე ვავადივებ მის აღს“, ან „ჩემი დროშა არასდროს არ უღალატებს მას (ხალხს), დღისით მშესავით, ღამე ჩირაღდანით შედამ გაუნათებ გზას“.

ოთხი წელი, რომელიც სლოვაკებმა შეეცაობაში გაატარა (1832—35), მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა აქ მან დაწერა ისეთი ლირიკული შედევრი, როგორც პოემა „შვეიცარიაში“ და საუკეთესო დრამები „კორდინა“, „ბალადინა“ და „მაზეპა“ (პირველი ვარიანტი).

„კორდინა“ — შეუთითონ გამოვიყენე ეს უცნაური სახელი ჩემი იდეატური ადამიანისთვის — ასე წერდა სლოვაკი ენეველიან 1833 წელს. Cor, cordis ლათინურად გულს ნიშნავს და, უნდა ვიფიქროთ, ტყუილად როდი შეარქვა თავის გმირს აეტორმა ასეთი სახელი, იგი მართლაც მის გულთან ახლოსაა.

„კორდინა“ მხოლოდ პირველი ნაწილია იმ ტრაგიკისა, რომელიც სერდა სლოვაკის მივალენა 1830-31 წლების აჯანყებისათვის. სლოვაკი აჯანყების მხოლოდ წინაგერიოდს შევხო, ამ დრამამ იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ როცა 1834 წლის გაზაფხულზე გამოვიდა პარიზში ანონირებად, უველას იგი მიყვების დაწერილი ეკონა. „კორდინა მოწმობს, — წერდა სლოვაკი, — რომ მე ვარ ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის დიდი ბრძოლის რაინდი“ და, მართლაც, პოეტმა, სცადა ამ დრამით გამოეთქვა თავისი აზრი ცნობილი აჯანყებისა და მისი დამარცხების მიზეზების გამო. სლოვაკის აქ გამოვიყენებული აქვს ნიკოლოზ პირველის კორონაციის ამბები ვარშავაში 1829 წელს, როდესაც ვარცელდა ხეები, თითქმის შეთქმულებს, რომელნიც ვარშავის სობორის იატაკებზე იყრიდებოდნენ, გადაწყვეტილი ჰქონდათ მოეკლათ იმპერატორი. პოეტი ამ მისიის შესართლებს ავალებს თავის გმირს — კორდინას, მაგრამ გადაწყვეტ მომენტში იგი გამოიჩინებს უნებისყოფობას და სისუსტეს, რითაც ჩაფუშება საგმირო საქმე.

პიეტის პირველი მოქმედებაში გამოჩნდება 15 წლის კორდინის (ე. ი. სლოვაკის) რომანტიკული სიყვარული ლატრასადში (ლუდვია სნიადეცკაია, ეილნის პერიოდის პოეტის გატაცება). ბოლო სამი მოქმედება უშუალოდ ეხება კორონაციული შეთქმულების ამბებს „კორდინის“ შესავალში სლოვაკებმა სისტემა

განაჩენა გამოტანა აჯანყების ხელმძღვანელებს: გენერალი ზლომიცა — „საბრალთა აღმანიების უბადრევი მეთაურთა“, გენ. სემინიცი — „შეოთის თავი“, პოეტი ნემცვენი — „ესაქმერის სპუტისი“, ლეონევი „წიგანის მალაჩების მტვერში დამხვრალი“, გენერალი კრუკოვეცი — „მოლაღვ“ და სხვ. „კორდიანის“ მეხუთე სცენაში შემარწმუნებლად და აღწერილი შეცდომების სვლა, როგორც ბერლოვის „ფანტასტიკურ სიმფონიაში“; ყუთელ ნაწილებით ხელში დაქსრულვლად მისწრაფვანი მეთის სასახლისაკენ რომ კუბოების ქვეშ დამარბონ თვითმკვრებელი, „მათე-ყაენის ნაშიერი“. საოცარი ფანტაზიითა დაწერილი მეორე მოქმედება. აქ სცენები კინემატოგრაფიული სისწრაფით სცელიან ერთმანეთს, 1828 წელი. კორდიანს ღონდონშია, ჯეჰს-პარკში, შემდეგ დედროში ზღვისპირა კლდეზე კითხულობს „მეფე ღირს“. იტალიაში შეეერთა ვიდა ვიოლეტა, შემდეგ მოხვდება ვატიკანში. აქ სლოვაკის გამოყვანილი ჰყავს პაპი გრაფოლ მე-16, რომელმაც სპეციალური ბუღით დიდება შეასხა ნიკოლოზ პირველს პოლონეთის აჯანყების ჩაქრობისათვის. რომის შემდეგ კორდიანს მანერბერდით აღმოჩნდება მონღალანს წევრზე, საიდანაც სასწრაფობრივ ვარშავაში მოხვდება.

„ბალადინა“ — ეს ყველაზე უფროსია, რაც კი მე შევეჭმენი. მთავარი კი ისაა, რომ ამ ტრაველიამ მიჩვენა ახალი გზები, ახალი საყარო, რომელშიაც ჯერ არავინ შესვლია. ეს საყარო უფრო ფართოა, ვიდრე ჩვენი საბრალთა დედამიწა, რადგან ეს — იდეალური საყაროა. ჩემი ტრაველია წააგავს ძველებურ ბალადანს დაწერილს ისე, თითქოს თვითონ ხალხს დაეწეროს, აქ არ არის არავითარი ისტორიული სიმართლე, ადგილ-ადგილ ფანტასტიკურიცაა. მაგრამ შე ვედილობდი გმირების სახეებისათვის აღამიანობა სიმართლე მიზნისთვის — წერდა ამ ტრაველის დამო სლოვაკი. ტრაველის მასალად გამოყენებულა ხალხური თქმულება ორი ერთმეორის მოწინააღმდეგედის შესახებ. ტრაველიული სცენები შესწარი-სებურად სცელიან იუმორისტულ-ფერითულ სცენებს. და ეს ყველაფერი ნატიონალური, პოლონური. პირადი პარტიკოპარტობა — ერთადერთი მამოძრავებელი სტიმულია ერთ-ერთი დის — შვენიერ ბალადინას მოქმედებისა, მას არა სწამს არავითარი კანონი, ვარდა იმისა, რასაც მისი სილამაზე მოიფხოვს. ასე-ადე წარმოადგინა სლოვაკიმ ცოტა ხნით დაღწე მარბი სტუარტი, ასეთივეა ბალადინა ამ ზღაპრულ-რომანტიკულ ღრამში. ბალადინა ზნეობრივი თვალსაზრისით საშინელებაა, მაგრამ იგი ცოცხალი აღამიანია, ძლიერი ზასიათი. ერთი კრიტიკოსის თქმისა არ იყოს, now o

nas prosto i z krzykiem, ილამარეუ ხენსე უბრალოდ და კეილით, — თითქოს სთხოვე-ნო გმირები ატორს. ხალხური ტრაველიული და ტრაველიული კეილით მოგვითხრობს პრეტო თავის გმირების მიერ ჩადენილ საშინელ ამბებს.

ასეთივე მანერითაა დაწერილი ტრაველია „ლილა ვენედა“, სადაც მოცემულია მთელი ხალხის (ვენედები) დაღუპვის ტრაველიული სურათი. ამ ტრაველიაში სლოვაკი დამენდარულ ფორმაში აშუქებს პოლონეთის ისტორიის უძველეს პერიოდს 1830 წლის აჯანყების საკითხებთან დაკავშირებით. მაგრამ, როგორც „კორდიანში“ და „ბალადინაში“, აქაც ისტორია პოეტის ულვე ფანტაზიითაა გასხივოსნებულა. ტრაველიად კი არ ეუბნებოდა სლოვაკი თავის კრიტიკოსებს: „დე, თოსი ანაქ, რინიზმი თავს დაცეს კუბოებში ჩაიხრებულ ისტორიკოსებსა და შემატარებებსო“. ვენედების (ე. ი. პოლონელების) ქვეყანას შეესია მტერი — ლუხიტები და ვენედების სასწრაფლომქმედი ოქროს ქნარი ხელში ჩაივდეს. ოქროს ქნარი — ხალხის სულია და მისი დაყარვა — ხალხის თავისუფლების დაყარგავს უდრის. (არ შეიძლება აქ არ მოგვაროდეს აყავი წერეთლის: „ჩონგური — საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“), უდიდესი ტანჯვისა და თავგანწირვის ვადატანა უხდება ღილას, რომელიც ცდილობს დაიხსნას ოქროს ქნარი. „იმარჯვებს ის, ვინც თავს იცავს“ — ამბობს ღილა. სლოვაკის მიერ შექმნილ ქალთა გაღვრითი და ღილა ვენედა — ყველაზე მომზიბლავი, სინახის, სიწმინდისა და მხნეობის გამოშატეველი, სახეა. „ლილა ვენედა“ პირველად სცენაზე ლუკოში დაიდგა 1863 წელს. „ბალადინა“ 1919 წ. კ. სტანისლავსკიმ დადგა მოსკოვის სამხატვრო თეატრის პირველ სტუდიიაში.

როგორც ცნობილია, რომანტიკაში სატრფიალიო ღილია პირველ პლანზე წამოწია. ამით მან დიდი საქმე გააკეთა, რადგან აღამიანის (თენდაც მარტო ღილიკული გმირის) სულში ჩაიხრებდა და მისი საყარო გვიჩვენა. მიცვენიზმა თავის საპროგრამო ბალადინა „რომანტიკა“ (1821) მიმართავდა პოეტს: „გული უნდა გქონდეს და გულიში უნდა ჩაიხრებო“, რითაც კლასიციკური პოეზიის მიმდევრების აღშფოთება გამოიწვია. ამ გზისთვის სლოვაკის მთელი თავის სიცოცხლის მანძილზე არ უღალატია. უნდა თქვას, რომ ინტიმურ ცხოვრებაში სლოვაკი არ იყო მანიცდამანიც ბედნიერი, და ეს თითქოს ყველა რომანტიკოსის პოეტის ბედია. მაირონს უყვარდა მერი ჩაგორტი, იგი მისთხოვდა ვილაც ოზივარტელს ჯონ მესტერსს, მიცვენიზს უყვარდა მარია ვერეშჩაკი, იგი მისთხოვდა მდიდარ მემამულე პუტკამერს, მარათაშვილს უყვარდა ეპატერინე

ქვეყანაში, იგი მისთხოვდა თავად დადიანს. რაც შეეხება სლოვაკის, მისი პირველი სიყვარული იყო ლუდვია სნიადეკაია, რომელიც მან ლაურას სახელით გამოიყენა „კორდიანში“. 1827 წელს პოეტმა მას რამდენიმე ლირიული ლექსი უძღვნა. წლოვანებით უფროსი ლუდვია აგულისებდა 18 წლის პოეტს. თვითონ სნიადეკაიას ჰყავდა საქმრო, ახალგაზრდა ოფიცერი ვლადიმერ რიშკი - კორსაკოვი, რომელიც 1828 წელს ვარნასთან დაიღუპა თურქეთთან ომში. დამწერებელი ლუდვია წავიდა თურქეთში საქმროს ცნობის მოსაყენებლად, სტამბოლში შეეყარა ცნობილ მხილველ ჩიკოვსკის, რომელმაც ისლამი მიიღო და სადიუ-ფაშას სახელით მსახურობდა თურქეთის ჯარში.

მარია ვოძინსკაია — ორი დიდი აღაშინის მუზა იყო სლოვაკისა და შოპენის. მარიას სლოვაკი შეხვდა ენევეში 1833 წელს. პოემა „შვეიცარიამო“ კარგად გვიხატავს ვოძინსკაიასადმი სიყვარულის ისტორიას, რომელიც გაშლილია შვეიცარიის ალპური პეიზაჟის მომხიბლავ ფონზე. უნახესი და უწრფელესი იყო პოეტის ეს სიყვარული, რომელმაც მსოფლიოს პოეზია გამაღივრა რამდენიმე ლირიული შედევრით. მაგრამ გაფრინდა ორი წელი და ვოძინსკაიამ დატოვა შვეიცარია. 1838 წელს სლოვაკი მწეხარებით სწერს დედას: „ამბობენ, რომ შოპენმა ცოლად შეირთო მარია ვოძინსკაია, რომელიც ოდესღაც ჩემი მარია იყო. იმიტომ ხომ არ მისთხოვდა მას რომ ჯერ კიდევ შე ვუყვარებარ, — რადგან, ამბობენ, შოპენი ძალიან მგავსო შე. როგორი სანტიმენტალური ამბავია — მისთხოვდე ასეთ კაცს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჰგავს იმას, ვინც შენი პირველი სიყვარული იყო“. მაგრამ სლოვაკიმ, ვერცხვა, არ იცოდა, რომ ერთი წლის წინათ ვოძინსკაია მამის წინააღმდეგობის გამო, შოპენის ქორწინება ჩაშალა, სამაგიეროდ, მსოფლიო მუსიკას შექმნა გენიალური მეორე ვერსია (1837 წ.).

ანელი მომჩინსკაია სლოვაკიმ გაიცნო 1838 წელს. იგი იყო შვიდმეტი წლის ქალიშვილი უნაიდან. თითქმის უძღვნა პოეტმა ფლორენციაში ყოფნის დროს ამ განებებებულ და გინაძი ქალს. სამართლიანად წერდა სლოვაკი: „მე თითქმის დაწყევლილი ვიყო: მეღებებთან მხოლოდ ქალი-ტოკიებში, ქალი-სათამაშოებში“. სლოვაკის „უქანასკნელი დიდი სიყვარული“ იყო ენა ბობრი ვოლინის მემამულის ტეოდორ ბობრი-პოტროვიცის მეუღლე. ენა ბობრი ერთ დროს კრასნოსისაჲ უუყვარდა და ამ წიაღავზე უთანხმოებაჲ კი ჩამოვარდა ორ დიდ პოეტს შორის. სლოვაკიმ ენა გაიცნო დრებენში ჯერ კიდევ 1831 წ., მაგრამ 1840 წ. პარიზში ხელახლა შეხვედ-

რისას პოეტი გახდა მისი „ტყუარ“ პოეტი დიდი სიშაითით იყო განწყობილი. ვინაიდან ენას ორ ქალიშვილისადმი: ზოსია (სოფიი) და ლუცა (ლუდვია), რომელთაც თითო-თითო ლირიული ლექსი უძღვნა, მერადერ შესანიშნავია ლექსი ზოსიასადმი (1844), სადაც ინტიმური გრძნობა სოციალი სიმღერით და ოსტატურად გადაწერილია სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობასთან: „ნუ მხოვ, ზოსია, ლექსებს, როცა შენ დაბრუნდები სამშობლოში, ყოველი ყვავილი გეტყვის ლექსს, ყოველი ვარსკვლავი გაიმღერს სიმღერას. დაუფრე მთ უფრო, სანამ არ დაჯანდა ყვავილი, სანამ არ ჩამოვარდა ვარსკვლავი: ისინი — ყველაზე კარგი პოეტები არიან.“

ცისფერი ვარსკვლავები, წითელი ყვავილები, პოემაღ იქცევიან, შე კი შემოძლია მხოლოდ იგივე ვითხრა, რასაც ისინი გეტყვიან, რადგან მათ მასწავლებს შე ლაპარაკი. იქ სადაც მინდა აგვა რუნტუნებს შეც ოდესღაც ვიყავი, როგორც ზოსია, ბავშვი, ახლა კი შორს წამოვსუღვარ სტუმრად და მწარე ბედი სულ შორს და შორს მდევნის.

ჩამომიტანე, ზოსენა, ვარსკვლავების სინათლე, ჩამომიტანე იმ ყვავილების სურნელი, მე ნამდვილად მჭირდება ცოტათი გაახალგაზრდავება. ისე ჩამოდი სამშობლოდან, თითქმის ციდან ჩამოსულხარ.“

ამ ლირიულ შედევრში სლოვაკის პოეტური კრედიტ არის გადმოცემული: პოეტი სწავლობს ბუნებისგან, პოეტი ძლიერია მინამ, სანამ იგი მშობლიურ ქვეყანასთან, მშობლიურ ხალხთანა.

სლოვაკი მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლირიკოსია. მართალია, იგი წერდა ლიტერატურის სხვადასხვა ეანში, მაგრამ იქნება ეს ეპიკური პოემა, თუ დრამა, ყველგან პოეტის ლირიული ბუნება გამოსუვივის. ისეთ დრამატულ ნაწარმოებებშიაც კი, როგორცაა „ბალდინა“ და „ლილა ვენდია“, პოეტს შეაქვს მგზნებარე და სველიანი ლირიზმი. შედარებით უფრო ძლიერია დრამატურ-გიულის თეატრისთვის სამი მისი დრამა: „მარიამ სტუარტი“, „მავება“, და „ჩენი“. შეიძლება ეს იმიტომაც მოხდა, რომ აქ პოეტს ხელში ქონდა უცხოური მასალა, სადაც ნაკლები სამუშაოა ეძლეოდა სამშობლოზე ლირიული გოდებისა. ზოგიერთი მველვარის აზრით, სლოვაკი ახალი პოლონური დრამატურგიის შემქმნელია, მისი დრამები თავისი სცენურობის გამო ზეირად იღვმება არა მართო პოლონურ, არამედ სხვა ხალხთა ენებზეც.

მეუბედავად იმისა, რომ „მარიამ სტუარტი“ 21 წლის ახალგაზრდას მებრძოა დაწერილი. იგი უფროდ სცენურია. მართალია, აქვე ბევრია დაგროვილი რომანტიკული საშინელებანი,

შვედლობანი და გამეცმლობა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ თეთონ პიესის სიუჟეტად აღებული მარიაშის ისტორიის შოლოდ ერთი ეპიზოდი — შოტლანდიაში მისი მეფობის ამბავი: შვედლობა მარიაშის ფეოდატიზმა რაიონის და ღარსლვის, და არა პირადად მისი საყუთარი ზედ-იღბალი. კარგადია გამოკვეთილი ხასიათები: კანცლერ მორტონი, ბოტევილი, დარსლვის ხემარა, რაინდი დუგლასი, თეთონ მარიაშის ხასიათის გავებაში სლოვაკთა შიღვრის კონცეპციის უახლოვდება. შიღვრი წერდა, რომ მარიაშ სტუარტის ხვედრია „განაიციადის ძლიერი ვენება და აანთის ამ ვენებით სხეუბა“. სლოვაკის მარიაშ სტუარტს შოლოდ თავისი თავი უყვარს, თავისი სიღამაზე და ცხოვრობს იმით, რომ ამ სიღამაზე სხეუბა თავიანი სცენ. საყურადღებოა, რომ ამერიკელი კონორევისორის ჯონ ფორდის ფილმში „მარიაშ შოტლანდიელი“ (1936) მთავარი როლის შემსრულებელი კატრინ ჰეპბერნი ასეთივე კონცეპციის მიხედვით ხსენს მარიაშის ხასიათს.

ივანე მაზუპა — უკრაინის პეტრეანი 1669 — 1709 წლებში — ბევრ შემოქმედს აინტერესებდა თავისი ბედით. ბაირონი (1819 წ. პოემა), პეტრა (ლექსი) და პეშინი (პოემა „პოლტავა“ 1828), სლოვაკი (ტრაგედია 1834 — 1839), ლისტი (1854, სიმფონიური პოემა), ჩაიკოვსკი (1883, ოპერა) და სხვ. ბაირონი თავის პოემის საფუძვლად აიღო ვოლტერის „კარლოს მე-12 ისტორიიდან“ გადმოცემა ახალგაზრდა მანუშას შესახებ: როდესაც ის პოლნელ შედის იან კაზიმირის პატი იყო მას შეუფერადი ვიღაც მოხუც მანგატის ახალგაზრდა ცოლი, რისთვისაც მანგატმა შიბა იგი უხეზნ ცხენს და გაუშვა უკრაინის სტეპებზე. „სურათი მეტად პოეტურია“ — წერდა ამის შესახებ პეშინი, „მაგრამ ნუ ვებთ აქ მანუშას, ნურც კარლოს...“ იმდროინდელი ცხოვრების ფართო სურათი მოგვცა სწორედ პეშინმა „პოლტავაში“. ბაირონის კვალს გავყავ პეტრე, პიეტოს მიხედვით ლისტმა დაწერა განსაცვიფრებელი სიმფონიური პოემა, სადაც მუხომის ზეგში გადმოცემულია მანუშას ცხენის ფლოქვების თქარათქერი. სლოვაკი თავის ღრამში გამოიყვანა შედეგ იან-კაზიმირი, მანუშა, ვოევოდა, მისი ცოლი ანელია და ზბიგნევი, რომელსაც ანელია უყვარს. რაც შეეხება მანუშას დასჯას ცხენზე მიბმით, ამის შესახებ შოლოდ მეხუთე აქტის მეშვიდე სცენაში ლამარაჯთ. განარსებებული ვოევოდა ამბობს: „თოკი სხეულს დაგლეჯს, გათვალეს ცხენი მას“, ე. ი. მანუშას დასჯის ამბავი ის, რაც ბაირონს და პეტრეს აინტერესებდათ კულსებში ხდებდა.

ბეატრიჩე ჩენჩის ტრაგიკულ ამბით პირველად შელი დანტერესდა, თავის ტრაგედიაში 10. „მნათობი“ № 30.

(1819) ინგლისელი პოეტი ამართლებს ბეატრიჩეს მოქმედებას, მისი აზრით, ეს „ყუთავა“ შინელი, მაგრამ იძულებული „მოქმედება“ სტენდალი ქაშთალშერლის მიხედვით იმდროინდელი ავერწის 1598-99 წლების ამბებს (1839). სლოვაკი გვიხატავს ბეატრიჩეს ვენებან და შეუღრეკელ ხასიათს. დედა და დამამა კლავენ მამას, გააქვთ გვამი ტუნაში იმ ვარაუდით, რომ რომში განაღებული ორსინისა და კოლონას პარტიების ბრძოლის მსხვერპლად ჩასთვლიან მას. მაგრამ ბოროტმოქმედება იხსნება ბეატრიჩეს მიერ უაჩყოფელი ახალგაზრდის დახუზებით და ბეატრიჩე მიჰყავთ ეშფოტზე. ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ზენს ღროში ამ თემას შევხვთ იტალიელი მწერალი ალბერტო მორავია, რომელსაც დაწერა ტრაგედია „ბეატრიჩე ჩენჩი“ (1955), სადაც ახალ მასალებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მამას არაერთგვაროვნება არ ამოქმედებდა ბეატრიჩეს მიმართ, რითაც იხსნება ბეატრიჩესაგან იდეალიზაციის შარავინდელი.

აღმოსავლეთი ყოველთვის იყო ევროპული რომანტიზმის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ პოეტს ამ მხატვარის თვალთაც არ უნახავს აღმოსავლური ქვეყნები. ამიტომ ხშირად აღმოსავლეთი მათ ნაწარმოებებში — გამოგონილი, ევზოტიკური და ფანტასტიკური იყო. ბაირონი პირველმა 1809-1811 წლებში მოიარა საზღვრწინით, აღბანეთი, თურქეთი და მხოლოდ ამის შემდეგ შექმნა თავისი ევრეთიკული ალმოსავლური პოემები („გიაურთი“, „ღარა“, „კორსარი“ და სხვ.), რითაც საბოლოოდ განამტკიცა აღმოსავლეთის თემა ევროპულ პოეზიაში. ვიქტორ პეტრო, შართალია, არასდროს არ ყოფილა აღმოსავლეთში, მაგრამ თავისი კრებული „Les Orientales“ (1828 წ.) მთლიანად აღმოსავლეთის უძღვნა. თემაც ამ ლექსებში მრავალი სურათი ევზოტიკურია და ფანტასტიკური, მაგრამ პეტროს ღიღმა პოეტურმა ტალანტმა გადაარჩინა ამ კრებულის მრავალი ლექსი დაეწეუბისაგან.

1836—1837 წლებში სლოვაკი მოგზაურობდა აღმოსავლეთში: მოიარა საზღვრწინით, ევზოტიკე, პალესტინა, სირია, ლიბანი. ამ შრივ სლოვაკი უფრო შორს შეიბრა, ვიდრე ბაირონი. „აი უყუე ემესი თევა, რაც გადარეულივით დაექროლუე ღდამიწაზე, იმდენი რამ ენახე, რომ მიციბრს თვალებმა როგორ გაუძღეს ამს“ — წერს პოეტი ბეირეთიდან. ცხადია, ამ მოგზაურობამ დიდი კვალი დატოვა მის პოეზიაზეც. ავიღოთ მისი აღბანდელი პოემა „არაბი“, სადაც ევზოტიკურ-განყენებული აღმოსავლეთთა მოცემული და შევადაროთ აღმოსავლეთში ყოფნის შემდგომ დაწე-

რილ პოემის „ჰირშეირლთა მამა“, აშკარად დაინახეთ, როგორი შიშველი რეალისმით არის შესრულებული აღმოსავლური სერათები ამ უკანასკნელში. მაგრამ აღმოსავლეთში მოგზაურობის დროსაც სლოვაკის აწუხებს მოგონება თავის ტანჯულ სამშობლოზე და 1837 წლის განახლებულზე ზვიგისის ახლოს მარონიტების მონასტერში დაიწყო ახალი პოემა „ანგელი“, რომელიც პოეტის ერთ-ერთი უძლიერესი ნაწარმოებია, როგორც იდეურად ისე მხატვრულად (პოემა გამოვიდა პარიზში 1838 წ.).

„ანგელი“ დაწერილია რიტმული პროზით. ეს ფორმა მეტად პოპულარული გახდა პოლონურ ლიტერატურაში და მოაღწია კიდევაც მეოცე საუკუნემდე. ცხადია, ტრეტშიაიერი და პშინიშვიცი ამ ფორმას იყენებდნენ სულსხვა მიზნებისათვის, ადამიანის ეგრეთწოდებულ „შიშველი სულის“ ანალიზისათვის, სლოვაკის ამ პროზაულ პოემაში გამოხატულია პოლონელი ხალხის ტანჯვა 1831 წლის აჯანყების შემდეგ, როდესაც ხალხის საუკეთესო წილები ზოგი ციხიბრში ან კავასიაში, „ტელ ციხიბრში“, იყო გადასახლებული, ზოგი კი ემიგრაციაში გაიქცა. აღსანიშნავია, თუ როგორი თანაგრძნობით იხსენიებს სლოვაკი 1841 წლის პოემაში „ბენიეცის“ ლერმონტოს, რომელსაც ცაბიში მთელი სიცოცხლის მანძილზე დევნიდა, „ნახევარი ცხოვრება ვაატარა კავასიაში“. „ანგელი“ დანტეს „ჯოჯობეთს“ მოგვაგონებს: ციხიბრის წარმოდგენილია, როგორც ჯოჯობეთი, შამანი — ციხიბრის ტოპია ხელმძღვანელი როგორც ვირგილიუსი და კიბუცი ანგელი (თეთონ სლოვაკი), როგორც დანტე. ბრატენი შამანი ვააცნობს ანგელის ციხიბრში გადასახლებულთა ტანჯულ ცხოვრებას (მერვე თავში გამოყვანილია ეპატორინე ტრუბეკაია, რომელიც თავის ნებით გაჰყვა დეკარისტ ქმარს სერგეი ტრუბეკოის). პოემის ზოგერთი თავში სლოვაკი სატირულ მეთაბას ურტყამს პარიზულ ემიგრანტებს. ასეთია, მაგალითად, მეათე თავი „პოეტური წარმოსახვა ემიგრაციის კონკაობისა“ (სლოვაკის სიტყვებია). ამ თავში გამოყვანილია თავადი აღმაწარტორისკი (1770 — 1861) ემიგრაციის არისტოკრატიული პარტიის მეთაური გრაფ სკირას სახელით. სკირა ლათინურად ნიშნავს კიბის სიმსივნეს, რითაც პოეტმა ხაზი გაუსვა იმ ვარემოებას, რომ არისტოკრატია წყლულია პოლონელი ხალხის სხეულზე. სიმპათიურადაა გამოყვანილი სკარტაბელა, რომელიც, ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, უნდა იყოს იოახიმ ლუდეველი (1786—1861). ემიგრაციის დემოკრატიული პარტიის მეთაური, რომელიც მოითხოვდა ვლუხებისთვის შიშის ვადაცემას და

ებრატელებისა და ბოშების გათანაბრების შლახტასთან. მესამე — მღვდელი ტრინტატე კათოლიკურ-ვატიკანური პარტიის წინამძღვრად ემიგრაციაში, სეველია და მწუხარებით აღსავსე ანგელი მიღის ტაივის მარტოობაში, სადაც მოკლდება. საყურადღებოა, რომ, მიუხედავად ანგელის სიყვლილისა, პოემა თავდება ოპტიმისტურად: ცეცხლიან აისიდან გამოწნდება ცხენიანი რაინდი, რომელსაც ხელში უკავია დროშა, ამ დროშაზე სამი ცეცხლიანი ასო ვიზვიზებს. ეს სამი ასოა Lud (ლუდ, ხალხი). რაინდი მიიჭრა ანგელის ცხედართან და წამოიძახა: „აღდგა მყვედრითი ხალხი ქალების ქუჩების სავსე ვაგებთო! ხალხი იმარჯვებს!“ ეს იყო თვითონ სლოვაკის ღრმა რწმენა.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ორი დიდი პოეტი მიცევინი და სლოვაკი ტოვიანსკის მისტაქერი წრის წევრი იყო. მიცევინი გული რომ გაუტეხდა სამშობლოს განთავისუფლების მიწიერი, რეალური საშუალებებით, დაიჯერა რომ ახსებობს რაღაც არაბუნებრივი, სასწაულებრივი საშუალებები და უკიდურეს მისტიციზმში გადავარდა. ტოვიანსკის შენიანიშმა, როგორც წერს გერცენი, „თავი გაუბრუნა ასობით პოლონელს და თვითონ მიცევინსაც“. ბუნებით დემოკრატმა, სლოვაკიმ მისტაქინშიც კი პატრიოტიზმისა და ეროვნულ განთავისუფლების იდეებს დაუქვემდებარა. 1845 წ. პოეტმა სამუდამოდ გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი ტოვიანსკის წრესთან.

თავის შესანიშნავ ლექსში „ჩემი ანდრეა“ სლოვაკი თითქოს აჯანბნებს მთელ თავის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მგზნებარე სტიქორებით მიმართავს იგი თავის ხალხს, მთელ კაცობრიობას: „უინც მე მიცნობდა, დამიმოწმებს, რომ სამშობლოს შეეწირე ახლა-გაზრდა წლები; რომ სანამ ჩემი გემი უძლებდა ბრძოლას, მე არ მიმიტოვებია ანა და როცა კი ჩაბიძრა, მასთან ერთად ჩავეშვი წყალში... მაგრამ, ვემედარები მათ, ვინც ცოცხალი დარჩა, ნუ დაკარგავს იმედს, დაე, ხალხის წინ ვაატაროს ანთებული ჩირაღდანი; და თუ დაქირდა — დაე ერთიმეორეს მიჰყვეს და სიცოცხლე შეწიროს სამშობლოს“.

„ელოინ-პელიონ“ — შხის კაბუციის სახის შექმნა სურდა სლოვაკის თავის ცხოვრების ბოლო წლებში. იგი თვითონ იყო პელიონი, შხის შვილი, „ცეცხლიანი თაობის“ წარმომადგენელი, მაგრამ შეუბრალებელმა სიყვლილმა 1849 წლის 3 აპრილს მოუსპო მას სიცოცხლე. რამდენიმე ხნის შემდეგ 17 ოქტომბრის პარიზშივე ქლუკისაგან გარდაიცვალა მეორე დიდი პოლონელი — ფრედერაც შოპენი.



ზიგმუნტ პაიშვილი

(1897—1939)

ამ წერილში მე მინდა შეთხვევლს გაეუზიარო ჩემი მოგონებები შესანიშნავ პოლონელ მხატვარ ზიგა ვალაშევსკიზე, რომელსაც მე ვიცნობდი და რომელთანაც ემეგობრობდი 1906 წლიდან 1920 წლამდე.

დასაწყისი

თბილისი. 1906 წლის გაზაფხული. ფერწერის ენთუზიასტები, მხატვრები ნიკოლოზ ვასილის ძე სკლიფასოვსკი და ბორის ილქანსანდრეს ძე ფოკელი აპარსებენ თბილისში ხატვისა და ფერწერის პირველ სკოლას. მოწოდება უმრავლესობას შეადგენს ახალგაზრდობა, ფერწერის ისეთივე მგზნებარე თავყენისმეტყლეუბი, როგორც შათი მასწავლებლები, ერთხელ, მეცადინეობის შემდეგ, ვეება და ზორზობი, ნ. სკლიფასოვსკი, კლასში ელაპარაკებოდა ვიღაც საშუალო ტანის ახალგაზრდას. დაახლოებით ცხრა წლისა იქნებოდა, ეცვა სუფთა ქურტუვი და მოკლე შარვალი. ახალგაზრდა თავაწუთი ყურადღებით უსმენდა მასწავლებელს. მისი ნაიტრისფერი თვალები აღტაცებას და სიხარულს გამოხატავენ. ნ. სკლიფასოვსკი ჩემკენ მომბრუნდა და მითხრა: „გაოცანიო, ეს ზიგა ვალაშევსკია, ჩამოკლებული ბათობიდან, ჩვენთან დაიწყებს სწავლას, ახლა კი, წამოდით, ენახოთ, როგორ გადმოიღოს ზიგამ ასლი ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობიდან“...“

— „ეს-ღა მაკლდა“ — ვიფიქრე, „წარმოგვინილი მაქვს, რა თხუზნია ვინმე იქნება, ეს ხომ შეურაცხყოფაა დიდი იტალიელის ხსოვნისათვის“ ერთხელ კიდევ შევხედე ახალგაზრდას: ჩვეულებრივი უმარწილია, ჩემზე ეჭვსი წლით უმცროსი, არა, უნდა ვაევიზიარო აქედან — ვიფიქრე... მაგრამ ნ. სკლიფასოვსკიმ თითქოს შეიტყო ჩემი განზრახვა, მტკიცედ, ისე როგორც ეს მის ყოველთვის სჩვეოდა, მითხრა: „წამომევიეთ, ეს ახლასაა, მტკერის ნაპირას. გზავ ხომ იჭაოტენა გავით“. ძალაუნებურად დავემორჩილე. მიუთამლოდით, ეზოს კარებს, ვაევიარეთ ეზო და მის სიღრმეში რამდენიმე საფეხურით დავეშვით სახლში, რომელიც სპ

პატარა საიდად და უბრალოდ მოწყობილი ოთახისაგან შედგებოდა. ჩვენ შემოგვებება უმარწილის დედა, წარმოსადგევი და ლაპარაკი პოლონელი ქალი მზიხალინა ქსავერის ასული, მისი ქალი ვალერია და უმცროსი შეილი დიუნია (დემიტრი). ზიგას ოჯახი კარგად შეგვხვდა ჩვენ, ტრადიციული პოლონური ზრდილობიანობა შეთავსებული იყო მზიხარულ და ცოცხალ საუბართან. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი თავი ვიგრძენი ამ ოჯახში ისე, როგორც ჩემს სახლში. ნ. სკლიფასოვსკი აქ ძალიან უყვარდათ და პატივსაცემდნენ... ვთავაღიერებ ოთახს, ვხედავ, კედლებზე გამოკრულია რამდენიმე ნახატი ფანქრით. ცხადია, ეს ვიღაც უფროსი კაცის მიერ უნდა იყოს დახატული. ოსტატური ხელი, წერის მსუბუქი მანერა, მტკიცე კონტურები, — ვველაფერი ეს ამფლავნებს არაჩვეულებრივ ნიქს. ნახატების თემამაც დამაინტერესა: ოჯახის წევრების პორტრეტები. ეტყობა, ვიღაც ახლობლის მიერაა დახატული, მაგრამ ვისი? ნიკოლოზ ვასილის ძე მომიახლოვდა და შეთხა: „ახა, რას იტყვიო? წაეიდეთ, ახლა „სერობა“ ენახოთ!“. შევედი მეზობელ ოთახში, აქ მთელ კედლის გასწვრივ, დაახლოებით ოთხი მეტრის სიგრძეზე და ერთნახევარი სიმაღლეზე გაკრულია ქალაღი, რომელზედაც თავისუფალი მანერით, უშეუალოდ, მაგრამ ვირტუოზულად დახატულია ლეონარდოს „სერობა“. შესრულების მაღალი ელტურა, არაჩვეულებრივი სუღიერი დამბუღობა, ხუნჯი და მტკიცე ნახატი — ვველაფერი ეს მაევიფრებს, მაოცებს. გამტკერებელი ვიდექ ამ ნახატის წინ. ნიკოლოზ ვასილის ძე იღიმებოდა. მზიხალინა ქსავერის ასულიც, თვითონ ამ სერატის მხატვარმა კი ილღეკებისაგან არ იცოდა, სად დაეშალა თავისი ცუცხვალე თვალები და აიჩითოლებული ხელები. მზიხალი ასლი მინახავს ჩემს სიციცხლეში, ბუერის კარგი და ბუერი ცუდიც, მაგრამ ის, რაც ჩემს წინ იყო — ეს საევირეველებაა, სასწაული, მომზიხლავი, უეცარი და სასიხარულო ხელი გავუფარე ზიგას, მიუფრანე სერატთან და დაევიწყე გამოკითხვა, თუ როგორ ვაეკეთა, რამდენ ხანს ხატავდა,

რატომ აირჩია მიხეილმა ეს სურათი და სხვ. ზიგა სწრაფად და ზუსტად მიასუსებდა: ხატავდა ერთი კერა, აკვარელური პატარა ფუნჯით და ამ სასიკოლო საღებავებით (ზელი პატარა ყუთისავე გაიშვირა). ზიგა აღტაცებულაა რეჟისანის მხატვრობით, გრავირებით იცნობს ფანჯერულ, ესპანურ, რუსულ და, რასაკვირველია, პოლონურ ფერწერას. ახლა ეცნობა ქართულ ფერწერასაც. მიხეილმა, რომ ამ ყმაწვილს სხვა არავითარი ინტერესი არა ჰქონდა, ვარდა ფერწერისა, იგი სუნთქავდა და ცხოვრობდა ხელოვნებით.

ვალმევეს ოჯახში გატარებული ეს საღამო სამუდამოდ დამამახოვრდა, ზიგას გაცნობა და მისი ნახატების დათვალიერება. მე დარწმუნდი, რომ ზიგას სახით მსოფლიო ხელოვნებაში შედის ერთ-ერთი მეტად საინტერესო და თავისებური მხატვარი. მისი შემოქმედება შეიცავდა როგორც ფერწერასა და გრაფიკას, ასე ფანჯრით დახატულ პორტრეტებს, აკვარელთა შესრულებულ სურათებს, შარვესა და ნატურის ჩანახატებს. ყურადღებას იქცევდა პოლონელი მხატვრებისათვის დამახასიათებელი არტისტიზმი, თავისუფალი მიდგომა ნატურისადმი და შესრულების სინტიზი. დამამახოვრდა პორტრეტები: დედის, დის, ძმის; ვზოს და სვხლის ჩანახატები, სკოლის მოწაფეების შარავები, სხვადასხვა ვარიანტი ვოიას, შანეს, რემბრანდტისა და ტიციანის სურათებისა, ხშირად ვაიკვარდებოდი ზიგას, როცა იგი შევიდათან იჯდა: საუბრის დროს მის თვალბში სხვადასხვა შთაბეჭდილებანი ეუცრად სცვლადნენ ერთმანეთს, ხან ყურადღებით ვაიკვარდა, ხან თითქოს სახლაც შორს იხედებოდა, ხან გაიღვებდა დიმილი ან ირიონია...

ოსტ-ოსტა ყველაფერზე

წლიდან წლამდე იზრდებოდა ზიგას ოსტატობა, უფრო ფართოდ ეითარდებოდა მისი ტალანტი. ბუნებას ბუერი მიუღია მისთვის. ის ქმნიდა ყველაფერს ისევე ბუნებრივად, როგორც სუნთქავდა. მისთვის სიმწელეები არ არსებობდნენ. რთულ კომპოზიციურ სცენებს, ორფერტიონ და უფრო მეტი რაოდენობის ადამიანებით სავსე სურათებს ზიგა საუცხოოდ ხატავდა. ძალიან ნაყოფიერია ზიგა გრაფიკაში, და ეს არ შეიძლება ასე არ ყოფილიყო, რადგან იგი ხატავდა ყველგან, რაზედაც მოხდებოდა, ხშირად ქაღალდის წარმოდგენულ ნაგლეჯზე ან დახატულ საანგარიშო ფერცულზე.

ერთნიჩრად კარგად ფლობდა ზიგა როგორც ზეთის ტექნიკას, ისე წებოვან საღებავს, წარმატებით ხატავდა დეკორაციებს. საერთოდ,

მეტად მრავალფეროვანი მხატვარი იყო. იგი ხატავდა ფანჯრით, ტუშის კალმით, ან ფუნჯით, აკვარელით, ტემპერით, ყოველგვარ მასალას ფლობდა იგი საუცხოოდ, მისთვის არ არსებობდა არავითარი ტექნიკური სიმწელე-მხებილი თვლი შეუბრალებელი ძალით ამხელდა ყოველგვარ სიმახინჯეს, სასაილო ამბებს. ზოგჯერ ისეთი ძალით ამცლავებდა გამოსახულ პიროვნების ხასიათს, რომ ნატურა თხოულობდა ნამუშევრის მოსაპოვას. ასეთი შემთხვევა მოხდა ერთ მუსიკოს ქალთან, სანამ იგი მოვლად იდგა, კმაყოფილი იყო პორტრეტით. მევე კი, როდესაც ნახა თავისი პორტრეტი „Матань крив“-ის გამოფენაზე (1907 წ.), ამ მუსიკოს-ქალის შემოთვინებას და დარცხვენას სახლვარი არ ჰქონდა: ეს არ იყო შარვი, ეს იყო ადამიანის უზადრეკი ხასიათის შეუბრალებელი გამოხედვა. მხატვარის სულგონი აწუნარებდა ქალს: „ეს თქვენ არა ხართ, ეს ვეისეცქიაა სხვა ადამიანისა, რომელიც თქვენ გვათა“. სამუშეაროდ, ეს ნახატი საზღვაკარგეთ გატანილი ჩაუვარდა ხელში ისეთ ადამიანს, რომელმაც იგი გამდიდრების წყაროდ გამოიყენა.

საკვირველი იყო, როგორი შეუბრალებლობით პატარაობიდანვე ხატავდა ზიგა ბერეჟაიის წარმომადგენლებს, კაპიტალისტებს, ფაბრიკანტებს. მას არ შეეძლო მათი დახატვა, ფიქრები რომ არ ვაეშარკა. მამამისი ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელი (ინჟინერი) იყო და ზიგა მშეთა კლასის სულს-ვეთებით იყო აღზრდილი. ამიტომ იგი საზოგადოების პარაზიტებს და მექთასორებს ზიზ-ლით ამიარბებდა.

ზიგა იყო კეთილი, გულშემატკივარი მეგობარი, მასთან შედარებით უმცროს მხატვრებს ყოველთვის „ამხნევედა“, აწლევდა გონიერჩვევა-დარიგებას. გასაოცარი იყო ამ ყმაწვილის სიყვარული მსოფლიო ფერწერისადმი. იგი დაუღალავად აგრევებდა ცნობილი მხატვრების სურათების რეპროდუქციებს და ამ ნაწარმოებების შესწავლის მიზნით გადმოხატავდა ზოლდ მათ ფანქრის ან ფუნჯის საშუალებით, ხშირად სურათის ფონზე ამა თუ იმ მხატვრის პორტრეტის მოთავსებით.

კომიკური სიტუაციებისა და ინტერმედების უღვევი მარაგის პატრონი იყო ზიგა, სიმხიარულე და ჰუმორის მისი ბუნების შემადგენელი ნაწილი იყო. ერთხელ საშა ბაევიყ-მელიქოვის სახელობისში შევროდნენ შეკობრები: საშა, ლადო გუღიაშვილი, ზიგა და სხვ. ზიგამ სთხოვა საშას დას, მანის დაუქრას რიიილზე „ტორეადორის კეპუტები“. შემდეგ დასვა საშა სკამზე, ზეწარი მოახიჯა და ფუნჯით ხელში. მუსიკის აკომპანეჟმენტით გათამაშა პეტროშიმა „მხიარული პარიმბერი“. ამის შემდეგ რამდენიმე ათეული წლიწალი

გავიდა და ამ პანტომიმის დამწერ-მონაწილეებს ახლაც ასოეთ ზიგას არჩევულებრივად კომიუტრი მომართობა-ეხსტები, როცა იგა თავის გაბრუნებულ „კლიენტის“ გარშემო უყლიდა კავით.

მხრეველ მეგობრობა აკეშირებდა უმცროს ზიგას უფროს მხატვრებთან: კირილე ზღანევითან, ალ. ბაგევე-მელიქოვთან, ა. ზალცმანთან, დავით კაკაბაძესთან, ლადო გუდიაშვილთან და სხვ. ასევე დიდი პატივისმცემელი იყო თავისი მასწავლებლებისა — ნ. სკლიფასოვსკისა და ბ. ფოველის. მაგრამ ზიგა თავის ბუნებას აქაც არ უმტყუნებდა და ხშირად საუყარელ ადამიანებზე გულგებულად, მხიარულად და ეწეინარად ხატავდა შარყვას: „ნ. სკლიფასოვსკი ამტრის სახით“ (1911 წ.), „მხატვარი სკლიფასოვსკი ლაყოონის სახათ“, „მხატვარი სკლიფასოვსკი და მისი მოწიფე — ქალი იპერა „ფუსტას“ სეცენას წარმოადგენენ“ (1911 წ.), „მხატვარი ბ. ფოველი ეხოპას სახით“, „ექიმი ნასიფე“, „მხატვარი კ. ზღანევი“ (ყველა 1912 წლისა). ასეთ შარყვების ხატვას ზიგა განავრძობდა 1913 და 1914 წლებშიც. თავის თავსაც არ ივიწყებდა (1914 წლის შარყვები): „ზ. ვალიშევსკი ლუერში რუბენის დარბაზში“, „ზ. ვალიშევსკი ჰალსის დარბაზში“. 1913 წელს ზიგა ხატავს შარეს „მხატვარი რუბენის“ და შრავალ სხვას.

უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ზიგაზე დიდი ქართული მხატვრის ნიყო ფიროსმანიშვილის შემოქმედებამ. იგი გულისხმირად განიცდიდა ამ ადამიანის ტრაგიკულ ბედს, ყოველთვის დიდი ტაქტით და პატივისცემით ასვენებდა ფიროსმანიშვილის სახელს. უნდა გვხვებოდეს, ილია და კირილე ზღანევიანებთან, და პეტე კოლუაჩ ნერინაძესთან ერთად, როგორი თავგამოდებით დაბობდა მთელ თბილისში ფიროსმანიშვილის სურათების საქვენად. დიდი ინტერესით და გატაცებით ეცნობოდა ზიგა ამ მხატვრის შემოქმედებას, ყოველ სურათის შესახებ საუბრობდა და კამათობდა მეგობრას მხატვრებთან. ვიარტოვებულ ოსტატობით ხატავდა ზიგა აქველი თბილისის“ პეიზაჟებს. ახალგაზრდა მხატვარი ხშირად ამბობდა, რომ თბილისი, მისი ადამიანები, უხვი მზე და მეგობრები, — დადებით გავლენას ახდენდნენ მის შემოქმედებაზე.

დიდი იყო მხატვრის რეაგირება ვარე სამყაროსადმი. მხატვარი გ. ვრიგორიანის აგონდებია ერთი შემთხვევა 1919 წელს თბილისის საოპერო თეატრში, სადაც გაიმართა საქველმოქმედო საღამო. მთელი თეატრი სავსე იყო კობტად და ლამაზად ჩამოქველავებით, ყველგან მხიარულება და სიცილ-კისკისი მეფობდა. მაგრამ ყველაზე დიდი გამოცოცხლება ბტყობოდა ერთ კიოსკთან. აქ იდგა ზიგა ფრანკში გამოწყობილი (თეატრიდან ქირით აღებული).

თავზე ცილინდრი ეხერა. პოლონურია ელექტრონობით და უშეაღობით უქირავს მას თავი, ხელში უკავია მუცლის კოლოფი და მუცლის რამდენიმე ფურცელი. ვისაც სურს მისგან ნახატის მიღება (ასეთები კი ბევრნი აღმოჩნდნენ) კიოსკში უნდა გადაეხადა ფული, და აქვე 10-15 წუთში მიიღებდა შესანიშნავად შესრულებულ, საოცრად მისმავსებულ ნახატს, რაც მათეუბრებში აღფრთოვანებას იწვევდა.

თავსამეიულიდან ცილინდრი ყველაზე მეტად უყვარდა ზიგას. ბევრჯერ ხატავდა ის თავის თავს ცილინდრით ხელში, ზოგჯერ პროსპექტზე გაივლიდა ცილინდრიანი, თითქმის საზღვარგარეთიდან ჩამოსული გაგნტლმენი ყოფილიყოს, რითაც გამწვლუ-ჯამომეულთა ცნობის-მოყვარებას იწვევდა. ზიგა რომ მხატვარი არ ყოფილიყო (რაც წარბოუდგენელია), იგი უთუოდ მსახიობი იქნებოდა. ეს კი კიდევ ერთხელ მიუთითებს ზიგას შრავალნიარ ტალანტით დაჯილდოებაზე.

ზიგას გამოუღვეელი ფანტაზია თავის გამოსახებულსა პოელობად ნახატების თემტიკურ სიზრველესა და მათს შესრულებაში. ხან ფანტასტიკა, ხან რომანტიკოსი, ხან თავისებური რეალისტი, იგი ყოველთვის იყო ახალი გზების გამგაფიფი ნოვატორი.

რვა წლისა არც კი იყო, როდესაც დაბატა „პეტრე პირველი პოლტავასთან ბრძოლაში“, ამ თემიდან იგი გადადის მრავალფერებრიან კომპოზიციებზე: „ფონ-ვიზინი უკითხავს თავის ნაწარმოებს ეკატერინე მეორეს“, „იმპრესიონისტები კელდ ლორენის ნაწარმოებებთან“, „ყოლილი რომში მხატვარ ივანოვის სახელოსნოში“, „მხატვარი რუბენის“, „ფიროსმანიშვილის ტიპაჟი“, „დონიხოტი და სანჩო-პანსა“, „ენგერი ხატავს მხველებს“ და სხვ.

ახალგაზრდა მხატვრის მიერ ასობით პორტრეტი დახატული ნატურიდან: „პეტროვსკი“, „მედემის პორტრეტი“, „მხატვრის დედის პორტრეტი“, შესრულებული ზეთით, ტუშით და ფანქარით. პორტრეტის ვანრში ზიგამ მიღწეა დიდ ოსტატობას, მას შესწედა უნარი ნატურის „აბსოლუტური“ სიზუსტით გადმოცემისა ნახატში, რაც, ცხადია, არ გამოირცხავედა შემოქმედებითს ტემპერამენტს. უფრო მეტი თავისუფლება ეტყობა მის ილუსტრაციებს მომასლის, ბალზაჟის, უილიდის და სხვათა ნაწარმოებებისა. მისი ნახატ-შარყვები, მამული და ირონიული, ყოველთვის ყურადღებას იპყრობენ: „მხატვარი ზალცმანი“, „დეცენსი და პეშკინი“, „დრამატურგი ოსტროვსკი“, „ყვარდარივი“, „მხატვრები სოჩინი და სუდოიკანი“, „პოეტო ილია ზღანევიანი“, „პოლო იშვილი და ტიციან ტაბაჟე“. ზიგა ქართულ პოეტების დიდი მეგობარი იყო. იგი ხშირად პოეტებთან ყოფნის დროს ხატავდა მათ. დიდი

ხასიათის მხარეები — ესაა ადამიანის მხარე-
ები, მისი ფილოსოფიის, ზნეობის, რამდენადმე
ფიზიოლოგიის მხარეებიც. ხასიათი მოიცავს
ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა მხარეს,
დაკავშირებულია მთელ მის არსებობასთან, მის
ეროვნულ ყოფიერებასთან. ხასიათს ყოველ-
თვის ინდივიდუალური, კონკრეტული, განუშე-
ორებელი. ხასიათი როდია წმინდა საბით აღე-
ბული იდეა, იგი არაა ლოკატორი კატეგორია.
იგი უშუალოდ უკავშირდება ადამიანის ქმე-
დების ვრცელ და ყოველსომოცველ სფეროს.
ხალხთა მრავალი წარმომადგენლისათვის საერ-
თო გადამწყვეტ თვისებათა ერთიანობისას ხა-
სიათი მაინც არ კარგავს თავის ეროვნულ ცე-
ფრას, თავის განსაყოფიებელ კოლორიტს.

როცა მწერალი გაორჯი ნატროშვილი მოთხ-
რობაში „ქვედა გაზაფხულია იორზე“ ქმნიდა
მოხუცი მწყემსის იორამის სახეს, უთუოდ არ
ფერობდა იმაზე, რომ ამ სახით შეეკრება ქარ-
თული ეროვნული ხასიათის მხარეები, ახალი
ადამიანის ხასიათის მხარეები, და თვით ეს მო-
ხუცი თითქმის არ გამოდგებოდა ამ როლი-
სათვის. მოთხრობებსა და რომანებში ჩვეულებ-
რივად მოხუცებს სულ სხვა ზედადი აქვთ გამ-
აღებელი: ისინი იმყოფებიან გზაჯვარედინზე,
დატვირთული არიან ძველის ძლიერებით, მაგ-
რამ ისწრაფვიან ახლისკენ. აი ეს კოლიზია
ახალსა და ძველს შორის და მათი შეჯახებების
შესაძლო გართულებები წარმოადგენს მოხუც-
თათვის მიძღვნილ ნაწარმოებთა სტანდარტულ
სიუჟეტურ ლერქს. ნატროშვილი არ მოქვე-
ნდება სქემას. შან ვადაუბნია ნაქონი ზხიდან.
და მისი ბაბუა იორამი ძალიან თავისებური და
ორიგინალური გამოვიდა. ნატროშვილს შეე-
ყავარო ჩვენ იმ მყარ, მატერიალურ სამყარო-
ში, რომელშიც უხდება მოქმედება ბაბუა იო-
რამს. მწერლის მიერ დაბატული ბუნებრივი პი-
რობები თვითმყოფადია და მიმზიდველი თავისი
დაიდი შრისხანებთა და იდეალუბით:

„სულ ახლოს ხარ გაღვიძებულ და მოხმინან
სიკოცლით სავსე ქვეყანასთან, მაგრამ გგო-
ნი, თითქმის სილაც შორის, დასაქარგავში და
მოუსაყლეთში გამგზავნებულყო.“

იქნებ ამ გრძნობას ეს მოუბო იწვევენ, ხეობა
რომ ჩაუეტიავთ, იქნებ ნაცრისფერი ავმანი, ან
მოწითალო, გაეარეარებული ჭვიშისფერი ხურ-
ხუმი, უცნაურ სურნელს რომ აფრქვევენ, და-
მაბნეიდესა და უმიზნებო ნაღვლის აღმძვრებს.

იქნებ იმდრომ ენევენბა კაცს ასე, რომ აქა-
ური გაზაფხული ქვეყნად ნახულ არც ერთ გა-
ზაფხულს. არა ჰკავს, თითქმის სულ შებრუნე-
ბით და უკუღმა ხდება აქ ყველაფერი. მეწამულ

აღმურში ხვევენ ნაცრისფერ მიღამის ფრიმ-
ლის ბუნქები, გაზაფხულზე წითლად რომ ჰყვა-
ვიან, შემოდგომაზეც მათ ფოთლოვანი ფრთ-
იღებდა, თითქმის მიწას ხაზაარი მისდებოდა.
ფერობებს, მოღებული ქაფთაარი ძეძვი კი
ყვითლადა ჰყვავის, ამიტომ აქ გაზაფხულიც
და შემოდგომაც, თითონ ზამთარიც კი, ერთი
ფერისანი არიან. ზამთარშიც ხომ აქ მუდამ გა-
ზაფხულია, პატარა გაზაფხულს რომ ეძახოდნენ
ჯერ კიდევ მის ქართველები, რომელთაც უხსო-
ვარ დროს პირველი ფარეხები ააგეს ამ მიღა-
მოებში“.

ბუნება აქ ფონი კი არაა, ან დამატება ადა-
მიანის ვანკლებსა და გრძნობებსა, არამედ —
ადამიანის მოქმედების არენა, რამდენიმედ წი-
ნისწარ რომ იგრძნობს მისი ხასიათის ზოგიერი
მხარეს. ამ ბუნებას უნდა ეთანხმებოდეს ადა-
მიანის ბუნებაც. აქ ადგილი არაა სუსტებისათ-
ვის, ზოზინა ადამიანებისათვის, გულგრილები-
სათვის, — თითქმის გვაფრთხილებს მწერალი.
იგი ემოციურად განაწყოებს მითხველს ვაქა-
ცური და შეუდრეკელი ხასიათის ადამიანებთან
შესახებდრად. მოხუცი იორამის ხასიათი კი, ერ-
თი შეხედვით, არ შეესაბამება ჩვენს მოლოდინს.
იორამი, ჩანს, უფრო მეტად სევდიანია, უფრო
მოქმედია, მას გაანია უფრო მეტი ვანკები,
გამოწვეული სიმწელით განახორციელეს თავისი
სურვილები, ვიდრე უშუალო მოქმედებები,
თავისი საქციელის გაშლა. უფრო მეტიც. ძნე-
ლია ზუსტად განვსაზღვროთ ეს პროპორცია, ეს
თანფარობა, რადგან იორამის მსჯელობა წამ-
სვე გადადის საქციელში, ხოლო მის მიერ ჩა-
დენილი ეს საქციელი კვალად და კვალად იწ-
ვევენ მოხუცის ფიქრსა და მსჯელობას. მთა-
ვარი მასში მაინც სევდაა, იგი მოპირისპირეა.
იორამის სევდის წინააღმდეგობა იმაშია, რომ
იორამის მოყვარულ ადამიანებს, რომლებიც
უფრთხილებიან მის ჯანმრთელობას და სიბე-
რეს, ამით მწველ ტკივილს აყენებენ მას. ადა-
მიანობა მოულოდნელად იცვლება სიმკაცრით
და სულიერი სიმშრალით: ჰკვიანი იორამი
გრძნობს, რომ მას მორალური უფლება არა
აქვს, უთხრას თავის კეთილმოსურნებს მათი
სიმკაცრის შესახებ, მათი უსამართლობის შესა-
ხებ. მათ ხომ სიყუდ უნდა მისთვის, ასრულებ-
ბენ რა არასწორად ვადებელი სიკეთის გამო
იმას, რაც ძირს უთხრის მის საფუძველს. ამას
ზედავს იორამი. იგი მეტისმეტად მგრძნობი-
რეა და მოყვარულბული. იგი ერიდება იმ ადა-
მიანთა შეურაცხყოფას, რომლებიც მასზე ზრუნ-
ვისას, მათდა უნებურად, ზიანს აყენებენ მას.
იგი გუნებაში ატარებს სულიერ ტკივილს, მხო-
ლოდ თავისთავს უშვებს საყუთარ ფიქრებსა
და ვანკლებს. იგი ემდურის წლებს, რომლებმაც
წარსტაცეს ძალღონე მის მუხლებსა და ხელებს,
მოიტაცეს მისი სიმატკვე და შემშართებლობა.
წიათადა ახალგაზრდობის დრო, სიკოცლად თან-
დათან ქრება. იორამი წინააღმდეგობა დროის შე-



მოტყვას. უმოქმედობა იმის ნიშანია, რომ ტალღებმა ნაპირზე გამოჩიყეს. ეს ამონებს იორამს. მისთვის ცხოვრება ნიშნავს მოქმედებას, შემოქმედებას, ქმედებას. ცხოვრება მუდმივი შემოქმედებაა. სხვაგვარად, ამა, რამის არსებობის აზრითადაც დასკვნამდე იგი როდის მიდის ფილოსოფიური მსჯელობისა და ლოგიკური დასკვნების გზით. ცხოვრების შემოქმედების ფილოსოფია შერწყმულია მის ბუნებასთან, მის გამოცდილებასთან, მის ხასიათთან, იგი არ წარმოთქვამს გრძელ-გრძელ სიტყვებს. არ მსჯელობს გაციანებრებით. მის შესახებ მოთხრობაში არც ისე ბევრია თქმული, — თითქმის ძუნწად, მაგრამ რამდენი სულიერი სიმდიდრე, მაღალი ადამიანური გრძნობების რამდენი სიღრმე იმალება ამ უბრალო და მომხიბვლელ ადამიანში. მასში შეერთებულია ტემპერამენტურობა, მგზნებარება, დინჯი ცხოვრებისეული სიბრძნე და ბავშვურად სუფთა გულბრუნელობა. საგულისხმოა სკენა სასამართლოში. იორამი დროებით დარაჯად მუშაობდა ფეხსაცმელების ფაბრიკაში. ვიღაც გაიძვირებმა მოიპარეს ტყვიის ნაჭერი. იორამს გამოეპარა ქურდები. იგი ვახდა თავისი მიმდებარეობის მსხვერპლი. იორამმა არ იკადრა ეინმეს ჯიბეების გასინჯვა. მოხუცს ღმრად სწამდა ყოველი ადამიანის სინდისი და პატივი. და, აი, უწყევთო ხელში მიღეს იგი სასამართლოში. მოედანზე, ბაბრის ახლოს ხალხს თავი მოუყარა. იორამს ჰგონია: ადამიანები სპეციალურად მის შესახებდავად მოსულან, თითქოს მათ იცოდნენ, რომ იგი სასამართლოში იყო დაბრუნებული. იორამი გუნებაში ფიქრობს: განა უმჯობესი არ იყო, მაშინ მიმოკვდიოყო, როცა საშინელმა ღვართაფმა მოიტაცა ცხენი და მწყემსები? იმ დღეს მწყემსებში დახიზრუნენ და მათი გვაშები .მღინარემ შორს წაიღო და შემდეგ ბატრიონის ახლოს გამოჩიყა. მოხუცის გამხდარ, დანაოქებულ ლოყაზე ჩამოგორდა ტრემლები. ეის დასტროდა იგი? იმ ბიჭებს, თუ თავისთვის? ასე მძიმედ, ასე უმტანჯველად განიცდის იორამი თავის შერცხვენას, რაშიც სულც არ მივთვდის ბრალი. იორამი ბრუნდება სათვლელში. სულითა და გულით მიისწრაფვის საუყვარელი საქმისაკენ. გარემო ბუნებასაც კი პროფესიული თვალსაზრისით უყურებს. მის შეგნებაში მწიფდება სიუხოო პოეტური სახე: მოყარის შეწზე თეთრი გოგრები, ლურჯი სახამთროები და ოქროსფერი ნესებები იორამს აგონებს კრავებს, რომლებიც ბუბუბებს სწოვენ მშობელ დედა-მიწას. იორამმა გაიტანა თავისი: იგი კვლავ მწყემსია, და სავსით ამტკიცებს, რომ იგი არც ისე მოხუცია.

აი, იორამი არაა მოხუცი. პეტრიკაცმა შემოდგომის მზუზე თვალები მოთქმენიდა და მიდამოს გახედდა: ისევე ისეთი იყო იორი, როგორც გაზაფხულზე. ისევე ლურჯად კრთოდა ცა ჩათმის მთის თავზე, ისევე

ნაკისფერი და უმოხუზო ნაღლის აღმქერილი იყო ის ნახევარდ უდაბნოსებურე მწყემსო მოქმედი თრიბლის ბუნებებს წითელ-ღვინოვან-ყვითელ ვითა.

და ისევე ვერ გაიგებდი გაზაფხული იყო თუ შემოდგომა იორზე.

ვერც იმას მიხედობოდი, ჰაბუეი იყო იორამი, თუ ღრმა მოხუცი, რომელსაც გზათაუკან წაწალი აღარ შეეძლო.

მტრედისფერი ბინდი ნელ-ნელა წვებოდა ჩათმის მთებზე“.

იორამის-სახეში ერთგულე და საბჭოური მხარეები გამოდიან როგორც ადამიანის პიროვნების ერთიგობისათვისგან ძნელად გასარჩევი ერთიანი მხარეები. ცხოვრების ვარემოება, ბუნებრივი პირობები, მოქმედების ხასიათი, ფსიქოლოგიური ასოციაციები — ყველაფერი ეს დაეკონტროლებოდა საქართველოსთან. იორამი კეთილია და სიტყვაძვირი. სიმორცხვე, მოკრძალებულობა მასში შეერთებულია შეუპოვრობასთან მგზნებარებასთან. მას მტრისმეტად აქვს გამახვილებული საკუთარი ღრისების გრძნობა. სწირად შესახედად ვეცარი, ის ნაზია და აღურისიანი. იორამი აღმერთებს ცოლის ხსოვნას, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა მას. ცოლის სახე განსაკუთრებული სიძლიერით აგონდება მას თავისი ცხოვრებისა და ტანჯვის მიმე წუთებში. იგი გუნებაში რჩებასა სხოვს მას; ევედრება, ნუგვიმ სცებს და მოუფეროს მოხუცს. მის სახეზე აღმუქვლია იორის ცხელი მზისა და გაათრებული ქარების, მაღალ-მთიანი იალაღების პაპანაქებისა და ყინვების წარუშლელი კვალი. იგი კოლორიტულია, თავისუფალი, შეუთვლებელი იორამის არევა რუს, უკრაინულ, ბელარუსს ანდა ყახახ მოხუცებში. მას მკაფიოდ ემჩნევა მისი მშობელი და აღმზრდელი ერის ბეჭედი. საბჭოთა ადამიანის თვისება — ნამდვილად თავდადებული სიყვარული შრომისა, მისწრაფება იცხოვროს ადამიანთა შორის და ადამიანებისათვის, ჩიადინოს ვარგი საქმე საბჭოთა საზოგადოებისათვის, სინდისიერება, შეტრყენული კეთილშობილება — ყველაფერი ეს როდი გამოცალკევდება იორამის პიროვნებაში, როგორც დამოუკიდებელი და თვითმოუფიცი მისი თვისების ერთგული არსისაგან. ეს ორი თვისება ვლინდება მასში ერთიანობით. თავისი საზოგადოებრივი ბუნებით საბჭოთა ადამიანად შყოფი, ის, მიუხედავად ამისა, რჩება განსაზღვრული ერის წარმომადგენელი.

დამოუკიდებლად არსებულ ნაწილად ხსენათის მკვეთრად განსაზღვრა (აქ — წმინდა ერთგულე მხარეები, ხოლო იქ — წმინდა საზოგადოებრივი) არაა იმდენად მოსახერხებელი, ისინი შვიდრო კედლით როდი არიან ერთმანეთისაგამო გამოცალკევებულ, არამედ ურთიერთმოქმედებითა და განსაზღვრით, აყალიბებენ ახალ თავისებურ ერთიანობას, რომელშიც საერთო



შეერთებულია ეროვნულთან, ხოლო ეროვნული ახალთან, ეს, რასაკვირველია, როდი ნიშნავს ხასიათის ეროვნულად სპეციფიკური თვისებების ვაჭრობას. მაგრამ ხასიათის ეროვნულად სპეციფიკური თვისებები არ უნდა ავიღოთ იზოლირებულად, როგორც თვითმყოფადი არსი — საზოგადოებრივი და სოციალური სფეროს გარეშე, რომელთა ბუნებაზეა დამოკიდებული მათი გამოვლენის წინაარსი და თავისებურებანი.

ყირგიზულ ენაზე გამოცემულ შრომაში — „ყირგიზეთის საპელო პაროზის ისტორიის ნარკვევები“ (ნაწილი პირველი), ლტერატურის მქონდენ კ. ასანალიევი აყენებს საინტერესო საკითხს: შეიძლება თუ არა ეროვნული ტრადიციული შედარებების გამოყენება მეორე ხალხის წარმომადგენლის სახის შესაქმნელად? კ. ასანალიევი დაასკვნის: არა, არ შეიძლება! და აი, რა მიზეზით: ჯერ-ერთი, რეალისტურ პროზაში გადმოსული ეროვნული ტრადიციული შედარებები უცხო სხეულივით იქნებოდა, და, მეორეც, საკუთრივ ეროვნული ტრადიციული ეპითეტებისა და მხატვრულ დახასიათებათა გამოყენებას შეუძლია სხვა ხალხთა წარმომადგენლის სახის დენაციონალიზება, მისი ეროვნული გენმასხვევებელი მხარეების უუკუგდება. კ. ასანალიევის მოყავს მავალითა ა. ტოკომბაევის მოთხრობიდან „დნესტრი შეერთვის ღრმა ზღვას“. მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი გმირია — დანიელ დონსკოი, რუსი რევოლუციონერი. დანიელს სახე მწერლის მიერ გახსნილია მრავალნაირი ასპექტით—საზოგადოებრივი, სოციალური და ეროვნულით. კ. ასანალიევი სწორად შენიშნავს, რომ მხატვრული სახე კარგავს დამაჯერებლობის ძალას, თუ მას აღარ გააჩნია თავისი ეროვნული კოლორიტი. ტიპური მხატვრული სახის შექმნის ძირითადი მომენტი ხდება ადამიანის ხასიათი, სულიერი წყობა. მაგრამ სახეთა ეროვნული კოლორიტულობა გამოიხატება მრავალ სხვა ადამიანურ და ცხოვრებისეულ გამოვლინებაში, ყერძოდ, გმირის სალაპარაკო ენის დახასიათებაში, მის გარკვევან სახეში. კ. ასანალიევი თვლის, რომ დანიელ დონსკოის გარეგნობის აღწერაში ეს კანონზომიერება არაა დატული ა. ტოკომბაევის მიერ. რაში გამოიხატა ეს დაუცველობა? ა. ტოკომბაევი დანიელ დონსკოის თვალს ადარებს „ი რ მ ი ს თვა-

ლებს“. კ. ასანალიევის ასეთი შედარება მიჩნია მხატვრულ-ეროვნული სიპარტუტის [ფორმულად. ასეთი სახის შედარება გუბუნებში [ფორმულა ხალხურ ზეპირ პოეზიაში და უმთავრესად იგი მიეკუთვნება ქალთა დახასიათებას:

„ის იხედება ირმის თვალებით, როდესაც მამლევს პურს გასასინჯად“ —

წერს კ. ასანალიევი და მოყავს გავრცელებული ხალხური ლექსის ეს ორი სტრიქონი. იგი გამოდის იქიდან, რომ ყირგიზეთის ხალხური პოეზიის მთავარი შედარებები და ეპითეტები გამოსადეგია განსაკუთრებულ ყირგიზთა ეროვნული ხასიათების წარმოსაქმნელად. მეორე ხალხის წარმომადგენლის სახის შექმნისას უცხო ეროვნულ ნივთს ვადატანილი ეს შედარებები კარგადენ თავიანთ ძირითად მხატვრულ მნიშვნელობას, და მათ ზოგჯერ საწინააღმდეგო აზრი ენიჭებათ.

კ. ასანალიევი ნაწილობრივ მართალია, უწინარეს ყოვლისა, მხატვრული სახის ეროვნული დახასიათება მოიპოვებაო მისისაქციელის, ზენეველებების, ქცევების გახსნით და არა გარეგნობის დახატვით. ადამიანის გარეგნობა უნდა გამოდიოდეს მის მორალურ, ეროვნულ არსთან შეთანხმებით. მეორე ხალხის წარმომადგენლის შესაქმნელად ეროვნულად ძირითადი ეპითეტებისა და შედარებების გამოყენებას იქვს, როგორც წესი, ზუსტად აღნიშნული მხატვრული მიზანი: საკუთარი ერის შეგნებასთან ამ სახის მიხლოება, მისი ესთეტიკური „ათვისება“, „გამინაურება“. თუ რუსი ადამიანის თვალს შევადარებთ ირმის თვალს, რაც ახლოა ყირგიზის აღქმასთან, და არა, მავალითად, რუსეთის ლურჯ ზეცას და ა. შ., ეს ჯერ კიდევ როდი მტყვევლებს იმაზე, თითქოს რუსი ადამიანი კარგადდეს რეალურ ეროვნულ მხარეებს მნიშვნელოვანია, რომ ის ეთანხმებოდეს რუსის ხასიათს მთავარში, არსებითში, მაშინ ყირგიზთა ტრადიციული მხატვრული შედარებები ვერ შეარყევენ მის მთლიანობას. საკითხი შედარებათა გამოყენებისა და გარეგნულობის აღწერის შესახებ — დიდი საკითხის ნაწილია. მხოლოდ და მხოლოდ ამ მთელის სხვა რგოლთან შეერთება მოგვეცემს საფუძველს საკითხის ჯეროვანი გადაწყვეტისათვის.



„მკვდრის მზე“

ფერნანდო „ციცკრის“ შემედიდ ნომერში გამოქვეყნებულ გიორგი შატბერაშვილს მოთხრობას „მკვდრის მზეს“ შეიძლება ეწოდოს გაციოცლებული მითი არა წარსულის აღდგენის თელასზრით, არამედ — როგორც ლეგენდის პათოსით ასახული თანამედროვეობა.

მოთხრობა მოქცეულია „მარადი“ თემების რკალში, თემებისა, რომელთაც ხანდაზმულობა არ უწერიათ და რომელთა ხედვრიც ეპოქებთან ერთად ცვლა და განახლებაა.

მოთხრობას თავისებური კოლორიტი აქვს და გარკვეული ელფერი დარკავს, სწორედ ეს გვაძლევს უფლებას ეწუოდოთ მას ლეგენდა, არა იმიტომ, რომ ამბავია ფანტასტიკური — იმიტომ, რომ წინა პლანზეა წამოწეული რომანტიკული საწყისი ადამიანში, თვით ამბავი აუენებს პრობლემას, რომელიც დიდ ემოციურ შესაძლებლობებს მოიცავს და თავისი ხასიათით ხალხს შემოქმედების იმ არეს განეუთვნება, რომელიც ლეგენდათა და თქმულებათა წყაროს წარმოადგენს. ხალხის კონცეფცია სიკვდილ-სიცოცხლის, ვაკეციობისა და სიყვარულის შესახებ, რომელიც ქართულ სინამდვილეში წარმართული სულით გამსჭვალული თქმულებათა წყაროა, აძლევს მოთხრობასაც ქართული მითოსისათვის დამახასიათებელ ელფერს.

მოთხრობას ლეგენდის პათოსისა და მნიშვნელობას აძლევს „საჯილდაო ქვა“ და მასთან დაკავშირებული უკვდავების თემა.

ხიზამბარელი, გოლიათი, რომელმაც „მოთელი სიცოცხლის ძალა ერთ წუთში დახარჯა“, დაიღუპა ქვასთან ჰიდელში. ქვასთან შეჭიდება მეროდება და ქვა, დარჩეული მსხვერპლს, საუქუნის შემდეგ ახალ მსხვერპლს იწირავს.

იქნებ ეს მხოლოდ სპორტია, ატლეტთა ჯიბი? იქნებ ქვა მხოლოდ „გამოკვერცხილი“ ლოდია, ხოლო თენჯო და ხიზამბარელი მხოლოდ და მხოლოდ მხარგრძელი ვაკეციები, რომელნიც ერთმანეთთან და ქვასთან ჰიდელს გადაყენენ? არა „საჯილდაო ქვის“ ამბავს ბევრად ღრმა აზრი აქვს. იგი არის განსახიზრება ადამიანის მარადიული სურვილისა — მოიხვედროს „ყოველ მოსახვედრელს“ მკობნი — სხეული, დამკვიდროს თავისი ადამიანური ძალა, შეეჭიდოს და აზიდოს შეუძლებელი, დაიფტლოს ოცნება, ქვა ოცნებაა, იდეა. იგი მით-

ხვის მსხვერპლს, მსხვერპლის ვადების გარეშე რომელი ოცნება ქცეულა რეალობად!

ხიზამბარელმა, თენჯომ და გიორგიმ იციან — „სიკვდილი სიცოცხლეს შობს“ — განა უსიკვცხლოა საფალავნო ქვა, ზედ შემორჩენილი ორი სიტყვით: „სიკვდილითა სიკვდილისა...“

— „სიკვდილითა სიკვდილისა დამთერგენელი“, — ქართული კაცის შეურყევი კონცეფცია, სიცოცხლის მომნიჭებელი ძალა. აი, იგი უდიდესი სიბრძნე, — სიკვდილი სიცოცხლეს შობს... სიკვდილ-სიცოცხლის გადაქრტევი პრობლემა ხალხის სიბრძნემ გადაჭრა. ხალხს, რომელმაც, სიკვდილის, ფსად არაერთგზის შეიჩინა მიწა, შემოინახა მითი, ჰქონდა უფლება ეთქვა — „სირცხვილ არს სიკვდილ“ — და არ შინებოდა მისი.

— „ღმერთმა თქვენს ოჯახში ნურც ცოცხალი გამოლიოს, ნურც მკვდარი“ ლოკავს ხალხს სევდამწარებელი გიორგი კობახე და **ლოცვა წაეღას** ჰგავს, მაგრამ მან იცის — „სადაც სიკვდილი არ შეაბოტებს, იქ ხომ არც სიცოცხლეა“ — ასეთ შეზობლობაში არსებობენ ისინი, როგორც სხსაფლაო, რომელიც მოფლისკვე მოიწევს და სოფელი, რომელიც მოიწევს სასაფლაოსკვე „გატყულ სოფელსა“ და „წუთოსოფელს“ შორის მიჯნა იშლება, ოღონდაც ეს მისტიკა როდია, აქ ითრგუნენს შიში სიკვდილის მიმართ. „სირცხვილ არს სიკვდილ“ — წუხს ხიზამბარელი, კაცი, რომელიც ვეება ძალა, რომლის განფენა ხანგრძლივ სიცოცხლეზე შეიძლებოდა, ერთ წუთში დახარჯა.

— არ მახვედ, მარტიაჯ... სირცხვილ არს სიკვდილ“ — ჩასახოდა მომავლად მოხვევს ძმანდაფიცი, „სირცხვილ არს სიკვდილ“, რადგან მტერი ჯერ არ განუდევნიათ, რადგან ცხოვრების წინაშე ვალი ჯერ მოუხდელია. სიკვდილი გარდაუვალია, მაგრამ კაცობა მისი მზნედ შეხვედრება, ვაკეციობა შენი შესაძლებლობათა ამოწურვა და ისე გარდაცვალებაა წინააღმდეგ შემთხვევაში იბადება შიში სიკვდილის წინაშე, მაშინ სიცოცხლე იქნება სირცხვილი, მაშინ აღარაიენ დაეჭილება საჯილდაო ქვას, აღარაიენ იბრძოლებს ოცნების სინამდვილე გუდასაქცევად, არ იტვირთავს უმძიმეს ტვირთს.

ბოლოს და ბოლოს არსებობს თუ არა გიორგი კობახისათვის „გატყული სოფელი“ ან რაა

„წუთი-სოფელი“? მისი ფილოსოფია თავისუფალი შიშის გრძნობისაგან, რადგან ერთი მეორის ლოგიკურ გაგრძელებად მიიჩნდა და ერთში მეორას ჩასახვას და დასაწყისს ხედავს. კობაიძე ვერ ურიგდება სიკვდილის უღრობოდ შემოჭრას ცხოვრებაში; ამ შემთხვევაში თითქოს ირღვევა მისი წარმოდგენა სიკვდილ-სიცოცხლის პარამონიული შეტყუების შესახებ, ადრე დამდგარი სიკვდილი ძალადობაა, რომელიც წყვეტს აღმა სვლას. ესაა გიორგის სევდისის საფუძველი, მაგრამ იგი აქვე იშველებს ხალხურ სიბრძნეთ ვადაძეცულ ქრისტიანულ მორალს — „სიკვდილითა სიკვდილის დამთავრებელი“ — ეს კი იგივეა რაც — სიკვდილი შობს სიცოცხლეს. „მკვდარი მკვდარს არ შეხედება“ — იუბნება იგი თუნგის და აფართოებს სასაფლაოს გზას იმდენად, რომ ცხედრები მხოლოდ აღმა ატარონ.

იქ სადაც აღმართი დგება გადაუტრეღის პირისპირ, აწვდება პრობლემას, რომლისთვისაც არ აჩვენებს განსაზღვრა დროში და კიდევან სივრცეში, იგი წარმოდგენით ავსებს ხარვეზს. ასაკილდაო ქვა! სულადგმული საგანია, იგი იღვანა და უბრძოლველად იღვრება შემოქმედება-სიკვდილზე სასაფლაოზე აქეთ, იქნებ ეს დასასრულია? რაღა უკვდავება? პირველ ქრისტიანთა იმედი, პირველქვერთა გულუბრყვილობა, სიტყვა მკვდელი საქმედ, აზრი რომელმაც ვადაძეობა ფიზიკური არსებობის საზღვრებს? გიორგი კობაიძისთვის უკვდავება სიკვდილის სიკვდილითვე დაჯანბნა. თუნგო, დამოუხმებელი ოცნებას, წინაპარს იხმობს მოწმედ, რომ დაანახოს, როგორ მეორდება უკვდავება, წარმოდგენა ფართეს საუკუნეს, — ხიზამბარელი, ამოსული შეუცნობის მრტმედან, მოწმეა ვანგოვრებულ თავისსავე შევიდებისა ქვასთან.

გიორგიმ იცის, როგორ ებრძოდა გზად და ცემული ხიზამბარელი სიკვდილს — სირცხვილ არს სიკვდილ! — ქუხდა ხიზამბარელის შიკრდში სიცოცხლის სურვილი და ფალაგანა ნახა „სიკვდილისა სიკვდილით“ დათრგუნდა, ნახა, როგორ აქცია ქვა უკვდავ თავისი სიკვდილით ხიზამბარელის სიკვდილი უკვდავებად.

მოთხრობაში არის მშვენიერი ადგილი, რომლის წარმოდგენა სულტრეღულ სიმკვთობით შეიძლება: როცა თუნგო თითქოს აწყვეს ქვის, იგი იწვდის დამბულ ხელებს ცისკენ, ნანო ხედავს ცის ფონზე გამოკეთილ მის სხედს, სხედეს ამბოხი და მოუსვენარი ვაჟკაცისა, ჰაბუტის ხელებს შორის მთარება, თითქოს ჰაბუტმა მთავარე აზიდა, შეწვდა მთავარეს. აი იგი, აღმართის ყოვლისშემძლე ხელები, რომელნიც იმპარტილებენ მნათობებს, აი იგი, საჯილდაო ქვა, ანუ აღმართი გამუფებული სურვილი

სიმაღლეთა წყდენისა, ოცნების დაუფლვის და თუნგოში არა მხოლოდ ფიზიკური შესაძლებლობაა, მასში მორალური უფლებებიცაა. ცხლოს მითი, შეწყვეტს მნათობს. წამოაყენოს საფლავიდან ხიზამბარელი, რადგან ქანტო იგია, ვისაც მიწაზე მოაქვს ახალი, ვინც ანიჭებს ახალ ფორმებს უძველეს ოცნებას. ჰაბუტო იგია, ვინც სინამდვილედ აქცია უკვდავება, მისთვის უკვდავება არ არის მხოლოდ იმედი, დაე, სიკვდილის ფასად, მაგრამ თუნგო კობაიძემ იცის: უკვდავება საქმეა, აღმართის ხელუბნება და გონის ნაყოფი.

გიორგი ხედავს ხიზამბარელის თვალებს, მათში ჩაუჭრბოი ცეცხლი და იმედია. საუკუნემ განალო, უდიდესი რუქებისა და გარდაქმნების საუკუნემ, საფლავნო ქვა უქმად არ ადგია სასაფლაოზე და სადაც „დის ღამეა“. თითი აღმართში ცხოვრობს უთქმელისა და საინების ნაშთი — ბედის წერა.

გიორგი დასცინა ბედისწერას, სიკვდილი მისთვის ცხოვრების ლოგიკური დასასრულია. მან მოიხადა ვალი საუკუნარი თავის და ახლობელთა წინაშე და წელთა სიმალიდან ერთობა მკერტითა და ანალიზით.

მოხუცმა იცის — სიკვდავებს ყველა დროში ახასიათებს ერთი საერთო:

„ძველების სიფრთხილე სიმხალდედ მიიჩნით ახლებს, ისინი სხვა თვალთა უყურებენ ცხოვრებას, ისე უყურებენ, როგორც ქველები არიან და ცეცხლთან თამაში არ ანიშნებთ, ვინც ცეცხლს არ ეთამაშება, ვერც გმირი გზხდება... იციან თუ არა ეს, მაინც ამ გზით მიდიან... მოვა ვიღაც და ახლა ის შეეჯიბრება თუნგო ბიჭს, როგორც ის ხიზამბარელს შეეჯიბრა“.

გიორგი ხიზამბარელსა და თუნგო ბიჭს შუა, ვარდამავალი საფეხურია, ამ სიტყვაძენწმე ბედგამრედეებულმა და გაროხმა ბეროკაცმა დასწლია ტივილი, მიუხედა ხიზამბარელს. მიუხედა თუნგოს და გაიყო სიკვამის ცეცხლთან ჰილილი, სიმამაცე. მისთვის ნათელია ერთი — სიკვდავემ რომ იცოდეს და სიბერეს რომ შეეძლოს — აი სისუსტე სიბერის და სიკვდავსა.

პიროვნების გარეუბა და ორი შეს დამირის-პირება ლიტერატურაში ნაცადი ხერხია, იგი აადვილებს გმირის პიროვნებაში კეთილ და ბოროტ საწყისთა დამირისპირებას და დომინანტის დადენას, აღბათ იგი ავტორსაც ეხმარება ამ საწყისთა შეფარდების დადგენაში.

გ. შატბერაშვილის გიორგი კობაიძე ამ მხრივ გამოჩაყლისი არ არის.

გიორგი რეალურა კეთილი და იგი საწყისების შერწყმით და ამ საწყისთა ერთმანეთთან ჰილილით. იგია აღმართი, რომელიც თავისთავში ატარებს წინააღმდეგობებს, ებრძვის მათ. ცდილობს ჩაწვდეს თავისი ბუნების არსს, შე-

იენოს თუ რა მასში კარბი—სიყვარული მოყვასისადმი თუ გაბორტება, გამოწვეული საკუთარი ბედმრუდობით.

რას წარმოადგენს იგი, როგორც სოციალური ერთეული? მესაყუთრეს, პატარა ტირანს, გამოყვითლს თავის მცირე სამყლობლოში. კაცს, რომელმაც ბოლომდე ვერ შეიგნა, როგორ შესწირა პირველი სიყვარული საკუთრებას, ემტრო დედას, ამოეშანთა სულში პარამოშეშებული იარა დაეკამათიღებელ ოცნებათა. გაბორტდა და გახდა ღვარძლიანი.

პარალელურად იგი მოყვასა, ხალხური და ადამიანური სიბრძნით სავსე, ატარებს დაფარულ სიყვარულს ადამიანებისადმი, მიუხედავად შეცდომებისა, ბევრზე ბევრის აზრს წვდუნალო, კაცი შრომისა და მოქმედების. იგი თავისი შეცდომების მსხვერპლია, მაგრამ მათ შეცნობაში იხსნება მისი პიროვნება.

ხშირად ასეცა, ადამიანი თავის შეცდომათა ქარცეცხლში გავლით უფრო უახლოვდება თავის ჭეშმარიტ ბუნებას, ვიდრე ორთოდოქსალურ შეუცდომლობით.

გიორგი კობაიძისთვის შეცდომა არ წარმოადგენს მხოლოდ წარსულს, იგი მტკიცებულად განიცდის მათ შედეგს და ცდილობს მიზნის წვდომას. ყოველთვის სჯის თავის თავს, ეძებს და არც ეძებს თვითგამართლებას.

უბირ და გაუნათლებელ გლეხკაცს აწუხებს ისეთი პირობელები, როგორცაა სიცილიტორი-ცოცხელი და დამოკიდებულება თაბათა შორის. ერთერთი მისი უშთაგონის შეცდომა თაბათა (არა მარტო ბიოლოგიური ვეცემით) შორის დამოკიდებულებაში ელინდება. ახალს არ სურს მიხედოს გარდასულს, ძველს არ ძალუქს შეიწყნაროს სიახლე. მას არ ესმის თავისი შეილის ისევე. როგორც ოდნულად ღვდამ ვერ გავტო მას და მაინც იგი ყოველთვის ცდილობს მიხედეს, ცდილობს შეუგნებლად არ აყვას თავის ინსტიტუტებს, ხშირად დავიანებობთ, მაგრამ მაინც ხედება სად და როგორ შეეცა, თმც ძლიერი ნებისა და ბუნების მქონე კაცის შეცდომები სავალალო შედეგებს იწვევენ.

სხვის მიერ მოყვანებული ღიმი ტავილი ზოგჯერ იწვევს სურვილს მიუხლო სანაცლო საკუთარი ტავილის ფსად, დაისაჯო თავი და ამით დასაჯო ახლოელი. ეს საკუთარი უძალიობით გამოწვეული რეაქციაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, უშეშობის მიერ ნაშობი ეგოისტური თვითგანწირვის, ასეთია გიორგი დედის მიმართ. დედამ წართვა სიყვარული, იგი სჯის დედას, სჯის საკუთარ თავს და არც კი ფიქრობს იმის შესახებ, რომ სჯის უღანაშელო ადამიანს — ხახტკას.

რამდენი სიმათლე არსებობს? დედის სიმათლე, გიორგის სიმათლე. შავდითვას სიმათლე. ყოველი მათგანის შეცდომა სიყვა-

რულითაა გამოწვეული და ყოველი მათგანი მართალია საკუთარი თავის წინაშე. მაშინ, როგორაა იპოვის გიორგიმ ნამდვილი სიმათლე? იგი მას ვერ პოულობს და ამითაა გაპარბებული მისი შეცდომები შეიღობს ურთიერთობაში. სიმათლე კი უბრალო იყო. არავის არა აქვს უფლება იძალიდოს გრძნობაზე, ხელყოს სიძუბეკის იმედები და სიყვარული; ოფიციალური უფლება (თუნდაც უღლება დედისა და მამისა) ყოველთვის არ იძლევა მორალურ უფლებას, შეზოკო და წარმართო სხვისი მსწრაფება. გიორგი სჯის საკუთარ თავს, სჯის ცოლს. ასეთია ეს კაცი, რომელსაც შეუძლია უღიდესი ბორტება მიუტევეოს ადამიანს და ვერ პოულობს ძალას ამატიოს ახლოლებს. გულციობა მისთვის ბუნებრივი როდია. გიორგი კობაიძეში არის რალაც მიუხედავად ადამიანური ძლიერება, მასში ცოცხლობს ადამიანი, რომელმაც არ იცის რა უყოს შინაგან ენერგიას. იგი ხელოვნურად უპირისპირებს თავის თავს ადამიანებს, გურბის მათ, სამართლიანია მათ მიმართ და მალავს სამართლიანობას, უყვარს ისინი და გულის სიღრმეში მალავს სიყვარულს. არსებობენ ადამიანები, რომელთაც არ ძალუქთ გაიხატონ თავისი გრძნობები, მათში ღიმი ედებია, რომელიც ხელს უშლის იყენენ უშელონი და ისინი ყოველთვის ცდილობენ დაფარომ თავისი ჭეშმარიტი ბუნება, ხოლო დაფარვისას უკიდურესობაში ვარდებიან და იჩივენ უშე და გიორგი გარეგულ ფორმას. უფრო ხშირად ეს ემართება სწორედ გიორგის მსგავს ადამიანებს, რომელთა ენერგია გამოუყენებულაა, შემოქმედებითი ინსტიტი უქმად რჩება. ამბობი სული ვერ პოულობს ამოსავალსა და ადგელს, მაშინ ისინი ეგორჩილებიან ნერეებსა და სიციტეტებს. მათი ძალა ყრუ, სხვისთვის ძნელად შესაძენე ბრალაში იხარჯება, ბრძოლაში საკუთარ თავთან.

თენჯო ერთადერთია, რომელსაც სხვაზე უკლე ესმის მამის. შეილის მოსიყვარულე გული ყოველთვის ხედება, როდის იღვიძებს მამაში ალერსის სურვილი და იგი ისწრაფვის ამ ალერსის შესავებულად. თენჯო კობაიძე მამის ენერგისა და ნების გიორკეცებული გამოერებაა. იგი ძლევის ქედის დაძლევის და საჯილდოო ქვის დაურეების ნებობათა ატანილი. ყოველივე რაც მამაში დაფარულად ცოცხლობს, შეილში გასნილია, გამოყვითლი, რის გამოც უბევი ღვუნდის პერსონაგის თვისებებით იმოსება. მასში მკვეთრადაა გამოხატული ადამიანის ბუნების რომანტიკული საწყისი. გიორგი კობაიძე გრძნობს შეილის უპირატესობას, მაგრამ ვერ შედევეა თავის თავს, იგი ხომ ასეთივე იყო. ასეთი უნდა ყოფილიყო. გიორგი აღვიძებს შეილში თქმულების განმეორების სურვილს, იგი დარწმუნებულია, რომ ღვეუნდის გაციოლება შეუძლებელია, მაგრამ ერთის შეგედვით, მხო-

ლოდ და მხოლოდ დაეინვაღ ქვეულ წაქეზებით იმყოფილებს დამშეულ სულს. დასასრული კი მისთვის მოუღაღანელია.

გიორგი კობაიძე გვიან მიხვდა, რა სახიფათოა ჭაბუკი ოცნების გაღიქმება და რა დიდ პასუხისმგებლობას იღებს თავზე კაცი, როდესაც შეუენებლად, წუთიერ გაღიზიანებას აყოლილი, სურვილის მარცვლებს ჩააბნევს ჭაბუკის გაუტყებულ სულში, ისე როგორც მან გააღვიძა შვილი სურვილი პაექრობისა ზიზმაზარელთან, სიჯაბუტეს არ შეუძლია დატომოს არც ცოცხლებს, არც მკვდრებს. თენგოს შინაგანი ბუნება შემზადებული იყო დიდ საქმეთათვის, იგი ისწრაფოდა ეზიდა რამ ისეთი, რაც მის ძალას აღემატებოდა. ჭაბუკისათვის გვირობა საკუთარ შესაძლებლობას გადამარბებულ ვალდებულებათა კისრებაშია.

თენგიზის ბუნება ოცნებათა დაგმანულ ქვევრს გავდა, რომელსაც მამამ ახადა საჩქველი, მამამ, რომელიც თაობათა შორის ჩამდგარ ყრუ ეგონა დაემორჩილა წამით და ვერ აპატიო თავისავე ნაშვირს ხელის ვაწყდენა იმ სიმაღლისკენ, რომელსაც თვით ეგრასოდეს ვერ შეუძლია იქნებ ისე ნათლად, როგორც გიორგიმ, ბევრმა არ იცოდა, რომ სურა მისი არსებობისა ძეა მისი, მაგრამ აქ უკვე მამაკაცი წაეკიდა მამაკაცს და უფროსმა არ მოისურვა დაემთო უმცროსისათვის ლეგენდა გარდასულთა და წარმავალთა უპირატესობის შესახებ.

სიანტერესოა ის ვარემოებაც, რომ გიორგი კობაიძისათვის მატერიალურ დოვლათს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, იგი არაა თაყვანისცემული იმისა, რაც დაავროვა და მოხიბუქა. თუ ეწინააღმდეგება ახალს, არა იმიტომ, რომ მისთვის სიმდიდრე ფერია, მასში გამეფებულია ფსიქიკური შიში ყოველგვარი სიახლის წინაშე. მის ერთხელ და სამუდამოდ სულ სხვა ვითარებაში ჩამოყალიბებულ ბუნებას არ შეუძლია ეცებ მიიღოს და შეიკუთოს გარდაქმნები და, აგრეთვე, ეს კაცი თავისი იმპულსების ტყვეა. ემორჩილება პირველად გაწყობებს, ხოლო გვიან, როდესაც ხვდება მათ უსაფუძვლოებას — ეფირობს, რადგან არ სურს გამოტყდეს საკუთარ დანაშაულში, ასეთია იგი, როდესაც გადაწყვეტს ნახარის ამოწყვეტას, ხოლო შემდეგ იმალება სხვენზე. გიორგი კობაიძე არ არის ახალ ვითარებათა შედრიგებელი მტერი, უბრალოდ მისთვის ძნელია გარდაიქმნას, რადგან იგი სხვა სიცილიერ ვარემოებას პირისშოა და უკირს ძველთან გამოთხოვება. იგი არასოდეს არ მიმართავს ღია მტრობას ახლისადმი, რადგან გრძნობს, რომ ახალს ვერ შეაჩერებს. მისი ამბოხი საკუთარი სახლის ფარგლებს არ სცილდება და იქაც როდია დარწმუნებული თავის სიმატრულში. თავის გაღიზიანებას სიახლისადმი სკვპტიკური დამოკიდებულებით გამოხატავს, ოღონდ მისი სკვპსისი მხოლოდ და მხოლოდ

დაძაბული ნერვების შედეგია და არა მსოფლ-შეგრძნების ან მსოფლმხედველობის ნაყოფი. მართალია მას უმძიმს ძველ ფორმებთან გამოთხოვება, უმძიმს შედრიგვებს შვილის ჩამორჩენებას, მაგრამ სანაცვლოს დატინებით შეფარულ წაქეზებით უზღავს მხოლოდ. ერთადერთი შემთხვევა აფექტისა, როდესაც მამა და შვილი წაეკიდებიან, მას მძიმე დანაშაულის გრძნობით აწევება სიციცხლის დასასრულამდე მთელი უბედურება გიორგისა იმაშია, რომ ვერ გამოიშობა, იმ შეჯახებაზე უფრო სახიფათო ერთის შეხედვით უწყინარი ლქინი იყო. ლქინი, რომლითაც იგი და შეე დათვა ჭაბუკს ქვასთან შესაქიდებულათ აქეზებდენ. სწორედ აქ მიეცა შულს თაობათა შორის ჩამდგარი ზოგადის მნიშვნელობა, ზოგადის, რომელიც მსოფლმხედველობის, პოტენციის, ტემპერამენტის და თაობათა დანიშნულების სხვაობათაგან შედგება.

დამარცხდა არა იგი ვინც ფიზიკურად დაეცა, დამარცხდა გიორგი, რადგან გამოეცალა შორაღები საყრდენი.

— „ეი რომ, რაც მოხდა, ის ერთხელ მომხდარი და გაეღიო კი არ არი, ყოველდღე ხდება, ყოველდღე მეორდება. ეს გამოკრებული უფრო მძიმეა...“

გიორგი კობაიძე წარსულს ახალ ახალი სიმბატრით განიცდის, დრო ცუდი მეტრნალია, რადგან გიორგისათვის შვილის დაღუპვა არა მხოლოდ უახლოესი ნათესაის დაკარგვაა. მისთვის თენგე არსებობის ვარემოება იყო, ერთგვარი გამართლება საკუთარი ფუჭად ჩაღილი ცხოვრებისა და გარდა ამისა, შვილის დაღუპვამ აუხილა მას თვალი და დაანახა შეცდომების საბედისწერო თანმიმდევრობა, რომელთა იგი გაორბამდე მიიყვანეს და აიძულეს მთელი სიღრმით განეცადა ტკივილი, გამოწვეული საკუთარი თავის გააცნობით.

სიყვარულის თემას მოთბრობაში გარკვეული აღგვილი აქვს დათმობილი. მართალია იგი წამყვანი მოტრევი არაა და ერთგვარ ფონს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც გვირგვისასასიათი უფრო სრულ და გამოწვეული ფორმას ღებებობს, მაგრამ მაინც შეიძლება აღინიშნოს ერთი თავისებურება, თენგოსა და ნინოს სიყვარულს პლასტიკური სახე აქვს, წინაა წამოწეული ფიზიკური სიღამზე და პარაბოლს დიონისური საწყისი. ეს არ ნიშნავს, თითქმის არ იყოს ხაზგასმული ის სულიერი ნათესაობა, რომელიც თენგოსა და ნინოს აჯავშირებს. სცენა ძღვევის ქედზე, ან სასაფლაოზე, როდესაც არსებობის განწყვეტლობა მატერიალურ გამოხატულებას პოულობს, მეთხველს ხედვის წინაშე წარმოდგება სულტრული სინათლით. აეტროი ფიზიკური სრულყოფის მეშვეობით ხაზს უსვამს ნინოსა და თენგიზის სულიერი სიღამაზე. საერთოდ სიყვარულის თემა მოთბრობას გაყვება დრა-

მატულ ზოლად. იგი მოთხრობაში შემოტანილია იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო გიორგი კობახიძის არსებობის გაგრძელება და ლევანდის გადასვლა თაობიდან თაობაში.

გ. შატერაშვილის მოთხრობა „მკვდრის მზე“ საინტერესოა არა მხოლოდ თავისებური სიუჟეტით — საინტერესოა ამ სიუჟეტის დამუშავებითაც. მოთხრობა უძალესად დინამიურია, რაც გამოწვეულია თვით ამბის ხასიათით და უმოთხრესად სიუჟეტის გაშლით.

ამბავი არ არის დალაგებული ერთ სიუჟეტურ ხაზზე, არ არის დატეხილი თანმიმდევრობა დროში ვარემოებათა შეწყველების თვალსაზრისით. აღებულია ერთი დღე, უკანასკნელი დღე აღამიანის ცხოვრებაში და უკანდახევის გზით გადმოცემულია მთელი ცხოვრება. კობახიძის უკანასკნელი დღე იტევს მისი ხანგრძლივი ცხოვრების ამომწურავ სურათს. ამბავი გადმოცემულია ისე, როგორც მას გმირი განიცდის. სიუჟეტი დაყოფილია თითქოს დადამოუკიდებელ ამბებად, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებს შინაგანი ხაზი. ეს ის კავშირია, რომელთაც ღირიყელ ნაწარმოებში თავისუფალ ასოციაციებს უწოდებენ და ლოკატორი კავშირი აქ ან წმინდა ემოციურია, ან ფსიქოლოგიური. ამბის ასე გაშლა ნაწარმოებს დინამიურობას მატებს და ამოფრებს ამბის დინებას, ატორი ამ გზით ატრებს ხაზს გასმას იმ ვარემოებათა, რომელთაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამბავი ეითარება როგორც რეალურ ვარემოებაში, ე. ი. გმირის წარმოდგენის ვარემო, ისევე გმირის წარმოდგენაში, რომლის გაწყობები განაპირობებენ ამა თუ იმ სურათის ასახვას. მოთხრობას, როგორც აღვნიშნეთ, ლევანდის ხასიათი აქვს, ხოლო სიუჟეტის ამაღლებად აგება იმდენს თანამედროვე ფორმას და ანიჭებს სიახლეს იერს.

გ. შატერაშვილის მოთხრობის ენა უძალესად დახვეწილია, ფეროვანი და მდიდარი. იგი დაწერილია დარბაისლური ჭარბულით და ნათელი ილუსტრაციით აჩისა, თუ რა ბუნებრივად იტევს ჭარბული ენა თანამედროვე პროზისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ სპეციფიკურ თავისებურებაში, თუნდაც რიტმის, ლაუნურობისა და დიალოგთა აგების თვალსაზრისით. ენა უზალოა და მკითხველს ანიჭებს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას.

შესაძლოა შეიშინოდას ზოგიერთი ვახვიალებაანი, სურათთა ზედმეტად გაშლა, ან ზოგიერთ ხატთა და შედარებათა ტრადიციულობა. ზოგიერთ თხრობის რიტმი არ დაემთხვევა

ამბის შინაგან რიტმს და სხვა, მაგრამ ამ მეორე-ხარისხოვან შეცდომაზე უკეთესად უნდა ვთქვათ ის, რომ კარგა ხანია უკეთესად დაწერილია არ დაწერილია მოთხრობა ისეთი წმინდა, ფაქიზი და ლექსიურად მდიდარი ენით, როგორცაა დაწერილია „მკვდრის მზე“.

მოთხრობაში უხვადია ნახშირი ისეთი გამოთქმები, რომელიც ყოველდღიურ შეტყუებაში იშვიათად გვხვდება, მაგრამ ყოველი მათგანი დიდი ზომიერების გრძნობითაა გამოყვანილი და ბუნებრივადაა შერწყმული ტექსტთან. თითქმის არსად არ იგრძნობა ხელოვნებობა, რომელსაც სიტყვის მიმართ თვითმხიზნური დამოკიდებულება იწვევს.

ყოველ აღამიანს სწამს რაიმე თვის თაობასთან ერთად, ყოველ თაობას აქვს თავისი ლევანდა, რომელიც გამოხატავს მის ოცნებასა და ხასიათს და რომელიც შეერწყმის მითოსს, გადმოსულს თაობიდან თაობაზე. სიცოცხლე განუწყვეტელია, თაობიდან თაობაზე გადადის ოცნება ვეჟაციონისა და უცვლადების შესახებ, ისევე როგორც თქმულება მამიდან გადაცემა შეიღს, ხოლო შეიღიდან შეიღისშვილი, რომელსაც თავის მეგრადი დაქვს ვეჟაციონებულ ამბავი ნებაშეუდრევ, სურვილ მიუგარსავ ვეჟაციონის შესახებ.

კმატეა ვერ მოუწერო მოხუცს, რომლისთვისაც მოქონდა არსებობის უსახურლობის იმედო და რწმენა. იგი შეესწრო საჯილდო ქვესთან შექვილების უკანასკნელ დღეს, ნახა ვალმობლიო კაცის სიკვდილი და კვდი ერთხელ გამართლდა გიორგი კობახიძის სიბრძნე — სიკვდილი სიცოცხლეს შობს — ნინოს ბიჭი ლევანდის გაგრძელებაა, ახალი ვითარებაში და ახალი ფორმით. როგორი იქნება, ოცნება რომლისკენაც გააწვდის ხელს კმატეი? ისევე საჯილდო ქვა თუ ქვების კომპლექსი, რომელთაც მძლავრი და ჭკვიანი ხელები ცათამბჯენებად დააწყოებენ?

არ შეიძლება თუნდაც ორიოდ სიტყვა არ ეთქვა მოთხრობის მხატვრულ გაფორმებაზე, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვარს — დ. ერისთავს გუთვნის. ძნელია შეტი შინაგანი ჩაწვდომით ნაწარმოების სულოვანი და გულისფრთქვის გადმოცემა. იგივე დინამიურობა და ლაუნურობა, ექსპრესია და სკულპტურობა, ეროვნულობისა და განცდის თანამედროვე ფორმათა ორგანული შერწყმა. როგორც მოთხრობა, ისე მისი ილუსტრაციები, უდაოდ არის ეფრება „ცისკრის“ და ჩვენი დღევანდელი ხელოვნების გამარჯვება.



3. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები

გამოქვეყნებულია „საბჭოთა საქართველომ“ მიმდინარე წელს გამოცემა ვ. ესაიაშვილის ერთდროულად გამოცემული ქართულ ენაზე ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები (1895—1924)“.

გამოქვეყნების ავტორი ვ. ესაიაშვილი მიზნად ისახავს გვიჩვენოს ვ. ი. ლენინის — საბჭოთა კომუნისტური პარტიის შემქმნელისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გენიალური ბელადის, პროლეტარული იდეოლოგიის კლასიკოსის როლი საქართველოს რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მოგვეცეს სურათი ლენინის ზეღმძღვანელი და წარმმართველი როლისა საქართველოს კომუნისტური მოძრაობის მიმართ, ლენინის მოღვაწეობის მნიშვნელობისა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საქართველოს გამოყვანისა დაიდი სოციალისტური — კომუნისტური მშენებლობის გზებზე.

ვ. ესაიაშვილის მაღალკვალიფიციური გამოცემა გვჩვენებს მდიდარ ფაქტობრივ მასალას, მრავალშემთხვევაში დღემდე უცნობს მეცნიერებისა და ფართო მკითხველთა წრეებისათვის, ეს დღემდე უცნობი მასალები ლენინისა და ქართული კომუნისტური მოძრაობის ურთიერთობის შესახებ გამოვლენილია თვით ავტორის მიერ და მათ აქვთ სერიოზული მნიშვნელობა საქართველოს საზოგადოებრივი აზრის და რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესწავლის საქმეში.

ვ. ესაიაშვილის ახლახან გამოქვეყნებული მონოგრაფიის ღირსება იმაშია, ავტორის დამახრებრა ისაა, რომ მან დოკუმენტალური მასალებისა და მრავალრიცხოვანი ისტორიული ფაქტების საფუძველზე ნათლად გვიჩვენა ლენინი, როგორც საქართველოს მშრომელთა უდიდესი მებრძოლი და მასწავლებელი. ავტორმა ნათლად გადაგვიწვლია იმ შეუწინებელი, დიდი დაუღალავი შრომის სურათი, რომელსაც ეწეოდა ლენინი, როგორც პროლეტარული რევოლუციონერი, ამისათვის, რომ საქართველოს მშრომელთა უდიდესი და მასწავლებელი მზავდებოდა და მისი მომზადებისათვის, რომ საქართველოს მშრომელთა უდიდესი და მასწავლებელი მზავდებოდა და მისი მომზადებისათვის, რომ საქართველოს მშრომელთა უდიდესი და მასწავლებელი მზავდებოდა და მისი მომზადებისათვის.

თად კომუნისტური მშენებლობის ფართო შარა გზაზე.

ვ. ესაიაშვილის წიგნი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ღრმად იცნობდა ლენინი ქართულ კულტურას, ეკონომიკას, როგორი ზუსტი წარმოდგენა ჰქონდა ქართველი მეშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობაზე, მიმდინარე კლასობრივ და იდეოლოგიურ ბრძოლებზე, რა ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლენინს ქართველ რევოლუციურ მარქსისტებთან, როგორ წვრთნიდა და ზღმმძღვანელობდა მათ.

მონოგრაფიის ღირსება იმაში მდგომარეობს რომ ის კონკრეტული ფაქტებით ცხადყოფს, თუ როგორ აღორძინებდა ლენინის შრომები და ლენინის პირადი შრომები ქართველი რევოლუციონერი მარქსისტების მსოფლმხედველობას, რომ საქართველო წარმოადგენდა რუსეთის იმ განაპირა კუთხეს, სადაც ლენინის შრომები თითქმის გამოქვეყნებისთანავე ერთდროულდენ და ამის გამო თამაშობდნენ უდიდეს როლს რევოლუციური მოძრაობის სწორად წარმართვის საქმეში.

ვ. ესაიაშვილი კონკრეტული ფაქტებით გვიჩვენებს რომ ლენინის შრომები წარმოადგენდნენ რა, მარქსიზმის განვითარებას, მარქსიზმის შემოქმედებით გამოყენებას რუსეთისა და კერძოთ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ, წარმოადგენდნენ კომპასს ქართველი მარქსისტებისათვის კლასობრივ ბრძოლებში, ეს შრომები აძლევდა მათ საშუალებას სწორად გარკვეულიყვნენ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში.

ავტორი კონკრეტულად გვიჩვენებს, რომ ქართველ რევოლუციონერ მოღვაწეთა შეაზარდება ლენინის გენიალური თეორიული შრომებით წარმოადგენდა ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური აზრის წინ წაწევის საქმეში და მისი კულტურის აღმავლობისათვის.

სარეცენზიო გამოცემა იძლევა რა ლენინისა და ქართული რევოლუციონური მოძრაობის ურთიერთობის სურათს, ამავე დროს მრავალმხრივ წინ წაწევის ქართული განმათავისუფლებელი მოძრაობის შესწავლის საქმეს და ამაში მონოგრაფიის ავტორის ერთი მნიშვნელოვანი დამსახურებათაგანია.

ავტორი კონკრეტულად ვვიჩვენებს, რომ საქართველოს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულმა კომუნისტურმა ორგანიზაციებმა და მათმა ხელმძღვანელებმა წარმოადგინდნენ რა ჯერ რუსეთის და შემდგომ საბჭოთა კავშირის ბოლშევიკური კომუნისტური პარტიის ერთ მნიშვნელოვან და მოწინავე რაზმთაგან არა მცირედ არც ითამაშეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების საქმეში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაცვასა და განვითარებაში.

მონოგრაფია ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები შედგება შვიდი თავისაგან; ეს თავებია 1. ვ. ი. ლენინი რეფორმის შემდგდროინდელი საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ, 2. ლენინის როლი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნასა და განვითარებაში, 3. ვ. ი. ლენინი და საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ბრძოლა ერთიანი პროლეტარული პარტიის შექმნისათვის, 4. ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკების მოღვაწეობა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, 5. ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკების მოღვაწეობა რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე, 6. ვ. ი. ლენინი და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში, 7. ლენინი სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესახებ საქართველოში.

მონოგრაფიის პირველ თავში — ვ. ი. ლენინი რეფორმის შემდგდროინდელი საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ, განხილულია ორი საკითხი: პირველი, როდის დაიწყო ვ. ი. ლენინმა საქართველოს ეკონომიური განვითარების შესწავლა; მეორე, ვ. ი. ლენინი კაპიტალიზმის განვითარებისა და რეფორმის შემდგდროინდელი აგრარული ურთიერთობის შესახებ საქართველოში. გამოკვლევის ამ თავში დადგენილია, რომ საქართველოს ეკონომიკის შესწავლა ლენინს დაუწყო 1893—1894 წლიდან, მაშინ როდესაც იგი შედგა საერთოდ რუსეთის რეფორმის შემდგომდროინდელი ეკონომიკის საფუძვლიან შესწავლას. ავტორი ცხადყოფს, რომ ლენინს საქართველოსა და ამიერკავკასიის კაპიტალიზმის განვითარების შესახებ საქმიად დიდი მასალა გააჩნდა და რომ ის მთელი რიგი წლების მანძილზე ეცნობოდა, უაღრესად ღრმად და ყოველმხრივ სწავლობდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარებას. გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ეკონომიკის შესწავლამ წინააღმდეგ ხალხისთვისა ლენინი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში ფაქტი იყო კაპიტალიზმის განვითარება, რომ ამ განვითარების ტემპი საზოგადოდ საკმაოდ სწრაფი იყო და

რომ ამ მხრივ საქართველო და ამიერკავკასია მიეკუთვნოდა რუსეთის იმ მხარეებს, რომლებშიც კაპიტალიზმი მნიშვნელოვნად განვითარებული იყო, რომ ლენინმა შენიშნა საქართველოსა და ამიერკავკასიის ახასიათებს სათითო მნიშვნელობის ვასალური ზრდა რეფორმის შემდგომ პერიოდში (ლენინი, ობზ. ტ., 3 გვ. 581). გამოკვლევის ავტორი სამართლიანად ასკვნის, რომ ლენინის ეს დებულებები საფუძველი იყო განმთავისუფლებული მოძრაობის ახალ საფეხურზე გადაყვანისათვის, რომ ამით ნიადაგი ეცლებოდა ხალხისწინა იდეოლოგიის, მათ მოძღვრების ქვეყნის ეკონომიკის შესახებ, რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების გარეშე სოციალისტის დამყარების შესაძლებლობის თეორიის და სხვა წერტილებზე საბოლოო კონცეპციებს გამოკვლევის ავტორმა სამართლიანად მითითებებს, რომ რუსეთის ეკონომიკის ანალიზის კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებათა სწორი გაგების საფუძველზე, ლენინმა დაასაბუთა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი რევოლუციურ მოძრაობაში, ხოლო კერძოდ აგრარული ურთიერთობის მისმა ანალიზმა ცხადყო, რომ გლეხობა არ შეიძლება არ შემდგარიყო რევოლუციური ბრძოლის გზაზე რუსეთში და საქართველოში მემამულეებისა და ცარიზმის წინააღმდეგ. ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ ჩვენ ამ შეგვიძლია არ გავაფიქროთ რამდენიმე შენიშვნა ამ თავის შესახებ. სასურველი იყო ამ თავში ავტორს შეეტანა დამოუკიდებელ პარაგრაფად საკითხი — ლენინი საქართველოსა და ამიერ კავკასიაში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შესახებ.

გარდა ამისა საქარო იყო ამ თავშივე აქცენტირება იმ ფაქტზე, რომ რუსეთის ეკონომიკის ანალიზში, კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებათა გამოვლინებამ ლენინი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ არა თუ არ იყვნენ მართალი ხალხისწინა რუსეთის რევოლუციის პერსპექტივის მოხაზვაში, არა თუ არ იყო მეცნიერული მათი წარმოდგენა რუსეთის რევოლუციის ხასიათისა და მის მამოძრავებელ ძალებზე, არ იყვნენ აგრეთვე მართალი მარქსისტული ბანაკიდანაც ისინი, რომლებიც ვერ თავდადებდნენ რუსეთში ეკონომიკის განვითარების თავისებურებებით განპირობებულ კლასთა განლაგების სპეციფიკას რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ეტაპზე რუსეთისა და ქართული ეკონომიკის ანალიზის დროს ლენინი ხალხისთვის წინააღმდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გამოპოციხული შესაძლებლობა რუსეთის პირდაპირ სოციალისტურ გადასვლისა კაპიტალიზმური განვითარების გარეშე, რომ კაპიტალიზმი შემთხვევითი მოვლენა არ არის რუსეთში და რომ სწორედ კაპიტალიზმის განვითარებით იხსნება პერსპექტივა რუსეთის სოციალისტურ გადასვლისა პროლეტარული რევოლუციის საშუალებით. წინააღმდეგ მთელი რიგი რუსი



მარქსისტებისა ლენინი რუსეთის ეკონომიკის ანალიზის დროს ამ დასკვნამდე მივიდა, რომ წინააღმდეგობათა ხასიათი საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობებს შორის რუსეთში განაპირობებს რევოლუციას, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, რაც არ ესმოდა ხალხისებს. ლენინი მიუთითებდა — ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუციის პეგემონი და მიმართავებული ძალა არ შეიძლება იყოს ბურჟუაზია, რომ ქვეყნის შინა ეკონომიკური და პოლიტიკური ერთობა, სხვათა შორის ერთობა რუსეთის რევოლუციას აპირობებენ რა როგორც ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციას პროლეტარიატს ხეიან ამ რევოლუციის პეგემონ კლასად, ხოლო გლეხობას იგივე პირობები ამხადებს რევოლუციური მოყვინრედ პროლეტარიატისა და რომ რუსეთის ბურჟუაზია და მისი ცალკე სხვადასხვა ნაციონალური ფენები არ შეიძლება იყოს რუსეთში კაპიტალზმის განვითარების თავისებურებათა გამორევოლუციური კლასი.

სწორედ ამ მოსახრებათა განვითარებას ლენინის მიერ ჰქონდა ვადამწყვეტი მნიშვნელობა განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორი სტრატეგიისა და ტექნიკის გამოთქვაების საქმეში, და ამ მოსახრებათა განვითარებამ ლენინის მიერ აიყვანა ქართული პოლიტიკური აზრი განვითარების მხალ საფეხურზე და მისცა განმათავისუფლებელ მოძრაობას საშუალება დაეშარცხებინა უალბი პოლიტიკური კონცეპციები მის შიგნით და გამოსულიყო ის რევოლუციური ბრძანების სწორი შარაგზაზე.

დასავიწყარო როდია ის ვარწმობა, რომ ეკონომიკური განვითარების შარტო მიმართულების სწორი მონიშნით, ეკონომიკური განვითარების მიმართულების, ხასიათის დადგენით როდი შეიძლება სწორი ორიენტაციის აღება რევოლუციური მოძრაობაში. არამედ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულების, ხასიათის თავისებურებათა დადგენით, რასაც ურჩადლება მიაქცია და შესწლო ლენინმა. ცხადია რომ ეს თავისებურებები, ევროპისაგან განსხვავებით, აუალბებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის პროცესს, განაპირობებდა კლასობრივი ბრძოლების ხასიათსა და მიმართულებებს. სწორედ ეს დაიხაზა ლენინმა და აიტომ შესწლო მიეცა განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის სწორი ორიენტარი, სწორი სტრატეგია და ტაქტიკა.

შრომის მეორე თავში — ე. 0. ლენინის როლი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნასა და განვითარებაში — წამოყენებულია მთელი რიგი ახალი საკითხები და გაშუქებულია ისინი ახლებურად. განსაუთრებულ ინტერესს ამ თავში წარმოადგენენ მე-3 და მე-4 პარაგრაფები: ე. 0. ლენინის პირველ ნაშრომების გავრცელება საქართველოში და ე. 0. ლენინთან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების და პროფესიონალ რევოლუციონერთა შორის პირველი მიმოწერის თარიღებს, ამ მიმოწერის ხასიათსა და შინაარსს.

მეორე თავი ეხება ლენინის როლის გავრცელებას საქართველოში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნაში. ავტორი დაქობრივი მხალეების მიხილიზაციის საფეხველზე გვიჩვენებს, რომ ლენინი საქართველოში მეშათა და რევოლუციური მარქსისტული მოძრაობის დასაწყისიდანვე იჩნდა მათდამ ღრმად და ინტერესი გამოწვეული იყო ღრმად რწმენით, რომ რუსეთში ამ მრავალრიგან სახელმწიფოში რევოლუციური მეშათა მოძრაობას შეუძლია გაიმარჯვოს არა როგორც იზოლირებულ მოძრაობას, არა როგორც მხოლოდ და შარტო რუს მეშათა მოძრაობას, არამედ როგორც რუსეთის ყველა ერთეების მეშათა და ჩავიონალისტურ რევოლუციონერ მოძრაობას.

წიგნის ამ თავში, ისე როგორც შრომაში საზოგადოდ, მეორე მხრით, ნაჩვენებია, რომ 90-იან წლებში წარმოშობულ ქართულ რევოლუციური მარქსისტულ წრეებსა და შემდგომ ორგანიზაციებს, ღრმად ჰქონდათ შეგნებული, რომ მათი ბრძოლა კოლინური ჩავიონისა და ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ უნაყოფო იქნებოდა, თუ რევოლუციური მოძრაობა იმთავითვე არ მიიღებდა ინტერნაციონალური ერთიანი ფრჩხილის ხასიათს და აღმონჩებოდა დაქსაქსული. წიგნში ნახვამულია, რომ ეს ერთმანეთთან დაევიარებისა და გავრთიანების ტენდენციები იმთავითვე ქმნიდა იმის ხელსაყრელ პირობებს, რომ ქართული რევოლუციონერი მოძრაობა გამხდარიყო რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განუყოფელი და ერთი მიწინავე რაზმთაგანი. წიგნის მეორე თავში დახასიათებულია ლენინის ხელმძღვანელობა ქართულ და ამიერკავკასიის ისტრული ორგანიზაციებისაღმი 1905 წლამდე. ამავე დროს ზემოხსენებულ გამოცემის ამ თავში ვადაშლილია სურათი ქართველ ლენინელთა ბრძოლისა ლენინის ხელმძღვანელობით ერთიანი პროლეტარული პარტიის შექმნისათვის. შრომაში ნაჩვენებია, თუ როგორ

მტკიცედ დაუპირეს მხარი ქართველმა ლენინელ ისტრუქტებმა ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნის ლენინურ გეგმას და როგორც უნერგულად იბრძოდნენ მისი განხორციელებისათვის. ამავდროულად ნაწილობრივ აგრეთვე პირველი ქართული არალეგალური ისტრუქტი გახვისა „ბრძოლის“ (რომელიც შეიქმნა სტალინისა და კეცხოველის ენერგიული მუშაობის შედეგად), როლი საქართველოში ლენინურ-ისტრუქტი ორგანიზაციების შექმნასა და გაერთიანებაში. შრომის ამ ნაწილში ნაწილობრივ რომ ლენინის შრომებით და ხელმძღვანელობით შთაგონებულ ქართველ რევოლუციონერ მარქსისტებს ამ პერიოდში ღრმად ჰქონდათ შეგნებული, რომ თუ მუშათა კლასი არ მოეწყობა დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად, თუ მას არ ეყოლება პარტია, შეეკმირებელი ერთიანი ძირითადი პრინციპებით და ტაქტიკური შეხედულებებით, აღჭურვილი გაუბრუნდება კონსერვატივთ, მუშათა კლასს არ შეეძლება ითამაშოს ხელმძღვანელი როლი განმთავისუფლებელ მოძრაობაში არ შეეძლება გაიყავოს გზა სოციალიზმისაკენ.

იძულებითი შრომის მანუფაქტურულ პერიოდში, XVII — XVIII საუკუნეებში ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში (XIX საუკუნეშიც) და სხვა ქვეყნებში.

საქართველოში იძულებითი შრომის გამოყენებას წარმოებაში ჩვენ ეხედებით არა მარტო XVIII ს. მეორე ნახევარში, არამედ შემდეგაც XIX ს-ში, რეფორმამდელ ხანაში. ასე მაგალითად იძულებითი შრომის იყენებდნენ რიგ კაპიტალისტური ხასიათის საწარმოებში: თბილისის აბრეშუმისხვევ ფაბრიკაში, საქანსავო ფაბრიკაში, ღვარჯიშის მიწის ქარხანაში, თეთრ ალავერდისა და ახტალის ქარხნებში და სხვაგან. აღნიშნულ საწარმოებში ნებითდაქირავებული შრომის გარდა იყენებდნენ მიწერილი ყმა-გლეხების, პატიმარების და სამხედრო უწყების ხალხის არათავისუფალ შრომას.

ახტალისა და ალავერდის ქარხნებში მიწერილ ყმა-გლეხთა კონტინენტი შედარებით მცირე იყო ნებითდაქირავებული შრომის წარმოებადგენლების კონტინენტთან. მიწერილ ყმათა რაოდენობა, როგორც აღვნიშნეთ 200—250 კაცამდე აღწევდა. მაშინ როდესაც დაქირავებულ მუშების რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, რომელიც ორივე ქარხანაში 1000-ზე მეტს აღწევდა. ხოლო თუ ჩვენ ერთად ავიღებთ თა-

ვისუფალ ბერძენ ისტატთა (800-მდე კაცი) და დაქირავებული მუშების რიცხს, და შევადარებთ მას მიწერილ ყმათა ოდენობას, ამგვარ ვხვდებით თავისუფალი შრომის წარმოებადგენელთა რიცხობრივი უპარატესობა, რომელიც ორივე ქარხანაში 2000 კაცამდე მიიღე უნდა ყოფილიყო.

ამა თუ იმ საწარმოს კაპიტალისტური ბუნებისათვის საუკლებულო არ იყო მასში ისტატები და მუშები უკლებლივ, ყველა ნებითდაქირავებული ყოფილიყვნენ. „ეს საღელ სუსაქონლო წარმოება ბატონობს—წერს ლენინი— და დაქირავებული შრომის იყენებენ არა შემთხვევით, არამედ სისტემატურად, უკვე არსებობს კაპიტალიზმის ყველა ნიშანდობლივი თვისება. შეიძლება ვილაპარაკოთ მის განვითარებლობაზე, ჩანასახ მდგომარეობაზე, მის განსაკუთრებულ ფორმებზე“¹. ალავერდისა და ახტალის სამთო-საქარხნო წარმოება ვერცდობოდა თავისუფალი ისტატებისა და ნებითდაქირავებული მუშების შრომას. ნებითდაქირავებულ შრომის იყენებდნენ არა პერიოდულად, არამედ სისტემატურად, როგორც მალაროებში ასევე წარმოების ძირითად, კვალიფიკაციის სამუშაოებზე, თეთრ ქარხნებში ლითონის წარმოებაზე. შრომის ანაზღაურება ხდებოდა ფულთ, ქარხნებში მიწერილი ყმა-გლეხთა იძულებითი შრომის კი, რომლებიც ფეოდალურ ვალდებულებას — მატკას იხდიდნენ, იყენებდნენ დამხმარებ სამუშაოებზე.

ეს ყმები სამრეწველო მუშები არ არიან, თეთრ ქარხნებში მომუშავენი კი სამრეწველო მუშები იყვნენ და ზედმეტ ღირებულებას ქმნიდნენ. თუ ჩვენ ხე-ტყის დამუშავებისათვის ქარხნებზე მიწერილ ყმა-გლეხებს არასაქარხნო მუშებად ჩავთვლით, ე. წ. ქარხნების ეკონომიკური ბუნების დასასათვებისათვის მათ საქარხნო პერსონალიდან ამოვიღებთ, მაშინ კიდევ უფრო გაიზრდება ალავერდისა და ახტალის სამთო მანუფაქტურების ეკონომიკური ბუნების კაპიტალისტური ხარისხი. ასეთი მოსაზრება, მიწერილი ყმა-გლეხთა დამხმარე სამუშაოთა შესახებ ჩვენ უსაღუქლოდ არ მიგვანია. თუმცა როგორც ზემოთ ითქვა მათი მხედველობაში მიღებაც არ უკარგავს ქარხნების კაპიტალისტური ხასიათს, იგი შოლოდ ამციარებს მის დონეს.

კაპიტალიზმის განვითარების პროცესში კაპიტალისტური საწარმოების განვითარების დონე ერთნაირი როდი იყო. სამუშაო ძალის „სასაქონლო ფორმის“ განვითარებით ვითარდებოდა კაპიტალიზმი. „სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმის განვითარების დონე — წერს ლენინი— ახასიათებს კაპიტალიზმის განვითარების დონეს“². აქ იგულისხმება დაქირავებული შრომის როგორც ხარისხი, ასევე მისი გავრცელების მასშტაბი.

¹ კ. მარქსი, „კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები“, 1952 წ., გვ. 59—60.

² კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 494.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 450.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 528.



სეს როგორც სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმას, დაქირავებულ შრომას გააჩნდა განვითარების სხვადასხვა დონე და ხარისხი, ასევე კაპიტალისტურ საწარმოებს გააჩნდათ განვითარების სხვადასხვა ხარისხი. საწარმოს (მანუფაქტურის, ფაბრიკის) კაპიტალისტური ხარისხი, ამ მხრივ მისი განვითარების დონე დამოკიდებული იყო სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმის, დაქირავებული შრომის ხარისხზე. ასე შევალთ: ბატონყმური დამოკიდებულებისაგან თავდასხნოლი, თავისუფალი გლეხებისა და ხელოსნების ნებითდაქირავებულ შრომაზე დამყარებული საწარმოს კაპიტალისტური ხარისხი მალალო იყო, ვიდრე ყმა-გლეხების ნებითდაქირავებულ შრომაზე დაფუძნებული საწარმოსი, ან კიდევ, ყოველგვარ საწარმოს საშუალებებს მოკლებული მუშების ნებითდაქირავებულ შრომაზე დამყარებული კაპიტალისტური საწარმოს ხარისხი მალალო იყო, შედარებით იმ კაპიტალისტურ საწარმოსთან, რამელიც ცერდნობოდა ისეთი თვისუფალი ნებითდაქირავებული მუშების შრომას, რომელიც მიწის საკეთები და მეთრნება გააჩნდაო სოფლოში.

კ. მარქსი კაპიტალიზმის განვითარების პროცესში უშვებდა წარმოების წესის განუეთარებელ ფორმებს, არასრულყოფილ კაპიტალისტურ საწარმოებს, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარების პროცესში იცვლებოდნენ კაპიტალისტური წარმოების წმინდა ფორმით, წმინდა, იდეკატერი კაპიტალისტური საწარმოებით 1. ასევე ლენინი არასრულყოფილ კაპიტალისტურ საწარმოებს უბირისპირდება „წმინდა კაპიტალისტურ“ საწარმოებს 2. არა სრულყოფილ კაპიტალისტურ საწარმოებს ლენინი უწოდებდა „დაბალ“ „განუეთარებელ“, „ჩანასახ მდგომარეობაში“ მყოფ კაპიტალიზმს 3. მისისადაშე კაპიტალიზმის ჩასახვისა და მისი განვითარების პირველ პერიოდში არსებობდნენ განუეთარებელი, დაბალი, არასრულყოფილი კაპიტალისტური საწარმოები, მაგრამ მან კაპიტალისტური საქარამოები. ასეთ საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება XVIII ს. საქართველოს ალავერდისა და აბტალის სამთო მანუფაქტურები და იმ დროის რიგი სამრეწველო საწარმოები. ისინი არასრულყოფილი, არა წმინდა, განუეთარებელი კაპიტალისტური საწარმოებია, მაგრამ მინც კაპიტალისტური.

ასეთი არასრულყოფილი, განუეთარებელი კაპიტალისტური საწარმოები ჩვენ გვხვდება

1 ი. ს. კ. მარქსი. „კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები“, თბ. 1952, გვ. 67—68.

2 ი. ს. ვ. ი. ლენინი, თბ., ტ. 3, გვ. 554—555, 575—578.

3 ი. ს. ვ. ი. ლენინი, თბ., ტ. 1, გვ. 528, ტ. 2, გვ. 450.

შემდეგშიც, მე-XIX ს. საქართველოში, რეფორმადელ ხანაში: კასტელს, კერძოდ, მანუფაქტურა თბილისში, შერეულ მანუფაქტურა ლეარებში, საწახნავო ფაბრიკა თბილისში, თვით ალავერდისა და აბტალის სამთო მანუფაქტურები და მრავალი სხვა.

საქართველოში, მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მანუფაქტურების წარმოშობა, წარმოების კაპიტალისტური წესის ჩასახვის მანუფაქტურები იყო. მანუფაქტურა ფეოდალიზმის დამახასიათებელი და მისი ინშანი არ არის. წარმოების ფეოდალური წესი განვითარების პროცესში მას არ შეიცავს. მანუფაქტურული წარმოება კაპიტალისტური მრეწველობის ერთერთი საფეხურია (წერლი სასაქონლო წარმოება—მანუფაქტურა—მანქანური ინდუსტრია). განვითარების პროცესში იგი მრავალფეროვანია იყო. მაგრამ კაპიტალისტური ბუნების. მარქსი აღნიშნავს, რომ მანუფაქტურა არის „სახოგადობრივი წარმოებითი პროცესის“ „სპეციფიკურად კაპიტალისტური ფორმა“ და იგი შეიძლება განვითარდეს მხოლოდ „კაპიტალისტური ფორმით“ 1.

აღნიშნულ ხანაში, როგორც ცნობილია, ალავერდისა და აბტალის ქარხნები, ასევე რიგი საწარმოები (თოფ-ზარბანების ქარხანა, ზახაფხანა და სხვ.) მოწყობილი იქნა სახელმწიფოს მიერ და სახაზინო საწარმოებად ითვლებოდნენ, ვიდრე XVIII ს. მიწურულს იგი მოთჯარბდრეებს არ გადაეცა. მაგრამ ეს გარეობა სრულებით არ უცარგავდა მათ კაპიტალისტურ ხასიათს, რადგან სახელმწიფო და კერძო საწარმოებს შორის ეს განსხვავება იყო, რომ ერთში მოქმედებდა სახელმწიფო კაპიტალი, მეორეში კი კერძო კაპიტალი. არც ეს არის სავალდებულო, რომ კაპიტალისტური საწარმო მინც და მინც გვაქვამა მოაწყოს. ხშირად წარმოების მოქმედობა და მებატრონე მეშამულე იყო, რომელიც ერთდროულად მეშამულეც იყო და მექარხნე-შეფაბრიც კაპიტალისტი. საამისო მავალითები ჩვენ უამრავი გვაქვს საქართველოში. როგორც რეფორმადელ ასე მის შემდეგაც ხანშიც. ასე რომ მრეწველ-მებატრონეთა წოდებრივი ნომენკლატურა არ ცვლიდა წარმოების სოციალურ არს.

ამრიგად, XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს სამრეწველო საწარმოები: ალავერდისა და აბტალის, ფუთეაშელის საშენობისა და თაყუაშელის თოფის წამლის მანუფაქტურები კაპიტალისტური საწარმოები იყვნენ. ასეთივე უნდა ყოფილიყვნენ იმ ხანის სხვა სამრეწველო საწარმოებიც თბილისისა: ზარბანების—ჩამომსხმელი ქარხანა, თოფხანა, ზარაფხანა, სტამბა, მინის სარეწავო და სხვები, რომელიც, უშეკვლოა, კაპიტალისტური განვითარების სხვადასხვა დონე გააჩნდაო.

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 462—463.



ამრიგად, როგორც ვხედავთ XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს მრეწველობაში ჩასახლება წარმოების კაპიტალისტური წესი, კაპიტალისტური ურთიერთობა. მისი ზრდის სისწრაფე კი დამოკიდებული იყო ქვეყნის საზღვარსა და საგარეო კონიუნქტურაზე. მაგრამ ადრე თუ გვიან წარმოების ეს ახალი პროგრესული წესი წარმოების დამსრულებდა თავის ზრდას, რადგან „კაპიტალმა, რაკი იგი ერთდღევე წარმოიშვა და განვითარდა, უნდა დაიმორჩილოს მთელი წარმოება და შეეცადოს განავითაროს და გააძლიეროს გათიშვა შრომისა და საკუთრებას შორის, შრომისა და შრომის ობიექტურ პირობებს შორის“¹.

რამდენადაც იყო ბურჟუაზიული ურთიერთობა ჩასახლებული სოფლის მეურნეობაში — მსხვილი გლეხური მეურნეობაში, მემამულურ მეურნეობაში ბურჟუაზიულ ყალიბზე გარდაქმნის პროცესი, სოფლის დარბაზი დაქირავებული შრომა, საეკონომიკური მიწათმოქმედების განვითარება და სხვა — ეს ცალკე შესწავლას მოითხოვს. ასევე სპეციალური კვლევის საგანს შეადგენს კაპიტალის ე. წ. „პირვანდელი დავრობება“ — უშუალო წარმოებულთა საქარმოო საშუალებებისაგან მოწყვეტის, მათი ექსპროპრიაციის პროცესის შესწავლა. კვებს გარეშეა, რომ ასეთი პროცესი ფეოდალურ ქვეყანაში, ამ დროს, თუმცა ძალიან ნელა, მაგრამ მაინც დაწყებულია. ამის დამადასტურებელია XIX ს. პირველ ათეულ წლებში შავკალიციისთვის, საქარმოო საშუალებებისაგან მოწყვეტილი, სოფლიდან წამოსული, სამუშაოს მძებნელი ხალხი ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში. ცხადია, XIX ს. დასაწყისის არ დაწყებულია აღნიშნული პროცესები და იგი ადრე, XVIII ს-ში დაიწყო.

კაპიტალის „პირვანდელი დავრობების“ მეორე სახე — ფეოდალ კაპიტალის დავრობება კი საქართველოში XVIII ს. მეორე ნახევარში აშკარად ხსანს. იგი ვაცილებით სწრაფად ხდებოდა და როგორც ცნობილია დიდი რაოდენობით იურიდა თავს დიდ ვაჭრების ხელში, რომლებიც მსხვილ საეკონომიკურ ცენტრებს ეწეოდნენ. „ფეოდალმა სიმდიდრე — საეკონომიკური სიმდიდრის სახით“ როგორც წერს მარქსი „დაამქარა და დაეხმარა ძველი წარმოებითი ურთიერთობის დაშლას“². ამ ხანაში ადგილი აქვს ფეოდალური სიმდიდრის კაპიტალად გადაქცევას. ამ დროის ცნობილი ვაჭრები იყვნენ ბუხთაშვილი, ბაბანაშვილი, ფთუვაშვილი, ყუხანაშვილები, მირზაშვილები, შადინაშვილები, თაყაიშვილი, ბეგთაბეგოვი, ქართველშვილი, სურგულეძე, მირზაზნოვი, სარაჯიშვილი, ზუბალაშვილები და სხვები. XVIII ს. მეორე ნახევარში რაკი ვაჭრები ხელს ჰქადებენ წარმოებას და მრეწველი კაპიტალის

ტილისტები ხდებიან. ასეთები იყვნენ: ფთუვაშვილი — თბილისის სამღებამწარმოებელი, მეპატრონე, თაყაიშვილები — მსხვილი წარმოების ქარხნის მეპატრონენი, ბეგთაბეგოვი — ალავერდისა და ახტალის ქარხნების მრეწველი მოიჯარადრე, ქართველიშვილი — ასევე ალავერდისა და ახტალის ქარხნების მრეწველი მოიჯარადრე, სურგულეძე, მირზაზნოვი და სხვები. თბილისელი ვაჭარ-მოქალაქენი, როგორც ჩანს მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საერთოდ მრეწველობაში და მათ შორის ალავერდისა და ახტალის სამთო საქარხნო წარმოებაში. ვაჭრების მიერ წარმოებისათვის ხელის მოკლება და ამდენად ყველა კაპიტალისტური მეწარმეობის გახალხვა შეტად მნიშვნელოვანი მოკლება იყო იმ დროისათვის.

XVIII ს. მეორე ნახევრის საქარმოო ძალებს ქარხნად ეხდებოდა XIX ს. პირველ ნახევარში, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. მათ ზევს ეხედებოდა როგორც მრეწველობის სფეროში — იგივე ალავერდისა და ახტალის სამთო მანუფაქტურები, თოფის წარმოების ქარხანა, სამღებროები, სხვადასხვა სამრეწველო საქარმოები. თბილისში და სხვ., ასევე ვაჭრობის სფეროში — ზუბალაშვილები, მირზაზნოვები, შადინოვები, სარაჯიშვილები და სხვები ერთდროულად იყვნენ, რომლებიც მამონადე და ახლაც დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის ეკონომიკაში. ბევრი მათგანი დიდი ფულადი კაპიტალის დავრობების შემდეგ XIX ს. პირველ ნახევარში ხელს ჰქადებენ წარმოებას და მრეწველი კაპიტალისტები ხდებიან: ზუბალაშვილები, თამაშვილი, შადინოვები, სარაჯიშვილი და სხვები.

ამრიგად, XIX ს. პირველ ნახევარში ბურჟუაზიული ურთიერთობის ზრდა-განვითარება საქართველოში, ეს არის იმ პროცესის ვაჭრებულა, რომელიც XVIII ს. მეორე ნახევარში დაიწყო. მართალია დიდი ოპიანობის პერიოდებში, როგორც XVIII ს. მეორე ნახევარში (ომარხანისა და ალა-მამაზნა-ხანის შემოსევებით), ასევე XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთის მიერ წარმოებულ ვაჭრულეული ომები ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის) ეს პროცესი პერიოდულად სუსტდებოდა, მაგრამ იგი XVIII ს. მეორე ნახევრიდან დაწყებული ფეოდალურ ქვეყანაში, საეხებით, დროის არცერთ მონაკვეთში არ გამქარა და მშვიდობიანობის პერიოდებში ახალი, ვაცილებით მძლავრი ნაკადი მიიწვედა წინ.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს ეკონომიკა მშვიდობიანი განვითარების გზაზე დადგა. ამ გარემოებამ დაამქარა საქართველოში, XVIII საუკუნეში ჩასახლებული ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება.

¹ კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, გვ. 67.
² იქვე, გვ. 61.



ნიკოლოზ ჩაჩავას ლექსები



1920 წელს ლიტერატურის მოყვარულმა ქუთათურმა მოსწავლეებმა გამოსცეს ბეჭედითი ჟურნალები „წინსვლის ემბლემა“ და „იარის ინანთი“, რომლებშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ თანამედროვე ქართული მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენლები: სიმონ ჩიქოვანი, ბესო ქლენტი, აკაკი ბელიაშვილი, დავით გაჩეჩილაძე და სხვ. სწორედ ამ ჟურნალებში გამოქვეყნდა პირველად ნიკ. ჩაჩავას ლექსები.

ნიკ. ჩაჩავას პირველი წიგნი „ავტორიონია 25 ოქტომბერზე“ დაიბეჭდა 1926 წელს. 1928 — 1936 წლებში კი ძირითადად მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა, შემდეგ უმთავრესად საბავშვო ლიტერატურის ენარში განაგრძო ნაყოფიერი მოღვაწეობა (დღემდე გამოცემული აქვს რვა საბავშვო წიგნი).

1952 წელს გამოვიდა ნიკ. ჩაჩავას ლექსების წიგნი „სიცოცხლეს ვემღერ“. სარტყენზო წიგნი კი ერთგვარი შემოკლებული კრებულია პოეტის თითქმის ორმოცწლიანი შემოქმედებითი გზისა.

კრებულში შეტანილი ლექსები დაყოფილია რამდენიმე თემატურ განყოფილებად: „მამულო საყვარელო“, „ომის დღეებში და ომის შემდეგ“, „გამაგონე, ჩემო სიყრმის მეგობარო“, „გაზაფხულის სამფლობელოში“, „მარად ახალი და მარად ძველი“, „წარსული და დაფიქრებული“, „ვგრიბიყები“ და „სხვისი ნათქვამი“ (თარგმანები).

კარგი სახელწოდება მოუწახვას პოეტს თავისი წიგნისათვის — „სადაც ვშობილვარ“. მართლაც, მთელი კრებული აღსავსეა სამშობლოსადმი სიყვარულის კეთილშობილური გრძნობით. თითქმის ყოველი ლექსიდან, რა თემანზედაც არ უნდა იყოს იგი დაწერილი, აშკარად გამოსჭვივს შობილიერ ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარული.

პოეტი უმღერის სამშობლოს ალალი გულითა და შართლი ლექსებით, ყოველწვარი ზღამეტი სამაქულების გარეშე. ამ ლექსებში იშვიათად შეხვდებით „განსაცხიფრებელ“ სა-

ხეებსა და „ორიგინალურ“ თქმებს, მაგრამ სამაგვიროდ გიპყრობთ მათი უშუალობა, სილალე და სისადავე.

პოეტი წერს, თუ „რა გულთბილია ქვეყანა ჩვენი“, რომელიც ომში, ცეცხლში და დავიღარაბამ თურქმა, სპარსელმა, თუგინდ არაბმა მოსრეს, მოთხარეს და ამოძირკვეს, კენწეროები დაამხეს პირქვე...

რომ ქართლის გამოლილი ველები „ჩვენი წარსულის მარჯვე მცველები და ჩვენი მომავლის დამცველები“.

ნიკ. ჩაჩავას ლექსების ლირიკული გმირი ერთნაირადია ილტაცებული მხასთას ხაროკ ფერდობებზე ტყის ამრიალებით, თუ ქართული კოლმეურნის თავდადებული შრომით („რაოღენია მინდორი, ხედავ და რა წარმტაცო მთებია გასწვრივ. შენ გაინდვრდი ქართულმა ღელამ, უნდა უვლიდე ქართული კაცო“); სიმინდის არახსული მოსავლის ოსტატის ვარჯიშო, თუ აფუჯუბელი სამგორის დანახეთი; ათასხუთასწლიანი ჭალარა თბილისის აღორძინებით, თუ ჩვენს წინაპართაგან სამარხში ჩატანებული უცხო ღანგაბით. პოეტს ღრმად სწამს, რომ ჩვენ „უძლეველნი ვართ“, ვინაიდან „ხალხია ჩვენთან, ხალხია ჩვენი მშობელი, ძალა და დასაყრდენი“.

ნიკ. ჩაჩავას ომისდროინდელ ლექსებში მძაფრად გაისმის მამულიშვილური მოწოდება ვერაფე ვადამთიელების გასანადგურებლად. ამ ცოცლის ლექსებიდან გამსაკეთრებით ძლიერია „ნახვიმდე ვითხარ“. ლირიკული გმირი ეთხოვება საყვარელ ქალს (სატრფოს ამ შეუღლეს) — „ეინ იცის, იქნებ ვერ შეეხვდეთ დიდხანს მეოცნებენი სიზბუღეში“ და:

ეინ იცის, იქნებ სულ მცირე დროში თმას შეეპაროს ჭალარა ფიქრის, უჩინარ სვედის სანაპიროში
უქრს გადაეკრას ხავსი და ფიორი
და დაგაფიწდეთ...

სამკედრო-სასიცოცხლო ომში მიმავალი ვერაკი შესთხოვს საყვარელ ქალს, რომ „თუკი აშკარად მოკვდაო ვითხარან“, მაშინ „ჩემი სახელი უწოდე ყვავილს“.

მეორე ლექსი — „დაბრუნებულის საუბარი“ თითქოს ღრვითი ვარძელბაა პირ-

ნიკ. ჩაჩავა, სადაც ვშობილვარ. „საბჭოთა მწერალი“, 1958.

ველისა. „ნაწილაკები და ნატყვიარი“ დაბრუნდა გმირი, საყვარელი არსება ნადრევი ჭაღარით მოსილი დაუხვდება.

გამომგლოვე, ღამიბირე, მაგრამ იმედი სელის ქუჩებში დარჩენილი ზეუბრედა სადღაც

ასჯერ იფიქრე... და ასჯერვე ვერ გამიმეტე

და შენი ლეღა თმის ბელულში მიყუნდა ჩაღდა, — მიმართავს

ომგადაბდილი ერთველ ზღვს და მისი სურვილია, რომ „თუკი აქამდე ხანგრძლივი გზა ერთად ვიარეთ, ახლაც განავარძოთ სამშვიდობო გზით სიარული“.

პოეტური გადაწყვეტითა და მხატვრული უშუალობით გამოირჩევა ამ პერიოდის სხვა ლექსებიც („სიმღერა ძელმწიფრიდან“, „პატარძალი“, „დაუკარიოთ საყრავები“, „აკაცი უბრალო“, „ოჯახის ბურჯი“, „შან ხელმოკრულ ნახა ქვეყანა“ და სხვ.).

ცალკე უნდა გამოვეყოთ „ღანარცხებული მტრინაის გოდება“, რომლისთვისაც ფრაგმენტები უწოდებია ავტორს. ეს არის ნამდვილად ტრაგიკული მღვდელი აყვანილი მონალოვე გმირისა, რომელიც სიკვდილს ჩასტყვრის თვალეში:

..წყალი მსახით ეინმეს, წყალი,
გაშრა ტყინი, სისბლიც გამრა,
ზომ არ არის ცა გამწყრალი,
რად არ ფიქრობს ღრებლის გამლას.
ნეტავ ღრებლებს, წყალს რომ ზიდავს,
მოუქვრდეს ეინმე ხელებს,
ჩამოსცივდეთ ცვარი წმინდა,
ტრეებს შინც დამსიველებს.
ერთი წვეთი წყალი უნდა,
იღარ ჩოვის მყარდში დაქრას.
ერთი წვეთი ცრემლი თუნდაც
მაგრამ თვალის უბეც დაშრა.
ნეტავ შინც წვიმა ცრადეს,
დამსიველოს მყარდი წვიმამ.
ბარემ სიკვდილს დამაძლიადეს,
სოველ მიწას ჩამაქვინა...

ნიკ. ჩაჩავას პოეზიისათვის დამახასიათებელია ინტიმური გამოტანა ლექსებში, რაიც ერთგვარ შეზღუდულობასა და კამერულობას უქადის შემოქმედებას, მაგრამ ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ყარგად ატრახებს მათ განზოგადებას. ასეთია მისი მთელი რიგი ლექსებისა („შენ, ჩემო შეილო“, „მუსიკის ხმაში“, „რადი ფსი აქვს“, „პოეტის აღსარება“, „ჩემი ლექსების წიგნი პატარა“ და სხვა.).

განყოფილება „გაზაფხულის სამფლობელოში“ შეიცავს საქართველოს უღამაზესი ბუნების ფერწერულ პეიზაჟებს. აქვეა ცალკე ლექსებისა, რომლის თემაა „მარად და მარად ძველი“ სიყვარული.

კრებულში შეტანილია რამდენიმე ძველი ლექსიც 1923 — 1930 წლებში დაწერილი: „როდესაც ავტორი ჯერ კიდევ მძლავრად მსახურობდა მთავარი რეალიზმის გზაზე. ამ ლექსების გამოშვებებმა მიზანშეწონილად უნდა ჩათვალოს პოეტის შიერ განვლილი რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზის გასათვლი სწინებლად. თუმცა, ამ ლექსებიდანაც აშკარად ჩანს, რომ პოეტის აზროვნების საფუძველი მაშინაც ყოველდღიური სინამდვილე იყო და არა „ზაღმური“ ექსპერიმენტი. რასაკვირველია ამ ლექსებში ხშირად გვხვდება უცნაური თქმები, როგორც მავალითად „გუშინ დავთვერი და შთვარე ღვინოს გადავიყოლე“ და სხვ.

საინტერესოა ნიკ. ჩაჩავას „ეპიციკლები“, რომლებიც პოეტს შეექმნია ნიკ. ბარათაშვილს, დ. მებრელოს, გალ. ტაბიძისა და პ. იაშვილის სტუდენტთა გამოჩინებების საფუძველზე.

ნიკ. ჩაჩავას პოეტური ფრაზა დაბეჭდილია და სადა, ლექსიც მდიდარი და ძირღვიანი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ სიტყვას, რომლებს გაგებაც საეჭვოა მკითხველმა შესძლოს, მავალითად: ჯალღუზა, ფშიაერი, ნასტრდალია, მარახულად). ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ პოეტი გაურბის ზედმეტ სამკაულებს, სავაგიროდ მის ლექსებში უხვადაა გაბნეული ლამაზი, ფრთიანი, თითქმის აფორისტული თქმები:

მე მირჩევნია ბოზოქარმა ცხოვრებამ მომკლას,
ვიღრე მარტოკამ სინემეში დავლიო სული.

მეცა მაქვს გული,
მაგრამ აროდეს არ მიფიქრია,
მარცხენა მყერდს
უფრო მეტი პატივი დავდო.
რადგანაც წინსვლის წუერვილი
სიკვდილის შიშზეც დიდი.

კრებულში შეტანილია რამდენიმე სუსტი, უფერული ლექსი („აკაცი ქვეყნად მუღამ მშვიდობა სურდა“, „ბოღარა ხარბი“, „გმირის სიკვდილი“, „კოლმეტრის ყანებში“).

წიგნის ბოლოს დართულია თარგმანები: ე. ისააკიანის, ს. კაპუტციანის, ა. ვაშტენის, ი. ერიგონის და კ. ხეთავათის ლექსები ოსტატურად გადმორულია ნიკ. ჩაჩავას.

კრებულის ერთერთ საუკეთესო ლექსში პოეტი ამბობს: „ვერ დავივიწყე მე ლექსის წერა. მე ლექსში ჩემი სიცოცხლის მჯერა“. მართლაც, კუშმარიტი პოეტისათვის ლექსშია სიცოცხლე და შეხანიშნავად თქვა მეორე ლექსში ნიკ. ჩაჩავამ

რა შეაჩერებს დამარულ სიმღერას,
თუკი სიმღერა გულიდან ისმის.

ფუნდამენტალური სამეცნიერო ნაშრომი

საქართველოში

საქ. სსრ სპეციალური გამოცემების განყოფილებაში „საბჭოთა საქართველოში“ რუსულ ენაზე გამოსცა საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვლ. ელენტიის და ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ირ. ტატიშვილის ფუნდამენტალური ნაშრომი „პათოლოგიური ანატომია საბჭოთა საქართველოში“. ნაშრომში განხილულია საბჭოთა საქართველოში პათოლოგიური ანატომიის მასხვა, განვითარება და თანამედროვე მიღწევები. ავტორების მიერ გაშუქებულია მეტად მნიშვნელოვანი თემა, რადგან მორფოლოგიური პათოლოგია მედიცინის სხვადასხვა დარგის თეორიული განვითარებისა და პრაქტიკული მიღწევების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საინდო დასაყრდენია. სამედიცინო მეცნიერების ეს დარგი ჩატარებული მეურნეობის შემოწმების საშუალებას იძლევა, იგი გამოაშკარავებს დაშვებულ შეცდომებს, მიუთითებს მათი გამოსწორების გზებს, საბავეს ღონისძიებებს სწავლებების შეწყობისა და ლექციური სერების.

ნაშრომში ფართოდ არის გაშუქებული პათოლოგიური ანატომიის სწავლების შემოღება თბილისის სპეციალური უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე და შემდეგ თბილისის რიგი სამედიცინო სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებში, მისი განვითარება საბჭოთა საქართველოში თითქმის 40 წლის მანძილზე. განსაკუთრებით ფართო, მრავალფეროვანი ნაყოფიერებით ხანიათდება თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის შემოღება. იგი დაარსებულია 1920 წელს და ამის შემდეგ ხელმძღვანელობს მის აკადემიკოს ვლ. ელენტი, და შემდეგში მისთან ერთად მისი მოწაფე პრფ. ირ. ტატიშვილი. ნაშრომში გაშუქებულია ამ კათედრის ორგანიზაცია, კეთილმოწყობა, მისი დაბარება სხვა ინსტიტუტებისადმი ასეთივე კათედრების ორგანიზაციის საქმეში, მორფოპათოლოგია სამეცნიერო საზოგადოების კლასიკაში, თბილისის საავადმყოფოებში კლინიკურ-ანატომიური კონფერენციების შემოღება და სხვა, რის გამოც ეს კათედრა რუსულ ენაზე მორფოლოგიური პათოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის ცენტრად შექმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლი ჩვენში პათოანატომიის ნაციონალური კადრების მომზადებაში და, საზოგადოდ, ჩვენი მედიკოსების სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლება-განვითარების საქმეში. დიდი ინტერესით ეკითხება თავი, რომელშიც ავტორები უზიარებენ მკითხველს კათედრაზე გამოქვეყნებული სწავლის მეთოდის, რომელსაც არ შეეძლო არ გამოეყო დადებითი ნაყოფი. ამ გამოთქმულია საინტერესო აზრები

მორფოლოგიური პათოლოგიის სწავლების ეტრის შესწავლის შესახებ; ხაზგასმითაა აღნიშნული ლექციებისა და პრაქტიკული მეცნიერების უხვად ილუსტრირების მნიშვნელობა ახალი და სამეცნიერო პრეპარატებით, მიკრო და მაკროფოტოგრაფიებით, ტბულებით, დიაგნოზებით და სხვა მსგავსი. ავტორებს საზიაროა აქეთ წარმოდგენილი ლექციურ-პრაქტიკული ლექტორის შემოქმედებით ნაყოფი, რაც პირობადგებულია ლექტორის მაღალი მეცნიერული მომზადებით, სპეციალიზირებულ აზრს აგრეთვე აღნიშნული სტუდენტის მიერ მასალის დამოუკიდებელი შესწავლის და სამეცნიერო-კვლევითი ჩვენების გამოყენების უდიდესი მნიშვნელობა. არა მარტო ასაღიარება, არამედ საკმაოდ მდიდარი გამოკვლევების შედეგად კმაყოფილებით გაეცნობა ავტორების მუშაობის თითქმის 40 წლის მანძილზე გამოქვეყნებულ და მკითხველისათვის საარყევნიო ნაშრომში გაზიარებულ პედაგოგიურ გამოკვლევებს.

ნაშრომი სრულ წარმოდგენას იძლევა რუსულ ენაზე მორფოლოგიური პათოლოგიის დარგში ჩატარებულ მეტად დიდ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაზე. საჭიროა ითქვას, რომ დაწერილია 600-ზე მეტი ნაშრომი, რომელთაგან 450-ზე მეტი გამოქვეყნებულია ჩვენში დაწერილი ეგვად მორფოლოგიური ხასიათის დისერტაციებისა და მონოგრაფიების დახასიათება და აგრეთვე ანოტირებულია ის ნაშრომებიც, რომელნიც, თუნდ ნაწილობრივ მინც, ეხებანიც ექსპერიმენტულ-მორფოლოგიურ თემებს. სამეცნიერო შრომები განხილულია უკრ ზოგადი ხასიათის პრობლემების ასპექტში და შემდეგ დაწერილებით ორგანიზაცია სისტემების მიხედვით, და აქაც ვარკვეული თანამიმდევრობის დაკვირვება. ასეთი წესით მოცემულია სამეცნიერო ნაშრომების მიზნობრივი სწორი წარმოდგენას აძლევს მკითხველს, ერთ მხრივ, შრომების შინაარსზე, მიზანდასახულობაზე, მიღებულ შედეგებზე და მეორე მხრივ, სამედიცინო მეცნიერების განვითარებაზე. ამ თავის ბოლოში მოცემულია 43 სადოქტორო და 78 საკანდიდატო დისერტაციების სია, რომელნიც მილიანად თუ ნაწილობრივ შესრულებულია ჩვენი პათოანატომიის ხელმძღვანელობით.

მეტად საინტერესოა ჩვენში კარგად ცნობილი მეცნიერების შრომებისა და, საერთოდ, მათი სამეცნიერო მოღვაწეობის დახასიათება. ამ დახასიათებებში მოჩანს მეცნიერთა ცხოვრების განვლილი გზა. ამ მოტიანილია ა. შ. ნათიშვილის, ვ. ვ. ვორონინის, ე. ი. პოლის, ი. გ. ქუთათელაძის, ვ. პ. მოსევილის და სხვა



ცნობილ მეცნიერთა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ მეტად საინტერესო მისაღება; ამ ნარკვევებს დადებითი-მნიშვნელობა აქვთ.

ნაშრომში მოცემულია საქართველოს მორფოპათოლოგიის სამეცნიერო საზოგადოების შესახებ. მკითხველისათვის ნათელი ხდება საზოგადოების დიდი სამეცნიერო-ეულტურული მნიშვნელობა, საზოგადოებაში ცნობილ მეცნიერთა მიერ თავისი გამოცდილების ვახაირება ახალგაზრდებისათვის, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესო შემთხვევების გაჩენვა, საინსტრუქციო ნაშრომების ამპრობობა, ახალგაზრდა კადრების აღზრდა და სხვ. ნაშრომში მოტანილია დღიდან ამ საზოგადოების დაარსებისა — 1943 წლიდან 1958 წლამდე — საზოგადოების ოქმები, სიუღანიც მკითხველი გაეცნობა საზოგადოებაში გაკეთებულ მოხსენებებს და დემონსტრაციების შინაარსს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ავტორებს მოჰყავთ კამათის მასალები, რაც თავისი შინაარსით არაშეჯავთად თვით მოხსენებებზე და დემონსტრაციაზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა ხოლმე. აქ მოტანილია საზოგადოებაში გაკეთებული 120 მოხსენებისა და 200 დემონსტრაციის მასალი.

საკუცენი ნაშრომში მკითხველი გაეცნობა ვირხოვის იდეალისტური, ეკლავტიური, ცალკულარული პათოლოგიის ღრმა და საფუძვლიან კრიტიკას. თავის დროზე გამოჩენილი ვერმანელი მეცნიერის ეს თეორია გარკვეულად პროგრესიული იყო, რადგანაც იგი დაავადების საფუძვლად მიაჩნ მატერიალურ, ანატომიურ სტრუქტურას მიიჩნევდა. მაგრამ შემდეგში ვირხოვის პათოლოგია უკვე ზღუდავდა მედიცინის განვითარებას, რადგან იგი წარმოიდგენდა ორგანიზმს ორგანიზმისა და ნაწილების მხოლოდ როგორც შექანიერ ვერითიანებას და დაავადების წარმოშობას ხსნიდა უჯრედის დაზიანებით, ვ. ა. ვიწრო ლეკალისტური თვალსაზრისით. ეს რეაქციული თეორია ბურჟუაზიულ ქვეყნებში დღესაც ფართოდ არის გავრცელებული და ამიტომ წიგნში მოცემული მისი კრიტიკა მეტად მნიშვნელოვანია. ამ თეორიის საწინააღმდეგოდ წიგნში ფართოდ არის გამოქვეყნებული პელოვის მატერიალიზატური, ნერვინის სწავლება ორგანიზმის მთლიანობაზე და ნერვული სისტემის მარგვლიერებელი როლის შესახებ ორგანიზმში ფუნქციების წარმართვაში.

წიგნში ადგილი ჰპოვა აგრეთვე რეაქციულ თეორიის — ეისმანის — ორგანიზმის კრიტიკამაც. როგორც ცნობილია, ამ თეორიის მიმდევრები უარყოფდნენ არაჯანსაღ გარემოებას (ავრთუე არაჯანსაღ სოციალურ არეს) ვალუნას ორგანიზმზე და დაავადების წარმოშობას მიაწერდნ ორგანიზმში არსებულ არა-

სრულყოფ პათოლოგიურ „გემებს“ ასეთი „მეცნიერული“ შეხედულება, დაავადების წარმოშობაზე კაბიტალიატურ საქმეობის და მის არაჯანსაღ სოციალურ არეს კი არ უკავშირებს, არამედ ცუდი შთამომავლობით დაშიძებულ არაჯანსაღ კონსტიტუციას. ამიტომ იგი უძღვრად აცხადებს ადამიანის დაავადების საწინააღმდეგოდ მიმართულ მედიცინის შესაძლებლობებს და უახროდ დაავადებათა პროფილაქტიკას და გარემო არაჯანსაღ არეს (ავრთუე სოციალურ არეს) გაუმჯობესებისათვის მიმართულ ბრძოლას.

წიგნის ბოლოში მოცემულია ნარკვევი საბჭოთა საქართველოში სამედიცინო განათლების შესახებ, სადაც გაშუქებულია სამედიცინო მეცნიერების განვითარების ეტაპება და სტრუქტურა მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში. წიგნში სამედიცინო მეცნიერების განვითარების დიდ გაქანებაზე მიგვითითებს 1958 წლამდე დაწერილი და დაიცული 908 დისერტაციები (723—საკანდიდატო და 185—სადოქტორო) და 10.000-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა დიდი ნაწილი დასტამბულია.

სარეკემიო ნაშრომი მორფოლოგიური პათოლოგიის ისტორიული განვითარების შესახებ დაწერილია მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიის საფუძველზე. წიგნში მოტანილი ფაქტები გაშუქებულია ერთადერთ სწორ მეთოდოლოგიის — დილექტიური და ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე. ასეთ ასპექტში საკითხის გაშუქება იძლევა ფაქტების სწორი შეგარებისა, გაშუქებისა და დასკვნების გამოტანის გარანტიას.

ავტორები სწორად აღნიშნავენ, რომ მორფოლოგიური პათოლოგიის განვითარება ჩვენშიც, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რამდენიმედ ზილი საქმარისი პრაქტიკული პათანატომიური შესაბამე კი არ წარმოებდა, შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ საბჭოთა პარობებში. არ შეიძლება ითქვას, რომ პათანატომიის ჩვენში განვითარებას არ ელღებოდა სხვადასხვა სინდელეები. მაგრამ რუსული მიწინავე მეცნიერებათა მხედრო კავშირმა და მის წარმომადგენლებთან მუდმივ კონტაქტმა ხელი შეუწყო მათ დამღვევას. ნაშრომის ავტორები საშართლიანად აღნიშნავენ იმ მუდმივ უზრადლებას მეცნიერებს ამ დარგის განვითარებისადმი, რასაც უყოველთვის იმენდნენ თბილისის უნივერსიტეტის პირველი ხელმძღვანელი — დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი და აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და ჩვენი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დაარსების ინიციატორები, გამოჩენილი მეცნიერები — გრიგოლ მუხაძე, სპირიდონ ვირხალაძე, ივანე თიანაძე.

სემონ გოგიაძე, ილექსანდრე ნათწვილი და სხვ.

სარეცენზიო ნაშრომის წინასიტყვაობაში აკადემიკოსი ვ. ვორონინი სამართლიანად შენიშნავს, რომ მორფოლოგიური პათოლოგიის ისტორიული განვითარების ისეთი ყოველმხრივი და ამომწურავი განხილვა, როგორც ეს მოცემულია ვლ. ედენტის და ირ. ტატაშვილის ნაშრომში, პირველია და მას ჩვენში წინამორბედი არა ჰყავს.

ილუსტრაციებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჯგუფობრივი ფოტოსურათი. მრგვალ შავიდან უსხედან ილია ჭავჭავაძე, მის ზელმარკვივ გამაჩენილი გერმანელი მეცნიერი რ. ვიხოვი და ზელმარკვივ ჩვენი ცნობილი ოფტალმოლოგი გ. ტარსაიძე.

რ. ვიხოვი თბილისში ყოფილა 1881 წ. და დასწრებია მეხუთე არქეოლოგიურ ვრიალობას. თბილისში ყოფნის დროს რ. ვიხოვს კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ერთერთ სხდომაზე აღუნიშნია კურორტ აბასთუმანს დღი მნიშვნელობა ტუბერკულოზით დაავადებულ ავადმყოფთა მკურნალობისათვის. მას უმოგზაურია ბორჯომის ზეობაში, ვადისულა ზეკარის უღელტეხილზე და ჩვენი ბუნებით აღტაცებულს თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარებია ხსენებულ საზოგადოებისათვის.

საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ჩანაწერი რ. ვიხოვის შესახებ. «უველზედ, შესანიშნავი — წერს ჩვენი მწერალი — ამ კრებაზედ ბ-ნი ვიხოვი. გამოჩენილი მეცნიერი და მთელი ქვეყნიერებაზედ სახელგანთქმული. კაცი არ იყო კრებაზედ, რომ არ ეყოთხა: ამა ერთი ვიხოვი რომელია, გვაჩვენეთ. თითონ ვიხოვი ტანად დეზალი კაცია, კლარამორეული, სამოცი წლისა იქნება, მაგრამ ისეთი ცქვიტი და ცოცხალია, ისეთი მვირცხლი თვალები აქვს, რომ გვეკონებათ — ოც-დაათის წლის კაციაო. ეს იმისთანა კაცია, რომ მსახველს საკვებურად უნდა ექმნას მისი ნახვა. გარდა ამისა იგი მეცნიერობით განთქმულია, ბერლინის პარლამენტში ერთი ძლიერი მოპირდაპირე ყოვლადშემძლე ბისმარკისა და ამასთანავე პროგრესისტების წინამძღოლი არის» (ილია ჭავჭავაძე, ტომი V, გვ. 115).

ნაშრომს დართული აქვს სავნობრივი მარეკენბელი, რაც გააადვილებს ამ დიდტანიანი წიგნის ხმარებას.

მაგრამ რუსულ ენაზე დაწერილი ამ მეტად საინტერესო წიგნის ტირაჟი — 2.000 ცალი და ფასი (60 შ. 11 კ.) არსებითად ხდის მას ფართო მკითხველისათვის მიუწვდომლად.

პროფ. ივ. ნიკოლაძე

ბათუმის ისტორიიდან



აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ვლ. სიჭინავის მონოგრაფია: „ბათუმის ისტორიიდან (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება 1878 — 1907 წლებში)“. მონოგრაფიაში გაშუქებულია ბათუმის რუსეთთან შეერთების, სოციალურ-ეკონომიური განვითარებისა და თვითმკურნელობის წინააღმდეგ ბათუმის მშრომელთა ბრძოლის საკითხები. ამისდა შესაბამისად ნაშრომში სამი თავისაგან შედგება, რომელთაც წინ უძღვის ვრცელი შესავალი, სადაც საუბარია ბათუმის მნიშვნელობაზე რუსეთისათვის მე-19 საუკუნეში სამხედრო-სტრატეგიული, ეკონომიური და პოლიტიკური თვალსაზრისით.

სარეცენზიო ნაშრომის პირველ თავში ავტორი შიშობილავს რუსეთ-თურქეთის ომებს მე-19 საუკუნეში და ბათუმისათვის ბრძოლების მიმდინარეობას.

გარკვეულ ყურადღება ეთმობოდა ბათუმის შემოერთების საკითხს 1806 — 1812 წლების ომის დროს, როცა რუსეთის მთავრობამ სცადა გამოეყენებია ამ პერიოდში ბათუმში შექმნილი მდგომარეობა და შერევაშიძეებთან მოლაპარაკე-

ბის გზით მშვიდობიანად ჩაებარებინა ჭალაქი. ეს საქმე ჩაიშალა და ბათუმის შემოერთების საკითხი გადაიწია. 1828-1829 წლებში ომის დროს ციხისძირი — ბათუმის მიმართულებით განხორციელებული იერიშები მარცხით დამთავრდა, უბრატესად იმის გამო, რომ თურქეთი ამ დროს ზღვაზე ბატონობდა და ყოველმხრივ ეხმარებოდა ციხისძირისა და ბათუმის დამცველებს. ელ. სიჭინავა დიდ ყურადღებას უთმობს ქართული ხალხის მონაწილეობას საომარ ოპერაციებში, ქართველთა მილიციის გმირობამ და სიმამაცემ მეფის მთავრობას ყურადღება მიიქცია და ქართველები სიგელთა და დროშებით იქნენ დაჯილდოებული. შედეგი არ მოპოვებია არც 1853 — 1856 წლების ომს.

ბათუმის შემოერთებისათვის ხელსაყრელი ეთარება შეიქმნა მხოლოდ 1877 — 1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროისათვის. ვლ. სიჭინავა ვრცლად ახსიათებს ამ ვითარებას. მართალია ბათუმის მიმართულებით სამხედრო ოპერაციებს სასურველი შედეგი არ მოპოვებია, მაგრამ რუსეთის ჯარების სავრთო წარმატებებმა მალკანეთისა და კავკასიის ფრონტებზე



აიძულეს თურქეთის მთავრობა ზავი ეთხოვა და დამოკიდებულება წასულიყო. სხვა ტერიტორიებთან ერთად შემოერთებული იქნა ბათუმიც.

ქართული საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა ბათუმის შემოერთებას და აქარის განთავისუფლებას თურქთა ბატონობისაგან. ამ მოვლენას გულმხურვალედ გამოეხმაურენ ი. ჰაევაძე, ს. მესხი და სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები. სარეცენზიო ნაშრომში კარგადაა დახასიათებული ცარბიშის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკა ბათუმში და საერთოდ აჭარაში.

მეორე თავი ბათუმის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დახასიათებას შეიცავს. ვაჭრობის ციკლს რა ბათუმის მიწათმოქმედების ისტორიას, ქალაქის მოსახლეობის ზრდასა და სოციალურ შედგენილობას, ავტორი ერთლად ჩერდება ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაზე ბათუმში 1878 — 1907 წლებში. ბათუმის სამრეწველო განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბაქოს ნავთის მოპოვებასთან და ავტორი სწორად იქცევა, როცა ამ საკითხს ბაქოს სამრეწველო განვითარების მიმოხილვას ურთავს. შრავადრიცხოვანი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ავტორი ნათლად გვიჩვენებს ბათუმის მრეწველობის არჩევულებრივად სწრაფ ზრდას აღებულ პერიოდში. ბათუმის მრეწველობის ზვედრით წონაზე მე-19 საუკუნის დამლევს კარგად შეტყვევლებს ის ფაქტი, რომ 1894 წელს თუ მთელი დასავლეთ საქართველოს სამრეწველო პროდუქცია 27,6 მილიონ მანეთის ღირებულებისა იყო, აქედან ბათუმზე მოდიოდა 26,1 მილიონი მანეთის პროდუქცია.

სოფლიო ბაზარზე ამერიკული ნავთის მოზღვაობამ (განსაკუთრებით 1907 წლისათვის, როცა ილინოისის შტატში ნავთის ახალი საბადო აღმოჩნდა) დასცა ბაქოს ნავთის საერთაშორისო მნიშვნელობა და ამასთან დაკავშირებით ბათუმის მრეწველობაც კატასტროფულად დაეცა. ბათუმის სამრეწველო განვითარების ისტორიას ავტორი ამაზე ამთავრებს. შემდეგ მოკლედ მიმოხილავს მრეწველობისა და ვაჭრობის სხვა დარგების მდგომარეობას და ფინანსური-საბანკო კაპიტალის საქმიანობას ბათუმში. მესამე თავის პოლის ავტორი იძლევა ბათუმის შემოთა კლასის მდგომარეობის ერთეულ დახასიათებას.

სარეცენზიო ნაშრომის მესამე თავში დაწერილობითაა სიუბარო თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბათუმის მშრომელთა ბრძოლის შესახებ. მეტად საყურადღებოა ნაშრომში მოტანილი ცნობები 1876 წელს ე. ი. ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე ბათუმში არალეგალური ნაროდნიკული ჯგუფის არსებობის შესახებ. ამ ჯგუფს შეედილივ ხელმძღვანელობდა (ავტორი ფიქრობს, რომ ეს არის ესტატე მვედლიძე — ბოსლველი). ჯგუფი

საზღვარგარეთიდან არალეგალურ ლიტერატურას ვხილდებოდა და ბათუმთან ფართულად საქართველოში შემოაქონდა.

ავტორი განიხილავს შემოთა გაფიცვებს 1882, 1889, 1895, 1897 და შემდგომ წლებში. ცხება შემოთა მარქსისტული წრეების ჩამოყალიბებას, რსდმპ ბათუმის კომიტეტის ჩამოყალიბებას, რომელიც სათავეში ჩაუდგა შემოთა მოძრაობას და პოლიტიკური ბრძოლის გზით წაიყვანა იგი, არალეგალური სტამპის მოწყობას, მარქსისტული ლიტერატურის გავრცელებას და სხვ.

დიდ ყურადღებას უთმობს ავტორი ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლას ბათუმში ესპერანთან, ფედერალისტებთან და ნაციონალისტურ პარტიებთან, აგრეთვე მენშევიკური პარტიის შემთანხმებულ და მოლაღატურ გამოსვლებთან.

სათანადოდაა გაშუქებული 1902 წლის გრანდიოზული დემონსტრაცია ბათუმში და 1905 — 1907 წლების რევოლუციის ქარიშხლიანი დღეები, სწორია მითითება იმ მჭიდრო კავშირზე, რომელიც ჰქონდა ბათუმის შემოთა მოძრაობას საქართველოსა და მთელი რუსეთის სხვა ქალაქების რევოლუციური პროლეტარიატის ბრძოლასთან.

ელ. სიხინაევს ნაშრომს გარკვეული წვლილი შეაქვს საქართველოს ქალაქების ისტორიის შესწავლის საქმეში. იგი ამავე დროს კარგად გვიხატავს საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილისადგურისა და საეკპრო ცენტრის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების პროცესში.

ამასთანავე, ჩვენი აზრით, ავტორის ზოგიერთი დებულება სადავოა, ნაშრომში გვხვდება ცალკეული უზუსტობანი თუ ფაქტობრივი შეცდომები.

1. ევრ დავეთანხმებით ავტორს, როცა იგი 1841 და 1862 წლებში გერული და აჭარელი გლეხების ერთიან გამოსვლაზე ლაპარაკობს (გვ. 54, 55). ფაქტობრივად 1841 წელს აჭარის მხრიდან ადგილი ჰქონდა ხასანბეგ თავდგირიძის პროვოკაციულ მოქმედებას, რომელიც თურქეთის მოკავშირის დეკლარაციით ცდილობდა გერულ გლეხთა აჯანყება თურქეთის ინტერესებში გამოეყენებინა. ასეთი პროვოკაციული გამოსვლის მიზნევა აჭარის მოსახლეობის თანაგრძნობად აჯანყებული გერულეებისადმი არასწორად მიგვაჩინა. რაც შეეხება 1862 წლის აჯანყებას, „ერთიანი“ გამოსვლაზე ლაპარაკი აქვს სწორი არ არის. ამ აჯანყების მველევარები (პროფ. შ. ჩხეტია და სხვ.) გეროის გლეხთა მველევარების კავშირზე ქობულეთულ გლეხთა გამოსვლასთან არაფერს ამბობენ. ასეთი კავშირი არც შეიძლება არსებელიყო ორ სხვადასხვა სახელმწიფოში. ბატონიშობის განსხაოებული სასტემების მქონე მხარეებში მომხდარ

გამოსვლებს შორის. ავტორის საამისო ფაქტობრივი მონაცემები არ გააჩნია.

2. ზოგიერთ შემთხვევაში ავტორი შეუსაბამოდ იმორჩება ამა თუ იმ ავტორის სიტყვებს. მაგალითად 14 — 15 გვერდზე სადაც მას საუბარი აქვს თურქ დამპყრობთა მიმართ ქართველების შურისძიების გრძნობის ზრდაზე, მოჰყავს სტეფანოვის სიტყვები, 1654 წელს გონიოს ციხესთან კახეთა რაზმის ვაჟმოსხდომის შესახებ. ცხადია, ეს ამონაწერი აქ არაფერ შეაშინა. ან კიდევ, 24-გვერდზე იგი აღნიშნავს, რომ ოსმალეთი გამარჯვების იმედებს უმოთვრესად დიდვრსიაზე, ჯაშუშობასა და საერთოდ რუსთა ზურგის შერყევას ამყარებდა. ამის დასადასტურებლად კი მოჰყავს კ. მარქის ციტატა, რომელიც „Status quo“-ს წინააღმდეგაა მიმართული და ამ პირობებში თურქეთის სახელმწიფოს შინაგან ხრწანზე ლაპარაკობს. 42 გვერდზე ავტორი წერს, რომ შამილის აგენტების ავტორი აქვს ავარში პოპულარობა ვერ მოიპოვა, რადგან მტრის ოინები გურიის, სამეგრელოს და იმერეთის მოსახლეობაში ზიზღს იმსახურებდნენ. გაუგებარია რა შეაშინა ეს უკანასკნელი ავარსთან. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავარა ოსმალეთის პრავინცია იყო და შამილი კი არ გზავნიდა თავის აგენტებს აქ, როგორც ავტორი ეცხადებს, არამედ პირაქით ოსმალეთის აგენტებით იყო საესე შამილის სამფლობელო.

3. ბათუმის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის განხილვისას (გვ. 111, 113, 115) ავტორი ქვაყოფილება იმ სოციალური ჯგუფების ჩამოთვლით, რომელსაც რევოლუციონდელი სტატისტიკოსები იძლევიან. 1897 წლის ცნობების მორტანსას მუშათა გამოყოფა სრულად გამორჩენია (გვ. 115). ცხადია, რომ ქველ სტატისტიკოსთა ცნობების შექანებული გამოვრება მოსახლეობის სოციალური განვითარების სწორი სურათის წარმოდგენის შესაძლებლობას არ იძლევა.

4. 1896 წლისათვის ბათუმში საწარმოთა რიცხვის შემცირებაში ავტორი ზედმეტ მრავლობაში მონოპოლისტურ გაერთიანებათა წარმოქმნის ტენდენციებს (გვ. 129 — 130), მაგრამ მას მხედველობიდან რჩება ის გარემოება, რომ ამ პრიციეს თან არ სდევდა სამრეწველო პროდუქციის ზრდა (რაც კარგად ჩანს 129 გვერდზე მოტანილი ცხრილიდან). ასეთ პირობებში კი სამრეწველო საწარმოთა რიცხვის შემცირება ზენი აზრით მონოპოლისტურ გაერთიანებათა წარმოქმნას არ უნდა ნიშნავდეს, ვინაიდან ასეთ მონოპოლისტურ გაერთიანებათა წარმოშობის დროს ადგილი უნდა ქონოდა სამრეწველო პროდუქციის ზრდას, ზენი კი ამ შემთხვევაში, მაგალითად 1902 წლისათვის, ამ პროდუქციის მკვეთრ შემცირებასთან გვაქვს საქმე. აქედან

გამომდინარე არც ის დებულება მიგვიჩნია სწორად, რომელიც ამბობს, რომ ქვეყნის ეკონომიკურეთა მიჯნაზე ბათუმის მრეწველობის პროლისტური კაპიტალიზმის ნიშნები გამოვლენილი (გვ.131).

5. არაღმავყოფილებლად ახასიათებს და ხსნის ავტორი მუშაკირობის საკითხს ავარში იგი მუშაკირობის ძირითად მიზეზად მიიჩნევს ბათუმის პორტოფრანკოდ გამოცხადებას და მის ირგვლივ შექმნილ მძიმე რეჟიმს. ეს კი ზენი აზრით ძირითადი არ იყო. ცნობილია, რომ ჯერ ერთი მუშაკირობას ფართო ხასიათი ქონდა ისეთ მზარებებშიც, სადაც არ იყო არავითარი პორტო-ფრანკო (მაგ. ახალციხე, სოხუმის მხარე, კავკასიის შოიანეთი და სხვ.) და შემდეგ პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგაც მუშაკირობა, მართალია ნაკლები ძალით, მაგრამ მაინც დიდხანს გრძელდებოდა.

ამვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორის არაფერი აქვს ნათქვამი რომ ბერლინის კონგრესის დიდგენილებით სამი წლის განმავლობაში ოფიციალურად ნებადართული იყო მოსახლეობის გადასახლება რუსეთიდან თურქეთში და პირაქით თურქეთიდან რუსეთში. ეს იყო მუშაკირობის ოფიციალური ქონოლოგიური საზღვარი. არაოფიციალურად კი, როგორც აღვნიშნეთ, იგი შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა ასე რომ 1886 წლის მიანევა მუშაკირობის შეწყვეტის თარიღად ხელავენება.

6. ავტორის უფრადლებს ვარემე არ უნდა დაეტოვებინა არც ბათუმის თეთიშარტყელობის, მისი საქმიანობის, თვითმართელობაში მიმდინარე ბრძოლების საკითხიც. ამ საკითხის განხილვა ზორცს შეასამადა ბათუმის, როგორც ბურჟუაზიული ქალაქის განვითარების საერთო სურათს.

7. წერილმანი შენიშვნებიდან აღვნიშნავთ შემდეგს. სპარსეთთან ომის დაწყების თარიღი არის არა 1805 წ. (გვ. 22, 23) არამედ — 1804 წ. 1811 წ. კურტუზოვი ჯერ კიდევ არ იყო ფელდმარშალი (გვ. 23), ფელდმარშალი მან მიიღო 1812 წ. ბორიდინოს ბრძოლის შემდეგ. 1877 წლების ომი ერთდროულად დაიწყო ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტებზე ეს იყო ქველი სტილით 12 აპრილი ახალი სტილით 24 აპრილს. ასე, რომ ავტორის საუბარი კავკასიაში ომის დაწყებამდე მომზდარ ინციდენტზე (გვ. 49) გაუგებრობის შედეგია. 75 გვერდზე აღნიშნულია, რომ ბათუმი ლაზისტანის საფაშოს მთავარი ქალაქი იყო და მის მუთესპარიფი მართავდაო. იქვე ავტორი ბათუმის საფაშოს ასახვლებს. ჯერ ერთი საკითხავია რა ეტყვა იმ აღმინისტრაციულ ერთეულს — ბათუმის თვ ლაზისტანის საფაშო. შემდეგ თუ კი საფაშო იყო, აქ უნდა ფაშა მჯღარიყო და არა მუთესპარიფი.

ახალი წიგნები



საბავშვო მწერალი

- მანოვანი (დესპინე გელაგანი)** — შორეული ლანდები. ტექსტი დაადგინა და კომენტარებში დაურთო ს. ცაიშვილმა რედ. ა. გაბესკირია. გვ. 594, ფასი 18 მან. 60 კაპ.
- პეტრე მახტორიძე** — კრიტიკული წერილები. რედ. ლ. კალანდაძე. გვ. 218, ფასი 6 მან. 50 კაპ.
- მამია ახათიანი** — კავკასიონის კალთებზე. რედ. ე. ზედგინძე. გვ. 176, ფასი 3 მან. 60 კაპ.
- არნო ონელი** — ასე ვმღეროდი. რედ. ე. გორგაძე. გვ. 74, ფასი 1 მან. 10 კაპ.
- ბენო თათარაშვილი** — ურაველი. ნარკვევები. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 102, ფასი 1 მან. 15 კაპ.
- გივი გოჯიაშვილი** — ბირველი დღეები. რედ. ა. ბელიაშვილი. გვ. 252, ფასი 4 მან. 90 კაპ.
- ალექო შენგელია** — მეგობრული ხმები. თარგმანები. რედ. ვ. გორგაძე. გვ. 70, ფასი 1 მან. 10 კაპ.
- გრიგოლ აროსია** — გმირობა და სიყვარული. რედ. ა. შირცხუღავა. გვ. 78, ფასი 1 მან. 40 კაპ.
- გივი ძნელაძე** — აღამიანს უყვარს აღამიანი. რედ. ნ. ჩაჩავა. გვ. 72, ფასი 1 მან. 10 კაპ.
- მურმან ქოიავა** — განელილი გზები. რედ. ე. გორგაძე. გვ. 66, ფასი 1 მან. 19 კაპ.

საბავშვო

- გალაკტიონი** — ასი ლექსი. რედ. ხ. ბერულავა. გვ. 176, ფასი 5 მან. 10 კაპ.
- ი. გრიშაშვილი** — ბაბაჯანის ქოშები. რედ. ნადირაძე. გვ. 15, ფასი 1 მან. 40 კაპ.
- მარკ ტვენი** — ტომ სოიერის თავგადასავალი; ჰექლბერი ფინის თავგადასავალი. თარგ. გრ. ყიფშიძისა და თ. ღიასაშიძისა. რედ. ნ. რაზიკაშვილი. გვ. 588, ფასი 18 მან.
- არჩილ სულაკაური** — თავნება ბაჭიები. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 15, ფასი 1 მან. 40 კაპ.
- ჰექტორ შალი** — უსახლკარო. თარგ. თ. ხუსკივიძისა. რედ. ირ. ჭავჭავაძე. გვ. 166, ფასი 3 მან. 80 კაპ.
- რასულ გამზატოვი** — სიუბარი მამისთან. რედ. რ. მარგინი. გვ. 56, ფასი 1 მან.
- თინათინ კენიკაძე** — ქვიციკებენ შერცხულები. რედ. მ. ქახრაია. გვ. 28, ფასი 1 მან. 90 კაპ.
- სტეფანო ხანი** — ბონა და პატარა მორჩილი. თარგ. გ. ქრელოშვილისა. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 32, ფასი 1 მან. 60 კაპ.
- ი. დუბინსკი** — გახსოვდეთ იგი. თარგმ. გ. ბუხნიკაშვილისა. რედ. თ. ბუაჩიძე. გვ. 128, ფასი 3 მან. 80 კაპ.